სეზონი

5—6

2002

სპინკი

(120)
სექტემბერი
დეკემბერი

შინაარსი

პროზა, პოეზია

ერიხ მარია რემარკი. გიყვარდეს მოყვასი შენი. რომანი. დასაწყისი.
გერმანულიდან თარგმნა **ბადრი მხეიძემ** 3
ჟაკ პრევერი. ლექსები. ფრანგულიდან თარგმნეს **ილია გასვიანმა** და **გეგა საღუნიშვილმა** . 78
ლიდია ვან კოველერტი. წასვლა. ფრანგულიდან თარგმნა **დავი იაშვილმა** . . . 81
პაბლო ნერუდა. (ჩილე). ლექსები. თარგმნა **სიდოვან ნარიმანიძემ** 160
ერნსტ თეოდორ ამადეუს ჰოფმანი. რომანი. დასასრული.
გერმანულიდან თარგმნა **ლია თაკვარელიამ** 167

პირველი ნაბიჯები

ჩეზარე პავეზე. „თვითმკვლელები". იტალიურიდან თარგმნა **ილია გასვიანმა** . . 210
შარლ ბოდლერი. ლექსები. ფრანგულიდან თარგმნა **მერი ნებიერიძემ** 224
პეტერ როსეგერი. (ავსტრია). მოთხრობები. გერმანულიდან თარგმნა **ნონა ფუხაშვილმა** 226
პოლ ვერლენი. სიმღერა. ფრანგულიდან თარგმნა **ლიკა ბახტაძემ** 234
კარსონ მაკალერსი. გაღვიძა სევდიანი კაფესი. მოთხრობა.
ინგლისურიდან თარგმნა **ნინო მიქაძემ** 235

წერილები

კეტე ჰამბურგერი. მხატვრული სიტყვის ლოგიკა. გაგრძელება.
გერმანულიდან თარგმნა **რუსუდან ღვინეფაძემ** 240

საქართველოს მწერალთა საერთო ეროვნული
კავშირის ორგანო
მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური ჟურნალი

2002, № 5—6

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი

ნანა დარჩია-გოლქვაძე

სარედაქციო საბჭო:

ელზა ახვლედიანი
ნანა ახოგაძე
მანანა ამისულაშვილი
ჯემალ აჯიაშვილი
ნანა გართაია (პ/მ მდივანი)
გურამ გოგიაშვილი
ნანა გოგოლაშვილი
თამარ ერისთავი
რუსუდან ჭეგულაძე
დალი ფანჯიკიძე
ეთერ ყურაშვილი
გივი შავნაზარი
გივი ძნელაძე.

ჩვენი მისამართია: თბილისი, 380026. ლესელიძის ქ. № 4. ტელეფონი: 99-73-41.

გად. წარ. 17. 12. 2002 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 20. 12. 2002 წ., ქაღალდის ზომა 70X106¹/₁₆, საალრ. თ. 16, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 16. ფ. ტირ. 300. შეკვ. 808.

შ. პ. ს „გამომცემლობა სამშობლოს“ სტამბა.
თბილისი, მ. კოსტავას 14.

პროზა, პოეზია.

ერიხ მარია რემარკი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიყვარდეს მოყვასი შენი

გერმანულიდან

თარგმნა ბაღრი მხეიძემ

ერიხ მარია რემარკს ქართველი მკითხველის წინაშე წარდგენა არ სჭირდება. მისი რომანები: „დასავლეთის ფრონტი უცვლელია", „სამი მეგობარი", „ტრიუმფული თაღი" და სხვები კარგა ხანია თარგმნილია ქართულად და მკითხველთა შორის ფართო პოპულარობით სარგებლობენ.

წინამდებარე რომანი „გიყვარდეს მოყვასი შენი" რემარკის ერთ-ერთი საუკეთესო თხზულებაა. მასში დიდოსტატი რომანისტის ხელით აღწერილია სამშობლოდან მოწყვეტილ ადამიანთა — ლტოლვილთა ბედკრული ყოფა, ყოველდღიური ბრძოლა თავის გადასარჩენად, ურთიერთთანადგომა, გაუტეხლობა, რაც ერთგვარად ეხმიანება საქართველოს ღღევანდელ სინამდვილეს და საგულისხმო პარალელების გატარების საშუალებას იძლევა.

F 8659

რომანი

პირველი ნაწილი

I

კერნი, თითქოს ხელი ჰკრესო, უცბად გამოერკვა მძიმე, აბურდული სიზმრისაგან, ლოგინზე წამოჯდა და მიაყურადა. როგორც ყველა დევნილი, იგი მყისვე გამოფხიზლდა, ჩახმახივით შეიმართა და გასაქცევად გაემზადა, თან გამალებით ფიქრობდა, როგორ გაელწია ოთახიდან, თუ მდევარი გასასვლელის ჩაკეტვას მოასწრებდა.

ოთახი მეხუთე სართულზე მდებარეობდა, მხოლოდ ერთი ფანჯარა ჰქონდა, ეზოში გამავალი, არც აივანი და არც ლავგარდანი არ გააჩნდა, რომ საწვიმარ მილამდე ჩოჩვა-ჩოჩვით მისულიყო. ასე რომ, ეზოდან ვერ გაიქცეოდა. ერთი გზაღა რჩებოდა: დერეფნის გავლით როგორმე სხვენამდე უნდა მიელწია, იქიდან კი სახურავით მეზობელ სახლზე გადავიდოდა.

კერნმა მაჯის საათის მანათობელ ციფერბლატს დახედა. ხუთს ოდნავ გადაცილებული იყო. ოთახში თითქმის უკუნი იდგა. მხოლოდ ორი მეზობელი საწოლის ზეწარი მოჩანდა, ბუნდოვნად ნაცრისფერ ლაქასავით. კედელთან მწოლიარე პოლონელი ხვრინავდა.

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

კერნი ფრთხილად გამოძვრა საბნიდან და ფეხაკრეფით მიიპარა კართან. ამ დროს შუა საწოლის ბინადარი შეინძრა.

— რა მოხდა? — ჩურჩულით იკითხა მან.

კერნმა პასუხი არ გასცა, ყურით კარზე იყო აკრული.

შუა საწოლის ბინადარი წამოჯდა, რკინის საწოლის თავზე გადაკიდებულ ტანსაცმელს ხელი მოუფათურა და ჯიბის მაშუქი აანთო. მოცახცახე სუსტი შუქის წრეში ჩამოქერცლილი ყავისფერი კარის ნაწილი და საცვლებამოჩაჩული, თმაგაჩეჩილი კერნის ფიგურა გამოჩნდა. კერნი საკლიტეს აყურადებდა.

— ეშმაკმა დალახვროს, ვერ იტყვი, რა მოხდა? — ჩაიბუტბუტა ლოგინზე წამომჯდარმა კაცმა.

კერნი წელში გაიმართა.

— არ ვიცი. რაღაც ხმაურმა გამომაღვიძა.

— რაღაცა! რა რაღაცა, შე შტერო?

— რაღაც ხმა მომესმა ქვემოდან... ლაპარაკი, ნაბიჯები... არ ვიცი.

კაცი წამოდგა და კართან მივიდა. მაშუქის სინათლეზე ყვითელი პერანგი და ბალნიანი, დაკუნთული ფეხები გამოუჩნდა. ერთხანს მანაც მიაყურადა.

— რა ხანია, რაც აქ ცხოვრობ? — ჰკითხა კერნს.

— ორი თვეა.

— ალყაში მოყოლილხარ?

კერნმა თავი გააქნია.

— აჰა, გასაგებია! ცხადია, მოგეჩვენა, ზოგჯერ ნაწლავების ქარის ხმა ძილში ქუხილივით შეგაკრთობს, — მაშუქი კერნს სახეში მიანათა. — ჰო, რა გასაკვირია, ალბათ ოცი წლისაზე მეტის არ იქნები, ასე არაა? ემიგრანტი ხარ?

— რა თქმა უნდა.

— იისუს ხრისტუს, ტსო სიემ სტალო, — მოულოდნელად აბუტბუტდა პოლონელი ოთახის კუთხეში.

პერანგიანმა კაცმა შუქის წრე მისკენ შეატრიალა. სიბნელიდან გაფარჩხული შავი წვერი, დაფჩენილი ხახა, ბუჩქა წარბები და დაჭყეტილი თვალები ამოტივტივდა.

— მოკეტე, პოლონელო, შეეშვი იისუს ხრისტუსს, — დაუცაცხანა მაშუქიანმა. — ის ცოცხალი აღარაა. მოხალისედ წავიდა ფრონტზე და სომას ნაპირზე დაიღუპა.

— ტსო?

— აი, ისევ გამეორდა! — კერნმა თავისი საწოლისკენ ისკუპა. — ისინი ქვევიდან მოდიან, სახურავზე უნდა ავასწროთ!

მაშუქიანი ციბრუტივით დატრიალდა. დერეფნიდან კარების ჯახაჯუხი და ყრუ ხმები მოისმა.

— დასწყევლოს ეშმაკმა! ადექი, პოლონელო, ადექი! პოლიცია მოდის!

მაშუქიანმა საწოლიდან თავისი ტანსაცმელი აიტაცა.

— გზა იცი? — ჰკითხა კერნს.

— კი, მარჯვნივ, დერეფანში, პირსაბანის მერე კიბეა!

— ჩქარა! — პერანგიანმა კაცმა უხმოდ გამოაღო კარი.

— მატკა ბოქკა! — აროხროხდა პოლონელი.

— მოკეტე! არ გაგვყიდო!

მან კარი გაიხურა. ის და კერნი ფეხაკრეფით გავიდნენ ვიწრო, დაბინძურებულ დერეფანში. ისე წყნარად მიდიოდნენ, რომ ცუდად დაკეტილი ონკანიდან ნიჟარაში წვეთების ტყაპატყუპი ესმოდათ.

— აქ მოსახვევია! — ჩურჩულით უთხრა კერნმა, მოუხვია და რაღაცას შეეჯახა. იგი წაბარბაცდა, თავის წინ მუნდირი დაინახა და უკან დახევა დააპირა. ამ დროს ვიღაცამ იდაყვში ჩაარტყა.

— არ გაინძრე! ხელები მაღლა! — გაისმა ბრძანება სიბნელიდან.

კერნს დარტყმისაგან მარცხენა ხელი მოუდუნდა და ტანსაცმელი იატაკზე დაუცვივდა. წამით მოეჩვენა, ყვითელ პერანგიანი კაცი სიბნელიდან გამომავალი ხმის პატრონთან შეტაკებას აპირებდა, მაგრამ მეორე რევოლვერის ლულა დაინახა, რომელსაც მეორე პოლიციელი მკერდში უმიზნებდა, და ხელები ნელა ასწია მაღლა.

— შებრუნდით! — უბრძანა ხმამ. — ფანჯარასთან დადექით!

დევნილები ბრძანებას დაემორჩილნენ.

— ჯიბეები გაუჩხრიკეთ, — უთხრა რევოლვერიანმა პოლიციელმა მეორეს.

პოლიციელმა ძირს დაყრილი ტანსაცმელი გაჩხრიკა.

— 35 შილინგი, ჯიბის მაშუქი, ჩიბუხი, ჯიბის დანა და საგარეცხელი. სხვა არაფერია...

— ქაღალდები?

— ორიოდე წერილია და რაღაც ამდაგვარი.

— პასპორტები?

— არაა.

— სადაა თქვენი პასპორტები? — იკითხა რევოლვერიანმა პოლიციელმა.

— მე არა მაქვს, — უპასუხა კერნმა.

— რა თქმა უნდა! — პოლიციელმა პერანგიან კაცს რევოლვერი იატაკა ზურგში, — ხოლო შენ, შენ რა, ცალკე შეკითხვა გჭირდება, შე ნაბიჭვარო? — უთხრა მან.

პოლიციელებმა ერთმანეთს გადახედეს. იმას, რომელსაც რევოლვერი არ ჰქონდა, სიცილი აუტყდა. რევოლვერიანმა ტუჩებზე ენა მოისვა.

— შეხედეთ ერთი ამ ვაჟბატონს! — თქვა მან გაჭიანურებით. — მისი აღმატებულება მაწანწალა! გენერალი მყრალა! — მოულოდნელად ხელი მოიქნია და პერანგიანს მუშტი ნიკაპში სთხლიშა. — ხელები მაღლა! — დაულრიალა. პერანგიანი წაბარბაცდა.

პერანგიანმა პოლიციელს გაავებით შეხედა. კერნი შეშინდა, ასეთი სახე არასოდეს ენახა.

— შენ გეუბნები, შე ნეხვო! — განაგრძო პოლიციელმა. — დროზე გაირჯები, თუ გინდა, ტვინი ერთხელაც შეგიჯანჯღარო?

— მე პასპორტი არ მაქვს, — უპასუხა პერანგიანმა.

— მე პასპორტი არ მაქვს, — გამოაჯავრა პოლიციელმა. — თავისთავად ცხადია, ბატონ ნაბიჭვარს პასპორტი არ ექნება. ამის მიხვედრას რა დიდი ამბავი უნდა! აბა, ჩაიცვით, ცოცხლად!

პოლიციელების ჯგუფი დერეფანს მოეფინა. ისინი ძალით აღებდნენ კარებს. მათ შორის ეპოლეტებიანი პოლიციელი გამოჩნდა.

— აბა, რა მოინადირეთ? — იკითხა მან.

— ეს ორი ჩიტუნია სახურავიდან აპირებდა აორთქლებას.

ოფიცერმა დაკავებულები შეათვალიერა, იგი ულაზარეთი იყო. გამხდარი, ფერმკრთალი სახე და გულდასმით მოვლილი მოკლე ულვაში ჰქონდა. სუნამოს სუნი ასდიოდა. კერნს ოდეკოლონი ეცნო. ასეთ რამეებში კარგად ერკვეოდა. ადრე მამამისს პარფიუმერიის ფაბრიკა ჰქონდა.

— ეს ორი გულდასმით უნდა დავკითხოთ, — ბრძანა ოფიცერმა. — ხელბორკილები დაადეთ!

— განა ვენის პოლიციას დაპატიმრებისას ცემის უფლება აქვს? — ჰკითხა პერანგიანმა კაცმა.

ოფიცერმა შეხედა.

— რა გვარი ხართ?

— შტაინერი. იოზეფ შტაინერი.

— პასპორტი არ აქვს, თანაც წინააღმდეგობის გაწევას აპირებდა, — მოახსენა ოფიცერს რევოლვერიანმა პოლიციელმა.

— ჩვენ იმაზე მეტი უფლება გვაქვს, თქვენ რომ გგონიათ, — მოუჭრა შტაინერს ოფიცერმა. — ჩაიყვანეთ ქვემოთ!

დაპატიმრებულებმა ტანთ ჩაიცვეს. პოლიციელმა ხელბორკილები ამოიღო.

— აბა, მოდით, საყვარლებო! ასე, ახლა უკეთ გამოიყურებით. ისე ძოგერგოთ, თითქოს თქვენთვის გამოუჭედავთო.

კერნმა მაჯებზე ცივი ფოლადი იგრძნო. ცხოვრებაში პირველად ედო ბორკილი. ფოლადის რგოლები სიარულში მაინცდამაინც არ აბრკოლებდა, მაგრამ ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს მარტო ხელები კი არა, რაღაც უფრო მნიშვნელოვანი შეუბორკესო.

ადრიანი დილა იდგა. სახლთან პოლიციის ორი მანქანა გაჩერდა. შტაინერს სახე დაემანჭა.

— პირველი კლასით გვასაფლავებენ! საპატიოა არა, პატარავ?

კერნმა არაფერი უპასუხა. შეეცადა ხელბორკილები პალტოს სახელოებში შეემალა. ქუჩაში სეირის მაყურებელი ორიოდე მერძევე იდგა. მოპირდაპირე სახლის ფანჯრები ფართოდ გაეღოთ. ბნელი ღიობიდან მომზირალი სახეები გაფუებულ ცომის გუნდებს ჰგავდნენ. ვიღაც ქალი ხითხითებდა.

პოლიციის მანქანებთან — ღია ფურგონებთან ოცდაათამდე დაპატიმრებული მიიყვანეს. მათი უმეტესობა უსიტყვოდ ადიოდა მანქანის ძარაზე. მათ შორის იყო სახლის პატრონი, ორმოცდაათიოდე წლის სქელი, ქერა ქალი. მხოლოდ ის გამოთქვამდა ენერგიულ პროტესტს. რამდენიმე თვის წინათ მცირეოდენი თანხით ნახევრად დანგრეული სახლის ორი ცარიელი სართული შეეკეთებინა და შიგ რაღაც პანსიონატის მაგვარი დაწესებულება გაემართა. მალე ხმა გავრცელდა, რომ იქ ჩაუწერლად, პოლიციაში რეგისტრაციის გარეშე ცხოვრება შეიძლებაო. დიასახლისს მხოლოდ ოთხი ნამდვილი, პოლიციაში რეგისტრირებული

მდგმური ჰყავდა: ხელზე მოვაჭრე, დეზინფექტორი და ორი მეძავი. დანარჩენები, როცა დაბინდდებოდა, მაშინ შემოიპარებოდნენ ხოლმე. თითქმის ყველა გერმანიიდან, პოლონეთიდან, რუსეთიდან თუ იტალიიდან ლტოლვილი და ემიგრანტი იყო.

— მიდი, მიდი! — დაუცაცხანა ოფიცერმა დიასახლისს. ქალაფერი პოლიციის უბანში გაირკვევა, საამისოდ საკმაო დრო გექნებათ.

— პროტესტს ვაცხადებ! — წამოიყვირა ქალმა.

— პროტესტის უფლება გაქვთ. ოღონდ ჯერ პოლიციაში წამობრძანდით.

ორმა პოლიციელმა ქალს ხელები ჩასჭიდა და ძარაზე აიყვანა.

ოფიცერი კერნისა და შტაინერისკენ მიბრუნდა.

— ამ ორს გაუფრთხილდით. თვალი არ მოაცილოთ.

— მერსი, — უთხრა შტაინერმა და მანქანაზე ავიდა. კერნი უკან მიჰყვა.

მანქანები დაიძრნენ.

— ნახვამდის! — გაისმა ქალის გამკივანი ხმა რომელიღაც ფანჯრიდან.

— ცემით სული ამოხადეთ მაგ ნაძირალა ემიგრანტებს! — დაიღრიალა ვიღაც კაცმა. — საკვები დაგვეზოგება.

პოლიციის მანქანები საკმაოდ ჩქარა მიდიოდნენ, რადგან ქუჩები ჯერ თითქმის ცარიელი იყო. ცა სახლებს მიღმა უკან-უკან იხევდა, თანდათან ფართოვდებოდა, ნათდებოდა, სილურჯე და გამჭვირვალობა ემატებოდა, მაგრამ მანქანის ძარაზე შეყრილ დაპატიმრებულებს შემოდგომის წვიმაში დამბალ, ჩაშავებულ ტირიფებივით ჩაექინდრათ თავები. პოლიციელები ძეხვის ბუტერბროდებს შეექცეოდნენ და ზედ ყავას აყოლებდნენ ბრტყელი მათარებიდან.

ასპერნის ხიდის სიახლოვეს გზა ბოსტნეულის საბარგო მანქანამ გადაუჭრათ. პოლიციის მანქანებმა ჯერ დაამუხრუჭეს, მერე კვლავ სიჩქარე აიღეს. ამ დროს ერთი პატიმარი მანქანის ბორტზე აძვრა და გადახტა. იგი უხერხულად დავარდა მანქანის ფრთაზე, თავის პალტოში გაიხლართა და ზღართანი გაადინა ქვაფენილზე.

— მანქანა გააჩერეთ! დაიჭირეთ! — დაიღრიალა უფროსმა. — გაქცევა თუ დააპიროს, ესროლეთ!

მძღოლმა მკვეთრად დაამუხრუჭა. პოლიციელები გადმოხტნენ და ძირს დავარდნილი კაცისკენ გაიქცნენ. მძღოლმა უკან მიიხედა, შეამჩნია, დაპატიმრებული არ ინძრეოდა და მანქანა უკანა სვლით ნელა წაიყვანა.

კაცი ზურგზე იწვა. კეფა ქვაზე დაერტყა. პალტო გახსნოდა, ხელები და ფეხები მიწას დანარცხებული ღამურასავით გაეფშიკა.

— ააყენეთ! — ბრძანა ოფიცერმა.

პოლიციელები დაშავებულისკენ დაიხარნენ. შემდეგ ერთი მათგანი წელში გაიმართა.

— ეტყობა, რაღაც მოიტეხა. ვერ დგება.

— რას ჰქვია, ვერ დგება! ააყენეთ!

— ერთი ლაზათიანი პანჩური უთავაზეთ და გამოცოცხლდება, — ზანტად ურჩია იმ პოლიციელმა, შტაინერს რომ გაარტყა.

კაცი კვნესოდა.

— ადგომა მართლაც არ შეუძლია, — მოახსენა [illegible] პოლიციელმა. — თავი გასისხლიანებული აქვს.

— ჯანდაბას მაგის თავი! — უფროსი მანქანიდან გადმოვიდა. — არ გაინძრეთ! — დაუყვირა მან დაპატიმრებულებს. — წყეული ბანდა! ამათგან უსიამოვნების გარდა სხვას რას უნდა ელოდეს კაცი!

მანქანა უკვე დაშავებულთან იდგა. კერნი ზემოდან კარგად ხედავდა მის სახეს, რომელიც მაშინვე იცნო. ეს გალეული კაცი პოლონელი ებრაელი იყო. ჭაღარა, მეჩხერი წვერი ჰქონდა. კერნს რამდენჯერმე გაეთია ღამე მასთან ერთად ერთ ოთახში. გაახსენდა, როგორ დაბღვიბოდა ხოლმე სისხამ დილით ფანჯარასთან ეს კაფანდარა ბერიკაცი, მხრებზე სარიტუალო სარტყლებს გადაიდებდა, ტანის აქეთ-იქით რწევას მოჰყვებოდა და ლოცულობდა. ის კოჭის ძაფებით, ფეხსაცმლის ზონრებითა და ნართით ვაჭრობდა. სამჯერ იყო გაძევებული ავსტრიიდან.

— ადექით ჩქარა! — უბრძანა ოფიცერმა. — რატომ გადმოხტით მანქანიდან? ალბათ, ცოდვები გამძიმებთ. ეტყობა, იქურდეთ ან რაღაც ამდაგვარი დანაშაული ჩაიდინეთ!

ბერიკაცმა ტუჩები ააცმაცუნა. იგი თვალებგაფართოებული შესცქეროდა ოფიცერს.

— რაო? — იკითხა ოფიცერმა. — თქვა რამე?

— ასე ამბობს, შიშის გამო გადმოვხტიო, — მოახსენა პოლიციელმა, რომელიც დაშავებულთან იყო ჩამუხლული.

— შიშის გამო? რა თქმა უნდა, შიშის გამო, რადგან რაღაც დანაშაულს მალავს! რას ამბობს?

— ასე ამბობს, არავითარი დანაშაული არ ჩამიდენიაო.

— ყველა ასე იტყვის. რა ვუყოთ ახლა მაგას? რა სჭირს?

— ექიმი უნდა გამოიძახოთ, — ჩამოსძახა შტაინერმა მანქანიდან.

— ხმა ჩაიკმინდეთ! — განერვიულდა ოფიცერი. — საიდან გავაჩინო ახლა ექიმი? თანაც დიდხანს მისი ქუჩაში დატოვება არ შეიძლება. მერე იტყვიან, თვითონ მაგათ დაბეგვესო. ყველაფერს პოლიციას დააბრალებენ!

— საჩქაროდ საავადმყოფოში უნდა წაიყვანოთ, — უთხრა შტაინერმა.

ოფიცერი დაიბნა. მიხვდა, ბერიკაცი მძიმედ იყო დაშავებული და ამიტომ შტაინერს ლაპარაკი ველარ აუკრძალა.

— საავადმყოფოში? იქ ხომ ასე უბრალოდ არ მიიღებენ. ამას მიმართვა სჭირდება. მე ხელს ვერ მოვაწერ. ჯერ პატაკი უნდა შევადგინო.

— ებრაელების საავადმყოფოში წაიყვანეთ, — ურჩია შტაინერმა. — იქ მიმართვისა და პატაკის გარეშე მიიღებენ. უფულოდაც.

ოფიცერმა გაოცებით შეხედა.

— თქვენ ეს საიდან იცით?

— მაშველთა საზოგადოებაში მივიყვანოთ, — წინადადება წამოაყენა ერთ-ერთმა პოლიციელმა. — იქ სანიტარი ან ექიმი მუდამ მორიგეობს ხოლმე. ისინი მიხედავენ. ჩვენ კი თავიდან მოვიცილებთ.

ოფიცერმა გადაწყვეტილება მიიღო.

— კარგი, აიყვანეთ! გზად მაინც მაშველთა პუნქტთან [illegible] ვიაროთ. ერთ პოლიციელს დავტოვებთ მასთან. ეს ხალხი [illegible] მინდოდა!

პოლიციელებმა ბერიკაცი ასწიეს და მანქანის ძარაში დაასვენეს. დაშავებულმა დაიკვნესა, სახე გაუფითრდა, შეძაგძაგდა და თვალი გაახილა. ლოყებჩავარდნილ სახეზე თვალები არაბუნებრივად უბრწყინავდა. ოფიცერმა ტუჩზე იკბინა.

— ეს რა იდიოტობაა! ამ ხნის ბერიკაცი მანქანიდან რამ გადაახტუნა! დავიძრათ! ნელა წადით!

დაშავებულის თავქვეშ მალე სისხლის გუბე დადგა. ბერიკაცი დაკოჟრილი თითებით ძარის ფიცარს ფხოჭნიდა. თანდათან ტუჩები დაეჭიმა და კბილები გამოუჩნდა. ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს ტკივილის ნაცრისფერი, უსიცოცხლო ნიღბის ქვეშ ვიღაც სხვა უხმოდ, ირონიულად იცინოდა.

— რას ამბობს? — იკითხა ოფიცერმა.

მანქანა ისე მირახრახებდა, რომ წინ მდგომმა პოლიციელმა ბერიკაცთან ჩაიჩოქა და თავი მაგრად დაუჭირა.

— ასე ამბობს, შვილების ნახვა მინდოდაო. რაღა ეშველებათ, უჩემოდ შიმშილით დაიხოცებიანო, — მოახსენა მან.

— აჰ, რა სისულელეა! არაფერიც არ მოუვათ. ისე, სად არიან ისინი?

პოლიციელი კვლავ დაიხარა.

— არ ვიტყვი, იმიტომ რომ ქვეყნიდან გააძევებენო. არც ერთ ქვეყანაში ცხოვრების უფლება არ ჰქონიათ.

— რაღაცას მიედ-მოედება. ახლა რას ამბობს?

— ამბობს, მაპატიეთო.

— რაო? — ჩაეკითხა გაკვირვებული ოფიცერი.

— ამბობს, გთხოვთ მაპატიოთ, უსიამოვნება რომ მოგაყენეთო.

— მაპატიეთო?! ეს რაღას ნიშნავს? — თავი გაიქნია ოფიცერმა და დაშავებულს დააკვირდა.

ანქანა მაშველთა პუნქტთან გაჩერდა.

— ჩაიყვანეთ! — ბრძანა ოფიცერმა. — ოღონდ ფრთხილად. თქვენ, როდე, მასთან დარჩით, ვიდრე ტელეფონით დაგიკავშირდებით.

დაშავებული მაღლა ასწიეს. შტაინერი მისკენ გადაიხარა.

— ჩვენ მოვძებნით შენს შვილებს. ჩვენ დავეხმარებით მათ, გესმის, მოხუცო?

ებრაელმა თვალები დახუჭა და კვლავ გაახილა. შემდეგ სამმა პოლიციელმა შეიტანა იგი შენობაში. თითქოს სიცოცხლეს უკვე მიუტოვებიაო, ულონოდ ჩამოყრილ ხელებს ქვაფენილზე მიითრევდა. მალე ორი პოლიციელი უკან დაბრუნდა და მანქანაში ჩაჯდა.

— კიდევ ხომ არაფერი უთქვამს? — ჰკითხა მათ ოფიცერმა.

— არა. სახე უკვე მთლად გაუმწვანდა. თუ ხერხემალი აქვს დაზიანებული, დიდხანს ვერ გაატანს.

— მერე რა, ქვეყანას ერთი ებრაელი მოაკლდება, — თქვა პოლიციელმა, რომელმაც შტაინერს სახეში გაარტყა.

— მაპატიეთო! — წაიბუტბუტა ოფიცერმა. — ბოდიშს გიხდიან! უცნაური ხალხია...

— განსაკუთრებით ჩვენს დროში, — დაურთო შტაინერმა.

ოფიცერი გასწორდა.

— გიჯობთ მოკეტოთ, თქვე ბოლშევიკო! — დაუღრიალა მან. — გპირდებით, მაგ უტიფრობას გადაგაჩვევთ!

დაპატიმრებულები პოლიციის განყოფილებაში მიიყვანეს ელიზაბეთის გამზირზე. შტაინერსა და კერნს ხელბორკილები მოხსნეს და სხვებთან ერთად დიდ, ნახევრად ბნელ ოთახში დაამწყვდიეს. თითქმის ყველა უხმოდ მიჯდა კედელთან. ეს ხალხი მიჩვეული იყო ლოდინს. მხოლოდ სქელი ქალი ბობოქროობდა და თავის აღშფოთებას გამოხატავდა.

ცხრა საათიდან დაიწყეს დაპატიმრებულების სათითაოდ გაყვანა. კერნი სადაც შეიყვანეს, იმ ოთახში ორი პოლიციელი, სამოქალაქო ტანსაცმლიანი მდივანი, ოფიცერი და ხანში შესული პოლიციის ობერკომისარი იმყოფებოდნენ. ობერკომისარი ხის საგარძელში იჯდა და სიგარეტს აბოლებდა.

— ანკეტური მონაცემები ჩაიწერეთ, — უბრძანა მან მაგიდასთან მჯდომ მდივანს. გალეული, ხუწუწებიანი მდივანი რაღაცით ქაშაყს ჰგავდა.

— რა გქვიათ? — ჰკითხა მან კერნს მოულოდნელად ბოხი ხმით.

— ლუდვიგ კერნი.

— დაბადების წელი და ადგილი.

— 1914 წლის 30 ნოემბერი, დრეზდენი.

— ესე იგი, გერმანელი ხართ?

— არა. მოქალაქეობის არმქონე, ექსპატრიირებული ვარ.

ობერკომისარმა თვალი შეავლო.

— ოცდაერთი წლის ასაკში? ასეთი რა ჩაიდინეთ?

— არაფერი. მამაჩემს ჩამოართვეს მოქალაქეობა და მასთან ერთად მეც, რაკი მცირეწლოვანი ვიყავი.

— მამათქვენს რატომღა ჩამოართვეს?

კერნი ერთხანს დუმდა. ერთი წლის ემიგრაციაში ყოფნამ მოხელეებთან ყოველი სიტყვის თქმისას სიფრთხილე ასწავლა.

— იგი უმართებულოდ დაასმინეს, როგორც პოლიტიკურად არაძაიმედო, — ბოლოს და ბოლოს ამოღერღა მან.

— ებრაელი ხართ? — ჰკითხა მდივანმა.

— მამა მყავს ებრაელი, დედა არა.

— აჰა!

ობერკომისარმა სიგარეტი იატაკზე დააფერფლა.

— მაშ, რატომ არ დარჩით გერმანიაში?

— პასპორტები ჩამოგვართვეს და გამოგვაძევეს. თუ დავრჩებოდით, დაგვაპატიმრებდნენ. თუ საქმე პატიმრობაზე დადგება, გერმანიას ნებისმიერი ქვეყანა სჯობს.

ობერკომისარმა უგულოდ გაიცინა.

— გასაგებია. უპასპორტოდ საზღვარი როგორ გადმოლახეთ?

— ჩეხეთის საზღვარზე საზღვრისპირა მიმოსვლისთვის [illegible] ბინადრობის ცნობაც კმაროდა. ასეთი ცნობები ჯერ კიდევ გვქონდა. მათი საშუალებით ჩეხოსლოვაკიაში სამი დღით დარჩენა შეიძლებოდა.

— მერე?

— სამი თვით დარჩენის უფლება მოგვცეს. მერე იძულებული ვიყავით წამოვსულიყავით.

— რამდენი ხანია, რაც ავსტრიაში ხართ?

— სამი თვეა.

— რატომ არ გამოცხადდით პოლიციაში?

— იმიტომ რომ მაშინვე გაგვასახლებდნენ.

— დახეთ ერთი! — ობერკომისარმა ხელისგული სავარძლის სახელურს დაჰკრა. — საიდან იცით ასე კარგად ეს ყველაფერი?

კერნმა არ გაამხილა, რომ, როცა მან და მისმა მშობლებმა პირველად გადმოლახეს ავსტრიის საზღვარი, მაშინვე გამოცხადნენ პოლიციაში და ისინი იმ დღესვე გააბრუნეს უკან. მერე ისევ გადმოლახეს საზღვარი და პოლიციაში აღარ მიუკითხავთ.

— იქნებ მართალი არა ვარ? — ჰკითხა მან მდივანს.

— თქვენ აქ შეკითხვის უფლება არა გაქვთ, თქვენი საქმე პასუხის გაცემაა, — უხეშად მოუჭრა მდივანმა.

— სად არიან ახლა თქვენი მშობლები? — ჰკითხა კერნს ობერკომისარმა.

— დედაჩემი უნგრეთშია. იქ ცხოვრების უფლება მიიღო, რადგან წარმოშობით უნგრელია. მამაჩემი დააპატიმრეს და გაასახლეს იმ დროს, როცა მე სასტუმროში არ ვიყავი. არ ვიცი, ახლა სად არის.

— რას საქმიანობთ?

— სტუდენტი ვარ.

— თავს როგორ ირჩენთ?

— ცოტაოდენი ფული კიდევ შემომრჩა.

— რამდენი?

— ახლა თან თორმეტი შილინგი მაქვს, დანარჩენი ნაცნობებს მივაბარე.

კერნს თორმეტი შილინგის მეტი არ გააჩნდა. საპნის, სუნამოს და ტუალეტის წყლის გაყიდვით ჰქონდა ნაშოვნი. მაგრამ ეს რომ ეთქვა, ნებადაურთველი საქმიანობისთვის დასჯა ელოდა.

ობერკომისარი წამოდგა და დაამთქნარა.

— მოვრჩით?

— არა, ერთი კიდევ გველოდება, — მოახსენა მდივანმა.

— ისიც ასეთივე იქნება. ჩიტი ბდღვნად არა ღირსო, — ობერკომისარმა ალმაცერად გადახედა ოფიცერს. — ყველა ისინი არალეგალუ-

რად არიან შემოსული ავსტრიაში. ამ საქმეს კომუნისტური შეთქმულების სუნიც კი არ ასდის. ვისგან მოვიდა დაბეზღება?

— იმისგან, ვისაც ასეთივე ბუნაგი აქვს, უფრო ბალლიანი, — უპასუხა მდივანმა. — ჩანს, კონკურენტის შეშურდა.

ობერკომისარმა გაიცინა. მერე შეამჩნია, რომ კერნი ოთახში იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გაიყვანეთ. თქვენ ალბათ იცით, რაც გელით: ორი კვირა პატიმრობა და ქვეყნიდან გაძევება. — მან კვლავ დაამთქნარა. — აბა ჰე, მე გულიაშსა და ლუდზე წავედი.

კერნი საკანში შეიყვანეს, რომელიც წინაზე პატარა იყო. იქ ხუთი პატიმარი დახვდა, მათ შორის პოლონელიც, რომელსაც მის ოთახში ეძინა. ოხუთმეტიოდე წუთში შტაინერი შემოიყვანეს. ის კერნის გვერდით დაჯდა.

— პირველად ხარ გალიაში, ბიჭუნი?

კერნმა თავი დაუქნია.

— მერე? თავს შკვლელივით გრძნობ?

კერნს ტუჩები მოეღრიცა.

— დაახლოებით. ციხეზე წარმოდგენა ადრეც მქონდა.

— ეს ციხე არაა, — დამოძღვრა შტაინერმა. — დროებითი საკანია. ციხე წინ გველოდება.

— ციხეში მჯდარხართ?

— ჰო. პირველად ადამიანი განიცდის, მერე ეჩვევა. განსაკუთრებით ზამთარში. დროებით მაინც მშვიდად ხარ. ადამიანი უპასპორტოდ იგივეა, რაც მკვდარი შვებულებაში. თავის მოკვლის გარდა სხვა არაფერი დარჩენია.

— პასპორტი რიღას მაქნისია? გინდაც გქონდეს, სულ ერთია, საზღვარგარეთ მაინც არ მოგცემენ მუშაობის უფლებას არსად.

— მართალია, არსად. პასპორტი ერთ უფლებას იძლევა: შიმშილით ფეხები გაჭიმო, გაჭიმო მშვიდად და არა სირბილში. ეს ცოტა როდია.

კერნს თვალი გაუშტერდა.

შტაინერმა მხარზე ხელი დაჰკრა.

— გული არ გაიტეხო, ბალღო! სამაგიეროდ ბედნიერი ხარ, მეოცე საუკუნეში რომ ცხოვრობ — კულტურის, პროგრესის და ჰუმანიზმის საუკუნეში.

— ნეტავ არაფერს გვაჭმევენ? — იკითხა გალეულმა მელოტმა კაცმა, რომელიც კუთხეში ტახტზე იჯდა. — ყავა მაინც მოეტანათ.

— ზარს ხელი დააჭირეთ და ოფიციანტი გამოიძახეთ, — ურჩია შტაინერმა. — მენიუს მოგართმევთ. აქ ოთხნაირი მენიუ აქვთ ამოსარჩევად. დელიკატესი ხიზილალაც აქვთ, რა თქმა უნდა.

— ჭამა აქ ძაან ცუდი, — თქვა პოლონელმა.

— ეჰე, ჩვენი იესო ქრისტეც აქ ბრძანებულა! — შტაინერი პოლონელით დაინტერესდა. — აქ მჯდარხარ?

— ძაან ცუდი, — გაიმეორა პოლონელმა, — თანაც ძაან ცოტა...

— ღმერთო ჩემო! — შეწუხდა მელოტი. — მე კი ჩემოდანში შემწვარი ქათამი მიდევს. როდის გაგვიშვებენ აქედან?

— ორ კვირაში, — აუხსნა შტაინერმა. — ჩვეულებრივ ასეთია უსაბუთო ემიგრანტების სასჯელი. ასე არაა, იესო ქრისტე? შენ ეს უნდა იცოდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ორი კვირა, — დაუდასტურა პოლონელმა, — ან უფრო მეტი. ჭამა ძაან ცოტა. ძაან ცუდი. წყალწყალა წვნიანი.

— ეშმაკმა დალახვროს! ამასობაში ქათამი ამიყროლდება, — ამოიკვნესა მელოტმა. — ეს ჩემი პირველი პულეა ბოლო ორი წლის განმავლობაში. ფულს ვაგროვებდი, გროშს გროშზე ვადებდი. დღეს უნდა მესადილა.

— საღამომდე დარდს დაეხსენით, — ურჩია შტაინერმა. — საღამოს კი ჩათვალეთ, რომ პულე უკვე მირთმეული გაქვთ, და დარდსაც ადვილად მოინელებთ.

— რაო? რას სულელობთ? — აღშფოთებული მელოტი შტაინერს შეაშტერდა. — განა ეს ერთი და იგივეა, თქვე მოლაყბევ? თუკი არ შემიჭამია? აფსუს, დილით ერთი ბარკალი მაინც ამეგლიჯა.

— მაშინ ხვალ შუადღემდე მოითმინეთ.

— მე მაგის გულისთვის არ შევწუხდებოდი, — ჩაერთო პოლონელი. — პულე საერთოდ არ ვჭამ.

— შენ რა გენაღვლება! შემწვარი ქათამი შენ კი არა, მე მიფუჭდება ჩემოდანში, — გაჯავრდა კუთხეში მჯდომი.

— კიდეც რომ მქონდეს, არ მენაღვლება! მე მაგას არ ვჭამო! პულე ვერ ვიტან. მაღებინებს! — თქვა კმაყოფილმა პოლონელმა და წვერზე ხელი ჩამოისვა. — პულე საერთოდ არ მედარდება!

— ღმერთო ჩემო, შენ ვინ რას გეკითხება! — იყვირა გაჯავრებულმა მელოტმა.

— კიდეც ახლა აქ პულე რომ მომიტანო — მე მაგას არ ვჭამო! — საზეიმოდ განაცხადა პოლონელმა.

— ღმერთო შენ დამიფარე! ასეთი რამე გაგიგონიათ! — ჩემოდანში დატოვებული პულეს დამწუხრებულმა პატრონმა თვალებზე ხელები აიფარა.

— შემწვარ პულეს თუ არ მიართმევ, ამით მაგას არაფერი დააკლდება, — ჩაერთო შტაინერი, — ჩვენს იესო ქრისტეს, ეტყობა, იმუნიტეტი აქვს ქათმის მიმართ. ქათამს ისევე უგულებელყოფს, როგორც დიოგენი კომფორტს. ქათმის ბულიონზე რას იტყვი?

— ეგეც არა! — მტკიცედ განუცხადა პოლონელმა.

— პილპილიან ქათამზე?

— ქათამი საერთოდ არა! — მიუგო სახეგაბაღრულმა პოლონელმა.

— გავგიჟდები! — აბღავლდა პულეს გაწამებული პატრონი.

შტაინერი შებრუნდა.

— კვერცხზე რას იტყვი, იესო ქრისტე? ქათმის კვერცხზე?

პოლონელს სახე მოელრუბლა.

— კვერცხუნია? ჰოო, კვერცხუნია ძაან მიყვარს! — მეჩხერ წვერში კაეშნის აჩრდილი გაუკრთა. — ძაან მიყვარს.

— მადლობა ღმერთს! როგორც იქნა ნაპრალს მივაგენით სრულყოფილების კედელში!

— კვერცხუნია ძაან მიყვარს, — დაუმოწმა პოლონელმა. — ოთხ ცალს, ექვს ცალს, თორმეტ ცალს... ექვსს მოხარშულს, დანარჩენი შემწვარს... შემწვარი კარტოფილით. ღორის ქონში შემწვარი კარტოფილით...

— ამის მოსმენა აღარ შემიძლია! ჯვარს აცვით ეგ ღორმუცელა ქრისტე! — გადაირია ჩემოდანში დარჩენილი ქათმის პატრონი.

— ბატონებო, — გაისმა ხავერდოვანი ბანი რუსული აქცენტით, — ასე რატომ ღელავთ რაღაც ილუზიების გამო. ერთი ბოთლი არყის შემოტანა მოვახერხე. გთხოვთ დამეწვიოთ. არაყი ათბობს გულს და ამშვიდებს ნერვებს.

რუსმა ბოთლს საცობი ამოაძრო, მოსვა და შტაინერს მიაწოდა. მანაც ერთი ყლუპი მოსვა და კერნს გადააწოდა. კერნმა თავი გააქნია.

— დალიე, ბალლო, — ურჩია შტაინერმა. — ესეც საჭიროა. უნდა მიეჩვიო.

— არაყი ძაან კარგი! — დაუმოწმა პოლონელმა.

კერნმა ერთი ყლუპი მოსვა და ბოთლი პოლონელს გადასცა, რომელმაც იგი მყისვე ხახაში გადაიპირქვავა.

— გამოცლის ეს კვერცხთ თაყვანისმცემელი! — აბუზღუნდა პაულეს პატრონი და პოლონელს ბოთლი გამოსტაცა. — ბევრი აღარაფერი დარჩა, — უთხრა რუსს, როცა თავისი წილი მოსვა.

რუსმა დაუდევრად აიქნია ხელი.

— არა უშავს. მე ამ საღამოს გამიშვებენ.

— დარწმუნებული ხართ? — ჰკითხა შტაინერმა.

რუსმა თავი მსუბუქად დაუკრა.

— კინაღამ ვთქვი, საშწუხაროდ-მეთქი. როგორც რუსს, მე ნანსენის პასპორტი მაქვს.

— ნანსენის პასპორტი! — მოწიწებით გაიმეორა პაულემ. — მაშასადამე, თქვენ საშობლოს არმქონეთა შორის არისტოკრატებს განეკუთვნებით.

— ძალზე ვწუხვარ, თქვენ რომ ჯერ ამისთვის არ მიგიღწევიათ, — თავაზიანად უპასუხა რუსმა.

— თქვენ უპირატესობა გქონდათ, — ჩაერთო შტაინერი. — თქვენ პირველები იყავით, თქვენ მსოფლიო გითანაგრძნობდათ. ჩვენ თანაგრძნობის მცირე დოზა შეგვხვდა. ჩვენც ვეცოდებით, მაგრამ ზედმეტ, არასასურველ ტვირთად მივაჩნიეართ.

რუსმა მხრები აიჩეჩა. შემდეგ ბოთლი გაუწოდა იმ ერთადერთ პატიმარს, რომელსაც მანამდე ხმა არ ამოელო.

— ინებეთ, გეთაყვა, თქვენც მოსვით.

— გმადლობთ, — იუარა მან, — მე ვინმე თქვენთაგანი არ გახლავართ.

დაპატიმრებულებმა გაკვირვებით შეხედეს.

— მე ვარგისი პასპორტიც მაქვს, საშობლოც და ბინადრობისა და მუშაობის უფლებაც.

ყველა დუმდა.

— მაპატიეთ, შეიძლება რაღაც გკითხოთ? — მცირე ყოყმანის შემდეგ გაუბედა რუსმა, — მაშ, რატომ ზიხართ აქ?

— ჩემი პროფესიის გამოისობით, — ქედმაღლურად უპასუხა მცნობმა. — მე ვიღაც არასაიმედო, უსაბუთო ლტოლვილი რომ ვარ. მე სრული სამოქალაქო უფლებების მქონე პატიოსანი ჯიბგირი და მულერი გახლავარ.

შუადღისას წყალწყალა ლობიოს წვნიანი მოიტანეს, რომელშიც ლობიოს ნასახიც არ იყო, საღამოს ისევ წყალწყალა რაღაც, ოღონდ ამჯერად მას ყავა ერქვა, და კიდევ თითო ნაჭერი პური. შვიდ საათზე საკნის კარი ხმაურით გაიღო. რუსის წინასწარმეტყველება გამართლდა: იგი გაიყვანეს. ის ძველი ნაცნობივით გამოემშვიდობა დაპატიმრებულებს.

— ორი კვირის შემდეგ კაფე „შპერლერში" გამოვიცლი, — დაუბარა შტაინერს. — იმედია, მაგ დროისთვის თქვენც მანდ იქნებით და მაშინ ეგებ რამე მოვიფიქრო თქვენთვის. ნახვამდის.

რვა საათისთვის სრულუფლებიანი მოქალაქე შულერი ამხანაგური ურთიერთობისთვის მომწიფდა. სიგარეტის კოლოფი ამოიღო და საკანში მყოფთ შესთავაზა. ყველამ გააბოლა. მწუხრის მკრთალმა სინათლემ და სიგარეტების ცეცხლმა საკანში თითქმის შინაურული ატმოსფერო შექმნეს. ჯიბგირმა განაცხადა: პოლიცია ახლა იმას არკვევს, ბოლო ექვსი თვის განმავლობაში სადმე დიდი ქურდობა ხომ არ ჩამიდენია, არა მგონია, რამე გამომიჩხრიკონო. მერე დაპატიმრებულებს კარტის თამაში შესთავაზა და ჯიბიდან დახელოვნებული ილუზიონისტივით კარტის დასტა ამოაძვრინა.

ჩამობნელდა, მაგრამ შუქს მაინც არ ანთებდნენ. შულერი ამასაც მომზადებული შეხვდა. ამჯერად მან საიდანღაც სანთელი და ასანთი გააჩინა. სანთელი კედლის შვერილზე მიაწებეს. საკანში მოლიცლიცე მქრქალი შუქი დადგა.

პოლონელი, პულე და შტაინერი შულერთან მივიდნენ.

— ფულზე ხომ არ ვთამაშობთ? — იკითხა პულემ.

— რა თქმა უნდა, არა, — გაეღიმა შულერს.

— შენ არ ითამაშებ? — ჰკითხა შტაინერმა კერნს.

— კარტის თამაში არ ვიცი.

— უნდა ისწავლო, ბალღო. თორემ საღამოობით თავს რითი შეიქცევ.

— ხვალ ვისწავლი. დღეს ხასიათზე ვერა ვარ.

შტაინერი მისკენ შებრუნდა. მქრქალმა შუქმა სახე დაუღარა.

— გაწუხებს რამე?

კერნმა თავი გააქნია.

— არა. ცოტა დავიღალე. იქით, ტახტზე მივწვები.

შულერმა კარტი აურია. მან ელეგანტურად, ტკაცატკუცით შეაცურა ბანქო ერთმანეთში.

— ვინ დაარიგებს? — იკითხა პულემ.

სრულუფლებიანმა მოქალაქემ სათითაოდ ყველას თითო კარტის ალება შესთავაზა. პოლონელს ცხრიანი ერგო, პულეს ქალი, შტაინერსა და შულერს ტუზები. შულერმა სწრაფად შეავლო თვალი შტაინერს.

— გაჭერით.

მან კვლავ ტუზი ამოიღო, გაიღიმა და დასტა შტაინერს გაუწოდა. შტაინერმა დაუდევარი ჟესტით გადააბრუნა დასტის ქვედა კარტი — ისევ ჯვრის ტუზი.

— რა საოცარი დამთხვევაა! — გაიცინა პულემ.

შულერს არ ეცინებოდა.

— საიდან იცით ეს ფანდი? — ჰკითხა შტაინერს გაოცებულმა. — პროფესიონალი ხართ?

— არა, მოყვარული. მით უფრო ორმაგად მახარებს პროფესიონალის აღიარება.

— საქმე ეგ არაა! — თვალებში შეხედა შულერმა. — ეს ფანდი ჩემი მოგონილია.

— რას ამბობთ! — შტაინერმა სიგარეტი ჩააქრო. — ბუდაპეშტში, ციხეში ვისწავლე, გათავისუფლებამდე ცოტა ხნით ადრე, ვინმე კაჩერისგან.

— კაჩერი! ახლა გასაგებია! — ჯიბგირმა შვებით ამოისუნთქა. — აი, თურმე როგორ ყოფილა საქმე! კაჩერი ჩემი მოწაფეა. კარგად აგითვისებიათ.

— დიახ, — მიუგო შტაინერმა, — როცა მუდამ გზაში ხარ, გინდა არ გინდა, ბევრ რამეს ისწავლი.

შულერმა კარტის დასტა მას გადასცა და ყურადღებით შეხედა სანთლის ალს.

— ცუდი განათებაა. თუმცა ჩვენ ხომ მაინც გასართობად ვთამაშობთ. ხომ ასეა, ბატონებო? პატიოსნად...

კერნი ტახტზე წამოწვა და თვალები დახუჭა. გულზე გაურკვეველი ნაღველი აწვა. დილის დაკითხვის შემდეგ განუწყვეტლივ ფიქრობდა მშობლებზე — პირველად კარგა ხნის შემდეგ. თვალწინ დაუდგა ის დღე, როცა მამამისი პოლიციიდან დაბრუნდა. ის კონკურენტმა დაასმინა გესტაპოში ანტისახელმწიფოებრივი ლაყბობისათვის, რათა მისი საპნის, სუნამოს და ტუალეტის წყლის პატარა ფაბრიკა გაენადგურებინა და მერე ჩალის ფასად შეეძინა. ეს გეგმა ისევე წარმატებით განხორციელდა, როგორც სხვა მრავალი მისთანა იმ დროში. კერნის მამა ძალზე მოტეხილი დაბრუნდა. თვე-ნახევრის პატიმრობის შემდეგ. თუ რა გადახდა გესტაპოში, ამაზე სიტყვა არ დაუძრავს. ფაბრიკა სასაცილო ფასად მიჰყიდა თავის კონკურენტს. ამას მოჰყვა ქვეყნიდან გაძევება, აქედან დაიწყო მათი უსასრულო ხეტიალი დრეზდენიდან პრაღაში, პრაღიდან ბრიუნში, იქიდან, ღამით საზღვრის არალეგალურად გადალახვის შემდეგ, ავსტრიაში, საიდანაც მეორე დღესვე პოლიციამ უკან დააბრუნა ჩეხეთში, მერე ორიოდე დღეში კვლავ ღამით ფარულად გადავიდნენ ვენაში. სწორედ მაშინ წაიქცა წკვარამში კერნის დედა და ხელი მოიტეხა. არტაშანად ხის ორი ტოტი დაადეს ბნელში. მერე ვენიდან უნგრეთში გადავიდნენ, ორიოდე კვირით დედის ნათესავებთან დარჩნენ, მაგრამ

მათ კვლავ მიაგნო პოლიციამ, და, სხვა რა გზა ჰქონდათ, დედას გამოემშვიდობნენ, რომელსაც ნათესავებთან დარჩენის უფლება მისცეს, რადგან წარმოშობით უნგრელი იყო. მერე ისევ საზღვარი, ისევ ვენა, დამამცირებელი ხელზე ვაჭრობა საპნით, ტუალეტის წყლით, გამბმელებითა და ფეხსაცმლის ზონრებით, დასმენისა და განდევნის მუდმივი შიში, საღამო, როცა მამა აღარ დაბრუნდა, მარტოობის უსასრულო დღეები, ერთი სამალავიდან მეორეში გადასვლა...

კერნმა გვერდი იცვალა და ვიღაცას მიაწყდა. თვალები გაახილა და სიბნელეში შავ ფუთასავით დაგდებული კაცი შეამჩნია. ეს იყო საკნის ბინადარი ორმოცდაათიოდე წლის კაცი, რომელიც თითქმის მთელი დღე არ განძრეულა.

— მაპატიეთ, — მოუბოდიშა კერნმა, — ვერ შეგამჩნიეთ.

კაცმა ხმა არ გასცა. უაზროდ, ფართოდ გახელილი თვალებით შესცქეროდა. ასეთი სულიერი მდგომარეობა კერნისთვის უცხო არ იყო. ემიგრაციაში აქეთ-იქით ხეტიალისას ხშირად წაწყდომია ასეთ მოვლენას. ამ შემთხვევაში ჯობს ადამიანი არ შეაწუხო.

— დასწყევლოს ეშმაკმა! — მოულოდნელად წამოიძახა პულემ კარტის თამაშის დროს. — რა შტერი ვარ, რა ჩამოყალიბებული შტერი!

— რატომ? — მშვიდად შეეპასუხა შტაინერი. — გულის ქალის ჩამოსვლა შეცდომა არ იყო.

— მაგას არ ვგულისხმობდი! იმ რუსს ხომ შეეძლო ჩემი პულე შემოეგზავნა აქ. ღმერთო, რა გამოთაყვანებული ვარ, რა გამოუსწორებელი რეგვენი!

პულეს ისეთი სახე ჰქონდა, მის დამნახველს ეგონებოდა, ქვეყნიერება დაიღუპაო. უცებ კერნმა იგრძნო, რომ იცინოდა. უნდოდა სიცილი შეეწყვიტა, მაგრამ ამაოდ. თავი ველარ შეიკავა და ახარხარდა. მთელი სხეულით ცახცახებდა. თან ვერ ხვდებოდა, რას აცინებდა. ალბათ რაღაც მიზეზი იყო, რომელშიც დომხალივით არეულიყო კაეშანი, წარსული და ყველა საფიქრალი.

— რა დაგემართა, ბალღო? — გაუკვირდა შტაინერს და კერნს გადმოხედა.

— არ ვიცი. მეცინება.

— სიცილი სასარგებლოა.

შტაინერმა დააძრო ყვავის მეფე და გამარჯვებაში დარწმუნებულ პოლონელს კარტი გაუჭრა.

კერნმა სიგარეტი გააბოლა. მოულოდნელად ყველაფერი გაუადვილდა. გადაწყვიტა, ხვალიდან კარტის თამაშს ვისწავლიო, და რატომღაც ისეთი გრძნობა გაუჩნდა, რომ ეს გადაწყვეტილება მთელ მის მომავალ ცხოვრებას შეცვლიდა.

II

ხუთი დღის შემდეგ შულერი გაუშვეს. მის დასადანაშაულებლად ვერავითარ სამხილს ვერ მიაგნეს. იგი მეგობრულად გამოეშვიდობა შტაინერს, ვის წვრთნასაც მოანდომა საკანში გატარებული დღეები —

საქართველოს პარლამენტის მრავალფეროვანი ბიბლიოთეკა

ის ქვანდები დაახვეწინა, რომლებიც მისი მოწაფისგან — კაჩერისგან ჰქონდა ნასწავლი. გამოთხოვებისას კარტის დასტა დაუტოვა, და შტაინერიც დაუყოვნებლივ შეუდგა კერნის წვრთნას. ასწავლა სკატი, იასი, ტაროკი და პოკერი. სკატი ემიგრანტებთან გამოადგებოდა, იასი შვეიცარიაში, ტაროკი ავსტრიაში და პოკერი [illegible]

თოთხმეტი დღის შემდეგ კერნი ზემოთ აიყვანეს [illegible] ექსპერტორმა ოთახში შეიყვანა, სადაც ხნიერი კაცი იჯდა. კერნს ოთახი ისეთი დიდი და ნათელი მოეჩვენა, რომ უნებურად თვალები დაახამხამა. იგი უკვე ბნელ საკანს იყო მიჩვეული.

— თქვენა ხართ ლუდვიგ კერნი, მოქალაქეობის არმქონე, სტუდენტი, დაბადებული 1914 წლის 30 ნოემბერს დრეზდენში? — გულგრილად ჰკითხა მოხელემ და საქაღალდეში ჩაიხედა.

კერნმა თავი დაუქნია. ლაპარაკი არ შეეძლო, რადგან მოულოდნელად ყელი გაუშრა. მოხელემ გაკვირვებით შეხედა.

— დიახ, — როგორც იქნა, ხრინწიანი ხმით უპასუხა კერნმა.

— თქვენ საბუთების გარეშე, პოლიციაში განუცხადებლად ცხოვრობდით ავსტრიაში... — მოხელემ სწრაფად ჩაიკითხა ოქმი: — თქვენ მოსჯილი გქონდათ თოთხმეტი დღით პატიმრობა, რომლის ვადაც უკვე გაგითავდათ. თქვენ ავსტრიიდან გაგაძევებენ. ყოველი დაბრუნებისათვის სასჯელი დაგემატებათ. აგერ, სასამართლოს გადაწყვეტილება გაძევების თაობაზე. აი აქ ხელი მოაწერეთ, რომ გაცნობილი ხართ სასამართლოს გადაწყვეტილებას და იცით, რომ დაბრუნების შემთხვევაში სასჯელი მოგელით. აქ, მარჯვნივ.

მოხელემ სიგარეტს მოუკიდა. კერნი მონუსხული უყურებდა მის ვენებდაბერილ, დუნე ხელს, რომელშიც ასანთი ეჭირა. ეს კაცი ორიოდე საათში საწერ მაგიდას ჩაკეტავდა და სავახშმოდ წავიდოდა. შემდეგ ალბათ ტაროკს ითამაშებდა და ორიოდე ჭიქა ახალ ღვინოსაც დალევდა, თერთმეტ საათზე დაამთქნარებდა, ფულს გადაიხდიდა და იტყოდა, დავიღალე, შინ მივდივარ დასაძინებლადო. შინ! დასაძინებლად! ამ დროს კი საზღვრისპირა ტყეებსა და მინდვრებზე უკუნი ღამე ჩამოწვება, ირგვლივ სიბნელე, უცხო გარემო, შიში... და ამ წკვარამში ჩაკარგული სიცოცხლის პაწაწინა, მოციმციმე ნაპერწკალი — მარტოდმარტო, ბორძიკით მიმავალი, ქანცგამოლეული ლუდვიგ კერნი, რომელსაც ადამიანები ენატრება და ადამიანების ეშინია. ყოველივე ამის მიზეზი ფარატინა ქაღალდი იყო, რომელსაც პასპორტი ერქვა და მაგიდასთან მჯდომ მოწყენილ მოხელესა და მას ერთმანეთისაგან მიჯნავდა. მათ სისხლის ერთნაირი ტემპერატურა ჰქონდათ, მათი თვალები ერთნაირი აგებულებისა იყო, მათი ნერვები ერთნაირად რეაგირებდნენ გამაღიზიანებელზე, მათი ფიქრები ერთნაირ კალაპოტში მიედინებოდნენ — და მაინც მათ შორის უფსკრული იყო, მათ საერთო არაფერი გააჩნდათ, ერთს რაც სიამოვნებდა, ის მეორეს ტკივილს აყენებდა, ერთი მქონებელი იყო, მეორე — უქონელი, განდევნილი, და უფსკრული, რომელიც მათ ერთმანეთს აშორებდა, ქაღალდის პატარა ფურცელი იყო, რაზეც მხოლოდ გვარ-სახელი და რამდენიმე უმნიშვნელო მონაცემი ეწერა.

— აქ, მარჯვნივ, — უთხრა მოხელემ, — სახელი და გვარი.

კერნი ფიქრებიდან გამოერკვა და ქაღალდს ხელი მოაწერა.

— რომელ საზღვარზე გირჩევნიათ მიგიყვანონ? — ჰკითხა მოხელემ.

— ჩეხეთის.

— კეთილი. ერთ საათში გაგამგზავრებენ. გამყოლი წაგყვებათ.

— იმ სახლში, სადაც ვცხოვრობდი, ნივთები დამრჩა. შეიძლება თან წავიღო?

— რა ნივთებია?

— ჩემოდანი თეთრეულით და სხვა წვრილმანი.

— კეთილი. გამყოლს უთხარით, რომელმაც საზღვრამდე უნდა მიგიყვანოთ. მასთან ერთად გაიარეთ ნივთების წამოსაღებად.

ინსპექტორმა კერნი საკანში დააბრუნა და შტაინერი წაიყვანა.

— რაო, რა გითხრეს? — მოუთმენლად ჰკითხა პულემ.

— ერთ საათში გაგვიშვებენ.

— იისუს ხრისტუს! — თქვა პოლონელმა. — მაშ, ისევ იწყება გაწიმაწია.

— შენ რა, აქ ყოფნა გირჩევნია? — გაუკვირდა პულეს.

— საჭმელი თუ უკეთესი... და კალფაქტორის* ერთი პატარა თანამდებობა... სიამოვნებით.

კერნმა ცხვირსახოცი ამოიღო და კოსტიუმი გულმოდგინედ გაიწმინდა. თოთხმეტ დღეში პერანგი ძალზე გაჭუჭყიანებოდა. მანექტები გაისწორა, ამ ხნის განმავლობაში გადაკეცილი ჰქონდა, უფრთხილდებოდა, არ დამესვაროსო. პოლონელი თვალს ადევნებდა.

— ერთ-ორ წელიწადში მაგისთანა რამეები ყურადღებას აღარ მიაქცევ, — უწინასწარმეტყველა მან.

— საით მიემგზავრები? — ჰკითხა პულემ.

— ჩეხეთში. შენ უნგრეთში?

— შვეიცარიაში. ასე ვამჯობინე. წამო, ერთად წავიდეთ. იქიდან საფრანგეთში გადაგვაგზავნიან.

კერნმა თავი გააქნია.

— არა, პრაღაში უნდა მოვხვდე.

ორიოდე წუთში შტაინერი დააბრუნეს საკანში.

— იცი, რა გვარია ის პოლიციელი, სახეში რომ გამარტყა? — უთხრა კერნს. — ლეოპოლდ შეფერი. ტრაუტენგასეს ოცდაშვიდში ცხოვრობს. ეს ოქმშია ჩაწერილი. ჩაწერილია არა იმიტომ, რომ გამარტყა, არამედ იმიტომ, თითქოს მე მას ვემუქრებოდი. — შტაინერმა კერნს შეხედა. — როგორ გგონია, დამავიწყდება როდესმე მისი გვარი და მისამართი?

— არა, — უპასუხა კერნმა, — ნამდვილად არ დაგავიწყდება.

— მეც ასე ვფიქრობ!

სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილმა პოლიციელმა შტაინერი და კერნი წაიყვანა. კერნი ღელავდა. ქუჩაში რომ გადიოდნენ, უნებუ-

---

*** პატიმარი, რომელიც ციხეში საჭმლის დამტარებლის მოვალეობას ასრულებს.**

რად სადარბაზო კარებში შეჩერდა. სამხრეთის სიო სახეზე მიელამუნა. ცა იყო ლურჯი და ოდნავ დაბინდული, ჩამავალ მზის სხივებს სახლების ფრონტონები მოწითალოდ აელვარებინა, დუნაი ციმციმებდა, ქუჩაში მოსეირნე და შინ მიმავალ ხალხის ნაკადში მზეზე აკიაფებული ავტობუსები მიღოღავდნენ. ნათელ ფერებში გამოწყობილმა ქალებმა სიცილ-კისკისით ჩაიქროლეს მათ წინ. კერნმა გაიფიქრა, ალბათ, მშვენიერება ჯერ არასოდეს მინახავსო.

— აბა, დავიძრათ, — უთხრა მათ პოლიციელმა.

კერნი შეკრთა. დარცხვენილმა ტანისამოსზე დაიხედა. ვიღაც გამველელი მოურიდებლად ათვალიერებდა. ისინი ქუჩაში გავიდნენ. პოლიციელი მათ შუა მიდიოდა. კაფეების წინ მაგიდები და სკამები დაედგათ, ყველგან მხიარულად მოსაუბრე ხალხი იჯდა. კერნმა თავი ჩაღუნა და ნაბიჯს აუჩქარა. შტაინერი ირონიული ღიმილით უყურებდა.

— რაო, ბალღო, ჩვენ არა ვართ ასეთი ცხოვრების ღირსი?

— არა, არა ვართ, — უპასუხა კერნმა და ტუჩები მოკუმა.

ისინი პანსიონში მივიდნენ. პანსიონის დიასახლისი მათ წყენანარევი თანაგრძნობით შეხვდა. შტაინერსა და კერნს დაუყოვნებლივ გამოუტანა თავ-თავიანთი ნივთები. ყველაფერი ხელუხლებლად იყო. საკანში ყოფნისას კერნი ფიქრობდა, აქედან რომ გავალ, პერანგს გამოვიცვლიო, მაგრამ მერე, ქუჩაშივე გადაიფიქრა. ჰოდა, ახლა დანჯღრეული ჩემოდნიდან არაფერი ამოულია, ილლიაში ამოიჩარა და დიასახლისს მადლობა გადაუხადა.

— ვწუხვარ, ასეთი უსიამოვნება რომ შეგხვდათ ჩემ გამო, — უთხრა კერნმა დიასახლისს.

ქალმა ხელი აიქნია.

— ეგ არაფერი. თქვენც კარგად იყავით, ბატონო შტაინერ. ახლა საითკენ მიდიხართ?

შტაინერმა მხრები აიჩეჩა.

— საზღვრის რწყილივით ბუჩქიდან ბუჩქზე გადავალ ხტუნვა-ხტუნვით.

დიასახლისი ცოტა შეყოყმანდა, მერე შუა საუკუნეების ციხესიმაგრის ფორმაზე გამოჩუქურთმებულ კაკლის კარადას მიაშურა.

— გზაზე ხართ დამდგარი. თითო ჭიქით დაილოცეთ...

დიასახლისმა კარადიდან ბოთლი და სამი ჭიქა გამოიღო და სასმელი ჩამოასხა.

— სლივოვიცაა? — ჰკითხა შტაინერმა.

დიასახლისმა თავი დაუქნია და პოლიციელსაც შესთავაზა. პოლიციელმა ულვაშზე ხელი გადაისვა.

— ბოლოს და ბოლოს ჩვენ, პოლიციელები, ხომ ჩვენს მოვალეობას ვასრულებთ, — მოიბოდიშა მან.

— რა თქმა უნდა! — დიასახლისმა შეუვსო ჭიქა. — თქვენ რატომ არ სვამთ? — ჰკითხა კერნს.

— არ შემიძლია... ასე, მშიერ კუჭზე...

— აი, თურმე რა! — დიასახლისი გამომცდელად დააკვირდა. ქალის გაფიქვინებულმა, ცივმა სახემ მოულოდნელად თბილი იერი შეიძი-

ნა. — ღმერთო ჩემო, ჯერ მთლად ბავშვია, — ჩაიბუტბუტა მან. — ფრანცი! — დაიძახა მერე. — ბუტერბროდი მოიტანე!

— გმადლობთ, საჭირო არაა, — კერნი გაწითლდა. — არ მშია.

კელნერმა ქალმა შაშხიანი ბუტერბროდის ორმაგი ულუფა მოიტანა.

— ნუ იბრანჭებით, — უთხრა კერნს დიასახლისმა. — მადლობელი ვერ ეყოფა გერეთ.

— ნახევარი არ გინდათ? — ჰკითხა კერნმა შტაინერს. — ამდენ ვერ მოვერევი.

— ნუ ლაყბობ! ჭამე! — უპასუხა შტაინერმა.

კერნმა ბუტერბროდები შესანსლა და ზედ ერთი ჭიქა სლივოვიცაც დააყოლა. შემდეგ დიასახლისს გამოემშვიდობნენ ტრამვაით ალმოსავლეთის ვაგზლამდე მივიდნენ. მატარებელში კერნი უცბად მოეშვა. ვაგონის რახრახში თვლემა მოეძალა. თითქოს სიზმარივით ჩაიქროლა სახლებმა, ფაბრიკის ეზოებმა, ქუჩებმა, ტრაქტირების ბაღებში დარგულმა მაღალმა კაკლის ხეებმა, ყანებმა, მინდვრებმა და ნაზმა, მოლურჯო დაისმა. სავსე კუჭი ბანგივით მოქმედებდა. აზრი დაეფანტა, ზმანება ეწვია — აყვავებულ წაბლის ხეებში მდგარი თეთრი სახლი, საზეიმო ფრაკებში გამოწყობილი მოხელეების დეპუტაცია, საპატიო მოქალაქის სიგელს რომ სთავაზობდა, და მუნდირიანი დიქტატორი, რომელიც დაჩოქილი იცრემლებოდა და პატიებას სთხოვდა.

თითქმის ბნელოდა, საბაჟოს ჯიხურს რომ მიაღწიეს. პოლიციელმა ისინი საბაჟოს დაცვას გადააბარა, თავად კი უკან გაბრუნდა და იასამნისფერ ბინდში გაუჩინარდა.

— ჯერ ადრეა, — უთხრა მათ საბაჟოს მოხელემ და მანქანების რეგისტრაცია განაგრძო, რომლებიც საზღვარზე გადადიოდნენ, — ჯობს ათის ნახევრამდე დაიცადოთ.

კერნი და შტაინერი სკამზე დასხდნენ და საბაჟოს წინ გამავალ მანქანებს დაუწყეს ყურება. მერე მეორე მოხელეც გამოჩნდა. მან ისინი ბილიკით წაიყვანა, რომელიც საბაჟოდან მარჯვნივ უხვევდა. მინდორი გადაიარეს, სადაც ნესტისა და მიწის მძაფრი სუნი იდგა, ჩაუარეს ფანჯრებგანათებულ ორიოდე სახლს და ოლეს. მალე მოხელე შეჩერდა.

— აქეთ წადით. მარცხენა მხარე გეჭიროთ, ბუჩქებით იქნებით დაფარული, სანამ მდინარე მარშს მიადგებოდეთ. წყალი ახლა ღრმა არ იქნება და მდინარეზე ადვილად გადახვალთ.

კერნი და შტაინერი გზას გაუდგნენ. წყნარი ღამე იდგა. ცოტა რომ გაიარეს, კერნმა უკან მოიხედა. ჰორიზონტზე მოხელის შავი სილუეტი ასვეტილიყო. მათ უთვალთვალებდა. ლტოლვილებმა გზა განაგრძეს.

მარშის ნაპირზე ტანთ გაიხადეს და ტანსაცმელი ფუთად შეკრეს. მდინარის მდორე წყალზე მოყავისფრო-ვერცხლისფერი ანარეკლი ციმციმებდა. ღრუბლებშორის, აქა-იქ ვარსკვლავები კიაფობდნენ ცაზე და დროდადრო მთვარეც გამოანათებდა ხოლმე.

— მე წინ წავალ, — უთხრა შტაინერმა კერნს. — უფრო მაღალი ვარ.

მდინარეში შევიდნენ. კერნი გრძნობდა, როგორ მოიწევდა სულ მაღლა მდინარის ცივი, იდუმალი წყალი, თითქოს სამუდამოდ თავისთან დატოვებას უპირებდა. მის წინ ფსკერის სინჯვა-სინჯვით ფრთხილად მიდიოდა შტაინერი. თავს ზემოთ ტანსაცმელი და ზურგჩანთა ეჭირა. განიერი მხრები მთვარის შუქზე თეთრად უქალთ[illegible]. შტაინერი მდინარის შუაგულში შეჩერდა და უკან მოიხედა. [illegible] მიჰყვებოდა. შტაინერმა გამამხნევებლად გაუღიმა და თავი დაუქნია.

ისინი მოპირდაპირე ნაპირზე აბობღდნენ და ტანი საჩქაროდ შეიმშრალეს პირსახოცებით. ჩაიცვეს და გზას გაუდგნენ. ცოტა რომ გაიარეს, შტაინერი შეჩერდა.

— საზღვარი უკვე გადავლახეთ, — უთხრა მან კერნს. მთვარის შუქზე მის თვალებს ფერი დაჰკარგოდა და შუშასავით უბრწყინავდა. კერნს შეხედა. — ვითომ აქ სხვა ხეები იზრდება? ვითომ აქ ქარი სხვანაირად უბერავს? ვითომ აქ სხვა ვარსკვლავები ანათებენ? ვითომ აქ ადამიანი სხვანაირად კვდება?

—მართალი ხარ, — უპასუხა კერნმა, — მაგრამ მაინც თავს როგორღაც სხვანაირად ვგრძნობ.

უცხო თვალს რომ მორიდებოდნენ, თავი ბებერ წიფელს შეაფარეს. მათ წინ ოდნავ დამრეცი ფერდობი იწყებოდა. შორს სლოვაკური სოფლის სინათლეები მოჩანდა. შტაინერმა ზურგჩანთა გახსნა და სიგარეტი ამოიღო. ამ დროს კერნის ჩემოდანს მოჰკრა თვალი.

— ჩემი გამოცდილებით ზურგჩანთა უფრო მოხერხებულია ჩემოდანთან შედარებით. თვალში არავის მოხვდება. ყველა შემხვდურს უვნებელი ტურისტი ეგონები.

— საბუთებს ტურისტებსაც უმოწმებენ, — გამოეპასუხა კერნი. — ყველას ამოწმებენ, ვისაც ღარიბულად აცვია. კარგია მანქანით ვიყო, მაგრამ სად არის.

სიგარეტი გააბოლეს.

— ერთ საათში უკან დაბრუნებას ვაპირებ, — თქვა შტაინერმა. — შენ რას იზამ?

— შევეცდები პრაღაში მოვხვდე. იქ ნორმალური პოლიციაა. ორიოდე დღით დარჩენის ნებართვის მიღება არ გამიჭირდება. შემდეგ კი ვნახოთ. ეგებ მამაჩემი ვიპოვო და ის დამეხმაროს. როგორც გავიგე, იქ უნდა იყოს.

— მისი მისამართი იცი?

— არა.

— ფული რამდენი გაქვს?

— თორმეტი შილინგი.

შტაინერმა პიჯაკის ჯიბე მოიქექა.

— აჰა, ესეც დაუმატე. პრაღამდე როგორმე გეყოფა.

კერნი შეყოყმანდა.

— ნუ გეშინია, — უთხრა შტაინერმა. — ჩემთვისაც საკმაოდ დავიტოვე.

მან ბანკნოტები დაანახა კერნს. კერნმა სიბნელეში ვერ გაარჩია, რამდენი იყო. მცირე ყოყმანის შემდეგ შეთავაზებული ფული აიღო.

— გმადლობ, — უთხრა შტაინერს.

შტაინერმა ხმა არ გასცა. აბოლებდა. მოქაჩვისას სიგარეტის ცეცხლი ღვიოდა და ჩამუქებულ სახეს უნათებდა.

— ერთი მითხარი, შენ რატომღა დაეხეტები მიუსაფრად? — გაუბედავად ჰკითხა კერნმა. — შენ ხომ ებრაელი არ ხარ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

შტაინერი ერთხანს დუმდა.

— არა, ებრაელი არ ვარ, — უპასუხა ბოლოს.

ბუჩქებში რაღაც გაშლიგინდა. კერნი წამოხტა.

— კურდღელი ან ბოცვერი იქნებოდა, — დაამშვიდა შტაინერმა. შემდეგ მისკენ შებრუნდა. — როცა სასოწარკვეთილება შეგიპყრობს, გაიხსენე ხოლმე, რომ შენ საზღვარგარეთ ხარ, მამაშენიც საზღვარგარეთ არის, დედაშენიც. მეც საზღვარგარეთ ვარ, ჩემი ცოლი კი გერმანიაშია, და მე მის შესახებ არაფერი ვიცი.

მათ უკან კვლავ რაღაც გაშლიგინდა. შტაინერმა სიგარეტი ჩააქრო და წიფელს მიეყრდნო. ქარმა დაუბერა. ჰორიზონტზე მთვარე დაეკიდა. ის ისეთივე ცარცისფერი და შეუბრალებელი იყო, როგორც იმ უკანასკნელ ღამეს...

საკონცენტრაციო ბანაკიდან გაქცევის შემდეგ შტაინერი ერთი კვირა მეგობართან აფარებდა თავს. ჩაკეტილ სხვენში იმალებოდა. მუდამ მზად იყო სახურავიდან გაქცეულიყო, თუ ქვემოდან საეჭვო ხმაური შემოესმებოდა. მეგობარს მისთვის ღამით მოჰქონდა პური, კონსერვი და ორი ბოთლი წყალი. ყოველ მეორე ღამეს ორიოდე წიგნსაც მოუტანდა ხოლმე. შტაინერი მთელი დღე წიგნს კითხულობდა, რათა არ ეფიქრა. შუქს არ ანთებდა, არც ეწეოდა. ტუალეტის მაგივრობას ღამის ქოთანი უწევდა, რომელსაც მუყაოს ყუთში მალავდა. მეგობარს ქოთანი ღამით ჩაჰქონდა ქვევით და დაცლილს უკან უბრუნებდა. სიფრთხილის გამო ერთმანეთს ჩურჩულითაც კი არ ელაპარაკებოდნენ. გვერდით ოთახში მოსამსახურე ქალებს ეძინათ, ჰოდა, შიშობდნენ, ვაითუ გაიგონონ და დაგვასმინონო.

— მარიმ იცის? — ჰკითხა შტაინერმა პირველ ღამეს.

— არა. მის სახლს უთვალთვალებენ.

— რამე ხომ არ დამართნია?

მეგობარმა თავი გააქნია და წავიდა.

შტაინერი ყოველ ღამე ეკითხებოდა ამას, ბოლოს, მეოთხე ღამეს, მეგობარმა ახარა, მარი ვნახე და გადავეცი, რომ შენ ჩემთან ხარ, ხვალ შეიძლება ისევ ვნახო საკვირაო ბაზრობის ორომტრიალშიო. შტაინერი მთელი დღე წერილს წერდა, რომელიც მეგობარს ფარულად უნდა გადაეცა მარისთვის. საღამოს წერილი დახია. შტაინერმა არ იცოდა, უთვალთვალებდნენ თუ არა მის ცოლს. ამიტომ ღამით მეგობარი გააფრთხილა, მარის აღარ შეხვედროდა. ის კიდევ ოთხი ღამე დარჩა სხვენზე. ბოლოს მეგობარმა ფული, ბილეთი და ტანსაცმელი მოუტანა. შტაინერმა თმა შეიკრიჭა და წყალბადის ზეჟანგით გამოიხუნა. ულვაში მოიპარსა. შუადღისას სახლი დატოვა. მონტიორის კურტაკი ეცვა და ხელში ხელსაწყო-იარაღების ჩანთა ეჭირა. აპირებდა, დაუყონებლივ გასცლოდა ქალაქს. მაგრამ ნერვებმა უმტყუნა. ორი წელი იყო ცოლი არ

ენახა. შტაინერი ბაზრობაზე წავიდა. ერთი საათის შემდეგ ცოლს მოჰკრა თვალი. შტაინერი აკანკალდა. ქალმა გვერდით ჩაუარა, მაგრამ ვერ შეამჩნია. შტაინერი აედევნა და, როცა უკნიდან წამოეწია, უთხრა:

— არ მოიხედო! ეს მე ვარ! იარე! იარე!

ქალმა მხრები აიწურა და თავი ოდნავ მოატრიალა. მერე გზა განაგრძო. მთელი მისი არსება სმენად იქცა.

— რამე ხომ არ დაგიშავეს? — ჰკითხა ხმამ ზურგსუკან.

ქალმა თავი გააქნია.

— გითვალთვალებენ?

ქალმა თავის დაქნევით დაუდასტურა.

— ახლაც?

ქალი შეყოვნდა, მერე თავი გააქნია.

— მე დაუყოვნებლივ უნდა გავცილდე აქაურობას. შევეცდები საზღვარზე გადავიდე. წერილს ვერ მოგწერ. ეს შენთვის ძალზე სახიფათოა.

ქალმა თავი დაუქნია.

— განქორწინების განცხადება უნდა შეიტანო.

ქალი წამით შედგა, მერე გზა განაგრძო.

— განქორწინების განცხადება უნდა შეიტანო. ხვალვე მიმართე სასამართლოს. ასე თქვი, რომ ჩემი პოლიტიკური მრწამსის გამო გინდა გამეყარო, რომ მანამდე ამის შესახებ არაფერი იცოდი. ხომ გესმის?

ქალს თავი არ გაუნძრევია. გაშეშებული მიდიოდა.

— გამიგონე, — ჩურჩულებდა შტაინერი, — ეს მხოლოდ იმისთვისაა საჭირო, რომ საფრთხეს გადაურჩე. შენ რომ რამე დაგემართოს, ჭკუაზე შევიშლები! გამეყარე და ხელს აღარ გახლებენ!

ქალი არ პასუხობდა.

— მიყვარხარ, მარი, — კბილებშუა წყნარად გამოსცრა შტაინერმა, რომელიც ნერვიულობის გამო უნებურად თვალებს ახამხამებდა. — მიყვარხარ, მარი! არ წავალ, ვიდრე ამ თხოვნის შესრულებას არ დამპირდები! უკან დავბრუნდები, თუ არ დამპირდები! გესმის?

შტაინერს მოეჩვენა, რომ დრო უსასრულოდ გაიჭიმა, ვიდრე ქალი თანხმობის ნიშნად თავს დაუქნევდა.

— მაშ, მპირდები?

ქალმა ნელა დაუქნია თავი და მხრები უსუსურად ჩამოყარა.

— ახლა მე მარჯვენა შესახვევში შევუხვევ. შენ მარცხნივ შეუხვიე და ჩემს შესახვედრად წამოდი. არაფერი თქვა, არაფერი გააკეთო! მინდა, ერთხელ კიდევ შეგხედო. მერე მე წავალ. თუ ჩემს შესახებ ვერაფერს შეიტყობ, ესე იგი, გადავრჩენილვარ.

ქალმა თავი დაუქნია და ნაბიჯს აუჩქარა.

შტაინერმა მოუხვია და მარჯვენა შესახვევს გაუყვა. შესახვევში ჩარიგებული საყასბოების დახლებთან კალათიანი ქალები ყასბებს ევაჭრებოდნენ. სისხლისფერ ხორცში ქონი თეთრად ქათქათებდა. იქაურობა აუტანლად ყარდა. ყასბები ყაყანებდნენ... უცებ ყველაფერი გაქრა. ჩახაჩუხი, რომელიც ცულებს კუნძებზე გაუდიოდათ, ცელების წყნარ შარი-

შურად გადაიქცა. გამოჩნდა მინდორი, პურის ყანა, თავისუფლება, არყის ხეები, ქარი, საყვარელი სიარული და საყვარელი სახე. ქალს ოდნავ მოეშუტა თვალები და დაძაბულად იყურებოდა. ამ თვალებში ყველაფერი იყო: ტკივილი და ბედნიერება, სიყვარული და განშორება, ბევრ თავებს მალლა კი ლივლივებდა ცხოვრება, ისეთი ტკბილი, ისეთი ფერადური და ისეთი სისხლსავსე! და ასეთ ცხოვრებაზე უარი უნდა თქვა, გამალებით ტრიალებდა ათასობით ელვარე დანა...

ისინი მიდიოდნენ და იმავდროულად თითქოს ადგილზე იდგნენ. მიდიოდნენ და არ იცოდნენ, რომ მიდიოდნენ. მერე შტაინერს თვალში ეცა უცნაური სიცარიელე და მხოლოდ რაღაც დროის შემდეგ დაუბრუნდა უნარი, გაერჩია ფერები და უაზროდ მბრუნავი კალეიდოსკოპი, რომელსაც მისი გონება ვერ აღიქვამდა.

შტაინერმა ბორძიკით განაგრძო გზა, მერე ნაბიჯს აუჩქარა, ოღონდ ცდილობდა ყურადღება არ მიეპყრო. მუშამბაგადაფარებულ მაგიდასთან გავლისას დაკლულ ღორს წამოედო. ყასბის გინება შტაინერს ღოლის ბრაგუნივით ჩაესმა ყურში. ხორცის რიგი ჩაიარა, მოუხვია და შეჩერდა.

შტაინერმა დაინახა, როგორ გამოვიდა მარი ბაზრიდან, აუჩქარებლად მივიდა ქუჩის კუთხემდე და შემობრუნდა. კარგა ხანს იდგა უკან თავგადაწეული და ფართოდ თვალგახელილი. ქარი კაბას უფრიალებდა და ტანზე ატმასნიდა. შტაინერმა არ იცოდა, ხედავდა თუ არა ქალი მას. ვერ ბედავდა, რამეთი ენიშნებინა, ეშინოდა, ვაითუ მარიმ თავი ვერ შეიკავოს და ჩემკენ გამოიქცესო. მერე ქალმა ხელები ნელ-ნელა ასწია, გეგონება, მისკენ უნდა გაიწვდინოსო, და მკერდზე დაიწყო. თითქოს მარი მისკენ მიისწრაფოდა, რათა მტკივნეულ წარმოსახვაში მაინც ჩაკონებოდა მონატრებულ ქმარს, თვალდახუჭული და ბაგეათრთოლებული. შემდეგ ქალი ნელა შეტრიალდა და ქუჩის ბნელ გვირაბში ჩაინთქა.

სამი დღის შემდეგ შტაინერი საზღვარზე გადავიდა. ღამე იყო ნათელი და ქარიანი, ცაში ცარცივით თეთრი მთვარე მიცურავდა. შტაინერი ძლიერი ნებისყოფის კაცი იყო, მაგრამ როცა ცივ ოფლში გაწუწულმა საზღვარი გადალახა, პირი იქით იბრუნა, საიდანაც მოდიოდა და ცოლის სახელი წარმოთქვა.

შტაინერმა კოლოფიდან სიგარეტი ამოიღო. კერნმა სანთებელა მიაწოდა.

— რამდენი წლისა ხარ? — ჰკითხა შტაინერმა.

— ოცდაერთის. მალე ოცდაორის გავხდები.

— მაშ, მალე ოცდაორისა, ხომ? ეს უკვე სახუმარო არაა. შენ რას იტყვი, ბალღო?

კერნმა დასტურად თავი დაუქნია.

შტაინერი ჩაფიქრდა, მერე უთხრა:

— ოცდაერთი წლისა მე უკვე ფრონტზე ვიყავი, ფლანდრიაში. არც ეს იყო სახუმარო. ჩვენი ახლანდელი მდგომარეობა ასჯერ უკეთესია. გესმის?

— დიახ, — კერნი მისკენ შეტრიალდა. — რა თქმა უნდა, ჯობს ამ დღეში იყო, ვიდრე მკვდარი. ეს ყველაფერი კარგად მესმის.

— მაშ, უკვე ბევრი რამ გცოდნია. ომამდე ეს ცოტას თუ ესმოდა.

— ომამდე... მას შემდეგ ხომ ასი წელი გავიდა.

— ათასი წელი... ოცდაორი წლისა ლაზარეთში ვიწექი. იქაც ზოგი რამ ვისწავლე. გინდა მოგიყვე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დიახ.

— კეთილი. — შტაინერმა სიგარეტი მოქაჩა. — განსაკუთრებული არაფერი მჭირდა. კუნთში გამჭოლი ჭრილობა მქონდა. ტკივილი არ მაწუხებდა. მაგრამ ჩემ გვერდით მეგობარი იწვა. ვილაც კი არა, ჩემი მეგობარი. ჭურვის ნამსხვრევით მუცელში იყო დაჭრილი. იწვა და ყვიროდა. მორფს არ აძლევდნენ, გესმის? ოფიცრებისთვისაც კი არ ჰყოფნიდათ. მეორე დღეს ისე დასუსტდა, ძლივსღა კვნესოდა. მეხვეწებოდა, ბოლო მომიღეო. თხოვნას შევუსრულებდი, რომ მცოდნოდა, როგორ. მესამე დღეს პირველად მოგვიტანეს ცერცვის წვნიანი, მშვიდობიანობის დროს რომ ამზადებენ ისეთი—მსუყე, გემრიელი. მანამდე ჭურჭლის ნარეცხის მაგვარი სითხე მოჰქონდათ. ჩვენც იმას ვჭამდით. იმ დროს, როცა გამგელებული, სიამოვნებით გაბრუებული ვთქვლეფდი წვნიანს, ჯამის კიდედან გადმოვიხედე და ჩემი მეგობრის სახე, მისი სიმწრით დაკბენილი, ფართოდ გახსნილი ბაგეები დავინახე. ვხედავდი, რა ტანჯვით კვდებოდა, და მართლაც ორიოდე საათში გარდაიცვალა, მე კი ვჭამდი და თანაც ისე მადიანად, როგორც არასოდეს მიჭამია ჩემს სიცოცხლეში.

შტაინერმა შეისვენა.

— მერე რა, თქვენ ხომ ძლიერ გშიოდათ, — უთხრა კერნმა.

— არა, მაგიტომ არა. აქ სხვა რამეა. შენ გვერდით ვილაც კვდება, შენ კი არაფერს გრძნობ. კეთილი, ვთქვათ, რომ თანაუგრძნობ, მაგრამ ტკივილს მაინც არ განიცდი! ჯანსაღი კუჭი თავისას ითხოვს — საქმე ესაა. შენგან ორიოდე ნაბიჯზე ადამიანი ტანჯვა-წამებით მიდის ამ ქვეყნიდან, შენ კი არაფერს გრძნობ. ესაა უბედურება! გახსოვდეს ეს, ბალლო! ამიტომ მიდის წინ ქვეყნიერება ასე ნელა და ასე სწრაფად მიექანება უკან. ასე არაა?

— არა, — უპასუხა კერნმა.

შტაინერმა ჩაიცინა.

— გასაგებია. ოღონდ ხანდახან მაინც იფიქრე ამაზე. ეგებ რამეში გამოგადგეს. — იგი წამოდგა. — დროა, უკან მივდივარ. მებაჟეს ფიქრადაც არ მოუვა, ასე მალე თუ დავბრუნდები. ის პირველი ნახევარი საათი ყურადღებით იდგომება სადარაჯოზე. ხვალ დილითაც ფხიზლად იქნება. ასეთია მებაჟის ფსიქოლოგია. მადლობა ღმერთს, უმეტეს შემთხვევაში, როცა ცოტა გამოცდილებას შეიძენს, დევნილი ჭკუით სჯობნის მდევარს. იცი რატომ?

— არა.

— იმიტომ რომ დევნილი უფრო მეტს რისკავს. — მან კერნს ბეჭებზე დაჰკრა ხელი. — ამიტომ არიან ებრაელები ყველაზე მოხერხებულები სხვა ხალხთა შორის. დაიხსომე ცხოვრების პირველი კანონი: საშიშროება ამახვილებს მგრძნობელობას.

შტაინერმა კერნს ხელი გაუწოდა. დიდი, თბილი, მშრალი ხელი ჰქონდა.

— კარგად იყავი. იქნებ კიდევ შევხვდეთ ერთმანეთს. საღამოობით კაფე „შპერლერში" ვიქნები ხოლმე. იქ მიკითხე.

კერნმა თავი დაუქნია.

— მაშ ასე, კარგად იყავი. კარტის თამაში არ დაგავიწყდეს. ეს გასართობია, ფიქრისთვის დრო აღარ გექნება. უსახლკარო ადამიანის უმთავრესი მიზანიც ხომ ესაა. იასსა და ტაროკს კარგად თამაშობ, პოკერში კი მეტი უნდა გარისკო, გაბედულად იბლეფო.

— კარგი, — დაეთანხმა კერნი. — გაბედულად ვიბლეფებ. შენი მადლობელი ვარ ყველაფრისთვის.

— მადლიერების გრძნობა უნდა დაივიწყო. თუმცა არა, ნუ დაივიწყებ. ცხოვრებას გაგიიოლებს. არა, ადამიანებთან ურთიერთობას კი არა — მათთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, მადლიერი იქნები თუ არა, თავად შენ გაგიიოლდება რაღაც. როცა მადლიერებას გრძნობ, გული გითბება. და ერთი რამ გახსოვდეს: ომს ყველაფერი სჯობს! მშვიდობით, ბალღო!

— მშვიდობით, შტაინერ!

კერნი ერთხანს იჯდა. ცა გადაიწმინდა, გარშემო სიმშვიდემ დაისადგურა. ადამიანის ჭაჭანება არსად იყო.

კერნი წიფლის ძირში იჯდა მდუმარედ. ნათელი, გამჭვირვალე მწვანე ფოთლების ვარჯი ვეებერთელა იალქანივით გადმომხობოდა თავზე, თითქოს ქარი დედამიწას ნაზად მიაცურებდა უსასრულო, ლურჯ კოსმოსში შუქურებივით მიმოფანტულ ვარსკვლავებსა და მთვარის მანათობელ დისკოს შორის.

კერნმა გადაწყვიტა, ღამით პრესბურგამდე მისულიყო და იქიდან გამგზავრებულიყო პრაღაში. უსაფრთხოების თვალსაზრისით ქალაქში ყოფნა სჯობდა. ჩემოდანი გახსნა და სუფთა პერანგი და წინდები ამოიღო. ტანსაცმელი უნდა გამოეცვალა. იმ შემთხვევაში, თუ გზად ვინმე შემოხვდებოდა, ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. თანაც ციხის სუნის მოცილება უნდოდა.

მთვარის შუქზე სევდა მოეძალა. თავი მიტოვებული ბავშვივით იგრძნო. მერე ბალახზე გაფენილ პერანგს დასწვდა და სწრაფად გადაიცვა თავზე. პერანგი ლურჯი ფერისა იყო, რასაც პრაქტიკული გამართლება ჰქონდა, ჭუჭყი ნაკლებად დაეტყობოდა. მთვარის სინათლეზე პერანგს მონაცრისფრო-იისფერი მიეცა. კერნმა გადაწყვიტა, იმედი არ დაეკარგა.

III

კერნი პრაღაში ნაშუადღევს ჩავიდა. ჩემოდანი ვაგზალზე შემნახველ საკანში დატოვა და მაშინვე პოლიციის განყოფილებისკენ გაემართა. არა, ის პოლიციაში გამოცხადებას არ აპირებდა, უბრალოდ, უნდოდა მშვიდ გარემოში მოეფიქრა, შემდგომ როგორ მოქცეულიყო.

საამისოდ კი პოლიციის შენობა ზედგამოჭრილი იყო. იქ პოლიციელები ჩხრეკას არ აწარმოებდნენ და საბუთებს არ ამოწმებდნენ.

კერნი დერეფანში სკამზე დაჯდა. მის პირდაპირ ერთ-ერთ განყოფილებაში უცხოელების საბუთების გაფორმება ხდებოდა.

— თხაწვერა მოხელე კვლავ იმ ოთახში ზის? — ჰკითხა კერნმა მის მეზობლად მჯდომ კაცს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ვერ გეტყვით. ვისაც მე ვიცნობ, წვერი არა აქვს.

— ჰოო! ეტყობა, შეუცვლიათ. ნეტავ, ახლები როგორები არიან?

— არა უშავთ რა, — უპასუხა უცნობმა. — ორიოდე დღით ცხოვრების ნებართვას იძლევიან, ოღონდ მეტზე რა მოგახსენოთ. მსურველების მოზღვავებაა.

კერნი ჩაფიქრდა. თუ რამდენიმე დღით ცხოვრების ნებართვა ექნებოდა, ლტოლვილთა შემწეობის კომიტეტში დაახლოებით ერთი კვირით კვებისა და ღამის გასათევ ტალონებს მისცემდნენ. ეს წარსული გამოცდილებით იცოდა. თუ ცხოვრების ნებართვაზე უარს ეტყოდნენ, მაშინ დაპატიმრება და უკან, საზღვარზე გადაგზავნა ემუქრებოდა.

— თქვენი რიგია, — უთხრა მეზობელმა.

კერნმა შეხედა.

— იქნებ გნებავთ პირველი შეხვიდეთ? მე არ მეჩქარება.

— კეთილი.

უცნობი წამოდგა და ოთახში შევიდა. კერნმა დარჩენა და დალოდება გადაწყვიტა, რათა გაეგო, როგორ იყო საქმე, რომ მერე შესაბამისად ემოქმედა, ან შესულიყო ან არა. იგი მოუსვენრად დაწრიალებდა დერეფანში. როგორც კი უცნობი ოთახიდან გამოვიდა, კერნმა მას მიაშურა.

— რა ქენით? — ჰკითხა უცნობს.

— ათი დღე! — უპასუხა სახეგაბრწყინებულმა უცნობმა. — რა ბედნიერი ვარ! თანაც არაფერი უკითხავს. ეტყობა, კარგ გუნებაზეა. ან იქნებ იმიტომ, რომ დღეს მთხოვნელი ბევრი არაა. წინა მოსვლაზე მხოლოდ ხუთი დღე მომცეს.

კერნი გამოცოცხლდა.

— თუ ეგრეა, მეც ვცდი ბედს.

მოხელეს წვერი არ აღმოაჩნდა. და მაინც კერნს იგი ეცნაურა. ის იყო, ვისაც კერნი იცნობდა, ოღონდ უწვეროდ. მოხელე ხელში ლამაზ ჯაყვა-დანას ათამაშებდა. დანას სადაფის ტარი ჰქონდა. მოხელემ დაღლილი სახე მიაპყრო კერნს.

— ემიგრანტი ხართ?

— დიახ.

— გერმანიიდან ჩამოხვედით?

— დიახ. დღეს.

— რამე საბუთი გაქვთ?

— არა.

მოხელემ თავი დააქნია. დანა დაკეცა და ფრჩხილის ქლიბი გაშალა. კერნმა შეამჩნია, სადაფის ტარში საცობის საძრობიც იყო. მოხელე გულდასმით შეუდგა ცერა თითის ფრჩხილის ქლიბვას.

კერნი ელოდა. ეგონა, მის წინ მჯდომი დაღლილი კაცის ფრჩხილზე უფრო მნიშვნელოვანი ქვეყანაზე არა იყო რა. სუნთქვასაც ვერ ბედავდა, ვაითუ ხელი შეეშალოს და გამიჯავრდესო. ოღონდ ეგ იყო, ზურგს უკან დამალულ ხელებს რაც ძალი და ღონე ჰქონდა ერთმანეთს უჭერდა.

როგორც იქნა, მოხელემ ფრჩხილები დაიქლიბა, კმაყოფილებით შეათვალიერა და კერნს ამოხედა.

— ათი დღე, — უთხრა მან. — ათი დღე შეგიძლიათ აქ დარჩენა. შემდეგ აქედან უნდა გაემგზავროთ.

კერნი ერთბაშად მოეშვა. ეგონა, ახლა ძირს გავადენო ზღართანს. საბედნიეროდ ერთი ღრმად ამოისუნთქა და სწრაფად მოეგო გონს. იცოდა, ბედნიერი შემთხვევის ხელიდან გაშვება არ ეგებოდა.

— თქვენი დიდად მადლიერი დავრჩები, ორ კვირას თუ მომცემთ, — უთხრა მოხელეს.

— არ შეიძლება. მაინც რატომ?

— საბუთების გადმოგზავნას ველოდები. ამისთვის გთხოვთ. შემდეგ ავსტრიაში წასვლას ვაპირებ.

კერნს შეეშინდა, ბოლო მომენტში ყველაფერი არ გავაფუჭოო. მაგრამ ახლა გვიან იყო უკან დახევა. იგი წარბშეუხრელად, უყოყმანოდ ცრუობდა. სიმართლის თქმა უფრო სასიამოვნო იყო, მაგრამ იცოდა, უნდა ეცრუა. მოხელე ხვდებოდა, რომ იგი ცრუობდა, მაგრამ იძულებული იყო დაეჯერა, რადგან შემოწმება არ შეეძლო. ასე რომ, ორივეს თითქმის სჯეროდა — სიმართლეს ვამბობო.

მოხელემ ქლიბიანი ჯაყვა დაკეცა.

— კარგი, — თქვა მან, — გამონაკლისის სახით ორ კვირას მოგცემთ. ოღონდ მერე არავითარი ვადის გაგრძელება.

მოხელემ ფურცელი დაიდო და წერას შეუდგა. კერნი ისეთი მონიწებით შესცქეროდა, თითქოს მის წინ მთავარანგელოზი მჯდარიყო. ბოლომდე ვერ იჯერებდა, თუ საქმე ასე კარგად აეწყობოდა. ბოლო წამამდე ეშინოდა, მოხელე კარტოთეკაში ჩაიხედავდა და დაადგენდა, რომ კერნი უკვე ორჯერ იყო ნამყოფი პრაღაში. ამიტომ სიფრთხილის გულისთვის ყალბი მონაცემები ჩააწერინა მოხელეს — მოგონილი სახელი, დაბადების თარიღი და დაბადების ადგილი, რათა ჩავარდნის შემთხვევაში ემტკიცებინა, მაშინ აქ მე კი არა, ჩემი ძმა იყოო.

მაგრამ მოხელე ისე დაქანცული იყო, რაიმეს შემოწმების ხალისი არ გააჩნდა. მან კერნს საბუთი გაუწოდა.

— აი, აიღეთ. გარეთ კიდევ ვინმე მელოდება?

— არა, არა მგონია. ყოველ შემთხვევაში, მე რომ შემოვდიოდი, არავინ ყოფილა.

— კეთილი.

მოხელემ ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და ჯაყვა სათუთად გაწმინდა. არც შეუმჩნევია, როგორ გადაუხადა მადლობა კერნმა, რომელიც ისე სწრაფად გავიდა ოთახიდან, თითქოს ეშინოდა, საბუთი არ წამართვანო.

კერნი პოლიციის კარებში შეჩერდა და მიმოიხედა. ღმერთო, გაიფიქრა გულათრთოლებულმა, ღმერთო! მგონი, გადავრჩი! ორი კვირა,

სრული თოთხმეტი დღე და თოთხმეტი ღამე, არაფრის შიში არ მექნება! ეს ხომ მარადისობაა! ღმერთო, შენ დალოცე სადაფისტარიანი ჯაყვის პატრონი! კიდევ აპოვნინე ჯაყვა საათითა და ოქროს მაკრატლით!

იქვე პოლიციელი გაჩერდა. კერნმა ხელი მოისვა ჯიბეზე, სადაც საბუთი ედო. მერე თამამად მივიდა პოლიციელთან.

— რომელი საათია, ვახმისტრო? — ჰკითხა პოლიციელს.

კერნს საათი თან ჰქონდა, მაგრამ თავს უარი ვერ უთხრა იმ იშვიათ განცდაზე, როცა პოლიციელის წინ დგახარ და მისი შიში არ გაქვს.

— ხუთი, — წაიბურტყუნა პოლიციელმა.

— გმადლობთ. — კერნმა აუჩქარებლად ჩაიარა საფეხურები, თუმცა ერთი სული ჰქონდა, გაქცეულიყო. მხოლოდ ახლა დაიჯერა, რომ ყველაფერი, რაც თავს გადახდა, სიზმარი არ იყო.

ლტოლვილთა შემწეობის კომიტეტის დიდი მოსაცდელი დარბაზი ხალხით იყო სავსე და მაინც, რალაც უცნაური მიზეზით, კაცს ცარიელი ეჩვენებოდა. ადამიანები აჩრდილებივით იდგნენ ან ისხდნენ ბინდბუნდში. ხმას თითქმის არავინ იღებდა. თითოეულს ასჯერ მაინც ჰქონდა ნათქვამი და სხვისთვის გაზიარებული ის, რაც პირადად აწუხებდა. ერთიღა დარჩენოდათ: ლოდინი. ეს იყო უკანასკნელი ჯებირი სასოწარკვეთამდე.

მომლოდინეთა ნახევარზე მეტი ებრაელი იყო. კერნის მახლობლად მსხალივით თავწაწვეტებული, ფერმიხდილი კაცი იჯდა, მუხლებზე ვიოლინოს ფუტლარი ედო. გვერდით ჩაცუცქულ ბერიკაცს ამობურცულ შუბლს ნაჭრილობევი უსერავდა. იგი ნერვულად შლიდა და მუჭავდა ხელებს. მის მეზობლად ერთმანეთს მიტმასნილი ქერა ყმაწვილი და შავგრემანი გოგონა იჯდა. ხელები მაგრად ჩაეჭიდათ ერთმანეთისთვის, თითქოს ეშინოდათ, წამით რომ ყურადღება მოვადუნოთ, ვაითუ ერთმანეთს დაგვაშორონო. ისინი ერთმანეთს როდი უცქერდნენ, სადღაც შორს, წარსულისკენ იყურებოდნენ. მათი მზერა ყოველგვარი გრძნობისგან იყო დაცლილი. უკანა სკამზე სქელი ქალი უხმოდ ტიროდა, თვალებიდან ჩამოცვენილი ცრემლი ლოყებსა და ნიკაპზე მოცურავდა და კაბაზე ეწვეთებოდა. ქალი ამას ყურადღებას არ აქცევდა, ხელები ულონოდ ჩაეწყო კალთაში და თავის შეკავებას არც ცდილობდა.

გამოუთქმელი დარდითა და მორჩილებით დამუხტულ დარბაზში ვილაც ბავშვი ლაღობდა. ექვსიოდე წლის შავკულულებიანი, თვალცქრიალა გოგონა მსიარულად, ანცად დარბოდა აქეთ-იქით. ბოლოს მსხლისთავა მოხუცთან შეჩერდა, ერთხანს უცქირა და ბოლოს მუხლებზე დადებულ ფუტლარზე მიუთითა.

— შიგ ვიოლინო გიდევს? — ჰკითხა მომთხოვნი, წკრიალა ხმით.

ბერიკაცი ბავშვს მიაჩერდა, თითქოს კითხვა არ გაუგონიათ. ბოლოს უხმოდ დაუქნია თავი.

— მიჩვენე, — მოსთხოვა გოგონამ.

— რატომ?

— მინდა ვნახო.

მევიოლინე წამით შეყოყმანდა, მერე ფუტლარი გახსნა, იისფერ აბრეშუმში გახვეული ინსტრუმენტი ამოიღო და ქსოვილი სათუთად მოაცილა. გოგონამ კარგა ხანს უყურა ვიოლინოს, პაწია ხელი ასწია და სიმებს ფრთხილად შეახო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რატომ არ უკრავ? — ჰკითხა მოხუცს.

მევიოლინემ არ უპასუხა.

— დაუკარი რამე, — გაუმეორა გოგონამ.

— მირიამ! — გაისმა თავდაჭერილი დაძახილი დარბაზის მოპირდაპირე მხრიდან, სადაც ჩვილბავშვიანი ქალი იჯდა. — მოდი ჩემთან, მირიამ!

გოგონამ მის ძახილს ყური არ ათხოვა, ის მევილიონეს შესცქეროდა.

— დაკვრა არ იცი?

— როგორ არა...

— მაშ, რატომ არ უკრავ?

მევიოლინე დაბნეული ჩანდა. დიდი, დაღლილი ხელი საკრავის ყელზე შემოეჭდო. ახლოს მსხდომი ადამიანები გაფაციცებით შესცქეროდნენ. მევიოლინემ არ იცოდა, თვალები სად წაეღო.

— აქ დაკვრა არ შემიძლია, — უთხრა ბოლოს გოგონას.

— ვითომ რატომ? — ჰკითხა გოგონამ. — დაუკარი რა! აქ ისეთი მოწყენილობაა...

— მირიამ! — დაუძახა დედამ.

— ბავშვი მართალს ამბობს, — ჩაერია შუბლნაიარევი ბერიკაცი, რომელიც მევიოლინეს გვერდით იჯდა. — დაუკარით. ეგებ ცოტა გავხალისდეთ. თანაც ეს ალბათ აკრძალული არ არის.

მევიოლინე ცოტა კიდევ ყოყმანობდა. მერე ფუტლარიდან ხემი ამოიღო, სიმი დაჭიმა და ვიოლინო მხარზე მიიდო. დარბაზში პირველი ნათელი ბგერები გაჟღერდა.

კერნს მოეჩვენა, თითქოს უხილავი ხელი შეეხო მის სულს. უნდოდა ამ შეგრძნებისთვის წინააღმდეგობა გაეწია, მაგრამ საკუთარი კანი არ ანებებდა. უეცრად შეაჟრჟოლა და კანი დაეჭიმა. შემდეგ მოეშვა და სხეულში სითბო ჩაეღვარა.

კაბინეტის კარი გაიღო და მდივანმა თავი გარეთ გამოყო. მერე გამოვიდა და კარი ღია დატოვა. კარის ღიობში სინათლე გამოვიდა. ოთახში ლამპები ენთოთ. მათ შუქზე მდივნის პატარა, დამახინჯებული სილუეტი ჩანდა. ეტყობა, რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ მერე თავი გვერდზე გადახარა და ყური მუსიკას მიუგდო. მის ზურგს უკან კარი ნელ-ნელა, უხმაუროდ მოიხურა, თითქოს ვიღაც უხილავის ხელმა მოსჭიათ.

ვიოლინო კვლავ ჟღერდა. მისი ხმა ავსებდა დარბაზის დამძიმებულ, უსიცოცხლო ატმოსფეროს და ყველაფერს ასხვაფერებდა, თითქოს ალღობდა კედლის ჩრდილში მიყუჟული პატარა ადამიანების უტყვ მარტოობას და მათ ერთ დიდ სევდასა და დარდში ადუღაბებდა.

კერნმა ხელები მუხლებზე დაილაგა, თავი ჩაღუნა და გრძნობათა დინებას მიენდო. დინება სადღაც მიაცურებდა, თითქოს რაღაც ძალზე

უცხოსკენ. შავთმიანი, პატარა გოგონა მევიოლინეს წინ ჩაცუცქულიყო და სმის ამოუღებლად, წყნარად შესცქეროდა მას.

ვიოლინო დადუმდა. კერნი როიალზე უკრავდა და მუსიკის იმდენი მაინც გაეგებოდა, რომ მევიოლინეს ვირტუოზული შესრულება დაეფასებინა.

— შუმანი იყო? — ჰკითხა მევიოლინეს მეზობლად მჯდომმა ბერიკაცმა. მანაც თავის დაქნევით დაუდასტურა.

— კიდევ დაუკარი, — სთხოვა გოგონამ. — ისეთი რამე დაუკარი, რომ გავიცინოთ, თორემ აქ ისეთი მოწყენილობაა...

— მირიამ! — ხმადაბლა დაუძახა დედამ.

— კარგი, — დაეთანხმა მევიოლინე და სიმებს ხემი გაუსვა.

კერნმა დარბაზს მოავლო თვალი. იგი ხედავდა ჩაქინდრულ და აწეულ თავებს, გაფითრებულ სახეებს, სედავდა სევდას, სასოწარკვეთას და ნაზ შვებას, რაც რამდენიმე წამით მოპფინა დარბაზს ვიოლინოს მელოდიამ. უყურებდა ყველაფერ ამას და ფიქრობდა მრავალ მსგავს დარბაზზე, რომელიც ადრე ენახა — ისინი სავსე იყო დევნილებით, განკიცხულებით, რომელთა ერთადერთ დანაშაულს ის წარმოადგენდა, რომ დაიბადნენ და ცოცხალი იყვნენ. ასეთი იყო სინამდვილე. და უცებ ამ დიდი სევდისა და ტკივილის გვერდით ასეთი წარმტაცი მუსიკა! ამის გაგება გონებას არ შეეძლო. ეს იყო უსასრულო ნუგეში და აუტანელი დაცინვა ერთდროულად. მევიოლინეს თავი ისე მიესვენებინა ვიოლინოზე, როგორც შეყვარებულის მხარზე. არა, არ უნდა დავიღუპო, ფიქრობდა კერნი დაბინდულ ვეებერთელა დარბაზში, არ უნდა ჩავიძირო, სიცოცხლე ხომ ასე ტკბილი და მჩქეფარეა, მე მას ჯერ კარგად არც ვიცნობ, ის მელოდიასავითაა, მოწოდებასავითაა, დაძახილივითაა შორეული ტყიდან, ჰორიზონტის მიღმიდან, შეუცნობელი ღამიდან. არა, არ უნდა დავიღუპო.

კარგა ხნის შემდეგ მიხვდა, მუსიკა აღარ ყღერდა.

— რა იყო ეს? — იკითხა გოგონამ.

— ფრანც შუბერტის „გერმანული ცეკვები", — ხრინწიანად უპასუხა მუსიკოსმა.

ბერიკაცმა მის მეზობლად გაიცინა.

— გერმანული ცეკვები! — თქვა მან და ნაჭრილობევზე გადაისვა ხელი. — გერმანული ცეკვები!

მფივანმა კართან შუქი აანთო და გამოაცხადა:

— შემდეგი...

კერნს მისცეს მიმართვა სასტუმრო „ბრისტოლში" და ათი საღილის ტალონი სტუდენტურ სასადილოში ვენცელპლატცეზე. ტალონების აღებისთანავე მწვავე შიმშილი იგრძნო. შეშინებული, არ დამაგვიანდესო, ქუჩაში გავარდა.

არც შემცდარა. სასადილოში ყველა ადგილი დაკავებული აღმოჩნდა და ამიტომ ლოდინი მოუხდა. მოსადილეთა შორის თავისი უნივერსიტეტის ყოფილი პროფესორი იცნო. დააპირა მისულიყო და მისალმებოდა, მაგრამ მერე გადაიფიქრა, თავი შეიკავა. იცოდა, ბევრს ემიგრანტთაგან არ სიამოვნებდა წარსული ცხოვრების გახსენება.

მალე სასადილოში მევიოლინე შემოვიდა და დაბნეული დადგა. კერნმა თავი დაუქნია. მევიოლინემ გაკვირვებით შეხედა და ნელა წავიდა მისკენ. კერნი შეცბა. უცებ რომ დაინახა, რატომღაც დიდი ხნის ნაცნობი ეგონა, მაგრამ მერე გაახსენდა, მეორედ რომ ხედავდა მხოლოდ და ჯერ სიტყვაც არ ეთქვათ ერთმანეთისთვის.

— მაპატიეთ, — მიმართა კერნმა, — ახლახან თქვენს [illegible] ვუსმინე. ვიფიქრე, აქაური წესები არ ეცოდინება-მეთქი.

— მართლაც არ ვიცი. თქვენ?

— მე კი ვიცი. ორჯერ ვარ აქ ნამყოფი. დიდი ხანია, რაც მომთაბარეობთ?

— ორი კვირაა. აქ დღეს ჩამოვედი.

კერნმა დაინახა, რომ პროფესორი და მისი მეზობელი მაგიდიდან წამოდგნენ.

— იქ ორი ადგილი გათავისუფლდა, — აჩქარებით უთხრა მევიოლინეს. — წამოდით!

ისინი მაგიდებს შორის გაძვრნენ. პროფესორს ვიწრო გასასვლელში შეეჩეხნენ. პროფესორმა კერნს შეხედა, წამით შეყოყმანდა და შეჩერდა.

— მითხარით, ჩვენ ერთმანეთს ხომ არ ვიცნობთ?

— თქვენი სტუდენტი ვიყავი, — უპასუხა კერნმა.

— აჰ, ეგრეა... — პროფესორმა თავი დაუკრა. — მითხარით, გეთაყვა, ვინმეს მტვერსასრუტი ხომ არ სჭირდება? ათი პროცენტის დაკლებით და განვადებით? ან გრამოფონი შიგ ჩამონტაჟებული რადიოთი?

კერნი წამით შეცბუნდა. პროფესორი მსოფლიოში აღიარებული ავტორიტეტი იყო სიმსივნეების კვლევის სფეროში.

— არა, სამწუხაროდ არა, — დანანებით უპასუხა კერნმა. კარგად უწყოდა, რას ნიშნავდა მტვერსასრუტისა და გრამოფონის გასაღების მცდელობა.

— ამას თავად უნდა მივხვედრილიყავი. — პროფესორმა დაბნეულად შეხედა კერნს. — მაპატიეთ, გეთაყვა, — უთხრა შემდეგ ისე, თითქოს სხვას ელაპარაკებოდა, და გზა განაგრძო.

სადილად ქერის ბურღულის წვნიანი იყო საქონლის ხორცით. კერნმა თავისი ჯამი უცბად ამოასუფთავა, თავი ასწია და დაინახა, რომ მევიოლინე გაუნძრევლად იჯდა, ხელები მაგიდაზე დაეწყო და საჭმელს არც მიკარებოდა.

— თქვენ რა, არ ჭამთ? — ჰკითხა გაკვირვებულმა კერნმა.

— არ შემიძლია.

— ავად ხომ არა ხართ?

უაბაჟურო მაგიდის ლამპის მკრთალ შუქზე მევიოლინეს სახესა და მსხალივით თავის ქალაზე ყვითელი, უსიცოცხლო ფერი დასდებოდა.

— არა.

— უნდა ჭამოთ, — ურჩია კერნმა.

მევიოლინემ არაფერი თქვა, სიგარეტს მოუკიდა და ხარბად მოქაჩა. შემდეგ წვნიანი გვერდზე გააჩოჩა.

— არა, ასე ცხოვრება შეუძლებელია! — აღმოხდა უცებ.

კერნმა თანაგრძნობით შეხედა.

— პასპორტი არა გაქვთ? — ჰკითხა მუსიკოსს.

— მაქვს. მაგრამ... — მუსიკოსმა სიგარეტის ნამწვი ნервიულად გასრისა. — ასე ცხოვრება შეუძლებელია! ყველაფრის გარეშე! ყოველგვარი დასაყრდენის გარეშე!

— ღმერთო ჩემო! — უთხრა კერნმა. — თქვენ ხომ გაქვთ პასპორტი და ვიოლინო...

მევიოლინემ თავი ასწია.

— რაში მარგია? — გაღიზიანებულმა უპასუხა კერნს. — ნუთუ არ გესმით?

— და მაინც?

კერნი უზომოდ გაწბილებული დარჩა. ეგონა, ასეთი ვირტუოზი მუსიკოსი განსაკუთრებული ადამიანი იქნებოდა, ვისგანაც რამეს ისწავლიდა. მის წინ კი გულგატეხილი კაცი იჯდა, მასზე სულ ცოტა თხუთმეტი წლით უფროსი და მაინც თავნება ბავშვივით იქცეოდა. თუმცა ასეთია ემიგრანტობის პირველი სტადია. იმედია, მერე უფრო მშვიდად აიტანსო ყველაფერს.

— წვნიანის ჭამას ნამდვილად არ აპირებთ? — ჰკითხა მევიოლინეს.

— არა.

— თუ ეგრეა, მე დამითმეთ. რაღაც ვერ დავნაყრდი.

მევიოლინემ ჯამი მისკენ მიაჩოჩა. კერნი ნელა ჭამდა. წვნიანის თითოეული კოვზი იყო დამატებითი ძალა, რაც გაჭირვებას გადაატანინებდა. სულ ცოტას დატოვებაც კი არ ეგებოდა. ბოლოს წამოდგა.

— გმადლობთ წვნიანისათვის. ისე კი, ჯობდა თქვენ თავად მიგერთმიათ.

მევიოლინემ ამოხედა. მისი სახე ნაოჭებს დაეღარა...

— ჩემი მდგომარეობა ჯერ თქვენთვის ძნელი გასაგებია, — საყვედურნარევი კილოთი უთხრა კერნს.

— თქვენ რომ გგონიათ, არც ისე ძნელი, — შეეპასუხა კერნი. — თქვენ უბედური ხართ და მეტი არაფერი.

— მეტი არაფერი?

— არა. თავდაპირველად კაცს ჰგონია, ეს რაღაც განსაკუთრებული მოვლენაა. მაგრამ მალე, თუ ემიგრაციაში მოგიწევთ დარჩენა, მიხვდებით, რომ უბედურება ჩვეულებრივი მოვლენაა ცხოვრებაში.

კერნი ქუჩაში გავიდა. გაუკვირდა, როცა მოპირდაპირე მხარეს, ტროტუარზე წინ და უკან მოსეირნე პროფესორი დაინახა. თავისი დამახასიათებელი პოზა ჰქონდა: უკან გადაჭდობილი ხელები და წინ წახრილი სხეული. ასე იცოდა ხოლმე, როცა უნივერსიტეტში კათედრასთან წინ და უკან დადიოდა და თან კიბოს კვლევის სფეროში ახალ, რთულ აღმოჩენას უხსნიდა სტუდენტებს. ოღონდ ამჯერად ალბათ მტვერსასრუტსა და გრამოფონზე ფიქრობდა.

კერნი წამით შეყოვნდა. იგი პროფესორს არასდროს დალაპარაკებია. მაგრამ ახლა, მევიოლინესთან საუბრის შემდეგ, გაბედა მისულიყო.

— ბატონო პროფესორო, — მიმართა კერნმა, — მაპატიეთ, რომ გაწუხებთ. ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ გავბედავდი და რჩევას მოგცემდით. მაგრამ ახლა ვალდებული ვარ ასე მოვიქცე.

პროფესორი შეჩერდა.

— სიამოვნებით მოგისმენთ, — უპასუხა კერნს დაბნეულმა, დიდი სიამოვნებით. მადლიერებით მივიღებ ნებისმიერ რჩევას, მართლა, რა გქვიათ?

— კერნი. ლუდვიგ კერნი.

— ნებისმიერი რჩევისთვის მადლობას გიძღვნით, ბატონო კერნ. გულითად მადლობას!

— ამას რჩევაც არ ეთქმის. ეს გამოცდილების ერთგვარი გაზიარებაა. თქვენ აპირებთ მტვერსასრუტებისა და გრამოფონების გაყიდვას. გირჩევთ, თავი დაანებოთ ამ საქმეს. ამაოდ გაირჯებით. ასობით ემიგრანტი არის დაკავებული ამ საქმით. ეს ისეთივე უაზრობაა, როგორც სიცოცხლის დაზღვევის მსურველთა ძებნა.

— მე კი სწორედ მაგ საქმისთვის ვაპირებდი ხელის მოკიდებას, — შეაწყვეტინა გამოცოცხლებულმა პროფესორმა. — ვიღაცამ მითხრა, დაზღვევის საქმე ძნელი არაა, ამ გზით ცოტაოდენი ფულის შოვნა შეიძლებაო.

— და საკომისიოს შეგპირდათ ყოველი დადებული ხელშეკრულებისთვის, არა?

— რასაკვირველია. კარგ საკომისიოს.

— და სხვას არაფერს? არც ხარჯების ანაზღაურებას და არც მუდმივ ხელფასს?

— არა.

— ამის შემოთავაზება ხომ მეც შემიძლია. ეს არაფერს ნიშნავს. ბატონო პროფესორო, ერთი მტვერსასრუტი ან გრამოფონი თუ მაინც გაგიყიდიათ?

პროფესორმა უსუსური გამომეტყველება მიიღო.

— არა, — უპასუხა საწყალი კაცისთვის ჩვეული მორიდებით. — მაგრამ ვიმედოვნებ, უახლოეს დროში...

— შეეშვით ამ საქმეს, — უთხრა კერნმა. — გირჩევთ, შეიძინოთ ერთი შეკვრა ფეხსაცმლის ზონარი, რამდენიმე კოლოფი ფეხსაცმლის საცხი, ინგლისური ქინძისთავების ორიოდე პაკეტი, მოკლედ, წვრილმანი საქონელი, რომელიც ყოველთვის საჭიროა. ასეთი ვაჭრობით ბევრს ვერ მოიგებთ, მაგრამ დროდადრო რამეს მაინც გაყიდით. ასობით ემიგრანტი ასე ვაჭრობს. ინგლისური ქინძისთავი უფრო გასაღდება, ვიდრე მტვერსასრუტი.

პროფესორმა დაფიქრებით შეხედა.

— ჰოო, მაგაზე არ მიფიქრია.

კერნმა მორცხვად გაუღიმა.

— მჯერა. მაგრამ დღეიდან იფიქრეთ. ასე გიჯობთ. ეს გამოცდილი მაქვს. ერთ დროს მეც მტვერსასრუტების გაყიდვას ვაპირებდი.

— ალბათ თქვენ მართალი ხართ. — პროფესორმა ხელი გაუწოდა. — მადლობას გიხდით გულისხმიერებისათვის, — დაურთო მოუ-

ლოდნელად ხმადაბლა, მაამებლური კილოთი, იმ მოწაფესავით, გაკვეთილი რომ ცუდად იცის.

კერნმა ტუჩზე იკბინა.

— არც ერთი თქვენი ლექცია არ გამიცდენია, — უთხრა მან.

— დიახ, დიახ... — პროფესორმა მსუბუქად აიქნია ხელი. — გმადლობთ, ბატონო... ბატონო...

— კერნ. თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს.

— არა, ნამდვილად აქვს, ბატონო კერნ. მაპატიეთ, გეთაყვა, ამ ბოლო დროს გულმავიწყობა დამჩემდა. დიდი მადლობა. ვფიქრობ, თქვენი რჩევით ვისარგებლო, ბატონო კერნ.

სასტუმრო „ბრისტოლი", რომელიც ლტოლვილთა შემწეობის კომიტეტს ჰქონდა დაქირავებული, პატარა, დაძველებული შენობა აღმოჩნდა. იმ ოთახში, სადაც კერნს საწოლი გამოუყვეს, ორი ლტოლვილი უკვე ცხოვრობდა. სადილის შემდეგ კერნს დაღლილობა მოეძალა და დაუყოვნებლივ დაწვა დასაძინებლად. მობინადრენი ოთახში არ დახვედრიან და არც მათი დაბრუნება გაუგია.

კერნს შუაღამისას გაეღვიძა. ყვირილი შემოესმა და ამან წამოახტუნა. დაუფიქრებლად დასტაცა ხელი ჩემოდანსა და ტანსაცმელს, კარს მიაშურა და დერეფანში გავარდა.

დერეფანში სიწყნარე სუფევდა. კერნი კიბის ბაქანზე შეჩერდა, ჩემოდანი ძირს დადო და მიაყურადა. მერე სახე მუშტებით მოისრისა. სად იმყოფებოდა? სად იყო პოლიცია?

ნელ-ნელა გონს მოეგო. გარშემო მიმოიხედა და შვებით გაიღიმა. ის პრაღაში, სასტუმრო „ბრისტოლში" იმყოფებოდა, ჰქონდა ორი კვირით დარჩენის ნებართვა. შიშის არავითარი საფუძველი არ არსებობდა. ეტყობა, რაღაც ესიზმრა. კერნი თავის ოთახისკენ გაემართა. ასეთი რამ აღარ უნდა გამეორდეს, გაიფიქრა მან. ესღა მაკლია, ნერვიულობა დავიწყო. მაშინ დავღუპულვარ და ეგაა.

ოთახის კარი გააღო და სიბნელეში ხელის ცეცებით დაუწყო ძებნა თავის საწოლს. მისი საწოლი მარჯვნივ, კედელთან იდგა. ჩემოდანი ფრთხილად დადო იატაკზე, ტანსაცმელი საწოლის ძგიდეზე გადაკიდა და საბანზე ხელი მოაფათურა. ის იყო უნდა დაწოლილიყო, რომ ხელი რაღაც რბილს, თბილს, ცოცხალს შეახო და ადგილზე გაქვავდა.

— ვინ არის აქ? — იკითხა ქალიშვილის ნამძინარევმა ხმამ.

კერნმა სული განაბა. ოთახი შეშლოდა.

— არის-მეთქი ვინმე აქ? — ხელმეორედ იკითხა ხმამ.

კერნი ბოძივით გაუნძრევლად იდგა. ოფლმა დაასხა. მალე შემოესმა, ვილაცამ როგორ ამოიოხრა და გვერდზე გადაბრუნდა. ორიოდე წუთი დაელოდა. რაკი ირგვლივ სიჩუმემ დაისადგურა და ბნელში მხოლოდ ადამიანის სუნთქვა ისმოდა, კერნმა უხმაუროდ აკრიფა თავისი ნივთები და ფეხაკრეფით გამოვიდა ოთახიდან.

დერეფანში, იმ ოთახის კართან, სადაც კერნი ცხოვრობდა, პერანგიანი კაცი იდგა და სათვალის ზემოდან ათვალიერებდა კერნს. მან დაინახა, როგორ გამოვიდა კერნი სხვისი ოთახიდან და თან ნივთები

გამოიტანა. კერნი დაბნეული იყო, ახსნა-განმარტების თავი არ ჰქონდა. უსიტყვოდ ჩაუარა უცნობს, რომელიც არც განძრეულა გზის დასათმობად, და ოთახში შევიდა. ნივთები დააბინავა და საწოლში ჩაწვა. წინასწარ ლოგინზე ხელი ფრთხილად გადაუსვა. დარწმუნდა, რომ საწოლი თავისუფალი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცნობი ერთხანს კვლავ კარის ღიობში იდგა. დერეფნიდან მუქი ფერი მავალ სუსტ სინათლეზე სათვალის შუშები უბრჭყვიალებდა. მერე ოთახში შემოვიდა და კარი ჯახუნით მიხურა.

იმავე წამს ყვირილი გაისმა. კერნმა ამჯერად სიტყვები გაარჩია: ნუ მცემთ! ნუ მცემთ! ღვთის გულისათვის, ნუ მცემთ! გემუდარებით, გემუდარებით! ვაი, ვაი...

ყვირილს სასოწარკვეთილი ხრიალი მოჰყვა და მერე შეწყდა. კერნმა საწოლზე წამოიწია.

— რა ხდება? — იკითხა მან სიბნელეში.

ელექტროჩამრთველმა გაიჩხაკუნა და ოთახი განათდა. სათვალიანი კაცი იდგა და მეზობელ საწოლთან მივიდა, რომელზეც ოფლში გაწუწული, თვალებარეული კაცი იწვა და მძიმედ ხვნეშოდა. სათვალიანმა ჭიქა აიღო, წყლით გაავსო და მწოლიარეს პირთან მიუტანა.

— აი, დალიეთ. თქვენ სიზმარში იყავით. ნურაფრის გეშინიათ.

კაცმა ხარბად მოსვა წყალი. გამხდარ ყელზე ხორხი სწრაფად აუდჩაუდიოდა. შემდეგ ულონოდ გადაწვა ზურგზე, ღრმად ამოიხვნეშა და თვალები დახუჭა.

— რა მოხდა? — კვლავ იკითხა კერნმა.

სათვალიანი მის საწოლს მიუახლოვდა.

— რა მოხდა? ადამიანს აბოდებს. ხმამაღლა აბოდებს. იგი ორიოდე კვირის წინ გაათავისუფლეს საკონცენტრაციო ბანაკიდან. ნერვები აქვს მოშლილი. გაიგეთ?

— დიახ, — უპასუხა კერნმა.

— თქვენ აქ ცხოვრობთ? — ჰკითხა სათვალიანმა.

კერნმა თავი დაუქნია.

— ეტყობა, ნერვები არც მე მაქვს წესრიგში. წელან მაგან რომ წამოიყვირა, მე გავიქეცი. მეგონა, პოლიციელები მოვიდნენ-მეთქი. მერე ოთახი შემეშალა.

— რას ამბობთ...

— მაპატიეთ, გეთაყვა, — თქვა მათმა მეზობელმა, — ამიერიდან ვიფხიზლებ, ჩემი ბოდვით აღარ შეგაწუხებთ. მაპატიეთ.

— რას ამბობთ! — სათვალიანი თავის საწოლისკენ გაბრუნდა. — ძილში შემთხვევით წამოგაბოდათ, ჩვენ ეგ ვერ შეგვაშინებს. ასე არაა, ახალგაზრდავ?

— ნამდვილად ასეა, — დაეთანხმა კერნი.

ელექტროჩამრთველი გაჩხაკუნდა და ოთახში დაბნელდა. კერნი გაიზმორა. დიდხანს ვერ დაიძინა. ის უცნაური ამბავი არ ასვენებდა, მეზობელ ოთახში რომ შეემთხვა. კერნი ისევ გრძნობდა თხელი ზეწრით დაფარული რბილი მკერდის სითბოს. ხელიც თითქოს გადაუსხვაფერდა.

კარგა ხნის შემდეგ შემოესმა, როგორ წამოდგა კაცი, რომელიც ძილში ყვიროდა, და ფანჯარასთან დაჯდა. მისი წინწახრილი თავი მუქ ლაქად მოჩანდა გარიჟრაჟის მღვრიე ბინდში, თითქოს ვერცხლას მონის პირქუში ბიუსტი დაუდგამსო. კერნი ერთხანს გაერთო ~~მისი~~ ცქერით. მერე ძილმა წაართვა თავი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იოზეფ შტაინერს საზღვარზე უკან გადასვლა არ გასჭირვებია. იგი გამოცდილი ჯარისკაცი იყო და დაზვერვაში სიარული მისთვის ჩვეულებრივ ამბავს წარმოადგენდა. ომის დროს ასეულს მეთაურობდა და უკვე 1915 წელს რკინის ჯვრით დააჯილდოვეს წარმატებით ჩატარებული რისკიანი დაზვერვითი ოპერაციისათვის, საიდანაც ტყვე მოიყვანა.

ერთ საათში საშიში ზონიდან გააღწია და სადგურისკენ გაეშურა. ვაგონში ხალვათობა იყო. კონდუქტორს მისი დანახვა გაუკვირდა.

— უკვე უკან მიემგზავრებით?

— ერთი ბილეთი ვენამდე, უბრალო, — უთხრა შტაინერმა.

— მალე დაბრუნებულხართ, — განაგრძობდა კონდუქტორი.

შტაინერმა ცივად შეხედა.

— ნაცნობი ამბავია, — აუხსნა კონდუქტორმა. — ამ გზით დღეში ორჯერ მაინც მიჰყავთ ეტაპი საზღვრისაკენ. ძალაუნებურად ვცნობ გამცილებელ პოლიციელებს. მართლაც რომ მძიმე ჯვარია. თქვენ ხომ ამ ვაგონით მიჰყავდით. ნუთუ დაგავიწყდათ?

— არ მესმის, რაზე ლაპარაკობთ.

კონდუქტორს გაეცინა.

— კარგად იცით, რაზეც. უკანა ბაქანზე დადექით. თუ კონტროლიორი გამოჩნდა, გადახტით. თუმცა ამ დროს მათი გამოჩენა ნაკლებ მოსალოდნელია. თანაც ბილეთის ფულიც დაგეზოგებათ.

შტაინერი წამოდგა და ვაგონის ბოლოში გავიდა. ქარი სახეზე ელამუნებოდა. უყურებდა მევენახეთა პატარა სოფლების სინათლეებს, უკან რომ რჩებოდა. იგი ხარბად ისუნთქავდა ჰაერს და თვრებოდა ამქვეყნად უძლიერესი ბანგით — თავისუფლების განცდით. გრძნობდა ძარღვებში სისხლის მოძრაობას, კუნთების სითბოს. ის ცოცხალი იყო, დაჭერას გადაურჩა. ის ცოცხალი იყო. ხიფათს თავი დააღწია.

— სიგარეტი აიღე, ძმობილო, — შესთავაზა კონდუქტორს, რომელიც მასთან ბაქანზე გავიდა.

— უარს არ გეტყვი. ოღონდ ახლა ვერ მოვწევ — სამსახურში ვარ.

— მე ხომ შეიძლება მოვწიო?

— კი. — კონდუქტორმა გულკეთილად გაუღიმა. — ჩემთან შედარებით ეს უპირატესობა გაგაჩნია.

— ჰო, — დაეთანხმა შტაინერი და ნაფაზი დაარტყა. — ესაა ჩემი უპირატესობა.

შტაინერი იმ პანსიონში მივიდა, სადაც ახლახან დააპატიმრა პოლიციამ. დიასახლისი ჯერ კიდევ კანტორაში იჯდა. შტაინერის დანახვაზე შეკრთა.

— აქ თქვენი ცხოვრება აღარ შეიძლება, — განუცხადა შტაინერს.

— შეიძლება, — შტაინერმა ზურგჩანთა მოიხსნა.

— ბატონო შტაინერ, ეს შეუძლებელია! ერთიც ვნახოთ და პოლიცია გვეწვიოს, მაშინ ხომ პანსიონს საერთოდ დამიხურავენ!

— ძვირფასო ლუიზა, — მშვიდად მიუგო შტაინერმა, — ყველაზე უსაფრთხო თავშესაფარი ახალაფეთქებული ნაღმის ორმოა. თითქმის არასდროს მომხდარა, მასში მაშინვე მეორე ნაღმი ჩავარდნილიყო. ამიტომაც ახლა თქვენი ბუნაგი ყველაზე უსაფრთხო ადგილია ვენაში!

სასოწარკვეთილმა დიასახლისმა თმაში იტაცა ხელი.

— თქვენ მე დამღუპავთ! — პათეტიკურად წამოიძახა მან.

— რა მშვენიერია! სულ იმაზე ვოცნებობდი, ვინმე დამეღუპა! რა რომანტიკული ქალი ხართ, ლუიზა! — შტაინერმა მიმოიხედა. — ყავა აღარ დაგრჩათ? ერთი სირჩა არაყიც გექნებათ.

— ყავა? არაყი?

— ჰო, ლუიზა! ვიცოდი გამიგებდით. რა მშვენიერი ქალი ხართ! სლივოვიცა ისევ კარადაშია?

დიასახლისი დანებდა.

— რა თქმა უნდა, იქვეა, — უპასუხა მან.

— სწორედ ეგ მჭირდება ახლა! — შტაინერმა კარადიდან ბოთლი და ორი ჭიქა გამოიღო. — თქვენც ხომ დალევთ?

— მე?

— ჰო, თქვენ! მაშ, აბა ვინ?

— არა.

— დალიეთ, ლუიზა. ხათრი გამიწიეთ. მარტო დალევას, აბა, რა გემო აქვს. ინებეთ... — მან ჭიქა შეავსო და ქალს მიაწოდა.

დიასახლისი ჯერ შეყოყმანდა, მერე ჭიქა გამოართვა.

— კარგი, ეგრე იყოს! ოღონდ მერე წახვალთ, არა?

— მხოლოდ ორიოდე დღით დავრჩები, — დაამშვიდა შტაინერმა. — მეტს არ დავახანებ. თქვენ ჩემთვის ილბალი მოგაქვთ. ერთი ჩანაფიქრი მაქვს. — მან გაიღიმა. — ახლა კი ყავა დავლიოთ, ლუიზა!

— ყავა? ყავა გამითავდა.

— გაქვთ, პატარავ. აგერ თაროზე დგას. დაგენაძლევებით, კარგი ხარისხისა იქნება.

დიასახლისმა ირონიულად გაიცინა.

— თქვენც კაი ვინმე ხართ, აი! მე ლუიზა კი არა, ტერეზა მქვია.

— ტერეზა! სახელი კი არა, ოცნებაა!

დიასახლისმა ყავა მოუტანა.

— აქ ბებერი ზელიგმანის ნივთები დარჩა, — უთხრა შტაინერს და ჩემოდანი უჩვენა. — რა ვუყოთ?

— ეს ის ებრაელია, ჭალარა წვერი რომ ჰქონდა?

დიასახლისმა თავი დაუქნია.

— ასე მითხრეს, მოკვდაო. მეტი არაფერი ვიცი...

— ცალკეული ადამიანის შესახებ ამის ცოდნაც საკმარისია. ეგებ იცით, სად არიან მისი შვილები?

— საიდან მეცოდინება? ეგ სადარდებელიღა მაკლია!

— მართალი ხართ. — შტაინერმა ჩემოდანი ახლოს მიიჩოჩა და გახსნა. ჩემოდნიდან ფერადი კოჭის ძაფები გადმოცვივდა. შიგ ეწყო გულდასმით შეკრული თასმების პაკეტი, კოსტიუმი, ფეხსაცმელი, ებრაული წიგნი, ცოტაოდენი თეთრეული, რამდენიმე მუყაო რქის ღილებით, ტყავის პატარა საფულე ერთშილინგიანი მონეტებით, ორი სარიტუალო სარტყელი და პაპიროსის ქაღალდში შეხვეული თეთრი სარიტუალო სალათი.

— არცთუ ბევრი დაუგროვებია სიცოცხლის განმავლობაში, არა, ლუიზა? — თქვა შტაინერმა.

— ზოგს ამდენიც არ გააჩნია.

— ეგეც მართალია. — შტაინერმა ებრაული წიგნი დაათვალიერა და ყდის შიდა მხარეს ჩამალული ქაღალდი აღმოაჩინა, რომელზეც მისამართი ეწერა. — გასაგებია! ამ მისამართზე მივაკითხავ. — შტაინერი წამოდგა. — გმადლობთ ყავისა და სლივოვიცასთვის, ტერეზა! დღეს გვიან დავბრუნდები. ჯობს პირველ სართულზე, ეზოს მხარეზე დამაბინავოთ. თუ რამე მოხდა, ადვილად გავიქცევი.

დიასახლისი უარის თქმას აპირებდა, მაგრამ შტაინერმა ხელის აწევით შეაჩერა.

— არა, არა, ტერეზა! კარი რომ ჩაკეტილი დამხვდეს, ვენის პოლიციას სულ აქ შეგიყრით. თუმცა დარწმუნებული ვარ, კარი ღია იქნება! უსახლკაროთა შეფარება ხომ ღვთის ერთ-ერთი მცნებათაგანია. სამაგიეროდ საუკუნო ნეტარება გარანტირებული გექნებათ ზეცაში. ზურგჩანთას თქვენთან ვტოვებ.

შტაინერი წავიდა. კარგად ესმოდა, ზედმეტი ლაპარაკი არ იყო საჭირო. იცოდა, რა ძალა ჰქონდა სხვის დანატოვარ ნივთს ბურჟუაზიული ყაიდის ადამიანზე. მისი ზურგჩანთა უფრო უკეთეს კვარტირმაისტერობას გაუწევდა, ვიდრე თხოვნა-მუდარა. დიასახლისის სიჯიუტის საბოლოოდ დასაძლევად მისი იქ ყოფნის უტყვი მოწმე იყო საჭირო.

შტაინერი კაფე „შპერლერში" წავიდა რუს ჩერნიკოვთან შესახვედრად. მათ საპატიმროში მოილაპარაკეს, შტაინერს რომ გამოუშვებდნენ, პირველ ან მეორე დღესვე გვიან საღამოს შეხვედროდნენ ერთმანეთს ამ კაფეში. გერმანელებთან შედარებით რუსებს თხუთმეტი წლით მეტი სტაჟი ჰქონდათ ემიგრაციაში ყოფნისა. ჩერნიკოვი შეპირებული იყო, ვენაში ვეცდები, რაღაც გზები გამოვნახო და ყალბი საბუთები გიშოვოთო.

შტაინერი მაგიდას მიუჯდა. უნდოდა სასმელი შეეკვეთა, მაგრამ კელნერები ყურადღებას არ აქცევდნენ. ჩვეულებრივ მომსვლელები აქ არც არაფერს უკვეთავდნენ — უმეტესობას ხომ საამისო ფული არ გააჩნდა.

კაფე ჩვეულებრივ ემიგრანტულ ბირჟას წარმოადგენდა. იგი გადაჭედილი იყო ხალხით. ზოგი მაგიდებსა და სკამებზე იჯდა და ეძინა, ზოგი იატაკზე ჩამჯდარიყო და კედელს მიყრდნობილი თვლემდა.

ისინი დროს არ კარგავდნენ, კაფეს დაკეტვამდე გამოძინებას ეშურებოდნენ. დილის ხუთი საათიდან შუადღემდე ელოდებოდნენ კაფეს გაღებას. მათი უმეტესობა ინტელექტუალი იყო. ყველაზე მეტად სწორედ მათ უჭირდათ თავის გატანა.

შტაინერის მაგიდასთან კუბოკრულკოსტიუმიანი კაცი დაჯდა, ...ელი, მელსაც სახე სავსე მთვარეს მიუგავდა. ერთხანს მოუსვენარი ...ლებით აკვირდებოდა შტაინერს.

— ყიდით რამეს? — ჰკითხა მერე. — სამკაულს? ნახმარ ტანსაცმელს? ნაღდს გადაგიხდით.

შტაინერმა თავი გააქნია.

— თეთრეულს? ფეხსაცმელს? — კაცი დაჟინებით მისჩერებოდა. — ნიშნობის ბეჭედს?

— მომწყდი თავიდან, შე ლეშიჭამია, — შეუბღვირა შტაინერმა. მას სძაგდა ქორვაჭრები, რომლებიც რაღაც გროშების ფასად ხელიდან სტაცებდნენ უკანასკნელ ნივთებს საცოდავ ემიგრანტებს.

— გამიგონეთ! ერთი კონიაკი მომიტანეთ! — მიაძახა შტაინერმა კელნერს, რომელმაც მის მაგიდასთან ჩაიქროლა.

კელნერმა უნდო მზერა ესროლა და მასთან მივიდა.

— ადვოკატი გნებავთ? დღეს აქ ორნი არიან: იქით, კუთხეში, ბერლინის სააპელაციო სასამართლოს ადვოკატი ზილბერი ზის, რომელიც შილინგს იღებს კონსულტაციაში, ხოლო კართან, მრგვალ მაგიდასთან — ბავარიის მიწის სასამართლოს წევრი ეპშტაინი. მისგან ორმოცდაათ გროშად შეგიძლიათ კონსულტაციის მიღება. ჩვენში დარჩეს, ზილბერი სჯობია.

— მე ადვოკატი კი არა, კონიაკი გთხოვეთ, — უთხრა შტაინერმა.

კელნერმა ხელი ყურთან მიიტანა.

— სწორად გაგიგეთ? კონიაკი?

— დიახ, სასმელი. თანაც ჯობს, თუ დიდი ჭიქით მომიტანთ.

— ძალიან კარგი. მაპატიეთ, ცოტა ყურს მაკლია. თანაც ამას გადავეჩვიე. აქ თითქმის ყველა მხოლოდ ყავას თხოულობს.

— კეთილი. თუ ეგრეა, კონიაკი ყავის ფინჯნით მომიტანეთ.

კელნერმა კონიაკი მოუტანა და მაგიდასთან გაჩერდა.

— რა მოხდა? — ჰკითხა შტაინერმა. — გინდათ მიყუროთ, როგორ დავლევ?

— წინასწარ უნდა გადაიხადოთ. აქ ასეთი წესია. ასე რომ არა, გავკოტრდებით.

— აი თურმე რა! ისე მართალი ხართ!

შტაინერმა ფული მიუთვალა.

— აქ ზედმეტია, — უთხრა კელნერმა.

— რაც ზედმეტია, ეგ თქვენი ფეხის ქირაა.

— ფეხის ქირა? — კელნერმა აშკარა სიამოვნებით გაიმეორა ეს სიტყვები. — ღმერთო დიდებულო! — თქვა მერე გულაჩუყებულმა. — ეს პირველია რამდენი წლის შემდეგ. დიდი მადლობა, ჩემო ბატონო! ახლა კვლავ ვიგრძენი თავი ადამიანად!

ორიოდე წუთში კაფეში რუსი შემოვიდა, მაშინვე შეამჩნია შტაინერი და მასთან დაჯდა.

— მეგონა, ვენაში აღარ იყავით, ჩერნიკოვ.

რუსმა გაიცინა.

— რაც დასაჯერებელია, ისიც კი დაუჯერებელი გეჩვენება მუდამ. ყველაფერი გავიგე, რაც თქვენ გაინტერესებთ.

შტაინერმა კონიაკი გადაკრა.

— საბუთები იშოვება?

— დიახ. თანაც ძალზე კარგი. საუკეთესოა ის ყალბ საბუთებს შორის, რაც კი ამ ბოლო წლებში მინახავს.

— აქედან უნდა გავაღწიო! — თქვა შტაინერმა, — საბუთები მჭირდება! ამ ყოველდღიურ გაწამაწიას და შიშს, უპასპორტობის გამო არ დამაპატიმრონ-მეთქი, კატორლაზე მოხვედრა მირჩევნია! რა ნახეთ?

— „ჰელებარდეში" ვიყავი. ეს ხალხი იქ იკრიბება. ახლაც იგივე ხალხია, ვინც შვიდი წლის წინათ იყო. ამ საქმეში მათი ნდობა შეიძლება. ოღონდ ეგაა, ყველაზე იაფი საბუთი ოთხასი შილინგი ღირს.

— მაგ ფასად რას იძლევიან?

— გარდაცვლილი ავსტრიელის პასპორტს, რომელსაც კიდევ ერთი წლის ვადა აქვს.

— ერთი წლის მერე?

ჩერნიკოვმა გაკვირვებით შეხედა შტაინერს.

— საზღვარგარეთ ალბათ მისი ვადის გაგრძელება მოხერხდება. თუ არადა, გაწაფული ხელი თარიღს გადაასწორებს.

შტაინერმა თავი დაუქნია, გავიგეო.

— კიდევ არის ორი გარდაცვლილი გერმანელი ლტოლვილის პასპორტი, მაგრამ თითოეული რვაასი შილინგი ღირს. სრულყოფილ ყალბ პასპორტს კი ათას ხუთასზე ნაკლებ ვერ იშოვი. თუმცა მე არც ერთს არ გირჩევთ. ჩერნიკოვმა სიგარეტს ფერფლი მოაცილა. — ერთა ლიგის დახმარების იმედი არ გქონდეთ. ვინც აქ არალეგალურად, საბუთების გარეშე ჩამოდის, მისი მდგომარეობა უიმედოა. ნანსენი, ვინც ჩვენთვის პასპორტები გაახერხა, მკვდარია.

— ოთხასი შილინგი, — თქვა შტაინერმა. — მე კი მხოლოდ ოცდახუთი მაქვს.

— შევაჭრება შეიძლება. ალბათ სამას ორმოცდაათად მოგცემენ.

— როცა მხოლოდ ოცდახუთი შილინგი გაქვს, ეგ სულ ერთია. სხვა გამოსავალი არაა: როგორმე ფული უნდა ვიშოვო. სად მდებარეობს „ჰელებარდე"?

რუსმა ჯიბიდან ფურცელი ამოიღო.

— აი მისამართი და კელნერის გვარი, რომელიც შუამავლობს ამ საქმეში. მოელაპარაკეთ და ის ტელეფონით გამოიძახებს თქვენთვის საჭირო ხალხს. ამაში ხუთ შილინგს იღებს.

— კეთილი. ვნახოთ, რამეს გავახერხებ. — შტაინერმა ფურცელი გულდასმით დაკეცა და ჯიბეში შეინახა. — გულითადი მადლობა, ჩემთვის რომ გაისარჯეთ, ჩერნიკოვ!

— რას ამბობთ, გეთაყვა! — რუსმა პროტესტის ნიშნად ხელები ასწია. — რითაც შეგვიძლია, ერთმანეთს უნდა დავეხმაროთ. ყოველი

ჩვენთაგანი ხომ ნებისმიერ დროს შეიძლება აღმოჩნდეს ამგვარ მდგომარეობაში.

— მართალია. — შტაინერი წამოდგა. — მე ისევ აქ მოგიბრუნდებით და შედეგებს შევატყობინებთ.

— კეთილი. ამ დროს აქ ხშირად ვარ ხოლმე. ჭადრაკს ვთამაშობ სამხრეთ გერმანიის ჩემპიონთან. აგერ, იქ ზის ხუჭუჭთმიანი. ... ლურ დროში ეგეთ სახელოვან ოსტატთან თამაშს ვინ მაღირსებდა. — ჩერნიკოვმა გაიღიმა. — ჭადრაკი ჩემი ვნებაა.

შტაინერი თავის დაკვრით გამოემშვიდობა. მერე რამდენიმე მიძინებულ ახალგაზრდას გადააბიჯა, რომლებიც პირღია იწვნენ კედელთან, და კარისკენ გაემართა. სასამართლოს წევრის ეპშტაინის მაგიდასთან სახეგაფიქვინებული ებრაელი ქალი იჯდა. ქალს გულხელი დაეკრიბა და ისე შესცქეროდა დათაფლული ენით მოქადაგე ეპშტაინს, როგორც არასაიმედო ღმერთს. მის წინ მაგიდაზე წინასწარ მომზადებული ორმოცდაათგროშიანი იდო. ეპშტაინის ბანჯგლიანი მარცხენა ხელი მსხვერპლს ჩასაფრებული დიდი ობობასავით ესვენა ფულის ახლოს.

ქუჩაში გამოსულმა შტაინერმა ღრმად ამოისუნთქა. კაფეში დასადგურებული უსიცოცხლო, კვამლიანი და ნაღვლიანი გარემოს შემდეგ ღამის საამო სიომ ღვინოსავით დაათრო. აქედან უნდა გავაღწიო, გაიფიქრა მან, რადაც უნდა დამიჯდეს, უნდა გავაღწიო! საათზე დაიხედა. უკვე გვიან იყო, მაგრამ მაინც გადაწყვიტა შულერი მოეძებნა.

პატარა ბარი, რომელიც შულერმა თავის ძირითად სამყოფელად დაუსახელა, თითქმის ცარიელი იყო. მხოლოდ ორი გადაპრანჭული ქალიშვილი იჯდა მაღალ სკამზე ბართან ნიკელის ხარიხაზე წამოსკუპებული თუთიყუშივით.

— ფრედი აქ ხომ არ ყოფილა? — ჰკითხა შტაინერმა ბარმენს.

— ფრედი? — ბარმენმა დაკვირვებით შეხედა. — რად გინდათ ფრედი?

— „მაბაო ჩვენო" უნდა წავიკითხოთ ერთად, ძმობილო, სხვა რა უნდა მინდოდეს.

ბარმენი ერთხანს ფიქრობდა.

— ერთი საათია, რაც წავიდა, — უთხრა ბოლოს.

— დაბრუნდება?

— წარმოდგენა არა მაქვს.

— კეთილი. დავუცდი. ერთი არაყი დამისხით.

შტაინერმა დაახლოებით ერთი საათი იცადა. ფიქრობდა, რა გაეყიდა, რომ ფული ეშოვა. მაგრამ საბოლოო ჯამში დიდი-დიდი სამოცდაათი შილინგი გამოუდიოდა.

ქალიშვილებმა ერთი გადმოხედეს შტაინერს და ზურგი შეაქციეს, ერთხანს კიდევ ისხდნენ, მერე მაღალი ქუსლების ბაკუნით გარეთ გავიდნენ. ბარმენმა მაღალი ჭიქით კამათელი გააგორა.

— ხომ არ გვეთამაშა? — შესთავაზა შტაინერმა.

— რატომაც არა.

გააგორეს. შტაინერმა მოიგო. კიდევ ითამაშეს. შტაინერმა ორჯერ დუშაში გააგორა.

— ეტყობა, დღეს ბედი მწყალობს, — თქვა მან.

— თქვენ საერთოდ ბედი გწყალობთ, — უთხრა ბარმენმა. — ზოდიაქოს რომელი ნიშნის ქვეშ ხართ დაბადებული?

— არ ვიცი.

— ეტყობა, ლომი ხართ. უკიდურეს შემთხვევაში, თქვენ მზე ლომის ზოდიაქოში უნდა იმყოფებოდეს. ამ საქმისა ცოტა-ცოტა მოდი, ერთხელაც გავაგოროთ. ფრედი მაინც აღარ დაბრუნდება. ის ასე გვიან არასდროს მოსულა. თამაშისას ხელი რომ არ აუკანკალდეს, დროზე იძინებს.

კამათელი ერთხელაც გააგორეს. შტაინერმა კვლავ მოიგო.

— ხომ ხედავთ, — უთხრა კმაყოფილმა ბარმენმა და ხუთი შილინგი მისცა. — ეჭვი არაა, ლომი ხართ, თან ნეპტუნიც გმფარველობთ. მე ასე მგონია. რომელ თვეში დაიბადეთ?

— აგვისტოში.

— მაშასადამე ნამდვილი ლომი ყოფილხართ, წლეულს ბრწყინვალე შანსები გექნებათ!

— თუ ეგრეა, მზად ვარ ლომებით სავსე ულრან ტყეში შევიდე. — შტაინერმა ჭიქა დაცალა. — შეგიძლიათ ფრედს გადასცეთ, რომ მე აქ ვიყავი? უთხარით, შტაინერმა გიკითხათ-თქო. მე ხვალ შემოვივლი.

— კარგი.

შტაინერი პანსიონში დაბრუნდა. გზა გრძელი აღმოჩნდა. ქუჩები ცარიელი იყო. ცა ვარსკვლავებს მოეჭედა. ალაგ-ალაგ, მესრებს იქიდან აყვავებული იასამნის მძაფრი სურნელი გამოდიოდა. ღმერთო, მარი, როდემდის უნდა გაგრძელდეს ასე...

IV

კერნი ვენცელპლატცეს ახლოს მდებარე აფთიაქში შევიდა. ვიტრინაში ტუალეტის წყლის ფლაკონები შეამჩნია, რომლებსაც მამამისის ფაბრიკის ეტიკეტი ეკეთა.

— ტუალეტის წყალი „ფარ"! — კერნი ხელში ატრიალებდა ფლაკონს, რომელიც პროვიზორმა თაროდან ჩამოუღო. — საიდან გაქვთ ეს?

პროვიზორმა მხრები აიჩეჩა.

— აღარ მახსოვს. მგონი, გერმანიიდან ჩამოგვიტანეს. დიდი ხანია გვაქვს. გინდათ შეიძინოთ?

— ერთი კი არა, ექვსი...

— ექვსი?

— დიახ, ჯერჯეროობით ექვსი. შემდეგ კიდევ წავიღებ. გადასაყიდად. რა თქმა უნდა, იმედია, ფასს ჩამომიკლებთ.

პროვიზორმა გაკვირვებით შეხედა კერნს.

— ემიგრანტი ხართ? — ჰკითხა მან.

კერნმა ფლაკონი დახლზე დადო.

— იცით რა, — უპასუხა გულმოსულმა, — ეგ კითხვა ძალზე მაღიზიანებს, განსაკუთრებით, როცა სამოქალაქო პირი მისვამს. ჯიბე-

ში ბინადრობის ნებართვა მიდევს. ჯობს მითხრათ, რამდენს დამიკლებთ?

— ათ პროცენტს.

— მასხარად მიგდებთ? მე რაღა დამრჩება?

— ეგ ფლაკონები შეგიძლიათ ოცდახუთი პროცენტის დაკლებით წაიღოთ, — შესთავაზა მეორე ოთახიდან გამოსულმა აფთიაქის მეპატრონემ. — თუ ათ ცალს აიღებთ, ოცდაათ პროცენტსაც დაგიკლებთ. კმაყოფილი დავრჩები, თუ მაგ სისაძაგლეს მომაშორებთ.

— სისაძაგლეს? — კერნმა გამკიცხავი მზერა ესროლა მეპატრონეს. — ეს ხომ ბრწყინვალე ტუალეტის წყალია! ნუთუ ეს არ იცით?

აფთიაქის მეპატრონემ თითით გულგრილად გამოიფხიკა ყური.

— შესაძლოა. თუ ეგრეა, მაშინ თქვენ ოც პროცენტზეც ყაბულს უნდა იყოთ.

— ოცდაათზე შეიძლება დაგყაბულდეთ. ხარისხი აქ არაფერ შუაშია. ოცდაათს დამიკლებთ თუ ნაკლებს, ამით ტუალეტის წყლის ხარისხი არ შეიცვლება. ასე არაა?

მეპატრონემ ტუჩები მობრიცა.

— ყველა ტუალეტის წყალი ერთნაირია. ის სჯობს, რომელიც რეკლამირებულია. ეს არის მთელი საიდუმლოება.

კერნმა დაკვირვებით შეხედა.

— ამ წყალს, თუ დამიჯერებთ, დიდი ხანია რეკლამას აღარ უწევენ. მაშასადამე, ის ძალზე ცუდად უნდა ჩაითვალოს. ასე რომ, სამართლიანობა მოითხოვს, ოცდათხუთმეტი პროცენტი დამიკლოთ.

— ოცდაათი, — უპასუხა მეპატრონემ. — ხანდახან მაინც გამოუჩნდება ხოლმე მყიდველი.

— ბატონო ბურეკ, — ჩაერია პროვიზორი, — ვფიქრობ, შეგვიძლია ოცდათხუთმეტი პროცენტის ფასდაკლებით დავუთმოთ, თუ ერთბაშად თორმეტ ფლაკონს აიღებს. ამ წყლით ხომ მხოლოდ ერთი კაცია დაინტერესებული, რომელიც ხანდახან შემოივლის ხოლმე. თანაც კი არ ყიდულობს, პირიქით, მისი დამზადების რეცეპტი უნდა შემოგვასაღოს.

— რეცეპტი? ღმერთო ჩემო, ეგღა გვაკლია! — ბურეკმა სახეზე ხელები აიფარა, თითქოს თავს იცავსო.

— რეცეპტი? — კერნმა ყურები ცქვიტა. — ვინ არის ის კაცი, რომელსაც თქვენთვის რეცეპტის მოყიდვა უნდა?

პროვიზორმა გაიცინა.

— ვილაც კაცია, რომელიც გვარწმუნებს, პარფიუმერიის ფაბრიკა მქონდაო. რა თქმა უნდა, ცრუობს. ემიგრანტები რას არ მოჩმახავენ ხოლმე.

კერნს წამით სუნთქვა შეეკრა.

— ხომ არ იცით, სად ცხოვრობს ის კაცი? — ჰკითხა მან.

პროვიზორმა მხრები აიჩეჩა.

— დაიცათ, სადღაც მისი მისამართი უნდა მქონდეს. ერთი ორჯერ დატოვა. რად გინდათ?

— ჩემი აზრით, მამაჩემი უნდა იყოს.

მეპატრონეს და პროვიზორს თვალები გაუფართოვდათ.

— მართლა? — ჰკითხა პროვიზორმა.

— დიახ. დარწმუნებული ვარ ისაა. დიდი ხანია ვეძებ.

— ბერტა! — გასძახა მეპატრონემ ქალს, რომელიც აფთიაქის სიღრმეში საქმიანობდა. — იმ კაცის მისამართი ხომ არა გაქვს შენახული, რომელსაც ჩვენთვის ტუალეტის წყლის რეცეპტის მოეიდვა უნდოდა?

— ვისზე მეკითხებით, ბატონ შტრანზე თუ იმ [illegible] ბერიკაცზე, აქ რომ შემოყურყუტდება ხოლმე? — გამოსძახა [illegible]

— დასწყევლოს ეშმაკმა! — აფთიაქის მეპატრონემ დარცხვენით შეხედა კერნს. — მაპატიეთ! — და აჩქარებით გავიდა მეორე ოთახში.

— ასე ხდება, როცა შენს თანამშრომელს ეკურკურები, — უტიფარი ღიმილით აუხსნა პროვიზორმა კერნს.

მალე აქოშინებულმა მეპატრონემ ფურცელი შემოიტანა.

— აი მისამართი. ის ბატონი კერნი ყოფილა, ზიგმუნდ კერნი.

— მამაჩემია.

— მართლა? — მეპატრონემ ფურცელი კერნს მიაწოდა.

— აქ მისამართი წერია. ის ჩვენთან ბოლოს სამი კვირის წინ იყო. ბოდიშს გიხდით წელანდელი გამონათქვამისთვის. ხომ იცით...

— არა უშავს. მე ახლა უნდა წავიდე. ფლაკონებს მერე წავიღებ.

— რა თქმა უნდა! რა საჩქაროა!

სახლი, სადაც სავარაუდოდ კერნის მამას უნდა ეცხოვრა, დახურული ბაზრის მახლობელ ქუჩაზე იდგა. დახავსებულ, ჩაბნელებულ კიბეზე ნესტისა და მუავე კომბოსტოს სუნი იგრძნობოდა. კერნი ნელა შეუყვა კიბეს. უცნაური იყო, მაგრამ რატომღაც ეშინოდა ამდენი ხნის უნახავ მამასთან შეხვედრა — იგი უკვე შეგუებული იყო აზრს, რომ კარგის იმედი აღარ უნდა ჰქონოდა. მეოთხე სართულზე დარეკა. მალე კარს იქით რაღაც გაფაჩუნდა. სათვალთვალო ხვრელის მუყაოს საფარი გვერდზე გაიწია. კერნმა შავი თვალი დაინახა, რომელიც მას უყურებდა.

— ვინ არის? — ბუზღუნით იკითხა ქალის ხმამ.

— ერთი კაცი მინდოდა მენახა, რომელიც აქ ცხოვრობს, — უპასუხა კერნმა.

— აქ არავინ ცხოვრობს.

— როგორ თუ არავინ! თქვენ ხომ ცხოვრობთ აქ! — კერნმა კარზე მიკრულ აბრას დახედა. — ქალბატონი მელანია ეკოვსკა, ხომ ასეა? ოღონდ მე თქვენთან კი არა, სხვასთან მინდოდა დალაპარაკება.

— მაინც ვისთან?

— ერთ კაცს მინდა დაველაპარაკო, რომელიც აქ ცხოვრობს.

— აქ საერთოდ არ ცხოვრობს კაცი.

კერნი შავ, მრგვალ თვალს დააკვირდა. შეიძლება ასეც იყო და მამამისს დიდი ხანია მისამართი გამოეცვალა. უცბად საშინელი სიცარიელე და იმედგაცრუება იგრძნო.

— რა გვარია ის კაცი? — ჰკითხა კარს იქიდან ქალმა.

იმედმოცემულმა კერნმა თავი ასწია.

— ამას მთელი სახლის გასაგონად ხომ ვერ ვიყვირებ. კარი გამიღეთ და გეტყვით.

სათვალთვალო ხვრელში თვალი გაქრა. ჯაჭვმა გაიჩხაკუნა. ნამდვილი ციხესიმაგრეა, გაიფიქრა კერნმა. დარწმუნებული იყო, მამამისი ისევ აქ ცხოვრობდა. ასე რომ არ ყოფილიყო, ქალი არაფერს შეეკითხებოდა.

კარი გაიღო. ფართო სახიანმა, ლოყებლაჟდაჟა, ბრგე ჩეხელი კერნი თავიდან ფეხებამდე შეათვალიერა.

— მე ბატონ კერნთან დალაპარაკება მინდოდა.

— კერნი? არ ვიცნობ. აქ არ ცხოვრობს.

— ბატონი ზიგმუნდ კერნი. მე ლუდვიგ კერნი ვარ.

— მართლა? — ქალი ეჭვიანად უყურებდა. — ეგ ხომ ყველას შეუძლია თქვას.

კერნმა ჯიბიდან ბინადრობის ნებართვა ამოიღო.

— აი, გეთაყვა, ჩემი საბუთი ნახეთ. სახელი შეცდომით სხვა წერია, მაგრამ დანარჩენი სწორია.

ქალმა საბუთი გულდასმით წაიკითხა, რასაც კარგა ხანი მოუნდა. მერე კერნს დაუბრუნა.

— ნათესავი ხართ?

— დიახ. — კერნმა მეტის თქმისაგან რატომღაც თავი შეიკავა. ახლა მას ეჭვი არ ეპარებოდა, რომ მამამისი აქ იყო.

ქალი ყოყმანობდა.

— აქ არ ცხოვრობს, — მოკლედ მოუჭრა ბოლოს.

— კეთილი, — უთხრა კერნმა. — მაშინ მე გეტყვით, სად ვცხოვრობ: სასტუმრო „ბრისტოლში". აქ კიდევ ორიოდე დღე დავრჩები. მინდოდა გამგზავრებამდე ბატონ ზიგმუნდ კერნს დავლაპარაკებოდი. რაღაც უნდა გადავცე, — დაურთო მან და მრავლისმეტყველად შეხედა ქალს.

— მართლა?

— დიახ. მაშ ასე: სასტუმრო „ბრისტოლი", ლუდვიგ კერნი. ღამე მშვიდობისა.

კერნი კიბეს ჩაუყვა. ღმერთო ჩემო, გაიფიქრა მან, ნამდვილი ცერბერივით დარაჯობს მამაჩემს! თუმცა ისევ დარაჯობა სჯობს გაცემას.

კერნი აფთიაქში დაბრუნდა. მეპატრონე მისკენ გამოემართა.

— ნახეთ მამათქვენი? — სახეზე დაუფარავი ცნობისმოყვარეობა ეწერა. ეტყობა, მისი ცხოვრება სენსაციებით ღარიბი იყო.

— ჯერ ვერა, — თავადაც რომ არ ელოდა, ისე ბოღმიანად მიუგო კერნმა, — მაგრამ იქ ცხოვრობს. შინ არ დამხვდა.

— საკვირველია! რა არ ხდება ამქვეყნად!

მეპატრონე იდაყვებით დახლს დაეყრდნო და ცხოვრებისეულ მოულოდნელობებსა თუ უცნაურობებზე სასაუბროდ მოემზადა.

— ჩვენთვის, ემიგრანტებისთვის, საკვირველი არაფერია, — უთხრა კერნმა. — ჩვენთვის ნებისმიერი უცნაური მდგომარეობა ნორმალური მდგომარეობაა. ჰა, როგორ შევთანხმდეთ ტუალეტის წყალზე? ახლა მხოლოდ ექვსი ფლაკონი შემიძლია შევიძინო. ამჟამად მეტის ფული არ გამაჩნია. რამდენს დამიკლებთ?

მეპატრონე წამით ჩაფიქრდა.

— ოცდათხუთმეტ პროცენტს, — დიდსულოვნად განუცხადა მერე. — ასეთი ამბავი ხომ ყოველდღე არ ხდება.

— ძალიან კარგი.

კერნმა საფასური გადაიხადა. პროვიზორმა ფლაკონები შეუხვია. ქალი, რომელსაც ბერტა ერქვა, მათთან გამოვიდა, რომელიც ახალგაზრდა კაცს გასცნობოდა, მამა რომ იპოვა. აღელვებულ-აღფრთოვანებული ამოძრავებდა, თითქოს რაღაცას ღეჭავსო.

— იცით, რას გეტყვით, — მიმართა მეპატრონემ კერნს, — ეს ტუალეტის წყალი ძალზე კარგი ხარისხისაა, ნამდვილად ძალზე კარგი.

— მადლობას მოგახსენებთ. — კერნმა პაკეტი ამოიიღლიავა. — იმედი მაქვს მალე კვლავ გეწვევით და დანარჩენსაც წავიღებ.

კერნი სასტუმროში დაბრუნდა. თავის ოთახში შესვლისთანავე პაკეტი გახსნა და ორი ფლაკონი ტუალეტის წყალი რამდენიმე ნაჭერ საპონთან და ორიოდე შუშა იაფფასიან სუნამოსთან ერთად პორტფელში ჩაალაგა. უნდოდა დაუყოვნებლივ ეცადა ბედი — ეგებ რამე გაეყიდა.

დერეფანში გასასვლელად კარი რომ გამოაღო, მეზობელი ოთახიდან გამომავალი საშუალო სიმაღლის ქალიშვილი დაინახა, რომელსაც ღია ფერის კაბა ეცვა და იღლიაში წიგნების შეკვრა ამოეჩარა. თავდაპირველად კერნს მისთვის ყურადღება არ მიუქცევია. იმაზე ფიქრობდა, თუ რა ფასად გაეყიდა ტუალეტის წყალი. უცბად გონს მოეგო: ქალიშვილი ხომ იმ ოთახიდან გამოვიდა, სადაც კერნი ღამით შეცდომით შევიდა. კერნი შეცბა. შეეშინდა, ვაითუ ქალიშვილმა მიცნოსო.

ქალიშვილს მისკენ არც მიუხედავს, ისე ჩაუყვა კიბეს. კერნმა ერთხანს დააყოვნა, მერე დერეფანი სწრაფად გაიარა. უეცრად ძალზე მოუნდა ენახა, როგორი სახე ჰქონდა ქალიშვილს. კიბე ჩაირბინა და მიიხედ-მოიხედა. ქალიშვილი არსად ჩანდა. კერნი გარეთ გავიდა და თვალი მოავლო ქუჩას. დამტვერილი ქუჩა ცარიელი იყო. მხოლოდ ორი ნაგაზი ულრენდა ერთმანეთს.

კერნი სასტუმროში დაბრუნდა.

— ახლახან არავინ გასულა გარეთ? — ჰკითხა კარისკაცს, რომელიც ამავე დროს კელნერისა და შიკრიკის მოვალეობასაც ასრულებდა.

— თქვენ გარდა არავინ! — მიუგო კარისკაცმა და მომლოდინედ შეაცქერდა სახეში, თითქოს ელოდა, როდის აუტყდებოდა ხარხარი კერნს მის ანგლობაზე.

კერნს არ ეცინებოდა.

— მე ქალიშვილზე გეკითხებით, — აუხსნა კერნმა. — ახალგაზრდა ქალბატონზე.

— აქ ქალბატონები არ ცხოვრობენ, — წაიბუზღუნა კარისკაცმა. ნაწყენი დარჩა, ანგლობა რომ გაუცუდდა. — აქ მხოლოდ ქალები არიან.

— ესე იგი, გარეთ არავინ გასულა?

— თქვენ რა, პოლიციიდან ხართ, ასე რომ იძიებთ? — ახლა კარისკაცი აშკარად მტრულად განეწყო.

კერნმა გაკვირვებით შეხედა. კარისკაცის გალიზიანების მიზეზს ვერ ხვდებოდა. მისი ანგლობა საერთოდ არ შეუმჩნევია. ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო და კარისკაცს მოწევა შესთავაზა.

— გმადლობთ, — ცივად იუარა კარისკაცმა. — მე უკეთეს მარკას ვეწევი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეჭვიც არ მეპარება.

კერნმა სიგარეტი შეინახა. ერთხანს იდგა და ფიქრობდა. როგორც ჩანს, ქალიშვილი სასტუმროდან არ გასულა. ალბათ ჰოლში დარჩა. კერნი უკან გაბრუნდა.

გრძელი, ვიწრო ჰოლი ცემენტდასხმულ ტერასაზე გადიოდა. იქიდან ბალში ჩასასვლელი იყო, სადაც იასამნის ორიოდე ბუჩქი იდგა.

კერნმა შინიან კარში გაიხედა. ქალიშვილი იჯდა, იდაყვები მაგიდაზე დაეყრდნო და კითხულობდა. ჰოლში სხვა არავინ იყო. კერნი სურვილს ვერ მოერია, კარი შეაღო და შევიდა. კარის ხმაურზე ქალიშვილმა მოიხედა. კერნი დაიბნა.

— საღამო მშვიდობისა, — მორიდებულად მიმართა ქალიშვილს.

ქალიშვილმა შეხედა, თავი დაუქნია და კითხვა განაგრძო.

კერნი კუთხეში დაჯდა. მცირე ხანში ადგა და გაზეთები აიღო. უცბად წარმოიდგინა, რა სასაცილოდ გამოიყურებოდა და ინანა, ნეტავ არ შემოვსულიყავიო. მაგრამ ახლა არ იფარგებდა, რომ ნაჩქარევად წამომდგარიყო და გარეთ გასულიყო. კერნმა გაზეთები გაშალა და თვალიერებას შეუდგა. მერე დაინახა, რომ ქალიშვილმა ხელჩანთა გახსნა, ვერცხლის პორტსიგარი ამოიღო და ტკაცუნით გააღო. მაგრამ სიგარეტი არ ამოულია. პორტსიგარი ისევ ტკაცუნით დახურა და ჩანთაში ჩადო.

კერნმა გაზეთები სწრაფად მიჯარა გვერდზე და წამოდგა.

— როგორც ჩანს, სიგარეტის წამოღება დაგვიწყნიათ, — უთხრა მან ქალიშვილს. — ნება მომეცით შემოგთავაზოთ.

კერნმა ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო. რას არ გაიღებდა, ახლა რომ ხელში პორტსიგარი ჰქონოდა. დასრესილი სიგარეტის კოლოფი ქალიშვილს მიაწოდა.

— თუმცა არ ვიცი, ასეთი ხარისხისას თუ მოსწევთ. კარისკაცმა ახლახან დამიწუნა. ხარისხი არ მოეწონა.

ქალიშვილმა სიგარეტის ეტიკეტს დახედა.

— მეც სწორედ მაგას ვეწევი. — უთხრა მან.

კერნმა გაიცინა.

— ეს ყველაზე იაფია. ამ აღიარებით თითქმის მთელი ჩვენი ცხოვრება წინ გადავუშალეთ ერთმანეთს.

ქალიშვილი დაკვირვებით შეაცქერდა.

— მე თუ მკითხავთ, ჩვენი სასტუმრო ისედაც მკაფიოდ მეტყველებს ამაზე.

— მართალი ხართ.

კერნმა ასანთი აანთო და ქალიშვილს სიგარეტი მოაკიდებინა. წითელმა სუსტმა შუქმა ხორბლისფერი მოგრძო სახე გაანათა. ქალიშვილს სქელი, შავი წარბები, დიდრონი, სხივიანი თვალები და სავსე, ამობურ-

ცული ტუჩები ჰქონდა. კერნმა ვერ დაადგინა, ლამაზი იყო თუ არა ქალიშვილი, მოსწონდა თუ არა იგი. მაგრამ რალაცნაირი შორეული სიახლოვის ნეტარი გრძნობა დაეუფლა, ალბათ იმის გამო, რომ ქალიშვილის მკერდზე უნებლიეთ მოუხვდა ხელი ჯერ კიდევ მაშინ, სანამ ერთმანეთს გაიცნობდნენ. კერნმა ქალიშვილის სუნთქვა [illegible], თუმცა იცოდა სულელურად იქცეოდა, ხელები უცებ ჩამალა [illegible]

— დიდი ხანია ემიგრაციაში ხართ? — ჰკითხა ქალიშვილს.

— ორი თვეა.

— არ ყოფილა დიდი ხანი.

— რას ამბობთ, ეს უსასრულობაა.

კერნმა გაკვირვებით შეხედა ქალიშვილს.

— მართალი ხართ, — დაეთანხმა მერე. — ორი წელიწადი ცოტა დროა, ორი თვე კი უსასრულობაა. თუმცა ამას ერთი უპირატესობა გააჩნია: რაც უფრო მეტი წელი და თვე გავა, დროც უფრო სწრაფად გაიქროლებს.

— როგორ გგონიათ, კიდევ დიდხანს გასტანს ასე?

— არ ვიცი. ვცდილობ ამაზე ალარ ვიფიქრო.

— მე კი სულ ამაზე ვფიქრობ.

— მეც ეგრე ვიქცეოდი ემიგრაციაში ყოფნის პირველ თვეებში.

ქალიშვილი ფიქრებში ჩაეფლო. სიგარეტს ღრმა ნაფაზით ეწეოდა. კერნი თვალს ვერ აცილებდა მის სქელ, ოდნავ დატალღულ თმას, ჩარჩოსავით რომ შემორტყმოდა სახეზე. უნდოდა რალაც ბრძნული, რალაც საინტერესო ეთქვა, მაგრამ თავში არაფერი მოსდიოდა. შეეცადა გაეხსენებინა, როგორ მოიქცეოდნენ მსგავს ვითარებაში წაკითხული წიგნების გმირები მაღალი საზოგადოებიდან, მაგრამ მეხსიერება დაშრეტოდა. ეგეც არ იყოს, ის გმირები ხომ არასოდეს მოხვედრილან პრალის ემიგრანტულ სასტუმროში.

— არ გიჭირთ სიბნელეში კითხვა? — ჰკითხა ბოლოს ქალიშვილს.

ქალიშვილი შეკრთა, თითქოს დავიწყნოდა, სად იყო. მერე წიგნი დახურა.

— არა, მაგრამ კითხვა მომწყინდა. აზრი არა აქვს.

— არა, რატომ. ხანდახან კარგია გულის გადასაყოლებლად. — უთხრა კერნმა. — როცა ხელში კრიმინალური რომანი ჩამივარდება, სულმოუთქმელად წავიკითხავ ხოლმე.

ქალიშვილმა ოდნავ გაიღიმა.

— ეს კრიმინალური რომანი არაა, ორგანული ქიმიის სახელმძღვანელოა.

— რას ამბობთ! უნივერსიტეტში სწავლობთ?

— დიახ, ვიურცბურგში.

— მე კი ლაიფციგში. მეც თავდაპირველად თან დამქონდა სახელმძღვანელოები. არ მინდოდა ცოდნა დამეკარგა. მოგვიანებით წიგნები გავყიდე. მძიმე სატარებელი იყო. მათში აღებული ფულით ტუალეტის წყალი და საპონი ვიყიდე გადასაყიდად. ახლა ამით ვარსებობ.

ქალიშვილმა დაბნეულად შეხედა.

— ვერ ვიტყოდი, რომ თქვენმა ნათქვამმა გამამხნევა.

— არ მინდოდა თქვენთვის გული გამეტეხა, — აჩქარებით მოუბოდიშა კერნმა. — ჩემი მდგომარეობა სხვანაირი იყო. მე საბუთი არ გამაჩნდა, თქვენ კი ალბათ პასპორტი გექნებათ.

ქალიშვილმა თავი დაუქნია.

— პასპორტი კი მაქვს, მაგრამ ექვს კვირაში გაუდის ვადა.

— ეგ არაფერია. შემდეგ ალბათ გაგიგრძელებენ.

— არა მგონია.

ქალიშვილი წამოდგა.

— კიდევ ხომ არ მოსწევთ? — ჰკითხა კერნმა.

— გმადლობთ, არა. ისედაც ბევრს ვეწევი.

— ვილაცამ თქვა, ერთი სიგარეტი საჭირო დროს ნებისმიერ იდეალს სჯობსო.

— მართალია. — ქალიშვილმა გაიღიმა და უეცრად კერნს ძალზე ლამაზი ეჩვენა. კერნი ყველაფერს გაიღებდა, ოღონდ მასთან საუბრის გაგრძლობის საშუალება მისცემოდა. მაგრამ არ იცოდა, რა ექნა, როგორ შეეჩერებინა იგი.

— თუ რამეთი შემიძლია დაგეხმაროთ, — აჩქარებით უთხრა მან, — ამას დიდი სიამოვნებით გავაკეთებ. პრაღას კარგად ვიცნობ. აქ უკვე ორჯერ ვარ ნამყოფი. მე ლუდვიგ კერნი მქვია. ჩემი ოთახი თქვენი ოთახის მეზობლად, მარჯვნივ არის.

ქალიშვილმა ალმაცერად შეავლო თვალი და კერნს მოეჩვენა, თავი გავეცინო. მაგრამ ქალიშვილმა ალალად გაუწოდა ხელი. კერნმა მისი მტაცეცე ხელმოჭერა იგრძნო.

— სიამოვნებით მოგმართავთ, თუ რამე დამჭირდა, — უპასუხა ქალიშვილმა. — დიდად გმადლობთ.

ქალიშვილმა მაგიდიდან წიგნები აკრიფა და კიბისკენ გაემართა. კერნი ერთხანს დარჩა ჰოლში. უცბად ყველაფერი მოაგონდა, რაც ქალიშვილისთვის უნდა ეთქვა.

— ერთხელაც გავიმეოროთ, შტაინერ, — უთხრა შულერმა. — ლმერთია მოწმე, თავად რომ გამოვდიოდე ჟოკეი კლუბში, ისე არ ვინერვიულებდი, როგორც ვნერვიულობ თქვენს დებიუტზე ლუდსანაში.

ისინი ბარში ისხდნენ. ფრედი გენერალურ გამოცდას უტარებდა შტაინერს. დასაწყისისათვის ფრედი დაბალი რანგის შულერებთან სათამაშოდ უშვებდა შტაინერს გადალმა მდებარე სამიკიტნოში. ფულის შოვნის ერთადერთ გზას შტაინერი ამაში ხედავდა, თუ, რა თქმა უნდა, ქურდობას ან ყაჩაღობას არ მიჰყოფდა ხელს.

ნახევარი საათი კიდევ წაივარჯიშეს ტუზების ფანდზე. ბოლოს კმაყოფილი ჯიბგირი წამოდგა. ის სმოკინგში იყო გამოწყობილი.

— ჩემი წასვლის დროა. ოპერაში მივდივარ პრემიერაზე. დღეს ლემანი მღერის. ნამდვილი დიდი ხელოვნება ხელს გვიწყობს ჩვენს საქმიანობაში. ამ დროს ადამიანს ყურადღება სხვა რამეზე აქვს გადატანილი. გასაგებია, არა? — მან შტაინერს ხელი გაუწოდა. — მოიცა... ახლა გამახსენდა. ფული რამდენი გაქვთ?

— ოცდათორმეტი შილინგი.

— ძალზე ცოტაა. მამაძაღლებმა ბლომა ფული თუ არ დაინახეს, ისე ანკესზე არ წამოეგებიან. — შულერმა ჯიბიდან ასშილინგიანი ბანკნოტი ამოიღო და შტაინერს გაუწოდა. — აიღეთ, ამით ყავის ხარჯი გაისტუმრეთ. ფულს რომ დაინახავენ, თავად მოგაკითხავენ. ჩემი ვალი ბარმენთან დატოვეთ. ერთიც დაიხსომეთ: დიდხანს [illegible] შოთ და, როცა ოთხი ქალი მოგივათ, ყურადღებით იყავით! [illegible] ხელი მოგიმართოთ!

შტაინერმა ფული გამოართვა.

— თუ წავაგე, ვალს ვერ დაგიბრუნებთ.

ჯიბგირმა მხრები აიჩეჩა.

— ჯანდაბას, ქარსაც წაუღია. ხელოვნების ხარკად ჩათვალეთ. მაგრამ თქვენ არ წააგებთ. მე კარგად ვიცნობ მაგათ. მხოლოდ გაუთლელი გლეხუჭების გამოჭერა შეუძლიათ. დაბალი კლასისა არიან. ჰა, ხომ არ ნერვიულობთ?

— არა მგონია.

— ეგეც არ იყოს, თქვენ ერთი უპირატესობაც გაქვთ: მათ არ იციან, რომ თქვენც რაღაც გაგეგებათ კარტის თამაშში. სანამ ამას შეამჩნევენ, მახეში გაბმული გეყოლებათ და თავს ველარ დაიძვრენენ. აბა, კარგად.

— კარგად იყავით.

შტაინერი სამიკიტნოსკენ გაემართა. გზად გაიფიქრა, რა უცნაურია ცხოვრება, სხვა არავინ იმის მეოთხედ ფულსაც არ მანდობდა, რაც შულერმა მომცა უყოყმანოდ. მადლობა ღმერთს, რომ ხანდახან ასე უმართლებსო კაცს.

სამიკიტნოს წინა ოთახში ტაროკის თამაში გაეხურებინათ. შტაინერი ფანჯარასთან დაჯდა და შნაპსი შეუკვეთა. ჯიბიდან აუჩქარებლად ამოიღო საფულე, რომელშიც წინასწარ ქაღალდები ჩატენა, რათა უფრო სქელი გამოჩენილიყო, და ხარჯი ასშილინგიანით გაისტუმრა.

წუთსაც არ გაევლო, ერთი ხმელი კაცი მაგიდასთან მიუჯდა და პოკერის თამაში შესთავაზა. შტაინერმა უხალისოდ იუარა. მაგრამ უცნობი არ ეშვებოდა.

— არ მცალია, — განუცხადა შტაინერმა. — დიდი-დიდი ნახევარი საათი დრო მქონდეს, ეს კი თამაშისთვის ცოტაა.

— რას ამბობთ, რას ამბობთ! — გაიღიმა ხმელმა კაცმა და დაჭიანებული კბილები გამოაჩინა. — ნახევარ საათში ზოგი ბედს ეწევა ხოლმე, მეგობარო!

შტაინერმა დანარჩენი ორი პარტნიორი შეათვალიერა, რომლებიც გვერდით მაგიდას უსხდნენ. ერთს მსუქანი სახე და მელოტი თავი ჰქონდა, მეორეს — შავი ბანჯგვლიანი ხელები და დიდი ცხვირი. ისინი გულგრილად უყურებდნენ მას.

— კარგით, ოღონდ მხოლოდ ნახევარი საათი, — ვითომდა ყოყმანობდა შტაინერი. — რაც არის, არის, ბედსა ვცდი.

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, — აცმუკდა ხმელი კაცი.

— და როცა მინდა, შემიძლია თამაშიდან გავიდე?

— ნამდვილად, მეგობარო, ნამდვილად!

— მოგებულიც რომ ვიყო?

სქელმა ტუჩები ოდნავ მობრიცა და შავგვრემანს გადახედა: ნახე, რა გორსალა ჩაგვივარდა ხელშიო.

— სწორედ მაშინ უნდა გახვიდეთ თამაშიდან, მეგობარო, — სიხარულით აკიკინდა ხმელი კაცი.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

შტაინერი მათთან დაჯდა. სქელმა კარტი აურია და დაარიგა. შტაინერმა რამდენიმე შილინგი მოიგო. როცა მისი დარიგების რიგი მოვიდა, კარტის კიდეები მოსინჯა და ოდნავ გამოსწია, რომლებიც ეეჭვა. მერე კელნერი მოიხმო, სლივოვიცა შეუკვეთა და შეამჩნია, რომ მოჭრილი დასტის ზედა კარტების ქვეშ მოქცეული იყო ოთხი მეფე. ოთხივეს კუთხე ოდნავ ჩამოჭრილი ჰქონდა. კარტი კვლავ აურია და დაარიგა.

თხუთმეტიოდე წუთში ოცდაათამდე შილინგი მოიგო.

— ძალზე კარგია, ძალზე კარგი! — კიკინებდა ხმელი. — ფსონი ხომ არ გაგვეზარდა?

შტაინერმა თავი დაუქნია. ფსონის გაზრდის შემდეგ ჯერზეც მოიგო. ამასობაში სქელის დარიგების რიგმა მოაწია. სქელს პატარა, ფუნთუშა ხელები ჰქონდა, კარტის ფანდისთვის სრულიად უვარგისი, თუმცა ის გაწაფულად არიგებდა კარტს. შტაინერმა თავის კარტში ჩაიხედა — სამი ქალი აღმოაჩნდა.

— რამდენი? — ჰკითხა სქელმა. თან ნერვიულად ღეჭდა სიგარას.

— ოთხი, — უპასუხა შტაინერმა.

სქელი შეცბა. წესით შტაინერს მხოლოდ ორი კარტის გამოცვლა უნდა მოეთხოვა. სქელმა ოთხი კარტი მიუთვალა. შტაინერმა შეამოწმა და პირველივე კარტი ქალი აღმოჩნდა — ის, რომელიც მას აკლდა. ახლა, კიდევაც რომ მოენდომებინა, ვერავითარ კომბინაციას ველარ მოახერხებდა. კარტი მაგიდაზე დაყარა და დაურთო:

— წყეულიმც იყოს! მივქარე!

მოთამაშეებმა ერთმანეთს გადახედეს და პასი გამოაცხადეს. შტაინერს ესმოდა, რამე უნდა მოემოქმედნა, როცა მისი დარიგების ჯერი მოვიდოდა, რადგან მისი შანსი ამ დროს ერთი მასთან იყო. სწრაფად უნდა გარჯილიყო, ვიდრე მოთამაშეები რამეს მიხვდებოდნენ.

შტაინერმა ტუზების ფანდი გამოიყენა, ოღონდ გამარტივებული სახით. ხმელი ეთამაშა და წააგო. შტაინერმა საათს დახედა.

— ჩემი წასვლის დროა. ბოლო წრე დავარიგოთ.

— ნუ ჩქარობთ, მეგობარო! — დაიკიკინა ხმელმა. მისი ორი მეგობარი დუმდა.

შემდეგ ჯერზე შტაინერს თავიდანვე ოთხი ქალი აღმოაჩნდა ხელზე. მან მხოლოდ ერთი კარტი მოითხოვა, — ცხრიანი ერგო. ბანჯგვლიანმა შავმა კაცმა ორი კარტი მოითხოვა. შტაინერმა შეამჩნია, ხმელმა ხელის მარდი მოძრაობით როგორ გამოუძვრინა დასტის ქვემოდან ორი კარტი. შტაინერი ყველაფერს მიხვდა, მაგრამ მაინც ოც შილინგამდე ივაჭრა და მერე დანებდა. შავმა გაკვირვებით შეავლო თვალი და ბანკი აიღო.

— რა კარტი გქონდათ? — დაიკიკინა ხმელმა და შტაინერის კარტი სწრაფად გადააბრუნა. — ოთხი ქალი! და თქვენ პასი თქვით!

ღმერთო მწყალობელო! თქვენ ხომ შეგეძლოთ ყველაფერი მოგეგოთ! თქვენ კი რა გქონდათ? — მიუბრუნდა შავს.

— სამი მეფე, — უპასუხა შავმა და სახე გვერდზე მოქცა.

— ხომ ხედავთ! ხომ ხედავთ! თქვენ მოგება შეგეძლოთ, მეგობარო!

— შევცდი, — თავი იმართლა შტაინერმა. — შეგეშალა, მხოლოდ სამი ქალი მყავდა. ერთი ქალი ვალეტში ამერია.

— რა არ ხდება!

შავმა დაარიგა. შტაინერს სამი მეფე შეხვდა და ზედ მეოთხეც მიაყიდა. მან თხუთმეტ შილინგამდე ივაჭრა და შემდეგ პასი გამოაცხადა. ხმელმა რაღაცნაირი სრუტუნით შეიწოვა ჰაერი. შტაინერი ოთხმოცდაათ შილინგს იყო მოგებას. კიდევ ორი დარიგება რჩებოდა.

— რა კარტი გქონდათ, მეგობარო?

ხმელმა სწრაფად სცადა კარტი გადაებრუნებინა. შტაინერმა ხელი აუკრა.

— ეს რა, აქ მოდაშია? — ჰკითხა შტაინერმა.

— ბოდიშს მოგიხდით. რა ვქნა, ძალზე ცნობისმოყვარე ვარ.

მომდევნო წრეში შტაინერმა რვა შილინგი წააგო. მეტზე არ წავიდა. მერე მისი რიგი მოვიდა. კარტი აურია. ძალზე ყურადღებით იყო და მოახერხა ოთხი მეფე დასტის ქვემოდან ამოედო, რათა ისინი სქელისთვის დაერიგებინა, ფანდი გამოუვიდა. შავმა მისი ჩათრევის მიზნით თამაშის სურვილი გამოთქვა. სქელმა ერთი კარტი მოითხოვა. შტაინერმა ბოლო მეოთხე მეფეც შეუცურა. სქელმა დაიქსუტუნა და მრავლისმეტყველად გადახედა კომპანიონებს. შტაინერმა ეს მომენტი ტუზების ფანდისთვის გამოიყენა. თავისი სამი კარტი გამოცვალა და დანარჩენი ორი ტუზი მიაყიდა. რომლებიც დასტის ზემოდან ედო.

ვაჭრობა სქელმა დაიწყო. შტაინერმა თავისი კარტი მაგიდაზე დადო და ყოყმანით აჰყვა. შავმა თანხა გაორმაგა. ის ას ათ შილინგზე თამაშიდან გავიდა. სქელმა ფსონი ას ორმოცდაათამდე აიყვანა. შტაინერმა მხარი აუბა, თუმცა ბოლომდე თავდაჯერებული არ იყო. იცოდა, სქელს ახლა ოთხი მეფე ჰყავდა. მის მეხუთე კარტზე კი წარმოდგენა არ ჰქონდა. ის რომ ჯოკერი აღმოჩენილიყო, შტაინერი წაგებული დარჩებოდა. ხმელი ცქმუტავდა.

— შეიძლება ვნახო? — და შტაინერის კარტს წაეტანა.

— არა, — შტაინერმა კარტს ხელი დაადო. მას უკვირდა ხმელის გულუბრყვილო უტიფრობა. ხმელს მაგიდის ქვეშ ფეხის მსუბუქი შეხებით შეეძლო სქელისთვის ეცნობებინა, რა კარტი ეჭირა შტაინერს.

სქელი შეყოყმანდა. შტაინერი მანამდე ძალზე ფრთხილად თამაშობდა, მაგრამ ახლა უთუოდ მაგარი კარტი ჰქონდა და რაკი სქელს გაუბედაობა შეატყო, ფსონი მკვეთრად გაადიდა. სქელი ას ოთხმოც შილინგზე შეჩერდა. მან მაგიდაზე ოთხი მეფე დააწყო. შტაინერმა შვებით ამოისუნთქა და თავისი ოთხი ტუზი უჩვენა.

ხმელს სტვენა აღმოხდა. ოთახში ღრმა სიჩუმე ჩამოწვა. შტაინერმა ფული ჯიბეში ჩაიდო.

— ერთი წრე კიდევ უნდა ვითამაშოთ, — მკაცრად გამოაცხადა შავმა.

— ძალზე ვწუხვარ, არ გამოვა, — თქვა შტაინერმა.

— ერთი წრე კიდევ უნდა ვითამაშოთ, — გაიმეორა შავმა და ნიკაპი წინ გამოწია.

შტაინერი წამოდგა.

— სხვა დროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი დახლთან მივიდა და დანახარჯი გადაიხადა. მერე ერთ კეცილი ასშილინგიანი გაუწოდა ბარმენს.

— გთხოვთ, ეს ფრედს გადასცეთ.

ბარმენს გაკვირვებისგან წარბები მაღლა წაუვიდა.

— ფრედს?

— დიახ.

— კეთილი, — ბარმენი გაიღრიჭა. — მოტყუვდით, ძამიკოებო! ვირთევზას დაჭერას აპირებდით და ზვიგენს კი გადაეყარეთ.

სამი პარტნიორი კართან დადგა.

— ერთი წრე კიდევ უნდა ვითამაშოთ, — თქვა შავმა და გზა გადაუღობა.

შტაინერმა თვალი გაუსწორა.

— ასე არ გამოვა, მეგობარო, — კიკინებდა ხმელი. — არ გამოვა, სერ!

— ერთმანეთის მოტყუება რა საკადრისია, — თქვა შტაინერმა. — ომი ომია. კაცი ზოგჯერ წაგებასაც უნდა შეურიგდეს.

— მხოლოდ არა ჩვენ, — უთხრა შავმა. — ერთ წრეს კიდევ ვითამაშებთ.

— ან დაგვიბრუნეთ ის, რაც მოგვიგეთ, — დაურთო სქელმა.

შტაინერმა თავი გააქნია:

— ჩვენ პატიოსნად ვთამაშობდით, — თქვა მან ირონიული ღიმილით. — თქვენ იცოდით, რა გინდოდათ, და მეც ვიცოდი, რაც მინდოდა. კარგად იყავით!

შტაინერმა შავსა და თხელს შორის გავლა დააპირა, თანაც შავს დაბერილი კუნთები მოუსინჯა.

ამასობაში საქმეში ბარმენი ჩაერია.

— ჩემს რესტორანში აყალმაყალის უფლებას არ მოგცემთ, ბატონებო!

— არც ვაპირებ, — უთხრა შტაინერმა. — მე წასვლა მინდა.

— ჩვენც მოვდივართ, — თქვა შავმა.

ხმელი და შავი წინ წავიდნენ, მათ უკან შტაინერი მიდიოდა, ბოლოში სქელი. შტაინერმა აწონ-დაწონა: ნამდვილი საფრთხე მხოლოდ შავისგან ემუქრებოდა. ოღონდ შავი შეცდა, წინ რომ წავიდა. იმ დროს, როცა კარში გადიოდა, შტაინერმა წიხლი ჩაარტყა მუცელში უკან მომავალ სქელს და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მუშტი ეროსავით სთხლიშა კეფაში შავს. შავი კიბეზე წაბარბაცდა და ხმელს შეასკდა. შტაინერი ერთი ნახტომით გადაევლო მათ და, სანამ მოწინააღმდეგეები გონს მოვიდოდნენ, ქუჩაში გავარდა. შურდულივით მიქროდა. ეს იყო მისი ერთადერთი ხსნა — ქუჩის სიხალვათეში ხომ სამ კაცთან ვერაფერს გააწყობდა. უკნიდან ყვირილი ესმოდა. მაგრამ, როცა უკან მოიხედა, მდევარი აღარ ჩანდა. ჩანს, მეტოქეები მოულოდნელობამ დააბნია.

შტაინერმა ნაბიჯი შეანელა. მალე ხალხმრავალ ქუჩაზე გავიდა. მოდური ტანსაცმლის მაღაზიის ვიტრინასთან შეჩერდა და სარკეში თავი შეათვალიერა. აი, შე შულერო და აფერისტო, უთხრა თავის თავს გუნებაში, რას იზამ, სამაგიეროდ პასპორტის ნახევარი უკვე ჯიბეში მიდევს... საკუთარ ორეულს თავი დაუკრა და გზა გააგრძელა.

ბიბლიოთეკა

V

კერნი ებრაელთა სასაფლაოს ზღუდეზე იჯდა და ქუჩის ლამპიონის შუქზე ნავაჭრს ითვლიდა. მთელი დღე ჰაილიგენკროიცბერგის რაიონში ტრიალებდა. ამ რაიონში ღარიბები სახლობდნენ, მაგრამ კერნმა გამოცდილებით იცოდა, რომ გაჭირვებული ადამიანი გულმოწყალეა და პოლიციასაც არასოდეს გამოიძახებს. ეს დღე იღბლიანი აღმოჩნდა: ოცდათვრამეტი კრონა მოგება დარჩა. ფული გულდასმით შეინახა ჯიბეში და კედელზე მიყუდებულ, ძველ, კიდეებჩამომტვრეულ საფლავის ქვაზე წარწერის წაკითხვა სცადა.

— რაბი იზრაელ ლევი, — წარმოთქვა კერნმა. — გარდაცვალების თარიღი გაურკვეველია. ეჭვი არაა, ერთ დროს მაღალგანსწავლული პიროვნება იყავი, ახლა კი მიწად იქეცი. რას მირჩევ, ახლა როგორ მოვიქცე? ამით დავკმაყოფილდე და შინ დავბრუნდე, თუ ბედი ვცადო და სპეკულანტობა განვაგრძო, ეგებ მონაგები ორმოცდაათ მარკამდე შევავსო? — მან ჯიბიდან ხუთკრონიანი მონეტა ამოიღო. — თუმცა ეს შენ რაში გენაღვლება, მოხუცო. ასე არაა? მაშინ ემიგრანტის ბედის განმგებელს — შემთხვევას დავეკითხები: თოხანი— თავს ვანებებ, ალჩუ — ვაჭრობას განვაგრძობ.

კერნმა მონეტა ბზრიალით ააგდო ჰაერში და დასაჭერად ხელი შეუშვირა. მაგრამ მონეტა ხელიდან გაუვარდა და საფლავის ქვაზე დაეცა. კერნი საფლავის ღობეზე ვადაძვრა და ფული ფრთხილად აიღო.

— ალჩუა! შენს საფლავზე, რაბი! მაშასადამე, შენ მირჩევ ამას! აბა, წავედი! — და კერნმა ისე გამალებით მიაშურა უახლოეს სახლს, თითქოს ციხესიმაგრეზე იერიში მიაქვსო.

პირველ სართულზე კარი არავინ გააღო. კერნმა შეიცადა და კიბეს აუყვა. მეორე სართულზე გარეთ კოპწია მოსამსახურე გოგო გამოვიდა. კერნის ჩანთას რომ შეხედა, ტუჩები მოპრუწა და უსიტყვოდ მიუკეტა კარი.

კერნი მესამე სართულზე ავიდა. ორჯერ მოუხდა ზარის დარეკვა. ბოლოს კარში კაცი გამოჩნდა, რომელსაც ღილებჩახსნილი ჟილეტი ეცვა. კერნმა ლაპარაკი დაიწყო თუ არა, წამსვე აღშფოთებით შეაწყვეტინა:

— რაო? ტუალეტის წყალი? სუნამო? რა თავხედობაა! თქვენ რა, კითხვა არ იცით? როგორ მიბედავთ მე — „ანდრეა პარფიუმის“ ფირმის გენერალურ წარმომადგენელს თქვენი ნაგავი შემომთავაზოთ? წაეთრიეთ აქედან!

კაცმა კარი მიუჯახუნა. კერნმა ასანთი გაკრა და კარზე მიხრახნილ სპილენძის დაფას შეხედა. მართლაც ასე იყო: ბატონი იოზეფ შიმეკი იავად ყიდდა ბითუმად სუნამოს, ტუალეტის წყალსა და საპონს.

კერნმა საყვედურით გააქნია თავი:

— რაბი იზრაელო ლევი, რას ჰგავს ეს? ნუთუ ერთმანეთს ვერ გავუგეთ?

კერნმა მეოთხე სართულზე დარეკა. კარი ხალისიანმა, სქელმა ქალმა გაუღო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შინ შემოდით, — დანახვისთანავე შესთავაზა კერნს. — გერმანელი ხართ, არა? ლტოლვილი? შინ შემოდით!

ქალი კერნს ოთახში შეუძღვა.

— დაჯექით, — შესთავაზა ქალმა. — დაღლილი იქნებით.

— არც მაინცდამაინც.

პრალაში პირველად შესთავაზეს სკამი. კერნმა ეს იშვიათი შესაძლებლობა გამოიყენა და დაჯდა. მაპატიე, რაბი, გაიფიქრა მან, მე ავჩქარდი. მაპატიე, ჯერ მთლად ახალგაზრდა ვარ, გამოუცდელი, რაბი იზრაელო. მერე ჩანთა გახსნა. ტანსრულ დიასახლისს მკერდზე ხელები დაეკრიფა, ფეხები გაეჩაჩხა და ისე დასცქეროდა ზემოდან.

— ეს სუნამოა? — ჰკითხა მან და პატარა შუშაზე მიუთითა.

— დიახ. — კერნი ელოდა, ქალი პირველ რიგში საპნით დაინტერესდებოდა. თითქოს ძვირფასი ქვაა, შუშა ზარზეიმით ასწია მაღლა. — ესაა კერნის „ფარ“ ფირმის განთქმული სუნამო. განუმეორებელი რამაა! „ანდრეა პარფიუმის“ ნაწარმივით მთხლე როდია, რომლის წარმომადგენელიც — ბატონი შიმეკი ერთი სართულით ქვემოთ ცხოვრობს.

— რას ამბობთ...

კერნმა შუშას სახურავი მოხსნა, მერე სუნამოში შუშის წკირი ჩაყო და ქალს მსუქან ხელისგულზე წაუსვა.

— თავად ნახეთ...

ქალმა ხელისგული დაყნოსა და თავი დააქნია.

— კარგი ჩანს. მაგრამ მარტო პატარა შუშები გაქვთ?

— აგერ უფრო მოზრდილი. აი კიდევ, ოღონდ ეს მეტად დიდია და ორმოცი კრონა ღირს.

— არაფერია. დიდი სჯობს, იმას დავიტოვებ.

კერნი საკუთარ ყურებს არ უჯერებდა. წმინდა მოგება თვრამეტი კრონა რჩებოდა.

— თუ თქვენ დიდ შუშა სუნამოს აიღებთ, ერთ ნაჭერ ნუშის საპონსაც დაგიმატებთ უფასოდ, — უთხრა გახარებულმა.

— კეთილი. საპონი ყოველთვის საჭიროა.

ქალმა სუნამო და საპონი აიღო და გვერდით ოთახში გავიდა. კერნმა თავისი საქონელი კვლავ ჩანთაში ჩაალაგა. ნახევრად ღია კარში ცეცხლზე შემოდგმული ხორცის წვნიანის ოხშივარი გამოდიოდა. გადაწყვიტა, ამ საღამოს საკუთარ თავს მდიდრული ვახშმით გამასპინძლებოდა. რაც ვენცელპლატცეზე სტუდენტურ სასადილოში დადიოდა, ერთხელაც ვერ გამოძღა.

ქალი დაბრუნდა.

— მაშ ასე. დიდი მადლობა და მშვიდობით, — ალერსიანად უთხრა კერნს. — აი, ეს ბუტერბროდიც თან წაიღეთ.

— გმადლობთ, — კერნი წამოდგა და მომლოდინედ შეაცქერდა.

— რამე გნებავთ? — ჰკითხა ქალმა.

— დიახ, რა თქმა უნდა, — კერნმა გაიღიმა. — თქვენ ჩემთვის ჯერ ფული არ მოგიციათ.

— ფული? რა ფული?

— ორმოცი კრონა, — უპასუხა განცვიფრებულმა კერნმა.

— აი, თურმე რა! ანტონ! — გასძახა ქალმა მეზობელ ოთახში. — ერთი აქეთ მოდი! აქ ვილაც-ვილაცები ფულს თხოულობენ!

ოთახიდან აჭიმებიანი კაცი გამოვიდა. ულვაშზე ხელს ისვამდა და თან ილუკმებოდა. კერნმა შეამჩნია, კაცს ოფლიანი პერანგი კანტიან შარვალში ჰქონდა ჩატანებული. უცბად გულმა რეჩხი უყო.

— რა ფული? — იკითხა კაცმა და ყური გამოიქექა.

— ორმოცი კრონა, — უპასუხა კერნმა. — თუ გეძვირებათ, სუნამო დამიბრუნეთ, საპონი კი თქვენ დაიტოვეთ.

— ასე, ასე! — კაცი მიუახლოვდა. კერნს ცხვირში ამჟავებული ოფლისა და ღორის ქონის სუნი ეცა. — აქეთ მოდი, ჩემო ბიჭუნა! — იგი მეორე ოთახთან მივიდა და კარი ფართოდ გამოაღო. — იცი, ეს რა არის? — და სკამის საზურგეზე გადაფენილი მუნდირი დაანახა. — გინდა ახლა ჩავიცვა და პოლიციაში წავიდეთ?

კერნმა ნაბიჯი უკან გადადგა. წარმოიდგინა, როგორ ჩასვამდნენ ორი კვირით საპატიმროში უნებართვო ვაჭრობისათვის.

— მე ბინადრობის ნებართვა მაქვს, — რაც შეიძლებოდა გულგრილად უთხრა მან. — შემიძლია გიჩვენოთ.

— მაგას სჯობს მუშაობის ნებართვა მიჩვენოთ, — უპასუხა კაცმა და სახეში მიაშტერდა.

— სასტუმროში დამრჩა.

— მაშინ სასტუმროში გასეირნება მოგვიწევს. იქნებ ჯობია ჩავთვალოთ, რომ სუნამო გვაჩუქე?

— ეგრე იყოს. — კერნი კარისკენ შებრუნდა.

— აი, ეს ბუტერბროდი წაიღეთ თან, — უთხრა მოღიმარმა ქალმა.

— გმადლობთ, არ მჭირდება. — კერნმა კარი გამოაღო.

— უყურე შენ! ეს რა უმადური ვინმე ყოფილა!

კერნმა კარი გაიჯახუნა და კიბეზე დაეშვა. მას აღარ გაუგონია, რა ხარხარი ატყდა მისი გაქცევის შემდეგ.

— რა მაგარი ხარ, ანტონ! — იშაჭებოდა ქალი. — ნახე, როგორ მოკურცხლა? თითქოს შარვალში ბზიკი შეუძვრაო. იმ ებრაელზე სწრაფად გაიქცა, დღეს რომ გვესტუმრა. აშკარაა, პოლიციის კაპიტანი ეგონე და თავი უკვე საკანში წარმოიდგინა!

ანტონი თვითკმაყოფილად გაიღიმეა.

— მუნდირის ყველას ეშინია! თუნდაც ფოსტალიონის მუნდირისა. ჩვენც ამით ვხეირობთ. ემიგრანტები გვარიანად გვეხმარებიან. ასე არაა? — და ცოლს მკერდზე ხელი მოუთათუნა.

— კარგი სუნამოა. — ქალი ქმარს მიეხუტა. — ბევრად სჯობს ბებერი ებრაელის მიერ იმ დღეს მოტანილ ლოსიონს.

ანტონმა შარვალი ზემოთ აიქაჩა.

— მაშ, ამ სალამოს ბარაქიანად დაიპკურე და მეც გრაფის ქალთან ვიკოტრიალებ ლოგინში. ქვაბში ხორცი კიდევ დარჩა?

კერნი ქუჩაში იდგა.

— რაბი იზრაელო ლევი, — სასაფლაოსკენ საყვედურივით ... და. — თქვენ მე გამანადგურეთ. ორმოცი კრონა დამაკარგვინეთ ... ნიანად კი სულაც ორმოცდასამი. ეს ხომ ოცდათხი კრონა სუფთა ზარალია!

კერნი სასტუმროში დაბრუნდა.

— არავის ვუკითხივარ? — ჰკითხა კარისკაცს.

კარისკაცმა თავი გააქნია.

— არავის.

— ნამდვილად არავის?

— არა. არც ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტს.

— იმას არც ველოდებოდი, — უთხრა კერნმა.

კერნი კიბეს აუყვა. უკვირდა, მამამისმა ხმა რომ არ მოაწვდინა. იქნებ ის იქ მართლაც ალარ ცხოვრობდა ან ამასობაში პოლიციას ჩაუვარდა ხელში. გადაწყვიტა ორი დღე დაეცადა და მერე კვლავ სწვეოდა ფრაუ ეკოვსკას. კერნი თავის ოთახში შევიდა. იქ ის კაცი დახვდა, ღამით რომ ყვიროდა. ის გვარად რაბე იყო. კაცი ტანთ იხდიდა.

— თქვენ რა, უკვე დაწოლას აპირებთ? — გაუკვირდა კერნს. — ჯერ ხომ ცხრა საათიც არაა.

რაბემ თავი დაუქნია.

— ამაზე უფრო ჭკვიანურს ვერაფერს გავაკეთებ. თორმეტ საათამდე მაინც ვიძინებ. ეს ის დროა, როცა მუდამ მელვიძება. ისინი ბუნკერში ჩვეულებრივად შუაღამისას მოდიოდნენ ხოლმე. ორი საათი ფანჯარასთან ვიჯდები, მერე ძილის წამალს დავლევ, ასე რომ, გამოსავალი ვიპოვე.

კაცმა საწოლთან ჭიქით წყალი დაიდგა.

— იცით, ყველაზე უფრო რა მამშვიდებს, როცა ღამით ფანჯარასთან ვზივარ? ლექსებს ვიხსენებ, სკოლაში ნასწავლ ლექსებს.

— ლექსებს? — გაოცდა კერნი.

— დიახ, სულ უბრალო ლექსებს. აი, მაგალითად, ასეთს, ბავშვებს რომ უმღერიან დაძინების წინ:

დავიღალე, მეძინება,
თვალები მეხუჭება.
ღვთის იმედი და წყალობა
ძილშიც ნუ მომაკლდება.

ღმერთო, თუ რამ შევცოდე,
გევედრები შემინდე.
ჰე, იესო ჯვარცმულო,
ცოდვები გამიქარწყლე.

თეთრსაცვლიანი კაცი დაღლილი, კეთილი მოჩვენებასავით იდგა ბინდიან ოთახში, ჩამქრალი თვალები ფანჯარაზე მომდგარი ღამისკენ მიეპყრო და წყნარად, მონოტონურად ღიღინებდა იავნანას.

— აი, ეს მამშვიდებს, — გაიმეორა მან და გაიღიმა. — არ ვიცი რატომ, მაგრამ მე ეს მამშვიდებს.

— შესაძლოა, — დაეთანხმა კერნი.

— ალბათ ეს სულელურად ჟღერს, მაგრამ მართლაც მამშვიდებს. ვწყნარდები და მეჩვენება, თითქოს კვლავ ჩემს სახლშიაა.

კერნს გუნება წაუხდა, და თითქოს შეამცივნა. — ასეა ალბათ დაეხორკლა.

— ზეპირად აღარც ერთი ლექსი არ მახსოვს. ყველა დამავიწყდა. ასე მგონია, უსასრულოდ დიდი ხნის წინათ იყო, სკოლაში რომ დავდიოდი.

— მეც აღარ მახსოვდა. მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, მოულოდნელად ყველა გამახსენდა.

კერნმა თავი დაუქნია და წამოდგა. გარეთ გასვლას აპირებდა. ამასობაში რაბეს დაეძინებოდა და კერნიც მასზე აღარ იფიქრებდა.

— ოლონდ მაცოდინა, საღამოობით რა ვაკეთო! — თქვა კერნმა. — საღამო დაწყევლილი დროა. წასაკითხი კარგა ხანია აღარაფერი მაქვს. არც ის მეხალისება, ქვემოთ ვიჯდე და ვიწუწუნო, რა კარგი იყო გერმანიაში, ნეტავ როდის დაბრუნდება-მეთქი ის ძველი დრო.

რაბე საწოლზე დაჯდა.

— კინოში წადით. დროის მოსაკლავად კინოს არაფერი სჯობს. მართალია მერე აღარ გახსოვს, რა ნახე, მაგრამ მთავარი ისაა, კინოს ყურებისას შენს სადარდელზე აღარ ფიქრობ.

რაბემ წინდები გაიხადა. კერნი ჩაფიქრდა.

— კინო, — ჩაილაპარაკა მან. მეზობელი ქალიშვილი ხომ არ დამეპატიჟებინა კინოშიო, გაიფიქრა უცებ.

— იცნობთ ვინმეს ჩვენი სასტუმროს მდგმურებიდან? — ჰკითხა რაბეს.

რაბემ წინდები სკამზე დააწყო და შიშველი ფეხის ცერები აათამაშა.

— ზოგიერთს. რატომ მეკითხებით? — თავის ცერებს ისე უკვირდებოდა, თითქოს პირველად ხედავსო.

— მეზობელ ოთახიდან?

რაბე ჩაფიქრდა.

— მანდ მოხუცი ქალი შიმანოვსკა ცხოვრობს. ის ომამდე ცნობილი მსახიობი იყო.

— მაგაზე არ გეკითხებით.

— მაგას მშვენიერი ყმაწვილი ქალი რუთ ჰოლანდი აინტერესებს, — თქვა სათვალიანმა კაცმა, ოთახის მესამე ბინადარმა, რომელიც ერთი ხანია ღია კარში უსმენდა მათ საუბარს. ის რაიხსტაგის ყოფილი დეპუტატი იყო, გვარად მარილი. — ასე არაა, კერნ, დონ ჟუანო? ხომ მართალი ვარ?

კერნი გაწითლდა.

— რა უცნაურია, — განაგრძო მარილმა. — ადამიანებს ბუნებრივზე უბუნებრივესი რამე აწითლებს, უხამსობა კი არა. დღეს კარგად ივაჭრეთ, კერნ?

— სრული მარცხი განვიცადე. ნაღდი ფული დავკარგე.

— თუ ეგრეა, ცოტაც მიახარჯეთ. ეს საუკეთესო საშუალებაა კომპლექსებისგან თავის დასახსნელად.

— სწორედ მაგას ვაპირებ, — უთხრა კერნმა. — კინოში მივდივარ.

— ბრავო! ჩემი ვარაუდით, რაც თქვენს მორიდებულ გამოკითხვას ეფუძნება, რუთ ჰოლანდთან ერთად, არა?

— არ ვიცი. მე ხომ მას არ ვიცნობ.

— ჩვენ ადამიანების უმეტესობას არ ვიცნობთ. მაგრამ ოდესმე ხომ უნდა გაბედოთ და გაიცნოთ. წინ გასწით, კერნ. გამბედაობა ახალგაზრდობის უმშვენიერესი სამკაულია.

— როგორ გგონიათ, წამომყვება?

— რა თქმა უნდა. ესაა უბედური ემიგრანტული ცხოვრების ერთერთი უპირატესობა. შიშისა და მოწყენილობის ტყვეობაში ჩავარდნილი ნებისმიერი ჩვენთაგანი მადლიერი დაგრჩებათ გართობისთვის. ასე რომ, თავიდან მოიშორეთ მორცხვობა! შეუტიეთ! მუხლები არ აგიკანკალდეთ!

— „რიალტოში“ წადით, — ურჩია ლოგინში ჩაწოლილმა რაბემ. — იქ მაროკოზე ფილმს უჩვენებენ. ჩემი გამოცდილებით, ფილმი რაც უფრო უცხო ქვეყანას შეეხება, მით უფრო გავიწყებს საფიქრალს.

— მაროკო... ასეთი ფილმი მუდამ სასიამოვნოა, — შენიშნა მარილმა. — სხვათა შორის, ყმაწვილ ქალებისთვისაც.

რაბე ხვნეშით გაეხვია საბანში.

— ხანდახან ვნატრობ, ნეტავ ერთი ათი წლით დამაძინა-მეთქი!

— და ათი წლითაც დაგაბერათ? — ჰკითხა მარილმა.

რაბემ უნდობლად შემოხედა.

— არა, — უპასუხა მან. — მაშინ ხომ ჩემს შვილებსაც მოემატებათ ასაკი.

კერნმა მეზობელ კარზე დააკაკუნა. კარს იქიდან ვილაც გამოეპასუხა. კარი გაიღო. კერნი შეცბა: მის წინ მოხუცი შიმანოვსკა იდგა. ქალს სახე ბუს მიუგავდა. პუდრის სქელი ფენით დაფარული ღრმა ნაოჭები დათოვლილ მთა-ბორცვებს მოაგონებდა კაცს. ღრმად ჩამჯდარი შავი თვალები თითქოს ჭიდან იყურებიანო. დედაბერი ისე მიაშტერდა კერნს, თითქოს ცოტაც და კლანჭებით სახეში ჩააფრინდებაო. ხელში სინგურისფერი შალის ნაქსოვი ეკავა შიგ გარჭობილი ორი ჩხირით. უეცრად სახე დაემანჭა. კერნმა იფიქრა, ახლა მეძგერებაო, მაგრამ იმწამსვე ქალს რაღაც ღიმილის მაგვარმა გადაუარა სახეზე.

— რა გნებავთ, ახალგაზრდა მეგობარო? — ჰკითხა მან პათეტიკურად, დაბალი, თეატრალური ხმით.

— ფროილაინ ჰოლანდს მინდოდა დავლაპარაკებოდი.

ღიმილი, თითქოს არც ყოფილაო, ისე გაქრა.

— აჰ, ეგრეა?

შიმანოვსკამ ამრეზით შეხედა კერნს და ჩხირები გამალებით ააჩხაკუნა.

რუთ ჰოლანდი საწოლზე მიწოლილიყო და კითხულობდა. კერნმა იაზრა, ეს ის საწოლი იყო, იმ ღამით რომ მიადგა. უეცრად წამოახურა.

— შეიძლება რაღაც გკითხოთ? — მიმართა ქალიშვილს.

ქალიშვილი წამოდგა და დერეფანში გაჰყვა. შიმანოვსკამ მათ ზურგს უკან დაჭრილი ფაშატივით დაიფრუტუნა.

— მინდოდა მეკითხა, კინოში ხომ არ წამოხვალ? — უთხრა კერნმა დერეფანში. — ორი ბილეთი მაქვს, — იცრუა მან.

რუთ ჰოლანდმა ყურადღებით შეხედა თვალებში.

— იქნებ არ გცალიათ? თუ ასეა...

ქალიშვილმა თავი გააქნია.

— არა, მცალია.

— მაშინ წავიდეთ კინოში! მთელ საღამოს ოთახში ხომ არ გაატარებთ.

— ამას უკვე მივეჩვიე.

— მით უარესი. ორიოდე წუთი დავყოვი თქვენს ოთახში და ერთი სული მქონდა, გარეთ როდის გამოვიდოდი. მეგონა, თქვენი მეზობელი შემჭამდა.

ქალიშვილმა გაიცინა და მოულოდნელად ბავშვს დაემსგავსა.

— შიმანოვსკა მხოლოდ გარეგნულად არის ასეთი. სინამდვილეში კეთილი გულის პატრონია.

— შეიძლება ეგრეცაა, მაგრამ ეს შუბლზე არ აწერია. ფილმი თხუთმეტ წუთში დაიწყება. წამოხვალთ?

— კარგი, — დაეთანხმა რუთი ისეთი კილოთი, თითქოს რაღაც სერიოზული გადაწყვეტილება მიიღო.

კერნი სალაროებთან დაწინაურდა.

— ერთი წუთით დამელოდეთ. ჩვენთვის გადანახულ ბილეთებს გამოვართმევ.

კერნმა ორი ბილეთი აიღო. იმედოვნებდა, ქალიშვილი ვერაფერს შეამჩნევდა. თუმცა ამას რაღა მნიშვნელობა ჰქონდა. რაც მთავარია, ქალიშვილი უკვე გვერდით ეჯდა.

დარბაზში შუქი ჩაქრა. ეკრანზე მზით გაჩახჩახებული, თვალწარმტაცი მარაკეშის ციხესიმაგრე გამოჩნდა, უდაბნოს ბზინვა გაუდიოდა... აფრიკის ცხელი ღამის სიჩუმეს ფლეიტების და ტამბურინების ხმები არღვევდა.

რუთ ჰოლანდი სავარძლის საზურგეს მიეყრდნო. მუსიკა მონოტონურ, თბილ წვიმასავით გადმოიღვარა, გონებაში მტკივნეული მოგონებანი ამოტივტივდა...

რუთი ნიურნბერგის ციხესიმაგრის დამცავ თხრილთან იდგა. ეს იყო აპრილში, საღამო ხანს. მის წინ სიბნელეში სტუდენტ ჰერბერტ ბილინგის ფიგურა ჩანდა, რომელსაც ხელში დაჭმუჭნილი გაზეთი ეჭირა.

— გაიგე, რა გითხარი, რუთ?

— დიახ, გავიგე, ჰერბერტ! ეს ხომ ადვილი გასაგებია.

ბილინგი ნერვიულად ჭმუჭნიდა „შტიურმერს“.

— გაზეთში მლანძღავენ როგორც ურიების ლაქიას, როგორც რასის წამბილწველს! ეს ხომ ნამდვილი კატასტროფაა? გესმის?

— დიახ, ჰერბერტ.

— რამე გამოსავალი უნდა მოვნახო. მთელი ჩემი კარიერა საფრთხეშია. ამ გაზეთს ხომ ყველა კითხულობს! გაიგე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დიახ, ჰერბერტ. გაზეთში მეც ვარ მოხსენიებული.

— ეგ სულ სხვა საქმეა! ამას შენთვის რაღა მნიშვნელობა აქვს? შენ ხომ ისედაც დაგითხოვეს უნივერსიტეტიდან.

— მართალი ხარ, ჰერბერტ.

— ასე რომ, მორჩა, არა? ერთმანეთს ვცილდებით, და ჩვენ შორის ვეყლაფერი გათავდა.

— გათავდა. მშვიდობით.

რუთი შებრუნდა და წავიდა.

— მოიცა, რუთ. ერთი წამით გაჩერდი!

რუთი შედგა. ჰერბერტი მიუახლოვდა. სახე ისე ახლოს მიუტანა, რომ რუთმა მისი სუნთქვა იგრძნო.

— მომისმინე, — მიმართა ჰერბერტმა, — ახლა სად მიდიხარ?

— შინ.

— რა გეჩქარება... — ვაჟი აჩქარებით სუნთქავდა. — რასაკვირველია, როგორც მოვილაპარაკეთ, ყველაფერი ისევე დარჩება. ასე არაა? მაგრამ შენ შეგიძლია... ჩვენ შეგვიძლია... სწორედ ამ საღამოს ჩვენთან სახლში არავინ იქნება, ხომ გესმის? ვერავინ დაგვინახავს. — ვაჟმა მკლავში წაავლო ხელი. — რატომ უნდა დავცილდეთ ერთმანეთს ასე ოფიციალურად... ხომ შეგვიძლია ერთხელაც...

— გამშორდი! — უთხრა ქალიშვილმა. — ახლავე გამშორდი!

— გონიერება გამოიჩინე, რუთ. — ვაჟმა ხელი მოხვია.

რუთი შესცქეროდა ვაჟის ლამაზ სახეს, ვაჟისა, რომელიც უყვარდა და რომლისაც ბრმად სჯეროდა. მერე სილა გააწნა.

— გამშორდი! — დაუყვირა რუთმა და ცრემლი წასკდა. — გამშორდი!

ბილინგი წაბარბაცდა.

— რას მიბედავ! გამარტყი? მე გამარტყი? შე ბინძური ებრაელო ლორო, მე გამიბედე გარტყმა?

ისეთი სახე ჰქონდა, ლამის სცემოდა ქალიშვილს.

— გამშორდი! — დაუკივლა რუთმა.

დამფრთხალმა ბილინგმა ირგვლივ მიმოიხედა.

— ხმა ჩაიკმინდე! — გამოსცრა მან. — გინდა ხალხი შემიყარო? რასაკვირველია, ეს შენ ხელს გაძლევს! ჰო, მივდივარ, მორჩი, მივდივარ! მადლობა ღმერთს, შენგან თავი დავიხსენი.

„Quand l'amur meurt* — მოისმოდა ეკრანიდან ქალის ხაევრდოვანი ხმა კაფეს ხმაურსა და კვამლში. რუთ ჰოლანდმა შუბლზე ხელი გადისვა. ახლა სხვა ყველაფერს მნიშვნელობა დაეკარგა: ნათესავების

---

* როცა სიყვარული კვდება (ფრანგ.).

შიშს, რომლებთანაც ის ცხოვრობდა, ბიძის წუწუნს, საჩქაროდ აქედან გაემგზავრე, თორემ მეც დამაპატიმრებენო... ანონიმურ წერილს, რომლითაც აფრთხილებდნენ, თუ სამ დღეში აქაურობას არ გაეცლები, როგორც არიული რასის წამბილწველს, თავს გადაგაყრიანებენ, მკერდზე და ზურგზე სამარცხვინო წარწერით ოთხთვალით მთელ ქალაქს მოგიტარებენო... დედის საფლავზე გასვლას... წვიმიან ღამეს ომში დაღუპულ მეომართა ძეგლთან დგომას, საიდანაც მამაჩემის გვარი ამოეფხიკათ, რომელიც 1916 წელს ფლანდრიაში დაიღუპა... მამა ებრაელი იყო... დაბოლოს უკანმოუხედავად გაქცევას პრაღაში, როდესაც მარტომ გადალახა საზღვარი... ჯიბეში დედის დანატოვარი ორიოდე სამკაული ედო...

ეკრანზე კვლავ აჟღერდნენ ფლეიტები და ტამბურინები. მათი ხმა უცხოური ლეგიონის მარშმა გადაფარა. გაისმა ბუკის მკვეთრი, აღმგზნები მოწოდება, რომელმაც უდაბნოში ლასლასით მიმავალი უგვარტომო მეომრების ასეულებს გადაუარა.

კერნი რუთისკენ გადაიხარა.

— მოგწონთ?

— დიახ.

კერნმა ჯიბიდან პატარა ფლაკონი ამოიღო და ქალიშვილს გაუწოდა.

— ოდეკოლონია, — წასჩურჩულა მან. — აქ ძალზე ცხელა. ეგებ ცოტა გაგაგრილოთ.

— გმადლობთ.

რუთმა ორიოდე წვეთი დაისხა ხელისგულზე. კერნს არ შეუმჩნევია, როგორ აუცრემლდა თვალები ქალიშვილს.

— გმადლობთ, — გაიმეორა რუთმა.

შტაინერმა კვლავ მიაკითხა კაფე „ჰელებარდეს". კელნერს ხუთშილინგიანი მისცა და ყავა შეუკვეთა.

— დავრეკო? — ჰკითხა კელნერმა.

შტაინერმა თავი დაუქნია. ბოლო ხანს იგი მეტ-ნაკლები წარმატებით თამაშობდა სხვადასხვა რესტორანში და უკვე თითქმის ხუთას შილინგს მოუყარა თავი.

კელნერმა გაზეთების დასტა მოუტანა და წავიდა. შტაინერმა გაზეთი გაშალა და კითხვა დაიწყო. მაგრამ მალე მიატოვა. მსოფლიოს ამბები მაინცდამაინც არ აინტერესებდა. წყალში ჩაძირული მხოლოდ იმას ფიქრობს, ზედაპირზე როგორ ამოტივტივდეს. მისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რა ფერის თევზები დაცურავენ მის ირგვლივ.

კელნერმა ყავა და ჭიქა წყალი მოუტანა.

— ის ბატონები ერთ საათში მოვლენ.

კელნერი მაგიდასთან შეყოვნდა.

— რა კარგი ამინდია დღეს, არა? — თქვა მან ცოტა ხნის მერე.

შტაინერმა თავი დაუქნია და კედელზე გაკრულ რეკლამას შეხედა, რომელიც იუწყებოდა: ქერის ლუდი სვით, თუ გსურთ სიცოცხლე გაიხანგრძლივოთო.

კელნერი დახლისკენ წაფრატუნდა. მალე ლანგარით ისევ მოუტანა ჭიქა წყალი.

— მაგას სჯობს ალუბლის არაყი მომიტანოთ, — უთხრა შტაინერმა.

— როგორც გენებოთ! ახლავე!

— თქვენთვისაც მოიტანეთ. ერთად დავლიოთ.

კელნერმა თავი დაუკრა.

— გმადლობთ, ჩემო ბატონო! გეტყობათ, ჩვენისთანებს [illegible] რძნობთ. ეს დიდი იშვიათობაა დღეს.

— რაებს ამბობთ! — უპასუხა შტაინერმა. — უბრალოდ, მომწყინდა მარტო სმა და სხვა არაფერი.

— ისეთ ხალხსაც ვიცნობდი, ვისაც მოწყენილობის გამო გაცილებით უარესი აზრები მოსვლია თავში, — შენიშნა კელნერმა.

კელნერმა არაყი გადაკრა და ხვანჩი მოიფხანა.

— მომისმინეთ, ბატონო, — უთხრა იდუმალი ხმით. — ვიცი, თქვენ რაც გაინტერესებთ. თუ ნებას დამრთავთ, რჩევას მოგცემთ. გირჩევთ გარდაცვლილი ავსტრიელის პასპორტი აიღოთ. არის კიდევ გარდაცვლილი რუმინელების პასპორტები, რომლებიც ამაზე უფრო იაფია, მაგრამ, ერთი მითხარით, რუმინული ვინ იცის?

შტაინერი დაუინებით დააცქერდა. კელნერი ხვანჩს შეეშვა და კეფა მოიფხანა. ერთდროულად ფეხს ძაღლივით აფხაჭუნებდა იატაკზე.

— რა თქმა უნდა, ყველაზე უკეთესი ამერიკულია ან ინგლისური, — ჩაფიქრებით თქვა მან, — მაგრამ ამერიკელი ავსტრიაში ძალზე იშვიათად თუ მოკვდება. ვთქვათ, კიდეც რომ დაიღუპოს ავტოკატასტროფაში, როგორ გინდა პასპორტი ჩაიგდო ხელში?

— ჩემი აზრით, ავსტრიულს გერმანული სჯობს, — უთხრა შტაინერმა. — გაცილებით ძნელი შესამოწმებელია.

— მართალია. მაგრამ სამუშაოს ნებართვას არ მოგცემენ, მხოლოდ ბინადრობის ნებართვა გექნებათ. მიცვალებული ავსტრიელის საბუთით კი მთელს ავსტრიაში მუშაობა შეგეძლებათ.

— სანამ არ დამიჭერენ.

— კი, რა თქმა უნდა! მაგრამ, ერთი მითხარით, ვის იჭერენ ავსტრიაში! უკიდურეს შემთხვევაში, თუ სხვა ეგონებით...

შტაინერს უნებურად გაეცინა.

— მაშ, ზოგჯერ შეიძლება სხვაში შეეშალო. ასე რომ, მაინც საშიშია.

— იცით, რას გეტყვით, ბატონო, — მიუგო კელნერმა. — მე რომ მკითხოთ, ზოგჯერ ცხვირის გამოჩიჩქნაც საშიშია.

— მართალია. ოღონდ ამისთვის ციხეში არ ამოგაყოფინებენ თავს.

კელნერმა ცხვირი ნაზად მოისრისა.

— მე თქვენთვის კარგი მინდა, ბატონო, — უთხრა მან. — ამ საქმეში რაღაც გამეგება. დამიჯერეთ, მკვდარი ავსტრიელის საბუთი ყველაზე რეალურია.

ათი საათი სრულდებოდა, პასპორტით მოვაჭრე ორი კაცი რომ შემოვიდა კაფეში. ლაპარაკი ჩიტისთვალება ცქვიტმა კაცმა წამოიწყო. მეორე — სქელი, ტანმძიმე კაცი, რომელიც მოლაპარაკებას ესწრებოდა, ხმას არ იღებდა.

პირველმა გერმანული პასპორტი ამოიღო.

— ჩვენს წრეში გავიკითხეთ. ეს პასპორტი თქვენს სახელზე შეიძლება გაფორმდეს. გარდაცვლილის ანკეტურ მონაცემებს ამოვფხეკთ და თქვენს ნამდვილ მონაცემებს ჩავწერთ. რასაკვირველია, გარდა დაბადების ადგილისა. აუგსბურგზე დათანხმება მოგიწევთ. [illegible] იქაური ბეჭედი აზის. ოღონდ ეს დამატებით ორასი შილინგი [illegible]ებათ. თავად გესმით, რთული გასაკეთებელია.

— მაგდენი ფული არა მაქვს, — უთხრა შტაინერმა. — თანაც ჩემთვის სულ ერთია, პასპორტი ჩემს გვარზე იქნება თუ არა.

— მაშინ როგორც არის, ისე აიღეთ, გადაუკეთებლად, ჩვენ მხოლოდ ფოტოს შევცვლით. ბეჭდის კიდეს, რომელიც ფოტოზე ემჩნევა, უფასოდ გაგიკეთებთ.

— მაინც არ გამომადგება. მე მინდა ვიმუშავო. მაგ პასპორტით კი მუშაობის ნებართვას ვერ მივიღებ.

ორატორმა მხრები აიჩეჩა.

— მაშინ მხოლოდ ავსტრიული პასპორტია რჩება. ამ საბუთით მუშაობა შეგიძლებათ.

— იმ პოლიციის განყოფილებას შეკითხვა რომ გაუგზავნონ, რომელმაც პასპორტი გასცა?

— რატომ შეეკითხებიან, თუკი თქვენ არაფერს დააშავებთ?

— სამასი შილინგი, — უთხრა შტაინერმა.

ორატორი აღშფოთდა:

— ჩვენ მტკიცე ნიხრით ვმუშაობთ, — ხუთასი. გროშიც არ დააკლდება.

შტაინერი დუმდა.

— გერმანული შეიძლება ნაკლებადაც მოგცეთ, გერმანულ პასპორტს ხშირად ვშოულობთ, ავსტრიული კი იშვიათობაა. და საერთოდ, რაში სჭირდება ავსტრიელს პასპორტი? საშშობლოში არაფერში გამოადგება, საზღვარგარეთ კი ის თითქმის არ გადის. მით უმეტეს, რომ ვალუტის გატანა ძალზე შეზღუდულია. ხუთას შილინგად, ჩათვალეთ, ნაჩუქარია!

— სამას ორმოცდაათი.

ორატორი გაწიწმატდა:

— სამას ორმოცდაათი ჩვენ თავად გადავუხადეთ გარდაცვლილის ოჯახს. ვერ წარმოიდგენთ, როგორ გავწვალდით. ამას დაურთეთ საკომისიო და ზედნადები ხარჯები. გარდაცვლილის მიმართ მოწიწება ძვირი ჯდება, ბატონო! სასაფლაოდან მობრუნებულ ჭირისუფალს რამე რომ დასტყუო, ნაღდი უნდა ჩაუჩხრიალო! მხოლოდ ნაღდი ფული თუ შეუშრობს ცრემლს და გაუნელებს დარდს. ოთხას ორმოცდაათად დაგითმობთ ჩვენდა საზარალოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ კარგი თვალით შემოგხედეთ.

ბოლოს ოთხასზე შეთანხმდნენ. შტაინერმა საფულედან თავისი ფოტო ამოიღო, რომელიც ქუჩის ავტომატზე ერთ შილინგად გადაიღო. პასპორტით მოვაჭრეებმა ფოტო წაიღეს და ერთ საათში მზა პასპორტი მოიტანეს. შტაინერმა საფასური გადაუხადა და პასპორტი საგულდაგულოდ შეინახა ჯიბეში.

— ბედნიერებას გისურვებთ! — უთხრა ორატორმა. — და ერთ რჩევასაც მოგცემთ. როცა ვადა გაუვა, გასაგრძელებლად ჩვენ მოგ-ვაკითხეთ. თარიღს ამოვფხეკთ და ახალს დავუსვამთ. ადვილი საქმეა, ერთადერთ სირთულეს ვიზა წარმოადგენს. რაც უფრო გვიან დაგჭირ-დებათ ვიზა, მით უკეთესი... მით უფრო დიდი ხნით შეიძლება პასპორ-ტის ვადის გაგრძელება.

— ამის გაკეთება ხომ ახლავე შეიძლებოდა, — უსაყვედურა შტა-ინერმა.

ორატორმა თავი გააქნია.

— თქვენთვის ასე სჯობს. თქვენ ახლა ნამდვილ პასპორტს ფლობთ, რომელიც ნაპოვნივითაა. ფოტოს გამოცვლა იმდენად არ ის-ჯება, რამდენადაც ჩანაწერის გადასწორება. ასე რომ, ერთი წელიწადი შეგიძლიათ მშვიდად იყოთ. ამ ხნის განმავლობაში შეიძლება ბევრი რამ მოხდეს.

— იმედია.

—რასაკვირველია, საიდუმლო მკაცრად უნდა დაიცვათ. შევთანხ-მდით, არა? ეს ჩვენი საერთო ინტერესებიდან გამომდინარეობს. უკი-დურეს შემთხვევაში, თუ სოლიდური რეკომენდაციით გამოგვიგზავნით ვინმეს, ჩვენი მოგნება აღარ გაგიჭირდებათ. მაშ, ღამე მშვიდობის.

— ღამე მშვიდობის.

— Strszelt miecze* — სქელმა კაცმა, როგორც იქნა, დაარღვია დუმილი.

— მაგან გერმანული არ იცის, — ჩაიცინა ორატორმა შტაინერის გაკვირვებული შემოხედვის პასუხად. — სამაგიეროდ ყალბი ბეჭდების დამზადების გასაოცარი ოსტატია. მაგარი სპეციალისტია!

შტაინერი ვაგზალზე გავიდა და ზურგჩანთა შემნახველ საკანში ჩააბარა. პანსიონიდან წინა საღამოს წამოვიდა და ღამე ვაგზლის მიმ-დებარე პარკში გაათენა. დილით ტუალეტში ულვაში გაიპარსა და ფო-ტო გადაიღო. რაღაცნაირ მძაფრ კმაყოფილებას გრძნობდა: ის ახლა მუშა იყო! იოჰან ჰუბერი გრაციდან.

გზაში შეჩერდა. ერთი საქმე გაახსენდა იმ დროიდან ვალად გად-მოყოლილი, როცა გვარად შტაინერი იყო. ტელეფონის ჯიხურში შევიდა და ტელეფონების ცნობარი გადაფურცლა.

— ლეოპოლდ შეფერი, — ბუტბუტებდა ის, — ტრაუტენგასე 27. — ეს სახელი და გვარი მეხსიერებაში ჩაებეჭდა.

ნომერი იპოვა და დარეკა. ყურმილში ქალის ხმა გაისმა.

— პოლიციელი შეფერი შინაა? — ჰკითხა შტაინერმა.

— დიახ. ახლავე დავუძახებ.

— აუცილებელი არაა, — სწრაფად უთხრა შტაინერმა. — ჩვენ ელიზაბეთპრომენადედან გირეკავთ, პოლიციის სამმართველოდან. თო-რმეტ საათზე ჩხრეკა ტარდება. პოლიციელი შეფერი, თორმეტს თხუთ-მეტი რომ დააკლდება, აქ უნდა იყოს. გაიგეთ?

---

* **მაგრად იყავით (პოლონ.).**

— დიახ. თორმეტს რომ თხუთმეტი დააკლდება.

— კეთილი. — შტაინერმა ყურმილი დაკიდა.

ტრაუტენგასე ვიწრო, წყნარი ქუჩა აღმოჩნდა, სადაც წვრილფეხა ბიურგერების უსახური სახლები იდგა. შტაინერმა გულდასმით შეათვალიერა სახლი № 27. ის არაფრით განსხვავდებოდა სხვებისგან და მაინც შტაინერს განსაკუთრებით უგვანი ეჩვენა. იგი სახლიდან ცოტა მოშორებით ჩასაფრდა.

პოლიციელი შეფერი აჩქარებით, რიხიანად გამობრაგუნდა ქუჩაში. შტაინერი ისეთი ვარაუდით დაიძრა მისკენ, რომ ბნელ ადგილას შეხვედროდა. გაუსწორდა თუ არა, მხარი ღონივრად გაჰკრა.

შეფერი წაბარბაცდა.

— მთვრალი ხარ, შე ოხერო? — დაუღრიალა მან. — ვერ ხედავ, რომ შენ წინ ფორმიანი პოლიციელია?

— ვერა, — უპასუხა შტაინერმა. — მე მხოლოდ ბინძურ ნაბუშარს ვხედავ! ნაბუშარს, გაიგე?

შეფერს წამით ლაპარაკის უნარი წაერთვა.

— ჰეი, შენ, — წამოიძახა მერე. — გეტყობა, გიჟი ხარ! ამას ახლავე გავარკვევთ! აბა, წამო უბანში!

რევოლვერის ამოღება დააპირა. შტაინერმა ხელში წიხლი სთხლიშა, ელვისუსწრაფესად მიეჭრა და მამაკაცისთვის ყველაზე დამამცირებელი რამ აკადრა: ორივე ლოყაში რიგრიგობით სილა გააწნა.

პოლიციელმა ერთი ამოიხრიალა და შტაინერს ეცა. შტაინერმა დარტყმა აიცდინა და შეფერს ცხვირში მარცხნიდან სვინგი უთავაზა. შეფერს მაშინვე სისხლი წასკდა.

— ნაბუშარო! — ბურდღუნებდა შტაინერი. — მყრალო ნეხვო! მძორო!

მძლავრი პირდაპირი დარტყმით შეფერს ტუჩები გაუხეთქა. იგრძნო, კბილები ჩაუმტვრია. შეფერი ძლივს იდგა ფეხზე.

— მიშველეთ! — იყვირა მან ქალის გამკივანი ხმით.

— მოკეტე! — დაუჯაჯღანა შტაინერმა. ნიკაპში მარჯვენა სთხლიშა და მყისვე მოკლედ მოქნეული მარცხენა უთავაზა მზის წნულში. შეფერმა გომბეშოსავით დაიყიყინა და მოჭრილი ხესავით დაეხეთქა მიწას.

აქა-იქ ფანჯრებში შუქი აინთო.

— რა მოხდა, რა ამბავია? — დაიძახა ვილაცამ.

— არაფერი, — სიბნელიდან უპასუხა შტაინერმა. — მთვრალია.

— ეშმაკმაც წაიღოს ლოთების თავი! — გაჯავრებით დაიძახა იმავე ხმამ. — პოლიციაში წაიყვანეთ.

— გზაც სწორედ იქითკენ აქვს!

— მანამ ერთი-ორი უთავაზეთ გამოთაყვანებულ სიფათში!

ფანჯარა მიიხურა. შტაინერმა ჩაიცინა და თავი უახლოეს კუთხეს შეაფარა. დარწმუნებული იყო, შეფერი სიბნელეში მის შეცვლილ სახეს ვერ იცნობდა. რამდენიმე ქუჩა გაიარა და ხალხმრავალ უბანში ამოყო თავი. აქ ნაბიჯი შეანელა.

ყველაფერი ეს უცნაური და თანაც გულისამრევია, გაიფიქრა მან, ასე ვთქვათ, სასაკილო შურისძიებაა! და მაინც ერთგვარი საზღაურია მიუსაფრობასა და მალვაში გატარებული წლების წილ! ცხოვრება ისეთი

უნდა მიიღო, როგორიც არის! შტაინერი ფარნის ქვეშ გაჩერდა და პასპორტი ამოიღო. იოჰან ჰუბერი! მუშა! შენ მკვდარი ხარ და სადღაც გრაცში, მიწაში წევხარ, შენი პასპორტი კი ცოცხალია და კვლავ ცალაშია. მე — იოზეფ შტაინერი — ცოცხალი ვარ, მაგრამ მოხელეების თვალში უპასპორტოდ მკვდრად ვითვლები. იოჰან ჰუბერო, მოდი, გავცვალოთ: წაიღე ჩემი უსაბუთო სიკვდილი და მომეცი შენი საბუთიანი სიცოცხლე! რაკიღა ცოცხლები არ გვშველიან, მკვდრებო, თქვენ მაინც გვიშველეთ!

VI

კვირა საღამოს სასტუმროში დაბრუნებულ კერნს ოთახში მარილი დახვდა. ძალზე აღელვებული იყო.

— როგორც იქნა, ვილაც გამოჩნდა! — წამოიძახა მან. — ამ წყეულ ბუნაგში, როცა საჭიროა, კაციშვილს ვერ იპოვი! ყველა სადღაც დაწანწალებს! ყველას რაღაც საქმე აქვს! სასტუმროს პატრონიც სადღაც დაიკარგა, ღმერთმა დასწყევლოს მისი თავი!

— რა მოხდა? — ჰკითხა კერნმა.

— ვინმე მეანი ქალის მისამართი ხომ არ იცით? ან ექიმის, ექიმ-გინეკოლოგის ან ვინმესი?

— არა.

— რა თქმა უნდა, არ გეცოდინებათ! — მარილი სახეზე დააკვირდა. — თქვენ შეგნებული კაცი ჩანხართ, კერნ. წამომყევით. ქალთან უნდა დაგტოვოთ. მე წავალ და მეანს მოვძებნი. შეძლებთ ამას?

— რას?

— ყურადღება უნდა მიაქციოთ, ქალს ბევრი მოძრაობის საშუალება არ მისცეთ, ელაპარაკეთ, მოკლედ, რამე გააკეთეთ!

მარილმა კერნი წაიყვანა, რომელიც ვერ ხვდებოდა, რა მოხდა. დერეფანი გაიარეს, კიბეს ჩაუყვნენ და ქვემო სართულზე პატარა ოთახში შევიდნენ. ერთადერთ საწოლზე ქალი იწვა და კვნესოდა.

— მეშვიდე თვეშია! ნაადრევი მშობიარობაა თუ რაღაც ამდაგვარი! დაამშვიდეთ, თუ შეგიძლიათ! მე ექიმს მოვიყვან. — კერნს გონს მოგება არ აცალა, ისე გავარდა გარეთ.

ქალმა დაიკვნესა. კერნი ფეხაკრეფით მივიდა საწოლთან.

— გნებავთ რამე? — ჰკითხა კერნმა.

ქალი კვნესოდა. გამოხუნებული ქერა თმა ოფლისგან შეწებებოდა. გაფითრებულ სახეზე შავ ლაქებად აჩნდა უჩვეულოდ მსხვილი ჭორფლი. თვალები გადატრიალებოდა, ნახევრად ღია ქუთუთოებში მხოლოდ თვალის თეთრი გარსი მოუჩანდა. ბინდში თეთრად დაკრეჭოდა კბილებიც.

— გნებავთ რამე? — გაუმეორა კერნმა.

კერნმა ოთახს მოავლო თვალი. სკამის საზურგეზე დაუდევრად მიეგდოთ იაფფასიანი თხელი საწვიმარი. საწოლთან გაცვეთილი ფეხსაცმელები ეყარა. ქალი საწოლში ტანსაცმლიანად იწვა. ეტყობა, ერთბაშად წაიქცა. მაგიდაზე წყლიანი ბოთლი იდგა, პირსაბანთან ჩემოდანი.

ქალი კვნესოდა და ლოგინში წრიალებდა. კერნი დაიბნა. გაახსენდა მარილის დანაბარები და ის მცირე ცოდნა, რაც უნივერსიტეტში ერთი წლის განმავლობაში შეიძინა, და სცადა ქალისთვის მხრები დაე-

ჭირა. მაგრამ ეს ისეთივე ძნელი აღმოჩნდა, როგორც გველის ხელში დაჭერა. კერნი მის შეკავებას ლამობდა, მაგრამ ქალი გაუსხლტდა და ხელი ჰკრა, მერე მოულოდნელად ხელები მაღლა შემართა და მყისვე მთელი ძალით კერნს მკლავში ჩააფრინდა.

კერნი მილურსმულივით იდგა. ვერასდროს ეგონა, თუ ქალი ასეთი ღონიერი აღმოჩნდებოდა. ქალი თავსტანჯულივით ატრიალებდა და თან შემაძრწუნებლად, ყრუდ გმინავდა, თითქოს ხმა ჭის სიღრმიდან ამოდისო.

უცბად ქალი ერთიანად დაიკრუნჩხა, საბანი გადაეხადა და კერნმა მოშავო-მოწითალო ლაქა დაინახა ზეწარზე, .რომელიც თანდათან იზრდებოდა. კერნი შეეცადა თავი გაეთავისუფლებინა, მაგრამ ქალს მარწუხივით შემოეჭდო ხელები. კერნი მოჯადოებულივით უცქერდა ლაქას, რომელიც თანდათან ფართო ზოლად გადაიქცა, ზეწრის კიდეს მიაღწია და წვეთ-წვეთად გადაედინა. მალე იატაკზე შავი გუბე დადგა.

— გამიშვით! გამიშვით! — კერნი განძრევას ვერ ბედავდა, — ქალი არ შევაწუხოო. — გამიშვით! — კბილებს შუა ცრიდა იგი. — გამიშვით!

მოულოდნელად ქალი მოდუნდა, კერნს ხელი გაუშვა და ბალიშზე გადაწვა. კერნმა საბანს სტაცა ხელი და ოდნავ ასწია. სისხლი ტყაპანით გადმოედინა იატაკზე. კერნი წამოხტა და რუთ ჰოლანდის ოთახისკენ გაქანდა.

რუთი მარტო იჯდა ლოგინზე გაშლილ წიგნებს შორის.

— წამოდით! — დაუძახა კერნმა. — ქვემოთ ქალი სისხლისგან იცლება.

მათ ქვემოთ ჩაირბინეს. ოთახში უფრო ჩამობნელებულიყო. ფანჯარაზე მომდგარი დაისის შუქი მაგიდასა და იატაკზე იღვრებოდა. სხივის წითელი ანარეკლი წყლიან ბოთლში ლალივით კიაფობდა. ქალი აღარ ინძრეოდა და თითქმის აღარც სუნთქავდა.

რუთ ჰოლანდმა საბანი გადახადა. ქალი სისხლში ცურავდა.

— სინათლე აანთეთ! — დაუძახა რუთმა კერნს.

კერნმა ჩამრთველს მიაშურა. ოთახი ელნათურის მქრქალი შუქისა და ჩამავალი მზის სხივების ნაზავმა გაანათა. მოყვითალო-წითელ ბურუსში მწოლიარე ქალი მოჩანდა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს საწოლზე ქალი კი არა, უფორმო მუცელი ეგდო, ხოლო ზემოდან სისხლიანი, დაჭმუჭნილ-დასრესილი კაბა ჰქონდა წაფარებული. საიდანაც წინდებჩამოჩაჩული, უცნაურად შებრუნებული, მოდუნებული ფეხები გამოჩრილიყო.

— პირსახოცი მომაწოდეთ! სისხლის დენა უნდა შევუჩეროთ! იქნებ სადმე რამე იპოვოთ!

რუთმა მკლავები დაიკაპიწა და ქალის გახდას შეუდგა. კერნმა პირსაბანთან დაკიდებული პირსახოცი ჩამოიღო და მიაწოდა.

— მალე ექიმი მოვა! მარილია წასული მის მოსაყვანად!

კერნი სახვევების ძებნაში ჩემოდანს დასწვდა და გადმოაპირქვავა.

— რასაც იპოვით, მაშინვე მომაწოდეთ! — დაუძახა რუთმა.

ჩემოდნიდან იატაკზე ჩვილის თეთრეული გადმოიყარა. პაწაწინა

პერანგები, სახვევები, ცხვირსახოცები, ვარდისფერი და ღია ცისფერი ძაფით ნაქსოვი ორი პატარა ჟაკეტი, ლენტებითა და აბრეშუმის ქობით გაწყობილი. ბოლოს ნაზი ცისფერი შალის ძაფის გორგალი გად მოვარდა და უხმაუროდ გაგორდა იატაკზე.

— მომეცით! — რუთმა სისხლიანი პირსახოცი გადააგდო. კერნმა სახვევები და ცხვირსახოცები მიაწოდა. მალე კიბეზე ფეხის ხმა გაისმა, კარი გაიღო და ოთახში მარილი და ექიმი შემოვიდნენ.

— ღმერთო ჩემო, ეს რა ამბავია!

ექიმმა საწოლს მიაშურა, რუთი გვერდზე გასწია და ქალისკენ დაიხარა. მალე გასწორდა და მარილს მიმართა:

— საჩქაროდ დარეკეთ ნომერზე 2167. უთხარით, ბრაუნი სასწრაფოდ წამოვიდეს და თან ყველაფერი წამოიღოს, რაც ნარკოზსა და ბრაქსტონჰიკსის ოპერაციას სჭირდება. გაიგეთ? გარდა ამისა, ყველაფერი, რაც სისხლის დენის შესაჩერებლად არის საჭირო.

— კარგი.

ექიმმა მიმოიხედა.

— თქვენ გარეთ გადით! — უთხრა კერნს. — ფროილაინ, თქვენ დარჩით. წყალი მომიტანეთ. ჩემი ჩანთა მომაწოდეთ.

ათიოდე წუთში მეორე ექიმიც მოვიდა. კერნისა და სხვა მდგმურების მცდელობით მეზობელი ოთახი საოპერაციო პალატად გადაკეთდა. საწოლები კედლისკენ გააჩოჩეს, მაგიდები გააერთიანეს და ინსტრუმენტები გაამზადეს. სასტუმროს მეპატრონემ, რაც კი ყველაზე კაშკაშა ნათურები ჰქონდა, მოიტანა და ჭალს გაუკეთა.

— ჩქარა, ჩქარა!

პირველი ექიმი მოუთმენლობისგან ადგილზე ვერ ჩერდებოდა. თეთრი ხალათი გადაიცვა და რუთს სთხოვა, ზურგზე შემიკარითო.

— თქვენც ჩაიცვით! — ქალიშვილს ხალათი გადაუგდო. — შესაძლოა დაგვჭირდეთ. სისხლის დანახვას ხომ იტანთ? ცუდად ხომ არ ხდებით?

— არა, — უპასუხა რუთმა.

— კეთილი! ყოჩაღ!

— ეგებ მეც რამეში გამოგადგეთ, — მიმართა ექიმს კერნმა. — სამედიცინოზე ორი სემესტრი მაქვს გავლილი.

— ჯერჯერობით არა. — ექიმმა ინსტრუმენტები შეამოწმა. — შეგვიძლია დავიწყოთ.

ნათურის შუქი მის მელოტ თავზე ირეკლებოდა. კარი ანჯამებიდან ჩამოიღეს. ოთხმა კაცმა მეორე ოთახში საწოლიანად გადაიყვანა ქალი, რომელიც ხმადაბლა კვნესოდა. თვალები ფართოდ გაეღო. ტუჩები უცაცცახებდა.

— აბა, ავწიოთ! — ბრძანა ექიმმა. — მაღლა ასწიეთ! ფრთხილად, დასწყევლოს ღმერთმა!

ქალი საკმაოდ მძიმე აღმოჩნდა. კერნს შუბლზე ოფლმა დაასხა. მისი თვალები რუთის თვალებს შეეფეთა. სახეგაფითრებულ ქალიშვილს თავი მშვიდად ეჭირა. იმდენად შეცვლილი მოეჩვენა, რომ კერნმა ძლივს იცნო. რუთის მთელი არსება დაკავებული იყო მშობიარე ქალით, რომელიც სისხლისგან იცლებოდა.

— ასე! ახლა ყველა აქედან გავიდეს, ვისაც აქ არ ესაქმება! — ხმამაღლა ბრძანა ექიმმა. მერე ქალის ხელი აიღო. — არ კეტკინებათ. ადვილად გადაიტანთ. — მოულოდნელად დედასავით ალერსიანი ხმით დაამშვიდა ექიმმა.

— ბავშვი გადაარჩინეთ, — წაიჩურჩულა მელანჩანმ.

— ორივე, ორივე... — დაუყვავა ექიმმა.

— ბავშვი...

— ბავშვს ოდნავ გავასწორებთ, რათა მხრებით წამოვიდეს, და ტყვიასავით გამოვარდება. ოღონდ თქვენ მშვიდად, ძალზე მშვიდად იყავით. აბა, ნარკოზი!

კერნი, მარილი და კიდევ რამდენიმე კაცი ქალის დაცარიელებულ ოთახში იმყოფებოდნენ და, თუ საჭირო შეიქნებოდა, მზად იყვნენ მისახმარებლად. მეზობელი ოთახიდან ექიმების დახშული ხმები მოისმოდა. იატაკზე ვარდისფერი და ცისფერი შალის ჟაკეტები ეყარა.

— დაბადება! — პათეტიკურად მიმართა მარილმა კერნს. — ასეა შუდამ: ადამიანის ამქვეყნად მოვლენას თან ახლავს სისხლი, სისხლი და ყვირილი. გაიგეთ, კერნ?

— დიახ.

— არა, — უთხრა მარილმა. — არც თქვენ და არც მე არაფერი გაგვეგება! მხოლოდ ქალს, მხოლოდ ქალს შეუძლია გაიგოს! თავს ღორად არ გრძნობთ?

— არა, — უპასუხა კერნმა.

— არა? მე კი! — მარილმა სათვალე გაიწმინდა და კერნს დააკვირდა. — ქალთან გიცხოვრიათ? გეტყობათ არა, თორემ თავს თქვენც ღორად იგრძნობდით. ახლა მართლაც რომ მისწრება იქნებოდა შნაპსი.

კართან მდგომი კელნერი მარილს მიუახლოვდა.

— ნახევარი ბოთლი კონიაკი მოგვიტანეთ, — უთხრა მარილმა.— ჰო, ჰო, მაგის სამყოფი ფული მაქვს! ჩქარა მოიტანეთ!

კელნერი გაუჩინარდა. მას სასტუმროს მეპატრონე და კიდევ ორი კაცი გაჰყვა. ოთახში მარტო მარილი და კერნი დარჩნენ.

— ფანჯარასთან დავსხდეთ, — შესთავაზა მარილმა და დაისზე მიუთითა: — რა ლამაზია, არა?

კერნმა თავი დაუქნია.

— დიახ, — თქვა მარილმა. — და ეს ყველაფერი ერთმანეთის გვერდით არსებობს. იქ, ბალში, რა ხეა? იასამანია?

— დიახ.

— იასამანი და ნარკოზი! სისხლი და კონიაკი! აბა, დავლიოთ!

— ოთხი სირჩა მოვიტანე, ბატონო მარილ, — უთხრა კელნერმა და ლანგარი მაგიდაზე დადგა, — ვიფიქრე, იქნებ... — მან თავი მეზობელი ოთახისკენ გადააქნია.

— კეთილი. — მარილმა ორი სირჩა შეავსო. — ხომ დალევთ, კერნ?

— ცოტას.

— თავშეკავება — ეს თქვენი, ებრაელების, თანდაყოლილი ნაკ-

ლია. სამაგიეროდ ქალებისა სხვებზე უკეთ გესმით. მაგრამ ქალებს სულაც არ სურთ, რომ მათი ესმოდეთ. გაგვიმარჯოს!

— გაგვიმარჯოს!

კერნმა სირჩა დაცალა და თავი უკეთ იგრძნო.

— ეს ნაადრევი მშობიარობაა თუ უფრო სერიოზული რამ? ეკითხა მარილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნაადრევი მშობიარობაა, ვადაზე ოთხი კვირით ადრე. მიზეზი გადაძაბვაა: მგზავრობა, ერთი ტრანსპორტიდან მეორეში გადაჯდომა, ნერვიულობა, ფაციფუცი და ასე შემდეგ, ყოველივე ის, რაც ფეხმძიმე ქალს ვნებს. ხომ გესმით?

— კი მაგრამ, რისთვის გააკეთა ეს ყველაფერი?

მარილმა კვლავ შეავსო სირჩები.

— რისთვის? — გაიმეორა მან შეკითხვა. — იმისთვის, რომ უნდოდა მისი ბავშვი ჩეხად დაბადებულიყო. იმისთვის, რომ არ უნდოდა მისი შვილისთვის სკოლაში ეფურთხებინათ და „ურია“ ეძახათ.

— გასაგებია, — უთხრა კერნმა. — ქმარი არ ჩამოჰყოლია?

— მის ქმარს ორი თვის წინ ციხეში ამოაყოფინეს თავი. რატომ? იმიტომ რომ მას სავაჭრო ჰქონდა და უფრო წესიერი და მუყაითი ვაჭარი იყო, ვიდრე მისი კონკურენტი. ხოლო რას აკეთებს ასეთ შემთხვევაში კონკურენტი? პოლიციაში მიდის და მუყაით ვაჭარს დაასმენს, სამშობლოს ღალატს მოუწოდებდა, მთავრობას ლანძღავდა, კომუნისტურ იდეებს ქადაგებდაო. მოკლედ, ისეთ რამეს დასწამებს, რისთვისაც წესიერს აპატიმრებენ, ხოლო მისი მუშტარი კონკურენტს რჩება. მიხვდით?

— ეგ ჩემთვის ნაცნობი ამბავია, — უთხრა კერნმა.

მარილმა სირჩა დაცალა.

— მკაცრი დროა! მშვიდობას ქვემეხებითა და ბომბდამშენებით ინარჩუნებენ, ადამიანობას — საკონცენტრაციო ბანაკებითა და დარბევებით. ჩვენ ფასეულობათა გადაფასების ხანაში ვცხოვრობთ, კერნ. აგრესორი დღეს მშვიდობის დამცველად გვევლინება, დაჩაგრული და ნაგვემი კი მშვიდობის მტრად. და თქვენ წარმოიდგინეთ, არიან ერები, რომლებსაც ეს სჯერათ!

ნახევარი საათის შემდეგ მეზობელი ოთახიდან სუსტი კნავილი მოისმა.

— უყურე შენ! — წამოიძახა მარილმა. — ყოჩაღ, გადაარჩინეს! დედამიწას ერთი ჩეხი შეემატა! მოდი, კერნ, ამის აღსანიშნავად ერთიც დავლიოთ! ამქვეყნად ყველაზე დიდ საიდუმლოს — დაბადებას გაუმარჯოს! იცით, რატომ არის საიდუმლო? იმიტომ რომ მას გარდუვალი სიკვდილი მოსდევს. გაგვიმარჯოს!

კარი გაიღო. ოთახში გაოფლიანებული და სისხლში გასვრილი მეორე ექიმი შემოვიდა. ხელში კიბორჩხალასავით წითელი არსება ეჭირა, რომელსაც ჭყივილი გაჰქონდა და ექიმი ზურგზე ხელს უტყაპუნებდა.

— ცოცხალია, — წაიბურდღუნა ექიმმა. — კიდევ რამე არის აქ... — მან ცხვირსახოცების დასტას დაავლო ხელი. — გაჭირვებისას ესეც გამოდგება... ფროილაინ!

ექიმმა ჩვილი და ცხვირსახოცები რუთს გადასცა.

— დაბანეთ და შეახვიეთ. ოღონდ მაგრად არა. ამას სასტუმროს დიასახლისი გასწავლით. მანამ კი სასწრაფოდ ნარკოზიდან გამოიყვანეთ, აბა, ჩქარა სააბაზანოში...

რუთმა ჩვილი ხელში აიყვანა. კერნს მოეჩვენა, თითქოს ქალიშვილს თვალები ორჯერ უფრო დიდი გახდომოდა. ექიმი მაგიდას მიუჯდა.

— თუ არ ვცდები, კონიაკი გქონიათ?

მარილმა კონიაკი დაუსხა.

— რა გუნებაზე დგებით, — ჰკითხა მარილმა ექიმს, — როცა ხედავთ, რომ საავადმყოფოების შენების მაგიერ ყოველდღე სულ ახალ და ახალ ბომბდამშენებსა და ქვემეხებს უშვებენ? თუმცა მათი დანიშნულება ხომ ისაა, რომ საავადმყოფოები არ მოცდეს.

ექიმმა ყურადღებით შეხედა მარილს.

— ეს უმსგავსობაა, — უპასუხა მან, — ნამდვილი უმსგავსობა! საინტერესო რამ გამოდის: დაჭრილებს დიდი მონდომებით კერავენ და ამთელებენ, რათა მერე ასეთივე მონდომებით ბარბაროსულად ნაფლეთებად აქციონ. ამას არ სჯობია, მაშინვე მოკლან, როგორც კი დაიბადება? ეს ხომ უფრო ადვილია!

— ჩემო კარგო, — გამოეპასუხა ექიმს რაიხსტაგის ყოფილი დეპუტატი, — ჩვილის მოკვლა მძიმე დანაშაულია, მოზრდილთა დახოცვა კი ეროვნული ღირსების საქმეა.

— მომავალ ომში ქალებიცა და ბავშვებიც ბლომად დაიხოცებიან — ჩაიბურტყუნა ექიმმა. — აი, სიტყვაზე, გამალებით ვიბრძვით ქოლერის აღმოსაფხვრელად, არადა, ის ხომ ნებისმიერ, თუნდაც მცირე, ომთან შედარებით უმნიშვნელო რამ არის.

— ბრაუნ! — დაიძახა ექიმმა მეზობელი ოთახიდან. — ჩქარა!

— მოვდივარ!

— დასწყევლოს ეშმაკმა! ჩანს, რაღაც საქმე კარგად ვერაა, — შეწუხდა მარილი.

ბრაუნი მალე დაბრუნდა. საოცრად დაღვრემილი სახე ჰქონდა.

— საშვილოსნოს ყელი აქვს დაზიანებული, — უხალისოდ თქვა მან. — ვერაფერს ვშველით. ქალი სისხლისგან იცლება.

— ნუთუ არაფერი ეშველება?

— ყველაფერი ვცადეთ, მაგრამ სისხლდენა ვერ შევუჩერეთ.

— სისხლის გადასხმა რომ სცადოთ? — თქვა რუთმა, რომელიც კართან იდგა. — სისხლს მე გავიღებ.

ექიმმა თავი გააქნია.

— ვერაფერს უშველის, გოგონა, თუ სისხლდენა არ შეუჩერდა...

ექიმი უკან გაბრუნდა. კარი ღია დატოვა. განათებული ოთხკუთხედი რაღაცნაირ იდუმალ შთაბეჭდილებას ახდენდა. მამაკაცები დუმდნენ. ოთახში კელნერი შემოვიდა.

— შეიძლება ავალაგო?

— არა.

— დალევთ რამეს? — ჰკითხა მარილმა რუთს.

ქალიშვილმა თავი გააქნია.

— გირჩევთ რამე დალოთ. უკეთ გახდებით. — მარილმა სანახევროდ შეუვსო სირჩა.

ჩამობნელდა. შორს ჰორიზონტზე, სახურავებს მიღმა უკანასკნელი სხივების მომწვანო და მონარინჯისფრო ანარეკლები ლიცლიცებდა. მათ შორის მკრთალი მთვარე მიცურავდა, რომელსაც ისე დასჩნეოდა ღრმულები, როგორც თითბრის დაჟანგულ შაურიანს. ქუჩიდან ხმაურიანი, ხალისიანი, უდარდელი ლაპარაკი მოისმოდა. კერნს მოულოდნელად შტაინერის ნათქვამი გაახსენდა: „როცა შენს გვერდით ვიღაც კვდება, შენ ამას ვერ გრძნობ“. აი, ესაა მთელი უბედურება. თანაგრძნობა ტკივილის განცდას არ ნიშნავს. თანაგრძნობა ფარული სიხარულია, თითქოს შვებით ამოსუნთქვაა, რომ შენ არ კვდები და არც შენი საყვარელი ადამიანი. კერნმა შეფარვით შეხედა რუთს, მაგრამ სიბნელეში მისი სახე ვერ გაარჩია.

— რა იყო ეს? — ყური ცქვიტა მარილმა.

ჩამოწოლილ ბინდში გაბმულად, მსუყედ გაიჟღერა ვიოლინომ. ხმა მიწყდა, მერე ისევ გაძლიერდა, ცაში აიჭრა ამაყი და მოზეიმე, შემდეგ ნელი და ნაზი რულადები გადმოიღვარა და ბოლოს უბრალო, სევდიანი მელოდია შეიკრა, ისეთი, როგორიც წარმავალ საღამოს შეეფერება.

— აქვე, სასტუმროში უკრავენ, — დაასკვნა მარილმა და ფანჯარაში გაყო თავი. — ჩვენს ზემოთ, მეხუთე სართულზეა.

— ვგონებ, ვიცნობ ვინცაა, — თქვა კერნმა. — მაგ მევიოლინეს ერთხელ უკვე მოვუსმინე. თუმცა არ ვიცოდი, აქ თუ ცხოვრობდა.

— ის უბრალო მევიოლინე არაა, რაღაც გაცილებით მეტია.

— ხომ არ წავსულიყავი და მეთქვა, დაკვრა შეწყვიტეთ-მეთქი?

— რატომ?

კერნმა წასვლა დააპირა. მარილის სათვალის შუშებმა გაიბრწყინა.

— არა. რატომ? დარდი არსად გაგვექცევა. სიკვდილიც ყველგანაა. ისინი ხომ ხელიხელჩაკიდებული დადიან.

ისხდნენ და უსმენდნენ ვიოლინოს ჰანგებს. კარგა ხნის შემდეგ მეზობელი ოთახიდან ბრაუნი გამოვიდა.

— გათავდა, — თქვა მან. — ბევრი არ უწვალია. მოვასწარით გაგვეგებინებინა, რომ ბავშვი გადარჩა.

კაცები ფეხზე წამოდგნენ.

— კვლავ აქ შემოვიტანოთ, — უთხრა მათ ბრაუნმა. — ის ოთახი ხომ მდგმურებს სჭირდებათ.

სისხლიან ზეწრებსა და ტამპონებს, სისხლითა და ბამბით სავსე ვედროებსა და თასებს შორის მწოლიარე ქალს სახე საოცრად დაპატარავებოდა და ზედ უცხო, მკაცრი გამომეტყველება ეწერა. ამქვეყნიური ამბავი მას აღარ აწუხებდა. მელოტი ექიმი, რომელიც მის გარშემო დაფუსფუსებდა, როგორღაც უხამსად გამოიყურებოდა. ერთ მხარეს სიცოცხლე იყო თავისი ჭამა-სმით, ღეჭვა-ყლაპვით, ექსტრემენტების გამოყოფით, მეორე მხარეს — ყოფიერების მშვიდი აღსასრული.

— ნუ გადახდით, — გააფრთხილა ექიმმა რუთი. — უკეთესია, თუ არ ნახავთ. ხომ ასეა, ფროილაინ?

რუთმა თავი გააქნია.

— თქვენ კარგად გეჭირათ თავი. არ დაგიწუწუნიათ. იცით, ბრაუნ, ახლა რა გუნებაზე ვარ? მინდა თავი ჩამოვიხრჩო! აგერ, ამ ფანჯრის ჩარჩოზე!

— თქვენ ბავშვს სიცოცხლე შეუნარჩუნეთ. ეს მარწყინვალე მილწევაა!

— მაინც თავის ჩამოხრჩობა მინდა! გესმით ჩემი? ვიცი, ყველაფერი ვიღონე, თავს ზემოთ ძალა არაა, მაგრამ მაინც თავის ჩამოხრჩობა მინდა!

სიმწრით სული ეხუთებოდა, ხორციანი სახე წამოწითლებოდა. თეთრი ხალათი სისხლით ჰქონდა გათხვრილი.

— ოცი წელიწადია ამ საქმეში ვარ და, თუ ვინმე ხელში შემომაკვდა, თავის ჩამოხრჩობა მინდება. რა უაზრობაა! — იგი კერნს მიუბრუნდა. — გეთაყვა, პიჯაკის მარცხენა ჯიბიდან სიგარეტი ამომიღეთ და პირში ჩამჩარეთ. დიახ, პატარა ქალო, ვიცი, რასაც ფიქრობთ. კარგია... ახლა მომიკიდეთ. დასაბანად მივდივარ. — რეზინის ხელთათმანებს ისე დახედა, თითქოს ყველაფერი მათი ბრალი იყო. მერე მძიმე ნაბიჯით წავიდა სააბაზანოსკენ.

კაცებმა მიცვალებული საწოლიანად გამოიტანეს დერეფანში და მის ოთახში დაასვენეს. დერეფანში რამდენიმე ადამიანი იდგა, რომლებიც დიდ ოთახში ცხოვრობდნენ.

— ნუთუ კლინიკაში წაყვანა არ შეიძლებოდა? — უკმაყოფილება გამოთქვა ხმელმა ქალმა, გაყლინწული კისრით ინდაურს რომ ჰგავდა.

— არა, — მიუგო მარილმა. — თორემ ასეც ვიზამდით.

— და მას მთელი ღამე აქ დატოვებთ? მიცვალებული გვერდით ოთახში... ასე დაძინება შეუძლებელია!

— თქვენც ნუ დაიძინებთ, ბებო, — ურჩია მარილმა.

— მე ბებო არა ვარ, — აიფხორა ქალი.

— გეტყობათ კიდეც.

ქალმა გაავებული მზერა ესროლა.

— ოთახს ვინ დაასუფთავებს? რა მოაშორებს ამ სუნს. შეიძლებოდა მომდევნო მე-10 ოთახი გამოგეყენებინათ!

— უყურეთ ერთი ამას, — მიუბრუნდა მარილი რუთს. — აგერ მკვდარი ქალი ასვენია, რომელიც შვილს სჭირდება და ალბათ მის ქმარსაც, ეს უნაყოფო ფიცარი კი ცოცხალია და, როგორც ჩანს, ღრმა სიბერეს მიაღწევს ნათესავების გულის გასახეთქად. ამ გამოცანას ამოხსნას ვერ უპოვი.

— ბოროტი უფრო ძლიერია, უფრო მეტს უძლებს, — უპასუხა შუბლშეკრულმა რუთმა.

მარილმა გაკვირვებით შეხედა.

— როდის მოასწარით ამის სწავლა?

— ამისი სწავლა დღეს ადვილია.

მარილმა არაფერი უთხრა. მხოლოდ ყურადღებით შეხედა თვალებში.

ექიმები დაბრუნდნენ.

— ჩვილი დიასახლისს ჩავაბარეთ, — თქვა მელოტმა ექიმმა. —

მალე წაიყვანენ. ამის თაობაზე უკვე დავრეკე. ქალის წაყვანის თაობაზეც. ახლოს იცნობდით?

მარილმა თავი გააქნია.

— ორიოდე დღეა, რაც ჩამოვიდა. მხოლოდ ერთხელ ველაპარაკე.

— ალბათ, საბუთები ექნება. პოლიციას უნდა ჩავაბარო.

— მაგ საქმეს მე მივხედავ.

ექიმები წავიდნენ. მარილმა მიცვალებულის ჩემოდანი გაჩხრიკა. მასში ჩვილის ნივთები, ჭრელი საჩხარუნებელი, ლურჯი კაბა და ცოტა თეთრეული იყო. მარილმა ნივთები ისევ ჩემოდანში ჩაალაგა.

— უცნაურია, თითქოს ეს ნივთებიც მოკვდნენო.

ქალის ხელჩანთაში პასპორტი და ოდერის ფრანკფურტის პოლიციის მიერ გაცემული პირადობის მოწმობა იპოვა. შუქთან ახლოს მიიტანა. — კატარინა ჰირშფელდი, ქალიშვილობის გვარი ბრინკმანი, მიუნსტერიდან, დაბადებული 1901 წლის 17 მარტს.

მარილი ადგა და მიცვალებულს დახედა: ქერა თმა, მოგრძო, მკვეთრნაკვთებიანი ვესტფალური სახე.

— კატარინა ბრინკმანი, გათხოვების შემდეგ ჰირშფელდი. — მან კვლავ პასპორტში ჩაიხედა. — სამი წლის ვადა დარჩა, — ჩაიბურტყუნა მერე. — სამი წელი სხვას გამოადგება. დასაფლავებისთვის პირადობის მოწმობაც იკმარებს. — საბუთები ჯიბეში ჩაიდო. — ამ საქმეს მე მოვაგვარებ, — უთხრა კერნს. — სანთელსაც მოვიტან. კარგად არც ვიცი, მგონი, მასთან ვინმე უნდა დარჩეს. ვერ გეტყვით, რისთვისაა ეს საჭირო... მაგრამ ისეთი გრძნობა მაქვს, რომ მასთან ვინმე უნდა დარჩეს.

— მე დავრჩები, — უთხრა რუთმა.

— მეც, — მხარი აუბა კერნმა.

— კეთილი. მე მოგვიანებით შემოგიერთდებით და შეგცვლით.

მთვარეს ნათელი მოემატა. ცა მაღლა აიზიდა, გაგანიერდა, მუქი ლურჯი გახდა. ოთახში მიწისა და ყვავილების სურნელით ღამე შემოიპარა.

კერნი რუთთან ერთად ფანჯარასთან იდგა. ეჩვენებოდა, თითქოს სადღაც შორს იყო წასული და ახლახან დაბრუნდა. მას ჯერაც არ განელებოდა ის ძრწოლვა, მშობიარის კივილმა და სისხლიანი სხეულის კონვულსიების ხილვამ რომ მოჰგვარა. კერნი უსმენდა გვერდით მდგომი ქალიშვილის წყნარ სუნთქვას და თვალს ვერ აცილებდა მის რბილ, ნორჩ ტუჩებს. უცებ მიხვდა, რომ ეს ქალიშვილიც იმ მკაცრი საიდუმლოების ნაწილი იყო, რომელიც ტრაგიკულ რგოლად გარს ერტყა სიყვარულს. მიხვდა, რომ ეს ღამეც, ყვავილებიც, მიწის მძაფრი სურნელიცა და სახურავებზე გადმოდინებული ვიოლინოს დამატკბობელი ხმაც იმ საიდუმლოს ნაწილი იყო. იცოდა, თუ უკან მიიხედავდა, მისი მზერა სანთლის მოფარფატე ალით განათებული მკვდრის ფერმკრთალ, ნიღბად ქცეულ სახეს წააწყდებოდა. ამის წარმოდგენაზე ისე მძაფრად იგრძნო სითბო კანქვეშ, რომ გააძაგძაგა, და კიდევ მეტი სითბო მოუნდა...

ვილაცამ მისი ხელი აიღო და გვერდით მდგომი არსების გლუვ, ნორჩ მხრებზე მოახვევინა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ლექსები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბარბარა

გახსოვს ბარბარა
იმ დღეს იქ ბრესტში მთელი დღე წვიმდა
მოაბიჯებდი წვიმაში სველი
მოღიმარი და სახენათელი
გახსოვს ბარბარა
მთელი დღე წვიმდა მაშინ იქ ბრესტში
სიამის ქუჩაზე ერთმანეთს შევხვდით
იღიმებოდი
მეც ვიღიმებოდი
გახსოვს ბარბარა
მე არ გიცნობდი
არც შენ მიცნობდი
გახსოვს ბარბარა
ის დღე ხომ გახსოვს
ნუ დაივიწყებ
ვილაც გამვლელი ჭიშკარქვეშ იდგა
შენი სახელი წამოიყვირა
ბარბარა
შენ კი წვიმაში მისკენ გაქანდი
სველი ლამაზი სახენათელი
იმ კაცს მკლავებში ჩაუვარდი და
წვიმა შხაპუნით ზედ გეღვრებოდათ
გახსოვს ბარბარა
შენობით მოგმართავ ნუ გეწყინება
ასე მივმართავ ყველას ვინც მიყვარს
ჰოდა ამიტომ არ დაგწყდეს გული
ასე მივმართავ მათ ვისაც უყვართ
შეყვარებულებს რომც არ ვიცნობდე
გახსოვს ბარბარა
არ დაივიწყო
ის ბედნიერი წვიმის წვეთები
ბედნიერ სახეზე რომ გეცემოდა
ის წვიმა
ბედნიერ ქალაქს რომ აწვიმდა

პორტს ზღვასა და უესანისკენ მიმავალ გემს რომ
ეცემოდა
ოი ბარბარა
უაზრობაა ომი შენ ბრესტში
რა მოგელოდა ლამაზ არსებას
იმ ტყვიის ცეცხლის სისხლის წვიმაში
და იგი მაშინ რომ გეხვეოდა
სინაზით ვნებით და სიყვარულით
ვინ იცის მოკლეს ან დაიკარგა
მაგრამ ან იქნებ სულ არ მომკვდარა
ოი ბარბარა
ბრესტს ახლაც ისევ მთელი დღე აწვიმს
როგორც იქ მაშინ იმ დღეს აწვიმდა
მაგრამ ახლა კი ყველაფერი აქ
სხვანაირი და ფერშეცვლილია
ეს წვიმა არის ძაძით მოსილი
ტანჯვის ვაების მწუხარე წვიმა
და არა სისხლის ტყვიის ღვართქაფი

ხედავ იმ ღრუბლებს ბრესტის ზეცაზე
ძაღლების ხროვას ხომ მართლა ჰგვანან
იფანტებიან და ბრესტის მიღმა
სამარადისოდ გახრწნას იწყებენ.

ფრანგულიდან თარგმნა
ᲘᲠᲘᲐ ᲒᲐᲡᲕᲘᲐᲜᲛᲐ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲓᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲣᲖᲛᲔ

მოწყენილ დილას ოთახში ვზივარ,
ქუფრი ჩამოწვა სარკმლებთან ფარდად,
ცაზე ღრუბლები ირევა გრგვინვით,
გამირბენს ფიქრიც, — იწვიმებს ალბათ.

მოულოდნელად ილება კარი
და წვიმის სუსხი ძვალ-რბილში გაჯდა,
იქვე მიაგდო ლაბადა სველი,
იგი მოვიდა, ჩემ გვერდით დაჯდა.

ახლაც არ ვიცი, რამ შემძრა მაშინ,
მისმა დანახვამ თუ წვიმის სუსხმა,
რამ გამიხსენა ჭრილობა სულის,
გულმა გულცივმა თუ მზერამ უტყვმა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უჩუმრად, უხმოდ დაისხა ყავა,
არც შემომხედა, ვითომ ვერ მცნობდა.
ვედრების თვალით ავხედე ზეცას,
მაგრამ ჩემს ტკივილს ვერც ზეცა გრძნობდა.

თამბაქოს ბოლი სურნელოვანი
მაღლა ავიდა, ღრუბლებს შეერთო,
და მე გამკენწლა აზრმა მკრეხელმა —
რა დავაშავე ასეთი, ღმერთო?!

თვალთ დამიბნელა წარსულის სევდამ,
ვერ გავერკვიე, თუ რა ხდებოდა.
ვხედავდი, ნეტავ არ დამენახა,
ის წასასვლელად ემზადებოდა.

სიგარის ფერფლში მე ვცნობდი ჩემს ბედს,
კვამლის რგოლებში ვუმზერდი ჩემს თავს
და თან ვიყავი დარწმუნებული,
რომ უმისობა მე მალე მომკლავს,

წამოდგა... ქუჩას გახედა — წვიმდა,
ტაატით იწყო ლაბადის ჩაცმა,
ის შეერია პარიზულ ნისლს და
ისე წავიდა, ხმაც კი არ გამცა.

უმალვე გაქრა, ვით მოჩვენება,
შემოებურა ნისლი წყეული,
და მე ავტირდი გულამოსკვნილი,
რადგან ვიგრძენი, ვიყავ ეული.

ფრანგულიდან თარგმნა
გეგა საღუნიშვილმა

დიდიე ვან კოველარტი

ნასვლა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფრანგულიდან

თარგმნა **დავით იაშვილმა**

ცხოვრება შეცდომით ნაპოვნ ბავშვად დავიწყე. სინამდვილეში ქუჩაში, გადასასვლელთან გაჩერებულ მანქანასთან ერთად მომიპარეს. მომდევნო წლებში, როცა ჭამა არ მინდოდა და გავჯიუტდებოდი ხოლმე, მამიტა მეუბნებოდა, დამტვრეული მანქანების სადგომზე წაგიყვან და იქ დაგტოვებო, მაშინ შეშინებული სწრაფად ვისანსლებოდი და ჭამის დამთავრებისთანავე ყველაფერს უკან ვასხამდი. ერთი მსრივ ეს უკეთესიც იყო: გასუქებაში მიშლიდა ხელს. მიშვილეს, დავრჩი მათთან და დავიმკვიდრე ჩემი ადგილი.

ბოშებისთვის ბავშვი წმიდათაწმიდაა. ის უნდა იყოს რაც შეიძლება მსუქანი პრესტიჟისათვის. ოთხი წლისა ის უკვე ბუთხუზათა მეფეა, შემდეგ კი თვითონ გაიტანს თავს. მე თავი ისე გავიტანე, მეფე არ ვყოფილვარ: არც დიდი სიმაღლიდან ვხტებოდი, არც კედლებზე დავფოფხავდი, არც არაფერს განსაკუთრებულს ვამბობდი და ყველაზე გამხდარიც ვიყავი. ვცდილობდი არავის ყურადღება არ მიმეპყრო და მივალწიე კიდეც ამას.

ხშირად ღამღამობით საშინელ სიზმარს ვხედავდი: დამტვრეული მანქანების ავტოამწე მოდიოდა, რათა ჩემი უადგილო ადგილზე გაჩერებული მანქანა წაეყვანა მანქანების სასაფლაოზე, სადაც თუნუქთა ქვეშ ვიჭყლიტებოდი; საბედნიეროდ, მამიტას ფურგონში ყოველთვის აღმოჩნდებოდა ხოლმე ერთი ჩხავანა მეფე; სიზმარი იმ დროს წყდებოდა, როცა ჯერ კიდევ სული მედგა და ხელახლა შემეძლო მშვიდად დაძინება. ვიცოდი, რომ არა საფრთხე არ მელოდა ამ მსუქან ბავშვებში თბილად ჩაყუჟულს. მათ კისერზე უამრავი ჯაჭვი და მედალიონი ეკიდათ, სიბნელეში რომ წკრიალებდნენ. ყველანი წამდაუწუმ მეუბნებოდნენ, ბედნიერი ხარო. ეს ერთხმად იყო აღიარებული უხუცესთა საბჭოზე, რის გამოც უფრო და უფრო მადლიერი გახლდით ჩემი ბედისა. ბებერმა ვაზილმა ლე რომმა ისე მომიპარა, არც დავუნახივარ. მანქანის უკანა სკამზე კალათაში მეძინა თურმე, გარშემო კი საშობაო საჩუქრები ეყარა. ... მან ყველაფერს წამოავლო ხელი და წამოიღო; მანუშს ჩემი უკან დაბრუნება მოუნდომებია, მაგრამ ვაზილმა არ დამთმო. გარდა ამისა, რადგან კალათაზე წარწერა არ იყო, იფიქრა, რომ ღვთის საჩუქარი ვიყავი. წინააღმდეგობა ველარ გაუწიეს, მაშინ უკვე ძალიან

---

1. ფრანგი მწერალი, დაიბადა 1960 წელს, მიიღო გონკურების პრემია სწორედ ამ რომანისთვის (იგი ოცდახუთ ენაზეა თარგმნილი).

ბებერი იყო. სიბერე კი ჩვენი ადათით დიდი სიბრძნეცაა. მანქანა სიტროენის მარკის Ami-6 იყო; ჰოდა, მეც Ami-6 დამარქვეს სამახსოვროდ. ესაა ჩემი ფესვები. მაშ. დროთა განმავლობაში ჩემი სახელი აზიზი შეიქნა. მამიტა რომი[1] რუმინეთში იყო დაბადებული, სადაც ნაცისტებმა სტერილიზაცია გაუკეთეს. ჰოდა, ყოველთვის ამბობდა, უაზრობაა შენთვის ამ სახელის დარქმევა, ფრანგს ჰგავხარ და არაბული სახელი ხელს შეგიშლის ცხოვრებაშიო.

ძალიანაც მომწონს, არაბი რომ ვარ, ისინი ბევრნი არიან. ეს კი ჩემს უსაფრთხოებას უზრუნველყოფს. მას შემდეგ, რაც მანქანების რადიოებით დავიწყე თავის გატანა და დაპატიმრების შემთხვევისთვის საჭირო შეიქნა ყალბი საბუთები, გვარიც ვიშოვე — ქემალი. წარმოდგენა არა მაქვს, საიდან მოიტანეს. ალბათ ქ-ს წელიწადი იყო.[2]

ვფიქრობდი ხოლმე ჩემს ნამდვილ მშობლებზე, რომლებიც, უეჭველია, წუხდნენ და ელოდნენ, როდის მოსთხოვდნენ გამოსასყიდს და ალბათ იმედს არ კარგავდნენ, რადგან ჩემი გვამი ნაპოვნი არ იყო. ერთ დღეს გადავწყვიტე, „პროვანსალში" განცხადებას გამოვაქვეყნებ-მეთქი: „შობა დღეს Ami-6-დან მოპარული ბავშვი ეძებს მშობლებს. მისწერეთ აზიზ ქემალს. ცისფერი ესტაფეტა, ვაზილის პიცის საცხობი ფოლკსვაგენის პირდაპირ. ვალონ-ფლერი, ჩრდილო მარსელი". მაგრამ ყოველთვის ვაგვიანებდი გაგზავნას. როცა ბოლოს და ბოლოს ოჯახის წევრად გთვლიან, გული არ უნდა ატკინო, დარტყმა არ უნდა მიაყენო. მერჩია ამ ეჭვებით მეცხოვრა ბოლომდე და სათუთად შემენახა ჩემი ოცნება. არ მაინტერესებდა, საიდან გახლდით, იმითაც კმაყოფილს, რომ იქ ვიყავი.

ხშირად წარმოვიდგენდი, რომ მარსელის „ოლიმპიკის" თავდამსხმელის შვილი ვიყავი, რომელსაც თავისი გარაჟი უფროსმა Ami-6 ათხოვა მერსედესების დასათვალიერებლად. ხან ვფიქრობდი, მარსელის საპნის მწარმოებლის მემკვიდრე ვარ, ან დოკერების ოჯახის ნაბოლარა, წარამარა გაფიცვებს რომ აწყობენ. წვიმიან დღეებში ვფიქრობდი, ჩემმა მშობლებმა ჩემ მაგივრად ალბათ სხვა ბავშვი გააჩინეს-მეთქი.

მერე კი თვრამეტი წლისას სიმართლე მითხრეს. სხვა სიმართლე, უფრო მძიმე თუ უფრო მარტივი, არც გამიგონია. მოხუც ვაზილს არ მოუპარავს ჩემი Ami-6, მას თავისი პიცის საცხობიანი ფოლკსვაგენით დაჯახებია, როცა ფრიუნის ერთ-ერთ აკრძალულ მოსახვევში გასწრებას ცდილობდა. მშობლები იმწამსვე დახოცილან, ჩემი ამოთრევა კი მოუსწრია დამსხვრეული მანქანიდან, სანამ აფეთქდებოდა. ახლა კი ვიცოდი გაგრძელება. ვაზილს აღარასოდეს განუახლებია თავისი ხელობა, საჭეს აღარ მიჰკარებია, პიცის საცხობიც აღარ აუნთია. სწორედ ამიტომ ვხედავდი მის ფოლკსვაგენს ერთსა და იმავე ადგილზე სუროთი და ხავსით დაფარულს, შიგ კი წმინდა მარიამის ხატი ესვენა.

---

1. რუმინეთში დაბადებული ბოშების კნინობითი სახელი.

2. საფრანგეთში კინოლოგთა საზოგადოება აცხადებს ხოლმე ანბანის ამა თუ იმ ასოს წელიწადს და თუ ჯიშიანი ძაღლის პასპორტის აღება გსურთ, ძაღლის სახელი ამ ასოზე უნდა იწყებოდეს.

თავიდან ძალიან გულაჩუყებული და ამავე დროს ცოტა შეურაცხყოფილიც ვიყავი, რომ მთელი დასახლება ამდენი ხნის განმავლობაში მეთვალთმაქცებოდა, ჩემთვის დარდი რომ აეცილებინა. ჰოდა, ჩავიცვი ჩემი საუკეთესო შორტები და ვაზილთან წავედი მადლობის სათქმელად, რომ გადამარჩინა და არ მომკლა. მან პლედიდან მთლად დანაფეხებული თითი გამოყო და სიცარიელეს თვალმიშტერებულმა ყრუ ხმიფ მითხრა:

— შობილი და არა ქმნილი, ერთარსი მამისა, რომლისაგან ყოველი შეიქმნა.

ეს, ეტყობა, რაღაც გამოცანა იყო, რომლის პასუხი მე არ ვიცოდი; ის ახლა უკვე მთლად გამოშტერებული ბებრუცანა ბრძანდებოდა და მხოლოდ დღესასწაულებზე გამოჰყავდათ. იქნებ სულაც არ არსებობდა პასუხი.

ვწუხდი ჩემს მშობლებზე. რა თქმა უნდა, ძნელია იტირო იმათზე, ვისაც არ იცნობ. მერე თავი დავიმშვიდე, ბოლოს და ბოლოს ჩემი დაკარგვით მაინც არ იტანჯებიან-მეთქი. მომდევნო თვეებში, უცნაურია, მაგრამ ძალიან დამაკლდა ის პატარა განცხადება, მე რომ ძილის წინ ოცნებაში ვწერდი, ვალამაზებდი, ვასწორებდი, ვცდილობდი უფრო მოქნილი და სხარტი გამეხადა, ის პატარა განცხადება, რომელსაც გულით ვატარებდი, რომ ერთ დღეს, როცა დრო და ადგილი იქნებოდა, დამეწერა და რედაქციისათვის გამეგზავნა. ამიერიდან ის აღარაფერს ერითმებოდა ჩემს გულში და მე ობოლი გავხდი — ფრაზის ობოლი.

მაგრამ გვეყო, ცხოვრება გრძელდებოდა. მე აღმოვჩნდი მარსელში დროებით მცხოვრები მაროკოელი, და ყოველი ახალი ცნობის აღებისას ფული უნდა მეხადა. ერთადერთი ადგილი, სადაც სირთულეები მექმნებოდა, ფეხბურთის მოედანი იყო. სასაცილოა, მაგრამ როცა ვალონ-ფლიორის რომებში ვთამაშობდი როშე-მირაბოს არაბების წინააღმდეგ, თავს მოღალატედ ვგრძნობდი და არა მარტო მოღალატედ, არამედ უზურპატორადაც, რადგან კარგად ვიცოდი, რომ ბოშებს ბოლომდე თავისიანად არ მივაჩნდი. წინა ხაზის მოთამაშე თუ თავისი მოდგმის საკადრის ბურთს ვერ გაიტანდა, მაინც კარგ მოთამაშედ და კარგ ტიპად რჩებოდა. ასე და ამგვარად, ბოლო-ბოლო არბიტრად ვიქეცი.

დასახლებებს შორის მუშტი-კრივში საქმე უკეთ მიმდიოდა. ინსტიქტურად მე ყოველთვის ჩემი მამობილის ოჯახის მხარეს ვიჭერდი, თუმცა როშე-მირაბოელებთან ჩხუბი გულს მტკენდა. უმეტესად თავს ვარიდებდი ჩხუბს და ამიტომ ლაჩრად მიმიჩნევდნენ, მაგრამ ეს არცთუ მედარდებოდა, რადგან გოგოს, რომელიც მიყვარდა, ჩემი არ ერცხვინებოდა.

ლილა ჩემსავით ცხრამეტი წლისა იყო. ბავშვობიდან ვიცნობდით ერთმანეთს, ახლა კი ფრთხილად უნდა ვყოფილიყავით. ჩემი წარმოშობის გამო. ძმებს მის საბედოდ მათსავით წმინდა სისხლის მანუში[1] რაეკო ჰყავდათ შეგულებული — მერსედესების სპეციალისტი. როცა დასახლებაში პირისპირ გადავეყრებოდით ხოლმე ერთმანეთს, გამარჯობა-ნასვამდით ვკმაყოფილდებოდით და თან განზე ვიყურებოდით. მაგრამ კვირაში ერთხელ ლილა ჯდებოდა ჩქარ მატარებელში, მე ვი-

1. ბოშების წმინდა სისხლის კლანი.

პარავდი მოტოციკლეტს და ერთმანეთს ნიოლონის ყურეში ვხვდებოდით, რომელიც ამქვეყნად ჩემთვის საუკეთესო ადგილი იყო — იმ დროს ჯერ კიდევ ბუშ-დე-რონის გარდა არაფერი მქონდა ნანახი.

ლილა დედამისივით ხელზე მკითხაობდა. მე მხოლოდ ეს მითხრა: მალე გაჩერდები გზაჯვარედინზე და მერე ისევ გზას გაუდგებიო. მას შავი თმა, მწველი თვალები და ივნისში აყვავებული ცაცხვის სურნელი ჰქონდა. წითელი ან ლურჯი კაბა ეცვა კოჭებამდე და როცა ცეკვავდა, კაბა უფრიალებდა... მაგრამ აქ შევჩერდები, რადგან ყოველივე ამის გახსენება გულს მტკენს.

ათასჯერ მომიყვა თავისი ქვეყნის — ინდოეთის — ამბავი, საიდანაც იყო წარმოშობით და სადაც არასოდეს ყოფილა. მიყვებოდა ადათ-წესებზე, წმინდა ძროხებზე, ყვავილებით შემკულ კოცონზე, სადაც ქვრივს წვავდნენ ხოლმე, თუ გარდაცვლილი ქმარი წმინდა სისხლისა იყო. სიმართლე გითხრათ, არც ვუსმენდი. ჩემს ცხოვრებაში ძალიან ცოტა რამისთვის მისმენია, გარდა სკოლისა, სადაც აღარ დავდიოდი. იმ დღეებში, როცა სიყვარულს ვეძლეოდით, მე ზევიდან, ის კი პირქვე დაწოლილი, როცა ფრთხილად უნდა ვყოფილიყავით და პატივი გვეცა ქორწინებისათვის — მისი ქორწინებისათვის — ეს ყველაფერი არ არსებობდა. ვიყავით თავისუფლები და მარტონი მთელ ქვეყნიერებაზე. და ამ დროს თავს მართლა შინ ვგრძნობდი. ის თავის ენაზე მეუბნებოდა, მიყვარხარო. მე არაფერს ვამბობდი, რადგან არ მქონდა საკუთარი ენა, მინდა ვთქვა საიდუმლო ენა, მაგრამ მთელი გულითა და სულით მიყვარდა. ვფიქრობდი, რომ მისი დაქორწინების შემდეგ აღარ იქნებოდა საჭირო სიფრთხილე და თვალი-თვალში გაყრილებს შეგვეძლებოდა ერთმანეთი გვყვარებოდა.

საღამოობით თუ უძილო ღამეებში თითოეული იხსენებდა თავის წარმოშობას, ტრადიციებს, ქვეყანას, სადაც მათი ფესვები იყო, იხსენებდა იმის გაუნელებელი სინანულით, რომ კალდერაშის დიდება მოკვდა. ათადან ბაბამდე ქვაბების მკალავებს ხელში გიტარები და გარმონიკები ეჭირათ, ჰყვებოდნენ დევნაზე, ტანჯვა-წვალებაზე, დარბევებსა და დაჭერებზე, რომელთა გამო გაქცევა უწევდათ. მეოცნებე მოგზაურებს სულ ქარავნები ელანდებოდათ ვალონ-ფლიორისა და ბუშ-დე-რონის ავაზაკებში გამოჭედილებს. მე იქ ვიყავი და ხმას არ ვიღებდი. პატივისცემის ნიშნად თავს ვიქნევდი: სხვაგან ჰქროდა ჩემი ფიქრი. არ მიყვარდა იმის მოსმენა, თუ საიდან მოდიოდნენ სხვები. მსურდა ყოველგვარი ისტორიის გარეშე ვყოფილიყავი Ami 6-ის ისტორიის გარდა. თუმცა კი ამის გამო მარტო ვრჩებოდი.

ჰოდა, ბედნიერება იყო, სკოლაში რომ წავედი. ბედნიერება იყო სწავლა. მე სხვა ოჯახი აღმოვაჩინე, სადაც მხოლოდ მე ვიყავი სიტყვებთან და ციფრებთან ერთად, რომელთა შეცვლაც ჩემს გემოზე შემეძლო: ვუმატებდი, ვაულლებდი, ვაკლებდი და ყველას ესმოდა ჩემი. დაფასთან გასული ვყვებოდი ბრძოლებზე, მდინარეებზე და ისე მისმენდნენ, თითქოს ეს ყველაფერი ჩემი საკუთარი ამბავი იყო. მილიონობით დაღუპული, წყალდიდობები, ადამიანთა სიძულვილი ხუთიანებად იქცეოდა. ჩემთვის ყველაზე დიდი ჯილდო ქვეყნის კლიმატისა და რელიეფის შესწავლა გახლდათ არა იმიტომ, რომ იქიდან ვილაც იყო წამოსული ან

წარმოშობილი, არამედ იმიტომ, რომ ის ქვეყანა არსებობდა. ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. იმდენი რამ მქონდა სასწავლი და გასაგები, მთელი ცხოვრება დამჭირდებოდა.

მაგრამ მე სწავლა უნდა შემეწყვიტა მეექვსე კლასში, ვალობფლერის გამო, რომელსაც არ უყვარდა ზედმეტი მუქთამჭამელები. ხუთი წლისა „მთირავი" ხარ, ფეხით მოსიარულეების მოთვალთვალე, შვიდისა პირველად იპარავ ჩანთებს, თერთმეტისა „ტოროლა" ხდები, მოძრავი ქონების მოთვალთვალე, და წყვეტ სკოლაში სიარულს. ეს ასეა.

ბატონმა ჟირროდიმ, გეოგრაფიის მასწავლებელმა, მითხრა: ძალიან, ძალიან ვწუხვარ, რომ მიდიხარო. ჩვენ ხშირად გვისაუბრია გაკვეთილების შემდეგ. ლაპარაკი მეუხერხულებოდა და თითქმის ვერ ვიჭერდი აზრს, ისევე როგორც თევზებს თევზაობისას, რომლებიც იბრძვიან, სხმარტალებენ — სჯობია მოცურავეთ უყურო და არ დაიჭირო. ბატონმა ჟიროდიმ მითხრა, ცხოვრება ცუდადაა მოწყობილიო, და მან ეს ალბათ ძალიან კარგად იცოდა: ორმოცდაათი წლისა იყო. სხვათა შორის, მისი თქმით, მარსელის სხვა უბნებში გახლდათ კოლეჯები, სადაც არც ნარკოტიკები იყო, არც ძალადობა, არც ქურდობა და რომ მე უკეთესი ცხოვრების ღირსი ვიყავი, რადგან სწავლა მწყურდა. მას ძალიან მოწყენილი სახე ჰქონდა. არასოდეს მენახა ასეთი სევდიანი ადამიანი და ვფიქრობდი, ალბათ უკეთესია, სკოლას თავს რომ ვანებებ, ხომ შეიძლება მეც ასეთი სევდიანი გავხდე-მეთქი.

მან წარმატება მისურვა და არაჩვეულებრივი წიგნი მაჩუქა: სამკილოიანი ატლასი — „მსოფლიოს ლეგენდები". ვერაფერი ვერ ვუთხარი, მეშინოდა, ტირილი არ ამვარდნოდა, რადგან სულ მიმეორებდნენ, არაბი ამაყს ნიშნავსო. ეს კია, ვიფიქრე: წინასწარმეტყველი იყოს ყოველთვის შენი მეგზური-თქო. ეს არ იყო ჩემი ნამდვილი რელიგია. ეს ამბები ყურმოკვრით ვიცოდი, მაგრამ ამ ნათქვამს მთელი გული კი ჩავატანე.

როცა პირველად მოვიპარე რადიო — გრუნდინგის მარკისა — მას გავუგზავნე ფოსტით, როგორც სამადლობელო საჩუქარი, და დავაწერე: „თქვენი სიკეთისათვის, VI-ბ კლასი, აზიზი". თავს პირობა მივეცი, როცა გავიზრდებოდი და მანქანის მართვის ნებას მომცემდნენ, მისთვის მანქანა მომეპარა, რადგან ყოველთვის ავტობუსში ვხედავდი ხოლმე. მერე გადამავიწყდა, მერე კი დრო აღარ მქონდა იმ ფათერაკის გამო, თავს რომ დამატყდა.

კოცონის გარეშე ღამისთევისას, როცა სხვები ჰყვებოდნენ რუმინეთზე, თურქეთსა თუ ჩრდილო ინდოეთზე, ყველა იმ ადგილზე, საიდანაც გამოდევნეს, მე ზეპირად ვსწავლობდი მსოფლიოს ლეგენდებს, განსაკუთრებით არაბეთისას, რადგან არაბს ვგავდი. რაკი არავინ იცოდა, ზუსტად რომელი ქვეყნიდან ვიყავი, უმჯობესი იყო გამოგონილი ამბები მესწავლა, ვიდრე ყოველდღიურობაზე მეფიქრა, ისეთებზე, „პროვანსალის" გვერდებზე რომ გადავაწყდებოდი ხოლმე, როცა მათში მოპარულ ავტორადიოებს ვახვევდი გასაყიდად. თანაც თვალს ვაპარებდი ლილასკენ, რომელიც თავისი დანიშნულის — მერსედესების სპეციალისტის გვერდით იჯდა და ცდილობდა ჩემი მზერა არ შეემჩნია. რაჟ-

კო გიტარის აკომპანიმენტზე მას თავიანთი დევნა-შევიწროების ამბებს მოუთხრობდა. მე ტკივილისა და წუხილის აკომპანიმენტზე ჩემსავე თავს მოვუთხრობდი იმილიშის შეყვარებულთა ამბავს: აიტ ბრაჰიმს სიგიჟემდე შეუყვარდა აიტ იაზა მტრულად განწყობილი ტომიდან. მათი ცრემლებით ორი ტბა გაჩნდა: ისლი — საქმროს ტბა და ტბა-ისაცოლეს ტბა, გვერდი 143 ჩემს ატლასში; ოჯახის წევრებმა [illegible] ცრემლებისგან შექმნილ ტბებში დაახრჩვეს ცალ-ცალკე, თავიდან რომ აეცილებინათ შეუფერებელი ქორწინება.

ივლისის ერთ ნაშუადღევს ყურეში კლდეზე მიწოლილმა სიყვარულობანას შემდეგ ლილას ყურში ჩავჩურჩულე აიტ ბრაჰიმის ამბავი. მას ეგონა, რომ ჩემს ძმაკაცზე ვუყვებოდი არაბების დასახლებიდან, ადგა და ზღვაში ჩაყვინთა ზღარბების დასაჭერად.

როცა მარსელში ჩავდიოდი ახალი ავტორადიოების გასაცნობად და ფასების გასაგებად, ვხედავდი სხვა ახალგაზრდათა ოჯახებს და ხანდახან სურვილი მიჩნდებოდა მათ ადგილას ვყოფილიყავი. მაგრამ ეს მალე გამივლიდა ხოლმე. სითბო, რომელიც ვალონ-ფლიორში მაკლდა, „საქმეზე“ წასვლის დროს ძმაკაცობით მინაზღაურდებოდა. აქ მე ნამდვილად კლანის წევრი ვიყავი: მომხიბვლელი ღიმილი მქონდა, ხელსწრაფიც გახლდით და სწრაფადაც გავრბოდი.

ერთ-ერთი ჩვენი სპეციალობა იტალიური იერიში იყო. იტალიელები მას ბოშების იერიშს ეძახიან, მაგრამ ბოშები ცოტანი არიან, ამიტომ იტალიური სჯობია: მიდიხარ მანქანით, შუქნიშანთან წითელ შუქზე გიხვრეტენ საბურავს, გეხმარებიან საბურავის გამოცვლაში და... მიდიან შენი მანქანით. პოლიცია სხვათა შორის აფრთხილებს იმ ხალხს, ვინც ჩვენი კვარტალი უნდა გაიაროს, რომ არ გაჩერდნენ წითელ შუქზე. თავაზიანი გაფრთხილებაა, მაგრამ ვინც არ აჩერებს, მას ეჯახებიან. მერე ფაქტის დასამოწმებლად გადმოდიან მანქანიდან და შენს მანქანასაც სულ სხვა გზას გაუყენებენ ხოლმე. ეს ბელგიური იერიშის ნაირსახეობაა. მანქანას დასახლებაში მიიყვან, იქ მას სპეციალისტების მთელი ჯგუფი შლის მარტივ მამრავლების: მოტორების, საბურავების, ფარების, აქსესუარების თუ ავტორადიოების სახით. ამ უკანასკნელთა სპეციალისტი კი მე გახლავართ. ძირითადად მერსედესებზე ვმუშაობთ და ცხოვრება რომ არ გავირთულოთ საწყობის არსებობით, ვინმე რაჟკოსნაირი მაგარი ტიპი მხოლოდ შეკვეთებზე მუშაობს. ეტყვი: რაჟკო, მჭირდება 500 SL-ის ესა და ეს ნაწილი, და მეორე დღეს მოგართმევს.

როცა მხოლოდ კარკასია რჩება, მას დასახლების გასასვლელთან გამზირზე ვაგდებთ, ნაგავი რომ მოვიშოროთ. სხვაგვარად უპატრონო ნაყარნუყარის მთელი ხროვა დაგვიგროვდებოდა. ჩვენთან ყაჩაღობა, ბინების გატეხვა არ ხდება, ვალონფლერი[1] ჩვენი სიამაყეა: ყვავილებიც კი დავრგეთ, სახელი რომ გაგვემართლებინა. მამიტა მართალია: დროთა განმავლობაში სახელი თავის კვალს ამჩნევს საგნებს.

იმდენად, რამდენადაც აზიზ ქემალი თხუთმეტი წლისა გახდა, მეც ბუსლიმობის პერიოდი დამიდგა. მაგრამ დროზე შევჩერდი, ძალიან მი-

---

1. ყვავილი (ფრანგ.).

ყვარდა ლილას სახე და სულაც არ მინდოდა მასზე ჩადრის ჩამოფარება. დავუბრუნე თავისი ყურანი საიდს, დუკების დასახლების მცველს, ჩემპიონს, რომელმაც უკვე ერთი წელი იყო, რაც სახელი და დიდება მოიპოვა: ბეისბოლის ჯოხით კორპუსის შესასვლელი გადაუკეტა ნარკოტიკების გადამყიდველებს. მე ისევ განვაგრძობდი „მარსელ ოლიმპიკის“ მხარდაჭერას.

ვალონ-ფლიორში ცხოვრება მშვიდად მიედინებოდა. იშვიათად იყო ჩაშვებები. თუ რომელიმე პოლიციელს თავში მოუვიდოდა ჩრდილო კვარტალში პირადობის მოწმობების გასინჯვა, ეგრევე გაგსვამდნენ საზღვრის იქით. შემდეგ მას პრეფექტი საპონს აძლევდა, რადგან ღონისძიებები, რომელთაც ეს უკანასკნელი მიმართავდა კრიმინალური მდგომარეობის გამოსასწორებლად, მხოლოდ ის იყო, რომ არ შეემჩნია, რა ხდებოდა. ჩრდილო მარსელი ოფიციალური უდაბნო გახდა. ჩვენი დასახლება აღარ იყო რუკაზე აღნიშნული. დარჩა ოცდაათიოდე შტატიანი პოლიციელი ორას ათას არარსებულ პირზე; ამიტომ მაშინვე გადავწყვიტეთ დაგვეცვა ისინი, რათა საბოლოოდ არ გადაშენებულიყვნენ.

არ ვიკვეხნი, მაგრამ, მგონი, პრეფექტი თავისებურად საკმაოდ ეშმაკი კაცი იყო: თუ პოლიციელს ვცემდით, კარგად ვიცოდით, **რომ მის** ჩივილს მისი უფროსები არასოდეს მისცემდნენ მსვლელობას სტატისტიკის გამო, ამიტომ გვეცოდებოდნენ და მათი ცემა-ტყეპის ნაცვლად თვითონვე ვაწესრიგებდით სიტუაციას. ვიცოდით, რომ სექტორის ზედამხედველთა ბრიგადები ორ ჯგუფად ხუთ-ხუთი მანქანით მორიგეობდნენ ხოლმე: ერთი შუადღიდან ცხრამეტ საათამდე და მეორე ცხრამეტიდან ღამის ოთხ საათამდე. ჩვენც ოთხიდან შუადღემდე ვმუშაობდით, მაშინ როცა მათ ეძინათ, და ყველანი კმაყოფილები ვიყავით. ჩვენი დელიკატურობის სამადლობლად სხვათა შორის ჩვენთან გახსნეს სსბ — სახალხო სარგებლობის ბაზრობა, სადაც ურიკებით მივდიოდით და უფასოდ ვილებდით, რაც გვინდოდა. აღარ გვიწევდა იმ ბებრუხანებისთვის განკუთვნილი „ლეკრერკისა“ ან „კაზინოს“[1] გატეხვა, რომელთაც ანგარიში არ ჰქონდათ ბანკში. აი უკვე ათიოდე წელი იყო, რაც მათი ბინების ფასიც ჩვენი მეზობლობის გამო სამ-ოთხჯერ ნაკლები გახდა.

საბოლოო ჯამში ჩრდილო მარსელი საკმაოდ კარგად ფუნქციონირებდა. სხვათა შორის ჩვენთან პარიზის ატრაქციონმაც კი ჩაიარა. ეს იყო მდგომარეობის შემსწავლელი კომისია, რომელიც ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას გვთავაზობდა. გასულ წელს ცხოვრების პირობები ფრიად გააუმჯობესეს ვალონ-ფლიორში: სკალპივით წააცალეს თავი დასახლების გვერდით მდგარ კოშკს — კრიმინალი ძალზე მაღალსართულიანი სახლებიდან მოდისო. ამ მხრივ ჩვენ, ბოშებს, არაფერი გვემუქრებოდა: ბოშებს, ჩემსავით ნაშვილებსაც კი, არ უყვართ ხოლმე სიმაღლე. ჩვენ არ შეგვიძლია კოშკში ცხოვრება, საერთოდ ჩაკეტილ სივრცეში. მაგალითად, ბარაკში: ესეც იგივე კოშკია, ოღონდ ჰორიზონტალურად გაწოლილი. ესეც არ უნდა იყოს კარგი ხერხი კრიმინალის

---

1. სურსათის იაფფასიანი მაღაზიები.

ალსაკვეთად; მას მერე, რაც ბარაკი განთავისუფლდა, იაფფასიანი ბინების ოფისმა ის გაქირავების ნაცვლად ამოქოლა. მე მგონი, ეს უფრო იაფი დაჯდა, ვიდრე შეკეთება დაუჯდებოდათ.

კომისიის მოსვლამ ვალონ-ფლიორში ძალიან კარგად ჩაიარა. ფრიად თავაზიანები ვიყავით. მივართვით სასმელები შოკიდან გამოსაყვანად — ბას-რობიერის კომორიადან მოდიოდნენ, სადაც ფანჯრიდან გამოსროლილი მაცივარი მოხვდათ თავში. ცოტა მუსიკა, ძანუშების ჯაზი, ფლამენგო, გიპსი-კინგი და ნერვებიც დაუწყნარდათ. კომისიამ ბადლობა გადაგვიხადა გულთბილი მიღებისათვის, თან წაიღო კალათები, ბავშვებმა რომ აჩვენეს, მათ კი საჩუქრები ეგონათ. შემდეგ ახალ ამბებში გამოაცხადეს, ბოჰემიელები ცუდად გრძნობენ თავს ფურგონებში და ყველა გაუგებრობა აქედან მომდინარეობს, განსაკუთრებით, როცა მათ კარგად არ იცნობო. ჰოდა, პატარა სოფლის ნაცვლად „ბუიგუეს"[1] სახლები აგვიშენეს.

ძალიან კმაყოფილნი ვიყავით, ნება მივეცით აეშენებინათ. ცემენტიც კი არ მოგვიპარავს მშენებლობიდან, რადგან ჩვენთვის შენდებოდა და გვეჩქარებოდა მათი დამთავრება. ბოლო სახლიც რომ ააშენეს, მობრუნდნენ პრეფექტის, ტელევიზიისა და ბუიგუეს გამოგზავნილ კაცთა თანხლებით, რომ ჩვენთვის ოფიციალურად გადმოეცათ გასაღებები.

მაგრამ სადღა იყო გასაღებები — სხვათა შორის აღარც კარები და აღარც ფანჯრები ჩანდა, აღარც საჭირო ოთახები. ყველაფერი დავშალეთ და ნაწილ-ნაწილ გავყიდეთ კრამიტის გარდა. კრამიტი ზამთრისთვის შევინახეთ, ზამთარში მეტი ფასი აქვს ხოლმე. ბუიგუეს გამოგზავნილმა კაცმა თავი გაიგიჟა, საფლავებიდან ამოგვითხარა წინაპრები და „დაგვილოცა" შთამომავლობა, ტელევიზია უკან გაუშვა. პრეფექტმა აღარ იცოდა, რა ექნა. პირფერულად ვუთხარით, რომ კმაყოფილები ვართ პავილიონით, რომ ისეთი ხედია, როგორიც ქარავნის სარკმლიდან, რომ ეს ლამაზ და კარგ გარემოს ქმნის. ათასჯერ მოვუბოდიშეთ, დავდნით ზრდილობად და ბუფეტიც გაიხსნა.

არ დააკარეს პირი მათ პატივსაცემად მიტანილ ღვინოს, არც პურმარილს, საგანგებოდ მათთვის რომ იყო მოპარული „ფოშონ მარინიანის" საწყობიდან.

იდიოტებივით დავრჩით მათი წასვლის შემდეგ ერთი ტონა ყელში ჩაწყობილი კვერცხებითა და ორაგულებით. სულ შევჭამეთ ყველაფერი გულდაწყვეტილებმა.

პინიოლი მოვიდა საჩივარზე ხელის მოსაწერინებლად, რადგან ეს ჩვენი პირადი დანაშაული იყო, და საჭმლის მოთავებაში ფრიად დაგვეხმარა.

პინიოლი ჩემი ბავშვობის მეგობარი იყო. სკოლაში გავიცანით ერთმანეთი. იგი ჩემზე მეტხანს სწავლობდა და ზოგჯერ, ჩემი ცხოვრების შემხედვარე, ძალზე ნანობდა. თავიდან სარკინიგზო საინჟინრო ინსტიტუტში უნდოდა შესვლა, მაგრამ კონკურსში ვერ გავიდა. მაშინ მამამისის პროფესიას გაჰყვა. ზოგჯერ მოსალოცია, ობოლი რომ ხარ. პო-

---

1. ცნობილი ფრანგი ინჟინერი.

ლიციის სკოლა ორ ცხელ დასახლებას შორის იყო მოთავსებული, რათა მოსწავლეებს თავი მოსახლეობისგან მოწყვეტილად არ ეგრძნოთ. ამ ბრივ მიზანი ნამდვილად იყო მიღწეული: ისინი ლექციებს მავთულხლართების იქით შეყუჟულნი ისმენდნენ, ალყაშემორტყმულნი ... ბითა და ლუდის ბოთლებით დაბომბილნი, რათა კარგად შეეგრძნოთ თავიანთი პროფესია. ბუნკერიდან მარტო გამოსვლის ნებაც კი არ ჰქონდათ. საღამოს მილიციის მანქანას მიჰყავდა ისინი დასაძინებლად. ამას „კანონის მხარეს დგომას" ეძახდნენ. დასაძინებლად ჟან-ჟორესში მიჰყავდათ, კიდევ ერთ მეტად საშიშ დასახლებაში, სადაც მათ მთელი ღამე საზედამხედველო ბრიგადების მანქანები იცავდა, რომელთაც მხოლოდ პოლიციის შეგირდების დაცვა ევალებოდათ მათივე მომავალი დანაშაულისაგან. ერთადერთი განათლება, რომელსაც ამ სასწავლებლიდან ღებულნენ, სიძულვილი იყო. და რადგან ჩვენთან ამას გასავალი არ ჰქონდა, ლიონის ჩვენზე ნაკლებად ცივილიზებულ დასახლებებში აგზავნიდნენ.

კვირას მივდიოდი ხოლმე პინიოლის სანახავად სასწავლებლის მისაღებში. ცოტა მეცოდებოდა კიდეც, ისეთი ძლიერი იყო ფრანგულში და ნამდვილად სამწუხარო იყო, ტყუილად რომ ცდებოდა სროლის გაკვეთილებითა და კარტის თამაშით. სკოლის გისოსებში გამოკეტილს მომავალი არაფერს უქადდა დაღუპული ახალგაზრდობის სანაცვლოდ. მამამისი კი ქუჩის გომბიოების და განარკომანებული ლაწირაკების გამოსწორების ერთ-ერთი ინსტრუქტორთაგანი იყო. პოლიციელებს, ადრე მარსელში წესრიგს რომ ამყარებდნენ, არაფერი აქვთ დღეს საბაქიშოქო.

ვცდილობდი დავხმარებოდი პინიოლს, როგორც შემეძლო. მივანიშნებდი ხოლმე იმ საშიშ ადგილებზე, რომელთაც უნდა მორიდებოდა. ეს ნორმალურია, ერთმანეთს უნდა დავეხმაროთ: ადრე, სკოლაში, კარნახს სულ მისგან ვიწერდი.

ერთ საღამოს, როცა ლუდს მიეძალა, მოვუყევი ერთ-ერთი ლეგენდა ჩემი ატლასიდან. ეს ამბავი კუბაში ხდებოდა. ერთი ჩვენი კბილა ბიჭის — ხოსე ლუისის თავგადასავალი იყო, რომელიც ვოდუუს მაგიის წყალობით იაგუარად გადაიქცა. ამ მაგიის საშუალებით შენს ფიქრსა და ოცნებას ისეთ ფორმას მისცემდი, როგორიც მოგესურვებოდა. ან მთელი ღამეები მდედრი იაგუარის დამორჩილებას მიუძღვნა, რომელსაც სულაც არ უნდოდა ჩვენი ხოსე. ის ძალიან გაუბედურდა და იმის მაგივრად, თავისი საიაგუარო საქმეები ეკეთებინა, ენადირა და თავისი პატარები გამოეკვება, დღედაღამ იწვა და სასოწარკვეთილი ხან ერთ, ხან მეორე მდედრზე კვნესოდა. იმდენი იკვნესა, რომ ბოლოს ვოდუუს სული ყელში ამოუვიდა და ერთ დილას ხოსე ლუისი თავის საწოლში იპოვეს ისევ ადამიანის სხეულში დაბრუნებული, მისი ოცნების იაგუარს რომ დაებღვნა.

პინიოლმა მხრები აიჩეჩა და მითხრა, უტოპისტი ხარო. ცოტა გული მეტკინა, ჩემი მონათხრობის აზრი რომ ვერ გაიგო: თუ იმედი გადაგეწურა, დარდი და ნაღველი შეგეჭამს.

მოვძებნე სიტყვა უტოპისტი დიდ ფრანგულ განმარტებით ლექსიკონში. ვიღაც ბ-ნ მორუს გამოუგონია ეს არსებითი სახელი 1516 წ. ბერძნულ სიტყვაზე დაყრდნობით, რაიც ნიშნავდა: „ის, რაც არსად არ არსებობს". მშვენიერია. ამ დღიდან მოყოლებული იმ ფათერაკამდე, რაც შემემთხვა, აღარასოდეს აღარავისთვის მომიყოლია ლეგენდები; მათ ჩემთვის ვინახავდი, ეს ჩემი პირადი სინამდვილე იყო, იქ შეყვანა არც ლილასი ღირდა და არც პინიოლისა. ნელ-ნელა ეს ძველი, წითელი და ოქროსფერი, სულ გვერდებჩაკეცილი და დაძენძილი წიგნი იმდენჯერ გადავიკითხე, რომ იგი ჩემს ნამდვილ ქვეყნად იქცა, ჩემი წინაპრების სამშობლოდ. იქ იყო ერთი ამბავი, რომელსაც ხშირად ვკითხულობდი. ეს ავსტრიაში მოხდა. ბიჭი ცურავს გუბურაში და თეთრ დუმფარას უახლოვდება, რათა დატკბეს მისი სილამაზით. იგი ისეთი ნაზი და ლამაზი ეჩვენა, რომ უბრალო სოფლელი ბიჭი, ყვავილებსა და ებრაელებს ქვებს რომ ესროდა, სულ სხვა ადამიანად იქცა. ის ხელს სწვევს დუმფარას მოსაფერებლად, ამ დროს კი ერთ-ერთი მცენარის ღერო ფეხზე ეხვევა და წყლის სიღრმეში ითრევს, სადაც გასაოცარ სამყაროს აღმოაჩენს ქალთევზებითა და მეგობრული წყალმცენარეებით სავსეს. იქ უკეთ სუნთქავს, ვიდრე ზემოთ.

დიდი სურვილი მქონდა ღამით მოვფერებოდი დუმფარას და არა მარტო სოფლელი ბიჭის მიბაძვით. ერთ ადგილზე მყოფ მომთაბარეებში აღზრდილს ხშირად ძალიან მინდოდა სადმე მარტოდმარტო წასვლა. მარტო წასვლა იგივე დარჩენაა. ლილა არ გამომყვებოდა, სანამ არ დაქვრივდებოდა, რაჟკო კი მშვენივრად გრძნობდა თავს.

ლეგენდიდან ლეგენდამდე ხანდახან თავგზა მერეოდა ხოლმე. წარმოვიდგენდი გუბურას ფსკერს, მე რომ უთუოდ მელოდა. ერთ დღეს ამ სიტყვებით გართული ისე ჩამითრიეს მათ, რომ აღარაფერი იყო სამყაროში ჩემსა და გადაშლილ წიგნს გარდა.

ერთ დღეს მე და ლილა საცურაოდ წავედით ნავებით გაჭედილ, მთებში ჩამჯდარ პატარა ნავსადგურში. იქიდან სადგურის ცისფერდარაბებიანი შენობა მოჩანდა, ფრიზები თითქმის რომ სულ ჩამომტვრეული ჰქონდა. ოდესღაც შეღებილი სახურავის საღებავის ნარჩენებს ბელურები ანადგურებდნენ. კლდის ჩრდილში წყალში ვეძლეოდით სიყვარულს, გარშემო თეთრი სტუდენტები ყვინთავდნენ; მათი სიცილი და კიჟინა ფარავდა ჩვენსას. არხეინად ვსვამდით კაფე „ფრანსისის" ტერასაზე, სიამოვნებით გავყურებდი სალამოს მზით განათებულ პატარა ყურეს, როცა ლილამ თავისი გრძელი და მძიმე თმა გაწურა, დაიწნა და თქვა:

— ესეც ასე.

მისმა კილომ შემაწუხა. თითქოს რაღაც ფატალურობას უსვამდა ხაზს, რომელიც ჯერ მეტეოროლოგიური სამსახურის ცნობასავით მომესმა, თითქოს მძიმე ღრუბლები მოგროვდნენ ჩემს თავზე, თითქოს წვიმის წვეთი გაისრისა ჩემს მკლავზე. ვუთხარი, მომავალ კვირას უკეთეს დროს გავატარებთ-მეთქი. მან შეშფოთებულმა მიპასუხა, არაო. მაშინ მივხვდი, რომ მისი და რაჟკოს საქმე უკვე გადაწყვეტილიყო. ვიცოდი, გასულ მარიამობის უქმეებზე ერთად რომ წავიდნენ სალოცა-

ვად სენტ მარიში.[1] ცოტა ასანებდნენ ქორწილს მზითვების გამო: ლილას ძმები დიდ საქმეში იყვნენ გარეულები — ერთ-ერთი საამშენებლო ოფისისთვის უნდა მიეყიდათ დეკემბერში მოპარული ათასი დაჯავშნული კარი. ერთი მხრივ გული მეტკინა, მაგრამ მეორე მხრივ პატივს ვცემდი რაჟკოს, დიდებული სპეციალისტი იყო: მან მასწავლა [illegible] დიოებთან, სიგნალიზაციასა და საიდუმლო კოდებთან დაკავშირებული [illegible] ველა პრობლემის გადაწყვეტა. ლილა უარეს დღეში შეიძლება ჩავარდნილიყო. ვიცოდი, რაჟკოს უბიწოების შესასვლელი რომ გაულო, მაგრამ არ ვეჭვიანობდი. მხოლოდ იმას ვთხოვდი, უკნიდან შესვლა ისევ გამეგრძელებინა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სიყვარული ერთმანეთის თვალებში ცქერა კი არა, ერთი მიმართულებით ცქერაა, როგორც ადრე თქვა ბატონმა სენტ-ეგზიუპერიმ იმ მოთხრობაში, რომლის კარნახისას მხოლოდ სამი შეცდომა დავუშვი.

— აბა, უკვე საქმე საქმეზეა მისული? გაყიდეს შენმა ძმებმა კარები? — ლილამ ლამაზი შიშველი მხრები აიჩეჩა, როცა წყლის ზევით ალბათ იმ დღეს უკანასკნელად მეჭირა, და თქვა:

— ეს ხომ მოულოდნელი არ იყო?

— ხომ ისევ შევხვდებით ერთმანეთს? — ძლივს ამოვთქვი. ყელში რაღაც მეჩხირებოდა, მახრჩობდა.

— არა, რაჟკომ ჩვენი ამბავი იცის, მაგრამ მაინც მოინდომა ჩემზე დაქორწინება. შევფიცე, რომ შენთან საქმე უკვე მოთავებული მაქვს, რომ შენ ჩემთვის აღარ არსებობ.

დავთანხმდი და სადგურამდე მივაცილე. ჩვენი ამბავიც აქ დამთავრდა მზით, სველი მაისურებით, მარილიანი კანითა და ბედნიერი წყვილებით გადაჭედილ ბაქანზე. შევყურებდი, როგორ ადიოდა ჩქარ მატარებელში დუნდულებზე კაბამიწებებული, და ნათლად წარმოვიდგინე, ათიოდე წლის მერე დედამისივით ას ოცი კილო რომ გახდებოდა. რას იზამ, მემკვიდრეობას ვერსად გაექცევი. ეჰ, შეგვეძლო ერთად გავსუქებულიყავით! მაგრამ მე ისევ გამხდარი დავრჩი. მაინც რაღაც უცნაური იმედი მიკიაფებდა გულის სიღრმეში და უიმედობის ნებას არ მაძლევდა. ყოველთვის მქონდა ხოლმე წინათგრძნობა, ხელზე მკითხაობა არ ვიცოდი ლილასავით, რომელიც სულ მიმეორებდა, ორმაგი ცხოვრების ხაზები გაქვსო. მისი ერთგული ვიყავი და ეს ცოტა მაღიზიანებდა. მაგრამ ყოველთვის, როცა რაიმე ცუდი მელოდა, წინასწარ ვგრძნობდი.

მათ ქორწინებამდე ათი დღით ადრე შუაღამისას რაჟკო მერსედესების გადამყიდველთან ვაჭრობისას ღამის მორიგე პოლიციელმა მიახვრიტა. მე მადლობა ვუძღვენი სენტ-მარის ღვთისმშობელს, ალაჰს, მარსელის „ოლიმპიკსა“ და მარსელის ყველა ღმერთს. ეს არ იყო ბოროტება, ეს სიყვარული იყო: მე მხოლოდ იმაზე ვლოცულობდი, რომ ერთ მშვენიერ დღეს ლილა დაქვრივებულიყო, მაგრამ არცთუ ისე გვიან, სანამ ძალიან ბევრს აიწონიდა.

ვალონ ფლიორში ყველამ იცოდა, რომ რაჟკომ მას ავანსი გამოართვა ქორწინებამდე: მოკლედ, ლილას პატივი აყარა და სწორედ ეს

---

1. ქალაქი საფრანგეთში, სადაც ბოშები დადიან სალოცავად.

იყო ჩემი ბედი. მეც ავდექი და მის უფროს ძმას მატეოს, მივადექი ლილას ხელის სათხოვრად. ბელგად თორმეტი ფაიონიერ ლაზერი და ორმოცი ბოუზის მარკის დინამიკი ვიკისრე. უკეთეს ვარიანტს ვერც იპოვნიდნენ ყურმოტეხილი ქოთნისთვის. დიდი სეფა-ბალი გაიმართა უხუცესთა კარავში. კენჭისყრა ორი ხმით მოვიგე. ... ავაზილმა მომცა ეს ხმები. მას საკუთარი სახელიც აღარ ახსოვდა, მაგრამ მისი სიტყვა სიბერის გამო ორმაგად ფასობდა. მატეო იძულებული გახდა თანხმობა მოეცა, გულში კი ბოღმით სკდებოდა. მაგარი სასაცილოები არიან ხანდახან ეს მანუშები: ურჩევნიათ ქალი პატივაყრილი, მთელი ცხოვრება შეურაცხყოფილი და მარტოხელა დარჩეს მათდა სამარცხვინოდ, ვიდრე ჩემნაირ ტიპს მიათხოვონ, ვინც ამ სამარცხვინო ლაქასაც წაშლის და მათგანაც შორს წაიყვანს.

ლილა სიხარულისგან არ ატაცებულა, როცა ჩემი წარმატების ამბავი შეიტყო. მან ამოიოხრა და მოწყენილმა მითხრა:

— ნუ ოცნებობ რა, აზიზ.

ვიფიქრე, ამას იმიტომ ამბობს, რომ ჯერ კიდევ ძაძები აცვია-მეთქი. მხოლოდ ერთი თვის შემდეგ ჩვენი ნიშნობის პურ-მარილზე გავიაზრე მისი ეს ნათქვამი, როცა ჩემი პირველი ცხოვრება შეწყდა.

ნიშნობისათვის კაფე „მარჩელი" ავირჩიე ჩვენი დასახლების საზღვართან პატარა ხიდზე, ავტოსტრადის ზემოთ. იქ ირჩეოდა ხოლმე ნარკოტიკების საქმეები, რადგან ჩვენთან დასახლებაში არ გვინდოდა ამაზე ლაპარაკი. პრინციპის საკითხი იყო. ჩვენ კომერციაში ვიყავით ჩართულები, რაც მთელ სექტორს მოიცავდა — მანქანის მოპარვა საშუალებას გაძლევს, რომ ის ახლად გაასაღო და გაჰყიდო, მაშინ როცა ერთი ჩეკი[1] წამალი ანგრევს კლიენტს, თუ იმასაც არაფრად ჩავთვლით, თავიდან რომ უფასოდ უჩხირავ, მერე ეჩვევა, ჩლუნგდება და ამაზე დამოკიდებული ხდება. ვაჭრებს მე პირადად თავ-ყბას ვუნგრევდი. და როცა ჩემს ესტაფეტაში სიკვდილი დამემუქრა, მე ის გადავლებე.

სწორედ აქ, მარჩელის კაფეში გადავწყვიტე ჩემი და ლილას ნიშნობის გამართვა. ნამდვილი ტილოს სუფრები ჰქონდათ, გემრიელი მენიუ და სადღესასწაულო მორთულობანი. გარდა ამისა ჩვენი დასახლების გარეთ ყოფნა ჩვენთვის უკვე საქორწინო მოგზაურობას უდრიდა.

დავპატიჟე ასოცკილოიანი დედამისი, ტირიფის სავარძლით რომ მოაბრძანეს, მისი თორმეტი ძმა თავიანთი ცოლებითა და კიდევ ბიძები. ლაპარაკი თავის ენაზე — სინტოზე — დაიწყეს, რომლისაც არაფერი გამეგებოდა. მამიტასთან, ნათელი დაადგეს მის სულს, უფრო კალდერაშის დიალექტზე ვლაპარაკობდით. ისე კი სხვადასხვა კლანები ერთმანეთს მარტო ფრანგულით აგებინებდნენ.

ცოტა დაძაბული ვითარება შეიქნა და ეს ცოტა არ იყოს გულს მწყვეტდა. კარგად, ლამაზად მოვაწყვე რაღაც-რაღაცები — მაგალითად, დეკორაციები, დანარჩენისთვის დრო აღარ დამრჩა პოლიციის თავდასხმის გამო.

---

1. ჰეროინის დოზა.

პინიოლი შვებულებაში იყო და არ გამიფრთხილებია. ოთხი პოლიციელი ერთად შემოვარდა პისტოლეტებით ხელში: „ხელები მაღლა, პირით კედლისკენ!“ — აწეულ ხელებში ჭიქები გვეჭირა, სადღეგრძელოს ვამბობდით. ბუნებრივია, შევიპატიჟეთ, მაგრამ ცუდად გაგვიგეს და კედლებზე აგვაკრეს მუჯლუგუნებით, მერე ციგნურად გაგვჩხრიკეს. [illegible] არ ვამბობ, გვბეთქეს-მეთქი, რადგან მხოლოდ მე მბეთქეს. ვიკითხავ [illegible] დავაშავეთ, ცუდს რას ჩავდივართ-მეთქი. მიპასუხეს, მოკეტეო. მეგონა, პინიოლის შემცვლელ გოგონასთან იწონებენ თავს და სამაგალითო ოპერაციის ჩასატარებლად მოვიდნენ. მანქანაში მხოლოდ ერთი ადგილი ჰქონდათ და მაინცდამაინც მე ჩამტენეს. ერთმანეთს ეუბნებოდნენ, ეს შეწყვეტს ეთნიკურ კონფლიქტსო, და არც ტყუოდნენ.

მანუშებმა ხელიც არ გაანძრიეს ჩემს გადასარჩენად. მატეომ ერთი კარგი სილა გააწნა ლილას, რომელმაც ისტერიულად იკივლა: აზიიზ! „მარჩელის“ პატრონს ჩვეულებრივი, მომლიმარი იერი ჰქონდა, ვითომ აქ არაფერიაო, და ჭიქებს გასცქეროდა, გულდაგულ აპრიალებდა. გავიგონე, როგორ გამოემშვიდობა პოლიციელებს, კარგად ბრძანდებოდეთ, ბატონებოო, — იფ, რა ზრდილი ბრძანდებოდა — როცა ისინი კარის წკარუნში მიმათრევდნენ. ფული წინასწარ მქონდა გადახდილი და, ვფიქრობ, უჩემოდაც მშვენივრად შესანსლავდნენ ჩემი ნიშნობის პურ-მარილს.

ლილა ცოტა ხანს მოსდევდა რენო 19-ს, ხელში თეთრი ფეხსაცმელები ეჭირა და ასკილომეტრიან გინებებს ისროდა. უხვად ჰქონდა დაბერტყილი ეს ნიჭი, საოცრად მდიდარ, ჯოჯოხეთურ, სულისშემძვრელ ლექსიკას ფლობდა ამ სფეროში; მერე შეჩერდა, მხრები აიჩეჩა და ხელით, უფრო სწორად, მთელი მკლავით ღირსეული და მრავლისმეტყველი ჟესტი გააკეთა. ოღონდ ვერ მივხვდი, მე მეკუთვნოდა თუ პოლიციელებს. მერე დავინახე, როგორ მიბრუნდა „მარჩელის“ კაფესაკენ, სადაც ალბათ მისიანები იერიშით იღებდნენ შესასვლელს. უცნაურია, მაგრამ ვიგრძენი, რომ ჩვენს ამბავს ჯვარი დაესვა. კი, ასე იყო, საქმროს, რომელსაც ართმევდნენ და, სადილს, რომელიც უცივდებოდა, მან სადილი არჩია. თუმცა ცოტა უსამართლო ვარ; პატარაზე ხომ გამოიქცა. მაგრამ ჩემს პონტში მე ასტირიოს მაკედონელი ვარ, ბერძენი გრძნეული ჩემი წიგნის 115-ე გვერდიდან, რომელმაც ქათმის ღვიძლზე ამოიკითხა, მისი ბატონი ეპირანდასი რომ მოკლავდა, და ეს მას უთხრა. მე ყოველთვის წინასწარ ვიცი, თუ რა ვერაგობას მიმზადებენ სხვები.

შემაგდეს ცხაურიან საერთო საკანში, სადაც ხალხს აგროვებდნენ, რომ მერე გადაერჩიათ და სხვა საკნებში გადაენაწილებინათ. ცოტა შემრცხვა, ისე ვიყავი გამოწკეპილი. დანიელ ჰემტერის თეთრი კოსტუმი მეცვა, შარვლის ნაწიბურები გარედან იყო დაგვირისტებული, როგორც ამას მოდა მოითხოვდა, პერანგი ოქსფორდული, რომლის ზოლებიც პიერ კარდენის წმინდა აბრეშუმის ჰალსტუხს ეხამებოდა. არ დამცალდა ამეხსნა, ჩემი ნიშნობის დღე რომ იყო, იმწამსვე გამიყვანეს დასაპირისპირებლად. და აი მაშინ კი მართლა შოკში ჩავვარდი.

კომისრის ბიუროში საკარძელში ღიპზე ხელებგადაჯვარედინებული პლასვანდომის პანიეს ოქრომჭედელი იჯდა, ვისთანაც ლილასთვის

ბეჭედი ვიყიდე. ვიყიდე, იმიტომ რომ, თუ თავმოყვარე კაცი ხარ, ნიშნობის ბეჭედი უნდა იყიდო და არ მოიპარო. მინდოდა ბეჭედი პრესტიჟულ მაღაზიაში მეყიდა, რომელსაც თვალში საცემი აბრა ექნებოდა, და ვიყიდე კიდეც. მოწითალო ტყავის აბრაზე ეწერა: „პარიზის პლას-ვანდომი". შესანიშნავი იყო. კომისარმა მიბრძანა: „დაგიქი! უკაცრავად, დაბრძანდით!" — ეტყობა, პრეფექტმა გააფრთხილა ეწესიერად მოექეცით. დავჯექი პირდაღებული.

პლას-ვანდომმა განაცხადა, რომ მე იგი დავაყაჩაღე. კომისარი შემეკითხა, თუ გეცნობა ბეჭდის კოლოფი. რა თქმა უნდა, მეცნობოდა, ის ჯიბეში მიპოვეს კაფეში ჩხრეკისას; აპერიტივის დროს ხომ არ გადავცემდი საჩუქარს? ამათ ვინ ვგონივარ? მაგრამ მე ფული გადავიხადე ბეჭედში, რვა ათას ორი, თუ გაინტერესებთ! პლას-ვანდომმა თქვა, ფასი კი სწორია, მაგრამ მოიპარეო.

კომისარმა მკითხა, ჩეკი თუ გაქვსო. მე მხრები ავიჩეჩე: ბეჭედს ჩეკით ხომ არ ვაჩუქებდი, ასე არ იყო წესად, მე კი კარგი მანერები მაქვს! მან მითხრა, ყველაფერი, რაც თქვი, შენს საწინააღმდეგოდ მეტყველებსო. ამაზე მწარედ გამეცინა, თუმცა კი ტირილი მინდოდა, რადგან ნათლად გამახსენდა, სად დადო იმ ტიპმა ჩეკი, მაგრამ ამის განცხადება დამავიწყდა. ისე კი პირადად მე არაფრის ყიდვის ჩვევა არ მქონდა.

— პლას-ვანდომს მოსთხოვეთ, — ვთქვი მე, — ჩეკი მას აქვს.

ვიგრძენი, გინდ ეს მეთქვა, გინდ სხვა რამ, მაინც აზრი არ ექნებოდა. პარიზის პლას-ვანდომმა ამოიოხრა, თავი გადააქნია და თვალები ჭერს მიაპყრო. მისთვის ერთი კარგი სილის გაწნა მოვინდომე, მაგრამ გამქაჩეს, ადგილზე დამსვეს, რასაც დანიელ ჰერშეტის პიჯაკის სახელო შეეწირა. მეტი აღარაფერი მქონდა სათქმელი. უეცრად ვიკითხე, პინიოლი როდის დაბრუნდება-მეთქი შვებულებიდან; ესეც არ იყო ჭკვიანური საქციელი. მათ სხვანაირად გაიგეს ჩემი ნათქვამი, საკანში შემაგდეს და თან ღრიალებდნენ, რომ მათი თანამშრომლის დასვრა მინდოდა. ჰოდა, ავტირდი გოგოსავით „ნარკუშებით" სავსე საკანში, ავტირდი იმიტომ, რომ ცხოვრებაში პირველად შევეჯახე უსამართლობას.

შემდეგ ჩემი ატლასი გამახსენდა, ესტაფეტაში რომ დამრჩა გადაშლილი. თუ ვინმე მომპარავდა, ეს ბევრად უარესი იქნებოდა, ვიდრე ლილას დაკარგვა. ლილა მომწონდა, ერთად გავიზარდეთ, მაგრამ მსოფლიოს ლეგენდები მაინც სულ სხვა რამ იყო, ისეთმა კაცმა მაჩუქა, რომელიც სულაც არ იყო ვალდებული ჩემთვის რამე ეჩუქნა, კაცმა, რომელმაც სწავლის სიხარულს მაზიარა. ეს უფრო წმინდა რამ იყო, ვიდრე ყველაფერი დანარჩენი დედამიწაზე, ეს ჩემი ფესვები იყო, ყველაფერი შეეძლოთ ჩემთვის წაერთმიათ. ... ჰო, მართლა, ჰალსტუხი არ წამართვეს და ამით თავის ჩამოხრჩობის სურვილი მომისპეს; არარაობა ვიყავი, არარაობა და ლაჩარი, და მაინც ძალიან მინდოდა სიცოცხლე.

დღემ მოგონებასავით ჩაიარა, არაფრის მოგონებასავით; დამივიწყეს. ეს ყველაფერი რაღაცის დასასრული იყო, თუმცა სინამდვილეში

დიდი არაფრისა. მე არ ვწუწუნებდი: ცხრამეტი ბედნიერი წელი ისე გავატარე, არავისთვის ცუდი არ გამიკეთებია; გამონაკლისი პლას-ვანდომი იყო, რომელსაც ახლა წარმოდგენაში კისერს ვუგრეხდი, ჩანგლით ვგლეჯდი და შემდეგ თითებით ვჭამდი მოხარშულს; ეჰ, ნიშნობის კარგი პურ-მარილი იყო. მერე ფეხებზე დავიკიდე ყველაფერი. ლილა ბებერი ბოზი გახდებოდა, კილოგრამზე ხუთფრანკიანი. მით, ვალერი მისთვის; მე ის ძალიან მიყვარდა, ასე დიდხანს სხვა არავინ მყვარებია. ცხოვრება ისეთი მშვენიერი იყო მასთან ერთად ნიოლონის ზღვაში. ეჰ, ვაზილს ჩემს Ami 6-ში უნდა ჩავეტოვებინე ფრიუნის მოსახვევში და უნდა დავმწვარიყავი.

დალამდა, ჩემ გარშემო ხვრინავდნენ. მე კი თვალდაჭყეტილი ვიჯექი და საკუთარ თავს ვესაუბრებოდი, ვეკამათებოდი, თავი რომ გაბერთო და არ მეფიქრა ჩემს ატლასზე, რათა გული კიდევ უფრო მეტად არ მტკენოდა.

მეორე დღეს ერთადგილიან საკანში ჩამსვეს. ვილაც მუქკოსტიუმიანი ტიპი, რომელსაც მე არ ვიცნობდი, მოვიდა და კარგად დამათვალიერა. მთხოვა ავმდგარიყავი, შევტრიალ-შემოვტრიალებულიყავი და გამელიმა. ბოლოს კმაყოფილი და ბედნიერი იერი მიიღო და კომისარს უთხრა:

— კარქი, ძალიან კარქი, ეს გამოდგება.

კომისარმა მადლობა გადამიხადა და საკნის კარი ჩაკეტა. თავის გასართობად მამადუ მ'ბა გავიხსენე ეთიოპური ლეგენდიდან, წარმოვიდგინე, მონასავით როგორ გამყიდდნენ ბაზარზე, მაგრამ ამან ვერ გამართო. ერთადერთი, ვისი სახეც თავში მიტრიალებდა, რაჟკო იყო, მისი ღიმილი, მისი გიტარა, მისი მუშტი, მისი ოქროს ხელები: მან შემასწავლა ჩემი ხელობა, მის ხელში ლილა აუცილებლად ბედნიერი იქნებოდა. რა ტყუილუბრალოდ დაიღუპა. გულში პატიება ვთხოვე.

შემდეგ პინიოლი დაბრუნდა შვებულებიდან. მეგონა, გამანთავისუფლებდა, მაგრამ დანახვისთანავე მივხვდი, ვცდებოდი. მითხრა, სულაც არა ვარ შენ წინააღმდეგ განწყობილი, მაგრამ ვერაფრით დაგეხმარები და ეს უნდა გამიგოო. ვუთხარი, ძალიანაც მინდა გაგიგო, მაგრამ პლას-ვანდომის მზაკვრობა მძიმე ლოდად მაწევს-მეთქი გულზე. თქვა, პლას-ვანდომი მხოლოდ ერთი დეტალიაო. აჰ, რას ამბობ-მეთქი, გავიკვირვე. მართალი იყო, მთავარი ჩემი ატლასი გახლდათ. ვთხოვე ჩემთან წასულიყო და ატლასი მოეტანა. მიპასუხა, ჩემი კოლეგები უკვე იყვნენ ჩხრეკის ჩასატარებლად, მაგრამ ვერაფერი იპოვესო.

— ვერაფერი?

მან მხარზე ხელ ამადო და მითხრა, რომ ჩემი სახლი მანამდე უკვე მოენახულებინა... „მონახულების" შემდეგ კარგად წარმოვიდგინე ჩემი ესტაფეტის ობლად დარჩენილი კარკასი, რას იზამ. ალარ ჩავეძიე. ატლასი რომ გადაჭრით მომეთხოვა, ტყუილუბრალოდ უსიამოვნება შემხვდებოდა. ჩვენთან პირუტყვებივით არიან და ეს ბუნებრივია: როცა იქ ხარ, გეხმარებიან, როცა ვინმე დაიჭრება, კლავენ კომუნის ინტერესებისთვის. ვერაფერს იტყვი.

პინიოლმა დაუმატა, საბუთები უკეთ უნდა გაგეკეთებინა, აშკარად ყალბი იყოო, თან იგინებოდა. არაფერი ვუპასუხე. პლას-ვანდომმა კარგად მომამარაგა, ახლა კი ყველაფერი ჩემ საწინააღმდეგოდ ტრიალდებოდა, რადგან ჩეკი არ მქონდა. ოქრომჭედლები ორმაგ სამსახურს ეწევიან და ეს ყველასათვის ცნობილია: ნახევრად ჩამშვები არიან და ნახევრად ნაქურდალის გამსაღებლები. ესეც შუალავალი იყო პრეფექტურაში, მე კი არავითარი წონა არ მქონდა.

— აზიზ, იცი, შინ გაგზავნიან.

მადლობა მოვახსენე, ნუ შეწუხდებიან-მეთქი; მე აღარც სახლი მაქვს და ლილაც დავკარგე; მოკლედ, სამართალმა თავისი გზა მონახოს.

— არა, შენ ვერ გამიგე, აზიზ, ეს შენს ქვეყანაში გაგზავნას ნიშნავს.

— ჩემს ქვეყანაში?

— ჰო, მაროკოში.

ცოტა დრო დამჭირდა აზრზე მოსასვლელად; მერე გამახსენდა, რომ ჩემი საბუთებით მართლაც მაროკელი ვიყავი, ისევე როგორც უწერიათ ხოლმე ტუნისელი, ალჟირელი ან სირიელი; ეს სწორიც იყო და არც იყო სწორი, ეს არ იყო მტკიცებულება.

— აზიზ, სამაგალითო აქციის ჩატარება უნდათ. ვალდებულნი არიან იქ გაგიშვან, საიდანაც ჩამოხვედი.

აქ კი ვთქვი: ბოდიში. დიახაც მინდა სამაგალითო ვიყო. კი, მე ვცხოვრობ საფრანგეთში უცხოელის სტატუსით, მაგრამ არ დაიწყებ უცხოელად ცხოვრებას ქვეყანაში, სადაც მარტო მე ვიცი, რომ ჩემს სამშობლოში არა ვარ. უკვე საკმაო გაჭირვება ვნახე ბოშებთან. მე ვარ აზიზი ციტროენის მარკის Ami 6-ის შვილი და ვარ შენსავით მარსელელი, პინიოლ, რამ გამოგაშტერა, ეშმაკმა დალახვროს. ეს ცხადზე უცხადესია: ჩვენ ერთ ენაზე ვლაპარაკობთ, ერთმანეთისა გვესმის!

მაგრამ ნათლად ვიგრძენი, რომ საკმარისი არგუმენტები არ მქონდა; საკუთარი თავიც ჩემ წინააღმდეგ იყო მომართული, მთლად გაყიდული და ნაღალატევი. მის წინაშე რომ არ ავტირებულიყავი, ვთხოვე პრეფექტისთვის ჩემგან მადლობა გადაეცა.

— აზიზ, ეს ამბავი უფრო ზევიდან მოდის. მთავრობამ მიიღო არალეგალების საწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარების გადაწყვეტილება. ისევ არალეგალების სასარგებლოდ. ესაა ადამიანთა უფლებათა დაცვის და სმო-ს, საერთაშორისო მიგრაციის ოფისის ერთობლივი ოპერაცია.

ზოგადად ამიხსნა, რომ საფრანგეთში რასიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად საჭირო იყო ემიგრანტების დაბრუნება თავიანთ ქვეყნებში. ვდუმდი, მაგრამ უცნაურად მეჩვენებოდა იდეის წინააღმდეგ პრაქტიკულად განხორციელებული ბრძოლა. მან დაუმატა, რომ ხვალ დილით მარინიანში ჩავჯდებოდი თვითმფრინავში, ჩემთვის საგანგებოდ ჩამოსულ „ჰუმანიტარულ ატაშესთან“ ერთად, რომელიც მაროკოში ჩამიყვანდა, ხელახლა „დამაფუძნებდა“, მიპოვიდა სამუშაოს, ბინას, მერე კი, როგორც სამინისტროს ცირკულარი იუწყებოდა, „შეატყობინებდა

საფრანგეთის მთავრობას სამშობლოში დაბრუნებული მისი მეგობრის კარგ ახალ ამბებს“.

პინიოლმა დასძინა, ჰუმანიტარული ატაშე უკვე დღეს დილით აქ უნდა ყოფილიყო, მაგრამ დააგვიანდა ჩქარ მატარებელზე და შემდეგში მოემგზავრებაო. ვთქვი, ყველაფერი მშვენივრად მოწყობილა-მეთქი. თავისუფალ, არხეინ ტიპს ვთამაშობდი, ცხოვრებას იუმორით [illegible] უყურებს. სინამდვილეში მთლად დათრგუნული ვიყავი, ასევე [illegible] ლიც. კოლეგამ ღაუძახა, მან თავს ზემოთ ძალა არაა, მანიშნა და ჩემს ორმოში ჩამკეტა. სადილზე წავიდა. მომიტანეს კარდალი და ჩანგალი. ჩანგალი დავგრიხე და ისევ პლას-ვანდომის როლში შევიჭერი, ისევ ხელით ვჭამდი იმავე საჭმელს. დრო თითქოს გაჩერდა. ხვალ თვითმფრინავში უნდა ჩავმჯდარიყავი და მეც ველოდი.

ხუთს რომ ოცი აკლდა, პინიოლი დაბრუნდა. თვალს მარიდებდა. მე საკმაო დრო მქონდა საფიქრელად და ცოტა დავმშვიდდი.

— შენი ატაშე ჩამოვიდა, — ამოღერღა ძლივს.

მუხლებაკანკალებულმა არხეინი ხმით ვკითხე:

— მისცეს ჩემი საბუთები?

— კი.

— მაშ კარგადაა საქმე: ნახავს, რომ ყალბია.

— არც მასეა.

მე შევწყვიტე ფრჩხილების თვალიერება.

— მხოლოდ შენი ვადაგასული დროებითი ცხოვრების მოწმობა ნახა.

იგი ჩემ გვერდით ჩამოჯდა ლოგინზე თავჩაქინდრული, ხელები მუხლებშუა მოიქცია.

— კი მაგრამ, არ უთხარით, რომ ყალბია? — ვიფეთქე უეცრად.

მაშინვე არაფერი მიპასუხა... კევი გამოიღო პირიდან და ცერითა და საჩვენებელი თითით დაგორგოლავება დაუწყო. როცა კარგად გააპრიალა და დაამრგვალა, განაცხადა, შეამოწმებენ თუ არ შეამოწმებენ, შენ მაინც არალეგალურ მდგომარეობაში იმყოფებიო. პროტესტი გამოვთქვი;

— მე ასეთ მდგომარეობაში ვარ, პინიოლ, რაც დავიბადე!

— ეს ერთი უნდა შეიგნო, აზიზ: სამი დღეა, ბრიგადას ეს ტიპები ჰყავს ზურგზე აკიდებული, რომლებიც გაჰყვირიან: არალეგალები, არალეგალებიო. ისეთ დღეში არიან, მეტი არ შეიძლება... ჩაეშალათ ბორდელი: არ უნდა შეიგნონ, რომ უსაბუთოდ დაჭერილი ტიპი არც ერთი ცოცხალი თავით არ გამოტყდება, რომელი ქვეყნიდანაა ჩამოსული, ასე რომ, მათ ვერსადაც ვერ გააგდებენ. რვა დღე ყელი გვეხევა ღრიალით და მერე ვუშვებთ. ასეთია კანონი.

— კი მაგრამ, მე? მე რატომ არა მაქვს რვა დღის უფლება?

— ერთადერთი, ვინც შენამდე იპოვეს წასაყვანად, ზანგი იყო. ბილეთებიც კი აუღეს. მაგრამ საკმარისი აღმოჩნდა მათთვის შეეხსენებინათ, რომ გვადალუპელიც ფრანგია, და მორჩა საქმე, ხვდები?

კი, ვხვდებოდი. მაგრამ ეს მათი პრობლემა იყო. მე, მე მარსელელი ვიყავი გულით, კილოთი, დაბადებით. და თუ ვინმეს აუცილებლად სადმე უნდა წავეყვანე, ეს ფრიუნის მოსახვევი იყო; ჩემი ქვეყანა ბუშ-

დე-რონი გახლდათ, დასახლება ვალონ-ფლიორი და გუნდი მარსელის „ოლიმპიკი“

პინიოლმა ღრმად ამოიოხრა, რამაც მიზეზი მომცა თავდაცვა გამეგრძელებინა.

— შენ პირველი საბუთებიანი უცხოელი ხარ, ეზიზ ... ერთი, ვისზეც იციან, საიდან ჩამოვიდა.

ბიბლიოთეკა

— და თუ ვიტყვი, რომ ეს ტყუილია?

— რას მოიგებ? ორ წელიწადს ბომეტში ყალბი საბუთებისა და სამკაულის მოპარვისათვის. შენ მართლა ფრანგი გინდა იყო?

ჩემკენ მოიხედა და მის თვალებში უკანასკნელად გაკრთა ჩვენი მეგობრული გრძნობა, ვინემ საბოლოოდ დავემშვიდობებოდით ერთმანეთს. აშკარად ფიქრობდა, რომ ეს გამგზავრება დიდი შანსი იყო ჩემს ცხოვრებაში. აქ არაფერი მაკავებდა, არანაირი მომავალი არ მქონდა. არ ღირდა ჩემთვის აქ დარჩენა. იქ კი შემეძლო სხვაგვარი ცხოვრება დამეწყო გამოცდილი ადამიანის შემწეობით. მუხლზე მაგრად მომიჭირა ხელი და მითხრა:

— ძალიან მომაკლდები.

მისთვის მე უკვე წასული ვიყავი. გაგიჟდები, ადამიანები რა ადვილად ეგუებიან ყველაფერს.

კევი დააგდო, ჩემს ფეხებთან რომ მოგორდა, უკანმოუხედავად გამშორდა. საბეჭდი მანქანების რაკარუკი ისმოდა. შემდეგ სავარცხელი მომცეს წინასწარი ურთიერთობებისთვის მოსამზადებლად. ისეთი ბინძური იყო, თმის თითებით გადავარცხნა ვამჯობინე. და მაინც კიდევ ვერ ვხედავდი, რას შეცვლიდა ეს ჩემს ცხოვრებაში.

ჰუმანიტარული ატაშეს წინაშე აღმოვჩნდი. ოცდათხუთმეტიოდე წლის ახალგაზრდა იყო, ქერა, თეთრი კანი ჰქონდა, ჩაცვენილი ლოყები, წითელი თვალები, სათვალე ეკეთა: უშნო არა, მაგრამ რაღაც მოუმთავრებელი კი ჩანდა. ტუჩები მოკუმული ჰქონდა. ეს იმ ხალხს ახასიათებს, ვინც ფიქრობს, რომ მათი ადგილი აქ კი არა, სხვაგანაა. აქაურობისთვის მეტისმეტად თბილი ნაცრისფერი კოსტიუმი ეცვა, საკუბოვე ჰალსტუხი ეკეთა მწვანეზოლებიან პერანგზე. არც შემოუხედავს, ისე გამომიწოდა ხელი და მითხრა:

— ჟან-პიერ შნეიდერი.

მე მხოლოდ გამარჯობა ვუთხარი. ჩემი სახელი და გვარი ისედაც იცოდა, ჩემი პასპორტი ხომ წინ ედო. მითხრა, დაჯექიო, მაგრამ სკამი არ იყო და ეს სულაც არ გაჰკვირვებია. გაცხარებით ათვალიერებდა მის წინ გადაშლილ რუკას.

— მაშ კარგი, ზუსტად საიდან ბრძანდებით?

ეტყობა, ძალიან ეჩქარებოდა, ჩვენი თვითმფრინავი ხომ ხვალ დილით მიფრინავდა.

ჩემს პასპორტში ჩავხედე ქალაქს, სადაც პლას-ვანდომმა დამბადა.

— ირგეზიდან, — ვთქვი მე.

— ვიცი, — მიპასუხა მან, — წავიკითხე, მაგრამ ვერ ვიპოვე, სადაა.

მივხვდი, რატომ ჰქონდა დაწითლებული თვალები, როცა მაროკოს რუკაზე გამადიდებელი შუშა დავინახე. მას ამაოდ შეესწავლა ქვეყნის ყველა დასახლებული პუნქტის სახელი.

შევცდი, უნდა მეთქვა პლას-ვანდომისთვის ეკითხა, მაგრამ ის უკვე აღარ არსებობდა, დარჩა მხოლოდ ჩანგალი, ჩემი მეხსიერებიდან რომ განვდევნე. სხვათა შორის ეს სახელი — ირგეზი — ნამდვილად ქალბატონ ბოვარის გამოგონილი იყო: ეს ხელს უშლიდა სამოქალაქო მდგომარეობის სამსახურს შემოწმებაში. ატაშე ყოველ ათ წამში საათს დაჰყურებდა, ეტყობა, ჩემ შემდეგ კიდევ ჰქონდა შეხვედრა. სახელოებს ისე ნერვიულად იქაჩავდა და მხრებს ისე ათამაშებდა, რომ მივხვდი, ნამდვილად ქალთან ჰქონდა შეხვედრა დათქმული. მეც, როცა ლილას ველოდი ხოლმე ნიოლონის სადგურში, ასევე მოუსვენრად მითამაშებდა კუნთები, რადგან წინასწარ ვერასოდეს გამოიცნობ, როგორ ხასიათზე იქნება, სიფათზე დაგაკერებს თუ გაგიღიმებს, და თავს ისე იმშვიდებ, როგორც შეგიძლია.

ის კი დაჟინებით, ჯიუტად მეკითხებოდა:

— რა არის ეს ირგეზი? სოფელი? დაბა? სადაა?

მე იმ ქალზე ვფიქრობდი, მას რომ სადღაც ელოდა. შეიძლება რაღაც შანსი კიდევ ჰქონდა დარჩენილი, თუმცა მათ შორის საქმე ნამდვილად ცუდად იყო. მე კი აღარავინ მელოდა.

— მე თქვენ გკითხეთ; სად არის-მეთქი?

— იქ, — ვთქვი და რუკის შორეულ კუთხეზე მივუთითე ალალბედად.

— ატლასში? — მკითხა შეშინებული იერით, — დარწმუნებული ხართ?

— დიახ... — ვუპასუხე შეურაცხყოფილმა.

სასაცილო იყო, მაგრამ ჩემგან დამოუკიდებლად ამ სიტყვამ — „ატლასი“ — რაღაც ჯადოთი რომ წამოსცდა, თითქოს ჩემს თავში ამოიკითხაო, ამ არსებითმა სახელმა, მისთვის რაღაცას რომ ნიშნავდა, უეცრად ჩამითრია რუკის ფერებში, როგორც წყლის დუმფარა ითრევს ოცურავეს ტბის ფსკერისაკენ... უკვე ათიოდე საათი იყო, რაც მხოლოდ ვემს ატლასზე, მსოფლიოს ლეგენდების ატლასზე, ვფიქრობდი. ლილა ი დავკარგე, მაგრამ მას სხვა ვინმე ჩაიხვევდა თავის მკლავებში ლდესთან, ჩემს წიგნს კი ოციოდე ფრანკად მიჰყიდდნენ ვინმე ბუკინისტს და კაციშვილს აღარ ექნებოდა მასთან იგივე დამოკიდებულება, აც მე.

— ატლასის რომელ ნაწილში? — მკითხა ჰუმანიტარულმა ატაემ. მას მერე, რაც სინანულით დახედა საათს.

მშრალად მოვუჭერი, რომ უფრო მოგვიანებით ვეტყოდი. ჩემს ცნებებში ვიყავი გართული. მას რეაქცია არ ჰქონდა. ამან უცნაურ დგომარეობაში ჩამაგდო, უეცრად გულის სიღრმეში შემრცხვა; ეს ცი ხომ ჩემს სამსახურად იყო მოსული. მან თავისი შეკითხვა მშვიად განმიმარტა:

— იცით, ჩემი მისია ერთდროულად ძალზე ცხადი და ძალზე გაუბარია. უნდა ჩაგაცილოთ თქვენი წარმოშობის ადგილზე, უნდა და-

გეხმაროთ თქვენი ფესვების მოძებნაში, მხარში ამოგიდგეთ ადგილობრივ ხელისუფალთა წინაშე, როცა სამსახურის ძებნას შეუდგებით... მაგრამ სინამდვილეში მე კე დ'ორსეის პრესსამსახურში ვმუშაობ, მომწყვიტეს ჩემს ჩვეულ საქმიანობას, რათა ამ ახლად შექმნილ პოსტზე დავენიშნეთ. მე ახლა ახალ ტყავში ვარ, ცოტა დაბნეულიც ვწუხვარ, რომ ეს ყველაფერი თქვენზე ტყდება.

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ზრდილობიანად რომ მეჩინა თავი, ვუთხარი, მეც ბოდიშს გიხდით-მეთქი. ისე კი ვერაფერი გავიგე მისი ამბიდან. ისე სიმპათიური კი მომეჩვენა, დაახლოებით ჩემს დღეში იყო: მელაპარაკებოდა, სულ სხვა რამეზე კი ფიქრობდა. თანაც სასაცილო აქცენტი ჰქონდა, რაც მის საკანცელარიო მუშაკის გარეგნობას არ უხდებოდა, უხეში და გამოკვეთილი, თანხმოვნებსა და ხმოვნებსაც უცნაურად ატკაცუნებდა, თითქოს ყელში ეხირებოდნენ. უფრო გვიან გავიგე, რომ ეს თურმე ლოტარინგიული კილო იყო. მას კი ეგონა დასძლია იგი.

შევცქეროდი, ხელები ზურგზე ჰქონდა დაწყობილი; ვცდილობდი მისი გულის მპყრობელი ქალი წარმომედგინა, ვცდილობდი ლილას ვულგრილობა დამევიწყებინა, ჩემ სანახავადაც კი რომ არ მოვიდა. მან პინიოლს ჰკითხა, პარიზში დარეკვა თუ შეიძლებაო. პინიოლმა გულცივად, რაც ადრე მისთვის არ შემიმჩნევია, მოახსენა, რომ დეპარტამენტიდან დარეკვის უფლება ბიუჯეტის შეზღუდვის გამო აღარ აქვთ, მაგრამ შეეცდებოდა მოთხოვნა წარედგინა კომუტატორისთვის, რათა ხელახლა ჩაერთოთ მეთექვსმეტე ხაზი, თუ ბატონი ატაშე ნომრის თქმასა და შესაბამის საბუთზე ხელის მოწერას ინებებდა. ატაშემ უპასუხა, ეს არ არის აუცილებელი, ეს საქმე მოიცდისო, თუმცა მისი თვალები სულ სხვას მეტყველებდნენ. თითებს ნერვიულად აკაკუნებდა მაგიდაზე. მერე ისე ხმამაღლა ამოიოხრა, თითქოს კარი მიიჯახუნესო, და ისევ მაროკოს რუკას მიუბრუნდა.

— კარგი, ატლასი გასაგებია, მაგრამ რომელი ნაწილია? ქვემო, შუა თუ ზემო?

არ ვიცი, შემთხვევით თუ სიამაყის გამო ვთქვი:

— ზემო.

— ეს რას ჰგავს! — აღშფოთდა იგი და ხელი დაკეცილ რუკას დაარტყა, — ბილეთი რაბათზე ამაღებინეს, ეს კი ქვეყნის მეორე ბოლოშია!

— ეს განრიგის ბრალია, — უთხრა გვერდით მჯდომმა ტიპმა, — დილით მხოლოდ ერთი რეისია რაბათზე; სხვები ძალიან გვიანაა. საქმისთვის ასე იყო საჭირო. — იგი კარტუზიანი წითური ტიპი იყო. უცბად ვერც კი შევამჩნიე მისი ფოტოაპარატის გამო. ყოველთვის, როცა პინიოლის სანახავად მივდიოდი, უთუოდ გადავწყდებოდი ხოლმე „პროვანსალისა“ ან „მერიდიონალის“, მარსელის ამ ორი დიდი გაზეთის ფოტოგრაფებს; პოლიტიკაში ისინი ერთმანეთის მტრები იყვნენ, თუმცა ერთსა და იმავე პატრონს კი ემსახურებოდნენ. განსაკუთრებით ფოტოების გამო ხოცავდნენ ურთიერთს: ვინ მოასწრებდა და ვინ პირველი გადაიღებდა ვისმე დაჭერის ამა თუ იმ ფაქტის აღმნიშვნელ მომენტს. მაგრამ ეს წითური აქაური არ იყო, პარიზული კილო ჰქონდა, ისეთი, ტელევიზორიდან რომ გესმის ხოლმე. შევყურებდი და, რადგან რალა-

ცით მაინც დავინტერესდი, ატაშემ მისი თავი წარმომიდგინა. მას გრეტ ტიბოდო ერქვა და დიდ ჟურნალ „მაჩისთვის“ მუშაობდა, დისპანსერში რომ წავიკითხე, როცა კბილი მტკიოდა.

— ის სიუჟეტს გააკეთებს, — ოხვრით დაუმატა ატაშემ.

ვიგრძენი, ჩემი საქმე ნამდვილად დიდ მნიშვნელობას იძენდა. ეს უკვე ერთი საათი იყო, რაც „ძაღლები“ უფრო თავაზიანნი გახდნენ ჩემმართ. ულვაშიანმა სქელუამ სიგარეტიც კი შემომთავაზა. მე არ ვეწევი, მაგრამ გარშემომყოფთა ხათრით გავაბოლე, მათ გასამხნევებლად.

— სიუჟეტს? — ვიკითხე მე.

მაშინ ატაშემ სათვალე თავის ქერა, ოდნავ ხვეულ თმაზე აიწია, ცხვირი ხელებშუა მოიქცია, ჰაერის ერთი კარგა მოზრდილი ბოლქვი ჩაყლაპა და გამოუშვა:

— საფრანგეთის პოზიციაა დაიცვას ემიგრირებულ მუშახელთა უფლებები, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ სამუშაო და მოწესრიგებული მდგომარეობა აქვთ, მაგრამ სხვა შემთხვევაში, როგორშიც თქვენ ბრძანდებით, სამსახურიდან დათხოვნის ან გაგდების საკითხი კი აღარ დგას, არამედ დემოკრატიული პრინციპების უბრალო უპატივცემულობისა. ამას იმიტომ გეუბნებით, რომ ყველაფერი ნათელი იყოს. შევთანხმდით, ხომ?

— დიახ.

— მაშ, ძალიან რომ არ დავწვრილმანდეთ, ზოგადად გეტყვით: მთავრობა იწყებს ღონისძიებას, რომელიც არა მარტო ღირსების ჩარჩოებში თავსდება, არამედ ქმედითი შედეგებიც ექნება. მიზანი მხოლოდ ის კი არაა, რომ ტერიტორია დაგატოვებინონ, სადაც ჩვენ მაშინ ჩამოგიყვანეთ, როცა გვჭირდებოდით, არამედ ისიცაა, რომ შეძლებისდაგვარად დაგიმტკიცოთ, რომ ახლა თქვენს ქვეყანას სჭირდებით. ერთადერთი საშუალება მაღრიბიდან წამოსული მიგრაციის ტალღის შესაჩერებლად თქვენსავე ქვეყანაში თქვენი მომავალი ცხოვრების მოწყობაა ქმედითი პოლიტიკით, როგორც ინდუსტრიული ისე ადამიანთა რესურსების მხრივ და...—უეცრად შეჩერდა, თითქოს ავარიაში მოჰყვაო, თავი მიატრიალა, ნერწყვი გადაყლაპა, ერთი ღრმად ამოიოხრა და პირველად, რაც ერთმანეთი გავიცანით, დაკვირვებით შემომხედა: — შაბათს გადაცემამ „მარსელი არაბების ქალაქია“, ბაზრის 30% შეადგინა. და სწორედ ამიტომ აქედან იწყებენ ოპერაციას! — მესროლა მან აგრესიულად, თითქოს ეს ჩემი ბრალი იყო. — მე თქვენი დოსიეს წაკითხვის დროც კი არ მქონდა! ისიც კი არ ვიცი, რომელ სფეროდან ხართ.

— ავტორადიოების, — წამომცდა ჩემდა უნებურად.

წამით შემომხედა, დაწყნარდა, მაროკოს რუკისაკენ გაიშვირა ხელი, თითქოს ბოდიშს მიხდიდა გაბრაზებისათვის, და შემდეგ მოჰყვა ავანგარდულ სექტორზე, აუდიოვიზუალური ტექნიკისა და რენოს ქარხნის დანერგვის კაპიტალდაბანდებებზე კასაბლანკას რეგიონში. მე თავი გავაქნიე. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს გამოცდას მაბარებდა.

— თქვენ მაინცდამაინც ამ ტექნიკურ სფეროში გსურთ საქმიანობა, თუ სწავლის გაგრძელება სხვა სფეროში, სადაც მეტი გამოცდილება გაქვთ? ნუ ყოყმანობთ, ასეთი შემთხვევა გეძლევათ: მე საგარეო საქმე-

თა სამინისტროს მანდატი მაქვს თქვენს მთავრობასთან, რათა გაგიადვილდეთ ადმინისტრაციული დემარშები.

— მე ო'კეი ვარ განათებაზე, — თქვა ფოტოგრაფმა.

— კეთილი, — უპასუხა ატაშემ.

მან მაგიდას შემოუარა და გვერდით დამიდგა. [illegible] დამადო ხელი. დაბნეული იერი ჰქონდა. მერე ხელი სასწ[illegible] მხრიდან, ეტყობა, ეს უკვე მეტისმეტი მოეჩვენა და მხოლოდ გვერდზე დგომით, გაქვავებული ღიმილითა და ზურგზე დაწყობილი ხელებით დაკმაყოფილდა. ფოტოგრაფმა მთხოვა, ატაშესთვის კი არა, ობიექტივისთვის მეცქირა და გამეღიმა.

— არა, ასე ძალიან არა!

მე შევამცირე ღიმილი.

— არც ასე ცოტათი და, თუ შეიძლება, ცოტა გაოცებული იერი მიიღეთ.

გაოცებული სახე მივიღე და ეს სულაც არ გამჭირვებია.

— არა, ძალიან გაკვირვებულიც არა, ცოტათი და უფრო მომღიმარი და ადამიანური, ცოტა შეწუხებულიც, რადგან, რაც უნდა იყოს... აი, აი, არ გაინძრეთ! ჰოპ. მაგარია! არა, არა, კბილები არ გამოაჩინოთ. ეი... ჰო, დარჩით ეგრე, ხელი ასე დატოვეთ, ეს უფრო ბუნებრივია, კარგია, და კიდევ რუკა, ო'კეი, მომწონს, ბატონო, მშვენიერია. თქვენ იღებთ რუკას და კუთხეზე მიათითებთ, შენ, შენ კი მას პასუხობ, გაინტერესებს. გენიალურია! ო'კეი. კიდევ გადავიღებ შავ-თეთრ ფირზე და საკმარისია.

იგი გარშემო გვივლიდა და აპარატს აჩხაკუნებდა, ცოტა არ იყოს დღესასწაულს ჰგავდა ყველაფერი. ისევ ჩემი ნიშნობა გამახსენდა, ბოლო ფოტოები უფრო სევდიანი უნდა ყოფილიყო. ფოტოგრაფმა აკრიფა თავისი ხაბაკნუბაკი და ხვალამდე დაგვემშვიდობა. ატაშემ გამომიცხადა, შეგიძლია ღიმილი შეწყვიტოო. ცოტა დათრგუნული იერი ჰქონდა.

— გთხოვთ, მაპატიოთ... ეს ყველაფერი, მაგრამ მთავრობას ამ მომენტისთვის სჭირდება... გამიგეთ? შეიძლება აჰმედი დაგიძახოთ?

თანხმობა განვუცხადე, ჩემთვის სულ ერთი იყო, მაგრამ ბრაზისგან გაწითლებულმა პინიოლმა მკაცრად უთხრა, მაგის სახელი აზიზიაო. ატაშემ პატიება მთხოვა, ისე ვარ, თავი სად მაბია, აღარ ვიციო. ამან ცოტა დამაფიქრა, მაგრამ ჯერ ისე ახლოს არ ვიცნობდით ერთმანეთს, რომ იმ ქალის სახელი მეკითხა, ვინც მის ფიქრებს განაგებდა; როგორი იყო? ეს კაცი კარგ კომპანიონობას გამიწევდა, რატომღაც ძალიან მომწონდა ეს ტიპი. შეიძლება ეს გარემოებების დამთხვევის ბრალი იყო და კიდევ იმისა, რომ სხვა ადგილიდან იყო მოსული.

ხელის ჩამოურთმევლად წავიდა, ეტყობა, ეგონა, ერთხელ ხელის ჩამორთმევაც საკმარისი იყო; რაღაც წარმოთქვა რომელიღაც ენაზე. ალბათ ეს სიტყვა „ჩემს ენაზე" „ნახვამდის" ნიშნავდა. მან აუჩქარებლად გაიხურა კარი, არადა, ვგრძნობდი, აგვიანდებოდა. ვიმედოვნებდი, მისი ქალი ტელეფონთან ელოდა და მათი პრობლემებიც ხვალ აეროპორტში მოგვარდებოდა.

— გულისამრევია, — თქვა პინიოლმა, როცა ჩემს საკანში მეტავდა.

— რა? — ვკითხე მე.

— რადა, ყველაფერი! ეს... ეს მასკარადი, ფოტოები! შენ რას ფიქრობ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვუთხარი, არა-მეთქი. ჩემთვის საზიზღრობა ბეჭდის ამბავი იყო, დანარჩენი კი უფრო თავაზიანი, ვიდრე გულისამრევი.

— ბოლო-ბოლო, აზიზ, მათ დაკრულზე ხომ არ ითამაშებ?

ვერ გავიგე, რატომ შეიცვალა აზრი ასე ცოტა ხანში. ის მე წასვლას მირჩევდა, ჰოდა, მეც მივდიოდი. სადღა იყო პრობლემა?

— ეს ტიპი იდიოტია, ვერ ხედავ? როგორ მოგიძებნის სამსახურს მაროკოში? აქ მარტო სურათის გადასაღებადაა მოსული, მეტი რა შეუძლია? ნულია, ნული!

უცნაური რამ დამემართა. კარგად ვგრძნობდი, პინიოლი რომ მართალი იყო, მაგრამ მაინც მსურდა ჩემი ატაშე დამეცვა. ჩვენ შორის ისეთი ურთიერთობა დამყარდა, სადაც პინიოლს ადგილი არ ჰქონდა და, ეტყობა, ამიტომაც ეჭვიანობდა.

— არა, ძალიან კარგი ტიპია, კარგად ვუგებთ ერთმანეთს.

— გაგიჟდი? რას შვრები, შენი დედა ვატირე! ერთხელ მაინც რაღაც ჰქენი ცხოვრებაში... ერთხელ მაინც აჯანყდი!

სასაცილო იყო, რომ პოლიციელი, თუნდაც ჩემი მეგობარი, კანონსაწინააღმდეგო ქმედებისაკენ მომიწოდებდა რკინის გისოსებში გამოკეტილს, ახლავე რომ ჩემ ცხვირწინ დაიხურებოდა.

— იცი, რატომ ამოგარჩიეს გასაძევებლად? ხვდები? კარგი სიფათი რომ გაქვს, იმიტომ, აი, ფოტოგენური! ფო-ტო-გე-ნუ-რი!

ვერ გავიგე, რა აბრაზებდა. მეპირფერება-მეთქი, ვიფიქრე.

— მორჩი რა, აზიზ! მე პირადად ეს ყველაფერი გულს მირევს! აღარ იციან, რა ქნან, როგორ გაართვან თავი უმუშევრობასა და თავიანთ დებილურ ზონდირებებს; ჰოდა, აგზავნიან ერთ არაბს თავის სამშობლოში, და, რადგან ეს არაბი შემთხვევით უფრო კორსიკელს ჰგავს, ვიდრე არაბს, ეს ნაკლებ რასისტულ აქტად ჩაეთვლებათ! ახლა, ახლაც კმაყოფილი ხარ?!

არაბის სიამაყე არ შემლახვია, მაგრამ სულაც არ მიმაჩნდა, რომ კორსიკელს ვგავდი. პროტესტი არ გამომითქვამს, პინიოლს კორსიკული სისხლი ჰქონდა დედის მხრიდან და მისგან ნათქვამი ქათინაურად უნდა მიმეღო.

— კმაყოფილი არა ვარ, მაგრამ ეს ამბები დიდად არ მაწუხებს.

— რა არ გაწუხებს? ეს პირმოთნეობა, ეს ტყუილები, ეს საზოგადოებისთვის განკუთვნილი ოპერაცია, ზურგზე რომ წამოგკიდეს, არ გაწუხებს?

მორცხვად ავიჩეჩე მხრები. ის მიყვიროდა, ლაჩარი ხარო, მერე გაჩუმდა, რადგან ეს ჩვენი ფეხბურთის დისკუსიებს მოაგავდა სკოლის ეზოში, როცა ერთკლასელები ვიყავით, როცა მხოლოდ წარწერები იცვლებოდა რვეულებზე წლიდან წლამდე, რაც უკვე წარსული იყო, უფრო შორეული, ვიდრე ოდესმე იმ თვითმფრინავის მიზეზით, რომელშიც ხვალ უნდა ჩავმჯდარიყავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აზიზ, ჯიგარი ხარ.
— შენც.
— მაგრა მიტყდება, რომ მიდიხარ.
— მეც.

მაგრამ ეს უკვე არ იყო მართალი. მან თვალები დახარა, ხელა გადაატრიალა გასაღები, მერე გისოსებიდან კევი გამომიწოდა. მე არ ავიღე, გავულიმე და თავი დავუქნიე; ძალიან კარგია, ძმაკაცი რომ გყავს. ეს ნაკლებად გტკენს გულს, ვიდრე ის, როცა ქალი გტოვებს. ყოველთვის იმედი გაქვს, რომ ისევ მეგობრებად დარჩებით და რომ ერთად გატარებული დღეები არასოდეს წაიშლება ახალ მეგობრებთან ყოფნის მოგონებებით.

ამას ისიც დაემატა, რომ ნაშუადღევს ლილა მოვიდა ჩემ სანახავად მატეოსთან, თავის უფროს ძმასთან ერთად და ამით ყველაფერი მითხრა. ლილა თვალდახრილი იდგა, სანამ მატეო მამკობდა, ქუჩის მაწანწალა ძაღლი ხარო, — ეს მათი ჩვეული სასაუბრო ენა იყო, — ნაქურდალი ბეჭდის მირთმევა მანუშის ყველაზე დიდი შეურაცხყოფაიო, სენტ-მარიას გმობაიო, ჩემთვის შენ ყოველთვის თვალთმაქცი, ნაბიჭვარი, ურწმუნო და კანონგარეშე არაბი იყავი და იქნებიო. ლილა იმისთვის მოიყვანა, რომ ამ უკანასკნელს კარგად შეეგნო თავისი შეცდომა და ელიარებინა, რომ ბედი ეწია ჩემი ორმოში ჩაგდებით, რომ მისთვის ჩემ გვერდით ყოფნა უფრო შეურაცხმყოფელი უნდა ყოფილიყო, ვიდრე მარტობა, და რომ ეს მისთვის სამაგალითო გაკვეთილი იქნებოდა.

შევყურებდი და ვფიქრობდი, რომ მათთვის მართლაც სარფიანი საქმე აღმოვჩნდი: შეურაცხყოფის ჩამოსაწმენდად დაიტოვეს ჩემი თორმეტი ფაიონიერლაზერის მაგნიტოფონი და ორმოცი ბოუზის მარკის დინამიკი. პლას-ვანდომიც ხელახლა გაყიდდა ჩემს ბეჭედს დახლს ქვემოდან და პოლიციაც მადლობას ეტყოდა ჩემი ფოტოგენურობისთვის.

ლილა კუდში ისე გაჰყვა თავის ძმას, სიტყვაც არ დაუძრავს. კარგად მესმოდა, რომ მატეომ ლაპარაკი აუკრძალა, მაგრამ თვალებით მაინც ხომ შეეძლო გამომშვიდობებოდა; რაც არ უნდა იყოს, ამდენი ხნის ნაცნობობა გვაკავშირებდა. გული ნაფლეთებად მქონდა ქცეული. აი, რატომ ვჩქარობდი შორს ყოფნას, გესმით, იქ დაბრუნებას, საიდანაც არასოდეს ჩამოვსულვარ, ახლის ნახვისა და გაცნობის სურვილით ატანილი: ვალონ-ფლიორი და ბოშები ჩემთვის დამთავრებული ამბავი იყო. ასევე მეჩქარებოდა იმ ნერვიული ბიჭის ნახვა, რომელიც მომამაგრეს, რადგან მას მაინც არაფერი ჰქონდა ჩემი საწინააღმდეგო, თვითონ არ ამოვურჩევივარ. ორი ჯანდაბაში გასაგზავნი დამნაშავე ვიყავით და თუ ამ კვირაში ან ომი არ დაიწყებოდა, ან ჟამიანობა ან რამე არ მოხდებოდა პრინცების ცხოვრებაში, „მაჩის“ გარეკანზე მოგვათავსებდნენ. ამით არც არაფერი მემატებოდა და არც არაფერი მაკლდებოდა, რადგან აღარავინ მყავდა, ვინც ჩემს ფოტოს ამოჭრიდა და შეინახავდა.

ლეიბზე მიგდებული — საშინელი სუნი რომ ასდიოდა, მაგრამ ახლა ესეც სულერთი იყო ჩემთვის — უკვე ვითომ ცაში აფრენილი ვოცნებობდი, რომ თვითმფრინავი ჩემი ატლასის ერთ-ერთ ფოტოზე დაეშვებოდა, რომ რაც უფრო ქვევით ჩამოვიდოდა, მით უფრო დაემსგავსებოდა ყველაფერი ნამდვილს, რომ მიწაზე სინამდვილეში ლეგენდის

ფრაზებით დაჯდებოდა. და მე ვეტყოდი ჩემს ჰუმანიტარულ ატაშეს: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჩემს ქვეყანაში“. ის გაიღიმებდა და კმაყოფილი თავს დააქნევდა. ჩემს ოცნებებში ნაკლებ ნერვიული სახე ჰქონდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დილის ათ საათზე ყავა და ბისკვიტი მომიტანეს და აეროპორტში გამაცილეს. ჰუმანიტარული ატაშე შესასვლელთან წინ და უკან დადიოდა მოძრავი ბარიერებითა და პოლიციით გარშემორტყმული. პოლიციელებს ისეთი სახე ჰქონდათ, როგორიც აქვთ ხოლმე, როცა ხალხს ეუბნებიან, გაიარეთ, გაიარეთო. როგორც კი დავდგი ფეხი ტროტუარზე, ატაშე მკლავში მწვდა და მთხოვა ავჩქარებულიყავი. მკითხა, ბარგი სად გაქვსო. ვუპასუხე, ჩემი სახლი გამოხრეს-მეთქი. მაშინ მირჩია როდიეს მაღაზიაში შემეძინა აღფურვილობა. მადლობა მოვახსენე ყურადღებისთვის და დავუზუსტე, რომ კაპიკი არ გამაჩნდა. მიპასუხა, ყველა ხარჯს მისია დაფარავსო. სამი ათასი ფრანკი მომცა საყოველდღეო ტანსაცმლის შესაძენად და მთხოვა ავჩქარებულიყავი, რადგან თავისი საქმეები ჰქონდა. ვიგრძენი, რომ ეს საქმეები ხშირად ექნებოდა.

ტანსაცმლის მოსაზომებელ კაბინაში დაუნანებლად დავაგდე ჩემი ნიშნობის თეთრი კოსტიუმი, როგორც უსიამოვნო სახსოვარი, სულ მთლად რომ დამლაქავებოდა ცხენში. ვიყიდე სუფთა კოტონის ძალიან კარგი პრენს დე გალი ქლიავისფერზოლებიან პერანგთან და შესაფერის ჰალსტუხთან ერთად. შევეეაჭრე, მაგრამ უშედეგოდ. ატაშე მაღაზიის მინის კართან დარჩა ჩალისფერებში გამოწყობილ მედიდურ, ზორბა ტიპთან ერთად, რომელიც პრეფექტის წარმოგზავნილად გამაცნო. ისე შემომხედეს, მივხვდი, ჩემი ჩაცმულობა ცოტა ზედმეტად გადაპრანჭული ეჩვენათ ფოტოსათვის. მე კი ეს მათი პატივისცემით გავაკეთე. ჩალისფერმა თქვა, ფოტო ალარ იქნება მოვლენათა შემოტრიალების გამო. და მართალიც იყო. აეროპორტის ჰოლში თევზის სუნი იდგა, მაგრამ რადგან თვითმფრინავში პირველად ვჯდებოდი, შევეცადე გაოცება არ გამომეხატა.

— ამ პორტით ხომ წაიღეს ტვინი! — ამოიხრიალა პრეფექტის წარმოგზავნილმა.

— უნდა დავრეკო, — თქვა ჰუმანიტარულმა ატაშემ, სთხოვა ჩემზე თვალი სჭეროდა და ტელეფონების კაბინების მიმართულებით გაუჩინარდა... პოლიციელები ჩამწკრივდნენ მგზავრების მანიფესტანტებისაგან გამოსაყოფად, რომელთა რიცხვი სულ უფრო და უფრო მატულობდა.

„მა-რი-ნი-ან-ი ჩვენთანაა!“ ეწერათ პლაკატებზე საზღვაო-საკონსერვო ქარხნის მუშებს და ბიდონებიდან იატაკზე ბუიაბესს[1] ყრიდნენ.

— სამხრეთსაზღვაოსნო იცოცხლებს! — გაყვიროდა მეგაფონი.

— კარგი დრო კი აირჩიეთ, — ბოლმით მესროლა ჩალისფერმა.

ვუთხარი, მე თვითონ არაფერი ამირჩევია-მეთქი, და ვკითხე, თვითმფრინავი ნამდვილად აფრინდებოდა თუ არა.

---

1. თევზის საკვები.

— კი, ყველაფერი კარგად იქნება, — მომიჭრა ცივად და ზურგი შემაქცია. ტელეკამერების უკან, რომლებიც ის-ის იყო მოვიდნენ ამ ღრიანცელში და იმწამსვე მოძრავი ზღუდეები შეექმნეს, „პორვანსალისა“ და „მერიდიონალის“ ფოტოგრაფები შევამჩნიე, მუჯლუგუნებით რომ მიიკვლევდნენ გზას, რათა დიდი ნადირი მოეხელთებინათ, კერძოდ: დოკერთა დელეგატები, რომლებიც ცდილობდნენ ცნობათა ბიუროს სტიუარდესასათვის მიკროფონი წაერთმიათ. სალაროს დახლზე გადაწოლილი „მაჩი“ ტიპი ობიექტივს ასწორებდა. ვიგრძენი, რომ უკვე არავითარი წინა ალარ მქონდა: რეპორტაჟს ჩემს სიმპათიურ გაძევებაზე გაბრაზებული დოკერების დარბევა შეცვლიდა, აეროპორტი რომ დაიკავეს დამოუკიდებელი ნავსადგურის გადასარჩენად.

ისინი ჩემზე ფოტოგენურები იყვნენ.

— აქ საშიშია! — თქვა ჟან-პიერ შნეიდერმა და თან წამათრია, — მეორე გასასვლელიდან შევეცდები გასვლას.

პასპორტების საკონტროლო პუნქტისაკენ გავემართეთ. მეგაფონი გაჰკიოდა: „მარსელო, შენი პორტი ყველაზე ძლიერია“. საზღვაო საწყობის მუშები კი ერთხმად მღეროდნენ: „ჰელოუ, სამხრეთ საზღვაოსნოვ“, და მჭიდრო რიგებად შეკრულნი თავიანთი ტრანსპარანტებით მიიწევდნენ წესრიგის დამცველებისკენ, კამერების ამუშავებას რომ ელოდნენ.

მოსაცდელ დარბაზში უფრო სიწყნარე იყო. მე რკინის სკამზე ჩამოვჯექი, ატაშე კი ისევ დასარეკად წავიდა. მანიფესტანტების სიმღერა თავში მიტრიალებდა, მათთან სოლიდარობის გრძნობა მაკავშირებდა, არ მინდოდა ჩვენი ნავსადგურის მოსპობა, მენანებოდა. თუმცა არც თავს ვიტყუებდი: კიდევაც რომ გადაერჩინათ ნავსადგური, ველარასოდეს ვიტყოდი ჩვენი ნავსადგური-მეთქი. ტკივილი ყოველთვის იქიდან არ მოდის, საიდანაც ელი. ცრემლებმა, ლილაზე რომ არ დამილვრია, ახლა ქუთუთოები დამინამა, როცა ბებერი დოკერები, ჩამავალ მზის შუქზე გაქვავებული წეროები და რეიდზე მდგარ გემს შემოსვეული თოლიები გამახსენდა. ნეტავი ზღვის გადაღმა თუ იქნებიან თოლიები? დანომრილ ჯგუფებად შეგვიშვეს რალაც მოძრავ დერეფანში, საფრენი ბილიკისკენ რომ მიდიოდა. ატაშე, რომელიც ვერაფრით დაუკავშირდა თავის ტურფას, სამგზავრო პატარა ჩემოდანს ნერვიულად მიაქანავებდა; მეც მას ვბაძავდი ჩემი „როდიე აეროპორტის“ ჩანთით, სადაც ბოლოს მაინც ჩავტენე ჩემი ნიშნობის კოსტიუმი. მოგონება, თუნდაც მწარე, მაინც არ უნდა დაივიწყო.

საფრენი ბილიკისკენ მიმავალი ვფიქრობდი, რომ ცხვირი და გულმკერდი ჩემი ქალაქის სურნელით ამევსო — ეს იყო ზეთის, ლავანდისა და ლაყე კვერცხის ნარევი, ქარს ბერის ჭაობიდან რომ მოჰქონდა; მაგრამ დერეფანი პირდაპირ თვითმფრინავთან იყო მიერთებული და ეს უკეთესიც იყო. სჯობს გამომშვიდობება შეკვეცო, როცა პირველად მიდიხარ და არ იცი, უკან როგორ უნდა დაბრუნდე.

მე დავინტერესდი აერობუსით, რომელსაც პატივად ერგო ჩემთვის ახალი ხილი ყოფილიყო. შესასვლელი პოლიციის მანქანას მიუგავდა: მაჩვენეთ თქვენი ნომერი, გაიარეთ, ჩვენთან არ ეწევიან! სტიუარდესაც ბებერი გახლდათ, არც ფეხის გასაშლელი ადგილი მქონდა. წინა

სკამსა და ჩემს ზურგს უკან მჯდარი ტიპის ჩემს საზურგეში ჩაფლულ მუხლებს შორის ჩაჭედილი თავს მაინცდამაინც კარგად ვერ ვგრძნობდი. ცოტა გულდაწყვეტილიც ვიყავი, რადგან თვითმფრინავები, ფილმებში რომ აჩვენებენ, კერძოდ „ემანუელაში“, სულ სხვაგვარად გამოიყურებიან. თუმცა ისიც მართალი იყო, რომ დასასვენებლად [illegible] ვემგზავრებოდი.

[illegible]

უეცრად ატაშე წამოხტა, გადამაბიჯა და მითხრა: დასარეკად მივდივარ და მალე დავბრუნდებიო. ეს გასაგები იყო, აქ მარტო ჩემს გასაცილებლად ხომ არ ბრძანდებოდა, ისე კი კარგად ვერ წარმომედგინა, რა უნდა მეკეთებინა ჩემს ქვეყანაში. ვუცდიდი და, ბევრი რომ არ მეფიქრა, ჩემ წინ საზურგეზე მიმაგრებულ მოძრავ მაგიდას ვატკაცუნებდი. სტიუარდესა მოვიდა, მითხრა, შემეწყვიტა მაგიდის ტკაცუნი, გამესწორებინა სავარძლის საზურგე და ასაფრენად მოვმზადებულიყავი. ამ დროს გასასვლელიდან ვილაც ტიპმა დაუყვირა, რომ თვითმფრინავი შეეშალა, რომ აქ საზურგეები ფიქსირებულია, რომ ყელში ამოუვიდა ეს დაგვიანება, მით უმეტეს, რომ არავითარ ახსნა-განმარტებას არ იძლევიან. სტიუარდესამ უპასუხა, აქ არ უნდა მოსწიოთო. კაცმა ურჩია, თქვენ უკანალს მიხედეთო. სხვა მგზავრებმაც მხარი დაუჭირეს. მაშინ ქალმა იყვირა: მე ვმუშაობ, ვმუშაობ, ბატონებო! მათ კი უპასუხეს, რომ ისინი არდადეგებზე არიან და მათ ზანგი ძონებივით არ უნდა მოეპყრონ. აქედან დავასკვენი, რომ ერ ფრანსში არ იყო ცუდი გარემო. ჩემი ატაშე უფრო გაღიზიანებული და უფრო მოხრილი დაბრუნდა, ვიდრე ცოტა ხნის წინ იყო, ეტყობა, ბოლოს და ბოლოს დარეკა. თავის ადგილას დაჯდა უიმედოდ ტუჩებმოკუმული; შემდეგ ისევ წამოდგა და ბოროტი გამომეტყველებით მითხრა სარკმელთან დამეკავებინა ადგილი, რათა პეიზაჟისთვის უკეთ მეცქირა; მეც დავემორჩილე, მისთვის რომ მესიამოვნებინა, მაგრამ მაინც ვერ გავიგე, ამის გამო რატომ იყო ასეთი აგრესიული. მან ელექტროსათამაშო ამოიღო, რასაც, ეტყობა, უბის წიგნაკად ხმაროობდა, და ბოლო თვის დროის განაწილებას მოჰყვა, რათა ჩემი არსებობა დაევიწყებინა. მე კი საფრანგეთის დატოვება მეჩქარებოდა; ჩემი ფიქრით, უცხო ქვეყანაში წასვლა მისთვისაც არ იქნებოდა ურიგო.

ძალიან მეშინოდა აფრენის, მაგრამ არ ვიმჩნევდი. გულში ვიმეორებდი, პილოტმა თავის საქმე კარგად იცის-მეთქი, მაგრამ ასე იყო თუ ისე, მყარ მიწას ვტოვებდი და მერე ინჩ-ალაჰ. ამ გამოთქმამ უცნაური გრძნობა მომგვარა, თავისთავად წამომიტივტივდა, როგორც რეფლექსი. ეს უკვე ქვეყნის იერი იყო.

ჩავეფლე ავარიის შემთხვევათა ინსტრუქციაში, მარსელისთვის ზემოდან რომ არ მეცქირა. ეს არ იყო ბოლო სურათი, რომლის დამახსოვრებაც მინდოდა. გასამგზავრებლად ჰოლში გამართული მანიფესტაცია უფრო უხდებოდა ჩემს მდგომარეობას. ის იყო შესაფერისი დასკვნა ყოველივე იმაზე, რაც გულზე მაწვა: დაპირებების შეუსრულებლობა, უიმედო ამბოხი და აგრეთვე ხალხის გულგრილობა. არ ვიცოდი, ახალი ცხოვრება დაიწყებოდა თუ არა ჩემთვის, მაგრამ ძველი კი ნამდვილად მკვდარი იყო. რაც იმედს მაძლევდა.

როცა პატარა ნათურები გვაფრთხილებდნენ, ქამრები შეიკარითო და ჩაქრა მუსიკალური სიგნალი, სტიუარდესაც დაბრუნდა ყელზე ჩამოკიდებული დაჩუტული სამაშველო რგოლით. ჟან-პიერ შნეიდერმა მაგიდა გადმოსწია, ვერ მოვასწარი გამეფრთხილებინა, ეს აკრძალულია-მეთქი და სტიუარდესა დაულრიალებდა [illegible] ყოს, ჰუმანიტარული ატაშე სტიუარდესაზე უფრო მაღლ[illegible]ია. იგი ჩემს დოსიეზე მუშაობას შეუდგა. ამიტომაც აღარაფერი ვუთხარი და თავი მოვიმძინარე, რათა არ შემეწუხებინა.

რომ გამომელვიძა, ისევ ღრუბლებში ვიყავით. პილოტი აცხადებდა, რაბათში კარგი ამინდიაო. შევხედე ატაშეს, ვისაც ჩემი დოსიე დაეხურა და წერილს წერდა დიდ-დიდი, გაცოფებული ასოებით. ის ასე იწყებოდა: „კლემანტინ“. ეს იყო ქალის სახელთაგან ყველაზე ლამაზი, რომლის წარმოდგენაც კი შეიძლებოდა. მაგრამ ამის თქმა ვერ გავუბედე, ეს მე არ მეხებოდა. როცა უეცრად ყველაფერი გადახაზა, თავს ნება მივეცი წამეკითხა. ის ხომ გადასაგდებად იყო გაწირული და ეს ნაკლები უტაქტობა იქნებოდა. იქ ეწერა: „კლემანტინ ვიცი რომ შენ (გადახაზული) მაგრამ მაინც რაღაც ჩემში (გადახაზული) და შენი ხმა (გადახაზული) დამიტოვე შანსი (გადახაზული) გითხრა (გადახაზული)“.

ჩემი მზერა რომ დაიჭირა, სასწრაფოდ დამალა ფურცელი.

— ნუ წუხდებით!

— ბოდიში, — ვუთხარი მე, — არ ვკითხულობდი, მხოლოდ ვუყურებდი.

— საყურებლად ილუმინატორიც საკმარისია!

ცხვირი მივაწებე ილუმინატორს და ცას დავაკვირდი, მაგრამ გავიგონე კია, როგორ დახია ფურცელი და როგორ აკეცა მაგიდა. მიმქროლავ ღრუბლებში ვცდილობდი მეპოვა სახე, მის კლემანტინს რომ ემსგავსებოდა.

— მაპატიე, აზიზ, ცოტა განერვიულებული ვარ.

მე კომენტარი არ გამიკეთებია. ერთი წუთის შემდეგ კი ისევ დაიწყო:

— განქორწინებას ვაპირებ. მირჩევნია ამაზე არ ვილაპარაკო.

ვუთხარი, კარგი, ნუ ილაპარაკებ, ეს არაა მნიშვნელოვანი-მეთქი. მივხვდი, ეს ძალიან პირადი საქმე იყო. ალბათ უნდა მომეყოლა ჩემი ნიშნობის შესახებაც, რომ მარტო მას არ ეგრძნო თავი უბედურად, მაგრამ ის სხვა წრიდან იყო გამოსული და ჩვენი ამბები ალბათ ერთმანეთის სულაც არ ჰგავდა.

— მას კლემანტინი ჰქვია, — ამოიოხრა ატაშემ.

განცვიფრებული სახე მივიღე და მივულოცე, რომ მის ცოლს ასეთი მშვენიერი სახელი ერქვა, ვუთხარი, ხილვითაა-მეთქი, რომ მარადკო კლემანტინების ქვეყანაა-თქო. ეს ისე, სიტყვის მასალად ვთქვი; დარწმუნებული არ ვიყავი, მართლა ასე იყო თუ არა. მან უეცრად ხელი დაჰკრა სახელურს, რომელიც ერთმანეთისგან გვყოფდა, და შიგ ჩაჭედილი საფერფლიდან მუხლებზე ფერფლი და ნამწვავები გადმომაყარა. სასწრაფოდ დავუზუსტე ზედამხედველ ქალს, ბოროტი იერით რომ მიდი-მოდიოდა, სიგარეტს არ ვეწევი-მეთქი.

— ვერ გამიგია, ვერ გამიგია, რა დაგვემართა... როგორ შეიძლებოდა ეს დაგვმართნოდა! — ხელებს მარაოსავით შლიდა და ნერვიულობდა ჩემი ატაში, მოწმედ წინა სკამის საზურგე ჰყავდა. საქმე, ეტყობა, მისი და კლემანტინის პრობლემებს ეხებოდა. გავიფიქრე, რალაც ყოველთვის თავისთავად ხდება ხოლმე და ვერაფერს გააწყობ. ეჭვიანობენ. დილით მე მშვიდად ვსვამდი აპერიტივს ჩემი ნიშნობის საღამოს ... დღეს კი ვიყავი არალეგალური მოწმე, გახლდით სამაგალითოდ გაძევებული მოდელი, ვინც თავისი ყალბი საბუთების ქვეყნისაკენ მიფრინავდა იმ კაცთან ერთად, ვისაც ვერა და ვერ გაეგო, რატომ ალარ უყვარდა ცოლს. ჩვენ მათ შემთხვევით აგვარჩიეს და მაინც რალაცით ვგავდით ერთმანეთს. ეს ერთგვარად ჩვენი რევანში იყო.

გასასვლელის მეორე მხარეს ერთმა მგზავრმა ქალმა მარცხენა ძუძუ ამოიღო, რომ ჩვილისთვის ეჭმია. და უეცრად ლილას არყოფნამ ძალზე მატკინა გული. ის ყველაზე ლამაზი გოგო იყო, რომელიც კი მყავდა, თუმცა სხვა არც არასოდეს მყოლია. ის მოდიოდა ხოლმე ჩემთან შესახვედრად, მკლავებს ვხვევდი და ხელებს მაისურში ვუცურებდი. თვალები გაეახილე, ხილვა რომ მომეშორებინა. პირდაპირ მჯდარი ქალი მშვიდი და ჭერა იყო, ცოტა კლემანტინს ჰგავდა, მისი ქმარი მე მიღიმოდა, ეტყობა, მე და ჟან-პიერ შხეიდერი წყვილი ვეგონეთ, ჟან-პიერის სიქერავის გამო; ასე რომ, მე და მასაც გვქონდა საერთო.

— შვილები გყავთ, ბატონო ატაში?

მან მხრები აიჩეჩა. მისმა მკაცრმა მზერამ და წინგამოწეულმა ნიკაპმა მიმახვედრა, რომ ჩვილის დანახვამ ისიც ჩემსავით შეაწუხა. სიგარეტი ამოიღო, კარგად დაათვალიერა დ ისევ კოლოფში ჩააბრუნა ისე, რომ სხვები სულ დატეხა. უეცრად მომიტრიალდა და მითხრა:

— არა, მაინც რა ეგონათ? სკანდალი უნდა მომეწყო და ერთმანეთთან შეხვედრა დამეშალა? არ მითხრათ ახლა, რომ ეშინოდათ! მე სრულიად გასაგებად მოვიქეცი. როგორც კი მითხრა, სხვა მყავსო, ავდექი და წამოვედი. ავიღე ჩემოდანი, ტექსტი, რომელზეც ვმუშაობდი და სასტუმროში გადავედი. სხვა რა უნდა მექნა?

—არ ვიცი, — ვუთხარი დაღონებულმა.

— უნდა მებრძოლა. კი, ასეა, კონტრშეტევაზე უნდა გადავსულიყავი, დეტექტივი დამექირავებინა მათთვის ფოტოების გადასაღებად და პირველს შემეტანა განცხადება განქორწინებაზე. ლუპიაკისთვის კი თავში უნდა მიმეხალა განცხადება სამსახურიდან წამოსვლაზე, არა?

ვუთხარი, ცხოვრებაში ყოველთვის არ გრჩება კაცს საკმარისი სამოქმედო დრო და რომ ყოველ ადამიანს თავისი თავმოყვარეობა გააჩნია-მეთქი.

— ლუპიაკი მისი საყვარელია, პრესის დირექტორის მოადგილე გახლავთ სამინისტროში. მისიაში გამოაგზავნინა ჩემი თავი, რომ თვითონ წყნარად იყოს. ხედავთ, ყველაფერი გითხარით.

მადლობა გადავუხადე. მართლა ძალიან ვგავდით ერთმანეთს. ორივე ერთ დღეში ვიყავით, ოღონდ მას კიდევ სჯეროდა, რომ თავის ძველ ადგილს დაუბრუნდებოდა.

— ეს აღმაშფოთებელია, — დაასკვნა მან — ეს არაა ბედთან შეგუება. კარგი, გვეყო.

მან დოსიე ამოიღო, რაზედაც ჩემი გვარი ქემალ აზიზი გარედან ეწერა, — როგორც სკოლაში.

მელანისა და საშრობის სუნმა გადაფარა ჩემს მოგონებებში ლილას სურნელი. დიდი მღელვარებით, ისე, როგორც ტელევიზორს / რთავენ ხოლმე ფეხბურთის საყურებლად და დარდის გადასაყრელად, წამოისროლა:

— დავუბრუნდეთ შენს საქმეს, აზიზ.

რაღაც ჩამწყდა გულში, ჩემი სახელი რომ წარმოთქვა ასე მშრალად, ნაჩქარევად და უხეშად. ბოშებთან მესმოდა ხოლმე „აზიზოო“, მაგრამ მარსელი უკვე ძალზე შორს იყო. თავს ვეკითხებოდი, რამდენ ხანში შემეცვლებოდა აქცენტი. ატაშემ დაუმატა:

— მაპატიე, ჩემი გასაჭირი რომ მოგახვიე თავს.

ვუთხარი, ეს დიდი ცოდვა არაა, პირიქით დამაინტერესა თქვენმა მონაყოლმა-მეთქი. ჩამაფიქრა კიდეც კლემანტინის ამბავმა პრესტიჟული კვარტლიდან; უფრო და უფრო ქერა და მოკლეთმიანი მეხატებოდა თვალწინ ლილას საპირისპიროდ; მაგრამ დეკორი მაკლდა მათი ცხოვრების წარმოსადგენად.

— თქვენ სადაური ბრძანდებით, ბატონო ატაშე?

— შეგიძლია შენობით მელაპარაკო, როგორც შენს ქვეყანაშია მიღებული, ეს მე არ შემაწუხებს.

ველარ გავუბედე თქმა, რომ პირადად მე დიახაც მაწუხებდა, შენობით რომ მომმართავდა, ისეთი ტკბილი მოგონება მქონდა დარჩენილი მეექვსე კლასში ყოფნისას, სადაც ექვსი თვე დავდიოდი და სადაც პირველად ჩემს სიცოცხლეში თქვენობით მომმართეს. მაგრამ ის თავისთავად გადავიდა თქვენობით ლაპარაკზე, აშკარად ჩანდა, რომ ასე უფრო ემარჯვებოდა. მაინც დამიზუსტა, „ბატონი ატაშეს“ ნაცვლად „ბატონი შნეიდერი“ ან „ჟან-პიერი“ შეგიძლია დამიძახოო. მითხრა, რომ მალეზერბის ბულვარზე ცხოვრობდა მეუღლესთან ერთად, თუმცა ამას ახლა უკვე აღარ ჰქონდა მნიშვნელობა, რადგან ბინა მისი ცოლისა იყო.

— მეც თქვენს დღეში ვარ, აზიზ, გარკვეული მნიშვნელობით.

რამდენიმე წუთით ჩაფიქრდა, რადგან არ იცოდა, უფრო ზუსტად როგორ გამოეთქვა „გარკვეული მნიშვნელობა“. მე ვდუმდი, მისთვის რომ ფიქრში ხელი არ შემეშალა. ამ კაცს სკოლის სურნელი ასდიოდა და ეს ძალიან მსიამოვნებდა. ემილ ოლივიეს კოლეჯს მაგონებდა, სადაც ჩემს ცხოვრებას პირველად დაესვა წერტილი იმ დღეს, როცა სწავლა მიმატოვებინეს. ახლა ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს არდადეგებიდან დავბრუნდი, იმ ხანგრძლივი არდადეგებიდან, შვიდი წელი რომ გაგრძელდა.

ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ ატაშემ ხელახლა აიღო დოსიე, რათა ჩემი საქმე შეესწავლა. მიკვირდა, ნეტავ რად უნდოდა, როცა ცოცხალი აგერ გვერდით ვეჯექი. მან ამოიოხრა:

— იცით, ჩემი პირადი მდგომარეობის მიუხედავად არ ვამართლებ ამ მეთოდებს. პრინციპებზე არ ვამბობ. ჰუმანიტარული მისია თავისთავად პატივსაცემია, მე იმათ არ მივეკუთვნები, ვინც ყველაფერს დასცინის, მაგრამ ასეთი აჩქარება... ჯერ თვეების მანძილზე ვიეტნამის

ვრანგულენოვანი მოსახლეობისთვის წერა-კითხვის გადამწყვეტ საკითხებზე ვმუშაობდი დირექციის დავალებით, ამას თქვენ საწინააღმდეგოდ კი არ ვამბობ. მერე უკვირთ ხოლმე ჩვენი წარუმატებელი საგარეო პოლიტიკა. მე სულიერი კრიზისის ხანა მაქვს, ჩემთვის აუცილებელი იყო პარიზში დარჩენა, გარდა ამისა ორ დღეში როგორ უნდა დაგაფუძნოთ ხელახლა, არ მესმის. როგორიც არ უნდა იყოს ჩემი [illegible] დი პრობლემები, ღრმად ვწუხვარ, რომ ისინი თავს მოგასვიეს [illegible] რამ ხომ ხედავთ, რა მდგომარეობაში დამასახელეს, ლუპიაკი ამ საქმეში არ ჩარეულა, კაცმა არ იცის, რად გვაქცევს ხოლმე ეს მასმედია, ამას თქვენთვის არ ვამბობ... მაგრამ მე მომზადების დრო არ მქონდა. და იცით, საერთოდ, არ ვიცნობ მაროკოს.

— აბ, მაშ კარგი. ყველაფერი გენიალურად იწყება ორივესთვის, იფ, იფ!

— ფოტო გაქვთ? — ვკითხე.

— ფოტო?

— ქალბატონი შნეიდერის ფოტო, მე თქვენ ლილასას გაჩვენებთ. ეს ჩემი დანიშნულია და ეს-ესაა მიმატოვა.

შეყოვნდა, წარბები აზიდა სათვალის ჩარჩოს ზემოთ და მერე პორტფელიდან საკრედიტო ბარათებს უკან ჩამალული სულ პატარა პასპორტის სურათი ამოაძვრინა. ისე მომაწოდა, როგორც საკუთარ წყლის ბოთლს აწვდიან სხვას, მიკრობებისა როცა ეშინიათ. შევხედე და იმწამსვე გადავწყვიტე იმედგაცრუება დამემალა: ეს იყო ძალზე ულამაზო, ცისფერთვალება, წვრილტუჩა და მძიმე ნიკაპიანი ქალი. კიდევ ერიხელ შევათვალიერე ჩვენ პირდაპირ მჯდარი გოგო, მაგრამ უკვე სხვანაირად. იგი აღარ მჭირდებოდა კლემანტინის წარმოსადგენად, ვისაც სახელიც კი სასაცილო ჰქონდა, როგორც ფორთოხალი ან ბანანი.

ქერა ქალმა ჩემი მზერა დაიჭირა. თავაზიანად გავუღიმე და მანაც უბრალოდ გამიღიმა ქვენა აზრების გარეშე, ისე როგორც ამთქნარებენ ხოლმე, როცა სხვები ამთქნარებენ. მაგრამ მის ქმარს ეს ზედმეტად მოეჩვენა, სასწრაფოდ გამოართვა ბავშვი, რომ დაედასტურებინა, ნამდვილად მისი რომ იყო, და ძუძუც ჩაბრუნდა ლიფში. მაშინ მე ამოვიღე ლილას სურათი, ჩანთაში ჩაკუჭულ ნიშნობის კოსტიუმის ჯიბიდან. ატაშემ მითხრა, ძალიან ლამაზიაო. მე გამოვართვი და დავხედე, ისე, ანგარიშმიუცემლად, სოლიდარობის გამოსახატავად და თანთვალებში შევაცქერდი. მან ეჭვით შემათვალიერა, მერე გაღიმებას შეეცადა, ტუჩები აუკანკალდა და თავადაც ორად გადახია კლემანტინის ფოტო, მაგრამ შევატყვე, რომ ეს ჩემს საამებლად გააკეთა, რადგან ნახევები ჯიბეში შეინახა, და მწვრთნელის ავტორიტეტული ხმით მითხრა, თითქოს ხელახლა კაცურ ლაბარაკს განვაგრძობდით:

— ირგვიზზე მელაპარაკეთ!

მისი ბრძანება კითხვით ფორმაში გავიმეორე, დრო რომ მომეგო პასუხის საპოვნად. ნამდვილად მერჩია ისევ მის პირად ცხოვრებაზე გაგვეგრძელებინა საუბარი, მაგრამ მოვზაურობის მიზეზი მე ვიყავი. თავში ემილ ოლივიეს კოლეჯი მიტრიალებდა, მისი საღებავგაცლილი კარები, დაჯღაბნილი კედლები, კლასებს შორის ატეხილი აყალმაყალი, დერეფანში შპრიცები და ყოველივე ამის შუა ბატონი ჟიროდი, ცოტა

მოხუცი, სათნო მოხუცი, ვისთვისაც ასე სამწუხარო იყო ეს სანახაობა, ასე გულსატკენი, ვინც სხვა ცხოვრებიდან იყო მოსული — მოკლედ, ისე დავფიქრდი მისგან ნაჩუქარ ჩემს დაკარგულ ტანასზე, რომ ჩემდა უნებურად თხრობა დავიწყე. სიტყვებს ჯერ ხელი, ეგულოდ გამოვთქვამდი, მერე თანდათან თავდაჯერებულ მეტყველებად ვიქეცი. ვყვებოდი ნაცრისფერი ადამიანების ლეგენდას მეოცე საუკუნეში, თავიდან, სულ უცნობსა და საიდუმლო ხეობაში რომ ცხოვრობენ, სადაც არც გზა არის და არც პროგრესი, სადაც მწვანე სამოთხეა პრეისტორიული მცენარეებით, ისევე რომ ხარობენ მოშიშვლებული მთების ძირას. ამ მთებს ტურისტები ხედავენ, მაგრამ ეჭვიც კი არა აქვთ, რა ხდება მათ გადაღმა, რადგან ნაცრისფერი ადამიანები თავიანთ ხეობას თაობიდან თაობას საიდუმლოს შენახვის ფიცით გადასცემენ; სხვათა შორის იქიდან არასოდეს არავინ გამოდის დარაჯთა გარდა, რომელთაც ტერიტორიების შემსწავლელი მოგზაურებისთვის თავგზის აბნევა ევალებათ, რათა ამ უკანასკნელებმა არ აღმოვაჩინონ. — ცოტა გადავაკეთე ფირდოუს ალ მ'ფუკის ისტორია, დაკარგული სამოთხე, წინასწარმეტყველი მაჰმადის მედინაში გაქცევისას რომ მოხდა; — ჩემს საიდუმლო ხეობას ირგეზი ჰქვია და მე ვარ პირველი ნაცრისფერი ადამიანი, ვინც იქიდან გამოვიდა და მარსელში მოხვდა.

ატაშე საცრისტოლა თვალებით შემომცქეროდა.

— რატომ? — მკითხა ისეთი ჩახლეჩილი ხმით, ვიგრძენი, ის რომ ნაცრისფერი ადამიანი ყოფილიყო, თავის ხეობას არასოდეს მიატოვებდა.

მივხვდი, რაც გაიფიქრა.

— იმიტომ, რომ ხეობა ნადგურდება მთებში ჩატარებული საგზაო სამუშაოების გამო. ჰოდა, აი, მეც წამოვედი დახმარების საძებნელად.

მან ვერ გაიგონა, სტიუარდესამ ფორთოხლის წვენი რომ შესთავაზა და მერე მხრების ჩეჩვით წავიდა. სიამოვნებით დავლევდი ფორთოხლის წვენს, პირი სულ გამომშრალი მქონდა, მაგრამ, ეტყობა, მარტო ფრანგებისთვის იყო განსაზღვრული, რადგან ერ ფრანსის თვითმფრინავში ვისხედით, და ნაწყენმა ვთქვი:

— ყველას ფეხებზე ჰკიდია ირგეზი. ცხადია, არც არავინ იცნობს. სწორედ ამიტომაც დარჩა იგი მსოფლიოს საუკეთესო ადგილად, მაგრამ მისი გადარჩენაა საჭირო.

— კი მაგრამ, რატომ არ უთხარით ეს ყველაფერი „მაჩის" ტიპს? — წამოიყვირა ჟან-პიერმა.

ვუპასუხე, რომ ეს საიდუმლოა და რომ ისედაც ზედმეტი ვილაპარაკე. ლეგენდა ჩემს აჯლასში აქ მთავრდებოდა. თავს ვეკითხებოდი, რაღა ეს ლეგენდა ავირჩიე და არა სხვა-მეთქი. ეს არ იყო მაინცდამაინც პრაქტიკული; მაგრამ, რაც მართალი მართალია, ოცნების კარგ საშუალებას იძლეოდა. ნეტა ერთი ატაშეს სახისთვის შეგეხედათ!

— და ახლა... იქ უნდა ჩაგაცილოთ?

პანიკური შიში იგრძნობოდა მის ხმაში და ამავე დროს ბავშვური აღტაცება, რაც ძალიან მომეწონა. ერთ-ერთი, რასაც თავს შევპირდი ზღვისპირა კლდესთან, ის იყო, რომ ლილასთან, როცა დაქვრივდებოდა,

ბევრი შვილი მყოლოდა, მათ ჩემს ლეგენდებს მოვუყვებოდი და ისინიც დაიჯერებდნენ იმის ნაცვლად, რომ ათი წლისებს ქუჩაში ჩანთები მოეპარათ მიღებული აღზრდის თანახმად. თუმცა რეალობა ყოველთვის იმარჯვებს, თუმცა უმჯობესია რაც უფრო გვიან მოხდება.

— მოიცა, მოიცა, — გამაწყვეტინა ფიქრი ატაშემ და თან ჰალსტუხი მოიბოშა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვერ გამიგია, რატომ წახვედით მარსელში? გამოხვედით თქვენი ჩაკეტილი ხეობიდან და მარსელში წახვედით, ხომ?

ოჰ, ეს უკვე აღარაფერს ჰგავდა... მაგრამ მაინც განვაგრძე, რომ ტომის უხუცესი იცნობდა მარსელის ფაკულტეტის პროფესორ ბატონ ჟიროდის, ვინც იცოდა, როგორ უნდა გადაერჩინა ხეობა. ჩემი მისია კი ბ-ნ ჟიროდის დარწმუნება იყო, რომ იგი და მისი ჯგუფი ჩვენ დასახმარებლად წამოსულიყვნენ.

— კი მაგრამ, საიდან იცნობდა უხუცესი პროფესორს თუ არასოდეს გამოსულა ხეობიდან?

ეს კაცი უკვე ძალიან მაღიზიანებდა. ლეგენდას უნდა უსმინო, დისკუსია კი არ გამართო. ერთი კი მართალი იყო, ეს ყველაფერი მან სინამდვილედ აღიქვა. ცოტა გამიკვირდა კიდეც, ასე იოლად რომ დამიჯერა. ალბათ მან თავი ჩემს ადგილას წარმოიდგინა და თავისი ინტელექტის წყალობით არც კი დაეჭვდა, რომ ნაღდ ტყუილებს ვუყვებოდი. ის ხომ ახლა ჩემს სამსახურში იყო, საწყის პუნქტში უნდა დავეფუძნებინე. ოცნებად მქონდა მისთვის ყველა კარი გამეღო მის სამინისტროში. უსინდისობა იქნებოდა ისეთ ოცნებებში ჩამეძირა, საიდანაც ველარ გამოვიყვანდი.

— შვეულმფრენიდან, — ვთქვი მე.

— შვეულმფრენიდან?!

— დიახ, ბატონი ჟიროდი შვეულმფრენით მოვიდა მთების დასაზვერად და ჩვენთან ჩამოვარდა, დაიმტვრა. მას ჩვენი მაგიური მცენარეებით უმკურნალეს. ჰოდა, გვითხრა: „მე ვარ მარსელის ფაკულტეტის პროფესორი, დედამიწის საიდუმლოებათა სპეციალისტი. თუ ოდესმე რამე დაგჭირდეთ, მოდით და მნახეთ, რადგან თქვენ მე სიცოცხლე შემინარჩუნეთ“. როცა მიდიოდა, დააფიცეს, რომ საიდუმლოს არ გასცემდა.

ძალიან კმაყოფილი ვიყავი, ფასი რომ მოვუმატე ბატონ ჟიროდის, ჩემს მოხუც გეოგრაფიის მასწავლებელს. იგი ინდიანა ჯონსს დავამსგავსე. ნამდვილად იყო ამისი ღირსი.

— ახლა კი, — გააჭენა ატაშემ — პირიქით, მთელმა მსოფლიომ უნდა გაიგოს ნაცრისფერი ადამიანების არსებობა, რათა შეიქმნას სოლიდარობის ჯაჭვი ხეობის გადასარჩენად! ასეა, არა? მაგრამ თქვენ ურწმუნო ვინმე ბრძანდებით! როცა წარმოვიდგენ, ხელთ რომ „მაჩის“ ტიპი გვყავდა, შეგვეძლო მისი წამოყვანა, გავაკეთებდით ექსტრაორდინალურ რეპორტაჟს, მე თქვენ დაგაფუძნებდით, როგორც ეკოლოგიისთვის მებრძოლს, ირგვიზის გადამრჩენელს, ანუ თუ როგორ ეხმარება საფრანგეთი მაროკოს არქეოლოგიური განძის გადარჩენაში! მაგრამ

არა უშავს, ამას მერეც მოვახერხებთ, უახლოეს ნომერში... მივცემ ინტერვიუს ტელევიზიას ტელეფონით. ხომ არის ტელეფონი?

— საად?

— ირგეიზში!

გამეცინა, ჩემს ლეგენდაში ასე შინაურად რომ გრძნობდა თავს, ისე გულიანად გამეცინა, რომ იგი ჩემი ძმაკაცი „ფენეიდერი“ ისეთივე ჩვეულებრივ სახელად იქცა ჩემთვის, როგორც ადრე „პინიოლი“, რადგან მეგობრებს ცხოვრებასთან ერთად იცვლი და ეს ბუნებრივია: აქამდე მე ავტორადიოებს ვიპარავდი და „ძაღლს“ ვმფარველობდი; დღეს ღრუბლებში ვიყავი და გზას ვადექი უცხო ქვეყნისკენ, სადაც ჩემი ლეგენდა ჩავრგე ჩემი ფესვების სახით, და ვმფარველობდი ინტელექტუალს, ოცნება რომ სჭირდებოდა თავისი ცოლის დასავიწყებლად.

როცა სიცილს მოვრჩი, დავინახე, რომ ნაწყენი იყო. გულიანი ბიჭი ჩანდა ბიუროში მუშაობისა და მორალური კრიზისის მიუხედავად. შერცხვა, ტელეფონი რომ იკითხა. მე მას სამოთხეზე ველაპარაკე, სადაც ნამდვილი ადამიანური ურთიერთობები უნდა ყოფილიყო; შეიძლება იქ, ქვეყნიერებას მოწყვეტილ წყაროსპირა გამოქვაბულში მას თავისი კლემანტინიც არ დაეკარგა. კარგად ამოვიცანი მისი სინდისის ქენჯნის მიზეზი: ან ირგეიზი უნდა გადაერჩინა და მისგან მედია-კლუბი გაეკეთებინა, ან მთები ხელუხლებლად დაეტოვებინა.

ერთ დღეს შეცდომით ასეთ ფილმს გადავეყარე. ლილასთან ერთად „ტერმინადორის“ სანახავად წავედი დიდ, კომპლექსურ კინოთეატრში. ამდენი დერეფნის გადამკიდეთ დარბაზი შეგვეშალა. აღმოვჩნდით წაგრძელებულ დარბაზში, სადაც დოკუმენტურ ფილმს აჩვენებდნენ რომის შესახებ. იმდენად უცნაური იყო, რომ ცოტა ხანს შევჩერდით. ერთერთ სცენაში მეტროს მშენებელმა მუშებმა გვირაბის თხრისას პრეისტორიული ნახატებით სავსე გამოქვაბული აღმოაჩინეს. იდგნენ გაშეშებულნი და აღფრთოვანებით შესცქეროდნენ ნახატებს. სწორედ ამ დროს ნახატები წაშალა მათმა შემოშვებულმა ჟანგბადმა. ჟან-პიერიც თავს დამნაშავედ გრძნობდა, წინასწარ საყვედურობდა თავის თავს იმ ზიანის გამო, რასაც ეგი ჯერ კიდევ მისთვის უცნობ ჩემს ხეობას მიაყენებდა.

ჩემს თავს ზემოთ მყოფ ჰაერის ლილაკს დავაჭირე სელი. საოცარია ლეგენდის ძალა, როცა თავს შეიწუხებ და დაიჯერებ. საბოლოო ჯამში ჩემი ატაშე უფრო კომპეტენტური გამოდგა ვიდრე ეგონა. უკვე ერთი საათი იყო, რაც „დამაფუძნა“ — ანუ არაბი მთხრობელი გამხადა.

ჟან-პიერმა ჰალსტუხი გაისწორა, ჩემ მიერ გამოშვებულმა ჰაერის ნაკადმა რომ გვერდზე მოუქცია. შემდეგ, როცა თითი ავუშვი ღილაკს, წარბები შეჭმუხნა, მომიტრიალდა და მითხრა:

— კი მაგრამ, აზიზ, თქვენ მითხარით, ავტორადიოებში ვმუშაობდიო...

— კი არ ვმუშაობდი, ვიპარავდი.

ეს ისე წამომცდა, უაზროდ, გულღიაობის შემოტევამ მომიცვა. მაშინვე ვინანე, როცა შევამჩნიე, ამგვარმა პირდაპირობამ რომ ჩემი ინტერესების საწინააღმდეგოდ კიდეე უფრო მეტი დამაჯერებლობა მისცა

ირგეზს. მე მართლა მაგარი მთხრობელი გამოვდექი. შნეიდერმა მცირე ხნის გაოცების შემდეგ ბუზივით გააძევა ჩემი უნებლიეთ წამოსროლილი ფრაზა:

— ეს მე არ მეხება. არც არაფერი მინდა ვიცოდე თქვენს ანალოგიურ ცხოვრებაზე მარსელში; ეს ყველაფერი ჩემთვის არ არსებობს. მე პოლიციელი არა ვარ. მხოლოდ ირგეზი მაინტერესებს და [illegible] მომავალი.

ჩემი მზერა ისევ ქერა ქალს დაუბრუნდა, რომელსაც ძუძუ ჰქონდა ამოღებული. მწოვარა ბავშვის დანახვაზე სევდა შემომაწვა: ამ ქალს გარანტირებული ჰქონდა მომავალი, მე კი ისევ ლეგენდით ვიკვებებოდი, ცრუ მშობიარობა რომ ექნებოდა, როგორც კი მაროკოში ჩავიდოდით და ჟან-პიერი ირგეზის გზას მკითხავდა. ერთი თვე ხომ არ მოვუნდებოდი ხეტიალს არარსებული ხეობის საძებნად? ხომ ყველას დასაცინი გახდებოდა ჩემი ატაშე „ჩემს ქვეყანაში?" უფროსებიც დასჯიდნენ გადაჭარბებული ხარჯებისათვის. უმჯობესი იყო მშვიდად დაშვება დედამიწაზე.

— უნდა გითხრათ, ბატონო...

— ჟან-პიერი დამიძახეთ.

— უნდა გითხრათ, ჟან-პიერ... ბატონი ჟიროდი სინამდვილეში ემილ ოლივიეს კოლეჯის გეოგრაფიის მასწავლებელია. ესაა და ეს.

— ფუჰ, ეშმაკმა დალახვროს, — თქვა ჟან-პიერმა ღრმად დამწუხრებული იერით, — მაშ, იპოვეთ იგი მარსელში და, როცა მისვდით, რომ გატყუებდათ, რომ არ იყო არქეოლოგი, ასე ვთქვათ, ჩაფლავდით... პირში ჩალაგამოვლებული დარჩით, ვეღარ გაბედეთ ირგეზში ხელცარიელი დაბრუნება.

ჩემმა ისტორიამ მართლა მაგრა გაუხსნა მადა. საცოდაობა და დაუნდობლობა იქნებოდა მისთვის პირიდან ლუკმის წართმევა; მე კი... მეც მივეჯაჭვე ჩემს გადაკარგულ ხეობას. მაგრამ არჩევანის დრო აღარ იყო.

— ბატონო შნეიდერო, ირგეზი არ არსებობს, — ვთქვი წყნარად.

— დიახ, რა თქმა უნდა. ვიცი, საიდუმლო, ანდერძი... ცხადია, მე პატივს ვცემ თქვენს ტრადიციებს, მაგრამ რაღაც უნდა გავაკეთოთ. მე აქ თქვენ დასახმარებლად ვარ.

სიტუაცია ამძაღებას იწყებდა. მეორე მხრივ, როგორც კი მიწაზე დავეშვებოდით, ის ჩემს ხეობას დაივიწყებდა და თავის ცოლთან დასარეკად გაიქცეოდა, ჰოდა, მეც გავქრებოდი ისე, რომ ოცნებას არ ავუმღვრევდი; ეს ორივესათვის კარგი გამოსავალი იქნებოდა ჩემი ცხოვრება, როგორც იტყვიან, წინასწარ იყო მოხაზული. ახლა სხვა ქვეყანაში მოვიპარავდი ავტორადიოებს, ის კი თავის სამინისტროში დაბრუნდებოდა და ცოლს შეურიგდებოდა. კარგად ვგრძნობდი, რომ მის სამყაროს ჩემი ლეგენდით ბზარი გავუჩინე. მე კი სულაც არ მინდოდა მეტროს მუშებივით ყველაფრის კვალი წამეშალა და დამენგრია ცივი ბაერის მცირე ნაკადის მეშვეობით.

— ირგეზი არ არსებობს. — გავუმეორე კიდევ ერთხელ.

— რა იყო თქვენი პროფესია იქ თავიდან?

ძალიან, ძალიან ჯიუტი იყო ეს ტიპი. რა ყველაფერი ერთბაშად მივახალე, რათა სისულელეებისთვის ბოლო მომეღო. ვუთხარი, რომ

მარსელელი ბავშვი ვარ, დამტვრეულ Ami-6-ში ნაპოვნი, რომ ნაცრისფერი ადამიანების ამბავი მხოლოდ ატლასში ამოკითხული ლეგენდაა, იმ ატლასში, ბატონმა ჟიროდიმ იმ დღეს რომ მაჩუქა, როცა სკოლა მივატოვე და „ტოროლა" გავხდი. მან ნაზად გამიღიმა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ სიმართლე ამ ცოტა ხნის წინ ვუთხარ, ბიბლიოთეკა

— ხელოსანი? მიწათმოქმედი? მწყემსი?..

მივხვდი, რომ რამის თქმას აზრი აღარ ჰქონდა, რომ ჩემი პროტესტი კიდევ უფრო გაუღრმავებდა თავდაჯერებას. იმ წუთიდან, როცა ჩემი ლეგენდის დაჯერება გადაწყვიტა, ყველა ჩემი ძალისხმევა — როგორმე უკან, რეალობისკენ, მომებრუნებინა, ხიბლს მატებდა მის თვალში საიდუმლოს, რომელიც, მისი აზრით, უნებლიეთ გავთქვი.

— არავინ მუშაობს ირგეზიზში, — ვთქვი გაბზარული ხმით, — ხილს აგროვებენ, წყაროს წყალს სვამენ, პირუტყვის ხორცს ჭამენ.

— დიახ... უნდა გამიგოთ... ბოდიშს გიხდით, რომ სასაცილო წვრილმანებს ვიძიებ, მაგრამ ჩემი მისიის შესასრულებლად, თეორიულად... პარიზში უნდა წარვადგინო იმის დამამტკიცებელი დოკუმენტი, რომ თქვენ იშოვეთ სამსახური თქვენი წარმოშობის ადგილას. მაშ, თქვენ არ გსურთ, ირგეზიზი რომ არსებობდეს და მას უშველონ, მე კი ძალიან მინდა... რამე ხომ უნდა მოვუყვე ჩემს ზემდგომებს? ეს ჩიხია, გამოუვალი მდგომარეობა.

მეტი არაფერი მქონდა სათქმელი. მართლა გამოუვალი მდგომარეობა იყო და ისე ჩანდა, რომ ეს ამბავი არნახულ სიამოვნებას ანიჭებდა. მეტისმეტად შორს შევიჭერი, მაგრამ ამავე დროს ბედნიერიც ვიყავი, რომ ასე კმაყოფილს, მკვდრეთით აღმდგარსა და მომავლის გეგმებით აღსავსეს ვხედავდი.

სტიუარდესამ პლასტიკატის თეფშებით მოგვიტანა მოგრძო ფუნთუშები და ათქვეფილი არაჟანი. ჟან-პიერმა თავი მოხადა ყველაზე ყვითელ მუსს და ზემოდან თავისი ჩანთიდან ამოღებულ პატარა პაკეტიდან რაღაც მოაყარა, ნახერხს რომ ჰგავდა. ჩემი მზერა რომ შეამჩნია, მითხრა:

— ეს თესლებია.

ილუმინატორისკენ მივიწიე, სანამ იგი ყუთებს ხსნიდა და, შიგ რა იყო, ამოწმებდა. ეტყობა, ქიმიურ ომში იყო ჩართული და ყოველდღე თავს ნელ-ნელა იწამლავდა ვაქცინაციის მიზნით.

— მე ვიბრძვი რადიკალური ექსცესების წინააღმდეგ. სელენიუმი მჭირდება დეპრესიის დასაძლევად. გნებავთ?

ეს ისე თავაზიანად მითხრა, რომ თანხმობა განვაცხადე, თუმცა დიდი აღტაცება არ გამომიჩენია. მართლა კარგად უნდა გაიცნო ადამიანი, სანამ განსჯი. მე გამოვემგზავრე კანცელარიის აღგზნებულ ტიპთან ერთად და აღმოვჩნდი მაშველ შეგირდთან, მომავლის ავანტიურისტთან, ვინც თესლებს ჭამდა.

— ნახეთ, ნახეთ, ძალიან გემრიელია და მთლიანად ბიოლოგიური. სელენიუმი ბუნებრივად არსებობს ყველა თესლში.

მან ჩემს არაჟანზეც მოაყარა თესლები, შემდეგ თავის ულუფას დააცხრა ოპტიმისტი ავადმყოფის ენერგიით. ამან ჩემი ატლასის ჩინუ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რი მუმიები მომაგონა, ცოცხლად რომ ბალზამირდებოდნენ ჯირკვლების ხრამუნით.

— რომელი ავადმყოფობისთვისაა ეს მარცვლები? — ხელში ჩანგალი მქონდა გაშეშებული და ცალი თვალით ვუყურებდი, რა სარბად მიირთმევდა.

— უკაცრავად? მაპატიეთ?

— საშიში არაა?

— საშიში? არა, რატომ იქნება? ხორბლისაა.

შევჭამე ცოტა იმედგაცრუებულმა. მან გახსნა ჩემი ღვინის ბოთლი და ჭიქა შემივსო, სანამ დალევას მოვასწრებდი, უცებ ბოდიშობა დამიწყო. შემდეგ მინერალური წყალი დამისხა თავის თასში და გამომიწოდა. მადლობა გადავუხადე. დაველოდე, როდის წავიდოდა მოსაშარდად, რომ კიდევ მომეთხოვა ღვინო. არაა საჭირო ხალხის შოკში ჩაგდება რელიგიის ნიადაგზე.

ყვითელი ყუთის შემდეგ ყავისფერი გახსნა და ღეჭვა-ღეჭვით შეუდგა სიტუაციის გაანალიზებასა და დასკვნების გამოტანას:

— პრობლემა მარტივია: ერთი მხრივ უნდა გავაცნოთ ირგპიზი საზოგადოებას, რათა საფრანგეთმა და იუნესკომ ბიუჯეტიდან გამოუყონ თანხა სიძველეთა გადასარჩენად, მეორე მხრივ ხელი უნდა შევუშალოთ ტურისტებს ამ ლანდშაფტის გაცამტვერებაში. ცხადია, ეს ურთიერთგამომრიცხავია, მაგრამ რაიმე საშუალება ხომ უნდა მოინახოს. მან ხმას დაუწია და მკლავზე თითები მომიჭირა.

— აბიზ, მე სულაც არა ვარ კარგად დიდი ხანია და ეს სულაც არაა კლემანტინის ბრალი. ეს უფრო სერიოზული ამბავია. საქმე ისაა, რომ ისეთ ქალზე ვიქორწინე, რომელიც ვიცოდი მიმატოვებდა. მეც შენსავით უარვყავი ჩემი გარემო, ჩემი ფესვები, მივატოვე ჩემი მიწა და ამიტომაც ყველაფერი ცუდად წამივიდა.

თავი ჩავღუნე. როგორიც არ უნდა ყოფილიყო მისი ამბავი, იგი მთელი სულითა და გულით მეცოდებოდა. ამან ჩემი პრობლემები დამავიწყა. მან ამიხსნა, თან ყელში თითქოს რაღაც ეჩხირებოდა, რომ უკანეში, ლოტარინგიაში დაიბადა, მეტალურგიული ქარხნის გვერდით. მამამისი და მისი ძმა მეტალურგები იყვნენ, მან კი ჩვიდმეტი წლისამ გადაწყვიტა თავისი ფესვების მოკვეთა. რაღაც რომ გაეკეთებინა, რომანი დაწერა მამამისის ცხოვრებაზე და პარიზში წაიღო გამოსაქვეყნებლად. იქ ლოტარინგია არავის აინტერესებდა, ჰიდა, იძულებული გახდა ესწავლა, რათა კანცელარიის რიგითი მუშაკი გამხდარიყო. კარგი ხელფასი ჰქონდა, ფულს უგზავნიდა ოჯახს, მაგრამ გამბედაობა არ აღმოაჩნდა ლოტარინგიის სანახავად ხელახლა ჩასულიყო, რაკილა წარმატებას ვერ მიაღწია ცხოვრებაში. რომანი ვერ დაბეჭდა პარიზში. ახლა მამამისი უკვე მოხუცი იყო, მეტალურგიული ქარხანაც დაიკეტა, საფრანგეთის შავი მეტალურგიის საუკეთესო რეგიონი ატრაქციონების პარკად იქცა. კლემანტინმაც იმიტომ მიატოვა, რომ ის მომავალ მწერალზე დაქორწინდა და არა ბიუროს მოხელეზე. მან კი ყველაფერი ჩაფუშა.

მოკლედ, ირგპიზი მისთვის, ეტყობა, ბოლო შანსი იყო, არაჩვეულებრივი რომანის სიუჟეტი, ლოტარინგია აღარავისში იწვევდა ოცნე-

ბას, მაგრამ ნაცრისფერი ადამიანების ხეობა ბოლო-ბოლო ჩემი საკუთარი ლოტარინგია იყო. ის ჩემს ადგილს დაიკავებდა, ჩემ მაგივრად ილაპარაკებდა. რაც კი გულზე აწვა, ყველაფერი შეეძლო ჩემს გზამკვლევში ჩაეწერა და წიგნად ექცია. წიგნი საუკეთესო საშუალება იქნებოდა ირგჰიზის ხეობის გასაცნობად ისე, რომ იგი [illegible] შერყვნილიყო. ამბობდა, რომ ღმერთი სწამდა და არ იყო შემთხვევითი ცხოვრებამ რომ ასეთ ბედს გადაჰყარა, რომ შესანიშნავი იყო აერობუსში დაწყებული რომანი და რომ, რა თქმა უნდა, საავტორო უფლებების 50% მომცემდა, რადგან ჩემმა მონათხრობმა მის შთაგონებას ფრთა შეასხა... ხომ თანახმა ვარ?

მე არაფერი მითქვამს. თვითმფრინავმა ბორბლები დაუშვა დასაჯდომად, ისე კი ძალიან კარგი იქნებოდა, თუ შუაზე გასკდებოდა. პირველად ჩემს ცხოვრებაში ვილაცაზე ვიყავი პასუხისმგებელი. ეს პატარა, ქერა, სათვალიანი დაჭმუჭნულკოსტუმიანი კაცი, ვისაც თუ ჩასვლისთანავე დავეთესებოდი, როგორც გადაწყვეტილი მქონდა, და ვინც ამ ქვეყანას მხოლოდ ჩემი ლეგენდით იყო მიჯაჭვული, დაიღუპებოდა. შეიძლება ჩემი ტყუილის აღიარებისა და მისი მისიის ჩაშლის შემთხვევაში, თუ მის მდგომარეობას გავითვალისწინებდით, დეპრესიის საწინააღმდეგო ხორბლის თესლების ყლაპვის მიუხედავად თავი მოეკლა. ხელი ჩამომართვა და სახეგაბრწყინებულმა წამოიძახა:

— ეს ფანტასტიკური იქნება!

მე დავეთანხმე.

რაბათელთა ბრბოში აღმოვჩდით, რომელიც ძალიან ჰგავდა მარსელის ბრბოს, ოღონდ სხვა ფერის უნიფორმები ეცვათ. ცოტა გამირთულდა საქმე პასპორტის გამო: ეტყობა, აქ ის უფრო საეჭვო ეჩვენათ, ვიდრე საფრანგეთში. იმედი მქონდა, რომ აქედან გაგვაპანღურებდნენ. მაშინ ღირსებაც გადარჩენილი მექნებოდა და რომანიც პარიზში დაიწერებოდა. მაგრამ ჟან-პიერმა ჩემი დოსიედან ბეჭდიანი ქაღალდების მთელი დასტა ამოიღო, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ მისი ოფიციალური მისია ჩემი ამ ქვეყანაში ჩამოყვანა იყო და რომ მე ნამდვილად მე ვარ, ხოლო ის ნამდვილად ის. მაროკოს სამეფოს მეთაურების ბლანკზე დაბეჭდილი ფაქსი ადასტურებდა ყოველივე ამას და სთხოვდა ავტორიტეტებს დახმარებოდნენ ამ ფაქსის წარმომადგენელს ცხოვრების მოწყობაში. პოზიციების გარკვევის შემდეგ პოლიციელმა არაბული ფრაზა მესროლა, მე გაურკვევლად გავუღიმე, მან კი შეურაცხყოფილმა შემომხედა, ეტყობა, მისმა კილომ შემაცდინა.

ატაშემ ტელეფონის ჯიხურისკენ წამიყოლა. მაროკოელებით სავსე ეს დარბაზი ცუდად მოწყობილი კოსტიუმირებული კარნავალის შთაბეჭდილებას სტოვებდა. ყველა გამვლელი თვალებით მხვრეტდა, ხვდებოდნენ, რომ ნამდვილი მაროკოელი არ ვიყავი, მე მათ ენაზე არ ვლაპარაკობდი, მაგრამ ეს ჩემი ბრალი არ იყო, მე მარსელელი გახლდით.

— საჭიროა სათაური, — თქვა ჟან-პიერმა.

— მაპატიეთ?

— ჩვენი წიგნისათვის. რა დავარქვათ?

— ჰუმანიტარული ატაშე, — ვთქვი მორცხვობისა და კიდევ იმის გამო, რომ არ ვიცოდი, რა შეიძლებოდა მრქმეოდა, სათაურად რომ გამოვმდგარიყავი. მან უარი მითხრა თვალგაბრწყინებულმა და ჰაერში თითაწეულმა დიდის ამბით წამოიძახა: „გამყოლიანი ტვირთი". მერე შეჩერდა, რათა დაეგემოვნებინა სათაური, და თავი სამჯერ დაიქნია.

— გამყოლი მე ვარ, — ამოისუნთქა მან. — თქვენ რომანში გამყოლიანი ტვირთი ხართ. და ეს იქნება სასაცილო სიტუაციის მთელი ირონია.

თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე, მაგრამ არ ვიცოდი, როგორ უნდა მიმელო ეს ამბავი. იგი ცდილობდა კლემანტინს დაკავშირებოდა და კარგი ახალი ამბავი ეცნობებინა, მაგრამ ტელეფონი დაკავებული იყო. საათს შეხედა, შემდეგ ფრენის განრიგს და მკითხა, ირგბიზში მარაკეშიდან ჯობია ჩასვლა თუ აგადირიდანო. მე აგადირი ვუთხარი, დრო რომ მომეგო — აგადირი ბოლო რეისი იყო.

ოთხი საათი აეროპორტის რესტორანში გავატარეთ. ჟან-პიერი ორი უშედეგო დარეკვის შემდეგ გიჟივით იწერდა რაღაცებს ოფიციალური ქაღალდების უკანა გვერდებზე, რომლებიც ჩემი დოსიედან ამოჰქონდა. ჩემს ცხოვრებაზე დაყრდნობით თავის ცხოვრებას იქმნიდა. როგორც კი პირი გავაღე, სამი ფურცელი გაავსო ჩემი მონათხრობით, რაც მას თავის პირად რაღაცებს აგონებდა, როგორც იტყვიან, თავის თავზე „გადაჰქონდა" და ეს ცოტა არ იყოს მეუხერხულებოდა. საუზმეზე დამპატიჟა. მე მწვადი შევჭამე, მან ცივი ქონით გადათეთრებული კუსკუსი, ჰარისათი რომ გააფერადა, რათა „ჩემს ტყავში აღმოჩენილიყო" და „დეკორაციას მისადაგებოდა".

აღარ ვიცოდი, როგორ გამოვმძვრალიყავი ამ სიტუაციიდან. პირველი აზრი გაპარვის თაობაზე აღარ ვარგოდა, რაკილა ჩემი ლეგენდიდან წიგნის დაწერა გადაწყვიტა. ლეგენდა ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო, ძალზე პირადი და მას ასე ვერავის მივუგდებდი, ზურგს ვერ ვაქცევდი. რაღაც ჩემეული ცხოვრობდა ამ ეშმაკისაგან დაწყევლილ ლეგენდაში. თანაც ჩემი ატაშე შეიცვალა, გაიტაცა იმ სიტყვებმა, თავში, რომ მოსდიოდა, ხანდახან ჩერდებოდა, მადლობას მიხდიდა ანთებული მზერით და მერე ხელახლა შეუდგებოდა ხოლმე თავის საქმეს ჩურჩულითა და ოხვრით. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ცოლის მშობიარობას ვესწრებოდი.

ბოლოს ჩვენი რეისიც გამოაცხადეს. ჟან-პიერი კიდევ ერთხელ შეეცადა კლემანტინთან დარეკვას. როგორც იყო დაუკავშირდა. ძალზე სერიოზული, მოწყენილი და მთლად ჩამქრალი დაბრუნდა. ამ ქალთან ოცდაათწამიანმა დისკუსიამ, ჩემით გამოწვეული ოთხსაათიანი ენთუზიაზმი ჩაუქრო. ისე კი მოვისვენე.

ავედით უფრო პატარა, ჭუჭყიან თვითმფრინავში. სკამებზე ყვავილებიანი ქსოვილი იყო გადაკრული და სტიუარდესა უფრო ახალგაზრდა გახლდათ. გადმოსაწევი მაგიდებიც არ იყო. ჩემმა ატაშემ ფეხიფეხზე გადადებულმა, თავის მუხლებზე დაყრდნობილმა დაიწყო გადახსულ სიტყვებიანი წერილის წერა თავისი ცოლისათვის. რაკილა ვიგრძენი, რომ მისთვის აღარაფერი ვიყავი, აღარც გამყოლიანი ტვირთი, თვალი დავხუჭე და პირველი თვითმფრინავის ქერა ქალი წარმოვიდგი-

ნე, ძალიან რომ მაკლდა თავისი მარცხენა ძუძუთი. იქნებ ჟან-პიერისათვის მეთხოვა და ეს ჩემი სასიყვარულო ამბავი აღეწერა რომანში. ვითომ ამ ქალს ქმარი გაშორდა, ბავშვიც წაართვა და [illegible] ქალი ვითომ შემოგვიერთდა ირგეზის გზაზე, იქ ქალების ნაკლებობა იყო, რადგან კაცები მათ ველარ ყიდულობდნენ. [illegible] ქალი ორ მეგობარს შორის დიახაც პრობლემას [illegible] ორივე შევუყვარდებოდით, მაგრამ ეს კი არ დაარღვევდა ჩვენს მეგობრობას, პირიქით, განამტკიცებდა. ბოლო თავში, როცა მე ილუმინატორისაკენ მიბრუნებულს ჩამეძინა, ჟან-პიერმა დაიკავა მის მკერდთან ჩვილის ადგილი ჭადრებითა და ზღვისპირა ფიჭვებით გარშემორტყმულ წყაროსპირა გამოქვაბულში, რომელიც განათებული იყო მბრწყინავი კლდის ანარეკლით და სავსე ნახატებით, მილიონი წლის წინ ირგეზის ნაცრისფერმა ადამიანებმა რომ შეექმნეს.

სასტუმრო უზარმაზარი, თანამედროვე შენობა აღმოჩნდა, საოცრად ჰგავდა მარსელის „სოფიტელს“, თანაც სავსე მობუზღუნე, უკმაყოფილო ფრანგებით, რადგან ძალიან ცხელოდა. სიცხეს კი ელოდნენ, მაგრამ კატალოგში ყველაფერი უკეთ გამოიყურებოდა. ჰუმანიტარულმა ატაშემ ჩაგვწერა, ითხოვა ტელეფონი ჩაერთოთ, მომცა ჩემი ოთახის გასაღები და თვითონ თავისისაკენ მოჰკურცხლა.

ჩემი მზერა მის ზურგს უკან დახურული ლიფტის კარს მიეჯაჭვა. თავს უცნაურად ვგრძნობდი, მიტოვებულად და უსუსურად, როგორც ავტორის მიერ დაუმთავრებელი ფრაზის პერსონაჟი. მაროკოელმა მტვირთავმა ჩემი ცელულოიდის პარკის ატანა შემომთავაზა და ამან უფრო შემაწუხა, ვიდრე რაბათელი პოლიციელის არაბულად გამოლაპარაკებამ. უარის ნიშნად თავი გავაქნიე, ჩემს ოთახში ავედი და ჩავიკეტე.

ოთახი ექვსი მეტრი იყო შვიდზე; ნაბიჯებით გავზომე. ჩემს ცხოვრებაში პირველად მქონდა ჩემი ოთახი სასტუმროში. და იცით, დასაწყისისათვის ეს რაღაცას ნიშნავს. ვითამაშე ტელევიზორით, ონკანებით, პატარა საპნებით, რაღაც ძაღლების დასაბანი მანქანის მსგავსით, სინამდვილეში ფეხსაცმლის საპრიალებელი რომ აღმოჩნდა. ბოლოს კი გამოვშტერდი.

ცოტა ხანს ტერასაზე გავედი, გავხედე, ზღვას, ქვიშას, მთვარეს, ვარსკვლავებს, დავაკვირდი მოაჯირს, იატაკის აგურებს რაღაც კარგი სუნი ასდიოდა, არ ვიცი რისი. ჰაერი ძალიან სუფთა და მსუბუქი იყო, მანქანების გამონაბოლქვის გარეშე. მეტისმეტი სიჩუმე იდგა. გავიფიქრე, ვინ იცის, იქნებ მართლა ჩემი წინაპრების ქვეყანაში ვარ-მეთქი. თუმცა ყველაფერი ფეხებზე მეკიდა. მთავარი 418-ე ოთახი და ის ყმაწვილკაცი იყო, რომელიც ჩემს ლეგენდაზე ოცნებობდა. სასაცილოა, მაგრამ ჩემი მხრიდან მეც ბევრს ვფიქრობდი მის ლოტარინგიაზე, მის ოჯახზე, მის მეტალურგიულ ქარხანასა თუ სამჭედლოზე. კარგად არ ვიცოდი, რა იყო ეს, ქარხანა თუ სამჭედლო, მაგრამ არ მინდოდა ის ატრაქციონების პარკად ექციათ.

ტანი გადავიბანე, ჩავიცვი, ჰალსტუხი გავიკვანძე და 418-ე ოთახისაკენ წავედი. უცბად არ დავაკაკუნე, მომერიდა, რადგან გავიგონე,

როგორ ამბობდა, რომ მას არ ამოურჩევია ეს კრეტინული მისია, რომ ეს ლუპიაკის იდეა იყო, რომ ეს არ იყო მათი განქორწინების რეალობიდან გაქცევა, რომ ის წავიდა მალრიბელთან ერთად, რათა გაეგო, რომ კვლავ უყვარდა, რომ მისი ცხოვრება უიმისოდ უდაბნოს ემსგავსებოდა. ხშირად ხდება, მიძინებული ვულკანი კვლავ ამოიფრქვევა და მინავლებული ცეცხლი კვლავ აგიზგიზდება ხოლმე და რეალობა ... ბორდელი! ამის დედაც...

ამ სიტყვებს დუმილი მოჰყვა. შემდეგ ისევ განაგრძო ლაპარაკი ვულკანის ამბიდან და მივხვდი, რომ ავტომობილს ელაპარაკებოდა, რომელიც პერიოდულად ითიშებოდა. ვიღაც ქალიშვილმა ჩაიარა ურიკით, მე ფეხსაცმლის ზონრის შესაკრავად დავიხარე. ატაშე კი ისევ იმეორებდა, მე არ ამირჩევია ეს კრეტინული მისიაო. მის კართან ჩაცუცქულმა თავი დამნაშავედ ვიგრძენი: ის ჩემზე იყო მომაგრებული იმის მაგივრად, რომ თავისი ქორწინება გადაერჩინა. წამოვდექი, წელში გავიმართე, იგი ისევ განაგრძობდა, რომ ყველაფერი შეიცვლებოდა, რომ ახალი წიგნის რედაქტირება დაიწყეო. ისევ ირწმუნებოდა, ბებერი ვულკანი კვლავ ამოიფრქვეოდა და კვლავინდებურად მოხიბლავდა ქალს, გაიხსენე, კლემანტინ, ჩემს ხელნაწერს რომ გიკითხავდიო უ-ს რესტორანში. გავიგონე, რომ ისევ გაეთიშა ტელეფონი და ოცდაათი წამის შეყოვნების შემდეგ დავაკაკუნე. შემოდითო, დაიძახა. თავი შევყავი კარებში და ვუთხარი, გასეირნებას ვაპირებ და არ ინერვიულოთ-მეთქი. კარგი ამბავი იქნებოდა, თუ „მოვტყდებოდი", ბოლო-ბოლო ის იყო ჩემზე პასუხისმგებელი, მაგრამ თანდათან მე მემსგავსებოდა, ჩემს როლში ჯდებოდა.

სახე მოატრიალა და გიჟივით შემომხედა. ზოლიანი პიჟამა ეცვა. თმააჩეჩილი შემომამტერდა.

— ცოტას გავივლ-გამოვივლი, — ვუთხარი.

— დიახ, დიახ, — მიპასუხა და შემდეგ მინიბარზე დადებული საგზაო რუკისაკენ დაიხარა.

— ხვალ რომელი მიმართულებით წავალთ?

ამან დამამშვიდა, ისევ ჩემს ხეობაზე ფიქრობდა მიუხედავად მიძინებული ვულკანისა, და თითი ატლასის იმ კუთხეს დავადე, სადაც არაფერი არ ეწერა. უცნაურია, მაგრამ გამიჭირდა იმის გახსენება, ირგეზი რომ გამონაგონი იყო.

— როგორ წავალთ იქ?

ჩემი დუმილის გამო კითხვა შეცვალა, რომელი ტრანსპორტით წამოხვედი იქიდანო. ვუპასუხე, ჯორით წამოვედი და სამი კვირა დამჭირდა-მეთქი, რაც ერთდროულად რეალისტურიც იყო და ძნელად შესამოწმებელიც. სევდიანად შემომხედა, წარმოიდგინა ყველა გასაჭირი, რაც გადამხდა თავს, და მერე ნელა გაიღიმა, რადგან სხვათა უბედურება ყოველთვის მალამოდ ედება ხოლმე გასაჭირში მყოფს. გასამხნევებლად ზურგზე დამკრა ხელი და ომახიანად განაცხადა:

— გასვლა რვა საათზე! დავიქირავებთ ორხიდიან ჰერცის ჯიპს ან რეინჯეროვერს! ჰა? რომელი დავიქირავოთ?

ვუთხარი, რომ გასაშლელმაგიდიანი მანქანა გვჭირდებოდა საწერად. მხარზე ხელი დამადო და თვალებით მადლობა მითხრა. გამოვტ-

რიალდი, ის კი ისევ ტელეფონს მიუბრუნდა. სანამ ყურმილს აიღებდა, მითხრა, ძალიან შორს ნუ წახვალ და ფრთხილადაც იყავიო, ეს შეიძლება ყოველად ჩვეულებრივია იმათთვის, ვისაც მშობლები ჰყავს, მაგრამ მე ასეთი სიტყვები პირველად მესმოდა.

ᲐᲠᲥᲘᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲠᲗᲕᲐ

ჰაერის ჩასაყლაპად აუზთან გავედი. თავიდან მომეწონა, ყველაფერი კარგად იყო მოწყობილი ღამისათვის დასაკეცი სკამებითა და ლეიბების გროვით.

შემდეგ შევამჩნიე, რომ ხეების ჩრდილქვეშ შეყვარებულები ერთმანეთს ეხვეოდნენ, ჰოდა, მეც ჰოლში დავბრუნდი. ჩამოვჯექი და მაგიდაზე დახვავებული კატალოგების თვალიერება დავიწყე მაროკოს უკეთ გაცნობის მიზნით, მაგრამ თავში არაფერი შემდიოდა. ადგილობრივი წეს-ჩვეულებანი, ტიპიური სახლები და კონტრასტები არაფერს მეუბნებოდა. მე ჩემს ფესვებს ვეძებდი, ისინი კი ექსკურსიებზე მელაპარაკებოდნენ. ტურისტებისთვის შეთავაზებულ არც ერთ მარშრუტში არ იყო ირგვლივი... და ეს იდუმალი ხეობა, მე რომ ჩემთვის შევაკოწიწე, როგორც ჩემი დაბადების ადგილი, მძიმე ლოდად მაწვა გულზე, იმდენად მძიმედ, რომ აღარ ვიცოდი სად მომეთავსებინა, თოვლში თუ ქვიშაში, სიცხით გადახურებულ ქვებში თუ ოაზისის სიგრილეში. ის მირაჟივით მიქრებოდა. დავხურე კატალოგები და გარეთ გავედი.

სასტუმროს წინ მებარგულები გაცხარებით კამათობდნენ. რომ ჩავუარე, უნდობლად შემომხედეს, ხმას დაუწიეს, რადგან მათთვის სხვა სამყაროდან, ტურისტულიდან ვიყავი მოსული. ჩემს კოსტიუმში კიდევ იგრძნობოდა საფრანგეთის სული.

სასტუმროდან ქალაქამდე სწორი, ქვიშით მოკირწყლული, რიყის ქვებითა და ყვითელი ყვავილებით საცოდავად მორთული ქუჩა მიუყვებოდა. დიდხანს მივდიოდი ზურგზე ხელებდაწყობილი. ავტობუსები მასწრებდნენ, მედინასაკენ მიიჩქაროდნენ აქაური კერძების გასასინჯად. ვიცოდი, რომ მედინა ქალაქის ცენტრს ნიშნავს, სუკი — ბაზარს და რომ რელიგია ლუდსა და ლორს კრძალავს. არ მშიოდა, მხოლოდ გასასეირნებლად გამოვედი.

ქუჩები უფრო მხიარული გახდა. ყველა სახლში ღია იყო ფანჯრები და მუსიკის ხმა გამოდიოდა. ხეებზე ნათურები ეკიდა. ჩემი კოლეგები ტროტუარებზე რადიოებს, ხალიჩებს, ტანსაცმელს, სამკაულებსა და სუვენირებს ჰყიდდნენ. ავტობუსებიდან ჩამოსული კლიენტები ევაჭრებოდნენ და თან ცხიმიან ნამცხვრებს ილეწებოდნენ. მე არავისთვის არ ვარსებობდი, ვასაყიდი არაფერი მქონდა. ნაღველი შემომაწვა. მთლად იზოლირებული ვიყავი ამ ხალხში, რომელთაც ვგავდი და რომლებიც სხვა ენაზე ლაპარაკობდნენ, არა მარსელურ კილოზე. ცხოვრებაში პირველად ვიგრძენი თავი ემიგრანტად. თავის გასართობად იმ არაბის მარტოობაზე ვფიქრობდი, საფრანგეთში რომ ჩავიდა, თანაც არალეგალურად. მე გამიმართლა, ატაშე რომ მყავდა — პირადი მცველი, მეფის საშვით აღჭურვილი, ჩემი სიმშვიდე გარანტირებული რომ ყოფილიყო — თავაზიანი ტიპი, რომელიც ყველა თავის პრობლემას რომ მაცნობდა, ოთახს რომ უკვეთავდა, მანქანას ქირაობდა და არაფერს მთხოვდა ჩემი ოცნების პატარა ნაწილის გარდა, რათა თავი ძალიან მარტო არ ეგრძნო.

ამავე დროს თავს ამნეზიან ტიპად ვგრძნობდი ფელეტონიდან: დავდიოდი ჩემი წარმოშობის სალხში და არაფერი მახსენდებოდა. და მაინც ეს გარემო რაღაცას აღვიძებდა ჩემში. ხალხი მუჯლუგუნებს მაცლიდა ისე, რომ არც მამჩნევდა, მათთვის მე პეიზაჟის ნაწილი ვიყავი. ეს მშვენიერი პასაჟი იყო რომანში ჩასაწერად. ბოლო-ბოლო ქალაქიდან გამომგზავნა ბაზარში, რომ მისთვის ნაღდი შთაბეჭდილებები, ცოცხალი აღწერები მიმეტანა აქაური სუნისა და ჩემი სულიერი მდგომარეობის შესახებ.

დავიმახსოვრე ორი-სამი სუვენირის ფასი, ფუნთუშის სურნელი, სახლების ფერები, ხეების სიმაღლე და მანქანების მარკები. ამ ინფორმაციაზე კონცენტრირებული უკან დავბრუნდი სწორი ქუჩისაკენ, უკვე რომ აღვწერე.

სასტუმროს წინ სუვენირების ორი მაღაზია იყო, სადაც იგივე იყიდებოდა, რაც ქალაქში, მაგრამ უფრო შნოიანად. ჭუჭყიანმინებიანი ავტობუსი გაჩერდა გასავათებული ხალხით, გადმოსაზიდი ჩემოდნებითა და ამჟამინდელი თუ სამომავლო პრობლემებით დატვირთული. ეტყობა, ექსპრესტურის ჟანრის ხალხი იყო — „მაღრიბი ექვს დღეში", რადგან ყველას უნდოდა სუვენირის ყიდვა დაძინებამდე მოესწრო. ამბობდნენ, განთიადისას მაღაზია დაკეტილი იქნებაო. ახალგაზრდა გიდი ქალი პირდებოდა, ხვალ დილასაც ღია იქნება მაღაზიაო, მაგრამ არავინ უსმენდა. უფრო მეტიც, მათ მარჯვენა მაღაზიაში უნდოდათ შესვლა, რომელიც ვუიტონის ფირმის არცთუ ძვირად ღირებულ შეფუთულ საჩუქრებს ყიდდა. გიდი ამაოდ უმეორებდა, რადგან „მოროკო ტურის" წევრები ხართ, თქვენთვის მარცხენა მაღაზიაშიც იგივე ფასებიაო, მაგრამ ყველანი მარჯვენა მაღაზიაში მოგროვდნენ, რათა „მოროკო ტურისაგან" დაფარულად მოეგვარებინათ თავიანთი საქმეები, მათ ზურგს უკან, მათ ხარჯზე რომ უნდოდა ხელის მოთბობა.

მეორე ავტობუსიც მოვიდა „ოაზის ტრაველი", მარჯვენა მაღაზიასთან რომ იყო მოლაპარაკებული. ოაზისის ხალხი ჯუჯღუნებდა, „მოროკო ტურის" ხალხი ჩვენს სასურველ ჩანთებს მოიპარავსო. „ოაზისის" გიდმა კაცმა მოლაპარაკება გააბა „მოროკო ტურის" გიდ ქალთან, რომელიც მაღაზიიდან თავისი ტურისტების გამოყვანას ცდილობდა, თან ეფიცებოდა, მეორე მაღაზიაშიც იგივე ჩანთებია, იმავე ფასადო, მაგრამ „მოროკოელებს" არაფრის გაგონება არ სურდათ, ამბობდნენ, ჩვენ თავისუფალი ხალხი ვართ, ექვსასი კილომეტრი გამოვიარეთ, მაღაზიაში აღარავის შევუშვებთ და „ოაზისის" ხალხი რიგში უნდა ჩადგესო.

რადგან გიდი ქალი განერვიულდა, ორი ჯგუფი შეიქმნა: ერთი „უ-უ-უ-ს" ბღაოდა, მეორე კი მანიფესტანტებივით მღეროდა: „გა-ვაგ-დოთ გი-დი! გა-ვაგ-დოთ გი-დი!" მაშინ ნერვიული კრიზის ზღვარზე მისულმა გიდმა იყვირა:

— კისერიც გიტეხიათ!

უცნაური კია, მაგრამ უეცრად გავიფიქრე, ეს ქალი ზუსტად ჟანპიერის შესაფერია-მეთქი. ოცდაოდე წლის იყო, ჯინსებში ლამაზად გამოკვართოდა თეძოები და ლამაზი მრგვალი უკანალი, ზემოდან „მო-

როკო ტურის“ მაისური და იმავე ფერის ლიფი ეცვა, ძუძუებიც კარგი უჩანდა. თმა — ბუნებრივი ქერა, თუმცა ამ შუქის გამო დანამდვილებით ვერაფერს იტყოდი, მტვრისა და ოფლისაგან გაზინთული მზის სათვალით უწესრიგოდ ხემოთ ჰქონდა აწეული.

— უზნეოთა ხროვავ, მიდით, იყიდეთ თქვენ[illegible]ბები, და მერე თქვენს ქვეყანაში დაბრუნებულებმა თავი [illegible] ამბობდა იგი. — ყელში ამომივიდა თქვენი გამოშტერებული სიფათები, თქვენ ხომ ვერც აღიქვამთ სილამაზეს, რომელსაც გაჩვენებთ, გამოქლიავებულო ცხვრებო, გამოეთრიეთ ახლა მანდედან! მეყო, მე წავედი!

იგი სასტუმროში შევიდა „ოაზის ტურის“ წევრთა ოვაციების თანხლებით, რომლებიც ძალიან კმაყოფილნი იყვნენ, „მაროკო ტური“ რომ დაამცირეს, და სასწრაფოდ ულებდნენ სურათებს, როგორც აგადირის საუკეთესო მოსაგონარს, ამ უკანასკნელთა თავზარდაცემულ, გაოცებულ და გაქვავებულ სახეებს, „მაროკო ტურის“ აღრიალებულ გიდ ქალს, აშკარად რომ გადააჭარბა თავის მოვალეობას. ამ დროს ერთი ყრუ ისევ განაგრძობდა სიმღერას: „გა-ა-გდეთ გი-დი“, სხვებმა კი დრო იხელთეს და ვუიტონის ჩანთებს დარიეს ხელი.

გიდი სასტუმროში ვიპოვე, ვისკის უკვეთავდა. ბარი თეთრი იყო. მინარეთის სტილში გაკეთებული, უზარმაზარი მარაოებითა და ტირიფის სკამებით. დახლზე დაყრდნობილმა ქალმა ერთბაშად დაცალა თავისი ჭიქა. მის გვერდზე ჩამოვჯექი და ბარმენს მისთვის ვისკი, ჩემთვის კი კოკა-კოლა შევუკვეთე. ქალიშვილს არაფერი უთქვამს, არც შემოტრიალებულა. ყურებზე ხელები აეფარებინა, გრძელი, ოდნავ წვეტიანი ცხვირი, ჯიუტი შუბლი და წვრილი ტუჩები ჰქონდა, და, რა თქმა უნდა, საკოცნელად არც ძალიან მოსახერხებელი, მაგრამ კომპეტენტური. ჩემი არსებობა მაშინ შეამჩნია, როცა სავსე ჭიქა დაუდგეს წინ, მე ბარმენს ვუთხარი, ჩემია-მეთქი, მაშინ ქალიშვილმა ჭიქა ჩემკენ გამოსწია. ვუთხარი, ვერ გამიგეთ, ჭიქა თქვენთვისაა, მაგრამ მე გეპატიჟებით, ამის თქმა მინდოდა-მეთქი. მერე ჯიბეების ქექვა დავიწყე, გამახსენდა, ფული რომ არ მქონდა. მან შემომხედა და მირჩია უარი მეთქვა ფრანგულის სწავლაზე.

— ბარაქა ალაჰ უფიკ![1] — მითხრა და ჭიქა ასწია. შემდეგ მის გამოშტერებულ ტურისტებზე შევჩერდით... მერე? მერე რაღა უნდა მეთქვა და მეკეთებინა? მან ბარმენს რაღაც ჰკითხა მკლავზე ამოსვირინგებული პალმის გარშემო შემოხვეული გველის თაობაზე, გადაიხადა თავისი ორი ვისკისა და ჩემი კოკას საფასური და წავიდა.

ჰოლში წამოვეწიე, ვკითხე, თავისუფალი ხართ-მეთქი? ახლაც ცუდად გამიგეს: ჰაერში საბრძოლველად შემართა ხელი და იყვირა: „რა, ასე ძალიან ვგავარ, შენი აზრით, პუტანკას?“

— არა.

— მაშ, ნახვამდის.

მე შეურაცხყოფილმა დავუმატე, ამის თქმა სულაც არ მინდოდა-მეთქი.

— მიდი, მიდი, გეყო!

---

1. ალაჰი მოგვცემს ძალას.

პირში მივახალე, ძალიან მიყვარს გოგოები, მაგრამ ეს მათ ბოროტად არ უნდა გამოიყენონ, თანაც მაროკოელი არა ვარ-მეთქი. დარტყმა მაინც დამიპირა, მაგრამ მერე ხელი ჩამოუშვა. დავუზუსტე, მე და ჩემს მეგობარს გიდი გვჭირდება, შენი გამოყეყეჩებული ტურისტები არ გეგონოთ, ვუიტონის ჩანთებზე რომ გიუდებიან, ჩვენ [illegible] მწერლები ვართ და ზემო ატლასში მივდივართ, შეგვიძლია [illegible] და პერსონალური გიდის გასამრჯელოს გადახდა და რომ შენც ამ საქმისათვის ამოგარჩიე-მეთქი. რამდენს გამოგვართმევ? თუ ბრბოსთან დაბრუნება გირჩევნია, ლინჩის წესით რომ გაგასამართლონ?

გარეთ მართლა მატულობდა არეულ-დარეულობა. ჰოლშიც ის-ის იყო ორი ნაცემი ქალი შემოიყვანეს, ეტყობა, ერთმანეთს ეჩხუბნენ. სასტუმროს დირექტორი მოვიდა ამბის გასაგებად.

— რა ნომერია შენი ოთახი? — მკითხა გიდმა.

აღარ მახსოვდა და მიმღებში მყოფ მსახურს ვკითხე, მან სარეგისტრაციო წიგნში ჩაიხედა და გასაღები წინ დამიდო. ქალიშვილი სასწრაფოდ დაეპატრონა მას, სანამ ლიფტს ველოდებოდით. ცოტა არ იყოს, მეხდაცემულივით ვიყავი, მაგრამ არ ვიმჩნევდი და ყოჩაღად გავყევი უკან. ლიფტის კარი დაიხურა.

გარეთ კი ვიღაცა გაბრაზებული მოითხოვდა გაეგოთ, სად წავიდა „მაროკო ტურის" გიდი.

ორივე გაშეშებული ვიდექით ლიფტში და განზე ვიყურებოდით. მეორე სართულზე მკითხა, ხომ არ გეზარებათ ჩემი შეფარებაო. ვუპასუხე, არა-მეთქი. შემომხედა და მითხრა, ცოტა მეტი ენთუზიაზმის გამოჩენა შეგეძლოო.

ოთახში შევედით და ტელეფონმაც დარეკა. სასტუმროს დირექტორი იყო და გიდთან სურდა საუბარი. ვუთხარი, ეს შეუძლებელია-მეთქი, რადგან იგი ეს ესაა დაიქირავა საფრანგეთის მთავრობამ ოფიციალური მისიისათვის, დეტალებს კი ხვალ გააცნობდა სამინისტროს ატაშე ბატონი შნეიდერი, ვისაც მეფე ჰუსეინის ნებართვა და საშვი აქვს და ახლა არაა ხალხის შეწუხების დრო. საკუთარი თავის გამიკვირდა, ყურმილი რომ დავუგდე. შთამბეჭდავია ხოლმე უეცარი ავტორიტეტი, როცა პატარა ძალაუფლება გაქვს.

— ჰუსეინი იორდანიაშია, ბატონო მწერალო, აქ ჰასანია, მაინც დიდი მადლობა.

ხმა მშვიდი, წყნარი და ოდნავ დამცინავი ჰქონდა. როცა მაისურის გახდა დაიწყო, ვუთხარი, რომ ეს არ იყო აუცილებელი. მე ჩემი ღირსება მქონდა, შემეძლო საწოლში ჩაუწვენლადაც შემეკედლა იგი. უკვე ხაზგასმით მქონდა ნათქვამი, რომ კახპად ვთვლიდი. მან მაისური ჩაიცვა, მე კი ცოტა არ იყოს ბრიყვად ვიგრძენი თავი. ვუთხარი, კარგი-მეთქი, მაგრამ ეს არ იყო ის, რისი თქმაც მინდოდა. მან ქედმაღლურად მითხრა, რომ მას დასაკარგი არაფერი აქვს, რომ არასოდეს არაფერს არ გრძნობს და რომ შემიძლია მისი სხეული ჩემს გემოზე ვიხმარო. ამან გამამხიარულა და ბედის ცდა გადავწყვიტე. ვიცოდი, ამ ტიპის ქალები, თვითონ სიამოვნებას რომ ვერ ღებულობენ, მაგრად აღგაგზნებენ ხოლმე. სასაცილოა, თითქოს ამ ურთიერთობებში რამე იყოს მოსაგები, ღირსეულად ვუპასუხე, რომ დანიშნული ვიყავი, თუმცა...

მოკლედ, ეს ჩემი პრობლემაა, თანაც სულ არაა ჩემი ბრალი, თუ ის ვერაფერს განიცდის, ისე კი სჯობია, ცოტა სხვა ტონით მელაპარაკოს. მითხრა, ანერვიულებული ვარო. ვუპასუხე, მეც ანერვიულებული ვარ-მეთქი. მან ხელახლა გაიძრო მაისური და მითხრა, ეს ორივეს დაგვაწყნარებსო. ამჯერად მეც დავეთანხმე.

როცა მუქი წითელი საცვალი ჩამოიწია და [illegible] დაგორგოლა, ვიფიქრე, თუ მართლა არ უყვარდა სიყვარულობანას პროცესი, დასტურ აფსუსი იყო. მთლად შიშველი იდგა ჩემ წინ ხალიჩაზე, მინი ბარის გაღებას შეეცადე ცოტა შესაფერი გარემოს შესაქმნელად, გასაღების აცმა ძალაყინად გამოვიყენე და ბოლოს იმით დავამთავრე, რომ კარი ჩამოვგლიჯე და შინაური კოქტეილის მზადებას შევუდექი. საწოლზე განზე გადაწოლილი, პირში სიგარეტგაჩრილი შემომცქეროდა, როგორ ვურევდი მინიატურული ალკოჰოლის ბოთლებიდან სასმელებს ერთმანეთში. შენიშვნა მომცა, ჩვეულებრივ, კარს გასაღებით აღებენ, ჭუჭრუტანაში დებენ გასაღებს და ატრიალებენო. შემდეგ მკითხა, ცვედანი ხომ არა ხარო. იმედი გამოსჭვიოდა მის ხმაში. თავმობეზრებულმა ირგვიზისა და ჟანპიერის ამბებით გადავწყვიტე, ამ გოგოსთან სასიყვარულო საქმის დაჭერა ყველაზე კარგი და მარტივი საშუალება იქნებოდა იმისათვის, რომ მერე ყველაფერი წვრილად ამეხსნა.

როცა გავიხადე და საწოლზე გადავატრიალე, უარი მითხრა, კარგად არ ვიცნობთ ერთმანეთსო. ვუპასუხე, ასე მხოლოდ მისი ქორწინების პატივისცემით დავაპირე მოქმედება. თუმცა ისიც მართალი იყო, რომ ის ბოშა არ იყო და ისევ ზურგზე გადმოვატრიალე, მუცელზე ავახოხდი, თვალებში შევყურებდით ერთმანეთს, ესეც კარგი იყო. თავაზიანად შემომცქეროდა და იცდიდა, როდის გავათავებდი. უცნაური გრძნობა იყო, ბევრი ვეცადე, რა ხერხი აღარ ვიხმარე, სინაზიდან ძალადობაზე გადავედი. გეგონებოდა, მის მანქანას ვრეცხავდი, ის კი პარპრიზიდან შემომყურებდა.

— თუ გნებავთ, გავჩერდები.

— არა, ეს მე არ მაწუხებს — მიპასუხა მან.

— მე კი მაწუხებს.

— თუ ამას საჩხუბრად მეუბნებით, ტყუილად იწუხებთ თავს.

— მე სულაც არ დამიწყია ჩხუბი!

— თქვენ რა, წიგნუკას წერთ?

დიდი სურვილი მქონდა, მამრის უპირატესობა ერთი კარგი მუშტის ჩაცხებით აღმენიშნა. მან დამასწრო და გამაფრთხილა, რომ ეს არ იყო პასუხი. მაშინ ვუთხარი, რომ კაცის ამბავს აღვწერ-მეთქი; ეს მოეწონა და მეც შემეძლო მშვიდად გამეგრძელებინა ჩემი სასიამოვნო საქმე — ლილაზე მეფიქრა, ვინც ასე გულიანად ერთვებოდა ხოლმე სასიყვარულო აქტში. ამის გახსენებაზე ცრემლები წამომცვივდა, ამ უგრძნობი ქერა, ქალის მკერდზე რომ ეცემოდა.

— ტირი, თუ ოფლის წვეთებია?

პასუხი არ გავეცი, ჩავყლაპე ეს იდიოტური ცრემლები, წარსულიდან რომ მომდევდა, იმ წარსულიდან, რომლის დავიწყებასაც მთელი ძალით ვლამობდი, მაგრამ რომელმაც მაინც ბედნიერი გამხადა. ერთი

მხრივ ბედნიერი ვიყავი, რომ ამ გოგოს უგრძნობ სხეულში ლილა ჩავძირე. ეს სასჯელი იყო ჩემი ღალატისთვის. თავს ვეკითხებოდი, მთელი ცხოვრება ასე სენტიმენტალური დავრჩებოდი თუ არა. უეცრად წამოიყვირა, განზრახ არაფერი გამიკეთებია, მაგრამ საწოლზე იმდენი ვახტუნავე, კედელს გლიჯა თავი. გავიგონეთ კედლის გადალმა[illegible] თქვა ვიღაცამ, მობრძანდითო ნამძინარევი ხმით, და ერთბაშად[illegible] სიცილი აგვიტყდა ერთმანეთში შერწყმულებს. არ ვიცი, რა მოხდა, მაგრამ კარგად ვიგრძენი, რომ ანგელოზებამდე ავმაღლდით. ვგორავდით საწოლზე ერთმანეთს ჩაჭიდებულები და სუნთქვა გვეკროდა. ერთმანეთს უბრალოდ, მეგობრებივით შევყურებდით. ეს სიყვარულზე უკეთესი იყო. ეს სრულიად ახალი რამ იყო. ორი უცნობი ერთმანეთს გადაყრილი ადამიანი ვიყავით და ძალიან მეამაყებოდა, ირგეზში რომ მიმყავდა.

— საზიზღარო, — მითხრა გაღიმებულმა — რა ეშმაკი ყოფილხარ.

წავჩურჩულე, აზიზი მქვია-მეთქი, დიდხანს რომ არ ვყოფილიყავი მორცხვი ტრიუმფატორის როლში. მიპასუხა, რომ თითქმის კარგი იყო. მისგან წარმოთქმული ეს ფრაზა, ეტყობა, ქათინაურად უნდა მიმეღო. მადლობა გადავუხადე და შევპირდი, რომ მეორედ უკეთესი იქნებამეთქი. მითხრა, მეორედ ალარაფერიც არ იქნებაო. ეს თურმე მისი პრინციპი ყოფილა. კაცებთან ნორმალური ურთიერთობის ერთადერთი ფორმა მისთვის უცაბედად საწოლში ჩაგორება და მათი დაკმაყოფილების შემდეგ სხვა რამეებზე გადასვლა გასლდათ, მაგალითად, დისკუსიაზე. ეტყობა, სწავლობდა. შევეკითხე. აღმოჩნდა, თურმე უამრავი სხვადასხვა საგნის დიპლომი ჰქონია, სახელებიც კი უცნობი იყო ჩემთვის. თემის შეცვლა ვარჩიე:

— რატომ გაქვს ხელზე ტატუირებული ხე?

დამიზუსტა, რომ ეს ჩემი საქმე არ იყო, რომ ეს ოჯახიდან მოსდგამდა. მე აღარ ჩავაცივდი. სააბაზანოში შევყევი და ვკითხე, რა ერქვა.

— ვალერია.

არა უშავდა, ეს უფრო ნორმალური იყო, ვიდრე კლემანტინი.

— ვალერია, გვარი?

— დ'არმერეი.

— ვალერია, უნდა გელაპარაკო.

ამას დუმილი მოჰყვა. იცდიდა პირსაბანზე დაყრდნობილი. ცოტა მაცალა, მერე კი აბაზანიდან გამომაგდო. გამოვედი და ჩემი შინაური კოქტეილი დავლიე, რომელიც ბევრად უარესი იყო, ვიდრე მარჩელის კაფეს „ამერიკანოსი". კარს იქიდან გამომძახა: შენი წინადადება, ცოტა ხნის წინანდელი... სერიოზულად იყო თუ ჩემს ასაგდებად თქვი?

დავუყვირე, შენ ძალზე ვნებიანი ქალი ხარ და, საერთოდ, სიყვარულია ამ ცხოვრებაში ყველაფერი-მეთქი. კარი გამიღო და მითხრა, თავაზიანი ხარო, და აბაზანაში ჩავძვერით.

— იცნობ კონრად ლორენსის ნაშრომს ბატებზე?

კი მივხვდი, რომ ის ქონიან ღვიძლს არ ეხებოდა, მაგრამ ჩემთვის მაინც ძალზე ბუნდოვანი იყო და სიჩუმე ვარჩიე.

— ჩემი თემა სოციოლოგიაში მასის აგრესიულობაზე იყო. გიდობით სწავლის ფულს ვშოულობ დოქტორანტურისათვის. იცი, მარო-

კოში დარჩენას თუ აპირებ, არ გექნება დიდი არჩევანი სამუშაოს ძებნისას. მუსს დამისხამ?

— კარგი. რატომ არ ბრუნდები საფრანგეთში?

— მე აქ დავიბადე. არ მინდა ამაზე ლაპარაკი, თუმცა არჩევანიც არა მაქვს. ნუ შეწუხდები, ძალიან კარგად ვგრძნობ თავს ჩემს ბატებთან ერთად. მე ვერასოდეს ვუღალატებ ტრადიციას, ეს ალბათ და უცნაური იქნება ჩემთვის.

მე დავეთანხმე. ჩემთვის ახალი იყო სიყვარულობანა. მერე მუსიან წყალში ჭყუმპალაობა ძმაკაცებივით, ძალიანაც მომეწონა. თავს ვიკავებდი მოფერებისაგან, რათა ეს წუთები არ გამეფუჭებინა. თავი ჩემს მკერდზე ედო, მისი თმა ცხვირში მიღიტინებდა. უაზროდ მიგრეხდა წვივზე ბანჯგვლებს და ჩემს მონათხრობს უსმენდა: Ami 6, ვალონ-ფლიორი, მარჩელის კაფეში დაჭერა, ქვეყნიდან სამაგალითო გამოძევება „მაჩისთვის". პუმანიტარული ატაშეს ცოლი, ვისაც გაშორება სურს. თვითმფრინავში მოყოლილი ლეგენდა. ხმას არ იღებდა, სამჯერ შევამოწმე, ხომ არ ჩაეძინა-მეთქი. არა, მისმენდა და ბანჯგვლებზე მქაჩავდა, რათა თხრობა გამეგრძელებინა, როცა ცოტას შევისვენებდი ხოლმე.

ამბის მოყოლის შემდეგ ყელში ბურთგაჩრილმა ვთხოვე, ჟანპიერის გათამაშებაში ამყოლოდა. უცბად არ მიპასუხა. ფეხის ცერის ცისფერ კაფელზე ქაფით რაღაცებს ხატავდა. მთხოვა, კიდევ ამიწერე ირგეზი, თვითმფრინავის სავარძელში რომ მოიგონეო.

თვალები დავხუჭე და სიტყვებს დავუწყე ძებნა. ხეობა, მაგიურ წყაროსთან მდებარე მობრჭყვიალე კლდით განათებული გამოქვაბული, მთაში ახლად გაჭრილი გზა, რომელიც იმ ნაცრისფერი ადამიანების საიდუმლოს ემუქრება, მალულად რომ ცხოვრობენ აქ პრეისტორიული ხანიდან მოყოლებული.

— ასეთ მოგზაურობას მ'გუნის მასივში მოგიხერხებ. გზის მესამედს გავივლით უდაბნოში, მესამედს ოაზისში და მესამედსაც თოვლიან მთებში. შენთვისაც კარგი იქნება, არა?

დავეთანხმე.

— და როცა იაშის ნახევარ ფერდამდე ავალთ, იტყვი, რომ უკვე ძალიან გვიანაა, რომ ზვავმა ჩაიტანა ირგეზი და უკან დავბრუნდებით. როგორ გგონია, ჭამს ასეთ სიბრიყვეს?

ვუპასუხე, რომ მას ძალიან სურს, უფრო სწორად, ძალიან სჭირდება ეს ამბავი ლოტარინგიის გამო. მზის ამოსვლამდე კიდევ დავაზუსტეთ სცენარი. ცხელი წყალიც გადავივლეთ და დასაძინებლად დავწექით. ვგრძნობდი, რომ ზუსტად დროზე გავჩნდი მის ცხოვრებაში: ეს საშუალებას აძლევდა ვინმეს გაჰყოლოდა ზღაპრული და არარსებული მხარისაკენ, ეს მას ბატებს შეუცვლიდა, ტურისტულ ტურებს, სავალდებულო სილამაზეს და ხელფასიც ექნებოდა. შიშვლები ვიწექით, ერთმანეთს მიკრულნი. აღარ მქონდა მისი დაუფლების სურვილი, რაღაც სხვა უფრო ნაზი, უფრო სარწმუნო გრძნობა მეუფლებოდა. ვიფიქრე, ალბათ შეყვარებული ვარ-მეთქი, ცხოვრებაში მეორედ.

— იცი, ვალერია...

— დიახ, რა?

ცხვირი მისი მხრის ჩაღრმავებულ ადგილას ჩავრგე და ჩემი ფიქრი მის სურნელზე შეჩერდა.

— არაფერი.

მან ნაზად მიიკრა ჩემი ხელი გულზე და მითხრა:

— მორჩი რა ზღაპრებს!

რვას ათი წუთი აკლდა, ატაშე რომ ჰოლში ვიპოვე. ისევ საზე ჰქონდა, ეტყობა, მთელი ღამე არ ეძინა. საკვლევ ექსპედიციაში მყოფივით იყო გამოწყობილი: ჩალისფერი მაისური, ლეგიონერის თეთრი კაშნე, სამთო ფეხსაცმელი და ბეისბოლის ჩაფხუტი. მობილური ტელეფონი ეშოვნა და წინ და უკან დადიოდა.

როგორც კი დამინახა, ჩემკენ გამოექანა, თან ჯელაბაში[1] გამოწყობილ ვიღაც მოკრივის ტიპს მოათრევდა ჩემთან გასაცნობად. ეს ომარი იყო, ატლასის სპეციალისტი, ვინც დათანხმებოდა თავისი ჯიპით მოგვმსახურებოდა. ჟან-პიერი გვერდზე გავიყვანე და ვუთხარი, ეს ტიპი საჭირო არაა-მეთქი. ჩემი ნათქვამი უცბად ვერ გაიგო, ამიტომ ჩურჩულით დავუმატე, რომ ის რაზაული იყო ირგეზის ნაცრისფერი ადამიანების.

ოდინდელი მტერი. ამ საბუთმა გაჭრა: ის მოკრივისთვის ფულის მისაცემად მიბრუნდა და ეს უკანასკნელიც ძალიან კმაყოფილი დარჩა საქმის ასე მოკვარახჭინებით.

მაშინ ჟან-პიერს ვაცნობე, რომ ვიპოვე იდეალური გიდი და მძღოლი — ქალიშვილი კარგი ოჯახიდან, ბორდოში დაბადებული, „დე“ წინდებულიანი გვარით — ჰო, თითქმის „დე“ წინდებულიანით, „დ“ აპოსტროფიანით — ვისაც კარგად შევეწყვე და ვინც კარგად იცოდა ზემო ატლასი, კერძოდ, ნაცრისფერი ადამიანების არსებობა, მაგრამ საბედნიეროდ ზუსტად არ იცოდა, სად იყო ხეობის შესასვლელი. ხასიათის გაფუჭება რომ შევატყვე, მხიარულად ვუთხარი, რომ ჩვენს გიდს თვალებს ავუხვევდით. მკითხა, სად არისო. ვუპასუხე, პლაჟზე გვიცდისთქო. შემომჩივლა, რომ ავტომობილს სავსე იყო. ჩემი დაბნეული სახის დანახვაზე ტელეფონის ანტენა ჩასწია და დაამატა, რომ ველარ უკავშირდება, რაც იმის საბუთია, რომ ავტომობილის ფირი მთლიანად გავსებულია და ახლა კლემანტინის ხმაც აღარ ესმის, მუსიკალური სიგნალის შემდეგ რომ ეტყოდა, ამბავი დატოვეთო. ეს მართლა საშინელება იყო მისთვის, ეს ნიშნავდა, რომ მათ შორის ყველაფერი დამთავრდა. ეს დუმილი იყო.

— მე, მე ხომ აქ ვარ, — ჩავიჩურჩულე უბრალოდ.

გაოცებულმა შემათვალიერა, თითქოს უნდოდა, გაერკვია, რა საერთო შეიძლება მქონოდა მათთან, ანტენა ისევ ამოსწია და მითხრა:

— მე ის მიყვარს.

ვიფიქრე, ღამე ვერაფერი მოაგვარა და ახლა აპირებს მოქმედებას-მეთქი. ტერასისაკენ წავიყვანე. მომჩვარული ხელით ანტენიან ტელეფონს ისე მოათრევდა, როგორც ძაღლის საყელურს მოათრევს ხოლმე დაკარგული ძაღლის პატრონი. შეხვედრა პლაჟის ქოლგის ქვეშ მო-

---

1. ტილოს გრძელი ხალათისებური ჩასაცმელი.

ვაწყვე საუზმითურთ, რათა ვალერია საბანაო კოსტიუმში ენახა. ეს მისთვის ყველაზე მომგებიანად მიმაჩნდა, ნაკლები იმედი მქონდა მისი დახვეწილი მეტყველებისა, როგორც თავად შემპირდა, რადგან ძველი, ბორდოული წარმომავლობის ოჯახიდან იყო.

— მადმუაზელ ვალერია დ'არმერეი, — წარვუდგინე მე, — ბატონი ჟან-პიერ შნეიდერი, ჩემი ჰუმანიტარული ტატა.

— როგორ ბრძანდებით? — ჰკითხა ვალერიამ და ხელი გაუწოდა. მეტისმეტად ტკბილად გამოუვიდა, რახათ-ლუხუმივით იყო გაწოლილი ლეიბზე, თუმცა როლიც ისეთი ჰქონდა.

ჟან-პიერ შნეიდერმა გაოცებულმა გადმომხედა, მერე ტელეფონი მარცხენა ხელში გადაიტანა, ხელი რომ ჩამოერთმია.

— გაქვთ შესაფერი მანქანა? — ჰკითხა დაბნეულმა.

— შემოგთავაზებთ პარიზი-დაკარისთვის განკუთვნილ დეზერტლაინერს: რვა მოძრავი ბორბალი, 350 ცხენის ძალა, 3500 კილომეტრი, კონდიციონერი, შხაპი, ტუალეტი და სამზარეულო. ვერც დიუნები, ვერც ვედები,[1] ვერც თოვლი და ვერც ქვაღორღიანი უდაბნო მას ვერ შეაჩერებს და თქვენ ისე იქნებით, როგორც საკუთარ სახლში ტელევიზორის წინ.

— ეს სულაც არაა ჩვენი მიზანი, — თქვა შუბლშეჭმუხნულმა ჟან-პიერმა.

— ოცი ათასი ფრანკი ექვს დღეში, ეს დაუვიწყარი მოგზაურობა იქნება, თანაც ფულს თქვენი მთავრობა იხდის. ყავა გნებავთ?

ჟან-პიერი ფეხმოკეცილი ჩაჯდა, ძალზე მოუხერხებლად. მადლობა გადაუხადა ყავისათვის, უთხრა, რომ უკვე ნასაუზმევია და რომ მისიის თანხებიც არაა უსაშველოდ დიდი. და მერე კითხვები დააყარა, გეოგრაფიაში უტარებდა გამოცდას, უცბად ძალიან მცოდნე იერი მიიღო, ეტყობა, ღამე შეისწავლა ქვეყანა. ჩაფხუტი მოძვრა თურმე და მის მოსატანად წავედი.

წყნარი ამინდი იდგა. ქვიშას ოხშივარი ასდიოდა. კატები და ჩიტები ნამცეცებს ეცილებოდნენ ერთმანეთს. ცოტა ხნით ფრანით დავინტერესდი. ჰაერში გაჩერებულიყო. ფრანის თოკები უძრავად მდგარ ბიჭუნას ეჭირა, ტიროდა და თავის სანდლებს დასცქეროდა. უზარმაზარი პლაჟი იყო, წამოწოლილი ხალხი ნაირ-ნაირ ჟურნალებს კითხულობდა — მზეზე ირუჯებოდნენ, ვერაფერს გრძნობდნენ, ხმას არ იღებდნენ. არც ერთი მეთევზე, არც ერთი გემი არ ჩანდა, არავინ იღიმებოდა. ვალერია ხალისით პასუხობდა კითხვებზე, თითის აწევით, როგორც სკოლაში. ვუყურებდი და უეცრად დამავიწყდა, რომ ჩემს ყურეზე ვდარდობდი. მე ჟან-პირის ჩაფხუტს ვწმენდდი, დრო რომ გამეყვანა, სანამ ისინი ერთმანეთს ეცნობოდნენ.

როცა მივედი, უკვე გადაწყვეტილებას იღებდნენ: ლენდ-როვერი ცხრაას დირჰამად ექვს დღეში, პლიუს საწვავი. ჟან-პიერი ცოტა დაწყნარდა. თავს ნება მივეცი და ვთქვი, რომ უქუდოს ამ მზეზე, კანი გოჭივით დაებრაწებოდა. ვალერიამ თავისი კრემი დააძრო და დაუკითხავად წაუსვა ცხვირზე, ლოყებსა და შუბლზე. დავინახე, რომ ჟან-

1. მშრალი მდინარეები აფრიკაში.

პიერი ლიფში ჩაჰყურებდა და მესიამოვნა. უცბად მისმა ტელეფონმა დარეკა, წამოხტა და რაც შეიძლება ჩვენგან შორს წავიდა. მაგრამ ეს კლუმანტინი არ იყო, რადგან გავიგონე, „ბატონო დირექტოროო“ რომ თქვა და მყის პატარა ბიჭად იქცა, კუთხეში მიმწყვდეულის სახე ჰქონდა. მას პასუხისმგებლობა დააკისრეს და მანაც დაიკისრა, ჰოდა, დაცადონ, ნუ საყვედურობენ და მაროკოელ მოქალაქესაც ნუ ადანაშაულებენ, მისცენ დრო და საშუალება, რომ თავისი მისია პირნათლად შეასრულოს, — ამბობდა ის და თან ფეხს ურტყამდა ტალღებს. ძალიან მომწონდა ასეთი. მეამაყებოდა, რომ წინააღმდეგობას უწევდა და მიცავდა. ვალერიასაკენ მივბრუნდი ჩემი გრძნობების გასაზიარებლად. ის ნაკლებად მოხიბლული ჩანდა.

— დიდი ფინჯანი რამეა ეს ტიპი.

— რა? რა არის? — ვკითხე გაოცებულმა.

— ფინჯანი.

გავყურებდი ზღვის ტალღებში მომავალ შარვალაკაპიწებულ ჟან-პიერს. ცალ ხელში ფეხსაცმელები ეჭირა, მეორეში ტელეფონი. დაუკიდა თავის პატრონს და კიდევ ერთხელ შეეცადა კლემანტინის ავტომპასუხესთან დაკავშირებას. ნიძლავს ვდებ, ისევ პატარა ბიჭად იქცა.

— უნდა ეცადო შეუყვარდე, — ვთქვი კრიჭაშეკრულმა.

— კარგი, ვეცდები, — თქვა ბორდოული დასვეწილობით ვალერიამ და ლეიბზე გაიჭიმა. — წამისვამ კრემს? — ისე მკითხა, თითქოს პურზე კარაქის წასმას მთხოვდა.

პირქვე დაწვა და ლიფი შეიხსნა. ზურგზე კრემს ვუსვამდი და თვალს არ ვაშორებდი ჟან-პიერს, მოწყენილი რომ უსმენდა ავტომპასუხის წყვეტილ ზარს და ფეხებს ქვიშაში მოათრევდა.

— კარგად ვიცი, სასაცილო ტიპად რომ მიგაჩნია.

— არა.

— აბ, უკვე არა?

— „ყველა დამახასიათებელი ნიშანი, რასაც შეიძლება ობიექტურად დააკვირდეთ პარტნიორდაკარგულ ბატებში, — მთქნარებით ამბობდა იგი, — ძალიან მკაფიოდ შეიძლება შეამჩნიოთ მოწყენილ ადამიანებშიც“.

უეცრად ჟან-პიერმა დაიღმუვლა, ტელეფონს ხელი უშვა, წყალში რომ ჩავარდა, და ჩვენკენ ასკინკილით გამოიქცა, თან ხელებს იმტვრევდა.

— კონრად ლორენსი, „აგრესიულობა“, თავი II, — დაამთავრა ვალერიამ, გვერდზე გადაბრუნდა და იდაყვს დაეყრდნო.

ტკივილისაგან გაწითლებულმა სახეშეშლილმა ჟან-პიერმა საუზმე გადააყირავა ჰაერში აწეული ფეხით, ეცა ვალერიას, ლიფი მოაძრო და წვივი მაგრად შეიკრა. მე, ვინც მათ მშვიდ სასიყვარულო სპექტაკლს ვამზადებდი, ეშმაკურად შევყურებდი ამ სცენას.

— ჩემი ტრუსიკიც ხომ არ გინდა, ჰეი, შტერო! — იყვირა ვალერიამ და პირსახოცი ესროლა, რითაც მისი ძუძუების დაფარვას ვლამობდი.

— ზღვის დრაკონმა მიკბინა, — ჟან-პიერი ძლივს სუნთქავდა. — ერთხელ ეს უკვე შემემთხვა რამატუელში... ალერგიული ვარ... მე... ჩემი ექიმის ტელეფონი მაქვს... ოთახში... — მერე ლეიბზე დაწვა მთლად აკანკალებული. მართლა მაგარი საჩუქარი იყო ეს ტიპი მოგზაურობისას. ვალერია წამოხტა, მაისური გადაიცვა და მითხრა:

— ხომ ხედავ, მე მაინც ბატები მირჩევნია, [illegible] ბილიკისაკენ გაიქცა, პლაჟს რომ მიუყვებოდა ევკალიპტების მიღმა. უკვე ვფიქრობდი, ჩვენი მოგზაურობა დასრულდა-მეთქი, როცა სიმპათიურ ბიჭთან ერთად დაბრუნდა, რომელიც ატაშეს ტაქსამდე მიყვანაში მოგვეხმარა.

— ცუდად ვარ, — კვნესოდა ჟან-პიერი.

— ნუ გეშინია, — ვეუბნებოდი მე.

დამსვენებლებმა ფრენბურთის თამაში შეწყვიტეს ჩვენი ჩავლისას. მრცხვენოდა, რომ პლაჟზე მივათრევდი ამ უდაბნოს გმირივით გამოპრანჭულ სასაცილო ტიკინას, წვივი ლიფით რომ ჰქონდა გადახვეული, მრცხვენოდა და თან მეცოდებოდა.

— პოლიკლინიკაში წაგიყვან, ბატონო, კარგათ მოგივლიან, გამოგაჯანმრთელებენ, — ამბობდა მძღოლი.

ამაზეც ძალიან გავმწარდი, ასეთი დებილური კილოთი რომ ლაპარაკობდა ჩემს მშობლიურ ენაზე. სიამოვნებით წავეჩხუბებოდი არაბებით გარშემორტყმული, რომ ბოლოს და ბოლოს ვინმესთან ნორმალური ურთიერთობა დამემყარებინა, ისეთი, როგორსაც მიჩვეული ვიყავი. მეყო, მეყო, მეყო. მე სხვა იდიოტს ვარწევდი სკამზე, გაგიჟებული რომ ბოდავდა და ბურტყუნებდა.

— ჩემი ტელეფონი?

— ფუჰ, ამის დედაც... — ვთქვი მე.

ისევ კბილები ააწკაწკაკა და გული წაუვიდა ჩემს მხარზე თავმიდებულს. ჯაბახანა „404“ ქვიშიან გზაზე მიგვაჯანჯღარებდა. ვალერია ჩაღდად მართალი იყო, მართლა ფინჯანი იყო ეს ტიპი. ვალერიამ ხელი გადმოჰყო ატაშეს მუხლს ზემოდან და ხელზე მომიჭირა. ამან ცოტა დამამშვიდა, ორივენი გაღიზიანებულები ვიყავით და არ ვიცოდით, როგორ გამოგვეხატა. რაღაც ნამდვილად ხდებოდა ჩვენ შორის, არ ვიცი, რა, მაგრამ რაც არასოდეს განმეცადა. ის ალბათ ნანობდა სწავლაზე ამაოდ დაკარგული წლების გამო. ამდენი ისწავლა და ბოლოს გიდი გახდა. მე კი ჩემს დაკარგულ წლებს მივტიროდი, როცა დანჯღრეულ მანქანებს ვძარცვავდი და ძალიან, ძალიან ვნანობდი სკოლის მიტოვებას. ერთმანეთს ვავსებდით, ცოტა დაბნეულები ამ უბედურ ატაშეს მიჯაჭვულები, გვინდოდა გაგვეგზავნა თავის ქვეყანაში და წერილიც მიგვეწერა მისი ცოლისთვის. მაგრამ დიდხანს ვერ შევძელი ეგოისტობა, ალბათ იმიტომ, რომ საკუთარი არაფერი გამაჩნდა.

ხელი შევუშვი ვალერიას ხელს და მუხლზე დავადე ჟან-პიერს, რაღაც საშინელებებს რომ ბოდავდა. ვალერიამაც იმავე დროს იგივე გააკეთა და ამ საქციელმა კიდევ უფრო შემაყვარა. აი, რა მინდოდა საბოლოო ჯამში: მას ჩემთან ერთად ამ ბავშვისთვის მოევლო, რომ ის

დედა, მე კი მამა ვყოფილიყავით. შეიძლება ეს ჩემი ბავშვობიდან მოდიოდა, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ეს მისგანაც მოდიოდა. კარგად ვგრძნობდი, რომ მას და მე რაღაც უფრო ამაღლებული გვჭირდებოდა სოფვარულისთვის, ვიდრე მარტო ერთმანეთის ტაკუნების ფერება.

აღელვებული შევყურებდი ვალერიას და უცბად შევამჩნიე, რომ ატაშე თანდათან მართლა სივდებოდა. არ ყოფილა თურმე [illegible] მისი ალერგია. უკვე ერთმანეთს ველარც ვხედავდით, ისე გასივდა. მზერა მოვაცილე და გიჟური სიცილი ამიტყდა. ვალერიამაც, ეტყობა, წარმოიდგინა, რომ იგი სულ უფრო და უფრო გაიბერებოდა და კარს მიგვასრესდა. მესმოდა მისი შეკავებული ფსუკუნი, თანამზრახველობის მშვიდი მუსიკა.

ალბათ არ მქონდა უფლება ასეთ წამს ბედნიერი ვყოფილიყავი, მაგრამ არავინ იცის, როდის რა უბედურება გელოდება, ამიტომ ბედნიერებას ყოველთვის უნდა ჩასჭიდო ხელი და არ გაუშვა, ეს ჩემი ფილოსოფიაა, და ერთხელაც, როცა მისი გაზიარება შემეძლება...

პოლიკლინიკა ახალი შენობა იყო მთაზე, ბევრად უფრო კეთილმოწყობილი, ვიდრე სენ-ჟოზეფის დისპანსერი ჩრდილო მარსელში. გაქათქათებულ სალათში გამოწყობილმა ექიმმა ურიკაზე დადებული მსხვერპლი მიიღო. შემდეგ მოგვიბრუნდა ჩვენი ვინაობის დასადგენად და ანკეტის შესავსებად.

— მგზავრობისას დავმეგობრდით, — ვუთხარი მე.

— თქვენ? — მიმართა ვალერიას.

— მე ამ ლიფის პატრონი ვარ.

ექიმმა თავი ასწია და თქვა: წვივზე ლიფი ისე მაგრადაა შემოჭერილი, შეიძლება ავადმყოფს განგრენა დაეწყოსო. ვალერიამ დაუზუსტა, რომ იგი მართლაც ალერგიული იყო, მაგრამ არ იცოდა, რის მიმართ; ექიმმა უპასუხა, ყოველი შემთხვევისთვის მას უკვე აუცრეს და ყველაფერი მალე გაირკვევაო. ისე წავიდა, ჩვენი ანკეტები ადარც გახსენებია.

ვალერიას წავჩურჩულე, სასაცილო ტიპია-მეთქი. მიპასუხა, კიდევ კარგი, რამადანი არ არისო გასულ წელს თურმე მამამისს გაუკეთებია შარდის ბუშტის ოპერაცია მარხვის დროს და ექიმს გაკერვისას გული წასვლია. ცუდი წინათგრძნობა რომ გადამევიწყებინა, ვკითხე, მამაშენი რას აკეთებს-მეთქი. მიპასუხა, ადრე ექიმი იყო, მაგრამ სმის გამო თავი დაანება და ახლა მებაღე არისო. სმა უიმედობისგან დაიწყო. დედა რომ გარდაიცვალა, ცხოვრებამ მისთვის აზრი დაკარგაო.

უეცრად ძალიან მოვიწყინე, გავიფიქრე, რომ ჟან-პიერი თავის ურიკაზე მოკვდებოდა, ცხოვრება კი ჩვეულებრივად გაგრძელდებოდა, დედამიწა არ შეწყვეტდა ტრიალს. მისი კლემანტინი დაქვრივდებოდა, რაც მუდამ გაშორებაზე უფრო მომგებიანია, რა თქმა უნდა, მშობლები ძალიან შეწუხდებოდნენ ლოტარინგიაში, მაგრამ მათ ხსოვნაში დარჩებოდათ ჩვიდმეტი წლის მომავალი მწერლის ხატება; ისინი ხომ არ იცნობდნენ პატარაჩემოდნიან, მობილურტელეფონიან და ბეისბოლისჩაფხუტიან დაბნეულ ჰუმანიტარულ ატაშეს, ის მხოლოდ ჩემი მკვდარი იყო. ალბათ ერთადერთი ადამიანი ვიქნებოდი, ვინც იმისთვის დაიტი-

რებდა, რასაც ნამდვილად წარმოადგენდა, ეს კარგი საშუალება იყო ვინმე დამეტირებინა — რაც უნდა იყოს, მისი იმედი მქონდა, მან კი ცარიელზე დამტოვა, თუმცა ეს სულაც არ უნდოდა.

ნახევარი საათის შემდეგ იგი დაგვიბრუნეს, დაჩუტული, კუნტრუშით მომავალი და ძალზე კმაყოფილი, რომ ასე ადვილად გაიმარჯვა თავის ალერგიაზე, რადგან ბოლოჯერ რამატუელმა, — არ დავიწყოთ, ორმოცი დღიდან სამი დღე ბოდავდა. ბოდიში მოგვიხადა შეწუხებისთვის და მოინდომა ვალერიასთვის ახალი საბანაო კოსტუმი მიერთმია. ვგრძნობდი, რომ უკვე მოსწონდა. ტაქსში ველოდი, სანამ მაღაზიებში დარბოდნენ. ცოტა გულდაწყვეტილი ჩანდა, მის მხიარულებას რომ არ ვიზიარებდი, მაგრამ მე დრო მჭირდებოდა ჩემი დარდის გასაქარვებლად: მე ხომ სულ რაღაც ოცდაათი წუთის წინ დავასაფლავე იგი.

ᲥᲐᲜ-ᲞᲘᲔᲠ ᲨᲜᲔᲘᲓᲔᲠᲘᲡ (ᲛᲘᲡᲘᲘᲡ) ᲩᲐᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲘ

ᲐᲒᲐᲓᲘᲠᲘ — ᲘᲠᲒᲯᲘᲖᲘ (ᲛᲐᲠᲝᲙᲝ)

ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ 25

ᲜᲐᲗᲔᲚᲘ ᲓᲦᲔᲐ, ᲛᲖᲔ, 25 ᲒᲠᲐᲓᲣᲡᲘ.

გამგზავრება 14 საათზე, პ. 32 გზით, რომელიც აგადირს უარზაზატთან აკავშირებს. ვკვეთთ სუს დაბლობს, მდიდარ რეგიონს, სადაც მწყემსები თავიანთ ცხვრებს აძოვებენ ზეთისხილისა და აგრანიერების გარშემო. აგრანიერები გრძელეკლიანი ხეებია, რომელთა გამოც მოხდა გვიხდა პირველად გაჩერება — საბურავი გასკდა. აზიზი გზის შეცვლას ფიქრობს.

ყველა მხრიდან მორბიან ბურნუსებში გახვეული მწყემსები და დახმარებას გვთავაზობენ. მე გულუბრყვილოდ დავიჯერე, მაგრამ, ვაგლახ, რომ მათი მთავარი სადარდელი მხოლოდ მათხოვრობა ყოფილა. ჩვენი გიდი მიშლის პორტფელის გახსნას, მეუბნება, ბევრნი არიანო. ამ უბედური ხალხის საკომპენსაციოდ პირველ არაბულ ფრაზას მასწავლის: „აშიბ ალაჰ!“, რაც ნიშნავს, ალაჰი გადაგიხდისო, ვეუბნები ამას და თანდათან ვხვეწ გამოთქმას. საღამო ჟამის მუშაკნი უფრო გამოგვადგნენ. ვხუმრობ, მაგრამ დამთრგუნველია ეს სიღატაკე, სხვასაც რომ ითრევს: ეს უფრო რეფლექსია. ევროპელი ადამიანი, როგორც ყოველთვის, დამნაშავეა: სადაც კი გაივლის, თავისი კულტურის შეტანას ცდილობს — აშიბ ალაჰ — ჩვეულებების დელიკატურ გადანერგვას ამაზრზენ სინამდვილეში.

ვფიქრობ ლუსიენ გიტრის შესანიშნავ ფრაზაზე, როცა კედელთან მიმჯდარი ბრმა მათხოვრისთვის ფული მისცა თავის პატარა ვაჟს: „საშა, რატომ არ გაულიმე ამ კაცს, მოწყალებას რომ აძლევ-

დი?“ „მამიკო, ის ხომ ბრმაა!“ ლუსიენ გიტრიმ კი უპასუხა: „ჰო, ბრმაა, მაგრამ იქნებ არაა ბრმა და იგონებს სიბრმავეს?“

აზიზმა დაამთავრა მანქანის შეკეთება და წავედით. მეჩქარება ამ დაბლობის დატოვება, მეტისმეტად ტურისტულია. მშვენივრად მესმის ამ მოგზაურობის შემეცნებითი ხასიათი, აქ ხომ ყველაფერი მნიშვნელოვანია.

ასატანი სიცხეა. აზიზი ზის, მე უკანა სავარძელში ბუნხინის კანისტრის ზემოთ. ჰაერის ნაკადი ჩემი სარკმლიდან შემოდის და გულის რევის გრძნობას მიჩერებს. აზიზმა თავი ატლასის მთების თოვლიანი მწვერვალებისკენ მიატრიალა, ხელმარცხნივ რომ გამოჩნდა. მივხვდი მის განცდასა და შეშფოთებას. შეეცდები ამის გადმოცემას მერე, უფრო გვიან, მშვიდად და დალაგებულად. აქ მხოლოდ რამდენიმე შენიშვნა და ჩანაწერია, მოგზაურობის სინამდვილეს რომ შეიცავს და შემდგომ ნებას მომცემს მეხსიერების ხაფანგებს გავართვა თავი.

ვჩხაპნი ამ პწკარებს ჩანჩქერის გვერდით, გერმანული პიკნიკის სუფრასთან, აქაურობის ჰარმონიას რომ ანგრევს. ოლეანდრები, ფინიკის პალმები, ოპუნსიები, გასაქირავებელი აქლემები. ვხედავ გენერალურ რუკაზე, რომ გიდმა ორმოცი კილომეტრით გადაუხვია გათვალისწინებული მარშრუტიდან, რათა ამ ხედებით დავტკბეთ. დღეს ან ხვალ აზიზი იტყვის, აქ სამოგზაუროდ კი არა ვართ წამოსულებიო. თვალწარმტაცი სანახაობები, ყველაზე მშვენიერნიც კი, არ ფიგურირებენ აზიზის მიერ მითითებულ ტრაექტორიაში და თემის გარეთ რჩებიან, როგორც გამოუსადეგარნი.

გავდივართ ტარუნდანტს და მის ბაზარს, ბუგანვილიეს, რომლის მე-18 საუკუნის ციხე-სიმაგრის კედლებში წეროები ბუდობენ. მადმუაზელ დ'არმერეი ხვდება ჩემს მოუთმენლობას, თუმცაღა სიმკაცრეს ჯერ არ ვამჟღავნებ, ვემზადები. ვვარჯიშობ.

იმდენი წელია არ მიწერია. უნდა ვიფიქრო სტილზე.

P.S. ტალიუნიის პოლიციაში კონტროლის გავლისას დავინახე, რომ მისი სრული გვარია დ'არმერეი დე ვილენევი. ჰიპოკჰანში ერთ ვილენევს ვიცნობდი, უნდა ვკითხო, მისი ნათესავი ხომ არ არის.

ხუთშაბათი 26.

იგივე ამინდი.

ღამე კლუბ „კარამში“ გავატარეთ, უარზაზატის საუკეთესო სასტუმროში. აუტანელია კონდიცირებული ჰაერი, მათი მომსახურება. ამიერიდან მოვითხოვ აქაურ მცხოვრებლებთან ღამის გათევას, ან თუნდაც ყველაზე უარეს სამიკიტნოში. და კიდევ, ჯანდაბა და დოზანა, თან ხომ გვაქვს კარვები დასაბანაკებლად! საერთაშორისო სასტუმროების ასეპტიკურ გარემოს რა ესაქმება ჩვენს ისტორიასთან!

რაც შეეხება უარზაზატს, არაფერია აღსანიშნავი, უცხოეთის ლეგიონის გარნიზონია საზოგადოების მთავარი დეკორი. ამერიკული საბარგო ავტოები მიდიან და მიდიან იმ სოფლისაკენ, სადაც ორსონ უელსმა სოდომი და გომორი დაატრიალა. სიგარა — საჩუქარი,

რეჟისორის „ნამდვილი“ სავარძელი, უკან რომ მისი სახელი აწერია. სამწუხაროა.

ვცდილობ აზიზთან კონტაქტის განახლებას. თავს მარიდებს, ვერ ვხვდები მის განწყობას; აკი იზიარებდა ჩემს ენთუზიაზმს რაბათის აეროპორტში, როცა ჩვენს წიგნს ვამზადებდით. მე, მისი ქვეყნის მისეული ხედვა მჭირდება: ისაა ნამდვილი მთხრობელი, ჩემი პირადი რეაქციები არავითარ ინტერესს არ წარმოადგენს, თავს ძალას ვატან. ვაკვირდები. მაგრამ თუ აზიზმა განწყობა არ შეიცვალა, აღარაფერი მექნება სათქმელი და თხრობასაც წერტილი დაესმება.

შეიძლება აზიზი უხერხულად გრძნობს თავს მესამე პირის თანდასწრებით. უნდა დაველაპარაკო ვალერიას, მაგრამ ესეც მიძნელდება. ჩვენ შორის ზღუდეა აღმართული და ეს ისევ აზიზის ბრალია. მან უთუოდ იგრძნო ის დაინტერესება, ვალერია რომ ამჟღავნებს ჩემ მიმართ, თუმცა თავს კი ძალიან ებრძვის. ვალერიას ინსტიქტური სიცივე იმ თანამდებობის აუცილებელი ატრიბუტია, მას რომ უკავია; ალბათ სიყვარულის ასაკში მყოფი ყველა მამრი უტევს. განა შეიძლება მისი გარეგნობის, მისი ოცი წლის, მისი ღიმილის, მისი მხრების გამო აზიზი ჩემზე ეჭვიანობდეს?

თუ ასეა, ეს საკალალო იქნება რომანის მომავლისათვის, მაგრამ შესანიშნავი ჩემთვის. ექვს თვეში ოცდაცამეტისა ვხდები. ღმერთო ჩემო! რა უყავი შენს ნიჭს? ვიცი, ვიცი. მაგრამ ვისთვის ვიბრძვი? დამავიწყდა ქალების შემოხედვა მას მერე, რაც ჩემი აღარ მიყურებდა. ვალერია დ'არმერეი დე ვილენევი.

გაეიარეთ.

P.S. სექსუალური არაფერია იმ გრძნობებში, რასაც იგი ჩემ მიმართ ამჟღავნებს. ეს მხოლოდ კულტურული თანამშრომლობაა. უცნაურია, როგორ მისცა თავს ნება ასე დაეკნინებინა ჯიში. ის ბორდოს ელიტური წრიდანაა გამოსული, მასში პანსიონის მოწაფე იგრძნობა — კვირაობით მესაზე სიარული, ნაქარგი თეთრეული, ფორტეპიანოს გაკვეთილები, გოლფის კურსები. ალბათ დიპლომატი ვგონივარ ჩემი ჩემოდნის დიპლომატიური ეტიკეტის შესაბამისი, ან შეიძლება კრეუზოს პოლიტიკურ-ინდუსტრიული შნეიდერების ნაშიერიც, იმ შნეიდერებისა, ისტორიის მასწავლებლები რომ „შნედერსად“ წარმოადგენენ ხოლმე და თავს იწონებენ მოწაფეების წინაშე, როგორც წარმოთქვამენ „ბრელ“, „ლაას“, ან „ტრემუი“. დიდება გვარებს, რომლებიც ისე არ წარმოითქმის, როგორც იწერება! უფლისწული, ნამდვილი შთამომავალი, რასის ბოლო წარმომადგენელი, ტრადიციისა, გამგრძელებელი არის აზიზი. მე, მე „ლუმანიტე დიმანიშიდან“ ვარ წარმოშობილი, უფროსების პატივისმცემელი, დაგეგმილ ცხოვრებას შეგუებული, ქოხმახიდან ქარხნამდე და ქარხნიდან კაფემდე. მუშური ძმობა და კარგად შესრულებული სამუშაოთი გამოწვეული უბადრუკი სიამაყე. აი, ყველაფერი, რაც მე დავამსხვრიე.

მაგრამ ისიც მეამბოხეა. ასეთი ნაზი კულულები, შინიონისთვის განკუთვნილი, შესწირა სამზარეულოს მაკრატელს, ეს უმაკიაჟო კანი, სვირინგი მკლავზე, ბიჭური ლაპარაკის მანერა არაბულად, წინ-

წამოწეული ყბითა და ჩახლეჩილი ხმით. მეამბოხე, დაუმორჩილებელი... გამოთქვამს თავის აზრს ბილიკებზე, ვედების დიდ ფართობებზე. მე წიგნები, თავისუფლება, სწავლა ამოვირჩიე. და რას მივაღწიე? გაზეთების მოსაწონ მისიას. ის კი მტვრისა და გამოშტერებული ტურისტების წრეშია, მოთვინიერებულ ტუარეგის ტომის კონვერტებს ... ყიდველებს რომ უღებენ სურათებს.

ბიბლიოთეკა

გუშინ საღამოს რესტორანში, გროტესკულ მენიუს უკან ამოფარებულმა, რომლის გარეყდაც კუდიანების ნაჩხაპნს უფრო წააგავდა, ვიდრე ნაწერს, მისი ცისფერი მზერა ჩემს ხელებზე დავიჭირე. ჩემი მოკლე, ოთხკუთხა, გამოუყენებელი ხელები, ლითონის სადნობად შექმნილნი უკვე სამი თაობის მანძილზე, საოცრად მოუხერხებელნი კალმის საჭერად! და მაინც... შენ რომ მხედავდე, ვალერია, ამ წუთში ჩემს სინთეტიკურ რეზინის სკამზე, წინ მიდევს მაწონი ხორბლის მარცვლებმოყრილი, ამ ტერასაზე, რომელიც ზემო ატლასის მწვერვალებს გასცქერის, მე კი ვწერ, ვწერ და ამ სილამაზეს ვერ ვხედავ, ფეხებზე მკიდია. მხოლოდ ხელებს სურთ სცადონ და თქვან, რომ ვარსებობ. ეს ხელები, რომელთაც ყოველთვის ვმალავდი, როცა კეს კოქტეილებს ვესწრებოდი ან გამართულ სადილებს ქალაქში, გუშინ შენ შემოგთავაზე და იცი, ძალზე ამაყად ვიგრძენი თავი. შენ შეიცან ჩემი უარყოფა, ჩემი გაქცევა და წუხილი გაკრთა შენს თვალებში.

რვა საათია, წასვლის დრო.

P.S. მე მსურს იგი.

ცაზე ცხვრებივით ღრუბლებია, უფრო გრილი ამინდი.

კლემანტინი მშორდება. ის ერთადერთია, ვისაც ჩემი სწამდა. მან მიმატოვა, როცა მეც აღარ მწამდა ჩემი თავისა. ხელახლა ნაპოვნი სიტყვები მას ველარ მოაბრუნებს, უკვე ძალიან გვიანია. მე უშენოდ ვწერ, კლე. წამიკითხავ? მე შენ მოგიძღვნი ამ რომანს, თუ ბოლომდე მივიყვანე. ვისაც როგორ შეუძლია, ისე ემშვიდობებიან ერთმანეთს.

უარზაზატის გამოსასვლელში გულის ამაჩუყებელი აფიშაა: გულუბრყვილო მანერით დახატული აქლემი ძველ მომთაბარეებს მიანიშნებს, რომ ტომბუკტუ მხოლოდ ორმოცდათორმეტი საქარავნო დღის სავალზეა.

პირველი ნამდვილად ველური პეიზაჟი ეს წითელ კლდეზე უფსკრულისპირა გასასვლელია, სადაც ლენდ-როვერი ჩაეფლო ქვაღორღიანი გზის ორმოში — ვერცხლისფერი ვედის კალაპოტი, ამაღლებული. მოტორის ხმაურში ვერ გავიგონე სახელი. ბოლოს და ბოლოს დავტოვეთ P 32! არც ერთი ტურისტი არ ჩანს მხედველობის არეში. ნამდვილი თავგადასავალი იწყება. რამდენიმე ბერბერი ხელს გვიქნევს მანქანის გასაჩერებლად. ვალერია არ აჩერებს. „აშიბ ალაჰ! — გავყვირი ღია სარკმლიდან. გაურკვეველი აღელვება სუფევს მანქანის სალონში. სა-

ერთო სურვილი დაგვუფლებია, რათა რეალურად ჩავწვდეთ ჩვენი საძიებლის გულს. მართლა სერიოზული საქმე გველის ირგვლივ. აზიზი სულ ჩუმადაა, მაგრამ თითქოს შემოტრიალდა. სასურველმა ქარმა დაბერა, ის თითქოს ვალერიას ჩემკენ მომართული ღიმილი იყო პატარა სარკიდან—ღიმილი ნათელია, მეგობრული, [illegible] ცნობისმოყვარეობის მიმტევებელი — კაცს რომ ამშვიდებს. [illegible]: ის არ ეჭვიანობს ჩემზე. იგრძნო რა ვალერიასადმი ჩემი ყურადღება, შეეშინდა ვალერიას მხრიდან უარის შემთხვევაში ჩვენი ექსპედიციის კლიმატის გაფუჭებისა. შეიტყო რა, რომ ვალერია აღარ დგას თავდაცვის სადარაჯოზე, ისიც დამშვიდდა. ის ფიქრობს, რომ ჩვენი ხელისმომკიდე იქნება. როგორ ამბობენ სკოლაში? სანთლების მიმნათებელიო. ასეა. აზიზ, ჩემი გზის გამნათებელო, მოამზადე ასანთი!

ეს ბიჭი მაღელვებს. ეს უბრალოება, ეს დახვეწილი მდუმარება, ეს კეთილგანწყობილი ყურადღება, რომელსაც ჩემ მიმართ იჩენს, ეს ბებერი ბავშვის მოწიფულობა ჰგავს, საუკუნეების მანძილზე ჩამოგორებულ უზარმაზარ ლოდებს. სწორედ ეს მისცემს ჩემს წიგნს მითიურ იერს. ყველაფერი დაყრდნობილი იქნება ამ პერსონაჟზე, რომელზეც შემეძლება ვთქვა, ეს მე ვარ-მეთქი იმ დღეს, როცა შევიწოვ მის ხედვას და მის წარმოსავას. კარგად ვიცი, სადაც მივდივართ. ბრიყვი ხომ არა ვარ. მისი ირგვლივის ხეობა უბრალო ოაზისია ჯებელის მთის ფერხთით, ზუსტად ისეთი, უკვე სამიოდე რომ ვნახეთ და გამოვიარეთ, მისი ნაცრისფერი ადამიანები სხვებივით ბერბერები არიან, მან რომ გააღმერთა, რათა მისი სამშობლო შემყვარებოდა. ნორმალური და ჯანსაღი რეაქციაა. მეც იგივე რეაქცია მექნებოდა, დღეს რომ უკანჟზე მელაპარაკა, დიდებული სამჭედლოს მითოლოგიაზე ჩვენი ეზოს ბოლოში, სადაც ასეა თუ ისე ჩვიდმეტი წელი გავატარე საყვირებისა და ბრძმედების გრიალში, ძილს რომ მიფრთხობდნენ.

უფრო თავგზისამბნევია მისი სისტემატური უარი არაბულად ლაპარაკზე. ვალერია უკვეთს ჩვენთვის საჭმელს სასადილოებში, ითხოვს ბენზინის სავსე ავზს ბენზინისგასამართ სადგურებში, აჩვენებს ჩემს ოფიციალურ საშვს პოლიციის კონტროლს. რატომ უწყობს გაფიცვას თავის ენას აზიზი? რცხვენია თანამემამულეებისა, რომ მისივე ქვეყანაში ზედამხედველის თანხლებით დააბრუნეს, მართალია, ჩემნაირი კეთილგანწყობილი ზედამხედველის, მაგრამ მაინც ზედამხედველის? თუ ჩემ მიმართ გამოჩენილი დელიკატურობით მოსდის? უნდა, რომ მის ტყავში ჩავძვრე ენის ბარიერის მიუხედავად? იქნებ მისი დიალექტი განსხვავდება იმ დიალექტისაგან, გზაში რაც შეგვხვდა? ამაზე უნდა ჩავფიქრდე.

დაბლობს რომ გავდიოდით, კითხვა დავუსვი, რომელიც მარსელიდანვე მაწვალებდა, მაგრამ მეშინოდა, მისი ძირებისკენ მიმავალი გზა არ ამერია. „ვინ გასწავლა ასე კარგად ფრანგული? შენი ტომის კაცმა? ბატონმა ჟიროდიმ?“ პასუხის ნაცვლად კითხვითვე მიპასუხა, თქვენ, თქვენ ვინ გასწავლათო. აზრს ვერ მივუხვდი.

შუადღისას სოფელ მზინარში ჩემი თხოვნით სასაუზმოდ შევჩერდით ერთ გლეხთან. აზიზმა მაგარი რამ გააკეთა. შესვლისას ჩვენსავით ფეხზე გაიხადა, ჩვეულებისთვის რომ ეცა პატივი, მაგრამ სუფრასთან გაუგონარი რამ ჩაიდინა: დანა-ჩანგალი არ იყო, ხელით უნდა გვეჭამა და ჭამა მარცხენა ხელით დაიწყო, რაც უსაზღვრო აღშფოთებას წყენას იწვევს ატლასში, სადაც მარცხენა ხელი უწმინდურად-მიჩნეული, ვალერიამ ამიხსნა, როცა გლეხმა სახლიდან გამოგვყარა.

უცნაური ვინმეა აზიზი. პროვოკატორი, არარელიგიური, გაუნათლებელი. ვითომ თავის საკუთარ ტრადიციებს არ სცემს პატივს? არა, მე მიწვდის დახმარების ხელს. საგანგებოდ იწვევს ინციდენტებს ჩემი წიგნის შესაკმაზავად. არაჩვეულებრივია, რაც მე შემემთხვა. მე მასში მუზას ვხედავ. მე აღმოვჩნდი „ეშმაკ-მფარველთან" ერთად, რომელიც აცდუნებს ხალხს, ამახინჯებს ფაქტებს, რათა წიგნისათვის კარგი მასალა მომიგროვოს.

წარმომიდგენია რა იქნებოდა ჩვენი მოგზაურობა იმ ომარის ჯიპით, მე რომ ამოვარჩიე. არც ერთი თავი არ იქნებოდა, მხოლოდ ხუთი გვერდი. გმადლობთ, აზიზ. („შოკრან", ან უფრო საზეიმოდ: „ბარაქა ალაჰ უფიკ". სიტყვასიტყვით: „ალაჰი მოგცემს ძალას").

ჩვიდმეტ საათზე ჯაფარის შესანიშნავ ცირკში გაჩერებისას (აქ-ლემის ჯოგი, ბებერი კედრები, ღვია, თოვლიანი ჯებელაიჩის გაუვალი მასივი) აზიზის არყოფნით ვისარგებლე — ბუნებრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ბუჩქებში იყო გადასული — და ვალერიას გამოვკითხე ირგეზის მითზე. მან სიტყვასიტყვით მომითხრო „წმინდა ხეობის" ვერსია, სადაც პრეისტორიული მცენარეები და ცხოველებია. უცნაურად, თითქმის მოსაყვედურე ტონით მიყვებოდა. თითქოს მე ჩემი მხრიდან რაღაც დამამცირებელს ვჩიჩქნიდი სკეპტიკურად (სკეპტიციზმი არის გონების „მარცხენა ხელი" ატლასში).

ერთი სიტყვით, ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ამოუცნობ მფრინავ ობიექტებზე ველაპარაკებოდი აერონავტიკისა და კოსმოსური კვლევის ეროვნული სამმართველოს თანამშრომელს, რომელმაც ჩამომითვალა დოსიეს ელემენტები: სიჩქარის ჩაწერა, რადარის ექო, მატერიის კვალი, ანალიტიკური სიმკაცრე წარმოსახვითი ჰიპოთეზის მომსახურებისა. (N.B. გადავდო ჩემი შთაბეჭდილებები პუისენ ვინსანის „მეცნიერება-საზღვრების" კოლოკვიუმისათვის, სადაც წიგნის დირექციამ მთხოვა წავყოლოდი ერთ ესპანელ ფიზიკოსს, რომელიც ამბობდა, რომ იღებს მნიშვნელოვანი მოლეკულური აღმოჩენის ფორმულას — დამტკიცებულს — უმნიტის ექსტრადედამიწისეული ცივილიზაციიდან. ლუპიაკის აზრით ეს იყო სუკის შეთქმულება ევროპელი მეცნიერების დისკრედიტაციის მიზნით. მე ყოველთვის წინააღმდეგი ვიყავი ამ ვერსიისა. რატომ ვთქვათ უარი ოცნების სისტემატურ უარყოფაზე? პატივი მივაგოთ იმას, რაც ჩვენ აღგვემატება.

ვალერიამ მომაწოდა პალეონტოლოგიური ცნობა: განათხარი ხვლიკების ანაბეჭდები, იმი-მიფრი (25 მილიონი წელი) და მათი უზარმაზარი კვერცხები, შენახული ზებუნებრივ მდგომარეობაში, ტიზი ნ'ტირგ ჰისტის ნეოლითური საკულტო ადგილები, ტინსულინისა და დრაას გამოქვაბულების ათასობით ნახატი, მთლიანად კვეთილ შესრულებულნი (10.000 წელი)... მაროკო მისი მონათხრობის მიხედვით დულდა და გადმოდულდა საოცარი ნაშთებით, გამოუცნობი საიდუმლოებებით. ათასობით ირგეზი იყო გაბნეული ზემო ატლასის მიუვალ ნაკეცებში და გუდრონის მშენებარე გზა, ნაცრისფერი ადამიანების ხეობას რომ ემუქრებოდა, C.T. 1803 იყო, ჯებელ უაზატის (3.770 მ.) მომავალი სათხილამურო სადგურის სამსახურად განკუთვნილი; სამარცხვინო იარა, ეს-ესაა რომ გავიარეთ, ამ მშენებლობის საწყობი გახლდათ.

როცა აზიზი დაბრუნდა, ვალერიამ იგი მოწმედ მომიყვანა. ის დაეთანხმა. ვალერიამ ჰკითხა, კიდევ შორს ვიყავით თუ არა. აზიზი ცირკის შუაგულში დადგა, დოინჯი შემოიყარა და ნელ-ნელა იწყო ტრიალი; მთის დამაბრმავებელ სიქათქათეში ნაკლებად ძნელ გადასასვლელს ეძებდა. ვალერიამ მას არაბულად რაღაც ფრაზა ესროლა, რომელზეც მან ერთხანს მკაცრად აქნია თავი. შემდეგ ვალერიამ მე შემომხედა, არ უნდოდა ჩემთვის ეთარგმნა, რაც მას უთხრა.

საღამოს უგემრიელესი ვახშამი მივირთვით ტიგჰრეიმში, გალავნიან, თეთრად შემოხაზულ ფანჯრებიან სახლში, ბოროტი სულის (ჟნუინის) განსადევნად. პიტნის ჩაი, ჰარისა (გამოუცნობი წვნიანი), ტაჟინი ქლიავებით, გუფთა-კატლეტი, გიგანტური ცხარე რაღაც, წიწაკა რომ მეგონა და ვჭამე, მერე კი ორი ლიტრი წყალი დავაყოლე ხანძრის ჩასაქრობად, მიუხედავად ვალერიას გაფრთხილებისა ბაქტერიების თაობაზე. ახლა ერთადერთი უწმინდური რამ, რასაც უნდა მოვერიდო, ჩემი მარცხენა ხელია. ოცდათორმეტი წელი ევიანის წყალი. სდექ. მეყო. სიცოცხლე მინდა. გადავყარე ჩემი ხორბლის მარცვლებიც.

სოფლური სახლები ალიზით იყო ნაგები. მოშორებულ ადგილას გავედი, თხებითა და მუხებით რომ იყო სავსე, მოსაშარდავად ვალერია შემომიერთდა, ჩამოვსხედით საბურავზე. ხელი ხელზე მომკიდა და ოფლი, მაისურს რომ მისველებდა, რაღაც ჯადოთი შეჩერდა. გამომიტყდა, რომ აზიზი ვერა და ვერ პოულობდა თავის ხეობის გზას. ვუთხარი, ბევრი დრო გვაქვს-მეთქი. ჰოი, მართლა რა ძალიან მინდოდა ბევრი დრო მქონოდა პირველად ჩემს ცხოვრებაში. მან ბაგე ბაგეზე მომადო და კარგი ოცწამიანი კოცნა მაჩუქა. როცა ბაგე მომაცილა, ნიკაპაწეულმა, თვალებზე თმაჩამოყრილმა მკითხა, ხომ კარგი იყოო. თავი დავუქნიე, წამჩურჩულა, რომ მხოლოდ წიწაკის ძალა შეაჩერა და სულაც არაა საჭირო ზედ დავახტე.

გავყურებდი სახლისაკენ მიმავალ მის ნატიფ, საოცრად ახალგაზრდულ ტანს, ცოცხალს, მიუწვდომელს. როგორ უნდა შესთავაზო სიყვარული ფერიას, რომელიც დაგცინის? ნეტავ თუ ჰყვარებია ვინმე?

რალაც აქვს უაღრესად ქალწულური: ჯიუტი თავისუფლება, მეოცნებე შეურიგებლობა, უმიზეზო მელანქოლია. იქნებ ჩემთვის ყოველივე ამის თქმას ცდილობს? მე არასოდეს მქონია ქალწულთან სიახლოვე-აგნეს, აგნეს... რა შორსა ხარ! როცა უკანჟში ჩემს ოთახში ხელნაწერს გიკითხავდი და ფრაზებით მთლად დამთვრალი, ჩემო ერთადერთო შეთხველო და მსმენელო, საწოლზე, რვეულებით სავსე საწოლზე მოგეხვიე, შენ უარი მითხარი და მთხოვე, კიდევ წამიკითხეო, და მეც განვაგრძე კითხვა.

თუ ჩვენს სიყვარულს მივეცემით, ვალერია, და თუ ეს შენთვის პირველი იქნება, მჯერა, რომ მეც შენსავით გამოუცდელი ვიქნები. მე უეცრად თხუთმეტი წლის გავხდი და ხაზგასმით მინდა გითხრა, რომ შენმა კოცნამ სულაც არ შეანელა წიწაკის ძალა.

ბედნიერი ვარ? კი.

პირველი ღამე ღია ცის ქვეშ. გრძელი თოკის გადაჭრა მინდოდა და ჩემი უგერგილობით ჩავხიე ყვითელი კარავი. ვალერიამ აღმართა პატარა კარავი და იქ მოთავსდა. იმწამსვე ჩააქრო გაზის ნათურა.

შუაღამის პირველ საათზე საშინელი ჭექა-ქუხილი ატყდა, დანტესებური სიმძლავრის. მე და აზიზმა მთლად გალუმპულებმა თავი ლენდროვერს შევაფარეთ. ათი წუთის შემდეგ მოვარდნილმა ღვარცოფმა წაიღო ჩვენი კარავი. გავიქეცით ვალერიას კარვის გადასარჩენად. გავხსენით ელვაშესაკრავი, ნახევრად მძინარემ შეგვიკურთხა და გვითხრა, შემეშვითო. წყლის ნაკადმა კარავი სამი მეტრით დააცურა. ვყოყმანობდით, ძალით გამოგვეყვანა თუ არა. მერე გადავწყვიტეთ მანქანის პარპრიზიდან გვეთვალთვალა ჭექა-ქუხილის დამთავრებამდე.

დილის შვიდი საათია. ვალერია გამოძვრა თავისი კარვიდან პულოვერში ჩაფუთნული. მანქანის ფარები ავანთე, რომ დაენახა, სად მიდიოდა. ჩავედი და წყლიანი თერმოსი გავუწოდე. დაბნეული მზერა მოავლო ღამინდელ ღვარცოფის კვალს და ისეთი სიტყვები მითხრა, რაც არასოდეს დამავიწყდება: „ადამიანებმა, რომელთაც აღარ უყვართ სიცოცხლე, ძალიან კარგად იციან, როდის მოკვდებიან. მე ამ მხრივ არაფერი მემუქრება“.

მან თავისი კარვის უკან მოისაქმა, შებრუნდა და დაიძინა. ინათა, ცა ისევ კრიალაა, ლურჯად კამკამებს ვარსკვლავებით მოჭედილი. თერმოსს თავს ვახურავ და ისევ წერას ვიწყებ მანქანის ფრთაზე დაყრდნობილი.

აზიზი, ბუმბულის ქურთუკში გახვეული, კართან მიკუჭული მიყვირის: ფარები ჩააქრე, ბატარეები დაჯდებაო. ისევ იძინებს. მაღლა ციდან არწივი დაგვტრიალებს თავს.

ხელახლა ვკითხულობ ვალერიას ნათქვამ სიტყვებს. ეს იქნება ჩემი წიგნის წინამძღვარი... ჩემი წიგნი! აღარ ვიცი, შიგ რა იქნება. ფეხებზე მკიდია ირგვიზი, ნაცრისფერი ადამიანები, კე დ'ორსეი, ჩემი მისია, აზიზის ხელახალი დაფუძნება. ვალერია! ვალერია! ვალერია! ვოხვრავ.

დავდე კალამი, რათა წინადადებანი [illegible]ნებაში დავასრულო.

კვირა 29.

სხივმფენი მზე, 20 გრ.

არ ვიცი, საიდან დავიწყო. ჩემი ცხოვრება ამოძრავდა. გუშინ საღამოს არ ჩამიწერია გასული დღე. არ შემეძლო. სასწაულებრივი, მტანჯველი, გამოუთქმელი. რა საჭიროა ზედსართავები?

შაბათ დილას, რვას რომ ათი აკლდა, ვალერია მოვიდა და სარკმელზე დამიკაკუნა. გავიღვიძე, კარი გავაღე. გადმომიყვანა ლენდ-როვერიდან და ძალით წამიყვანა. ჩემ თვალწინ უდაბნო აყვავილდა. იასამნისფერი, ყვითელი, წითელი, ცისფერი რიგრიგობით ამოიფრქვა გაძარცული მიწიდან. გატაცებით ვიკრავდი გულში. მითხრა, ყოველივე ამასთან არავითარი კავშირი არა მაქვსო. ეს ბუნებრივი ფენომენიაო. იშვიათი, მაგრამ ბუნებრივი. როგორც სიყვარული. ატლასის მცენარეთა თესლები წლობით უცდიან უხვ წვიმას, რომ გაღვივდნენ და შემდეგ მზის პირველივე სხივზე ერთბაშად იფეთქონ და ამოიფრქვნენო.

თავი მის მხარზე ჩამოვდე. წელზე მომხვია ხელი. სრული სისავსისა და თავდაჯერებლობის წუთი. უფრო გვიან დავაწყობ ფრაზებს. სიტყვები გამირბიან; ვმერყეობ ბანალურობასა და ლირიზმს შორის. მერჩია მისთვის მიმეწერა და პასუხს დავლოდებოდი, მაგრამ უკვე იმდენი წუთი მაქვს უაზროდ დაკარგული ცხოვრებაში. ხელი მოვკიდე და პატარა ტბისკენ გავიყოლე, იქვე ჩვენს ბანაკთან რომ იყო, მინდოდა წყალში მასთან ერთად შესვლა. გაგიჟებულ ვარდისფერ ფლამინგოებს შორის გავეხვიეთ ტალღებში და დავეცით. ვალერიამ დაიყვირა: არა, აქ არა! ფრთხილად! თან ვილაცის სახელს იმეორებდა, ბილ ვილაცაო, რაც მე არაფერს მეუბნებოდა. კაცის სახელი იყო, რომელიც უყვარდა, თუ ის, ვინც აქ დაიხრჩო, რა მნიშვნელობა ჰქონდა. აღარაფერი არსებობდა მისი სხეულის გარდა. ქვეყანა ჩვენი იყო, ეს უდაბნოც, გარდა აზიზისა, რომელიც იქ ქვევით ყავას იცხელებდა. შლამში გადავაწვინე და ტანსაცმელი გავიძრე, თითქოს ლამაზი ვიყო. მან ამოიოხრა და ამ რბილ, ჩაზნექილ საწოლში თავი მომიძღვნა.

მოგვიანებით დამატებული მინაწერი: კიდევ შოკში ვარ. მოუხერხებელი, უხეში ვიყავი, ვიცი, მაგრამ ძალიან მინდოდა, ძალიან მჭირდებოდა, და მანაც მომცა ნება ფატალურად დავუფლებოდი. როცა შევამჩნიე, მარტო მე რომ ვხალისობდი, დამნაშავის ხმით ვუთხარი: „აშიბ ალაჰ“, როგორც მათხოვარს, ვისაც ვერაფერს აძლევ. მან ღიმილით ინდულგენცია მომცა. მიყვარხარ. შენ მიპასუხე: „ო, არა!“ ამას ნახავ, როცა წიგნს დავამთავრებ.

ადგომაში რომ გეხმარებოდი, გკითხე: (სასაცილოც ვიყავი და გულუბრყვილოც) პირველი კაცი ვარ თუ არა შენთვის-მეთქი, შენ გაღიზიანებულმა მიპასუხე, სიმორცხვის თუ სიამაყის გამო, არ ვიცი, წყალში კიო.

---

1. ავტორის შენიშვნა — სინამდვილეში ბილჰარიოზი, შინაგანი დაავადებაა, გამოწვეული ჭიებისაგან, რომლებიც შეიძლება წყლის მოლუსკებმა გადასდონ ადამიანს. ეს შემდეგ ამიხსნა.

გამოვედით წყლიდან. ჩვენ უკან ისევ ჩამწკრივდნენ ფლამინგოები. უკანმოუხედავად შევქვერი შენს კარავში. მე აზიზის სანახავად წავედი. ვედის პირას ქვაზე ჩამომჯდარიყო და რიკოშეტით კენჭებს ისროდა. რა თქმა უნდა, დაგვინახა, ტიროდა. მის წინ ფეხზე მდგარი მზეს ვუჩოქილავდი. ბოდიში მოვუხადე. მიპასუხა, რომ ჩვენ გამო კი არა, წყლის გამო, წყალში სიყვარულის გამო ტიროდა. შევეცადე უფრო [illegible] გამეგო, რა ატირებდა, და მანაც ლაპარაკი დაიწყო უზარმაზარ მიწისქვეშა მინდორზე, უძველესი ჩამქრალი ვულკანის ფსკერზე, სადაც ყელიდან ჩასული სინათლის წყალობით ჭადრები და სოჭები იზრდებიან, პატარა გადაშენებული ჯიშის ცხენები ძოვენ ბალახს თბილი წყაროს გარშემო, სადაც დუმფარებს შორის ბანაობს და მღერის ლილა, მისი შეყვარებული, ირგჰიზის მეფის ასული, რომელსაც მას არასოდეს მიათხოვებენ, მას, უბრალო ტოროლას (SIC). სწორედ ამიტომაც დიდი სიამოვნებით წავიდა იგი მარსელში ბატონი ჟიროდის საძებნელად, ამიტომაცაა დღეს ასე იმედგაცრუებული, ვინაიდან ხელცარიელი ბრუნდება უკან — ამას ჩემთვის არ ამბობს, დააზუსტა მან. მაგრამ გასაკვირი არ იქნება, თუ ხეობის შესასვლელი უარს ეტყვის და არ შეუშვებს: მისი მარცხენა ხელი ადამიანების აზრით უწმინდური გახდა.

მე ოჩხობოჩხოდ ვწერ, რაც დამამახსოვრდა. ვწერ ამ მშვენიერი მზით ყელამდე სავსე ბიჭის ხილვას, რომელიც ტიროდა გამოგონილი ვულკანის ხატების გამო და გულში ყინული დამიტოვა. უეცრად აღარ მომინდა მისი მოსმენა. ჩემი ამბავი იწყებოდა. მას შეუძლია კვირეების მანძილზე გვატაროს თავისი მთის გარშემო. მე კი შეყვარებული ვარ და დრო ჩემთვის მჭირდება.

მართლა საოცრად მალე ხდები ეგოისტი, როცა ბედნიერი ხარ. საათს დავხედე, მინდოდა დამემახსოვრებინა, რომ ცხრა საათსა და ორმოცდაოთხ წუთზე, შაბათ დილას მე ვაპატიე კლემანტინს.

და მაინც რა ვაპატიე? რომ ლოტარინგია უყვარდა და ჩემი ხელნაწერი უ-ს რესტორანში მოისმინა? რომ დედამისთან სადილი გამართა და გამომცემლები მოიწვია, რომ ძალიან მთხოვეს რამდენიმე გვერდი „საჭაშნიკოდ“ წამეკითხა? სასაცილონი ვართ და ეს გვკლავს, ყოველ შემთხვევაში მე. კლემანტინი მდიდარია. და კიდევ, უფრო ადვილია მხატვართან ერთად ცხოვრება. ათი წამი საკმარისია, რომ აზრი შეგექმნას, მხატვარი ნაკლებად იწუხებს თავს, ვიდრე მწერალი. და კიდევ, რაც მართალი მართალია, კარგია ლუპიაკის ტილოები.

საუზმემდე რომანტიკული მარტო გასეირნება, რათა ვიფიქრო მასზე, ჩემს ახალ „მასზე“, ვალერია დ'არმერეიზე, ჩემს სიმშვიდეზე, ჩემს სირინოზზე, მშრალი მდინარის ვედის სირინოზზე. ტკივილი მაქვს კუჭის არეში. ვფიქრობ, ფსიქოსომატურია.

აზიზმა ჯორები მოიყვანა, რომ სამხრეთი ფერდობიდან ვცადოთ ასვლა: ხეობის შესასვლელი იქ ზემოთაა. გაახსენდა! თავისუფალი მოქმედების უფლებას ვაძლევ. გასტრიტული მოწყენილობა.

ვალერია თავის მოვალეობას ასრულებს: რუკაზე ხაზავს გზას. იმარჯვებს კომპასსა და გზამკვლევს, რათა ჩვენს ნაცრისფერ კაცს თავისი მოვალეობა შეასრულებინოს. სულაც არ ჩანს შეწუხებული, ცო-

ტა შეუძლოდ რომ ვარ. — „ავად ხარ, ვიცი“, — მითხრა მან. სამაგიეროდ ხომ გამაფრთხილა, სინაზე, ფიცი, ყველაფერი, რაც შევთავაზე, ხომ უარყო. რაც შეეხება სიყვარულის განახლებას, მითხრა, ჯერ წამლები დამელია, თავისი ჩანთა-აფთიაქიდან რომ ამოიღო. ხელს მადებს შუბლზე, მაჯას მისინჯავს და მეუბნება, ან ბაქტერიები და ავადმყოფობა, ან მეო. იმედია ხუმრობს.

ბიბლიოთეკა

დასვა ამებური ინფექციის დიაგნოზი. იმ წყლის ბრალიაო, სადაც ერთმანეთი შევიცანით? არა, იმ წყლის, გუშინ რომ დავლიე.

ასე მირჩევნია.

აზიზი საღამოხანს მობრუნდა, თავის ჯორზე ამხედრებული. თქვა, ასასვლელი ჩრდილო მხრიდან უნდა იყოსო. დაინახა, რომ ბუმბულის ქურთუკშიც ვკანკალებდი. ვალერიას ჰკითხა: კიდევ რაღა სჭირსო? მან არაბულად უპასუხა. აზიზი ოხვრით მიტრიალდა.

არ მითარგმნეს.

ორშაბათი.

ნაცრისფერი ამინდი. 39,4.

უარს ვამბობ ექიმთან ტაბანტაში ჩასვლაზე. რატომ? სიცხე დამივარდება და ჩვენც გადავკვეთთ უღელტეხილს. აღარასოდეს დავბრუნდები უკან. რომანს „წასვლა“ ჰქვია.

მუცელში სპაზმები მაქვს. ვიკრუნჩხები. უცნაურად მეხვევა თავბრუ, არცთუ უსიამოვნო გრძნობაა. სხვაგან მივყავარ. ჩემს ჭკუაში რაღაცას ვუახლოვდები. რაღაც მნიშვნელოვანს, ასპირინის ზემოქმედება რომ მართმევს, მაგრამ არა უშავს, დავბრუნდები.

ძალიან დაქანცული ვარ, ჩემს ოცნებებსაც ველარ ვიწერ. სიტყვებს ვახროვებ იმ იმედით, რომ მერე სახეები გამახსენდება: ანრი IV-ლიბანი-ჯვაროსნები-დუმფარები-კექსი.

ნაკბენით ინფიცირებული ფეხი ისევ გამისივდა. როცა ბანაკი ახალ ადგილას გადაგვაქვს, აზიზი მეხმარება სიარულში. ვტრიალებთ მთაგრეხილის გარშემო, ვერა და ვერ პოულობს შესასვლელს. არაფერია. ასე სჯობია. დრო იცდის.

ღამეს ველი ვალერიასთან ერთად კარავში. ხელახლა ვიპოვე ჩემი ოთახი, აგნესი, სიტყვები, ჩემი რვეულიდან მისთვის რომ ამოდიოდა. აგნესი გათხოვილია, ბავშვები ჰყავს. ნათლიობა მთხოვა. უარი ვუთხარი, რატომ? ძალიან ცუდია. მთელი ეს დაკარგული, უამური დრო... რისი გულისათვის? სირცხვილი. სირცხვილი იმისა, რაც გავაკეთე. აღმოსავლეთის სადგურის ბაქანი. არა. სიტყვები არა. დავიწყება.

ოთხშაბათი?

ქარი, მზე. სიცხე დამივარდა. მე კარავში ვარ, სანამ ისინი გარემოს ზვერავენ. დასვენების დღეები ბრუიერში. პატარა სახლი, მაცთური იერის, მამამ რომ შეაკეთა არდადეგებზე ქარხნის მუშებთან ერთად. დასვენება რიგრიგობით. საერთო კედლები, თითოეულის გემოვ-

ნებით: სახლი, რომელიც იცვლება... ზაფხული ვოგეზებში. ჩემი პირველი უიკენდი აგნესთან ერთად, როცა პირველად მითხრა... დიახ. მარტო მასთან ერთად. და მამა. შენ მეშახტე ხარ, ჟან-პიერ. მე მოვდივარ. მამას ეძინა სიმკაში[1] ჩვენს ფანჯრებთან დედის გამო. დედამ დაავალა ეს მისია, მაგრამ დაგვითმო ჩვენი ღამე. ჩვენი ღამე, როცა არაფერიც არ გამიკეთებია. მამა, მიყვარხარ. მე შენთვის ეს არასოდეს მითქვამს, მე ეს დავწერე, მაგრამ ვერ წაგიკითხე. ტარიი-ტარაა-ტარიტარააა! დილით რვა საათზე შეგვახსენა, რომ გაღვიძების დროა, და ფუნთუშები შემოგვიტანა. მე შენი არ მრცხვენოდა, გეფიცები. შენი შოფრის ლურჯი ტანსაცმლისა, უჯრულა ქუდისა, შენი სავსე, ბრტყელი, დიდი ტანისა. შენ უკვე რამდენიმე საათი სარდაფში ტიხრებს ცვლიდი. „როგორა ხართ, შეყვარებულებო? იმედია ჭკვიანად მოიქეცით", მხიარულად? არა, ამჯერად არა. სირცხვილით ჩემ გამო მხოლოდ და სიძულვილით აგნესის მიმართ, უარი რომ მითხრა და ახლა უარს ეუბნებოდა მამაჩემს. დამანჭული სახე კედლისკენ მიიბრუნა, ხელში ზეწარი მოჭმუჭნა და მუცელს იფარავდა, თუმცა დედიშობილა არ იყო. ჩემი ერთადერთი უიკენდი გოგოსთან ერთად. კლემანტინამდე. მერე აღარასოდეს მქონია. ფუნთუშები თაბაშირის ნამსხვრევებთან ერთად დილაობით. მე ისე მძულდი, მამა, ისე ძლიერად მძულდი. ისე ადვილი იყო შენი დადანაშაულება. შენ არც კი იცოდი, რომ ჩემს წიგნში იყავი. რომ ის შენი ცხოვრება იყო და რომ შენ ჩემთვის მხოლოდ ქაღალდზეღა იარსებებდი. უარს იტყოდი ხმაზე, დაბერებაზე, საყვირზე დაკვრასა და სუფრასთან ხვრინვაზე. ბრძმედში დამწვარი ცხოვრება. ბრძმედში, რომელსაც აღმერთებდი, რომელიც შენი სიამაყე იყო. ბოდიში, მამა. ბოდიში, შემდეგ რაც მოხდა, იმისათვის, ბოდიში სადგურისათვის. ცუდად ვარ.

საღამო.

სიცხემ ამიწია. ვალერია მივლის. მე ველარ წავიკითხავ. ნეტავ გამიაროს ამ სიცხემ. სირცხვილის დღე. ორმაგი სირცხვილის დღე.

ის-ის იყო დამნიშნეს კეში ტელექსების სამსახურში ფუნქციონერად. დიპლომატი. რაღაც მქონდა მათთვის საჩვენებელი, ბოლოს და ბოლოს მე რაღაც ვიყავი, მე ტყუილ-უბრალოდ არ წავსულვარ სახლიდან. მათ მატარებლის ბილეთები გავუგზავნე. ნამდვილად იზეიმებდნენ „მონადირეების საყვირში", მამის რესტორანში. მისი ერთადერთი პარიზული მოგონება, მისი ღამე დედაქალაქში 39-ში, ფრონტზე წასვლის წინ. მატარებლით ჩამოსვლა და მატარებლითვე წასვლა. ოთხი წელი ტყვედ, შემდეგ დაბრუნება მატარებლით. ოცდათექვსმეტი კილომეტრი. მათ სადგურში ველოდი. შესარიგებლად. ამჯერად ეს ბედნიერების მატარებელი იყო — ჩემმა ვაჟმა წარმატებას მიაღწიაო.

მანქანების გაჭედვა ქუჩაში, შეჯახება, აქტის შედგენა. ნახევარი საათით დავიგვიანე. როცა ისინი დავინახე, ორივე წითური, მსუქანი, საკვირაოდ გამოწყობილნი: უჯრულა პიჯაკი, მეზობლისაგან ნათხოვა-

---

1. მანქანის მარკა.

რი ბეწვის პალტო, ერთხელ უკვე ნახმარი ჩემი ძმის ქორწილში. მეტი აღარ შემეძლო. ყვითელი ხელოვნური ტყავის ჩემოდანი კექსებით სავსე, მისი კექსებით. ფეხის გადადგმა, მათკენ წასვლა შეუძლებელი იყო, თავს ძალა ვერ დავატანე. მეშინოდა მათი სიბრაზის, მათთვის ბოდიშების ხდის. ბოდიში, რომ დავიგვიანე. ბოდიში, რომ ვცოცხლობ, რომ სხვა რამის გაკეთება მინდა, რომ წერილებს არ გწერთ, რომ პარიზელი ქალიშვილი შემიყვარდა. ისინი ყვიროდნენ, ერთმანეთს ეკამათებოდნენ, მოწმედ რკინიგზელს უხმობდნენ, რომელიც მხრებს იჩეჩდა. არ ვინძრეოდი, აღარ ვსუნთქავდი. ჩემს თავს თამბაქოს მაღაზიის ვიტრინაში ვხედავდი. სამგროშიან კოსტიუმში, მრგვალი სათვალეებით. მე? ბიუროს ეს რაღაც უნიფორმა, ეს მკვდარი ოცნება, ეს მაგრიტის პერსონაჟი? მე მწერალი, ჟერარ დე ნერველის ტიპის შეყვარებული, ლოტარინგიის მომღერალი, თავისი ხელნაწერი რომ ბერნარ ლავილიერს ჩააბარა, სამჭედლოდან გამოსულს, ჩვენს გმირს, ჩვენს მეამბოხეს, ომის დროის მემუარებით ჩამოკონწიალებული საყურით. ესაა, რაც გავხდი? საკიდი, კოსტიუმი რომ ჰკიდია? მე არ გავინძერი, არ დავუძახე, იქ დავრჩი, როცა ისინი მეორე ბაქანზე გადავიდნენ, თან ჩემოდნებს მიათრევდნენ, რომ მატარებელზე ასულიყვნენ. მამა იგინებოდა. დედა ტიროდა. კექსი გადმოვარდა ჩანთიდან. არ გავნძრეულვარ. ორმაგი, ორმაგი სირცხვილი: როგორი გავხდი, მათ რომ არ ვმგვანებოდი.

როცა მეცის მატარებელი გაუჩინარდა, მისი წითელი სინათლეც გაქრა, წავედი და კექსი ავიღე. შევინახე, შეჭმა ვერ გავბედე. ის ისევ მალეზერბის ბულვარზეა, ჩემს კედლის კარადაში. კლე უთუოდ გადაგდებს.

ხელი ძალზე მიკანკალებს. ყველაფერი ვთქვი. მე ვერ შევძლებ მათ სიყვარულს მათი სიკვდილის შემდეგ. მაგრამ მე თუ პირველი წაველ ამქვეყნიდან? სალამოს დავრეკე უკანჟში. ვწუხვარ, ლიბანში ვარ, აუცილებელი მისიაა, ვერ შევძელი წინასწარ გაფრთხილება, საშობაოდ ჩამოვალ. ჟან-პიერი. პაუზა და მერე: მამაშენმა კარგად იცის, რომ ჩვენი გრცხვენია. მისთვის ეს არ უნდა გაგეკეთებინა. მოგვეშვი, გვაცხოვრე მშვიდად, ასე უკეთესი იქნება. იცხოვრე შენი ცხოვრებით.

ჩემი ცხოვრება!

ისე მოახერხეთ, რომ წამიკითხონ!

სამი დღეა აღარაფერს იწერს ბლოკნოტში. მარჯვენა ფეხი ისევ უსივდება იმ ადგილას, სადაც ზღვის დრაკონმა უკბინა, და ფეხსაცმლის ზონარს ველარ ვუკრავთ. იგი სულ ავადაა თავისი ალერგიისა და სანელებლების გამო, რომლებსაც ისევ სანსლავს აქაური იერის მისაღებად. მისი სახე უზარმაზარ მზეს ჰგავს, მაგრამ მიუხედავად ამისა მაინც ახერხებს ფერმკრთალი იყოს. ხუთი კილო მაინც დაიკლო. მაგრამ ეს შეიძლება სიყვარულის გამოა.

შევეჩვიე ლენდ-როვერში ძილს, კარავი მათ დავუთმე. ვალერია არაფერს მეუბნება იმის თაობაზე, რაც მათ შორის ხდება, მეც მზერას ვარიდებ, როცა მისი ნათურა მათ ჩრდილებს ხატავს კარვის კალთებზე. სხვათა შორის თითქმის აღარ ლაპარაკობენ. ვუყურებთ ერთმანეთს, მივდივართ მანქანით, ვბანაკდებით. და მე მარტო ვარ ამ

ქვიან უდაბნოში ღია წითელი მზის ამოსვლიდან თოვლიან მწვერვალებზე ფორთხოხლისფერი მზის ჩასვლამდე. ფეხები გვერდითა კარისკენა მაქვს გაჭიმული. ესაა ყველაზე უფრო ცარიელი სიჩუმე, როგორიც ოდესმე დამდგარა ჩემთვის. დღეში ორჯერ მას ტურბოს ხმაური არღვევს: უდაბნოს ლაინერი ჩაივლის ხოლმე ასი მეტრის სიჩქარით საათში და კვალს ტოვებს, მიიჩქარის, რომ თავისი ტვირთი მიუტანოს ფუფუხელა ნების მოყვარულ მოგზაურებს.

ერთ დღეს შავი კლდის ჩანჩქერთან ჩვეულებრივ ამომავალი მზის ცქერით ვიყავი გართული, გუშინდელ მზის ამოსვლას ვადარებდი. ვალერია ფეხშიშველი გამოვიდა კარვიდან, მანქანის სარკეში დავინახე, მივიდა ჩანჩქერთან, გრძელბეწვიანი შალის თავშალი ეხვია. ეს არ იყო სიყოჩაღე, ეს ყველაფრისადმი უინტერესობა იყო. ცივი ქვები მასზე ისევე ვერ მოქმედებდა, როგორც მამაკაცის სხეული. წყალი დალია, მთებს ახედა, მხრები აიჩეჩა და მობრუნდა. მანქანის პარპრიზიდან მღვიძარი რომ დამინახა, ჩემკენ წამოვიდა. ჭრიალით გააღო მანქანის კარი, ტუჩზე ხელი მიიდო, თითქოს ამით ჭრიალს შეაჩერებდა. მინდოდა მასთან ლაპარაკი, თუნდაც გამარჯობის თქმა. გვერდზე თავდახრილმა შემომხედა, ამოიოხრა. ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს თავს ეკითხებოდა: აქ რა ჯანდაბა მინდაო, რატომ დავთანხმდი წამოსვლაზეო და მართლა აუცილებელია ჩვენი აქ ყოფნა ამ განთიადისასო.

— რა მშვენიერი ფერებია, — ვუთხარი მისი მზერით შეწუხებულმა.

მან დაასრულა ჩემი შარვლის ღილების გახსნა და ლოყა ისეთი სინაზით მომადო, რაც ადრე არასოდეს უქნია, თითქოს ალერსს ეძებდა ჩაძინების წინ. მერე ტუჩებით დიდხანს მეფერა, სანამ მზე მთლად არ ამოიწვერა თავისი მთებიდან და პარპრიზზე დიდი ბურთივით არ გამოგვეცხადა. ეს ქვეყნიერების დასასრულამდე რამდენიმე წამით ადრე გაჩენილ იმედს ჰგავდა, რაღაცის დასაწყისს, რომელიც თითქოს არც იცი, რაში გამოგადგება, ბედნიერების დაბადებას, იმწამსვე რომ შეწყდება. ისე დამეუფლა, არც კი შემოუხედავს. დახურა მანქანის კარი და კარავში დაბრუნდა. ეტყობა, ამით ძალა მოიკრიბა ჟან-პიერთან სასიყვარულო კომედიის თამაშის გასაგრძელებლად. მე უკვე აღარ ვიყავი დარწმუნებული, რომ ნამდვილად ის მინდოდა, რაც ვირჩიე, მაგრამ უკანდახევა უკვე გვიანი იყო. ვალერია ყოველ დილით გვიდგენდა მარშრუტს, რაიც უფრო და უფრო გვაშორებდა ცივილიზაციას. ეს ირგვიზის მიახლოების ერთადერთი საშუალება იყო. ავდიოდით უღელტეხილზე და ისევ უკან ვეშვებოდით დღეში ათჯერ მაინც. ჩვენი ცხოვრება მანქანაში შეიკუნჭა. სამივენი წინ ვისხედით ერთმანეთს მიჭეჭყილები, თბილი გადასაფარებლის ქვეშ, რომ არ გავყინულიყავით. გათბობა აღარ ირთვებოდა მას შემდეგ, რაც ჟან-პიერმა მისი დარეგულირება მოინდომა. კაპოტი ახადა, ხელში ინგლისური გასაღები ეჭირა, კბილებში — ხრახნისი, და გვიყვებოდა, ათი წლისამ როგორ დაშალა ლოტარინგიაში კარბურატორი, მერე დაახველა და, სანამ სასუნთქ გზებს იწმენდდა, ძრავაში ჩავარდნილი ხრახნისის მოძებნა გახდა საჭირო.

სულ უფრო ხშირად გვიყვებოდა ლოტარინგიაზე, თითქოს პარიზულმა ცხოვრებამ და ცოლთან გაყრამ ბავშვობას დაუბრუნა — თავის

საწყის პუნქტს. მივუყვებით ვერტიკალურ გზას, ვკვეთთ ველებს, ვჯანჯღარებთ არაფრის საძებნად, გვესმის ბრძმედის გუგუნი, საყვირის ხმა, სირენები, გამდნარი ლითონის დინება ყალიბებში და კაცების მეგობრობის ამბავი ათას ხუთას გრადუსზე. მთელი ეს უცნობი სამყარო ბაღის გადაღმა იწყება. პატარა ქოხმახებთან მიჭეჭყილი სახლი. ყველა ერთდროულად იღვიძებს, ყველას საერთო მომავალი აქვს, საერთო სკოლა, საერთო გაფიცვა და საერთო მოლოდინი, როდის დაიკეტება ქარხანა, ადგილიდან აყრილი ხალხი და დაღუპული ცხოვრება, ჟან-პიერი ამბობს, რომ საფრანგეთის მთავრობამ გერმანიას მიჰყიდა ლოტარინგია სასიკვდილოდ, რათა რურმა იცოცხლოს. აღარ ვიცი, რომელ ოცნების სამყაროში ვიმყოფებით, წარმოსახვითი ხეობისკენ მივდივართ თუ წარსულის სამჭედლოსკენ. ვალერია მანქანას მართავს ინდიფერენტულად, დღისით მძღოლი და ღამით საყვარელი, თავის მარშრუტში დარწმუნებული, ვერსადაც რომ ვერ მიგვიყვანს.

მერე მოგვიხდა ავარია ორ ათას მეტრზე. ქარი ხან ქვიშას გვაყრიდა, ხან თოვლს. სამი საათის განმავლობაში ვცდილობდით მანქანის შეკეთებას, მაგრამ დაშლილი ნაწილების ხროვისა არაფერი გაგვეგებოდა. ჟან-პიერს დაავიწყდა, მე კი მხოლოდ ავტორადიოების მოპარვა ვიცოდი. ვალერია ცარიელ მიდამოში გაჰყვიროდა და შველას ითხოვდა. კარვის დადგმას შევეცადეთ, მაგრამ ქარმა მოგვტაცა. კონსერვები ხელუხლები გვქონდა, თუმცა გასახსნელი დაგვეკარგა. ბედი ჩვენ წინააღმდეგ შემოტრიალდა. ჟან-პიერი კი მიუხედავად ბრონჰიტის, სიცხისა და ფეხში შეჭრილი ინფექციისა მაინც ბედნიერ ნიშანს პოულობს. მისი აზრით, ირგეზს ვუახლოვდებით, ესმის გრდემლის დარტყმის ხმა, ნაცრისფერი კაცები ელემენტებს ჯაჭვებით უშვებენ ჩვენთვის და რაღაცას გვანიშნებენ. მეგონა, გაგიჟდა-მეთქი, მაგრამ ეს უარესი იყო, ბავშვობაში ჩავარდა: ვალერიას „აგნესს“ ეძახდა და იმასაც ისეთი იერი ჰქონდა, თითქოს იცოდა, რატომ ეძახდა ასე, არ უსწორებდა. მანქანის უკანა სკამზე მივწექით, ყველაფერი, რაც გაგვაჩნდა, დავიფარეთ. როცა ჟან-პიერი ძილში თავის სიზმრებს დაუბრუნდა, ვალერიამ მითხრა: მორჩა, უნდა შევწყვიტოთ თამაში, როგორც კი ქარიშხალი ჩადგება, ბუგუელში უნდა დავბრუნდეთ, იქ დღეში ორჯერ უდაბნოს ლაინერი მოდისო. მე უარი განვაცხადე, არ შემიძლია ირგეზის უპოვნელად დაბრუნება-მეთქი. აყვირდა: შენ მთლად გააფრინე, ჟან-პიერი ავადაა და სასწრაფოდ უკან დაბრუნება და დახმარებაა საჭირო. ვუპასუხე, შინ არავინ და არაფერი ელოდება, მისი ცხოვრება აქ თამაშდება და ჩვენც ბოლომდე უნდა ვითამაშოთ, უნდა ვაჩვენოთ ირგეზი, რათა თავისი წიგნი დაასრულოს-მეთქი. ველარაფერი მითხრა. პიჯაკში გამოვეხვიე, კარისკენ მივიწიე და დავინახე, რომ თოვლიანი ქარიშხალი ღამედ გადაქცეულიყო.

დილით კარგი ამინდი დადგა. ვალერია არ ჩანდა. მე კლდის ქიმს მივადექი. ფეხქვეშ ყინული იმსხვრეოდა და უზარმაზარ უფსკრულში ინთქებოდა. ხეობიდან უდაბნოს ლაინერის ხმა მოისმა, ერთი წამით გაჩერდა და ისევ წავიდა. უეჭველია, ჩვენი გიდი წაიყვანა. მან მოგვცა, რასაც ველოდით, მეტის გაკეთება აღარ შეეძლო. ასე უკეთესიც იყო.

რომ მივბრუნდი, ჟან-პიერი თოვლში მიაბიჯებდა, ფეხს თოვლზე მიითრევდა, ეტყობა, ისე აღარ აწუხებდა. წამოვეწიე. სიცხისაგან თვალები უპრიალებდა, ველარ მხედავდა. თითი გაიშვირა:

— ის იქაა.

დავეთანხმე.

ღიმილით გაემართა ნაპრალისაკენ. რამდენიმე მეტრის [illegible] ბით კი წაიქცა და ველარ ადგა. დავეხმარე, მთელი სხეული უცახცახებდა, თუმცა გეგონებოდა, ბედნიერებისაგანო.

— კვირაა... მაინც...

— დიახ.

— შვიდი დღე, აზიზ. რვა ჩამოსხმა დღეში, მსოფლიოში ყველაზე წმინდა ნადნობი. ისეთი წმინდა, რომ ათობით სხვადასხვა მეთოდით ამუშავებენ. ელექტროხაზები სიცილს მგვრის. შეხედე, ელექტროღუმელში გამომდნარი რკინა ჩვენსას ვერასოდეს შეცვლის. მოდი!

მისი ხელი მხარზე გადავიდე, შევებრჯინე და ასე მივიყვანე სამჭედლოს შესასვლელთან, სადაც სილრმეში, სინათლის შუქზე ირგებიზის ჭადრები, მიწისქვეშა ნაძვები და პრეისტორიული ცხენები შევამჩნიე წყაროს გარშემო, სადაც ქალი ბანაობდა და მღეროდა.

— გაიგონე, ჟან-პიერ?

— დიახ.

ჩვენ ერთი და იგივე ქალი არ გვიყვარდა, თუმცა სიმღერა კი ერთი და იგივე იყო. თოვლის სიცივემ და დამაბრმავებელმა მზემ შეგვაკავშირა ნაპრალის პირას.

— მშვენიერია, — ვთქვი მე.

— დიახ. აღარასოდეს არ წავალ აქედან.

— ჰო, სწორი ხარ, შენ დაბრუნდი.

მადლობა გადამიხადა და წყნარად ჩაცურდა თოვლში ღიმილით. მერე ღიმილი გაქრა.

მანქანამდე მივათრიე. ჯიბიდან შავი ბლოკნოტი ამოვუღე, დასველებულიყო და ცოტა ხნით კაპოტზე დავდე გასაშრობად. ჩანთიდან ქაღალდები ამოვალაგე — ჩემს დოსიეზე დაწერილი რომანის დასაწყისი და დიდი რვეული, რაზედაც ლოტარინგია იყო დაჩხაპნილი, მისი ბავშვური ხელნაწერის ასი გვერდი. ეს ყველაფერი მუცელზე ქამრით მივიმაგრე. მერე ქვით თევზის კონსერვის კოლოფი გავტეხე, ვჭამე, ზეთიც მივაყოლე, ცოტა ძალა რომ მომმატებოდა, მხრებზე შევიგდე პატარა სხეული, ჩემი გულის გარდა აღარაფერს რომ აღარ ამძიმებდა, და ბილიკს გავუყევი, ყოველ ათ წუთში ვჩერდებოდი და ველაპარაკებოდი, ისეთი გრძნობა მქონდა, რომ ის, მისი სული, მისი მოგონებები აქ სადღაც, ჩემ ახლოს იყო. არ ვიცი, როგორ გამოვთქვა, მაგრამ მის თანაყოფას ვგრძნობდი. მეგობრობის სითბო მამხნევებდა და მეუბნებოდა: მიდი, მიდი, მართალი ხარ, კარგად მოიქეცი, ასე განაგრძე. ეს ალერგია მთელი ცხოვრება ნელ-ნელა მაშორებდა საკუთარ სხეულს, რათა ჩემს ოცნებად ვქცეულიყავი. განაგრძე, აზიზ, ბოლომდე მიდი, დაამთავრე ჩემი ამბავი, მე შენ გაგიძღვები. შენ მართალი ხარ, მე მართლა შენი მგზავრობის მეგობარი ვარ.

რამდენიმე საათის შემდეგ დიდი ძველი დანჯღრეული ამერიკული მანქანა შემომხვდა, ვალერია გადმოხტა და იკივლა:

— ხედავ?!

მე არ შევეპასუხე. მამამისმა ცალი თვალი გააxილა და გადმოვიდა ჩვენ დასახმარებლად. მომჩვარულ მთას ჰგავდა [illegible] შეკრულ ლურჯ ხალათში. სახეზე ხორცი ისე ჩამოჰკიდებოდა, [illegible] მთების ნაკეცებს ჰგავდა. ნიადაგ ლოთობისგან ხელები უცახცახებდა. თავი წინ მოქახაობდა, ფეxს თითქოს მოათრევდა. ნაღვლიანი ბოxი xმა ჰქონდა:

— ფრთxილად, გეორგინებია!

მივწი-მოვწიეთ ყვავილების ქოთნები ორანჟერეად გადაკეთებულ ექსსასწრაფო დახმარების მანქანაში, რათა ჩემი ატაშეს გალიგვებული სxეული დაგვემალა სუროსებრ ფოთლებში. მამამისი მxარზე დამეყრდნო, ძარის კარი დახურა და მითxრა:

— ამას მე მოვუვლი. შენ ტაბანტში დაგტოვებ. უარზაზატის ავტობუსი ორიდან ოთxამდე ჩამოივლის. არავის უნახიxარ, გვამს ვერ იპოვნიან, შეკითxვა რამდენიმე კვირის მერე თუ მოვა. ფული გაქვს?

ვუპასუxე, რომ თxუთმეტი ათასი ფრანკი დამრჩა მისიის თანxიდან და რომ მე არ მივატოვებდი ჩემს ატაშეს.

— მისმინე, ძველო, გაქრი, შეეცადე დაგივიწყონ, გაიგე?

— გააკეთე, რასაც მამა გეუბნება, — ჩამჩურჩულა ვალერიამ.

მანქანის უკანა ფანჯრიდან ვxედავდი ჩემი მეგობრის სუროშემოxვეულ ფეxს. ცxოვრება გრძელდებოდა.

— მინდა მის სახლში ჩავიყვანო, — ვთქვი.

ერთმანეთს შეxედეს. ვალერიას ძალxე გამოშტერებული სახე ჰქონდა, მაგრამ არა გაოცებული. მამამისის მუშტი მოxვდა კაპოტს და კაცმა თუ კაპოტმა რკინისებრი xმა გამოსცა:

— კისერიც გიტეxია!

ღრიალმა წონასწორობა დააკარგვინა და რადიოს აქანავებულ ანტენას მოეჭიდა. ვალერიამ აფთიაქარის სიფრთxილით ჩასვა მანქანაში და ფეxები შეუკეცა, მxრუნველი xელი ჩააცურა მის კეფასა და მანქანის კარს შორის. შვილს არ გაუჯიუტდა, ნება მისცა მისთვის მოევლო, მაშინვე დამშვიდდა და თვალები ბედნიერი ღიმილით მოეჭუტა. ვალერიამ კარი დახურა და ჩემკენ მოტრიალდა. სანამ პირის გაღებას მოვასწრებდი, უxეშად მესროლა:

— ფანტასტიკური კაცია. გენიალურ რაღაცებს აკეთებს, გიკრძალავ მის განკიცxვას! კაცმა არ იცის, ვის რა ელის ცxოვრებაში. ეს მისი ბრალი არაა.

ვუთxარი, რომ ყველაფერი მესმოდა. იგი მკლავებში შემომიძვრა და შორს გამიტაცა. ტიროდა. მინდოდა მელაპარაკა, მომესმინა, ჩვენთან ერთად საფრანგეთში წამეყვანა, მაგრამ ვგრძნობდი, ეს შეუძლებელი იყო.

— ეს რა ვქენით, აxიxx... რა ვქენით...

ჩურჩულით ვუთxარი, რომ მას არაფერი არ უქნია და სულაც არ იყო ვალდებული დამxმარებოდა.

— შენ, შენ კი მარტოკა როგორ გამოძვრები ამ ამბიდან, შუაგულ ატლასში?

დუმილს მივეცი ნება ჩემ მაგივრად გაეცა პასუხი.

— მარსელში გინდა დაბრუნება?

— არა, პარიზში უნდა ჩავიყვანო.

კარგიო, მითხრა. ქარი უწენდა სილით სავსე თმას, სათვალეებზე ჩამოვარდნოდა. ძალიან მინდოდა ჟან-პიერზე ედარდა ან ჩემზე ყოფილიყო შეყვარებული — პრინციპში ეს ერთი და იგივე იყო.

— იცი, მას უყვარდი, — ვუთხარი მე.

— ვიცი, ოღონდ სხვა სახელით, მაგრამ გვეყო...

— აგნესი?

— აგნესი.

— კლემანტინზე გელაპარაკა?

— თავიდან კი, ცოტა, მერე აღარ.

— სიამოვნება თუ იგრძენი მასთან?

— ეგ შენი საქმე არაა.

ეს საუკეთესო პასუხი იყო. ეს თანხმობას ჰგავდა. უეცრად მკითხა:

— ვინაა აგნესი?

ვუპასუხე, შენი საქმე არაა-მეთქი, არ მინდოდა გამოვტყდომოდი, რომ არ ვიცოდი. ჩვენ ორს გვახსოვდა ჟან-პიერი და ყველაფერს, რასაც ვმალავდით, საიდუმლო საფარველში ვხვევდით მხოლოდ იმიტომ, რომ მისთვის რაღაც მოგვემატებინა, რაღაცით გაგვემდიდრებინა მისი პიროვნება. ვალერიამ მკითხა, კათოლიკე იყო თუ სხვა აღმსარებლობის, ლოცვა უნდოდა წაეკითხა. ჩემი აზრით კი, როცა ერთ დღეს მე და ვალერია ერთმანეთს შევხვდებოდით და სიყვარულს მივეცემოდით, ეს იქნებოდა ჩვენი ყველაზე კარგი ლოცვა. მან არაფერი მიპასუხა, ერთმანეთს ხელი ჩავჭიდეთ და ისე მივედით მანქანამდე.

— მე მას „ევროპ ასისტენსს"[1] მოვუხერხებ, — ისროლა მამამისმა ჩაწეული ფანჯრიდან, ხელში თერმოსი ეჭირა, საიდანაც ის-ის იყო დალია და უკეთ სუნთქავდა. სრულიად შემთხვევით ვთქვი, რომ მეფის წერილი და საშვი მქონდა.

— მერე და მოიტა.

მას ჩემი ჰუმანიტარული გაძევების საბუთები გავუწოდე. ფანჯარა ასწია და მათ შესწავლას შეუდგა. ვალერიამ მადლობა გადამიხადა, მითხრა, რომ მამამისისთვის აუცილებელია თავი ისევ საჭირო კაცად იგრძნოს და ძველ სამყაროს დაუბრუნდეს. მე არაფერი მიკითხავს. ჩემი საქმე არაა, საიდან მოდიან ან ვინ არიან ეს ადამიანები, იმ შემთხვევის გარდა, როცა თვითონ იწყებენ ამაზე საუბარს. ვალერია და მამამისი სულ სხვა ისტორიაა, სადაც მე არ მაქვს ადგილი, სადაც მე არავის ვჭირდები.

როცა კარი გაიღო და ვუთხარი, რომ ძალიან მადლობელი ვიყავი დახმარებისთვის, მიბრძანა მანქანაში ჩავმჯდარიყავი და ლაყბობისთვის

---

1. სადაზღვევო კომპანია, რომელიც მგზავრობის ხარჯებს იღებს თავის თავზე.

თავი დამენებებინა, თან დააზუსტა, რომ ვერასდროს ვერავინ ვერ წაართმევს მას ქალიშვილს. ერთი მხრივ ეს მართალიც იყო, ამიტომაც არაფერი მიპასუხნია. ვალერიამ სევდიანად შემომხედა, რათა დაენახა, გავიგე თუ არა, რას გულისხმობდა სინამდვილეში მამამისი. ვალერია საჭესთან ზის. მამამისი მის გვერდით, მე უკან. მშრალ-მდინარეს გადავდივართ, ვინჯღრევით ქვიან გზაზე. ჩემი მეგობარი ფეხებით მიჭირავს. ცხოვრება ხანდახან უცნაურ სახეს იღებს, როგორ გამოვთქვა, და მის თანაარსებობას ისევ ვგრძნობ. უეცრად გიჟური იმედი ამიკიაფდა თითებით ჩაჭიდებულს ამ გაყინულ ფეხსაცმლებს, იმედი იმისა, რომ ვალერია ფეხმძიმედაა ჟან-პიერისგან და რომ ორი წინ მჯდარი ადამიანი ერთად გაზრდის ობოლ ბავშვს არაჩვეულებრივი მამის ხატით, ვინც ნაცრისფერი ადამიანების ხეობა აღმოაჩინა. ვალერია ჩემს მზერას იჭერს სარკეში, მიღიმის და არც იცის, რარიგ მჯერა მისი.

მარაკეშის ადმინისტრაციულ შენობაში ექიმმა დ'არმერეიმ შეავსო გარდაცვალების ცნობა და კიდევ მთელი გროვა ქაღალდებისა არაბულად. ვუყურებდი, რა სიამაყით შესცქეროდა ვალერია მამას და მეც სიამაყით ვივსებოდი. გამართული ნაბიჯით, ნიკაპწამოწეული მომიახლოვდა ბატონი დ'არმერეი. ქაღალდები გადმომცა და განმიცხადა:

— კარდიალური კრიზი.

მადლობა ვუთხარი. მისთვის ჩვეული ხელის ამაყი მოძრაობით მანიშნა, სამადლობელი არაფერიაო, მერე მკლავზე ხელი მომკიდა, მეორე ხელში „საფრანგეთის რესპუბლიკაში" გახვეული მთელი ცხოვრების მანძილზე დაგროვილი და დაზოგილი თანხა ეჭირა.

— „დიპლომატი" ხომ არ გიხდა? — შემომთავაზა მან.

ვერ მივხვდი, რისი თქმა სურდა. ვალერიამ ჩემ მაგივრად უპასუხა, არაა საჭიროო. მხრები აიჩეჩა და ცოტა ნაწყენი მიტრიალდა, რათა მოხელეები აეჩქარებინა ამ რუტინული სამუშაოს დასამთავრებლად. ისინი მის გარშემო თავაზიანად ტრიალებდნენ. ეტყობა, ადრე ფრიად მნიშვნელოვანი ფიგურა იყო, ან ძალზე მდიდარი. მისიის თანხის ნაწილი დასურულ კუბოსა და აუცილებელ ლუქიან ბეჭდებზე დაიხარჯა. შემდეგ გზას გავუდექით, ჟან-პიერი კი აეროპორტისკენ შესაბამისმა სამსახურებმა წაიღეს, როგორც ოფიციალური ტვირთი. ბეჭდიანი ქაღალდების მიხედვით მე აზიზ ქამალი ვიყავი, საფრანგეთის საკონსულოს სპეცგამ ოლი. უფრო ადვილად წავა საქმე საბაჟოშიო, ამიხსნა ექიმმა. ჩემს გვერდში შეცდომა იყო, მაგრამ არ მეგონა, თუ ეს ხელს შემიშლიდა.

ავტოების სადგომზე ექიმმა დ'არმერეიმ, რომელიც სულ გააახალგაზრდავა საბუთების წერამ, უცნაური საქციელი ჩაიდინა: გააღო თავისი ჯაბახანის ძარის კარი და ყვავილების ქოთნები სათითაოდ გადმოყარა ეზოში, სადაც ისინი გოგრებივით დასკდნენ, ისე რომ მიწა და ყვავილები ფაფასავით აიზილა.

— უკვე ათი წელია ამ სისულელეს ვაკეთებ! — მითხრა მან და კარი დახურა.

მერე გულზე მაგრად მიიკრა თავისი ქალიშვილი და თვალებით მადლობა გადამიხადა.

მე და ვალერია საკონტროლო ბარიერთან დავცილდით ერთმანეთს. მამა მანქანაში დარჩა. ვეძებდი გამოსამშვიდობებელ სიტყვებს, აქ, ამ აჩქარებულ ადამიანებს შუა სულელურად შევყურებდით ერთმანეთს ხელიხელჩაკიდებულნი, რათა გამომშვიდობების წუთი შეგვეყოვნებინა ან შეყოვნება გაგვეგრძელებინა. ყველაფერი, რაც ერთმანეთს ვერ ვუთხარით, ჩვენს თვალებში იკითხებოდა: ყველა გაუგებრობა, მწუხარება, სიხარული, მთავარი და წვრილმანი ამბები. ბოლოს კი, როცა უკვე ნამდვილად უნდა ჩავმჯდარიყავი თვითმფრინავში, მან უბრალოდ მკითხა:

— კარგი იყო ირგჰიზი?

— ძალიან, — წავიჩურჩულე.

და ჩვენი ცხოვრება სხვადასხვა გზით წავიდა. არაფერს შევპირებივართ ერთმანეთს, მაგრამ ის ბედნიერება კი გვქონდა, რომ გამომშვიდობება არ ჩავიშხამეთ, ვიცოდით, რომ სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე ხელუხლებლად შევინახავდით იმას, რაც ერთმანეთში შევიგრძენით და ეს კარგი იყო.

თვითმფრინავში რომ ჩავჯექი, ცრემლებს ძლივს ვიკავებდი. ცრემლები კუბოს მიეკუთვნოდა.

ორლი-სუდის აეროპორტში რეპატრიაციის საქმეთა მწარმოებელმა მკითხა, რომელ პოსტს დავუკავშირდე კე დ'ორსეიშიო, რომ იქ უკვე გაფრთხილებულნი იყვნენ და რომ პასუხისმგებელ პირს გამოგზავნიდნენ. მოხელე პასუხით დაკმაყოფილდა და ასეთი შემთხვევებისთვის განკუთვნილ ავტოსადგომზე მიმითითა. დავემშვიდობე და ტუალეტში წავედი ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასასვლელად. როცა გამოვედი, ის იქ უკვე აღარ იდგა. დავრეკე ცნობათა ბიუროში, რომელმაც „ალლო ფრეტის"[1] ტელეფონი მომცა. ერთი საათის შემდეგ მოვიდა პატარა საბარგო მანქანა. მტვირთავებმა გადაყარეს თავიანთი საღეჭი რეზინები და კუბო მანქანაში დადგეს.

— მალზებერის ბულვარი 117, — ვუთხარი მე.

მათთან ერთად კაბინაში ჩავჯექი. უხმოდ მივდიოდით, მომისამძიმრეს და მეც მადლობა მოვახსენე. პარიზი მოწყენილი და უსახური იყო. წვიმდა, ჰაერი არ იძვროდა. მე ისევ ატლასზე ვფიქრობდი, არ შემეძლო მისი მიუდგომლად განსჯა. შემდეგ მუხლზე დაყრდნობილი ვწერდი ახსნა-განმარტებებს, გვერდებს ვავსებდი და ერთი მეორეს მიყოლებით ვხევდი. თვალწინ დამიდგა ჟან-პიერი, თვითმფრინავში წერილს რომ წერდა და თან სიტყვებს წამდაუწუმ ხაზავდა. კლემანტინი ნამდვილად არ იყო ის ქალი, ვისაც ადვილად მისწერდი წერილს. ვერაფერი მივწერე და გადავწყვიტე პირისპირ დავლაპარაკებოდი.

სახლი ძველებური იყო, ძალიან პატარა ლიფტით, რომელშიც ჟან-პიერი არ დაეტია. მტვირთავები კიბეს აუყვნენ, მე კი დასაზვერად ლიფტით ავედი. მეოთხე სართულზე მარცხნივ დავრეკე ზარი — მშვენიერი ზარი იყო, ორმაგი კარი, სქელი ხალიჩა და კედლებზე ძვირფასი ჩირაღდნის ფორმის ბრები. სავიზიტო ბარათი ოქროს ჩარჩოში იყო შეცუ-

---

1. ტვირთის გადამზიდავი ოფისი.

რებული: „კლემანტინ მორეს-შნეი". წარწერა რომ ოდნავ მარჯვნივ ჩაგეწია, ჟან-პიერის გვარი მთლიანად გაქრებოდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ კარი სააბაზანო ხალათში გამოწყობილმა კაცმა გამიღო. შეწუხებული ჩანდა. ამას კი არ ველოდი, წავიბურტყუნე, ბატონი შნეიდერის მეგობარი ვარ-მეთქი, ისე შემომხედა. როგორც თავის მანქანაზე განაკაწრს, შეტრიალდა და ... ტინტინ!". ქალბატონი შნეიდერი ჩალისფერ აბრეშუმის ხალათში გამოვიდა, გამოვიდა თვალებშეშუპებული, დაძაბული. კაცს მოკლედ შეჭრილი თმა და ოთხკუთხა ყბები ჰქონდა, დოინჯშემორტყმული იდგა. თავისი ლაზერსონის ავტორადიო პალტოების საკიდთან ედო, ჩამოკიდებული საწვიმრის ქვეშ.

— რა ხდება? — იკითხა ქალმა.

შევხედე ამ წყვილს და გადაწყვეტილება სამ წამში მივიღე. კლემანტინს ვუთხარი, კარი შემეშალა-მეთქი, მივბრუნდი და კიბეს დავუყევი. მესამე სართულზე მტვირთავები შემომხვდნენ, ვთხოვე მოტრიალებულიყვნენ და ისევ ქვევით ჩავიტანეთ ჟან-პიერი.

როცა საბარგო მანქანის კარი დაიხურა, მათ საფრანგეთის რუკა ვთხოვე. საბედნიეროდ, უკანეი მართლა არსებულა. ისე რომ მალე ვიპოვე იგი აღმოსავლეთით ტიონვილის გვერდით, რომელიც შავი მსხვილი ასოებით იყო აღნიშნული. სუნთქვას ძლივს იბრუნებდნენ, უკმაყოფილოებმა მითხრეს, რომ მათი მომსახურეობის სფერო პარიზის გარეუბნებს არ სცილდებოდა. მაშინ ამოვიღე გაზეთში გახვეული ჩემი შეკვრა, გადავუხადე ფული და ბინოს გარაჟში მივაყვანინე თავი, სადაც განცხადების მიხედვით, დაკეცილ გაზეთში რომ ამოვიკითხე, მისიის დარჩენილ თანხას 1980 წლის C 35 სიტროენის სატვირთო შეესაბამებოდა.

ფანჯრები ვაშლის ხეებს გაჰყურებს, რომელთაც უკანასკნელ ჭვარტლს ქარი აცლიდა. ოთახში ყველაფერი „იმავე მდგომარეობაში" დარჩენილი დამხვდა: მელნით დასვრილი ლოგინის გადასაფარებელი, ჩამწკრივებული საბეჭდი მანქანები, წიგნების თაროზე ხელუხლები ჩანაწერების რვეულები და მოსწავლის გაპრიალებულ მაგიდაზე ჩარჩოში ჩასმული აგნესის ფოტო: წაბლისფერთმიანი გოგონა იდუმალი ღიმილით ახლა უბედურ ქერა ქალად ქცეულა, წინა დილას რომ ვნახე სამი შვილით გარსშემოხვეული. ქარხნის დაკეტვის შემდეგ ქმარი უმუშევარი იყო, როგორც ყველა აქაური კაცი. თავიდან მშობლები ცოტა ცივად შემხვდნენ, მერე, როცა ამბავი მოვუყევი, ყველაფერი მოგვარდა.

ჩემი სიტროენი კონფარმას ავტოგაჩერებაზე დავტოვე, რათა პირველად ხელცარიელი წარვდგომოდი, როგორც ზრდილობა მოითხოვდა. როცა ბრძმედის ჩრდილში ჩაფლულ პატარა სახლის სამზარეულოს შინის კარზე დავაკაკუნე, დედა აუთოებდა, მამა ყავას სვამდა, მაგიდაზე გადაშლილი გაზეთი ედო, ლოყა ხელზე დაეყრდნო და კედელს მისჩერებოდა. იმწამსვე ვიცანი. ცოტა უფრო დაბერებულები, ცოტა უფრო წითურები, ცოტა უფრო მოწყენილები იყვნენ, მაგრამ სულაც არ

შეცვლილიყვნენ აღმოსავლეთის სადგურის შემდეგ, ჟან-პიერის ჩანაწერის ბოლო გვერდის შემდეგ.

ვუთხარი, თქვენი შვილის დავალებით მოვედი-მეთქი. დედა იმწამსვე შეშფოთდა: „ღმერთო ჩემო, რა დაემართა ჟერარს?!“ ჟერარი ძმა იყო, მათთან რომ დარჩა და მერე მაინც წავიდა ოცდაათი კილომეტრის დაშორებით სხვა ქარხანაში, რომელსაც მალე ვერ დახურავდნენ. დავაწყნარე, როგორც შემეძლო: არა, არა, ჟერარი კარგადაა. მეორე შვილისგან მოვედი, ჟან-პიერისგან. ცივი დუმილი ჩამოვარდა, დედამ რაღაცის თქმა დააპირა, შემდეგ მამას შეხედა და უთოობა განაგრძო. მამამ გაზეთი მოიმარჯვა და კითხვას შეუდგა. რამდენიმე წუთის შემდეგ კი, რადგან ისევ იქ ვიყავი და ადგილიდან არ ვიძვროდი, გამოაცხადა:

— ჟან-პიერი აღარ არის.

ბუნებრივია, ჩემთვის ამბის გაგრძელება ადვილი იყო, მაგრამ ვერ შევძელი. წარმოვიდგინე ჩემი სიტროენი კონფორმას პარკინგში და შიგ ჩემი მეგობარი, რომელიც ელოდა... რას ელოდა? დაკარგულის ხელახლა პოვნას? ამოთხრილ ორმოს? უეცრად ჩემი მოგზაურობის მიზანი უბადრუკი, უხამსი და იდიოტური მეჩვენა. მოუტანო მათ მკვდარი შვილი ცოცხალის ნაცვლად, თავისი ცხოვრებიდან რომ ამოშალეს?! არა, ეს არაა უძღები შვილის დაბრუნება. მე ლეგენდა ამერია.

მოკლედ ავუხსენი შნეიდერებს, რომ ჟან-პიერი ტყვედ ჩაუვარდა მაროკოელ ამბოხებულთა ბანდას ირგეზში, სადაც იგი საფრანგეთის მთავრობამ გააგზავნა ჩემს ჩასაცილებლად. მე გამანთავისუფლეს, როგორც ნაკლებად საინტერესო ტყვე, და ჩემმა ჰუმანიტარულმა ატაშემ მოახერხა ჩემთვის მოენდო თავისი ხელნაწერი და კიდევ მშობლებთან ზეპირად გადასაცემი დანაბარები: „ბოდიშს გიხდით სადგურისა და ყველაფრის გამო, ძალიან მიყვარხართ“.

ატყდა, მაგრამ რა ატყდა! ეცნენ ტელეფონს, ფანჯრებს, შეკრიბეს მეზობლები, ამხანაგები ქარხნიდან. ეტყობა ცოტა გადავაჭარბე, მაგრამ შვილის ტყვეობაში ყოფნამ მათ იგი ათ წამში მკვდრეთით აღუდგინათ. ლაპარაკობდნენ პეტიციის შედგენაზე, გამოსასყიდის შეგროვებაზე, დეპუტატის გამოფხიზლებაზე, მეცის პრეფექტთან კომიტეტის შექმნაზე.

ხალხის ღრიანცელში, მთელი სახლი რომ გაჭედეს, ხმა აღარ გამიღია. მეგონა, ეს ამბავი მალე ჩაივლის-მეთქი: მე მხოლოდ შნეიდერების შერიგება მინდოდა მათ შვილთან, სანამ მის გმირულ სიკვდილს ვაცნობებდი, რათა ნამდვილად ტკენოდათ გული და დაეფასებინათ იგი. კარგა თხუთმეტი წუთი მოვუნდი ოფიციალური ამბის მოყოლას ბოდიშების მოხდით. და როცა შოკმა გაიარა, მათ დააფასეს ჩემი თავდაჭერა, მხოლოდ გადაწყვეტილება შეცვალეს. ახლა, როცა ხალხი მობილიზებული იყო, რეგიონალური დასაფლავების მოწყობაც კი შეიძლებოდა.

ოცჯერ მაინც თავიდან ბოლომდე შემოვიარე კონფარმას ავტოსადგომი. ჩემი C35 სიტროენი გამქრალიყო. ორმოცი წუთის ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე, ეს ბედის ნიშანია-მეთქი, შევწყვიტე ძებნა, აღარც გამვლელ-გამომვლელებს ვეკითხებოდი, რომელთაც არაფერი არ დაე-

ნახათ, და აღარც იქ მოსამსახურეს, რომელიც არაფერს არ მპასუხობდა. საქმე თავის ნებაზე მივუშვი. თავი იმით დავიმშვიდე რომ ჩემი აღშფოთება არაფერი იყო ქურდის გაოგნებასთან შედარებით, როცა ის ფურგონს გახსნიდა ნადავლის სანახავად.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

კარგა დიდხანს „ლოტარინგიულ რესპუბლიკაში" ყველა დილას დიდხანს ვკითხულობდი სხვადასხვა შემთხვევებს, მაგრამ ვერც ჩემი ფურგონის და ვერც მისი ტვირთის კვალს ვერ მივაგენი. უცნაური ისაა, რომ არც ერთი წამით თავს დამნაშავედ არ ვგრძნობდი, პირიქით, რეალობამ მისცა აზრი ჩემს აკვიატებულ ფიქრებს, თუ შეიძლება ასე ითქვას.

ფეხით მივდიოდი პატარა ჩაბნელებულ ქალაქში, დაკეტილ სახლებსა და ქარ-წვიმისაგან ჩამოგლეჯილ მანიფესტანტების პლაკატებს შორის. უაივნო კორპუსების ბინებზე ტკაცატკუცი გაჰქონდა წარწერებს: „თავისუფალია", „იყიდება", „ქირავდება". უკაცრიელ ქუჩებში ექო ნაბიჯების ხმას მიბრუნებდა. მარტო ვიყავი ქალაქ-მოჩვენების შუა, რომელიც მხოლოდ დავიწყებიდან გამოსვლას ითხოვდა. საფრანგეთის ნახევარი გადავკვეთე ჩემი მისიის შესასრულებლად. არა, მე არ მქონდა ასე წასვლის უფლება, ან კი სად უნდა წავსულიყავი? ჩემი საქმე ბოლომდე უნდა მიმეყვანა.

ხუთი ფრანკიღა მქონდა დარჩენილი და საგარეო საქმეთა სამინისტროში დავრეკე. არაბული აქცენტით ლუპიაკის სამდივნო მოვითხოვე. ვუთხარი, რომ გაცნობებთ ჟან-პიერ შნეიდერის მოტაცების ფაქტს, ისევე როგორც ანონიმურ ქმედებას CT 1808-ს წინააღმდეგ: საფრანგეთმა უნდა აიძულოს მაროკო შეაჩეროს გზის მშენებლობა, განადგურებით რომ ემუქრება ირგეზს, წინააღმდეგ შემთხვევაში ტყვე მოკლული იქნება-თქო გაუფრთხილებლად. პანიკაში ჩავარდნილ მდივან ქალს უნდოდა ვინმე უფრო ავტორიტეტულ პირთან დავეკავშირებინე, მაგრამ მეტი ხურდა აღარ მქონდა.

როცა სახლში დავბრუნდი, ხიფათს გადარჩენილი კინოვარსკვლავივით შემხვდნენ. თურმე ეშინოდათ არ გავპარულიყავი. „ხომ ხედავთ, მე ის არ გამომიგონია!" — ღრიალებდა გახარებული მამა და ჩემზე მიუთითებდა ახალმოსულებს. მე მორცხვად დავხარე თავი. შემდეგ ჟანდარმის გამოძახება მოინდომეს, რათა ჩემი ჩვენება ჩაეწერა. მე ავუხსენი, რომ ძალიან კი მსურდა მათ შვილს დავხმარებოდი, მაგრამ მათ ქვეყანაში არასწორი გზით დავბრუნდი და გამოჩენა არ შემეძლო.

საბედნიეროდ, ტელეფონმა დარეკა. კე დ'ორსეის უფლებამოსილი პირი იყო, ვისაც სურდა გაეგო, მისიის რწმუნებული შნეიდერის მშობლებმა მიიღეს თუ არა რაიმე ახალი შეტყობინება ან გამოსასყიდის მოთხოვნა. მან თქვა, რომ შეამოწმა განცხადების სინამდვილე მაროკოს ხელისუფლებასთან ამბოხებულთა თაობაზე, რომ ეს ამბავი ძალიან სერიოზულად არ უნდა მიიღონ, არ უნდა ინერვიულონ და რომ ყველაფერი მოგვარდება.

თვალზე ცრემლმომდგარმა მამამ ყურმილი დაკიდა. დედა აქვითინდა და მკლავებში ჩაუვარდა. მამა აწყნარებდა, რომ ჟან-პიერს ცუდი არაფერი შეემთხვეოდა, რომ ის მალე დაბრუნდებოდა და ისინიც ჩავი-

ლოდნენ პარიზში მის სანახავად... გულმოკლული და თვალცრემლიანი დედა იმედმა უცბად გამოაცოცხლა.

როცა ჟანდარმებმა დარეკეს, დედამ ფიცხლად მომკიდა ხელი და თავისი შვილის ოთახში დასამალავად ამიყვანა. მე მას ბავშვობის რვეული და მოგზაურობის ჩანაწერები გადავეცი. ვუთხარი, რომ ყველაფერი შიგ იყო, მხოლოდ წესრიგში მოყვანა და გამომცემლისთვის გადაცემა გახლდათ საჭირო. ახლა, როცა ჟან-პიერი ტყვედ იყო, „მაჩის“ გარეკანზე დაბეჭდილი მისი ფოტო შანსს იძლეოდა, რომ წაიკითხავდნენ.

დედა პირდაღებული დასცქეროდა გულზე ჩვილი ბავშვივით მიხუტებულ ნაშრომს. შემდეგ დარცხვენით რაღაც წარმოთქვა, ტუჩები უცახცახებდა წითურ სახეზე, ლოყები ებერებოდა, გაღიმებას ცდილობდა და ვერ ახერხებდა, მერე ჩაიჩურჩულა:

— ის პატარაობიდანვე წერდა.

არ იყო საჭირო მამისთვის ეჩვენებინა, მაგრამ დედას მეტი მოთმენა აღარ შეეძლო, საცოდავი თვალებით შემომცქეროდა, ხომ წაუკითხავთო, მერე დაუმატა, ჟან-პიერს თქვენამდე მეგობარი არ ჰყოლია და, თუ დრო გაქვთ, შეგიძლიათ რამდენიმე დღე ჩვენთან დარჩეთ, გამეხარდება, ჩემი პატარა ოთახიდან ფეხის ხმას რომ გავიგონებო. მე დრო მქონდა.

თავიდან ვფიქრობდი, მხოლოდ შენიშვნები გამეკეთებინა ჟან-პიერის ნაწერებისთვის, გამომეთქვა ჩემი აზრი, გამომეხატა ჩემი მოსაზრება, მის ზოგიერთ ნათქვამს რად არ ვეთანხმებოდი. მერე, როცა ერთ გვერდზე თხუთმეტი შენიშვნა გავაკეთე და როცა შენიშვნებმა მეტი ადგილი დაიკავა, ვიდრე ტექსტმა, გადავწყვიტე პატარა შესავალი დამეწერა საკუთარი თავის წარსადგენად, ჩემებურად, კონტრაპუნქტებით, ამეწერა ჟან-პიერისა და ჩემი შეხვედრის ამბავი ჩემი სიტყვებით.

ჰოდა, ასე აღმოვჩნდი დღეში ათი საათი ფანჯარასთან მიდგმულ ბავშვის საწერ მაგიდასთან. ვაშლის ხეებში ვეძებდი სიტყვებს. მხნეობა რომ მომმატებოდა, თხრობა მეშვიდე გვერდიდან დავიწყე. თითქოსდა ექვსი გვერდი უკვე დაწერილი მქონდა. მოქმედება ჩრდილო მარსელში ვითარდებოდა. მისი საშინაო ფეხსაცმელი მეცვა, ჩემთვის დიახაც პატარა, მისი კბილებისანაბეჭდიანი კალამი მეჭირა და ჩემს ცხოვრებას ვყვებოდი მისი ნაწარმოების შესავლის გასაკეთებლად.

ნაშუადღევს დედამისს ჩაი და კექსი მოაქვს ხოლმე ჩემთვის, მეუბნება, ეს პატარას ძალიან უყვარდაო, თუმცა ახლა ისეთი კარგი აღარ გამომდისო. პირგამოტენილი პროტესტს ვაცხადებ. მერე მეუბნება, არ მინდა თქვენი შეწუხებაო, და გადის. ზურგზე ვგრძნობ მის მზერას, ალბათ თავისი შვილის ძველ რვეულზე დახრილი ზურგი აგონდება, მისი ჩანაწერების რვეულზე: „ლაფონტი“ („დნობა, ლოტარინგიის ოქრო“ გვამცნობს ლოზუნგი ყვითელ გარეკანზე). ვცდილობ მასავით ეწერო, დავლიო მისი ჩაი და მიყვარდეს ყველაფერი, რაც მას უყვარდა.

ორშაბათ დილას აგნესი მოვიდა, ქვაბის მოტანა მოიმიზეზა. ჩემთან სხვებისაგან მალულად ამოვიდა და თავდახრილმა მკითხა: იყო თუ

არა მოხსენიებული წიგნში. მისი ბავშვების ხმაურმა, ჭიქა რომ დაამსხვრიეს სამზარეულოში, პასუხის გაცემა არ დამაცალა. ვალიზიანებულმა ამოიოხრა და კიბეზე ჩარბენისას მომაძახა: როგორც კი შევძლებ, გამოვივლიო.

მომწონს, როგორ ელიან ყველანი ტელეფონთან, წვრილების ყუთთან თუ ჩემს კართან „პატარას" ახალ ამბებს. [illegible] ადარ რეკავს. წინასიტყვაობა წინ მიდევს, მგონი, მეტი გამოდის, ვიდრე გათვალისწინებული იყო. ჩემი დიდი სურვილის მიუხედავად სამ გვერდში ვერ დავატიე ლილა, წიგნები, ვალონ-ფლიური და ბატონი ჟიროდი.

ბოლოს და ბოლოს რომანი, რომელიც ჟან-პიერს სურდა დაეწერა ჩემი ხმით, მგონი, იბადება. ისეთი გრძნობა მაქვს, რომ ავტორი უფრო და უფრო უკეთ გრძნობს თავს ჩემს ტყავში.

ერთფეროვანი დღეები ერთმანეთს მისდევს. სადილები კარგია, მე ჟან-პიერის ხელსაწმენდის რგოლი მაქვს და უკვე ვიცი, როგორ იცხოვრებდა, აქ რომ დარჩენილიყო. მამამისმა წამიყვანა ჟეფის სამჭედლოში. აქ ჯარისკაცებისათვის ტყვიებს ასხამდნენო, მიხსნის იგი და მარბენინებს ბუჩქებით დაფარულ უზარმაზარ მიწის ნაკვეთზე, სადაც დავიწყებულ ყალიბებს ყრიდნენ. როცა დაამთავრა გამჭრალი სამჭედლოს მოგონებების ჩემთვის აღწერა, ისევ მოჭუტა თვალები ცარიელი პეიზაჟის პირისპირ დარჩენილმა და წაიბურდღუნა:

— ჟეფი ფოლადის ქარხანამ შესანსლა, ისევე როგორც ის შეჭამს უკანჟს.

მერე მომიყვა გასაოცარი ისტორია კლიენტების მიერ გამოხრული სამჭედლოს შესახებ. ძველად ბრძმედში დამუშავებული წიდით ფოლადის ქარხანას ამარაგებდნენ, დღეს კი დებიტური ნადნობი ჯართის სახით პირდაპირ იდება ელექტროღუმელებში ფოლადის მისაღებად. მუაიერი, ობუე, ჰომეკური გადავიდნენ კოქსით გამოწვაზე ჟეფსა და უკანჟზე ადრე. ევროპის ასობით საუკეთესო მჭედელი, თავიანთ ნადნობს რომ ამერიკაში ჰყიდდნენ, დაითხოვეს, საქმეს მოწყვიტეს, პროფესია შეაცვლევინეს. ჟერარისნაირ ახალგაზრდებს ორ არჩევით სამსახურს სთავაზობენ: ან მაღაზიის გამყიდვლად ყოფნას ნორმანდიაში ან სიპიკეტის ნაწარმის კონტროლიორობას. ამას ჰქვია სოციალური გეგმა.

ორფონტ-უკანჟის დნობის მეთაურმა ჟერარმა კარიერის განახლება უბრალო ზეინკლად არჩია სხვა ქარხანაში, რომელსაც ასე მალე არ დახურავდნენ. „შენ წარმოგიდგენია, სარდინების ზომას ან სკუმბიის ფხების რაოდენობას რომ ვამოწმებდე?" არა, ეს ვერ წარმომედგინა. მას არასოდეს მიუტოვებია თავისი მოზელი, არასოდეს ცდილა შეეცვალა კილო. ის ჟან-პიერს ჰგავდა, ოღონდ უფრო დიდი, ჩაფსკვნილი და უფრო უბრალო იყო. კარგია, ძმა რომ გყავს.

კვირას ცოლთან ერთად სადილად რომ მოვიდა, ჭადრაკის თამაში მასწავლა. ბავშვობაში ჩუმად უნდა ყოფილიყვნენ, როცა მამას თავისი „ღამის სამუშაო დღის" შემდეგ ეძინა. რომ არ ეხმაურა, ჟან-პიერი ამბებს წერდა, ჟერარი კი ჭადრაკს მიუჯდებოდა ხოლმე მარტო. კენჭს ყრიდა, რომ გაეგო, თეთრები იწყებდნენ თამაშს თუ შავები. ხანდახან

დიდხანს იბრძოდა, ხანდახან მარცხდებოდა კიდეც საკუთარი თავთან თამაშისას. ჩემთან თამაში უფრო ადვილი იყო, რადგან სულ მიგებდა ბოლმე.

მეოცნებე ხდებოდა, როცა ჟან-პიერზე ლაპარაკობდა. მისი შურდა, რადგან აქედან წავიდა. მასაც რომ შესძლებოდა სხვაგან წასვლა, მაგრამ მისი ადგილი, როგორც უფროსი ვაჟისა, აქ იყო მამამისისეული ეამაყებოდა შავი მეტალურგია.

— იცი, როცა ღუმელის სუნს შეიცნობ, დაინახავ, როგორ მოედინება ნადნობი, უყურებ ცეცხლს, შენი მკლავების გაგრძელება რომაა და რომლის ბატონ-პატრონიც შენა ხარ, გაიგონებ სირენის ხმას, შენს ცხოვრებას რომ წარმართავს და მეგობრებთან ხელახლა გახვედრებს, ბერე სხვას ველარაფერს შეეჩვევი. ველარ შესძლებ. სიჩუმეს და სიწყნარეს უკანჟში დღეს ველარავინ იტანს. რაც ქარხანა ალარ წამლავს აქაურობას, ნაკლები ჭვარტლია შემოვარენშიო, ასე ამბობენ, მაგრამ ახლა ჭვარტლი ჩვენს გულებშია.

— ჩაწერე ეს წიგნში, — მითხრა მისმა ამხანაგმა გიიმ, აგნესის ქმარმა, ლუდის მოყვარე წითურმა კაცმა. სმას მას შემდეგ შეეჩვია, რაც სოციალურ გეგმაზე უარი თქვა, რადგან მაღაზიის გამყიდველობა ნორმანდიაში მას არ შეეძლო, არც მეეზოვეობა ბრესტში. მან ხომ ესესაა გადაიხადა სახლზე ყველა შესატანი და ახლა ველარ გაუყიდდნენ, აგნესიც მერიაში მსახურობდა, ბავშვები ბაბუასთან უნდა გაეგზავნათ ტრიონვილში საყასბოში... — დაწერე ეს წიგნში, აზიზ, გეხვეწები, რათა ხალხმა იცოდეს.

დავწერ.

ერთ დღეს დავპატიჟებ აგნესს, რომ შენი რომანის ბოლო გვერდები წავუკითხო. ის შემოვა შენს ოთახში, დაჯდება შენს საწოლზე, ხელახლა გაიგონებს შენს ხმას და ინანებს, რომ უარი გითხრა თაბაშირიანი ფუნთუშების დღეს. მას ალბათ გავუმხელ მთელ სიმართლეს. ვეტყვი, რომ ისე წახვედი, აგნესი გულიდან არ ამოგსვლია, რომ მომაკვდავიც მის სახელს იმეორებდი, რომ სიკვდილი ჟეფის იმ უსასრულო მიწას ან ფანტომებს ჰგავს, რომლებიც ჯიუტად აპირებენ ნადნობის გამოშვებას.

და ერთ დღეს, თუ შენ გინდა, ორივენი ჩვენ აგნესთან ერთად მივეცემით სიყვარულს.

პაბლო ნერუდა (ჩილე)

ლექსები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თარგმნა სიღოვან ნარიმანიძემ

შემოდგომის პეპელა

თავბრუდახვევით ფრინავს პეპელა,
ყამთაცვლის მზე სწვავს, მზე ეკიდება.
როგორც სიცოცხლის მოძრავი ალი,
დაცვარულ ფოთოლს ნაზად ეხება
და გაცისკრების სიამით თვრება.

მეუბნებოდნენ, შენ არ ხარ ავად,
ეს ყველაფერი მოგეჩვენა და მოგეზმანა.
მე ვპასუხობდი ამაზე მაშინ
და გაზაფხული მკის დრომ შეცვალა.
მალე მოვიდა შემოდგომაც, ეს, როგორც ხდება,
ხმელ ფოთლებს როცა მიმოფანტავს ხევებში
წყებად.

დრო დასდგომია გულსაც ჩემსას ფოთოლცვენისა,
ვხედავ ჰორიზონტს, მოკლედ მოჩანს იქვე ჩემი
გზაც.
მეუბნებიან, შენ არ ხარ ავად.
ეს მხოლოდ წუთით მოგეჩვენა და მოგეზმანა.
მკის დრომაც მალე გადაიარა.
ზეცამ მრავალჯერ იყვდრა და გადაიდარა.

დედამიწაზე, მეგობრებო, ყოველი ქრება,
წავა, გვტოვებს და ცხოვრების გზაც ამით
მთავრდება.
ის რწმენაც, ჩვენ რომ დაგვატარებდა,
ისიც დაგვტოვებს, წავა, გაქრება.

ის ყვავილებიც, რომლებსაც ვკრეფდით,
ბაგენიც, ჩვენ რომ ვკოცნიდით გზნებით.

წყალიც, აჩრდილიც, ჭიქის წკრიალიც,
გაჰქრება ხმაც და ფერიც სიამის.

მკის დროც დაგვტოვებს, წავა თავისით,
დღეც ფერს შეიცვლის, ცაც გადაიყრის,
მზე კი კვლავ ლოცავს ჩემს ხელებს თმენით.
მეუბნებიან, რომ არ ხარ ავად,
არ ხარ ავად და ღმერთს ნუ სცოდავო.
პეპელა კი ფრენს, მან წრე მოხაზა,
ცეცხლოვანი და უკანასკნელი...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამერიკა

სამარადისო ტვირთივით მაწევს, გზააბნეული
მივემართები,
ჭაობებით და ულრანებით, შენ რომ გარტყია,
შენი ნახირით და ქარიშხლებით,
შენი შროშნების სურნელებით დამათრობელით,
ტყეებითა და ნაკადულებით,
მუდამ რომ მესმის მათი სიმღერა,
შენი ბრჭყალებით, შენი თევზებით,
დღეებით, მე რომ მმორჩილებენ,
ვარ დაბანგული.

ზღვებიდან ტალღის უნაზეს რხევით.
სანაპიროს რომ ელტვის თათებით,
მარად სავსე ვარ მოგუგუნე ზარების ხმებით,
ვულკანებით და ინდიელთა წითელი ფერით,
მე რომ მივლია ტევრნარებში შიშველ ფეხებით,
იმ ბილიკებით, ეკალ-ბარდით და შამბნარებით,
ღრმად ჩახლართული მიწის გულში ხეთა ფესვებით,
მუდამ მეძახი!..
შემოდგომურმა წვიმის თქეშმაც ვერ გადარეცხა
შენს მიწაზე დაღვრილი სისხლი,
დროშებით შავი სიკვდილისა, დამპყრობთა ყინით,
შენს ულრანებში ჩამარხული შეძახილებით,
ხმებით უკვდავით, მართლაც გმირულით...
ხმლის და შუბების ელვარებით, მზის სხივებით და
კაიმანების ნავების ცურვით,
შორს განფენილი მდინარეებით,
ქალაქებით და შენი სოფლებით,
ურიცხვ ფრინველთა წარმტაც გალობით,
ფრენით და სტვენით,
ნესტიანი ტყის ბნელ ღრანტეებში ციცინათლების
გაელვარებით.
მე დავიბადე, ამერიკავ, შენი საშოდან
შენს ნუშისფერ შებინდებაში,

შენთა ხელთუქმნელ შედევრებში, შენს
მიწისძვრებში,
შენს ლეგენდებში დავიბადე, შენს ხანძრის
ფერფლში.
მაღალი მთების მყინვარებში, მიწის ზვინებში,
შენს უნათლეს და დაუცხრომელ სიდიადეში,
შენს საიდუმლო მღვიმეებში, შენს უფსკრულებში,
შენი კონდორის ვიშვი ბრჭყალებში,
დაუოკებელ შენს შებღალულ გვატემალაში,
ტრინიდადში და გუაირეში.
შენ წყვდიადი ხარ, ჩემი დილა ხარ,
შენ ჰაერი ხარ ჩემი არსობის,
მე შენით ვცოცხლობ, ვიტანჯები, ვკვდები და ისევ
შენით აღმსდგარი ხშირად მკვდრეთით
კვლავაც აღვსდგები.
ჩემი ლექსი და სიმღერები
შენს ნათებაში ჩამოსხმულია.
ო, ამერიკავ, ჩემი ვარსკვლავი
შენს შავ მიწებზე ელავს, კიაფობს,
ჩემი სიცოცხლის ყოველი ძარღვი, ჩემი ოცნებაც
შენით ანთია,
ვიძინებ შენი ქვიშნარების გარემოცვაში,
შენი წყაროს წყლით ვიბან ხოლმე პირს
გარიჟრაჟზე,
თვითონ ღვინოც კი, მე რომ ვიგემე,
ღვინო კი არა შენი მიწაა,
თვითონ მთვრალია და მიკლავს წყურვილს, —
ცვარნამიანი გლეხური მიწა!
წმინდა მარადჟამს, მოციმციმე ნაყოფდასხმული,
ბელელი ხორბლის ოქროთი სავსე.

უშფოთველად შეგყურებ, ამერიკავ,
გულში ვიხუტებ შენს ნაომარ ფარს,
ვიოკებ ყოველ მწუხარებას, იმედიანი
შენი ახალი განთიადის სხივებით ვთბები.
ვეჩვევი შენს მზეს, რომელმაც შემქმნა,
შევესისხლხორცე წყვდიადს შენსას, მან
გამომაწრთო,
ვიღვიძებ შენი განთიადის ნათელ ხილვაზე,
სავსე სინაზით იმ გმირულ დღეთა,
მუდამ ერთგული და მბრძანებელი.
ვარ მშობელ მიწის რძით გამოზრდილი,
შენი წარსულის სისხლი და ხორცი,

ნოქტიურნი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შემოდი ჩემთან,
შავი უდაბნოს გულდაბინდულ ბნელში შემოდი,
შემოდი ჩემთან პამპასებით მჭვირვალ ღამეში,
ვარსკვლავიანი ცის წყვდიადში.
ტამერუგალი იქ, სადაც თავის
ათასწლეულის მდუმარებას მშვიდად აგრძელებს, —
შემოდი ჩემთან!
საუკუნენი ჩაღვრილან ერთად მთვარის და სივრცის
მდუმარებაში,
და იკვეთება ფირუზისფერ ნათების ალში
გაშიშვლებული სახოვანება.
მიწა წმინდაა, სუფთაა და ყოვლად ხალასი.
შენ შემიყვარდი სიყვარულით ჩვეულებრივით,
როგორც მიყვარდა არსებანი სხვადასხვაგვარი,
ყვავილები და დიდი ქუჩები,
ბარაქა, ხვავი, ჩვენი ძველი რიტუალები.
მიყვარს სიწმინდე შენი სახის, დავ, ოკეანის,
თუმცა უდაბნოს კანონები ძნელად იცნობა.
იქ ხომ არც კლდეა, არც ხეა, არც ადამიანი,
არავინაა, არც სადმეა თავშესაფარი.
პირისპირ დგახარ სიცოცხლესთან და სივრცეებთან.
მხოლოდ სამყაროს ქვის ხერხემალი.
მე შევიყვარე გამოკვეთილი ეს გაცრეცილი
სიმაღლეები.
ჩვენი ცხოვრების მკაცრი სიმართლე,
განფენილობა გოლიათური.

ასე იკერებოდა დროშები

ჯერ სისხლში ვბანეთ ჩვენი დროშები,
მერე კი ხალხმა სინაზითა და მწუხარებით
ქარგა ისინი,
აკინძა მისი ნაფლეთები.

მთრთოლვარე ხელით მიაბნია ვარსკვლავი მასზე,
თვითონ ციური ვარსკვლავებისგან
ხალხმა შეკერა ლურჯი ხალათი,
ზეცის ხატებას რომ ჰგავს სრულიად.
წითელი ფერიც ელვარებს მასზე.

დამპყრობელები

გაანადგურეს კუნძულები დამპყრობელებმა,
პირველი იყო გუანაპირი,
და ამ წამების ორომტრიალში

მისმა შვილებმა დაინახეს მტრების სახეზე
ღიმილი მკაცრი და შურიანი,
იმათ სხეულს კი, — იმის ნაზ სხეულს,
სეტყვა ურტყამდა, ეცემოდნენ დასისხლულები,
ხანძარში წწვავდნენ, აწამებდნენ ბაწრით
გთოკილს,
ცოცხლად მარხავდნენ ბნელ ხაროებში
და ისე მოკვდნენ, რომ ვერ გაიგეს,
თუ რატომ კლავდნენ დამპყრობელები.
და როცა მორჩნენ ამ ბილწ საქმეს,
მიეცნენ ტკბობას,
ვალსებს ცეკვავდნენ საზეიმოს პალმების ტევრში
და მკვიდრი ხალხით მწვანე ველი დაცარიელდა.
მხოლოდ ძვლებიღა დარჩა მათი
და როგორც ჯვრები,
თავის საქმეთა უმაღლესი დიდების ნიშნად,
კაცობრიობის დასანახად ალმართეს მიჯნად...
ფისის ვრეხილთა მწვერვალებიდან,
იქ სოტავენტუს მღვრიე ტოტამდე,
მარჯნის კუნძულთა პალმების ჩრდილში
დანით გადაჭრა ნარვაესმა ნერგი კეთილი,
ჯვარი ალმართა, ვით ნიშანი აქეთა მხარეს,
ხოლო იქით კი კრიალოსანი, —
იქვე მაღონა დაძარღვული ყელზე მარყუჟით
ნაბავდა თვალებს.
ასე ამგვარად, კოლუმბის ხელმა
ფოსფორულ კუბას ალმასივით ნათება მისცა,
დაამხო მისი ალამი და ფეხი დაადგა
იმის ნოტიო ოკეანის სანაპიროებს.

პიმნი და დაბრუნება

ჩემი სისხლით და ჩემივე ხორცით კვლავ შენთანა
ვარ,
სამშობლოვ ჩემო!
ისევ მიმიღე შვილი შენი, ვარ ავსებული
სიმღერებით და მწარე გოდებით,
კვლავ შენთან არის თვალდაბინდული ჩემი გიტარა
და ფიქრი ჩემი მსოფლიოში მოხეტიალე!

მე მოვდიოდი, რომ შენს შვილებს ჯაზად
შევხვედროდი,
რომ კვლავ მენახა დალუპულნი და განწირულნი,
უწმინდესები თეთრი თოვლივით,
შენი სახელით რომ დამელოცნა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წავედი, რათა სახლი ამეგო
შენი ტყეების ნორჩი ტევრიდან,
გულში დაჭრილი შენი გმირების
ძეგლი ამეგო უკვდავებისა,
რომ გაებრწყინათ ვარსკვლავებივით.
ახლა კვლავ შენში თავდავიწყებას
ვეძებ, მაფრქვიე შენი ნათელი
და ბნელი ღამის გულში ჩამწვდომი
შენი სიმები დაუვიწყარი.
მიბოძე შენი ღამის ხომალდი
და შენი ზეცა ვარსკვლავიანი.
მე მინდა ბნელი გაგინათო, სამშობლოვ ჩემო,
და შენი ვარდის სურნელებას კვლავ დავეუფლო.
შენს გამოძერწილ კეთილ სხეულს ხელი შევახო,
რომ დავტკბე შენი მზისგან დამწვარ
კლდეების მზერით,
შევირგო ისევ ღელვა შენი ხორბლის ყანების.
რომ სიყვარულით ძნებს ჩავხედო
თავთავებისას,
გვარჯილით შემხმარ შენს მჭლე ტყეებს
რომ მოვეფერო,
რათა მოვქარგო ბრძოლის ფერად შენი ზარები,
შენი დიდების შესაფერი გვირგვინი დავწნა.
სამშობლოვ ჩემო, რომ შემორტყმულხარ ველურ
ქაფიან ტალღათა გუნდით,
დაეფრენს არწივი, სად საფირონის
სამხრეთ პოლარულ ვარსკვლავთ ციალში
შენი წილხვედრიც უწმინდესი ელავს ნათელი.
მან გადაბინდა მტერთა შენთა თვალების მზერა,
შენ ამ სინათლეს მოეფერე, სამშობლოვ ჩემო,
რომ თავთავები სიცოცხლისა სულ ირხეოდნენ.
ბნელ და მშფოთვარე გარემოცვაში
ბედმა გარგუნა ეს მძიმე ხვედრი,
ყველა ყვავილი ზარდე შენს ბალში,
და იყავ სავსე სიკეთით და იდუმალებით
აქ, ამ მძინარე, უსასრულო ამერიკაში!

მე შემიძლია ამ შუალამით ვწერო ლექსები

ამ შუალამით მე შემიძლია ვწერო ლექსები
ჩემს უსაზღვრო მწუხარებაზე.
დავწერო მასზე, მაგალითად: „თუ როგორ კრთიან,
შეციებული ვარსკვლავნი ცაზე“.

შუალამეა, ქარი გრიალებს, სივრცეს მიაპობს
და მიიმღერის,
ამ შუალამით მე შემიძლია ვწერო ლექსები

ჩემს უსაზღვრო მწუხარებაზე,
მე ის მიყვარდა: და დროდადრო მასაც ვუყვარდი,
და სწორედ ასეთ მშფოთვარ ღამეში ის ჩემთან იყო
და ვეხვეოდი,
მისით ბედნიერს ამ ცისქვეშეთში
დამილოცნია სამყარო მთელი.
მე მას ვუყვარდი და დროდადრო ის მეც მიყვარდა,
ანდა როგორ არ მეყვარებოდა,
მისი მართალი, დიდი თვალები?

ამ შუაღამით მე შემიძლია ვწერო ლექსები
ჩემს უსაზღვრო მწუხარებაზე,
რომ ახლა იგი ჩემთან არ არის
და გული ტირის დაკარგვას მისას.
ვუსმენ ამ უზარმაზარ ღამეს და
ახლა ეს ღამე უფრო დიდია
და როგორც ცვარი ლურჯ მდელოებზე,
ისე ეცემა ჩემს სულში ლექსი.
რა ვქნა, რომ ჩემმა სიყვარულმა
ვერ შესძლო მეტი
და ვარსკვლავიან ღამით ახლა
უმისოდ მიჭირს.

დასრულდა,
თითქოს ვიღაცის ხმა შორიდან მესმის,
ნუთუ ის არის, ვით მომნახა ასეთ ღამეში.
თვალებს ვაცეცებ, თითქოს მინდა მივუახლოვდე,
მაგრამ ამაოდ დაეძებს გული,
წავიდა, გაჰქრა,
არასოდეს ის აღარ მოვა.
ახლაც ისეთი შუაღამეა, ხეებიც როგორ
გათეთრებულან,
მე კი, რომ მახსოვს ოდინდელი,
ის აღარა ვარ.

იქნება აღარც მიყვარს იგი,
იქნებ კვლავ მიყვარს,
რა ხანმოკლეა სიყვარული,
დავიწყება კი უზარმაზარი.

ასეთ ღამეში ვეხვეოდი და ის მიმაჩნდა
ბედნიერებად, არასდროს რომ არ მეორდება,
ვერ ურიგდება გული ახლა იმის დაკარგვას,
უკანასკნელი მწუხარება რომ მომანიჭა, —
ამ სტრიქონებსაც, ახლა რომ ვწერ,
მე იმას ვუძღვნი.

ერნსტ თეოდორ ამადეუს ჰოფმანი

ქუჩის ბლექსერი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გერმანულიდან

თარგმნა ლია თაკვარელიამ

გამომცემლის შენიშვნა

ამ ადგილას, მიწყალეო მკითხველო, მოხუცი მხატვრის ფერგადასული ხელნაწერის ამოკითხვა შეუძლებელი იყო. ამიტომაც კვლავ ვუბრუნდები მედარდუსის — ამ არაჩვეულებრივი კაპუცინის ჩანაწერებს.

კარი მესამე

მონასტერში დაბრუნება

ბოლოს და ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ რომის ქუჩებში აღარ გამესვლებოდა. სადაც კი გამოვჩნდებოდი, ჩემ გარშემო უსათუოდ ხალხი იყრიდა ხოლმე თავს. ზოგი გარინდებული მომშტერებოდა, ზოგიც მუხლმოდრეკილი მთხოვდა ლოცვა-კურთხევას. ყველამ იცოდა მკაცრ ეპიტიმიას რომ განვაგრძობდი და, ეტყობა, ამით დიდ ზემოქმედებას ვახდენდი ხალხზე. შესაძლოა, ჩემდამი ასეთი დამოკიდებულების ერთერთი მიზეზი ისიც გახლდა, რომ ჩემი განსაცვიფრებელი და უცნაური შესახედაობის გამო სიცოცხლით სავსე, ფანტასტიკური რომაელები ჩემზე ლეგენდებს თხზავდნენ და რომელიღაც ზღაპრის გმირადაც მსახავდნენ. საკურთხევლის საფეხურზე გართხმული და ღრმა ფიქრებში ჩაძირული რამდენჯერ გამოვუფხიზლებივარ ვილაცის ოხვრასა და ბუტბუტს, რამდენჯერ დამინახავს, როგორ მოეყარათ მუხლი ჩემ გარშემო ღვთისმოშიშ ადამიანებს, თითქოსდა მფარველობასა და შემწეობას მთხოვდნენ უფლის წინაშე. ხანდახან ჩემ ზურგს უკან, როგორც ეს კაპუცინთა მონასტერში ხდებოდა, ზოგიერთის გულიდან ამოხეთქილი ძახილიც გამიგონია: il Santo[1] და მეგონა, გულში ხანჯალს მიტრიალებდნენ და აუტანელ ტკივილს მაყენებდნენ. რომის დატოვებაც კი მქონდა განზრახული და მართლა შემეშინდა, როცა მონასტრის წინამძღვარმა, ვინაც გულთბილად მიმიღო, მაუწყა, პაპი თავისთან ვიხმობსო. გულში ბუნდოვანმა წინათგრძნობებმა და ეჭვებმა გამკრეს, კვლავაც ხომ არ ცდილობს ბოროტი ძალა თავის ხლართებში ჩამითრიოს-მეთქი. მაგრამ ღონე მოვიკრიბე და ვატიკანისაკენ გავეშურე. პაპი დიდად განათლებული კაცი აღმოჩნდა, ჯერ კიდევ საუკეთესო, აყვავების ასაკში მყოფი,

---

1. წმინდანი (იტალ.).

გაგრძელება. (დასაწყისი იხ. „საუნჯე" № 1-2, 3-4, 5-6 2001 წ. და 1-2, 3-4 2002 წ.).

მდიდრულად მორთულ სავარძელში იჯდა, სასულიერო პირის სამოსში ჩაცმული. ორი საოცრად ლამაზი ბიჭი ემსახურებოდა, ყანჩის ფრთის მარაოთი უგრილებდნენ ჰაერს, რადგან პაპანაქება სიცხე იყო. მორჩილი და თვინიერი შევედი მასთან და ჩვეულებრივი ეტიკეტის შესაბამისად მუხლი მოვიყარე მის წინაშე. დაჟინებით შემხედა, მაგრამ თვალებში გულკეთილობა უფრო გამოეხატა, ვიდრე მკაცრი ხერხიოზულობა, რომელიც შორიდან შემიმჩნევია, და სახის ნაკვთები უწყინარმა ღიმილმა გაუნათა. პაპმა მკითხა, საიდან ვიყავი მოსული და რა იყო მიზეზი ჩემი რომში ჩამოსვლისა. მოკლედ, ძალიან ჩვეულებრივი კითხვები დამისვა ჩემი პირადი ცხოვრების გარშემო, ბოლოს კი სავარძლიდან წამოდგა და მითხრა:

— თქვენი საოცარი ღვთისმოსაობის შესახებ ბევრი მსმენია, ამიტომაც მოგიხმეთ ჩემთან. მაგრამ მინდა გკითხოთ, ბერო მედარდუს, რატომ ირჩევთ ლოცვა-მონანიების ადგილად ხალხმრავალ ეკლესიებს და ყველას დასანახად რატომ მლოცვარეობთ? ამით ვითომ რა გამოგივათ, ხომ არ გგონიათ წმინდანი ეგონებით ვინმეს და იმას მიაღწევ, რომ ფანატიკურმა ბრბომ თქვენზე ილოცოს? საკუთარ სულს ჩაულრმავდით და იმაზე იფიქრეთ, რა იდუმალი მიზანი აქვს მაგ თქვენს საქციელს. თუ სინდისი სუფთა არა გაქვთ და უმწიკვლო არა ხართ უფლისა და ჩემი — მისი მოსაყდრის წინაშე, ბერო მედარდუს, იცოდეთ სამარცხვინო აღსასრული არ აგცდებათ!

ეს სიტყვები პაპმა ძლიერი, გულშიჩამწვდომი ხმით წარმოთქვა, ამ დროს თვალებიდან ელვის ნაპერწკლებს ყრიდა. დიდი ხნის შემდეგ პირველად ვიგრძენი თავი უდანაშაულოდ შეცოდებაში, რომელიც ბრალად მედებოდა. ამიტომაც სავსებით ბუნებრივი იყო, რომ არა მხოლოდ სულით არ დავეცი, არამედ, მხნეობა მოვიკრიბე იმის სათქმელად, რომ ჩემი მონანიება წრფელი ჭმუნვა-წუხილის შედეგია და, იმასაც ვიტყვი, ზეგარდმო ძალითაა მთავონებული.

— ო, ქრისტეს ყოვლად წმინდაო მოსაყდრევ, რა თქმა უნდა, თქვენ შეგწევთ ძალა, ჩაიხედოთ ჩემს სულში, მაგრამ უნდა იცოდეთ, რომ ჩემი შეცოდებების ენით უთქმელი კირთება უმძიმესია და მიწისაკენ მეზიდება. თქვენ შესანიშნავად შეიცნობთ სიწრფელეს ჩემი მონანიებისა. ჩემგან შორსაა უკადრის პირმოთნეობაზე ფიქრიც კი ანდა ანგარებიანი ზრახვა იმისა, საძრახისი გზით ვაცთუნო ხალხი. ო, ყოვლად წმინდაო უფლის მოსაყდრევ, ნება დართეთ მონანიე მღვდელს ორიოდ სიტყვით გაგიმხილოთ თავისი შეცოდებებით სავსე ცხოვრების საიდუმლო, აგრეთვე ისიც, რაც განუზრახავს ღრმა სინანულითა და მწუხარებით.

და მე დაუფარავად ვუამბე პაპს, ოღონდ სახელისა და გვარის დაუსახელებლად და, რამდენადაც შესაძლებელი იყო, მოკლედ მთელი ჩემი ცხოვრება. პაპი მეტისმეტი გულისყურით მისმენდა. იგი ხან სავარძელში ჯდებოდა, თავს ხელებში ჩარგავდა, მიწას დასჩერებოდა, ხან კიდევ მოულოდნელად ფეხზე წამოვარდებოდა, ხელებს გულზე გადაიჯვარედინებდა, თვალებანთებული მარჯვენა ფეხს წინ ისე წამოწევდა, თითქოს საცაა უნდა მცემოდა. როცა მბობა დავასრულე, კვლავ სავარძელში ჩაჯდა.

— თქვენი ამბავი, მღვდელო მედარდუს, ყველაზე განსაცვიფრებელი ამბავია იმათ შორის, რაც კი ოდესმე მომისმენია. მითხარით, გჯერათ თუ არა ბოროტი ძალის, ეკლესია რომ ეშმაკს ეძახის, აშკარა და ხილული ზემოქმედება?

პასუხი მზად მქონდა, მაგრამ პაპმა არ დამაცალა, თავადვე განაგრძო:

— გჯერათ თუ არა, რომ სწორედ იმ ღვინომ, რომელიც მონასტრის განძსაცავიდან მოიპარეთ და შესვით, გიბიძგათ ჩადენილი დანაშაულისაკენ?

— დიახ, სწორედ ამ ღვინომ, ვითარცა შხამგარეულმა სითხემ მომცა ძალა გამეღვივებინა ჩემში მთვლემარე ბოროტი თესლი.

ჩემი პასუხის შემდეგ პაპი ერთხანს გაჩუმდა, მერე კი დარბაისლური, ფიქრიანი თვალები მიმაპყრო და განაგრძო:

— მაგრამ რას ვიზამთ, თუკი ბუნებას ერთი და იგივე კანონები დაუწესებია, როგორც ფიზიკური, ასევე სულიერი ორგანიზმისათვის: მსგავსი თესლი თავისივე მსგავსს შობს; თუკი ამ თესლში ჩაბუდებული მიდრეკილებები და სურვილები ტანაყრილ ხეს კვლავ მწვანე ფოთლებით შემოსავს და ასე იზრდება და ხაროობს, პაპიდან პაპას გადაეცემა ყოველგვარი ძალდატანებისა და თვითნებობის გარეშე, ხომ არსებობენ მკვლელთა, ყაჩაღთა ოჯახები. წინაპართაგან ნამემკვიდრევი ცოდვა ასეთ შემთხვევაში იქნებოდა სამარადისო წყევლა, რომელსაც მონანიების შედეგად გაღებული ვერანაირი მსხვერპლით ვერ ამოძირკვავს, ვერ წაშლის შთამომავლობა...

— თუ ცოდვილის ნაშობიც შესცოდავს წინაპრისაგან ნამემკვიდრევი ორგანიზმის წყალობით, ეს უკვე აღარ უნდა იყოს შეცოდება, — სიტყვა შევაწყვეტინე პაპს.

— არა, მაინც შეცოდებაა, — მომიგო პაპმა, — მარადიულმა გონმა შექმნა ბუმბერაზი, რომელსაც ღონე შესწევს ჩვენში მძვინვარე ბრმა მხეცი მოთრგუნოს და მოათვინიეროს. ამ ბუმბერაზს სახელად ცნობიერება ჰქვია და მისი ბრძოლა ცხოველურ საწყისთან თავისუფალ ნებას წარმოშობს. ბუმბერაზის გამარჯვება — სათნოებას მოასწავებს, ხოლო მხეცისა — შეცოდებას.

პაპი ერთხანს დადუმდა, მერე ხალისიანად შემომხედა და წყნარი ხმით მითხრა:

— როგორ გგონიათ, მღვდელო მედარდუს, შემეფერება თუ არა მე, — უფლის მოსაყდრეს — განვსაჯო, რა არის ცოდვა-ბრალი?

— თქვენო მაღალუწმინდესობავ, — მივუგე პასუხად, — თქვენ ღირსჰყავით მსახური თქვენი მოესმინა თქვენგან გამოთქმული ღრმა აზრები ადამიანური ყოფის არსზე და, რაღა თქმა უნდა, შეგეფერებათ კიდევაც ილაპარაკოთ იმ ბრძოლაზე, რომელიც კარგა ხანია თქვენი ძლევამოსილი და ბრწყინვალე გამარჯვებით დაგვირგვინდა.

— როგორც ვხედავ, ძმაო მედარდუს, კარგი აზრისა ყოფილხართ ჩემზე, — მითხრა პაპმა, — იქნებ ფიქრობთ, ტიარა დაფნის გვირგვინია, რომელიც მთელ ქვეყნიერებას აუწყებს, რომ მე გმირი ვარ და ძლევამოსილი?

— იყო მეფე და ხალხის მბრძანებელი — ეს ძალიან დიდი უპირატესობაა. ასე ხდება ხოლმე ცხოვრებაში — მაღალი მდგომარეობის მქონეთ ყველაფერი თავის გარშემო ბევრად უფრო მახლობელი და ურთიერთობებში თანაბარზომიერი ჰგონიათ და სწორედ მათ უვითარდებათ საოცარი ნიჭი, თვალის ერთი გადავლებით სწრაფად სწვდნენ ყველას და ყოველს და ეს ნიჭი მეფედ შობილთა [illegible] მოვლენილი კურთხევაა.

— ხომ არ გგონია, სუსტი გონებისა და ნების მეფესაც გააჩნია ეს ნიჭი საოცარი გამჭრიახობისა, რომელიც სიბრძნედ მოგეჩვენება და სწორედ ამ მოჩვენებით სიბრძნეს შეუძლია ბრბოს გულის მოგება? საინტერესოა, თქვენ რას ფიქრობთ ამაზე?

— მე მინდოდა, უწინარეს ყოვლისა, მელაპარაკა — იმ ხელისუფალთა კურთხევაზე, რომელთა სამეუფო ამქვეყნიურ სამყაროში სუფევს. მერე კი უფლის მოსაყდრეთა წმინდა, ღვთაებრივ მირონცხებაზე მეთქვა სიტყვა. უფლის სული იდუმალი გზით ჰფენს ნათელს მაღალი რანგის წარჩინებულ მღვდელმსახურთ, რომელნიც კონკლავის შემადგენლობაში შედიან, თავიანთ სენაკებში განმარტოებულნი ღვთისმოსავ ჭვრეტას მისცემიან და ციური ნათელი მოსავს სულს, რომელიც ღვთაებრივი გამოცხადების წყურვილით იურვის და ამ დროს იმათ შთაგონებულ ბაგეთ აღმოხდებათ სახელი რჩეულისა, ვითარცა ხოტბა-სადიდებელი ჰიმნი აღვლენილი ყოვლის დამბადებლისადმი. ამით მიწიურ ენაზე ამცნობს სამყაროს ყოვლად ძლიერი თავის განზრახულებას, თუ ვინ აირჩია ულირსეულეს მოსაყდრედ და, ყოვლად წმინდაო მეუფეო, თქვენი გვირგვინი ხომ უზენაესის სამკეცი იდუმალი რკალითაა ნათელმოსილი. იგი, კაცმა რომ თქვას, დაფნაა, რომელიც გმირად და ძლევამოსილად წარმოგაჩენთ. არაამქვეყნიურია სუფევა თქვენი და მაინც მოწოდებული ბრძანდებით იმეფოთ მიწიური სამყაროს ყველა საბრძანებელზე, თავს უყრით რა ერთად უხილავი ეკლესიის ყველა წევრს უფლის სადროშოს ქვეშ. მიწიური სამეუფო, რომელიც წილად გერგოთ, თქვენი ტახტის მხოლოდ კვარცხლბეკია, ზეციური დიდებულებით რომ ბრწყინავს.

— შენ, რა თქმა უნდა, დამეთანხმები, — შემაწყვეტინა პაპმა, — ჰო, ალბათ დამეთანხმები, ძმაო მედარდუს, რომ მე მაქვს საფუძველი კმაყოფილი ვიყო ჩემი წილხვედრი სამეფო ტახტით. ეს აყვავებული რომი მართლაც რომ ზეციური მშვენებითაა შემკული. ამას შენც იგრძნობ, ძმაო მედარდუს, თუკი მიწიურის განცდა მთლად არ დაგიკარგავს... მაგრამ რატომღაც არ მჯერა ეს... შენ გვარიანი მოლაპარაკე ხარ და ერთნაირი შეხედულებებიც გვაქვს... მე შენ მომწონხარ... იმასაც ვატყობ, კვლავაც გავუგებთ ერთმანეთს... დარჩი ჩვენთან... რამდენიმე დღეში იქნებ წინამძღვარიც გახდე, მერე ალბათ ჩემს სულიერ მამადაც აგირჩევ... წადი, ოღონდ ეკლესიებში თავი ბრიყვულად ნუ გიჭირავს, სულ ერთია, წმინდანი მაინც ვერ გახდები, საეკლესიო კალენდარი უშენოდაც შევსებულია.

პაპის ბოლო სიტყვებმა, ისევე როგორც საერთოდ მისმა საქციელმა, დიდად გამაოცა, რადგან იგი მეტისმეტად უპირისპირდებოდა ჩემს წარმოდგენაში შექმნილ ხატს ქრისტიანული სამწყსოს უზენაეს მესვე-

ურზე, ვინც ძალაუფლების მპყრობელი იყო, ვისაც ხელეწიფებოდა შეკავშირება და გარდაწყვეტა. უკვე ეჭვიც აღარ მეპარებოდა, რომ იგი ყველაფერს, რასაც კი ვგულისხმობდი, როცა მისი მოწოდების მაღალღვთაებრიობაზე ვლაპარაკობდი, მხოლოდ ცბიერ პირმოთნეობად მიიჩნევდა. პაპი ვარაუდობდა, რომ მე წმინდანთა თანა შერაცხვაზე ვოცნებობდი, მაგრამ ვშიშობდი რა, რომ იგი განსაკუთრებულ გარემოებათა ძალით აქეთკენ მიმავალ გზას დამიხშობდა, ახლა განზრახული მაქვს სხვანაირად მივაღწიო პატივსა და გავლენას და პაპიც, ჩემთვის გაუგებარი მიზეზით დათანხმდა, რომ ამაში შემწეობას აღმომიჩენდა.

მე გადავწყვიტე წამითაც არ დავფიქრებულიყავ, ისე დამეტოვებინა რომი, ვიდრე პაპი ხელმეორედ არ მომიხმობდა თავისთან, ხოლო მონანიება და ლოცვები კვლავ გამეგრძელებინა. მაგრამ თავს შინაგანად მეტისმეტად ფრთაშესხმულად ვგრძნობდი საიმისოდ, რომ წინანდებურად ზეცისაკენ მიმედრიკა სული. ჩემდა უნებურად ლოცვების ჟამსაც კი მაგონდებოდა ადრინდელი ცხოვრება ჩემი, მაგრამ ხატი ჩემთა გადახდომილებათა თანდათან გამქრქალდა, გაფერმკრთალდა. ახლა ჩემი სულისმიერი მზერის წინაშე თვალისმომჭრელი ელვარებით გაბრწყინდა ბრწყინვალე ასპარეზი ჩემი, რომელიც ჰერცოგის ფავორიტობით დაიწყო, მერე პაპის სულიერ მამობასაც ველირსე და, ვინ იცის, კიდევ რა სიმაღლეს მივაღწევდი. ყოველივე ამის წყალობით და არა იმიტომ, რომ პაპმა ამიკრძალა, არამედ ჩემი საკუთარი ნებით შევწყვიტე ლოცვები და სულის მოსანანიებელი ეპიტიმიები და ჩვეულებრივად ვიწყე რომის ქუჩებში ხეტიალი. ერთხელ ესპანურ მოედანზე მოვხვდი და თოჯინების მოძრავი თეატრის სკივრთან შექუჩებული ხალხის ჯგრო დავინახე. უეცრად გავიგონე, რა სასაცილოდ იწივლა პულჩინელიმ და ბრბოც ცხენივით აჭიხვინდა. პირველი აქტი დასრულდა. ახლა მეორე აქტისათვის ემზადებოდნენ. სკივრის პაწია სახურავი აიხადა, გამოჩნდა ჭაბუკი დავითი ტრადიციული შურდულით ხელში, ზურგზე წვრილი კენჭებით ავსებული ტომარა წამოეკიდებინა. იგი თვალსასეირო მანჭვა-გრეხით გვაუწყებდა, რომ ამჯერად კი მართლა მოუღებდა ბოლოს, დანას შიგ გულში ჩასცემდა და მზეს დაუბნელებდა ტლანქ და გაუთლელ ბუმბერაზ გოლიათს და ისრაელიც გადარჩებოდა. ფილისტიმელების ბუმბერაზი გოლიათი ვეება თავით ჩვენ წინ წამოიმართა და რა დიდად გავვოცდი, როცა პირველი ნახვისთანავე გოლიათში ჩემი მოსულელო დალაქი ბელკამპო შევიცანი. თავქვეშ რაღაც განსაკუთრებული მოწყობილობის დახმარებით მიემაგრებინა პაწაწა ტანი, ციცქნა ხელები და ფეხები, ხოლო საკუთარი მსრები და მკლავები მოფარდაგულ ნაჭერში ჩაემალა, ეს ნაჭერი კი იყო გოლიათის ფართო ნაკეცებიანი უზარმაზარი მოსასხამი. გოლიათი უცნაურად იღმიჭებოდა, ჯუჯა ტანის გროტესკური ღლანკვა-გრეხით წარმოთქვამდა გატყლარჭულ სიტყვას, რომელსაც დავითი ხანდახან აწყვეტინებდა, თან წვრილ ხმაზე ჩაიხითხითებდა ხოლმე. ამის დამნახავი ხალხი გულიანად ხარხარებდა. მე კი ისე გამაოცა ამ სანახაობამ, რომ ჩემდა უნებურად კარგა ხნის წინ მივიწყებულმა და ერთბაშად მომსკდარმა სიცილმა ლამის სული შემიგუბა და ბავშვური თავდავიწყებით ავყევი სიცილის მოვარდნილ ნიაღვარს. ო, რა ხშირად ჰგავდა წინათ ჩემი სიცილი სულის გამტან-

ჯავი წამებით გათანგულ კრუნჩხვას. დავითის გოლიათთან ორთაბრძოლას წინ უძღოდა იმათი ხანგრძლივი და გრძელი შეპაექრება. დავითი უალრესად იკლიკანტურად და განსწავლულად განმარტავდა, რატომ უნდა განეგმირა იმას მახვილით თავისი მრისხანე მოწინააღმდეგე, რატომ მაინცდამაინც ის უნდა მოეკლა და არა სხვა. ამ დიალოგის დროს ბელკამპოს ელვისებური სისწრაფით უთამაშებდა ხანის ყველა კუნთი და უცნაურად იღმიჭებოდა, ამასთანავე ბუმბერაზმა ციცქნა და პაწაწკინტელა დავითს ხელი აუქნია და უნდოდა მაგრად ჩაეცხო სახეში, მაგრამ დავითმა მარჯვედ აიცდინა დარტყმა, ხან იქეთ ეცა, ხან აქეთ, მერე კი გოლიათის ტანზე მოგდებული მოსასხამის უშველებელ ნაკეცებში შეიმალა. ბოლოს გოლიათს ქვა მოხვდა თავში, იგი ძირს დაეცა და მოძრავი თეატრის სახურავიც დაიხურა. მე კი თავაწყვეტილად ვხარხარებდი და ვხარხარებდი, ლამის მთლად შევიშალე ბელკამპოს გიჟური გენიის შემყურე, ვიდრე უეცრად ვიღაცამ მხრებზე ხელი არ დამკრა. წყნარად. მოვიხედე: ჩემ გვერდით აბატი იდგა.

— გულწრფელად მიხარია, ღირსეულო და უწმინდესო ჩემი ბატონო, — დაიწყო მან. — რომ არ დაგიკარგავთ მიწიური სიხარულის შეგრძნება. თქვენი უცნაური მოსანანიებელი ლოცვები რომ მინახავს, აღარც კი მეგონა, სიცილი თუ შეგეძლოთ მსგავსი სისულელეების ნახვისას.

როცა აბატმა ეს სიტყვები მითხრა, შემრცხვა ჩემი გახალისების გამო და უნებლიეთ ვუთხარი, თუმცა იმწამსვე მწარედ ვინანე ნათქვამი.

— დამიჯერეთ, ბატონო აბატო, ვისაც მოუკლავს, ის მოკლავს ნადირსა უხვსა ტყისასა. ვისაც ძალუძს დაუღლელად გასცუროს ათასფერადი ცხოვრების ბობოქარ ტალღებში, არასოდეს გატყდება წელში, არასოდეს არ უმტყუნებს ძალ-ღონე, რათა მისი მღვრიე ნიაღვრებიდან ამოყურყუმალავება შეძლოს და თავიც ამაყად დაიჭიროს.

აბატმა ანთებული თვალებით შემხედა.

— ო, რა მარჯვედ მიაგენით სათქმელს და კიდევაც ეწიეთ საწადელს. ახლა კი მჯერა, რომ ძირისძირამდე გაგიცანით და უნდა გითხრათ, სულის სიღრმემდე აღტაცებული ვარ თქვენით.

— არ მესმის, ბატონო ჩემო, რა მაქვს აღსატაცებელი, ერთი საწყალი მომნანიებელი მღვდელი ვარ.

— ჩინებულია, თქვენო უწმინდესო მაღალღირსებავ, კვლავ დაუბრუნდით თქვენს როლს და ნურც იფიქრებთ იქიდან გამოსვლას, ასე სჯობია. თქვენ ხომ პაპის ფავორიტი ბრძანდებით!

— აქ არაჩვეულებრივი არაფერია, უბრალოდ, მისმა მაღალბრწყინვალებამ ინება და აუდიენციაზე მიმიღო, ვითარცა ქრისტე-მაცხოვრის მოსაყდრემ, რათა მისი ხილვის ღირსი გავმხდარიყავი. ჩემის მხრივ მეც თაყვანებით მოვიყარე მუხლი მის წინაშე, როგორც ეს მის მაღალღირსებას ეკადრებოდა, ვინც ცისა და მიწის მბრძანებელმა ღირსჰყო ამ დიდი პატივისათვის, რადგან კარგად დაინახა, რაოდენ იმსახურებდა ამას მისი რჩეულის ზეციური სათნოებით აღვსილი უბიწო სული.

— ბიჭოს! შენ მთლად ღირსეული ვასალი ჰყოფილხარ სამგზის გვირგვინოსნის სამეფო ტახტისა და იმასაც კარგად ვამჩნევ, ბევრი

არაფერი შეგეშლება, კარგადაც შეასრულებ შენთვის დაკისრებულ მოვალეობას. ოღონდ მერწმუნე, ამჟამინდელი უფლის მოსაყდრე თვალმარგალიტია სათნოებისა ალექსანდრე მეექვსესთან შედარებით. თუმცა შეიძლება აქაც მოტყუვდე ანგარიშში, მაგრამ რა გიჭირს, მაინც ითამაშე შენი როლი. რაც ასე ლაღად და გულოვნად დაიწყო, არ შეიძლება ცუდად დამთავრდეს. კარგად ბრძანდებოდეთ, ჩემო უწმინდესო და უღირსეულესო.

აბატმა გესლიანად, ირონიულად ჩაიქირქილა და გამშორდა, მე კი გაქვავებული მივეჯაჭვე ერთ ადგილს. შევადარე რა ერთმანეთს მისი ბოლო ხანს გამოთქმული შეხედულებები და ჩემი დაკვირვებები პაპის შესახებ, აშკარად დავრწმუნდი, რომ იგი არავითარ შემთხვევაში არ შეიიძლებოდა ყოფილიყო ცხოველურ საწყისთან ბრძოლაში გამარჯვებული გვირგვინოსანი, როგორადაც ადრე მიმაჩნდა, გარდა ამისა, ძრწოლვით და მწარე გულისტკივილით უნდა დამეჯერებინა, რომ ყოველ შემთხვევაში საზოგადოების რჩეული და კურთხეული ნაწილი მაინც ჩემს მონანიებას მიიჩნევდა ფარისევლურ სწრაფვად ამაო გზით ბრბოზე ამაღლებისაკენ. სულის სიღრმემდე შეძრული და გულდაკოდილი დავბრუნდი მონასტერში და ცარიელ ეკლესიაში განმარტოებით აღვავლინე გულმხურვალე ლოცვა. თვალებიდან ლიბრი ჩამომეცალა და ცხადად შევიცანი ეშმაკეული ძალის ცდუნება, რომელიც ხელახლა აპირებდა ჩემს გახვევას ჯოჯოხეთურ ლაბირინთებში. დავინახე აგრეთვე ჩემი ცოდვილი უმწეობა და განგებით მოვლენილი ღვთის სამსჯავრო. ახლა სასწრაფოდ აქედან გაქცევა თუ გადამარჩენდა ცდუნებისაგან და გადავწყვიტე კიდევაც სისხამ დილით გავდგომოდი გზას. ის იყო შეღამდა, როცა მონასტრის ზარმა დარეკა და ჩემს სენაკში შემოვიდა ძმა — კარის დარაჯი, რომელმაც მაუწყა, ერთი უცნაურად ჩაცმული კაცი გკითხულობსო. მისაღებ ოთახში გავედი და ხელში ბელკამპო შემრჩა. იგი გიჟივით მომვარდა, როგორც ჩვეოდა, ორივე მკლავში ხელი ჩამაყლო და ფიცხლავ კუთხეში მიმათრია.

— მედარდუს, — დაიწყო მან ჩუმი ხმით და სხაპასხუპით, — მედარდუს, რაც არ უნდა ქნა, ბოლოს და ბოლოს თავიც რომ მოიკლა, სისულელე მაინც არ მოგეშვება, იგი შენთან ერთად დაფრინავს ყველა მიმართულებით, დასავლეთის, სამხრეთის, სამხრეთ-დასავლეთის და კიდევ, ვინ იცის, რომელი ქარის ფრთებზე არა, იგი ხელს გტაცებს და გამოგათრევს უფსკრულიდან, საცა კი აფრიალდება შენი ანაფორის ნაგლეჯიც. ო, მედარდუს! ბოლოს და ბოლოს იცოდე, რას ნიშნავს მეგობრობა, გაიგე, რა შეუძლია სიყვარულს, გაიხსენე, ჩემო საყვარელო კაპუცინო, დავითი და იონათანი.

— მე ალტაცებული ვარ შენი გოლიათით, — ჩავაკერე ლაპარაკში ენამორატრატე ბელკამპოს, — ის მაინც მითხარი, აქ რისთვის მოხვედი? ჩემთან რამ მოგიყვანა?

— რამ მომიყვანა? აქ რა მომიყვანდა, თუ არ გიჟური სიყვარული კაპუცინისადმი, ვისაც ოდესღაც თმა დავუვარცხნე, ვინაც სისხლიანი დუკატები მიწყალობა, ვისაც ამაზრზენ მოჩენებებთან ჰქონდა ურთიერთობა და მას შემდეგ, რაც სიცოცხლე მოუსწრაფა რამდენიმე მათგანს, მზეთუნახავის ცოლად შერთვა მოინდომა ბიურგერული, ანდა უფრო მართებული იქნებოდა, თუ ვიტყოდი, თავადური ჟესტით.

— გაჩუმდი! — ვიყვირე მე, — გაჩუმდი-მეთქი, გეუბნები, შე საფრთხობელა და ყეყეჩო! მე ხომ ძნელზე ძნელად მოვინანიე ყველაფერი, რაზეც ასე მწარედ მსაყვედურობ მაცდური თავგასულობით.

— ო, ბატონო, — განაგრძო ბელკამპომ, — განა ისე მგრძნობიარეა ის ადგილი, რაზედაც მტრულმა ძალამ ღრმა ჭრილობა მოგაყენათ? ეს იმას ნიშნავს, რომ სრულად ჯერაც არა ხართ განკურნებული. მე ახლა თვინიერი და წყნარი გავხდები, ვითარცა ღვთისმოსავი ბავშვი, თავს მოვითოკავ, აღარ ვიხტუნავებ როგორც სულიერი ისე ფიზიკური გაგებით. ოღონდ პირუთვნელად გეტყვი, ჩემო ძვირფასო კაპუცინო, რომ მეტწილად შენი ამაღლებული სიგიჟის გამო მიყვარხარ ასე ნაზად და სულაც არ მიმაჩნია უმაქნისობად, თუკი გიჟური პრინციპი იხარებს და იღორძინებს ამ ქვეყანაზე, რამდენადაც ეს შესაძლებელი არის, ამიტომაც უყოყმანოდ გადაგარჩენ ყოველთვის, როგორც კი სასიკვდილო საფრთხე დაგემუქრება და წინასწარგანზრახულად რაიმე შეგემთხვევა. ჩემს თოჯინების თეატრში ყური მოვკარი, რომ შენზე ლაპარაკობდნენ, პაპს თურმე აქაური კაპუცინთა მონასტრის წინამძღვრად, მერე კი მის სულიერ მამად უნდიხარ. სასწრაფოდ უნდა აიკრა გუდა-ნაბადი და აქაურობას გაეცალო. რომში შენი დარჩენა არამც და არამც არ შეიძლება, რადგან ალესილი ხანჯლით თავის წაცლა გელის. იმ კაცსაც კი ვიცნობ, ვისაც დავალებული აქვს შენი მოშთობა. შენ გზაზე ელობები პაპის ამქამინდელ სულიერ მამას, დომინიკანელ მღვდელს და მის მომხრეებს. ხვალ უკვე შენ აქ აღარ უნდა იყო!

ეს ახალი ამბავი შესანიშნავად დაემთხვა გუშინ უცნობი აბატის მიერ გამოთქმულ შეხედულებებს. იმდენად შეცბუნებული ვიყავი, გვიან შევამჩნიე, როგორ ერთბაშად მომეკრა მკერდზე სასაცილო ბელკამპო და მისთვის ჩვეული უცნაური გრეხვა-ღმეჭით და არაჩვეულებრივი ნახტომებით გამომემშვიდობა.

შუალამე გადასული იყო, როცა მონასტრის გარე კარიბჭე გაიღო და საეკლესიო ეზოს ქვაფენილზე ბორბლების რახრახი გაისმა. ცოტა ხნის შემდეგ ჩემი სენაკის კარზე დააკაკუნეს. კარი გაიღო და მამა წინამძღვარი დავინახე, ვინც ოთახში შემოჰყვა თავიდან ფეხებამდე შეფუთვნილ კაცს, რომელსაც ხელში ფარანი ეჭირა. წინამძღვარმა მითხრა:

— ძმაო მედარდუს, ერთი სასიკვდილოდ მსჯავრდებული კაცი თქვენგან ითხოვს სულიერ ნუგეშის ცემას და საბოლოო მირონცხებას. აღასრულეთ თქვენი ვალი. მიჰყევით ამ კაცს, იგი მიგიყვანთ, სადაც ჯერ არს.

შიშისაგან ცივმა ოფლმა დამასხა. ისეთი წინათგრძნობა გამიჩნდა, თითქოს ჩემთვის უნდა აეგოთ წესი და ამან ძალუმად შემაშფოთა. მაგრამ უფლება არ მქონდა წინააღმდეგობა გამეწია, ამიტომაც მივყევი შეფუთვნილს, რომელმაც კარეტის კარი გამიღო და ხელის ჯიკავით შიგ შემაგდო. იქ ორი მამაკაცი დამხვდა, რომლებმაც შუაში ჩამისვეს. მე გულის კანკალით ვიკითხე, სად მიგყავართ, ვის უნდა დავეულოცო გზა საუკუნო განსასვენელში წასავლელად-მეთქი. პასუხი არავის გაუცია. მძიმე დუმილით მივუყვებოდით რომის ქუჩებს და გზის დამთავრებას ბოლო არ უჩანდა. ბორბლების ჭრიალზე მივხვდი, რომ ქალაქგა-

რეთ ვიყავით, მაგრამ მალე ისიც ცხადად შევამჩნიე, რომ სადღაც ჭიშკარში შევედით და ეტლმა მოკირწყლულ ქვაფენილზე განაგრძო სიარული. ბოლოს კარეტა გაჩერდა, სასწრაფოდ ხელები შემიკრეს და თავზე სქელი ბერეტი ისე ჩამომაფხატეს, სახე აღარც კი მიჩანდა. ვიღაცა როხროხა ხმით გამომელაპარაკა:

— ცუდს არას მოგწევთ, ოღონდ რასაც დაინახავთ ანდა მოისმენთ, ამაზე კრინტი არსად არ უნდა დაძრათ, თორემ წამიერად სიკვდილი არ აგცდებათ.

კარეტიდან გამომიყვანეს. საკეტების ჟღარუნი გავიგონე და კარიც უშნოდ აჭრიალდა ცუდად გაზეთილი ანჯამების გამო. გრძელ დერეფნებში გამატარეს, ბოლოს კიბეებზე პირქვე დავეშვი, ქვემოთ, სულ ქვემოთ, ნაბიჯების ხმაზე მივხვდი, რომ მიწისქვეშეთში ვიყავი, მიცვალებულთა აკლდამაში, რადგან ცხვირში მეცა გვამების მყრალი სუნი. ბოლოს ჩემი მეგზურები შეჩერდნენ, ხელებიც შემიხსნეს, ბერეტიც წამაძვრეს თავიდან. მე ვიმყოფებოდი ფართოდ გაშლილ, ჭრაქით მკრთალად განათებულ აკლდამაში, ჩემ გვერდით იდგა შავად შეფუთვნილი კაცი, ალბათ ის, ვინც აქ მომიყვანა. ჩემ გარშემო დაბალ სკამებზე ჩამომსხდარიყვნენ დომინიკანელი მღვდლები. ის შემაძრწუნებელი სიზმარი გამახსენდა, ერთხელ რომ მეზმანა საპყრობილეში. დარწმუნებული ვიყავი, წამებული სიკვდილი მელოდა, მაგრამ სულის მხნეობა არ დამიკარგავს და შევუდექი მხურვალე ლოცვას არა იმიტომ, რომ საფრთხეს განვრიდებოდი, არამედ ნეტარ აღსასრულს მივგებებოდი. რამდენიმე წუთს გაგრძელდა საშინელი წინათგრძნობებით აღსავსე დუმილი. ბოლოს ერთი მღვდელი მომიახლოვდა და დაგუბული ხმით ჩამილაპარაკა:

— მედარდუს, თქვენი ორდენის ერთი ძმათაგანი ჩვენ მიერ სასიკვდილოდაა მსჯავრდებული. განაჩენი სისრულეში უნდა მოვიყვანოთ. მანამდე კი ეს მღვდელი თქვენგან, წმინდა და სპეტაკი კაცისაგან, ცოდვათა შენდობასა და ნუგეშს მოელის. შეასრულეთ თქვენი მოვალეობა!

შეფუთვნილმა, ჩემ გვერდით რომ იდგა, მკლავში ხელი ჩამავლო და გამიყვანა ვიწრო დერეფანში, იქიდან კი პატარა აკლდამაში. კუთხეში, ჩალადაგებულ საწოლზე იწვა ფერმიხდილი, ძონძებში გამოხვეული ჩონჩხი. ჩემი მეგზური წავიდა, წასვლამდე კი წამოღებული ლამპა დადო ქვის მაგიდაზე, რომელიც შუა ოთახში იდგა. მივუახლოვდი მსჯავრდებულს, რომელიც ძლივს შემობრუნდა ჩემკენ და გავშტერდი, როცა მასში ღვთისმოსავი მღვდელი კირილუსი ვიცანი. ჩემს დანახვაზე კირილუსს ზეციურმა ნეტარმა ღიმილმა გადაურბინა სახეზე.

— აი, ახლა კი ვხედავ, — დაიწყო მან მისუსტებული ხმით, — ჯოჯოხეთის ამაზრზენმა მსახურებმა, აქ რომ მეუფებენ, მთლად არ დამამწყვალეს და ტყუილი არ მითხრეს. მათგან შევიტყვე, ჩემო საყვარელო ძმაო მედარდუს, შენი რომში ყოფნა. ძალიან მინდოდა, მენატრებოდა შენი ნახვა, რადგან ერთხელ დიდი უსამართლობა ჩავიდინე შენ მიმართ, დაუმსახურებლად გაწყენინე. ეს უწმინდურები დამპირდნენ, რომ შენს თავს მანახებდნენ, როცა ჩემი ყოფნის უკანასკნელი საათი დადგებოდა. აი, დადგა კიდევაც ჩემი აღსასრულის ჟამი და მათაც შეასრულეს თავიანთი სიტყვა.

მე მოწიწებით მოვიხარე მუხლი ღვთისმოსავი და ღირსპატივმისაგებელი მოხუცის წინაშე, ზენარითა და ფიცით შევთხოვდი აეხსნა, რატომ მოხვდა საპატიმროში და რად მიუსაჯეს სიკვდილი.

— ჩემო საყვარელო ძმაო მედარდუს, — მითხრა კირილუსმა, — თავდაპირველად ნება მომეც მოვინანიო, რაც კი გაუგებრობის გამო მძიმედ შევცოდე შენ წინაშე. მხოლოდ მას შემდეგ, რაც შენ შემწეობით ღმერთი შემინდობს ამ ცოდვას, გავბედავ და ჩემი შეჭირვების, ჩემი დაქცევა-დანელების ამბავს. შენ იცი, რომ მე და ჩემთან ერთად მთელი მონასტერი წყეულ ცოდვილად მიგიჩნევდით. ვფიქრობდით, რომ შენ ჩაიდინე უმძიმესი დანაშაული, ამიტომაც განგდევნეთ ჩვენი საძმოდან. ისე, კაცმა რომ თქვას, შენს ცხოვრებაში მართლა დადგა ერთხელ საბედისწერო წამი, როცა ეშმაკმა კისერი ყულფში გაგაყოფინა, წმინდა სამკვიდრებელს მოგგლიჯა და საერო ცხოვრების ცოდვილ გზას გაგიყენა. მეორეს მხრივ, შემზარავი დანაშაულებანი, რამაც კინალამ მკვლელის სამარცხვინო სიკვდილი არ მოგაგო, სინამდვილეში შენ კი არ ჩაიდინე, არამედ უტიფარმა მატყუარამ. იგი ყველას გვაცდუნებდა, თვალებს გვიხვევდა შენი სახელით, შენი სამოსით, შენი გარეგნობით, თითქოსდა შენ იყავი მკვლელი და შემაძრწუნებელ დანაშაულობათა ჩამდენი. ყოვლად ძლიერმა უფალმა კი საოცარი გზით გამოააშკარავა სინამდვილე. თუმცა შენი ახირება წმინდა აღთქმის გატეხვას მოასწავებდა, ხოლო ეს ნიშნავს, რომ ქარაფშუტულად შეგიცოდავს, მაგრამ ბაინც უცოდველი ხარ შემაძრწუნებელ დანაშაულობებში, რასაც გაბრალებდნენ. დაბრუნდი მონასტერში, მედარდუს, ლეონარდუსი და ეკლესიის ძმები, რომელთაც სამუდამოდ დაკარგული ჰგონიხართ, სიყვარულითა და სიხარულით მიგიღებენ. ო, მედარდუს...

მოხუცს ულონობა მოერია და გრძნობა მთლად დაჰკარგა. ძლივს დავიოკე მღელვარება, რომელიც გამოიწვია მისმა სიტყვებმა, რითაც ჩემთვის ახალი საიდუმლო გაცხადდა. ახლა მხოლოთ მისი სულის განკურნებაზე ვფიქრობდი და რაკი სხვა დამხმარე საშუალებებს მოკლებული ვიყავი, ვცდილობდი გულშელონებული მოხუცი გონზე მომეყვანა, ფრთხილად, წყნარად გადავუსვი მარჯვენა ხელი თავზე და მკერდზე, ჩვეულებრივ, ამნაირად მოჰყავდათ გრძნობაზე ჩვენთან, მონასტერში სიკვდილის პირას მყოფი, უიმედო მდგომარეობაში ჩავარდნილი სნეული. ამ საშუალებამ გაჭრა, კირილუსი გონზე მოვიდა და იმან, უსპეტაკესი სულის უწმინდესმა კაცმა აღსარება მითხრა მე, დამნაშავესა და ცოდვილს. მაგრამ იმ წუთებში, როცა ცოდვებს მივუტევებდი მის სულს, რომლის უზენარესი შეცოდება მხოლოდ დაეჭვება იყო, რაშიც იგი ხანდახან ვარდებოდა, ყოვლად ძლიერმა ჩემში ზეციური ცვლილის პაწია ნაპერწკალი დაანთო და ზეგარდმო ძალა მომანიჭა, რისი შემწეობითაც თითქო უბრალო იარაღი ვიყავი, უზენაესი ძალის განსხეულებული ორგანო, რომელიც იმ მიზანს ემსახურებოდა, რომ აქ, მიწიერ სასუფეველში ჯერაც შებოჭილ, თავისუფლებას მოკლებულ ადამიანებთან ადამიანური ენით შემძლებოდა ლაპარაკი. კირილუსმა ღვთისმოსავი მზერა ზეცას მიაპყრო და მითხრა:

— ო, ჩემო ძმაო მედარდუს, შენმა სიტყვებმა ტკივილები დამიყუჩა და სიმშვიდე მომაგო. სიხარულით ვეგებები სიკვდილს, რომელიც

ცოდვილებმა განმიმზადეს. მე ვარ მსხვერპლი სიცრუისა და უწმინდურობის, რაიც გარს ახვევია სამგზის გვირგვინოსნის ტახტს.

მძიმე ნაბიჯების ხმა გავიგონე. ეს ხმა თანდათან მოახლოვდა. კარის საკეტში გასაღებები აჩხრიალდა. კირილუსი რის ვაივაგლახით წამოდგა ფეხზე, ხელი დამიჭირა და ყურში მითხრა:

— დაბრუნდი მონასტერში. ლეონარდუსმა უკვე ყველაფერი იცის ჩემზე, იცის, რატომაც ვკვდები. შეეეედრე, რომ ამაზე სიტყვა არ დახარას. ჩემებრ მიხრწნილი ბებერისათვის არც ღირს მსხვერპლის გაღება. აბა იმდენს რალას ვიცოცხლებდი. მშვიდობით, ჩემო ძმაო. ილოცე ჩემი სულის განსაკურნავად. მე თქვენთან ვიქნები, როცა მონასტერში სულის მოსახსენიებელ პანაშვიდს გადამიხდით. შემომფიცე, რაც აქ იხილე და შეიტყვე, არაფერს იტყვი, რადგან ამით თავსაც დაიღუპავ და ჩვენს მონასტერსაც ათას უსიამოვნებას შეამთხვევ.

მომაკვდავის სურვილი შევასრულე. კარი გაიღო და შემოვიდნენ შავად შებურვილი ადამიანები. მოხუცი საწოლიდან წამოაყენეს, რადგან ძალაგამოცლილს თვითონ აღარ შეეძლო სიარული და დერეფნის გავლით აკლდამაში შეიყვანეს, სადაც ადრე ვიყავი. ნაცნობმა შეფუთვნილმა კაცმა მანიშნა, თან მოგვყევიო. დომინიკანელებმა წრე შეკრეს, ბედკრული კირილუსი იმ წრეში შეიყვანეს, შუაში ჩააყენეს და უბრძანეს მუხლი მოეყარა მიწის გროვაზე, რომელიც შუა ადგილას დაეყარათ, ხელში კი ჯვარცმა მისცეს. მეც კირილუსთან ერთად დომინიკანელების მიერ გაკეთებულ წრეში შევედი და ჩემი მოვალეობის აღსრულებას შევუდექი, ხმამაღლა ვიწყე ლოცვების კითხვა. ერთმა დომინიკანელმა ქეჩოში ხელი მტაცა და გვერდზე გამწია. მოულოდნელად დავინახე ის შავად შეფუთვნილი კაცი, რომელიც უკანა მხრიდან შემოიპარა წრეში, უცებ მის ხელში მახვილმა იელვა და სულ რაღაც ერთ წამში კირილუსის გასისხლიანებული თავი ჩემს ფეხებთან დაგორდა. მე გრძნობა დავკარგე და დავეცი. როცა გონს მოვედი, ერთ პატარა სენაკის მსგავს ოთახში ვიყავი. მერე ჩემთან დომინიკანელი შემოიძურწა და გესლიანი ღიმილით მითხრა:

— თქვენ, ჩემო ძმაო, კარგა გვარიანად შეგეშინდათ. ისე კი გახარება გმართებდათ, რადგან საკუთარი თვალით იხილეთ მშვენიერი მოწამებრივი აღსასრული. ხომ ასე უნდა ეწოდოს თქვენი მონასტრის ერთერთ ძმის სიკვდილით დასჯას, რომელიც ღიახაც დაიმსახურა. თქვენ ხომ ყველანი თხემით ტერფამდე წმინდანები ბრძანდებით.

— ჩვენ წმინდანები არა ვართ, — ფიცხად შევეპასუხე დომინიკანელს, — მაგრამ ჩვენს მონასტერში არასოდეს მოუკლავთ უდანაშაულო კაცი. ახლა კი გამიშვით, მე ხომ სიხარულით შევასრულე ჩემი ვალი. ცხონებულის სული დამიფარავს, თუკი განგება უწმინდური მკვლელების ხელში ჩამაგდებს.

— ეჭვიც არ მეპარება, — მომიგო დომინიკანელმა, — რომ ასეთ შემთხვევაში ნეტარი ძმა კირილუსი მსგავს სამსახურს გაგიწევდათ. მაგრამ, ჩემო ძმაო, ჩვენ მიერ ჩატარებულ სიკვდილით დასჯას ნუ დაარქმევთ სახელად მკვლელობას, არ გინდათ ეს. კირილუსმა მძიმედ შესცოდა უფლის მოსაყდრის წინაშე და იმანაც თავის მხრივ არ დააყოვნა და მისი სიკვდილით დასჯა ბრძანა. განსვენებულმა ხომ ყველა-

ფერი მოინანია თქვენ წინაშე, როცა აღსარება გითხრათ. ამიტომაც აღარ ღირს ამაზე სიტყვის გაგრძელება. ახლა კი ინებეთ და ცოტა ღვინო მოსვით, ჯანზე მოგიყვანთ და მოგიხდებათ, თქვენ ისე ფერმიხდილი და აფორიაქებული ბრძანდებით.

დომინიკანელმა ბროლის სასმისი მომაწოდა, რომელშიც მუქი წითელი, მძაფრი სუნის ღვინო ესხა. როგორც კი სასმისი ბაგესთან მივიტანე, გულში ავის მომასწავებელმა ფიქრმა გამკრა. რაღაც შეცნაურა. ეს ხომ ის ღვინო იყო! ამ ღვინით გამიმასპინძლდა ეფემია იმ საბედისწერო ღამეს! სწრაფად და შეუმჩნევლად ჩავისხი ღვინო ანაფორის მარცხენა სახელოში და ვითომ ჭრაქის შუქმა დამაბრმავაო, მარჯვენა ხელი თვალებზე მივიფარე.

— შეგერგოთ! — მომაძახა დომინიკანელმა და თვალის დახამხამებაში კარისაკენ მიჯიკავა ხელი, მერე ჩამაგდეს ეტლში, რომელშიც ჩემდა გასაოცრად კაციშვილი არ იყო და სასწრაფოდ იქაურობას გამაშორეს.

იმ ღამით ჩემს თავზე დატრიალებულმა საშინელებებმა, სულიერმა ელდამ და თავზარდაცემამ, უსაზღვრო წუხილმა უბედურ კირილუსზე ისე გამაოგნა და გამახევა, რომ წინააღმდეგობის ოდნავი გაწევის უნარიც კი წამერთვა. ეტლიდან გამომიყვანეს და ყოვლად უპატივცემულოდ მიწაზე დამახეთქეს. მხოლოდ გამთენიისას შევამჩნიე, რომ კაპუცინთა მონასტრის ჭიშკართან ვეგდე. ძალა მოვიკრიბე, ავდექი და ზარი დავრეკე. კარის დარაჯი შიშისაგან შეკრთა ჩემი ფერმიხდილი, შეშლილი სახის დანახვისას და წინამძღვარს შეატყობინა ჩემი უცნაური დაბრუნების ამბავი. როგორც კი დილის წირვა ჩაატარა, წინამძღვარი დაუყოვნებლივ შემოვიდა ჩემს სენაკში. მას შეფიქრიანებული სახე ჰქონდა. შეკითხვებზე მხოლოდ ზოგადად ვპასუხობდი. ვუთხარი, რომ სულის სიღრმემდე შემაძრწუნა საშინელმა სიკვდილმა კაცისა, რომელსაც გზა დავულოცე საიქიო განსასვენებელში. მაგრამ მარცხენა ხელის აუტანელმა ტკივილმა ლაპარაკი არ დამაცალა. ტკივილი კიდევ უფრო გაძლიერდა, რის გამოც კვნესა და ყვირილი დავიწყე. სასწრაფოდ მონასტრის ქირურგს უხმეს და მომაგლიჯეს ხორცზე მიწებებული და მიმხმარი სახელო. რაღაც შხამიან ნივთიერებას მკლავზე ხორცი აეგლიჯა და ამოეწვა.

— ღვინის დალევა შემომთავაზეს, მაგრამ იგი სახელოში ჩავისხი, — ამოვიკვნესე და საშინელმა ტკივილმა გრძნობა დამაკარგვინა.

— ღვინოში საწამლავი იქნებოდა გარეული, — თქვა დასტაქარმა და სასწრაფოდ დამალევინა ტკივილის დამაყუჩებელი ძლიერი წამლები. ექიმის ოსტატობისა და აგრეთვე წინამძღვრის მიერ გამოჩენილი ნამეტნავი გულისყურიანობისა და მოვლა-პატრონობის წყალობით ხელის მოკვეთა საჭირო აღარ გამხდარა, ოღონდ ესაა, შხამმა მას მოძრაობის უნარი წაართვა, რადგან ხორცი ძვლამდე ამოხმა.

— შესანიშნავად ვხვდები, — მითხრა ერთხელ წინამძღვარმა, — რა მიზეზებითაც დაკარგე ხელი. ამ რამდენიმე ხნის წინ ჩვენი მონასტრიდან და სულაც რომიდან უგზოუკვლოდ დაიკარგა ღვთისმოსავი იერომღვდელი კირილუსი. თქვენც იგივე ბედი გელით, საყვარელო ძმაო

მედარდუს, თუკი დაუყოვნებლივ არ დატოვებთ პაპის ადგილსამყოფელს. ვიდრე მძიმედ იყავით ავად, რამდენჯერმე იკითხეს თქვენი ამბავი ფრიად საეჭვო პირებმა, და მხოლოდ ჩემს სიფხიზლესა და თანამოაზრე წმინდა ძმათა ერთსულოვნებას უნდა უმადლოდეთ, სიკვდილმა რომ სენაკში არ მოგისწროთ. ისე კი, ჩანს, უცნაური კაცი უნდა ბრძანდებოდეთ, ყველგან საბედისწერო არეში რომ იმყოფება. და არც ისაა გასაკვირი, რომში მცირე ხნით ყოფნისას თქვენდა უნებურად ისე გამოიჩინეთ თავი, ზოგიერთმა თვალსაჩინო პიროვნებამ თქვენი გზიდან ჩამოცილება თუ მოისურვა. დაბრუნდით სამშობლოში, მშობლიურ მონასტერში. და მშვიდობა გფარავდეთ მუდამ!

თვითონაც შესანიშნავად ვგრძნობდი, სიცოცხლეს საფრთხეში ჩავიგდებდი, თუკი რომს სასწრაფოდ არ დავტოვებდი. მაგრამ როცა გაწამებული ვიხსენებდი განვლილი ცხოვრების უტიფარ ქმედებას, რასაც უმკაცრესი მონანიებითაც ვერას ვშველოდი, ამას კიდევ ემატებოდა ფიზიკური ტკივილი გამხმარი მკლავისა. ტანჯვა-ვაებით აღსავსე უბადრუკ ყოფას არაფრად ვაგდებდი, რადგან სიკვდილი მენატრებოდა, ჩემთვის იგი ხსნაც კი იყო, ღვთისგან მოვლენილი მარტვილობის გვირგვინი, რომელიც დავიმსახურე მკაცრი მონანიებით და ლოცვებით და თუკი სიკვდილი მოულოდნელად მეწვეოდა, მისთვის მზად ვიყავი, იმდენად შევეჩვიე იმაზე გამუდმებულ ფიქრს. ხშირად მეჩვენებოდა, რომ მონასტრის ჭიშკრიდან გამოსულს ვილაც მოქუფრული და პირგამეხებული კაცი ანაზდეულად მკერდში მახვილს ჩამცემდა. ხალხი თავს მოიყრიდა ჩემს გასისხლიანებულ გვამთან და ცას შეაჯერებდა საწყალობელი მოთქმა-ყვირილით: „მედარდუსი მოჰკლეს, ღვთისმოსავი და მონანიე მედარდუსი“. ეს ამბავი ელვისებური სისწრაფით მოედებოდა რომის ქუჩებს, ხალხი ჯგროდ მოაწყდებოდა უბედური შემთხვევის ადგილს, ცხარე ცრემლით დამიტირებდნენ მიცვალებულს. ქალები მუხლებზე დაეცემოდნენ, თოვლივით ქათქათა ცხვირსახოცებით ჭრილობიდან გადმომსკდარ სისხლს მომწმენდნენ. ერთი მათგანი ჯვრისებურ ნაიარევს შეამჩნევდა ჩემს კისერზე და ხმამაღლა წამოიძახებდა: „იგი მარტვილია! იგი წმინდანია! შეხედეთ, კისერზე უფლის ნიშანი ამჩნევია!“ ყველანი მუხლებზე დაეცემოდნენ. ნეტარი იქნებოდა, ვინც წმინდანის სხეულს, თუნდაც მის სამოსს შეეხებოდა. მერე ჯალამბერს მოიტანდნენ და ვარდ-ყვავილებით მორთულ-მოკაზმულ წმინდანის სხეულს ზედ დაასვენებდნენ. ჭაბუკები ასწევდნენ ჯალამბერს და გალობითა და ლოცვით წარიღებდნენ წმინდანის ნეშტს წმინდა პეტრეს ტაძარში. საზეიმო პროცესიას ზღვა ხალხი გააცილებდა. აგზნებული ფანტაზია იმზომ ცოცხალი და ნათელი ფერებით მიხატავდა ჩემს ამქვეყნიურ განდიდებას, რომ მტკიცედ განვიზრახე სრული განკურნების შემდეგ,—ისე რომ ფიქრადაც არ მომსვლია და არც ეჭვი შემპარვია იმაში, ბოროტი სული რომ კვლავ ცდილობდა ჩემს ცდუნებას, მკრეხელური გულზვაობით ჩამაგონებდა რომში დარჩენას და ჩვეული ცხოვრების განგრძობას, — ან სახელგანთქმული მოვმკდარიყავი ანდა, თუ პაპი გამომტაცებდა მტრების ბრჭყალებს, მიმელწია საეკლესიო იერარქიის უმაღლესი საფეხურისათვის. ჩემი სიცოცხლისუნარიანობისა და გამძლეობის წყალობით შემეძლო არაადამიანური ტკივილი ამეტანა და წინააღმდეგობა გამეწია ჯო-

ჯოხეთური სამსალის ზემოქმედებისთვის, რამაც სულმთლად მომსპო და გამანადგურა. ექიმი დამპირდა მალე განიკურნებიო. ციებ-ცხელების შემოტევისას ვბოდავდი. ეს ბოდვა ჩაძინების წინ ძილ-ბურანში ყოფნისას მეწყებოდა. ამ დროს ხან სიცივისგან ვაკაწკაწებდი კბილებს, ხანაც სიცხით ვიყავი გათანგული. სწორედ ამ წუთებში საკუთარი მარტივილობის წარმოსახვაში ჩაძირულმა ჩემი თავი, როგორც ეს ხშირად მომსვლია ხოლმე, მკერდში სასიკვდილოდ დაჭრილი ვიხილე. მაგრამ ამჯერად ესპანურ მოედანზე როდი ვიწექი გაშხლართული, როგორც ეს სხვა დროს დამსიზმრებია, ჩემი მაქებ-მადიდებელი ხალხით გარშემოხვეული, ამის მაგივრად ჩემი გვამი ეგდო ბ-ს მონასტრის ბალთან მდებარე დაცარიელებულ ხეივანში. ფართოდ პირდაღებული ჭრილობიდან მოწვეთავდა არა სისხლი, არამედ მყრალი, უფერო სითხე და მე გავიგონე ვილაცის კვნესით ნათქვამი: „ნუთუ წამებულთა სისხლი მთლად დაიღვარა? მე განვწმენდ და ფერს მივცემ ბინძურ წყალს და მაშინ იმას თავზე გვირგვინს დაადგამს ცეცხლი, რომელიც ნათელზე გაიმარჯვებს". ეს სიტყვები მითქვამს თურმე მაშინ, როცა ვიგრძენი, როგორ დამშორდა ჩემი მკვდარი თვითარსი, ოღონდ ის კი შევამჩნიე, რომ ჩემი „მე-ს" არსგამოცლილი ფიქრი ვიყავი, მაგრამ მალე შევიცანი თავი ჩემი მეწამულისფერ ყვავილად, რომელიც ეთერში დაცურავდა. მთათა მოელვარე მწვერვალებზე ავიმართე და მინდოდა მშობლიურ ციხე-კოშკში შემელწია დილის ღრუბლებით მოოქროვილი კარიბჭის გავლით, მაგრამ ცის კამარაზე ცეცხლში აბრიალებული გველების დარად გზა გადამიკეტეს ელვებმა და სველი უფერო ნისლივით დავეცი მიწაზე. „ეს მე ვარ, მე, — ამბობდა ჩემი ფიქრი, — ვინც თქვენს ყვავილებს, თქვენს სისხლს ფერს აძლევს, ეს ყვავილები და სისხლია თქვენი საქორწილო შესამკობელი, რომელსაც მე განგიმზადებთ". რაც უფრო ღრმად ვეშვებოდი ქვემოთ და ქვემოთ, ვხედავდი ცხედარს, მკერდზე ფართოდ პირდაღებული ჭრილობით, საიდანაც ღვარად მოედინებოდა უწმინდური წყალი. ჩემს სუნთქვას ეს წყალი სისხლად უნდა ექცია, მაგრამ ეს ვერ მოხდა. ცხედარი წამოიმართა და გაქვავებული, ჩაცვენილი თვალები შემომაშტერა, მერე კი ისე დაიღრიალა, თითქოს ულრან ხეობაში მოთარეშე ჩრდილოეთის ქარი იყოო. „თვალდავსებულო ბრიყვულო აზრო, როდის ყოფილა ბრძოლა სინათლესა და ცეცხლს შორის? მაგრამ სინათლე ხომ ცეცხლით ნათლობაა მეწამულისფერი ყვავილისა, რომლის მოწამვლაც შენ გინდოდა". ცხედარი მიწაზე დაეცა. მინდვრის ყვავილებმა ჭკნობა იწყეს და თავები ძირს დახარეს, ადამიანები, ფერმიხდილი აჩრდილების დარად, მიწაზე დაეცნენ და ჰაერში გაისმა ათასხმოვანი უნუგეშო გოდება: „ო, მეუფეო, მეუფეო, განა ისე განუზომლად დიდია ჩვენთა ცოდვათა სიმძიმე, რომ შენ ძალას აძლევ ადამიანის მოძულეს, რათა გააცამტვეროს ცოდვილი მსხვერპლი ჩვენი სისხლისა?" ცას წვდებოდა მოთქმა-მუდარა, რომელიც ზღვის აბობოქრებულ ტალღებს ედარებოდა. ის იყო ჩემი ფიქრი უნდა განფანტულიყო უნუგეშო გოდების ძალუმ ბგერებში, როცა სიზმრისაგან გამოვფხიზლდი, თითქოსდა ელექტრონულმა დარტყმამ გამომაღვიძა. მონასტრის კოშკის ზარმა თორმეტი ჩამორეკა. ეკლესიის ფანჯრებიდან დამაბრმავებელი შუქი დაეცა

ჩემს სენაკს. „მიცვალებულები საფლავებიდან წამოდგნენ და ღვთისმსახურებას იწყებენ“, — გავიფიქრე და გულმხურვალე ლოცვა დავიწყე. უეცრად კარზე ნელი კაკუნი მომესმა. ვიფიქრე, ალბათ რომელიმე მღვდელს უნდა ჩემთან შემოსვლა-მეთქი. მაგრამ შევძრწუნდი, როცა გავიგონე შიშისმომგვრელი ხითხითი და სიცილი ჩემი ორეულისა. იგი მტანჯველი გახელებითა და ქირქილით მეძახდა: „ძამიკო... ძამიკო... ძამიკო... კვლავ შენთანა ვარ... ჭრილობიდან სისხლი მოწვეთავს... ჭრილობიდან სისხლი მოწვეთავს... წითელი... წითელი... წამოდი ჩემთან, ძამიკო მედარდუს! წამოდი ჩემთან!“ საწოლიდან წამოხტომა მინდოდა. მაგრამ თავზარდამცემმა შიშმა ყინულის საბანში გამახვია და ყოველი ჩემი მოძრაობა ლამის ყოვლისწამლეკავ კრუნჩხვად იქცა, მე შევთხოვდი უფალს გადავერჩინე ბნელი ძალებისაგან, რომლებიც ჯოჯოხეთის გაღებული კარიბჭიდან მესხმოდნენ თავს. ცხადად მესმოდა სულსა შიგან შეთხზული ჩემი ლოცვა და ამ ლოცვამ დაახშო ამაზრზენი ორეულის კაკუნი, ხითხითი და უსიამო რიშვები, მაგრამ ბოლოს ყველაფერი ჩაიკარგა უცნაურ ზუზუნში, გეგონებოდა, სამხრეთის ქარმა მწერების გუნდები გამოაღვიძა და აყვავებულ ნათესებს შხამიანი დინგებით ამოსწოვა სიცოცხლის ძალაო. ეს ზუზუნი იქცა ადამიანთა უნუგეშო დრტვინვად და ჩემმა სულმაც იკითხა: გრძნეული ხომ არ არის ეს სიზმარი, გულის ჯერაც შეუხორცებელ ჭრილობას რომ მალამოდ მოეცხება და ნუგეშსა და განკურნებას მომიტანსო. სწორედ ამ წუთში მწუხრის მეწამულისფერმა ციალმა გაჰკვეთა პირქუში და უფერო ნისლი და იქიდან ტანმალალი სახება წამოიმართა. ეს იყო ქრისტე. მისი ჭრილობის ყოველი წვეთი სისხლი მარგალიტივით ციმციმებდა, კვლავ დაუბრუნდა დედამიწას ბადახშისფერი და ადამიანთა დრტვინვა-ვიშვიში სადღესასწაულო ჰიმნად გადაიქცა, რადგან ბადახშისფერი ეს უფლის წყალობა იყო, რომელიც ადამიანურ მოდგმას მიეგება. მხოლოდ მედარდუსის ჭრილობიდან მოსჩქეფდა უფერული სისხლი და იგი გულმდუღარედ მოთქვამდა: „ნუთუ მთელ ქვეყნიერებაზე ერთადერთმა მხოლოდ მე უნდა ვიტანჯო და ვიმწუხარო უნუგეშო წუხილით მარადიულ წყევლასა და სატანჯველს მინებებულმა?“ უცებ ბუჩქებში რაღაც შეირხა: ციური შუქით აფერადებულმა ვარდმა აღიღო თავი და მედარდუსს ანგელოსის ნაზი ღიმილით შეხედა. მედარდუსი ვარდის ტკბილი სურნელით აღივსო. ეს სურნელი იყო საოცარი ნათება გაზაფხულის უებრო ჰაეროვნებისა. „ცეცხლს არ გაუმარჯვნია, ცეცხლსა და ნათელს შორის როდია ბრძოლა. ცეცხლი სიტყვაა, რომელიც ცოდვილს ჰფენს ნათელს“. — ეს სიტყვები თითქო ვარდმა წარმოთქვა, მაგრამ ვარდი ქალის უნაზეს ხატებად იქცა. იგი შემომეგება თეთრი სამოსით, თმაში ჩაწნული ვარდის კონებით. „ავრელია!“ — აღმომხდა სიზმრისაგან გამოფხიზლებულს. ჩემს სენაკს კვლავ აღავსებდა ვარდების საოცარი სურნელი და მე ნამდვილად მეგონა, თუმცა ეს აშკარა ტყუილი იყო და ჩემი წარმოსახვის ნაყოფი, რომ ავრელიას ვხედავდი სინამდვილეში. ჰო, იგი ჩემს სენაკში შემოსულიყო და მიყურებდა თავისი ფიქრიანი და თვალხმიერი მზერით, ვიდრე ბოლოს არ განიფანტა ვარდების სურნელთან, დილის რიჟრაჟთან ერთად. ახლა კი ცხადად დავინახე, როგორ მაცდუნა ხელახლა სატანამ და სასწრაფოდ მივაშურე ეკლესიას, დიდ-

ხანს ვილოცე გულმხურვალედ წმინდა როზალიას საკურთხეველთან. ეს არ იყო თვითგვემა ანდა სხვა რაიმე გამოხატულება სამონასტრო მონანიებისა. როცა შუადღის მზემ დედამიწას სხივები დააფრქვია, უკვე რამდენიმე საათის დატოვებული მქონდა რომი. არა კირილუსის შეგონება, არამედ ღრმა და უსაზღვრო სევდა მიმეწეოდა საძმობლოსაკენ იმავე ბილიკებით, რამაც ადრე რომში ჩამომიყვანა. საოცარი იყო, თითქოს მინდოდა საკუთარ მოწოდებას გავქცეოდი, აღთქმა გამეტეხა, მაგრამ მაინც ჯიუტად მივდევდი მიზანს, რომელიც წინამძღვარმა ლეონარდუსმა დამისახა.

მე თავი მოვარიდე ჰერცოგის რეზიდენციას, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ მეშინოდა, კვლავ ხელთ არ ჩავვარდნოდი სისხლის სამართლის სამსჯავროს, როგორ შემეძლო გულისგამპობი მოგონებების გარეშე მეხილა ადგილი, სადაც მკრეხელური მედიდურობით მოვინდომე მიწიური ნეტარება, რომელიც დიახაც აკრძალული მქონდა, ვითარცა ღვთისმსახურს. ო, მე არ შემეძლო მენახა ადგილი, სადაც ზურგი ვაქციე სიყვარულის მარადიულ წმინდა სულს და ცხოვრების სხივნათლიერ ჟამად ჩავთვალე ხორციელ ვნებათა დაკმაყოფილების წამი, როცა გრძნობიერი და ზეგრძნობიერი ერთ ცეცხლში იწვის და ბრიალებს, სადაც, სიცოცხლის მჩქეფარე სისავსედ, თავისივე ნებიერი და თვალწამტაცი საგანძურით ნასაზრდოები, მომევლინა პრინციპი, რომელსაც ნამეტნავად უნდა უარეყო სწრაფვა ზეციურისაკენ, რისთვისაც მარტოოდენ რიოში თვითუარყოფა შემეძლო დამერქვა. და უფრო მეტიც, განკურნების მიუხედავად, რაიც მომიტანა ჩემმა უმწიკვლო ფერისცვალებამ და გამუდმებულმა ძნელმა მონანიებამ, სულის სილრმეში უძლურებასაც ვგრძნობდი, ღირსეულად გადამეტანა ბრძოლა იმ ბნელ, შიშისმომგვრელ ძალასთან, რომლის ზემოქმედებაც ხშირად ასე უმწეოდ გამომიცდია საკუთარ თავზე და ანაზდეულად მაღიზიანებდა კიდევაც. რანაირად შემეძლო ამეტანა ავრელიას კვლავ ხილვა? თანაც როგორი ავრელიასი! სრული მშვენებითა და მომაჯადოებელი სიტურფით სხივმფინარესი. ეგ არაფრით არ შეიძლებოდა, თუკი არ დავამარცხებდი ბოროტ სულს, რომლის ჯოჯოხეთური ცეცხლი სისხლს მიმღვრევდა, დუღდა, ბობოქრობდა ჩემს ძარღვებში. რა ხშირად მომლანდებია ავრელიას სახება შფოთიერად, მაგრამ ასევე ხშირად ამბორგებია გულის შიგნით გრძნობები, რისი ცოდვიანობაც გამისიგრძეგანებია და რის ამოძირკვასაც ჩემივე ნება-სურვილით ძალუმად ვცდილვარ. აშკარად მჯეროდა, რომ ჩემი წრფელი მონანიების დასტური იყო იმის აღიარება — ყველაფერი ჩემგან წამოსული შემეცნო, გამეცნობიერებია აგრეთვე ჩემი უმწეობის შეგრძნება, რამაც ბრძოლისათვის თავის არიდების განცდა გამიჩინა, ხოლო ნუგეშად მრჩებოდა რწმენა იმისა, რომ უსათუოდ მიმატოვებდა გულზვავობის ჯოჯოხეთური სული, სიგოროზე, რამაც ბნელ ძალებთან თავი გამატოლებინა და მათთან ორთაბრძოლა გამაჩაღებინა. სამშობლოსაკენ მივიჩქაროდი, მთები გადავიარე. ერთ დილით ვაკე-მინდორზე მოულოდნელად ნისლით დაბურული ციხე-კოშკი დავინახე. როგორც კი მივუახლოვდი, მაშინვე ვიცანი ბარონ ფ-ის ციხე-სასახლე. ჰო, ბარონ ფ-ის მამულში ვიყავი. ო, ღმერთო, რა იავარქმნილი ვიხილე ერთ დროს ეგზომ აყვავებული ალაგი. პარკი ულრან ტყეს დამსგავსებოდა, ხეივნები

მოუვლელი იყო და სარეველა ბალახებით დაფარული. ციხე-სასახლის წინ გაშლილ მშვენიერ მინდორზე ნადირ-ფრინველნი დაძრწოდნენ, და-ბალახობდნენ. ბევრგან თვალში მოგხვდებოდა ჩამსხვრეული ფანჯრის მინები, ჩამოქცეული სადარბაზო. კაცის ჭაჭანება არსად ჩანდა. ენაჩაგ-დებული ვიდექი გაუნძრევლად და გაოცებული ვიყავი ამ უკაცრიელი ადგილსამყოფლის ხილვით. უცებ ვილაცის წყნარი ამოკვნესა გავიგონე ჯერაც საკმაოდ კარგად შენახული ფანჩატურიდან. მოვიხედე და ჭალა-რათმიანი მოხუცი დავინახე, რომელიც თალარში იჯდა, მე კი ვერც შემამჩნია, თუმცა არცთუ ისე შორს ვიდექი მისგან. როცა კიდევ უფ-რო მივუახლოვდი, მისი სიტყვები მომესმა:

— ვინც კი მიყვარდა, ყველა წავიდა ამ ქვეყნიდან. ო, ავრელია, ავრელია, შენს დაკარგვასაც მოვესწარი. ჩემი ერთადერთი ნუგეში შენ იყავი და ცოცხალი აღარა ხარ. ჩემი უკანასკნელი სასოება! შენ სამუ-დამოდ დატოვე ეს ქვეყანა.

მე ვიცან მოხუცი რაინჰოლდი და ადგილზე გავშეშდი.

— ავრელია მოკვდა? არა და არა! მართალს არ ამბობ, მოხუცო! ყოვლად ძლიერმა უფალმა დაიფარა იგი ცოდვილი მკვლელის დანისა-გან! — ვიყვირე გაოგნებულმა.

მოხუცი ჩემი ხმის გაგონებაზე შეძრწუნდა, თითქოს მეხი დაეცაო, ხმამაღლა წამოიძახა:

— მანდ ვინ არის? მანდ ვინ არის? ლეოპოლდ, ლეოპოლდ!

მის დაძახილზე ბიჭმა მოირბინა. მე რომ დამინახა, მდაბლად თავი დამიკრა და თავაზიანად მომესალმა.

— Laudetur Jesus Christus![1]

— In omina saecula Saeculorum.[2]

— მივუგე პასუხად ყმაწვილს. მოხუცი წამოდგა და კიდევ უფრო ხმამაღლა დაიძახა:

— ვინ არის მანდ? მანდ ვინ არის?

ახლა კი მივხვდი, რომ მოხუცი აბუეტი იყო.

— აქ ბრძანდება დიდად ღირსეული ბატონი, კაპუცინთა ორდენის წმინდა მამა, — მიუგო ბიჭმა.

მოხუცს ელდა ეცა, ძრწოლამ შეიპყრო, მერე აყვირდა:

— ჩქარა, ჩქარა წავიდეთ აქედან! წამიყვანე, ბიჭო, აქედან. შინ მინდა, შინ. კარი მაგრად ჩარაზე! პეტრემ გვიდარაჯოს! გამაშორე აქა-ურობას და შინ წამიყვანე!

მოხუცმა რის ვაივაგლახით მოიკრიბა ძალა, რომ გაქცეულიყო. იგი გამირბოდა, ვითარცა მტაცებელ მხეცს... ბიჭი შეშინებული და გაოცე-ბული მიყურებდა. მოხუცი არ დაელოდა, როდის წაიყვანდა ბიჭი, თვი-თონ სტაცა ხელი მას და წაათრია. მალე ორივენი კარს იქით გაუჩინარ-დნენ. ისიც კარგად გავიგონე, როგორ მაგრად ჩარაზეს კარი.

ამ სამწუხარო სურათმა უწინდელზე უფრო ცხოვლად მომაგონა ჩემი წარსული დანაშაულობანი და თავქუდმოგლეჯით მინდოდა გავც-ლოდი ჩემ მიერ ჩადენილი ავი ქმედებების მოწმე უტყვ ადგილებს. მა-

---

1. ვადიდოთ იესო ქრისტე. (ლათ).
2. უკუნითი უკუნისამდე. (ლათ.).

ლე ულრან ტყეში აღმოვჩნდი და ქანცმილეული ხის ძირში ხავსიან ლოდზე ჩამოვჯექი სულის მოსაბრუნებლად. იქვე ახლო მომცრო ბორცვზე ხის ჯვარი დაედგათ. ილაჯგაწყვეტილი რბილ ხავსზე წამოგწექი და მალე ჩამეძინა. როცა გამოვიღვიძე, ერთობ გამიკვირდა, ვილაც უცნობი მოხუცი გლეხი რომ მეჯდა გვერდით, ეტყობა, ჩემს გამოღვიძებას უცდიდა. როგორც კი თვალი გავახილე, მოკრძალებით მორიხვდა ქუდი და მომესალმა, მერე სავსებით კეთილსინდისიერი და ღვთისნიერი კილოთი მითხრა:

— თქვენო უწმინდესობავ, დარწმუნებული ვარ, შორიდან ბრძანდებით მოსული და ალბათ მეტისმეტადაც გადაიქანცეთ, თორემ ამ საშინელ ალაგას ასე ტკბილად რა ჩაგაძინებდათ. თქვენ იქნებ სულაც არ იცოდეთ იმ უბედურებაზე, ამ რამდენიმე წლის წინ რომ მოხდა.

მე დავარწმუნე მოხუცი მღვდელი, რომ უცხოელი მლოცველი ვიყავი, იტალიიდან მოვდიოდი და წარმოდგენაც არ მქონდა აქაურ ამბებზე.

— სხვათა შორის, — შენიშნა გლეხმა, — ეს უბედური ამბავი თქვენი ორდენის მღვდელს შეემთხვა. მართალი გითხრათ, როცა ტკბილად მძინარე დაგინახეთ, იქვე შორიახლო ჩამოვჯექი, გიდარაჯებდით, ცუდი არაფერი მოუვიდეს-მეთქი. ამბობენ, რომ ამ რამდენიმე წლის წინ აქ ერთი კაპუცინი მღვდელი მოუკლავთ. იმასაც ამბობენ, რომ წინა დღით ჩვენი სოფელი გამოიარა იმ კაპუცინმა, აქ ღამე გაათია, მერე კი მთებს მიაშურა. სწორედ იმ დღეს ერთი ჩემი მეზობელი ღრმა ვიწროებით ქვემოთ ჩაუყვებოდა ეშმაკის უფსკრულს და მოულოდნელად შორეული ყვირილი გაუგონია ერთობ უცნაური. მას დაუნახავს, — მაგრამ მე ეს შეუძლებლად მიმაჩნია, — კლდის ქიმზე მდგარი კაცი როგორ გადაეშვა უფსკრულში, მაგრამ მეც და ბევრმა ჩემმა სოფლელმაც დავიჯერეთ, რომ ეს კაცი კაპუცინი უნდა ყოფილიყო. ერთი-ორი სოფლის მაცხოვრებელთან ერთად უფსკრულში ჩავედით, ოღონდ ისე ფრთხილად, სიცოცხლე საფრთხეში არ ჩაგვიგდია და გადაჩეხილი გვამის ძებნას შევუდექით, მაგრამ ვერაფერი ვიპოვეთ. და სასაცილოდაც ავიგდეთ ერთი მეზობელი, რომელსაც შინ დაბრუნებისას ერთ მთვარიან ღამეს ღარტაფში უცებ ეშმაკეული უფსკრულიდან ამოსული დედაშობილა კაცი დაუნახავს. შიშისაგან ლამის გული გასკდომია, მაგრამ საქმე ის არის, მოგვიანებით შეეიტყვეთ, რომ კაპუცინი, ღმერთმა უწყის, რატომ, ვილაც წარჩინებული გვარის კაცს მოუკლავს, ხოლო გვამი ეშმაკის უფსკრულში ჩაუგდია. სწორედ ამ ადგილას უნდა მომხდარიყო მკვლელობა და ამაში დარწმუნებულიც ვარ. თუ რატომ მგონია ასე, ამაზე ახლავე მოგახსენებთ. ერთხელ ტყეში ფიქრებში წასულმა ამოღრუნტული ხე შევამჩნიე. ხის ფუღუროში რაღაც მუქი ყავისფერი ნაჭერი დავინახე. სასწრაფოდ მივიჭერი ხესთან და იქიდან კაპუცინის ახალთახალი სამოსი ამოვათრიე, რომელსაც სახელოზე სისხლის წვეთი ეცხო, ხოლო ნაწიბურში სახელი „მედარდუსი" იყო ამოკერილი. ვიფიქრე, ჩემებრ ღატაკმა კაცმა სიკეთე რომ ქნას, არაფერი დაუშავდებამეთქი, ანაფორას გავყიდი, ხოლო ალებული ფულით საწყალ ღირსპატივცემულ ბატონს, სიკვდილს რომ მოუმზადებლად შეხვდა, წირვას გადავუხდი, აბა, ზიარებას სად მოასწრებდა-მეთქი. და აი, მღვდლის

სამოსი ქალაქში წავიღე გასაყიდად, მაგრამ მეძველმანეთაგან იგი არავინ იყიდა, რადგან იმ მხარეში კაპუცინთა მონასტერი არსად არ იყო, ბოლოს ერთ კაცს შევხვდი, ჩაცმულობის მიხედვით ეგერი ან შეტყვევ უნდა ყოფილიყო. მითხრა, სწორედ კაპუცინის სამოსი მჭირდებაო, და კარგა ბლომადაც გადამიხადა. აღებული ფულით ჩვენი [illegible] მღვდელს კაპუცინის სახელზე წირვა გადავახდევინე და იმავეც უბედური მღვდლის სამარცხვინო სიკვდილის აღსანიშნავად აქვე ჯვარი აღმართა, რადგან ეშმაკის უფსკრულში ამას ვერ იზამდა. მაგრამ ნეტარი ბატონი დიდი თავზეხელაღებული ვინმე უნდა იყოს, იგი ახლაც ამ ადგილებში დაეხეტება, ეტყობა, მღვდლის წირვა-ლოცვამ არაფერი უშველა. ამიტომაც უმორჩილესად გთხოვთ, წმინდა მამაო, როცა შინ მშვიდობით მიხვალთ, გადაუხადეთ სულის მოსახსენიებელი წირვა თქვენივე ორდენის ძმა მედარდუსს. აღმითქვით, რომ ამას უსათუოდ გააკეთებთ.

— თქვენ რაღაც გეშლებათ, ჩემო კეთილო მეგობარო. — ვუთხარი გლეხს, — იტალიაში მიმავალი კაპუცინი მედარდუსი, რომელმაც გზად თქვენი სოფელი გამოიარა, არ მომკვდარა. მას არ სჭირდება სულის მოსახსენიებელი წირვა. იგი ცოცხალია და თვითონვე ილოცებს თავისი სულის სამუდამო ხსნისათვის. მედარდუსი თვითონ მე ვარ.

ეს ვთქვი, ანაფორა შევიხსენი და წავაკითხე ანაფორის ნაწიბურში ამოკერილი სახელი „მედარდუსი". როგორც კი გლეხმა ჩემი სახელი წაიკითხა, სახეზე მკვდრისფერი დაედო და შეძრწუნებული მომაშტერდა. მერე ფეხზე წამოვარდა, ყურთასმენის წამღები ყვირილი ატეხა და თავქუდმოგლეჯილი გაიჭრა ტყეში. ცხადი იყო, მოკლული მედარდუსის აჩრდილად ჩამთვალა და ამაოდ დავშვრებოდი, გადამერწმუნებინა იგი. უკაცრიელი გარემო, შიშისმომგვრელი სიჩუმე, რასაც ზოგჯერ ტყის განაპირა მორაკრაკე მდინარის ყრუ შხუილი არღვევდა, ეს ყველაფერი ნოყიერ ნიადაგს ქმნიდა შემაძრწუნებელი მოჩვენებების მოსალანდებლად. გამახსენდა ჩემი შესაზარი ორეული და გლეხის ძრწოლა მეც გადმომედო. სულით ხორცამდე ამიტანა კანკალმა. ეს ორეული საცაა რომელიმე ბუჩქიდან გამოძვრება და თავზე დამაცხრება-მეთქი. როგორღაც ძალ-ღონე მოვიკრიბე და გზა განვაგრძე, თანდათან განვიშორე მტანჯველი ფიქრები იმაზე, თითქოს მე ცოცხალი ადამიანი კი არა, მოჩვენება ვარ, მოხუც გლეხს რომ ვეგონე. თანდათან ჩემთვის ცხადი გახდა, რანაირად ჩაუვარდა ხელში ჩემი კაპუცინური სამოსი შეშლილ მღვდელს, რომელსაც მეტყევის სახლში გადავეყარე და რომლის სამოსში ჩემ მიერ ტყეში დაგდებული საკუთარი ანაფორა ვიცანი. აშკარა იყო, მეტყევემ, ვისთანაც მღვდელი ცხოვრობდა, ქალაქში შეიძინა ჩემი კაპუცინური ჩასაცმელი. სულის სიღრმემდე შემძრა იმის გაფიქრებამ, რანაირად შეიძლებოდა ეშმაკის უფსკრულთან მომხდარი საბედისწერო შემთხვევის ეგზომ უცნაური გაუკულმართება. მე ხომ შესანიშნავად ვხედავდი, რანაირად შეიძლებოდა ყველა გარემოებას მთლიანობაში ისე მოეყარა თავი, რომ ასე საბედისწეროდ არეოდათ ერთმანეთში ჩემი და ვიქტორინის სახეები. ჩემთვის მეტად მნიშვნელოვანი იყო იმ დამფრთხალი მეზობლის გასაოცარი ხილვაც და მჯეროდა, უფრო ნათელ ახსნას მოვუძებნიდი ამ მოვლენას, მაგრამ თუ სად და რანაირად, ამაზე წარმოდგენაც არ მქონდა.

კიდევ რამდენიმე კვირას ვიხეტიალე შეუსვენებლივ და ბოლოს და ბოლოს მივადექი ჩემს სამშობლოს. გული ძალუმად ამიძგერდა, როცა ამდენი ხნის უნახავი, ჩემ წინ გადაშლილი ქალთა კარტეზიანული მონასტრის კოშკები დავინახე. სოფლის გადავლით ეკლესია-მონასტრის წინ გაშლილ მოედანზე გამოვედი, შორიდან მომესმა ეკლესიო ჰიმნები მამაკაცთა გუნდის შესრულებით, მალე, ჯვარიც გამოჩნდა, ჯვარს უკან ბერები მოჰყვებოდნენ წყვილ-წყვილად და საზეიმო სვლით. ო, მე გულის თრთოლვით ვიცანი ჩემი ორდენის ძმები. მათ სათავეში ედგა ჭაღარათმიანი ლეონარდუსი, რომელიც ახალგაზრდა, ჩემთვის უცნობ მღვდელს მოჰყავდა. სიმღერ-სიმღერით ისე ჩამიარეს, ვერც შემამჩნიეს და მონასტრის გაღებულ კარიბჭეში შევიდნენ. საზეიმო მსვლელობას მოსდევდნენ ბ-ს მინისტრის დომინიკანელი და ფრანცისკანელი ბერები. მაგრად ჩარაზული კარეტებით შევიდნენ მონასტრის ეზოში ბ-ს ქალთა საყდრის ნათელცხებული მონაზვნები. სასულიერო წოდების დიდი თავყრილობა დასტური იყო იმისა, რომ მონასტერში რაღაც უჩვეულო დღესასწაული მზადდებოდა. ეკლესიის კარები ყურთამდე გააღეს, მე შიგ შევედი და შევამჩნიე, რა გულმოდგინედ დაეგავათ და დაესუფთავებინა ირგვლივ ყველაფერი. მთავარი საკურთხეველი და სამლოცველოები ყვავილწნულებით შეემკოთ. ეკლესიის მსახური ბევრს ლაპარაკობდა ახლად აკოკრებულ ვარდებზე, სისხამ დილით რომ დაუკრეფიათ, რადგან აბატისას გარკვევით უბრძანებია, სწორედ ვარდებით მოერთოთ მთავარი საკურთხეველი. ვიდრემდე ძმებს ვეახლებოდი, ჯერ დილის ლოცვებით თავი მოვიმაგრე, მერე კი წინამძღვარი ლეონარდუსი ვიკითხე. კარის დარაჯმა დარბაზში შემიყვანა, სადაც ძმებით გარშემორტყმული ლეონარდუსი სავარძელში იჯდა. ხმამაღლა ავქვითინდი და დიდი მღელვარების გამო სიტყვაც ვერ დავძარი, ისე დავეცი მუხლებზე მის წინაშე.

— მედარდუს! — წამოიძახა მან და ძმებიც მაშინვე აჩურჩულდნენ.

— მედარდუსი, ძმა მედარდუსი დაბრუნდა! იგი კვლავ ჩვენთანაა...

ფეხზე წამომაყენეს და მხურვალედ ჩამიკრეს გულში.

— ზეციურ ძალთა შეწევნით შენ გადაურჩი წუთისოფლის მიერ მაცდურად დაგებულ მახეს, მაგრამ გვიამბე, გვიამბე, ძმაო მედარდუს, თავს რაც გადახდა, — მთხოვდნენ ძმები. ლეონარდუსმა მიმიპატიჟა ოთახში, რომელიც, ჩვეულებრივ, მისი ადგილსამყოფელი იყო კარტეზიანულ მონასტერში სტუმრობისას.

— მედარდუს, — დაიწყო წინამძღვარმა, — შენ მკრეხელური დანაშაული ჩაიდინე და აღთქმა დაარღვიე. იმის მაგივრად რომ დაკისრებული დავალება შეგესრულებინა, უსირცხვილოდ გაიქეცი და მონასტერი ყოვლად უღირსი საქციელით შებილწე და მოატყუე. სამონასტრო კანონმდებლობის მთელი სიმკაცრით თუ მოვიქცევი, კედელში ჩატანების ღირსი ხარ.

— გამასამართლე, წმინდა მამაო, — მივუგე წინამძღვარს პასუხად, — გამასამართლე და განმსაჯე, როგორც ამას კანონი ითხოვს. ო, სიხარულით განვიშორებდი მიწიური ცხოვრების სატანჯველით აღსავსე

ტვირთს. იმასაც შესანიშნავად ვგრძნობ, მონანიებაც ვერაფერს მიშველის, ჩემი უმკაცრესი ეპიტიმიაც ამაოა, იმას არ ძალუძს მცირეოდენი ნუგეში მომიტანოს ამქვეყნიურ ყოფაში.

— გამხნევდი, მედარდუს, — განაგრძო ლეონარდუსმა, — ვამბობ გეუბნებოდი, როგორც წინამძღვარი. ახლა კი გელაპარაკები, ვითარცა ძმა და მშობელი. შენ სასწაულებრივ გადაურჩი სიკვდილს რომში. მხოლოდ საწყალი კირილუსი შეეწირა მსხვერპლად.

— და თქვენ ყველაფერი იცით? — დიდად გაოცებულმა ვკითხე ლეონარდუსს.

— ყველაფერი, — მომიგო წინამძღვარმა, — ვიცი, რომ ბედკრულ კირილუსს შენ დაულოცე გზა მარადიულ სასუფეველში. შენი გაგზავნაც უნდოდათ იმქვეყნად, როცა შხამგარეული ღვინო შემოგთავაზეს ვითომდა ძალების მოსაკრებად. მაგრამ, ეტყობა, როგორღაც მოახერხე ღვინის გადაქცევა, თუმცა მღვდლები არგუსის თვალებით ფხიზლად გდარაჯობდნენ. კიდევ კარგი, რომ ასე მოხდა, თორემ წვეთიც რომ დაგელია, ათ წუთში ცოცხალი აღარ იქნებოდი.

— აი, ნახეთ, — ანაფორის სახელო ავიკაპიწე და მოძღვარს ძვლამდე ამომხმარი მკლავი ვუჩვენე, მერე ისიც ვუამბე, როგორ ვიაზრე ავისმომასწავებელი ნიშანი და ღვინო ანაფორის სახელოში როგორ ჩავიღვარე.

ლეონარდუსი შეზარა ჩემმა მუმიადქცეულმა ამაზრზენად დამახინჯებულმა მკლავმა და ჩახლეჩილი ხმით ჩაილაპარაკა:

— შენ უნდა ზიდო ეს სატანჯველი, რადგან იგი შენთა შეცოდებათა გამო მიგეზღო, მაგრამ რა დააშავა კირილუსმა, კირილუსია ცოდო. ო, ღვთისმოსავო მოხუცო.

მე ვუთხარი ლეონარდუსს, რომ ჩემთვის ცნობილი არ არის ბედკრული კირილუსის სიკვდილით დასჯის საიდუმლო.

— იქნებ შენც იგივე ხვედრი გრგებოდა, კირილუსის მსგავსად თუ გამოცხადდებოდი რომში, როგორც ჩვენი მონასტრის სრულუფლებიანი წარგზავნილი. შენ იცი, რომ ჩვენ მიერ წამოყენებული მოთხოვნების დაკმაყოფილება კარდინალს წაართმევდა შემოსავალს, რის გამოძალვასაც ახდენს იგი არამართებული გზით. ჩვენმა პროტესტმა შეაგულიანა კარდინალი ანაზდად დამეგობრებოდა პაპის სულიერ მამას, ვისი დაუძინებელი მტერიც იყო წინათ. ამ გზით კარდინალმა დომინიკანელის სახით ძლიერი და მარჯვე მოკავშირე შეიძინა, ვისაც შეეძლო კირილუსს დაპირისპირებოდა. ცბიერმა მღვდელმა მოძებნა გზა, რითაც შესაძლებელი ხდებოდა კირილუსის დალუპვა. მან თვითონ წარუდგინა პაპს ახალჩამოსული კაპუცინი, წინასწარ კი ქება-დიდებით ცაში აიყვანა იგი, როგორც უმწიკვლო ადამიანი. ამის გამო მისმა უბრწყინვალესობამ იერომღვდელი კირილუსი მეტისმეტი კეთილგანწყობით მიიღო, ძალიან დაიახლოვა და სასულიერო პირთა ამალაში ჩარიცხა. კირილუსმა უმალ შეამჩნია, რომ უფლის მოსაყდრე ამქვეყნიურ სუფევაში, აგრეთვე ქვენა გრძნობების გახარებაში ეძიებს და ჰპოვებს თავის მეუფებას. ჩვენი ღვთისმოსავი იერომღვდელი მიხვდა, რომ პაპი პირმოთნე არამზადების სათამაშო ტიკინად იქცა, ისინი ცდილობდნენ მზაკვრული ხერხებითა და საშუალებებით მოედრიკათ მისი ოდესღაც მტკი-

ცე და ძალმოსილი სული, რათა იძულებული გახდეს რწმენა შეერყეს, ყოყმანი იწყოს იმაზე, ზეცა აირჩიოს თუ ჯოჯოხეთი. ღვთისმოშიში კირილუსი, რამდენადაც შეიძლებოდა ამის წინასწარ განჭვრეტა, დიდად დაამწუხრა და შეურაცხყო ამ გარემოებამ. მან თავი მოწოდებულად ჩათვალა მგზნებარე შთამაგონებელი სიტყვებით [illegible] სილრმემდე შეეძრა პაპი და მიწისაგან განედრიკა იგი. პაპს, [illegible] ეს საოთუთი სულის ადამიანებს სჩვევიათ, ამ ღვთისმოსავი მოხუცის სიტყვებმა გული აუჩუყა. სწორედ პაპის ამ მღელვარე სულიერმა მდგომარეობამ გაუადვილა დომინიკანელს საწადელს სწვეოდა ადვილად, გერგილიანად და თანდათანობით მოემზადებინა დარტყმა, რომელიც საწყალ კირილუსს უნდა მოხვედროდა. მან აუწყა პაპს, რომ ეს ყოველივე სხვა არაფერია, თუ არა საიდუმლო შეთქმულება, რომელსაც ეკლესია უწყობს მას, ვითარცა ულირს სამგზის გვირგვინოსანს. კირილუსს კი დავალებული აქვს, საჯაროდ მოანანიებინოს პაპს თავისი ცოდვები. პაპის მონანიება კი სიგნალი იქნება კარდინალების მიერ მომზადებული ამბოხისა. ამ დღიდან მოყოლებული პაპი ეჭვის თვალით უყურებდა კირილუსის მოთაფლულ ენას და მასში ბოროტნეულ ზრახვას ხედავდა. მან ღრმად შეიძულა მოხუცი და მხოლოდ იმიტომ იტანდა მის ახლოს ყოფნას და ერიდებოდა თვალში საცემი ნაბიჯის გადადგმას მისი თავიდან მოსაცილებლად, რომ ზედმეტი მითქმა-მოთქმისა ეშინოდა.

როცა ერთხელ კირილუსს შემთხვევა მიეცა მარტოდ დარჩენილი პაპისათვის თავისი შეგონებები დაეწყო, ისიც კი უთხრა, თუ საბოლოოდ არ აიღებს ხელს მიწიურ ვნებებზე და უბიწო ცხოვრებით არ იცხოვრებს, ღირსი არ იქნება იყოს ქრისტეს მოსაყდრე, რადგან ეკლესიისათვის ასეთი პიროვნება სირცხვილისა და შეჩვენების მომტანი ტვირთიაო. მალე ამის შემდეგ და სახელდობრ მაშინ, როცა კირილუსი პაპის საძინებელ ოთახში შესული დაინახეს, აღმოჩნდა, რომ ყინულივით ცივ წყალში, რომელსაც პაპი ჩვეულებრივ სვამდა, ვიღაცას შხამი ჩაურევია. ეჭვი კირილუსზე მიიტანეს. მაგრამ კირილუსი რომ უცოდველია, ამას მტკიცება არ სჭირდება, რადგან შენც კარგად იცნობ ამ ღვთისნიერ კაცს. პაპი კი დარწმუნებული იყო, რომ დანაშაული კირილუსმა ჩაიდინა და ამის გამო საიდუმლო ბრძანება გასცა ჩამოსული კაპუცინი დომინიკანელთა მონასტერში დაესაჯათ სიკვდილით. ხოლო რაც შეეხება პირადად შენ, სხვებისაგან ფრიად გამორჩეული პიროვნება იყავი. პაპის წინაშე იმზომ თამამად გამოთქვი საკუთარი შეხედულებები, მეტადრე თვალში საცემი იყო შენი ცხოვრებს ამბავი, რომელიც მის უბრწყინვალესობას უამბე, რის გამოც იმან სულიერი ნათესაობა ჰპოვა შენთან. მას სჯეროდა, შენთან ერთად ამაღლდებოდა, ასე ვთქვათ, მაღალი თვალსაზრისით, სათნოებასა და რელიგიაზე ცოდვილი ტვინის ჭყლეტით გულით გაიხარებდა და ძალას მოიკრებდა, რათა მართლა აღვფრთოვანდეთ და, თუ შეიძლება ასე ითქვას, შევცოლოთ შეცოდებისათვის. შენი ლოცვები და მონანიებები მას ეჩვენებოდა ჭკვიანურად მოგონილ პირფერულ მცდელობად მაღალი მიზნის, ძალაუფლებისა და პატივის მისაღწევად. იგი მოიხიბლა შენით და მეტად ისიამოვნა, ქებადიდების კორიანტელი რომ დააყარე. მაგრამ მოხდა ისე, და დომინიკანელი ვერც კი წარმოიდგენდა, იმზომ აღზევდი და ბანდისათვის უფრო

საშიში გახდი, ვიდრე კირილუსი შეიძლებოდა ოდესმე ყოფილიყო. ალბათ შეამჩნევდი, მედარდუს, რომ ჩემთვის კარგადაა ცნობილი შენი საქმიანობა რომში. მე ვიცი ყოველი შენი პაპისათვის ნათქვამი სიტყვა, უნდა გაუწყო, რაკი უკვე საიდუმლო აღარ არის, მის უწმინდესობასთან ახლოს მონასტერში ერთგული მეგობარი მყავს, იგი მისსალ-მისსალ მამცნობს ყველაფერს, რაც იქ ხდება. შენ რომ გეგონა, პაპთან [illegible] იყავი, ეს ასე არ იყო, ჩემს მეგობარს იდუმალად ესმოდა შენ[illegible] ნათქვამი სიტყვა. როცა კაპუცინთა მონასტერში, რომლის წინამძღვარი ჩემი უახლოესი ნათესავია, მკაცრ ეპიტიმიას შეუდექი, შენი მონანიება ჭეშმარიტად მივიჩნიე. და ეს მართლაც ასე იყო, მაგრამ რომში კვლავ მოგეძალა ცოდვილი მედიდურობის დემონი, რომლის ცდუნებას ჯერაც ჩვენს მონასტერში ყოფნისას ვერ სძლიე. რატომ დაადანაშაულე პაპის წინაშე შენი თავი ბოროტმოქმედებაში, რომელიც არასოდეს ჩაგიდენია? განა შენ როდესმე ყოფილხარ ბარონ ფ-ის სასახლეში?

— ო, წმინდა მამაო, — წამოვიყვირე შინაგანი ტკივილისაგან დანთქმულმა, — ეს სასახლე ხომ ჩემი საშინელი შეცოდებების ასპარეზი იყო. ეს უმკაცრესი სასჯელი ხომ ნიადაგ მიუკვლეველმა ძალამ მომაგო, რაც იმას ნიშნავს, რომ მიწიურ ყოფაში ველარასოდეს განვიწმინდები ცოდვისაგან, რაიც გონების გიჟურმა დაბნელებამ ჩამადენინა. განა თქვენც, ყოვლად წმინდაო მამაო, ცოდვილ ორპირად მიმიჩნევთ?

— მართალი გითხრა, — განაგრძო წინამძღვარმა, — ახლა, როცა გხედავ და გელაპარაკები, ვრწმუნდები, რომ მონანიების შემდეგ აღარც უნდა შეგეძლოს ტყუილის თქმა, მაგრამ არსებობს აგრეთვე ჩემთვის ღლემდე გამოუცნობი საიდუმლო. შენი გაქცევის შემდეგ (განგებას არ იწადა შენ მიერ განზრახული დანაშაულის ჩადენა და იმან გადაარჩინა ღვთისმოსავი ავრელია), ჰოდა, იმას გეუბნებოდი, შენი გაქცევის შემდეგ, როცა სიკვდილმისჯილი მღვდელი, რომელიც თვითონ კირილუსსაც შენ ეგონე, რაღაც სასწაულებრივად გადარჩა და უგზოუკვლოდ დაიკარგა, ცხადი გახდა, რომ ბარონის სასახლეში შენ კი არა, კაპუცინის სამოსში ჩამოწყობილი გრაფი ვიქტორინი ყოფილა. მართალი გითხრა, ეს ამბავი ადრეც ვიცოდი იმ წერილიდან, რომელიც ეფემიას დარჩა და ყველა თვლიდა, რომ ეფემია მოატყუა შენმა უჩვეულო მსგავსებამ ვიქტორინთან, ხოლო რაინჰოლდი თავგადაკლულად ამტკიცებდა, რომ იმზომ კარგად გიცნობდა, არასდიდებით არ შეიძლებოდა იაღლიში მოსვლოდა შენს შეცნობაში, თუმცა გაჭრილი ვაშლივით ჰგავდი ვიქტორინს. მხოლოდ ეგ იყო გაუგებარი, რამ დაუბნელა გონება ეფემიას. მოულოდნელად გამოჩენილმა გრაფის ეგერმა თითქოს ყველაფერი თვალნათლივ დაგვანახა და საქმის ნამდვილ ვითარებასაც შუქი მოფინა. ეგერის თქმით, გრაფი ერთხანს მთებში ცხოვრობდა განმარტოებით, რათა წვერი მოეზარდა. ერთხელ ეშმაკის უფსკრულთან გრაფი შეხვდა თავის ბატონს, რომელსაც კაპუცინი მღვდლის სამოსი ეცვა. თუმცა ეგერს წარმოდგენაც არ ჰქონდა, რა გზით იშოვნა გრაფმა მღვდლის ანაფორა, სულაც არ გაკვირვებია მისი ახალი შესამოსელი. ეგერმა კარგა ხანია იცოდა, რომ ვიქტორინს განზრახული ჰქონდა ბარონის სასახლეში მღვდლის სამოსში ჩაცმული გამოჩენილიყო, მთელი წელი არ გაეხადა ანაფორა, რათა იქ სისრულეში მოეყვანა თავისი დიდი ჩანაფიქრი. ეგერი შესანიშნავად მიხვდა, როგორ უნდა ეშოვნა

გრაფს კაპუცინის ჩასაცმელი. სწორედ წინა დღით ვიქტორინს უთქვამს, სოფელში ერთი კაპუცინი ვნახე და იმედი მაქვს ის იყიდის ამ ანაფორას, როცა მღვდელი ტყის გავლით ჩამოივლისო. თვითონ მღვდელი ეგერს თავისი თვალით არ უნახავს, მაგრამ მისი ყვირილი კი კარგად გაუგონია. მალე ამის შემდეგ სოფელში ხმა დაირხა, ტყეში ერთი კაპუცინი მოკლესო. ეგერი ზედმიწევნით იცნობდა თავის ბატონს, ბევრჯერ ესაუბრა მასთან სასახლიდან გაქცევის დროს, ასე რომ, მოცემულ შემთხვევაში მისგან შეცდომის დაშვება გამორიცხული იყო. ეგერის ჩვენებამ რაინჰოლდსაც კი შეაცვლევინა თავისი შეხედულება, ოღონდ გაუგებარი რჩებოდა ვიქტორინის სრული გაუჩინარება. ჰერცოგის მეუღლემ გამოთქვა ვარაუდი, რომ გრაფი ვიქტორინი კვიჩიჩევოელი თავადი კრჩინსკის გვარით იმალებოდა. მისი ვარაუდი ამ შემთხვევაში ეყრდნობოდა კრჩინსკის საოცარ მსგავსებას ფრანჩესკოსთან, რომლის დამნაშავეობაში ეჭვი არავის ეპარებოდა, აგრეთვე იმ მღელვარე მდგომარეობას, რომელშიც ჰერცოგის მეუღლე ვარდებოდა ბატონ კრჩინსკისთან ყოველი შეხვედრის დროს. ბევრი ეთანხმებოდა ჰერცოგის მეუღლეს და სურდათ კიდეც გრაფის ნიშნები აღმოეჩინათ ამ ვიგინდარა ავანტიურისტში, რომლის გადაცმულ მღვდლად მიჩნევა სასაცილოდაც ეჩვენებოდათ. ამგვარად დადგინდა კავშირი ვიქტორინის დანაშაულებრივ ქმედებასა და მეტყევის ნაამბობს შორის ტყეში მოხეტიალე მღვდელზე, რომელიც მან თავის ჭერქვეშ შეიფარა. მხოლოდ ზოგიერთი გარემოება შეიძლება მივიჩნიოთ ჭეშმარიტად. კაპუცინთა იმ მონასტრის მღვდელმა, საიდანაც მედარდუსი გაიქცა, მტკიცედ განაცხადა, რომ შეშლილი მღვდელი სწორედ მედარდუსია და, მაშასადამე, ამ მონასტერში უნდა შეჩერებულიყო. ვიქტორინმა მღვდელი უფსკრულში გადააგდო. ბედნიერმა შემთხვევამ, რომლის არსებობის შესაძლებლობა არ შეიძლება გამოირიცხოს, იგი დალუპვას გადაარჩინა. თუმცა მედარდუსი თავში იყო დაჭრილი, მაინც შეძლო კატალეფსიიდან გამოსვლა და უფსკრულიდან ამოხოხება. ნაჭრილობების სასტიკმა ტკივილმა, შიმშილმა და წყურვილმა იგი გააგიჟა და გაამძვინვარა. ამ ყოფაში ჩავარდნილი საცოდავი მღვდელი მთებში დაეხეტებოდა, ვიღაც გლეხმა იპოვა და უთანაგრძნო. აჭამა და ასვა, ძონძებით შემოსა, ვიდრე მეტყევე შეიფარებდა თავის ოჯახში. მხოლოდ ორი გარემოება იყო ამ შემთხვევაში გაუგებარი და ამოუხსნელი. სახელდობრ კი აი რა: როგორ გამოიქცა მთებიდან, ან როგორ გამოიარა ამოდენა გზა ისე, რომ არავის დაუჭერია და სიგიჟის პერიოდში ზოგჯერ გონება რომ გაუნათდებოდა, როგორც ამას ექიმები შენიშნავდნენ ხოლმე, რატომ იბრალებდა იმ ავკაცობებს, მას რომ არასოდეს ჩაუდენია. ისინი, ვინც იცავდნენ ამ ვერსიების დამაჯერებლობას, მიუთითებდნენ, რომ არ არსებობს სარწმუნო საბუთები ეშმაკის უფსკრულში ჩავარდნილ და მერე იქიდან გადარჩენილ მედარდუსზე, ოღონდ ის კი დასაშვებად შეიძლება მივიჩნიოთ, რომ სიგიჟის ნიშნები პირველად მაშინ აღმოაჩნდა, როცა სალოცავად მიმავალმა ჰერცოგის ნაკრძალი ტყე გამოიარა და მეტყევის ოჯახში ამოჰყო თავი. ხოლო რაც შეეხება მედარდუსის აღიარებებს დანაშაულობებში, რაშიც ბრალს დებდნენ, ცხადი იყო, რომ იგი, თუმცა ხანდახან საღ ჭკუაგონებას ინარჩუნებდა, საბოლოოდ მაინც გიჟად რჩებოდა. ის აზრი კი,

რომ მან ნამდვილად ჩაიდინა ავკაცობები, რასაც აბრალებდნენ, აშკარად მისი აკვიატებული იდეა თუ იყო მხოლოდ. ერთხელ სისხლის სამართლის მოსამართლეს, რომლის გამჭრიახობაში ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ თხოვეს, თქვენი აზრი იქნებ მოგვახსენოთ ამის თაობაზეო — ასე განაცხადა: „კაცი, რომელიც ბატონ ფონ კრჩინსკად აცხადებს თავს, არც პოლონელია და არც გრაფი, მით უფრო არც გრაფი ვიქტორინი, მაგრამ არანაირად არ შეიძლება მისი უდანაშაულოდ მიჩნევა. ძლვდელი ყველა შემთხვევაში გიჟი და შეურაცხადი რჩება, რის გამოც სისხლის სამართლის სასამართლომ საერთო უშიშროების უზრუნველსაყოფად მისი მხოლოდ საავადმყოფოში დატუსალების განაჩენი გამოიტანა“. ჰერცოგს გაგონებაც არ უნდოდა ამგვარი განჩინებისა, რადგან იგი ღრმად იყო შეძრული ბარონის სასახლეში დატრიალებული საშინელებებით და საკუთარი ხელით შეცვალა წინასწარ ზომების მისაღებად საჭირო სისხლის სამართლის სამსჯავროს მიერ შემოთავაზებული განაჩენი სიკვდილით დასჯისა. ამ წარმავალსა და საწყალობელ წუთისოფელში ყველაზე საშინელი შემთხვევები თუ მძიმე დანაშაულობები პირველ წუთებში გვანცვიფრებენ და გვაღელვებენ, მერე თანდათან კარგავენ ფერსა და სურნელს. იგივე ხვედრი ერგოთ წილად ბარონ ფონ ფ-ის სასახლეში მომხდარ ამბებსაც. ამ ამბებმა თავდაპირველად რეზიდენციაში და მეტადრე სასახლის კარზე გამოიწვია შიში და ძრწოლა, მერე კი უსიამოვნო ჭორებად იქცა. ავრელიას გაქცეული საქმროს გრაფ ვიქტორინად წარმოჩენის ვარაუდმა გონებაში გაუცოცხლათ იტალიელი პრინცესას ამბავი და გამოაცოცხლა ისინიც კი, ვინც ადრე არაფერი იცოდა მის შესახებ, და მისი ასავალ-დასავალი გაიგეს იმ ადამიანებისაგან, რომლებსაც თავიანთ მოვალეობად მიაჩნდათ ენა მუცელში არ ჩაეგდოთ, ხმა ამოეღოთ. ვინც თავისი თვალით ნახა მედარდუსი, აშკარად ხედავდა მსგავსებას მასა და გრაფ ვიქტორინს შორის, რადგან ორივენი ერთი მამის შვილები იყვნენ. მედარდუსისა და ვიქტორინის ერთიდაიგივეობაში სრულიად დარწმუნებულმა ლაიბ-ექიმმა ჰერცოგს უთხრა: „უნდა გვიხაროდეს, მოწყალეო ბატონო, რომ ეს უსიამოვნო წყვილი გაჰქრა ჩვენი ჰორიზონტიდან და იმათ ფუჭ დევნას უნდა მოეჭიოთ“.

სულის სიღრმეში ამ აზრს ჰერცოგიც ეთანხმებოდა, რადგან კარგად გრძნობდა, რომ მედარდუსის ორსახოვნება მას შეცდომას შეცდომაზე ამატებინებდა. „ეს საქმე საიდუმლოდ უნდა დარჩეს, — თქვა ჰერცოგმა, — არ არის საჭირო ჩამოვხსნათ საბურველი, რომელიც კეთილმოწყალედ გადააფარა მას უცნაურმა ბედმა“. ოღონდ ავრელია...

— ავრელია? — ფიცხად შეეკითხა წინამძღვარს, — ღვთის გულისათვის, მითხარით, წმინდა მამაო, რა დაემართა ავრელიას?

— აი, ხომ ხედავ, ძმაო მედარდუს, რა ხდება შენში, — შიმშეფარე ღიმილით მითხრა წინამძღვარმა, — ნუთუ შენს სულში ჯერაც არ ჩამქრალა სახიფათო ცეცხლი! ოდნავი შეხება და იფეთქა კიდეც ალმა. შენ ჯერაც ვერ დახსნიხარ მაცდურ გულისთქმას, მთელი არსებით რომ შეუპყრიხარ. ხომ უნდა დავიჯერო, რომ ალალ-მართალი ხარ მონანიებაში, რომ სამუდამოდ მიგატოვა სიყალბის, უმართლობის, სიმრუდის სულმა. იცოდე, მედარდუს, მხოლოდ მაშინ ვირწმუნებ შენი მონანიების

სიწრფელეს, თუკი ნამდვილად ჩაიდინე ის საშინელი დანაშაულობები, რასაც შენს თავს აბრალებ. მხოლოდ მაშინ დაგიჯერებ, თუ შენ მიერ ჩადენილმა შემზარავმა ცთომებმა გაიძულეს დაგეტოვებინა ჩემი შეგონებები, ყველაფერი, რაც კი მითქვამს შენთვის შინაგან თუ გარეგან მონანიებაზე. აი, მაშინ კი მივხვდები, რანაირად მოეფერებ ხავს, ვითარცა წყალწაღებული, და გარეგნულ ეპიტიმიას სხვა[illegible] მოსატყუებლად ეწეოდი, რამაც პატივმოყვარე ოინბაზად გაქცია არა მხოლოდ ზნეობრივად გადაგვარებული პაპის თვალში, არამედ ყოველი ჭეშმარიტად ღვთისმოსავი კაცის თვალშიც. მითხარი, მედარდუს, შენი ლოცვები, შენი ცად ამაღლება სავსებით უბიწოა და შეურყვნელი, როცა ავრელიას ახსენებ?

შინაგანად დანთქმულმა თვალები ძირს დავხარე.

— შენ წრფელი ხარ, მედარდუს, — განაგრძო წინამძღვარმა, — შენი დუმილი მჭევრმეტყველურად მეუბნება ყველაფერს. ახლა კი მჯერა, რომ ნამდვილად ითამაშე რეზიდენციაში როლი პოლონელი დიდგვაროვნისა, რომელსაც ბარონესა ავრელიას ცოლად შერთვა უნდოდა. შენ მიერ განვლილ გზას ზუსტად ვადევნებდი თვალყურს ერთი უცნაური კაცის მეშვეობით. იგი თავის თავს ხელოვან-დალაქს ეძახდა, შენ იგი უკანასკნელად რომში ნახე და უტყუარ ცნობებს მაწვდიდა შენზე. უწმინდურ გზაზე მავალმა ვერაგულად მოჰკალი ჰერმოგენი და ეფემია. მით უფრო საშინელი იყო შენი განზრახვა, სატანურ ქსელში გაგეხვია ავრელიაც. მე შემეძლო შენი დალუპვა, მაგრამ თავს მოწოდებულად არ ვთვლი შურისმაძიებლის როლი ავირჩიო, ამიტომაც მარადიულ ზეციურ ძალას მივანდე შენი ბედი. შენ სასწაულებრივ გადარჩი და სწორედ ეს გარემოება მარწმუნებს, რომ შენი მიწიური გადაშენება ჯერაც არ არის განგებით გარდაწყვეტილი. ახლა მომისმინე, რა უცნაური ვითარების გამო შეგონა ერთხანს, რომ ბარონ ფონ ფ-ის სასახლეში მართლაც გამოჩნდა გრაფი ვიქტორინი, რომელიც კაპუცინი მღვდლის სამოსში იყო გამოწყობილი. ერთხელ, არცთუ ისე დიდი ხნის წინათ, მონასტრის კარის დარაჯი სებასტიანუსი გააღვიძა თითქოსდა სულთმობრძავი კაცის კვნესა-ოხვრამ, უკვე კიდევაც გათენებულიყო. სებასტიანუსი წამოდგა, მონასტრის ჭიშკარი გააღო და იქვე სიცივისაგან გათოშილი კაცი დაინახა, რომელმაც ძლივს ამოილუღლუღა, რომ იგი არის მონასტრიდან გაქცეული მღვდელი მედარდუსი. შეშინებულმა სებასტიანუსმა სასწრაფოდ მაუწყა ეს ამბავი. ძმების თანხლებით კიბეზე დავეშვი და გრძნობამიხდილი კაცი სატრაპეზოში გადავიყვანეთ. ამ უბედურის შემაძრწუნებლად დამახინჯებულ სახის ნაკვთებში, მართალი რომ ვთქვა, მაშინვე ვიცანი შენი მსგავსება. ზოგი იმასაც ფიქრობდა, ასე უცნაურად მიტომ გვეჩვენა ჩვენთვის კარგად ნაცნობი მედარდუსის შესახედაობა, რომ სულ სხვა ტანისამოსი აცვიაო. სულთმობრძავს წვერი და ტონზურა ჰქონდა მოშვებული, თორემ საერო ტანსაცმელში იყო გამოწყობილი, ოღონდ დაგლეჯილ და გაოხრებულ ტანისამოსს თავდაპირველი პეწის ნასახიც არ ეტყობოდა. გადამთიელს აბრეშუმის წინდები და ფეხსაცმელები, აგრეთვე თეთრი ატლასის ჟილეტი ეცვა, ერთ ფეხსაცმელზე ოქროს აბზინდაც შერჩენოდა.

მოწაბლისფრო-მოყავისფრო უძვირფასესი სერთუკი და ბრწყინვალე საცვლები ემოსა, თითზე კი ნატიფად ნაკეთები ოქროს ბეჭედი ეკეთა.

— ჰო, რა თქმა უნდა, ასე იყო, — მითხრა გაოცებულმა ლეონარდუსმა, — მაგრამ შენ ეს საიდან იცი?

— ო, მე ხომ ეს სამოსი მეცვა ქორწილის იმ საბედისწერო დღეს.

ორეულის სახე თვალწინ დამიდგა. კიდევ კარგი, რომ სიგიჟის უხორცო და შემაძრწუნებელი დემონი კი არ მომდევდა, ვითარცა სულის გამტანჯველი, ჩემი ფანტაზიით წარმოსახული ურჩხული, არამედ შეშლილმა მღვდელმა შემისვა მხრებზე და ისარგებლა რა იმით, რომ გული წამივიდა, საერო სამოსი წამართვა და მღვდლის ანაფორა ჩამაცვა. უთუოდ სწორედ იგი იდგა მონასტრის კარიბჭესთან და ჩემი „მეს“-ს სასტიკ მსგავსებას წარმოადგენდა.

მე ვთხოვე წინამძღვარს გაეგრძელებინა ამბის მოყოლა, რადგანაც ჩემში გაჩნდა წინათგრძნობა იმისა, რომ ბოლოს და ბოლოს სწორ ახსნას მოვუძებნიდი ჩემს ცხოვრებაში მომხდარ საოცარსა და იდუმალ მოვლენებს.

— მალე ამ კაცს აღმოაჩნდა განუკურნელი სიგიჟის აშკარა და უეჭველი ნიშნები და მიუხედავად იმისა, რომ იგი, როგორც ადრეც გითხარი, ზედმიწევნით გგავდა შენ, მიუხედავად იმისა, რომ, შეშლილი დაჟინებით და გამუდმებით ყვიროდა, მედარდუსი ვარ, ლტოლვილი მღვდელი და აღსარება უნდა გითხრათო, უკვე აღარავის სჯეროდა მისი მედარდუსობა. ცხადი იყო, რომ ჩვენთან მოვიდა ვიღაც კაცი, ვისი სიგიჟეც იმაში იხატებოდა, რომ თავს მედარდუსად აცხადებდა, და ეს სხვა არაფერი იყო, თუ არა მისი აკვიატებული იდეა. მოსულს კაპუცინის სამოსი ჩავაცვით და ეკლესიაში შევიყვანეთ, სადაც მას ჩვეულებრივი რელიგიური წეს-რიტუალები უნდა შეესრულებინა. იგი ცდილობდა ამის გაკეთებას, მაგრამ წამსვე შევამჩნიეთ, რომ უცნობს სიცოცხლეში ფეხიც არ დაედგა ეკლესიაში, არც ერთ სასულიერო კონგრეგაციას არ მიეკუთვნებოდა. ყოველივე აქედან გამომდინარე სავსებით ბუნებრივია, რომ უცნობი უნდა ყოფილიყო რეზიდენციიდან გაქცეული მღვდელი, ან გრაფი ვიქტორინი. ჩემთვის ცნობილი იყო ამბავი, რომელიც ოდესღაც შეშლილმა მღვდელმა უამბო მეტყევეს, და ყოველივე ამის გათვალისწინებით მივხვდი, რომ ყველა შემთხვევა, იქნებოდა ეს პოვნა თუ დალევა ეშმაკის ელექსირისა, ხილვა საპატიმროში, მონასტერში მისი ყოფნის ყველა დეტალი შესაძლოა ყოფილიყო შენი ინდივიდუალობის უცნაური ფსიქოლოგიური ზემოქმედების ნაყოფი მის სნეულ სულზე. ამ თვალსაზრისით საოცარი იყო ის ფაქტიც, რომ მღვდელი ცუდად ყოფნისას გამუდმებით ყვიროდა, რომ იგი არის გრაფი და მბრძანებელი ბატონი. გადავწყვიტე, რომ ეს კაცი მონასტერთან არსებულ წმინდა იმედის შეშლილთა სახლში მომეთავსებინა, თანაც სრული იმედი მქონდა, რომ შესაძლებელი იქნებოდა მისი განკურნება. მწამდა, ამას უთუოდ შესძლებდა ამ დაწესებულების დირექტორი, უაღრესად ნიჭიერი ექიმი-ფსიქიატრი, რომელიც ღრმად იკვლევდა გადახრებს ნორმალური ფსიქიკური მდგომარეობიდან. უცნობის გამოჯანმრთელებას სანახევროდ მაინც უნდა გამოეტანა სამზეოზე გამოუცნობი ძალების იდუმალებით აღ-

სავსე თამაში. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. მისი იქ ყოფნის მესამე ღამეს გამაღვიძა ზარმა, რომელიც მაუწყებდა, რომ აუცილებელი იყო ჩემი საავადმყოფოში სასწრაფოდ მისვლა. როგორც კი იქ გამოვცხადდი, მაშინვე მითხრეს, რომ უცნობი, რომელსაც შეშლილობის არარავითარი კვალი აღარ ეტყობოდა, აღსარების სათქმელად მიხმობდა, რადგან ისე იყო მისუსტებული, არავის ეგონა, თუ ამ ღამეს გაატანდა.

— მომიტევეთ, — დაიწყო უცნობმა, როცა ღვთისმოსავი შეგონებებით შემწეობა აღმოვუჩინე, — მომიტევეთ, წმინდა მამაო, რამეთუ თქვენი მოტყუება გავბედე. მე არა ვარ მედარდუსი, თქვენი მონასტრიდან გაქცეული მღვდელი. თქვენ წინაშეა გრაფი ვიქტორინი. ისე, კაცმა რომ თქვას, ვიქტორინი შეიძლება ჰერცოგადაც ჩაითვალოს, რადგან იგი ჰერცოგის სახლის ნაშიერია და გირჩევთ, ესეც მხედველობაში მიიღოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩემი რისხვა დაგატყდებათ თავზე.

— ვიქტორინი ხართ თუ ჰერცოგი, — მივუგე უცნობს, — ჩვენი მონასტრის კედლებში და მით უფრო თქვენს მდგომარეობაში მყოფისათვის ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მე მგონი, უმჯობესი იქნებოდა, თუ ამ წუთებში დაივიწყებდით ყველაფერ მიწიერს და თვინიერად დაელოდებოდით ყოვლადძლიერის განჩინებას.

გადამთიელი ისე უცნაურად მომჩერებოდა თავისი გაქვავებული თვალებით, გეგონებოდა, გონებას კარგავსო. ავადმყოფს ძალის მომყვანი წვეთები მისცეს, რის შემდეგაც ღონე მოიკრიბა და თქვა:

— ჩემი დღეები დათვლილია და სიკვდილის წინ მინდა გული გადაგიშალოთ, აღსარება გითხრათ. თქვენ უჩვეულო ზემოქმედება მოახდინეთ ჩემზე და, თუმცა თავს იკატუნებთ, მაინც შესანიშნავად ვხვდები, რომ წმინდა ანტონიუსი ბრძანდებით. რა უბედურებაც დამატეხა თავზე ეშმაკის ელექსირმა, ეს თქვენ ბრწყინვალედ უწყით. მე გადავწყვიტე სასულიერო პირად წარვდგე თქვენ წინაშე წვერმოშვებული და ყავისფერ ანაფორიანი. ამას იმიტომ ვაკეთებ, რომ მინდოდა გრანდიოზული ჩანაფიქრები განმეხორციელებინა. როცა ყველაფერი კარგად მოვიფიქრე და ავწონ-დავწონე, ჩემი სულის სიღრმიდან ამოტივტივდა და გამოიკვეთა უიდუმალესი აზრი. იგი ხორციელ არსებად იქცა და ეს არსება, რარიგ საშინლადაც არ უნდა გეჩვენოთ, ჩემი მეორე „მე“ გახლდათ, რომელსაც უსაშველო ძალა ჰქონდა, ამ ძალამ ღრმა უფსკრულში გადამისროლა სწორედ იმ წამს, როცა შავ კლდეთა ქანებს შორის მჩქეფარე და აქაფებული წყლიდან თოვლისფერი ქათქათა პრინცესა ამოვიდა. იმან გულში ჩამიკრა, ჭრილობები მომბანა და ტკივილები დამიყუჩა. რაღაც უცნაური შემთხვევის წყალობით თვითონ ვიქეცი ნამდვილ მღვდლად, მაგრამ ჩემი აზრებისაგან შობილი „მე“ ჩემზე ძლიერი აღმოჩნდა. იმან მაიძულა ჩემი მსსნელი პრინცესა, ასე ნაზად რომ მიყვარდა, თავის ძმასთან ერთად მომეკლა. მერე საპყრობილეში ჩამსვეს. თვითონაც ხომ იცით, წმინდა ანტონიუს, მას შემდეგ, რაც თქვენი წყეული ელექსირი ვიგემე, როგორ გამათავისუფლეს საპატიმროდან და სუფთა ჰაერზე გამომიყვანეს. ტყის მწვანე მეფემ ცუდად მიმიღო, თუმცა იცოდა ჩემი მაღალი წარმომავლობის შესახებ. ჩემი ფიქრების „მე“ აქაც გამოჩნდა. იგი ათას საძაგლობას ჩამაგონებდა. მას უნდოდა ჩემთან თანხმობაში ყოფილიყო, რაკი ყველაფერს ერთად ვა-

კეთებდით. თავდაპირველად ყველაფერი კარგად მიდიოდა. მაგრამ მალე წავიჩხუბეთ. მერე ერთად გამოვექეცით ტყის მეფეს, რომელსაც ჩვენი თავების წაცლა უნდოდა. როცა სასაცილო „მე" არ შეეპუა ჩემს განზრახვას — სულ ჩემი აზრები ჰქონოდა საზრდოდ, — მე იგი მიწაზე დავანარცხე, მაგრად მივბეგვე და ტანისამოსი წავართვი".

აქამდე ამ უბედურის მონაყოლი ასე თუ ისე გასაგები იყო, მერე მისმა სიტყვებმა მთლად დაკარგეს აზრი და უკიდურესი სიგიჟის გამოხატველ ბოდვად იქცნენ. ხოლო ერთი საათის შემდეგ, როცა ზარების რეკვამ დილის წირვა გვამცნო, სნეული საწოლიდან წამოდგა, შიშისმომგვრელი ღრიალი მორთო და ძირს ისე დავარდა, ეჭვი არც შეგვპარვია, რომ იგი სამუდამოდ წავიდა ამ ქვეყნიდან. მიცვალებული საცხედრეში შევატანინეთ. იგი ჩვენი მონასტრის წალკოტში, კურთხეულ ადგილას უნდა დაგვემარხა. მაგრამ წარმოიდგინეთ ჩვენი გაოცება, გაოცება კი არადა, უფრო მართებული იქნებოდა, თუ ვიტყოდი, შეძრწუნება, როცა მიცვალებულის გადმოსასვენებლად საცხედრეში შევედით და იგი იქ აღარ დაგვხვდა, უკვალოდ გამქრალიყო. ამაო გამოდგა ყველა მცდელობა მისი პოვნისა. უკვე აღარც უნდა მქონოდა იმედი იმისა, რომ ოდესმე ზედმიწევნით გამოვიცნობდი გაუცნობიერებელ მოვლენათა იმ ჯაჭვს, რამაც ასე იდუმალად ჩახლართა ერთმანეთში შენი და ვიქტორინის პიროვნებები. შევადარე რა ბარონ ფონ ფ-ის სასახლეში მომხდარი საშინელი ამბების ყველა ნიუანსი გადამთიელის აბდაუბდა ნათქვამს, უკვე ეჭვი აღარც მეპარებოდა, რომ გარდაცვლილი ნამდვილად ვიქტორინი იყო. მან მთებში მოკლა, როგორც ამას ეგერიც მიანიშნებდა, სალოცავად მიმავალი ვინმე კაპუცინი და მისი სამოსი წამოიღო, რათა ბარონის სასახლეში თავისი ჩანაფიქრი განეხორციელებინა. მან თავისი ეს დანაშაული, ისე რომ ამაზე წინასწარ არც უფიქრია, ეფემიასა და ჰერმოგენის მკვლელობებით დააგვირგვინა. და როცა ამ ავკაცურ საქმეებს ჩადიოდა, შესაძლებელია, როგორც ამას რაინჰოლდიც ამტკიცებდა, იგი ჭკუაზე აღარც იყო ანდა ისიც შეიძლება, რომ იგი სინდისის ქენჯნამ შეაწუხა და ამით გატანჯული ჭკუაზე შეიშალა გაქცევის დროს. სამოსი, რომელიც ეცვა, და კაპუცინის მკვლელობა მისი აკვიატებული იდეა გახდა; ამ უბედურმა თავი მღვდლად წარმოიდგინა და მისი შინაგანი „მე" ორ მტრულ, ერთმანეთთან დაპირისპირებულ არსებად გაიყო. ოღონდ ბნელი და აუხსნელი რჩებოდა დროის მონაკვეთი, რომელიც მოიცავდა პერიოდს სასახლიდან გრაფი ვიქტორინის გაქცევასა და მეტყევის სახლში მის სტუმრობას შორის. გაუგებარია აგრეთვე, როგორ შეთხზა და მოიფიქრა შეშლილმა ზღაპრები მისი მონასტერში ყოფნისა და საპატიმროდან გაქცევის შესახებ. ოდნავი ეჭვიც კი არ მეპარება იმაში, რომ აქ გარკვეული როლი ითამაშა გარეგანმა მოტივებმა, ოღონდ უკიდურეს გაოცებას იწვევს და ცხადზე უცხადესია, რაც თავს გადახდა ვიქტორინს, ძალიან ჰგავს შენს თავგადასავალს, მედარდუს, რაც არ უნდა დამახინჯებულად გვაწვდიდეს იმას შეშლილი. ოღონდ ეს არის, მღვდლის მეტყევესთან ყოფნის დრო, რასაც თვითონ მეტყევე მიუთითებს, არ შეესატყვისება იმ დღეს, რომელ დღესაც, რაინჰოლდის მტკიცებით, ვიქტორინი სასახლიდან გაიქცა. თუ შევადარებთ რიცხვებს, მაშინ აღმოჩნდება, რომ შეშლილი გრაფი ტყეში გამოჩენილა იმ დღეს, რა დღესაც ბარონის სასახლეში.

— კმარა, — შევაწყვეტინე წინამძღვარს, — კმარა, წმინდა მამაო, ალბათ უკანასკნელი იმედიც გამიქრება სულში, რომ ოდესმე ღვთის შეწევნითა და გულმოწყალებით, აგრეთვე ღვთისავე მრავლისმეთმენით ჩემთა დიდთა ცოდვათა მიუხედავად მომეგება მიტევება და მარადიული ნეტარება. დაე, უნუგეშო სასოწარკვეთაში ამომხდეს სული და წყველა-კრულვით ავავსო საკუთარი თავი და მთელი ჩემი განვლილი ცხოვრება, თუკი ახლავე ღრმა სინანულითა და უსაზღვრო გულის წუხილით ყველაფერს არ გიამბობ, რაც თავს გადამხდა მას შემდეგ, რაც მონასტერი დავტოვე.

წინამძღვარი უკიდურესად განცვიფრებული იყო, როცა გავუმჟღავნე ყველა წვრილმანი ჩემი განვლილი ცხოვრებისა.

— უნდა დაგიჯერო, — მითხრა წინამძღვარმა, როცა ამბის თხრობა დავასრულე, — უნდა დაგიჯერო, ძმაო მედარდუს, რადგანაც ჭეშმარიტი მონანიების ყველა ნიშანი დავინახე შენს ნაამბობში. აბა ვის ძალუძს საბურველი ახადოს საიდუმლოებას, რომელსაც განაპირობებს სულიერი ნათესაობა ორი ძმისა — ერთი ცოდვილი მამის ვაჟებისა, რომლებიც თვითონაც ცოდვათა მზიდველნი არიან. აშკარაა, ვიქტორინი სასწაულებრივ გადარჩა უფსკრულში, რომელშიც ხელი ჰკარი და გადაისროლე. იგი იქცა გიჟ მღვდლად, რომელიც მეტყველემ მიიღო სტუმრად. სწორედ ეს ვიქტორინი გდევდა ყველგან, ვითარცა შენი ორეული და მერე აქ, ჩვენს მონასტერში აღესრულა. იგი იდუმალი, ბნელი ძალის სათამაშო ტიკინად შემოიჭრა შენს ცხოვრებაში. იგი შენი ამხანაგი კი არა, ქვეშევრდომი იყო, რომელიც გზაზე გადაგელობა, რათა შენგან განერიდებინა ნათელი მიზანი, რომელიც, ვინ იცის, რა ბედს გწევდა, თუკი შენს ჰორიზონტზე გამოჩნდებოდა. ო, ძმაო მედარდუს, ეშმაკი დღემდე დაუღლელად და შეუსვენებლად დაეხეტება დედამიწაზე და ადამიანებს სთავაზობს თავის ელექსირს. ვის არ გაუსინჯავს ოდესღაც ჩვენ შორის მაგ ჯოჯოხეთური სამსალის გემო? მაგრამ ეს ხომ ღვთის ნებაა, რომ ადამიანმა შეიგნოს მავნე ზემოქმედება თავისი წამიერი ფუქსავატობისა და ამის ნათელი შეგნებით ძალა მოიკრიბოს, რათა წინააღმდეგობის გაწევა შეიძლოს. ღვთის ყოვლისშემძლეობა იმაში მჟღავნდება, რომ სიკეთის ზნეობრივი პრინციპები ბუნებაში ბოროტებითაა განპირობებული, ისევე როგორც სიცოცხლე — სიკვდილით. ასე იმიტომ გელაპარაკები, მედარდუს, რომ ვიცი, ცუდად არ გამიგებ. ახლა კი წადი ძმებთან.

ამ წუთში მოულოდნელად ზენარი ტრფიალებისადმი ლტოლვამ შეგიპყრო, ტკივილივით დამიარა ძარღვებში და ყველა ნერვი ამითრთოლა.

— ო, ავრელია! ავრელია! — ხმამაღლა წარმოვთქვი. წინამძღვარი სავარძლიდან წამოდგა და ხაზგასმული დარბაისლობით მითხრა:

— ალბათ შეამჩნევდი, რომ მონასტერში დიდი დღესასწაულისათვის ემზადებიან. ხვალ ავრელია უნდა აღეკვეცოს მონაზვნად და სამონასტრო სახელი — როზალია დაერქვას.

გაქვავებული და თავზარდაცემული ვიდექი წინამძღვრის წინაშე.

— წადი ძმებთან! — მრისხანებაგარეული ხმით მითხრა და მეც ანგარიშმიუცემლად შევედი სატრაპეზოში, სადაც ძმებს მოეყარათ თა-

ვი. კვლავ ქარიშხალივით დამაყარეს კითხვები ჩემი საერო ცხოვრების შესახებ, მაგრამ ხმას ვერ ვიღებდი, წარსულის სურათები შავი ბურუსით დაიბურა, მხოლოდ ავრელიას სხივმოსილი და გაცისკროვნებული ხატი მედგა თვალწინ. ლოცვები მოვიმიზეზე, ძმები დავტოვე და სამლოცველოსაკენ გავეშურე, მონასტრის უზარმაზარი წალკოტისაკენ — ში რომ იდგა. მინდოდა ლოცვა წარმომეთქვა, მაგრამ საამისოდ ძალა არ მეყო.

ღვთისმოსავ ფიქრებში წასული გამომაფხიზლა ხეივნის ფოთოლთა წყნარმა შრიალმა. „ის არის... ის მოდის... კვლავ ვიხილავ იმას," ჩუმად ჩემთვის ვფიქრობდი და შიშისა და აღტაცებისაგან გული მითრთოდა. თითქო ჩუმი ლაპარაკიც გავიგონე. სასწრაფოდ წამოვვარდი და სამლოცველოდან გავედი. ჩემგან არცთუ შორს ნელი ნაბიჯით მოსეირნობდა ორი მონაზონი, შუაში კი ახალმოსული ბანოვანი ჩაეყენებიათ. ო, ეს ნამდვილად ავრელია იყო! კრუნჩხვები დამემართა, ავკანკალდი, სუნთქვა შემიჩერდა, მინდოდა ნაბიჯი გადამედგა, მაგრამ ვერ შევძელი, მერე კი მიწაზე დავეცი. მონაზვნები და ახალმოსული მორჩილიც ბუჩქებში მიიკარგნენ. რა საშინელი დღე დამიდგა! რა ღამე გამითენდა! სულ ავრელია და ავრელია მედგა თვალწინ. არანაირი სხვა ხატი, არანაირი სხვა ფიქრი არ არსებობდა ჩემთვის.

როგორც კი ინათა და დილის მზემ პირველი სხივები ამოაბრწყინა, მონასტრის ზარებმა ავრელიას მონაზვნად კურთხევის დღესასწაული გვამცნეს. საეკლესიო მამები და ძმები დიდ დარბაზში შეიკრიბნენ. დარბაზში შემობრძანდა აბატისა ორი მონაზვნის თანხლებით. გამოუთქმელი გრძნობა დამეუფლა, როცა კვლავ ვიხილე იგი, ვისაც ასე წრფელად უყვარდა მამაჩემი, თუმცა მამამ თავისი ცოდვილი და ბრალეული ქმედებებით დაარღვია კავშირი, რომელიც უზენაეს მიწიურ ნეტარებას ჰპირდებოდა, მაგრამ აბატისამ მაინც გადაიტანა მის ვაჟიშვილზე თავისი გულისთქმა. ამ გულისთქმამ დაამსხვრია ერთ დროს მისი ცხოვრება. აბატისას უნდოდა თავისი მაცდუნებელი სატრფოს ვაჟიშვილში სიკეთე და ღვთისმოსავობა აღეზარდა, მაგრამ იგი მამის დარად დანაშაულზე დანაშაულს უმატებდა და ერთი ბეწო იმედიც მოესპო მოძღვარ ქალს, სათნოებით ეხსნა ცოდვილი მამის სული მარადიული წყეულისაგან.

თავჩაქინდრული, მიწას ჩაშტერებული გაქვავებული ვუგდებდი ყურს იღუმენი ქალის მოკლე შესავალ სიტყვას, რომელიც აუწყებდა შეკრებილ სამღვდელოებას ავრელიას კარტეზიანულ მონასტერში მონაზონთა თანა შერაცხვის შესახებ და კვლავაც მოუწოდებდა საეკლესიო მრევლს გულმხურვალედ ელოცა ამ გადამწყვეტ წუთებში, როცა იგი საზეიმო აღთქმას ამბობდა, რათა ამით დაეთრგუნა სატანის ძალოვანება, რომ იმას ჭკუისდამაბნეველი თამაში არ წამოეწყო ზეციური ქალწულის სატანჯველად და საცთუნებლად.

— მძიმე, ძალზე მძიმე იყო ის განსაცდელი, რაც ამ ქალწულმა გადაიტანა, — თქვა იღუმენმა ქალმა, — ეშმაკს მისი ცთუნება ეწადა, ბოროტი გზისაკენ უბიძგებდა, რა მზაკვრული ფანდებით არ ცდილობდა იგი მის მოჯადოებას, უნდოდა ჭკუიდან შეეშალა, ჩაეგონებია მისთვის, ბოროტებაზე რომ არც უფიქრია ისე, თითქო უკვე შესცოდა,

ხოლო სიზმრისგან გამოფხიზლებული სირცხვილსა და სასოწარკვეთაში ჩაეგდო და უბედურება დაეტეხა თავზე. მაგრამ ყოველად ძლიერმა ძალამ დაიფარა უცოდველი არსება. და თუ დღეს ვაცთა მოდგმის მოსისხლე მტერი გაბედავს და ხელმეორე თავდასხმას მოუწყობს ზეციურ ასულს, კიდევ უფრო სახელოვანი იქნება მისი გამარჯვება სატანაზე. ილოცეთ, ძმანო ჩემნო, მაგრამ იმისათვის კი არა, რომ ქრისტეს სასძლოს ორჭოფობა არ დაეუფლოს, მისი ზეცისაკენ მიდრეკილი სული ისედაც მტკიცეა და შეურყეველი, ილოცეთ მხოლოდ იმისათვის, რაიმე მიწიური უბედურება არ დაატყდეს თავს და ხელი არ შეუშალოს ამ ღვთიურ ქმედებას. ჩემს გულს შიში დაუფლებია და არაფრით არ ძალმიძს გავუმკლავდე მას.

ცხადი იყო, როცა ცოდვის ეშმაკს ახსენებდა, აბატისა მხოლოდ მე მგულისხმობდა, მხედველობაში ჰქონდა რა ჩემი იქ ყოფნა ავრელიას წმინდანად კურთხევის ჟამს, ეჭვი არ ასვენებდა, ვაითუ რაიმე ახალ ბოროტებას ამზადებსო კვლავაც, მაგრამ ზნეობრივად მამაღლებდა სიწრფელე ჩემი წუხილისა და სინანულისა, აგრეთვე რწმენა იმისა, რომ ძირიან-ფესვიანად გამოვიცვალე. ილუმენმა ქალმა ერთხელაც არ ღირსმჰყო თავისი შეხედვით, ამან კი სულის სიღრმემდე შეურაცხმჰყო და მწარე შხამგარეული სიძულვილი აღმიძრა, რომლის მსგავსი რეზიდენციაში ვიგრძენი, როცა პირველად ვნახე ჰერცოგის მეუღლე. როგორც კი აბატისა პირველად შემოვიდა, მზად ვიყავი მუხლი მომედრიკა მის წინაშე, ხოლო ახლა, როცა მისი სიტყვები გავიგონე, ძალიან მომინდა უტიფრად მეთქვა:

— ნუთუ ყოველთვის მიწიური ვნებებისაგან დაცლილი ქალი იყავი, როცა ჩემს მამას უყვარდი? ნუთუ ცოდვილი ფიქრი არ გეუფლებოდა, როცა იმას უცქერდი? ნუთუ იმ წუთებშიც კი, როცა მიტრა და კვერთხი გამკობდა, არ გაიღვიძა შენში ჩემი მამის ხატმა, ვითარცა სევდამ მიწიური სიხარულისა? ანდა მაშინ რას გრძნობდი, ამაყო ქალბატონო, როცა შენი დაკარგული სატრფოს ვაჟიშვილი გულში ჩაიკარ და ტკივილით აღსავსე ხმით ამოთქვი უტიფარი ცოდვილის სახელი? შებრძოლებიხარ ოღესმე ჩემსავით ბნელ ძალებს? ძალგიძს კი გაიხარო შენი გამარჯვებით, თუკი წინასწარ სასტიკი ბრძოლა არ გადაგიტანია სატანური ცდუნების წინააღმდეგ? განა შენ ისე მორჭმულად გრძნობ თავს, რომ გძულდეს ადამიანი, ვინც წამიერად მინებდა უძლიერეს მტერს, მერე კი ამაღლდა ღრმა განდობასა და მონანიებაში?

ჩემი აზრების მოულოდნელმა შეცვლამ მონანიე ცოდვილი აქცია მზვაობარ გამარჯვებულად, რომელმაც მტკიცედ შეაბიჯა ახლახან გამოვლილი ბრძოლის შედეგად კვლავ მოპოვებულ ცხოვრებაში, რისი კვალიც უთუოდ აღიბეჭდა ჩემს პირისახეზე, რადგანაც იქვე მდგარმა მღვდელმა მკითხა:

— რა მოგივიდათ, ძმაო მედარდუს? რა უცნაური მრისხანებით უყურებთ მაღალუწმინდეს ქალბატონს.

— ჰო, რა თქმა უნდა, — მივუგე ძლივს გასაგონი ხმით, — იგი შეიძლება მაღალუწმინდესი ქალბატონი იყოს, რადგან უწმინდურს არაოდეს შეეძლო მიწვდომოდა მის სიმაღლეს. მით უფრო რომ ამჯერად ჩემზე იგი ახდენს უფრო წარმართი მოგვის, ვიდრე ქრისტიანი მისნის

შთაბეჭდილებას, ვისაც დანა მოუღერებია, რათა ადამიანთა მსხვერპლი გაიღოს.

თვითონაც არ ვიცი, როგორ დასცდა ჩემს ბაგეთ ეს სიტყვები, რასაც სულ არ ჰქონია არანაირი კავშირი ჩემ მიერ აქამდე ნაფიქრ-ნაგრძობთან, — მაგრამ ამ სიტყვებით ერთმანეთში აირ-დაირია ჭრელ ქაოსად ქცეული ნაირ-ნაირი სახეები და შემაძრწუნებელ სანახაობად გადამეშალა თვალწინ. ნუთუ ავრელია სამუდამოდ ტოვებდა ამქვეყნიურ სამყაროს და ჩემსავით უარს ამბობდა მიწიურ ნეტარებაზე, რალაც აღთქმას დებდა, რაიც რელიგიური სიგიჟის უაზრო გამონაგონად მეჩვენებოდა? მაშინდელივით ახლაც მეგონა, რომ ორივენი — მეცა და ავრელიაც — თუნდაც ერთი წამით ვზიარებოდით მიწიურ სიტკბოებას და თუ გინდა მომკვდარიყავით ჯოჯოხეთის შავ-ბნელ ძალებს მინდობილნი, აღარ დავეძებდით. დიახ, ძრწოლვისმომგვრელი ურჩხულის დარად, თვითონ სატანასავით გამიელვა სულში მკვლელობის ფიქრმა. ო, მე იმდენად დამიბნელდა ჭკუა-გონება, ვერც შევამჩნიე, სწორედ იმ წუთებში, როცა ილუმენი ქალის მიერ წარმოთქმული სიტყვები ჩემს თავზე მივიღე, სწორედ იმ წუთებში შემიპყრო ჯოჯოხეთურმა ძალამ, რომელიც მაიძულებდა საშინელი დანაშაული ჩამედინა. მღვდელმა, ვისაც იმ დროს ველაპარაკებოდი, შეშინებულმა შემომხედა:

— ღვთისა და წმინდა ქალწულის გულისათვის, გამაგებინეთ, რას ამბობთ? — მეუბნებოდა ივი.

მე შევხედე აბატისას, რომელიც დარბაზიდან გასვლას აპირებდა. როცა იმისი მზერა დავიჭირე, შევამჩნიე, მიცვალებულის ფერი დაედო სახეზე და ფართოდ გახელილი თვალებით მომაშტერდა. მერე შებარბაცდა. მონაზონმა ქალებმა ძლივს შეაშველეს ხელი, რომ არ დაცემულიყო. მომეჩვენა, თითქოს წაიჩურჩულა: „ო, ჩემო წმინდანო მფარველებო, ხომ ახდა ჩემი წინათგრძნობა?“ მალე ამის შემდეგ აბატისასთან უხმეს წინამძღვარ ლეონარდუსს. ლეონარდუსი მხოლოდ მაშინ დაბრუნდა დარბაზში, როცა ჰაერში გაიბნა მონასტრის ზარების ხელახალი რეკვა და ორღანის მგრგვინავ აკორდებს მონაზონთა ქოროს მიერ შესრულებული ღვთის სადიდებელი საგალობლები შეერია. სხვადასხვა ორდენის მღვდლები საზეიმო პროცესიას შემოჰყვნენ ეკლესიაში, რომელიც ისე იყო გადაჭედილი, როგორც წმინდა ბერნარდუსის დღეს. სურნელოვანი ვარდებით მორთულ მთავარსაკურთხევლის ერთ კუთხეში, კლიროსის პირდაპირ სასულიერო პირთათვის განკუთვნილ მომაღლო ალაგას მოთავსებული იყო კაპელა ეპისკოპოსისა, რომელიც პირადად მონაწილეობდა ღვთისმსახურებაში. ლეონარდუსმა გვერდზე გამიხმო და საუბარი გამიბა. შევამჩნიე, რომ მოუსვენრად იყო და თვალყურს მადევნებდა, არც ერთი ჩქამი არ გამოპარვია მის ყურადღებას. თავისთან ახლო დამაყენა და მითხრა, შენს სალოცავთან მინდა ვილოცოო ცოტა ხანს. სწორედ მთავარსაკურთხეველთან ახლოს, დაბალი გისოსით შემოღობილ ადგილას შეიკრიბნენ თეთრ სამოსელში ჩაცმული მონაზვნები და გადამწყვეტი წუთიც დადგა. მონასტრის შიგა სავანიდან გისოსიანი კარის გავლით კარტეზიანელმა მონაზვნებმა ავრელია შემოიყვანეს და საკურთხევლის წინ დააყენეს. ბრბო მის გამოჩენას აღტაცებული შეძახილებით შეხვდა. ორღანი დადუმდა. სამაგიეროდ გაისმა მონაზონი ქალების უებრო სისადავით აღვსილი საოცარი ჰიმნი, რომელ-

მაც სულის სიღრმემდე შემძრა. თვალის გახელა ვერ გავბედე. გამოუთქმელი შიში დამეუფლა. ჭკუა ისე დამებნა, გაოგნებისაგან კრუნჩხვები დამემართა და ჩემი ლოცვანი იატაკზე დავარდა. მოულოდნელად თავბრუ დამეხვა და ლეონარდუსს რომ არ დავეჭირე, სკამიდან ჩამოვვარდებოდი.

— რა მოგივიდა, მედარდუს? — წყნარად მკითხა წინამძღვარმა, — საოცრად აღელვებული ხარ, გაუმკლავდი ბოროტ ძალას, რომელიც შენს ცდუნებას ლამობს.

ღონე მოვიკრიბე, თავი ავწიე და ვიხილე ავრელია, რომელიც მუხლებზე დაჩოქილიყო მთავარსაკურთხევლის წინ. ო, ცათა მეუფეო! მისი მაღალმშვენება და მათრობელა ჯადო-გრძნება უწინდებურად და უფრო მეტადაც აფრქვევდა ირგვლივ ნათელს. იგი თეთრ საპატარძლო კაბაში იყო გამოწყობილი, როგორც იმ საბედისწერო დღეს, როცა ჩემი უნდა გამხდარიყო. ვარდები და მირტები ჩაეწნა თმაში. ღაწვები ვარდისფრად აფერადებოდა ღელვისაგან, როცა გულმხურვალედ წარმოთქვამდა ლოცვებს და სადღესასწაულო წუთებს განიცდიდა. ზეციისაკენ მიპყრობილ თვალებში გამოკრთოდა წმინდა, არამქვეყნიური სიხარული. მაგრამ რას მოვიდოდა ეს წუთები იმ დიდებულ ჟამთან, როცა პირველად ვიხილე ავრელია ანუ ჰერცოგის სასახლეში შევხვდი. სიყვარულისა და გულისთქმის ცეცხლი წინანდელზე მეტად შემომენთო. „ო, ღმერთო ძლიერო, ო, წმინდანებო, ჭკუას ნუ დამაკარგვინებთ, ნუ გამაგიჟებთ, მიხსენით, მიხსენით ჯოჯოხეთური ტანჯვისაგან. არ გამაგიჟოთ, თორემ საშინელ დანაშაულს ჩავიდენ და მარადიულ წყევლას მოვუტან საკუთარ თავს". — ეს ვთქვი და ჩუმად ჩემთვის ლოცვა დავიწყე, თანაც ვგრძნობდი, რა ძალუმად მიპყრობდა ბოროტი სული. მომეჩვენა, რომ ავრელია თანამონაწილე იყო იმ უკეთური საქმეების, მე რომ ჩავიდინე. ის აღთქმა, რომელიც იმას უნდა წარმოეთქვა, ეს იყო საზეიმო ფიცი საკურთხევლის წინ მხოლოდ იმაზე, რომ იგი ჩემი უნდა გამხდარიყო. მე მასში ქრისტეს სასძლის კი არა, დამნაშავე მღვდლის ცოლს ვსედავდი, ვინაც თავისი აღთქმა დაარღვია. სასტიკმა ვნებამ ამიტანა, მინდოდა ჯერ მძვინვარე ნდომით მოვხვეოდი, მერე კი სიცოცხლე მომესწრაფა მისთვის. ეს აზრი მოსვენებას მიკარგავდა. მერე ბოროტი სული დამეუფლა. როცა საშინლად შემომიტია, ლამის ვიკივლე: „შეჩერდით, გინებადაბნელებულებო! თქვენ მიწიურ ვნებათაგან განწმენდილ ქალწულს კი არა, მღვდლის საცოლეს განუმზადებთ ცად ამაღლებას". ანაფორაში დანას დავუწყე ძებნა, რათა მონაზონ ქალებს მივვარდნოდი და ხელიდან გამომეტაცნა მათთვის ავრელია, მაგრამ ჩემი ეს ფაციფუცი დიდხანს არ გაგრძელებულა. აი, ავრელიამ იწყო საზეიმო აღთქმის ღაღადი. მისი ხმა რომ გავიგონე, მეგონა, მთვარის ლბილმა ნათებამ გაჰკვეთა გამძვინვარებული ქარიშხლით გაფანტული შავი ღრუბლები და სულში ნათელი სხივი ჩამეღვარა-მეთქი. და მე ვიცანი ბოროტი სული, რომელსაც არ შევეპუე და გავუძალიანდი, მინდოდა, რადაც არ უნდა დამჯდომოდა, დამეთრგუნა იგი. ავრელიას ყოველი სიტყვა ახალ ძალმოსილებას მძენდა. მალე გამარჯვებული გამოვედი უსასტიკესი ბრძოლიდან. ავისქმედების ყოველი შავი ფიქრი თუ მიწიური გულისთქმის ყოველი ჩქამი გამიქრა. ავრელია ზეციური სასძლო იყო, ღვთისმოსავი და ნეტარი, ამიტომ მისი ლოცვა მიხსნიდა მა-

რადიული წყევლისა და სირცხვილისაგან. მისი ლოცვები ჩემი ნუგეში, ჩემი სასოება გახდა. ზეციურმა სიხარულმა გამინათა აწეწილი სული. ლეონარდუსს, ეტყობა, შეუმჩნეველი არ დარჩენია ჩემი ეს ფერისცვალება. იგი მხოლოდ ახლალა დავინახე. ლეონარდუსმა ნაზი, მამობრივი ხმით მითხრა:

— შენ, შვილო ჩემო, სძლიე ეშმაკს. ეს იყო შენი ბოლო ხელოვნება. გამოცდა, ყოვლადძლიერმა ზენა ძალამ რომ განგიმზადა.

საზეიმო ფიცი წარმოთქმულ იქნა. ვიდრე წმინდა დების გუნდი ანტიფონურ საგალობელს მღეროდა, ავრელიას მონაზვნის სამოსს აცმევდნენ. თმაში ჩაწნული ვარდები და მირტები ამოაძრეს და ის იყო კულულებად გაშლილი თმა უნდა მოეკვეცათ, რომ ეკლესიაში ხმაური ატყდა. დავინახე, როგორ იხუვლა აჩოჩქოლებულმა ხალხმა, როგორ მიასკდნენ ერთმანეთს და მიწაზე დავარდნენ. განგაშმა სულ უფრო იმატა და ხალხის ჯგლეთას გაავებით და გაშმაგებით მიაპობდა ნახევრად შიშველი კაცი, რომელსაც ტანზე აქა-იქ ძონძებად შერჩენოდა კაპუცინის სამოსი. მან ძალუმი მუშტის კვრით გაარღვია შექუჩებული ბრბო. თვალები ველურად უელავდა. მე ვიცანი ჩემი ამაზრზენი ორეული. საშინელი წინათგრძნობით აღვსილი ფეხზე წამოვიჭერი და მინდოდა წინ გადავღობებოდი შემოსულს. შეშლილი საფრთხობელა გადაახტა გალერეას, რომელიც მთავარსაკურთხევლის მოედანს ეკვროდა. მონაზვნებმა ერთი ვაი-ვიში ატეხეს და შეშინებულნი მიმოიფანტნენ. ილუმენმა ქალმა მაგრად ჩაავლო ხელი ავრელიას.

— ჰა, ჰა, ჰა, ჰა! — ირრიალა შეშლილმა და ავრელია აბატისას ხელიდან გამოგლიჯა, — თქვენ გინდათ პრინცესა წარმტაცოთ? ჰა, ჰა, ჰა! პრინცესა ჩემი საცოლეა, ჩემი საცოლე — ეს თქვა და ავრელია ადგილიდან ააგლიჯა, მაღლა აისროლა და თავს ზემოდან მოქნეული დანა მკერდში ვადამდე გაუყარა... სისხლმა შადრევანივით ამოხეთქა.

— ვაშა, ვაშა, ვაშა! ახლა კი ჩემი საცოლე ჩემთანაა, მე კვლავ დავიბრუნე პრინცესა. — გააფრთებული ღრიალით მთავარსაკურთხევლის უკან გადახტა და მონასტრის დერეფნებში მიიმალა.

შეძრწუნებული მონაზვნების წივილ-კივილი იქაურობას აყრუებდა.

— მკვლელობა, მკვლელობა უფლის საკურთხეველთან! — ყვიროდა ხალხი და გრგვინვა-ბრიალით მიიწევდა სამსხვერპლოსაკენ.

— მონასტრის გასასვლელებთან დადექით, რომ მკვლელი არ გაიქცეს! — მჭექარე ხმით დაიძახა ლეონარდუსმა. ხალხი გარეთ გავარდა, მღვდელთაგან უფრო გაბედულებმა კი ხელი დასტაცეს კუთხეში მიყუდებულ კვერთხებს, რომელთაც პროცესიის მსვლელობისას ხმაროობდნენ და უკან გამოუდგნენ მტარვალს. ეს ყველაფერი თვალის ერთ დახამხამებაში მოხდა. ავრელიას გვერდით მუხლი მოვიყარე. მონაზვნები თეთრი ხელსახოცებით ჭრილობას უხვევდნენ, მერე კი გულშელონებულ აბატისას გარშემო აფუსფუსდნენ. ჩემ გვერდით ვილაცამ დაიჭექა:

— Sancta Rosalia, ora pro nobis.[1]

და ყველამ, ვინც კი ეკლესიაში იყო დარჩენილი, ხმამაღლა გაიმეორა:

---

1. წმინდა როზალია, ილოცე ჩვენთვის. (ლათ.).

— სასწაული! სასწაული! იგი ხომ წამებულია!

მაღლა ავიხედე, თავზე მადგა მოხუცი მხატვარი. ისეთი დარბაისლური და ლმობიერი სახე ჰქონდა, როგორც მაშინ, სატუსაღოში რომ მეახლა. არანაირ მიწიურ ტკივილს აღარ ვგრძნობდი ავრელიას გარდაცვალების გამო, აღარც იმ ძრწოლას, ჩვეულებრივ, [illegible] მეუფლებოდა მხატვრის ყოველი გამოჩენისას. და ეს იმიტომ, [illegible] სულის სიღრმეში ნათელი გახდა, როგორ ამეხსნა და გამომეცნო საიდუმლო ხლართები, ბოროტი ძალა რომ მიმზადებდა.

— სასწაული, სასწაული! — არ ცხრებოდა ხალხი, — შეხედეთ, იისფერმოსასხამიანი მოხუცი კაცი, იგი მთავარსაკურთხევლის ხატიდან გამოვიდა, მე ეს დავინახე.

— მეც დავინახე.

— მეც, მეც! — ისმოდა აქეთ-იქიდან. მერე ყველა ერთბაშად მუხლებზე დაეცა. უთავბოლო ხმაური მიწყნარდა. ყველა ლოცვებს ჩურჩულებდა. ამ ლოცვებს ხანდახან გულიდან ამომსკდარი ქვითინი თუ დაარღვევდა. გულშეღონებული აბატისა თანდათან გონს მოეგო და უღრმესი ტკივილით აღსავსე გატანჯული ხმით ამოთქვა:

— ავრელია, შვილო ჩემო! ჩემო ღვთისმოსავო ასულო! ღმერთო ძლიერო, იყოს ნება შენი!

მოიტანეს ბალიშებიანი და საბანგადაფარებული საკაცე. როცა ავრელია ზედ დააწვინეს, ღრმად ამოიოხრა და თვალები გაახილა. მხატვარი თავზე ადგა, შუბლზე ხელი შეახო. იგი ძალმოსილ წმინდანს ჰგავდა. ყველა და თვითონ აბატისაც საოცარი მოწიწებით და პატივისცემით განიმსჭვალნენ მისადმი. საკაცესთან ახლო მუხლებზე დავეცი. ავრელიამ შემხედა. ჩემი სული გამოუთქმელმა წუხილმა შეიპყრო ამ ტანჯული და წმინდა ასულის მოწამეობრივ სიკვდილზე, ოღონდ ძალა არ შემწევდა სიტყვა მეთქვა. მხოლოდ ყრუ გოდება აღმოსკდა ჩემს გულს. მაშინ ავრელიამ ნაზი და წყნარი ხმით მითხრა:

— ჩემზე რად წუხხარ? მე ხომ ზეციურმა სამარადო ძალამ ღირსმყო და მიწისაგან განმაშორა იმ წუთში, როცა ყოველი მიწიერი არარაობა შევიცან და როცა ჩემი გული აღივსო უსასრულო ლტოლვით მარადიული სიხარულისა და ნეტარების სამყაროსადმი.

ფეხზე წამოვდექი და საკაცესთან მივედი.

— ავრელია, — წარმოვთქვი გულათრთოლებულმა, — წმინდა ქალწულო! თუნდაც ერთი წამით მაღირსე შეხედვა ზეციურ სიმაღლეს მიახლებულმა, რათა არ დავინთქე მტანჯველ, ჭკუისშემშლელ ეჭვებში, რომელთაც შესძრეს სული ჩემი, დამიშრიტეს ძალი ყოველი. ავრელია, შენ ხომ გძულს ცოდვილი, რომელიც ბოროტი სულის დარად შეიჭრა შენს ცხოვრებაში? ო, იმან წრფელად მოინანია, მაგრამ ღრმად იცის, რომ მონანიება როდი შეამსუბუქებს მისი ცოდვების ამაზრზენ ტვირთს. ავრელია, იქნებ შეურიგდე მას სიკვდილის პირას მყოფი.

ავრელიამ გაიღიმა და თითქო ანგელოსთა ფრთების შეხება ვიგრძენი. მერე თვალები დახუჭა.

— ქრისტე მაცხოვარო, ყოვლად წმინდაო ღვთისმშობელო მარიამ! განწირული ვარ უნუგეშო უსასოებაში დავინთქე. ო, ღმერთო, მიხსენი, მიხსენი, ამ სატანჯველისაგან.

გულმხურვალე ლოცვას აღვუვლენდი ზეცას. ავრელიამ ისმინა ჩემი ვედრება და კვლავ გაახილა თვალი.

— მედარდუს! — შემომღაღადა მან, — შენ მიენდე ბოროტი სულის შთაგონებას, მაგრამ განა მე კი ცოდვებისაგან ვარ განწმენდილი? მე ხომ იმედი მქონდა, მიწიერ ბედნიერებას მივაღწევდი ჩემი ცოდვილი სიყვარულის მეშვეობით? ღვთის საგანგებო ნებამ განსაზღვრა ჩვენი გვარ-ტომის მძიმე გარდახთომილებათაგან გამოხსნა და ასე შეგვკრა და შეგვაერთა სიყვარულის დუღაბმა, რომელიც ვარსკვლავთა მილმა მეუფეობს და არანაირი საერთო არა აქვს მიწიერ სიხარულთან. მაგრამ კაცთა მოდგმის ცბიერმა მტერმა შეძლო დაეფარა ჩვენთვის ღრმა მნიშვნელობა ჩვენი ტრფობისა და უსასტიკესი საცთურებით ვეცდუნებინეთ, რათა მხოლოდ მიწიურის გზით გაგვეხადა საცნაური ზეციური არსი. ო, იგი ხომ მე ვიყავ, სიყვარული რომ გაგიმხილე სააღსარებოში? მაგრამ მარადიული სიყვარული კი არ ჩაგაგონე, სურვილების სატანური ცეცხლი დავანთე შენს სულში. სწორედ მან გშთანთქა შენ და გინდოდა დამნაშავური ქმედებებით ჩაგექრო ეს ცეცხლი. გამხნევდი, მედარდუს. ბედუკულმართ გიჟს, რომელიც ბოროტმა სულმა აცთუნა, ეგონა, რომ იმას უნდა გაესრულებინა შენ მიერ დაწყებული საქმე, მაგრამ იგი ოდენ ბრმა იარაღი იყო, ვისი მეშვეობითაც ღვთის ნება აღსრულდა წინასწარგანზრახულად. გამხნევდი, მედარდუს. მალე, მალე...

ბოლო სიტყვები ავრელიამ თვალდახუჭულმა წარმოთქვა და გრძნობა დაკარგა. მაგრამ სიკვდილი ჯერაც ვერ დაეუფლა თავის მსხვერპლს.

— აღსარება გითხრათ არა, თქვენო უწმინდესობავ? ხომ გითხრათ აღსარება? — ცნობისმოყვარედ მეკითხებოდნენ მონაზვნები.

— ო, არა, — მივუგე მე, — აღსარება კი არა, ზეციური ნუგეშით აღავსო ჩემი სული.

— გიხაროდეს, მედარდუს! მალე დამთავრდება შენი გამოცდის ჟამი და მეც მაშინ ვიღორძინებ! — ეს სიტყვები წარმოთქვა მხატვარმა. მე მივეახლე მას და ვთხოვე:

— ნუ დამტოვებ მარტო, საოცარო კაცო!

არ ვიცი რატომ, მაგრამ როცა ლაპარაკის გაგრძელება მინდოდა, გონებაზე ბინდი გადამეფარა და რაღაც უცნაურ მდგომარეობაში ჩავვარდი. თითქო ბურანში წავედი, მერე კი მოულოდნელად ხმამაღალმა ძახილმა, ყვირილმა გამომაფხიზლა. მხატვარი ისე გაუჩინარდა, ვერც გავიგე. იგი მეტი აღარც მინახავს. გლეხები, მოქალაქეები, ჯარისკაცები ეკლესიას მოაწყდნენ. ისინი დაჟინებით მოითხოვდნენ, მონასტერში შესვლის ნება დაგვრთე, ყველა კუთხე-კუნჭულში უნდა დავძებნოთ ავრელიას მკვლელი, რომელიც ჯერ კიდევ არ უნდა იყოს მონასტრიდან გასულიო. ილუმენ ქალს სამართლიანად ეშინოდა გამძვინვარებული ხალხისა, რამე უბედურება არ დაატრიალონო, და უარი უთხრა თხოვნაზე. მიუხედავად იმისა, რომ მისადმი დიდი კრძალვა და რიდი ჰქონდათ, მაინც ვერ შეძლო დაეშოშმინებინა გაცეცხლებული ადამიანები, რომლებიც არა და არ ცხრებოდნენ. ისინი სამდურავს ეუბნებოდნენ აბატისას, მკვლელს იმიტომ მალავ, რომ იგი მღვდელია და არ გინდა ეკლესიას სახელი შეებღალოსო. აღელვებულებმა, მონასტრის შტურმით აღება მოიწადინეს. მაშინ ლეონარდუსი ავიდა კათედრაზე და შთამაგონებელი

სიტყვებით მიმართა იქ მყოფთ. მან ორიოდ სიტყვით ილაპარაკა იმაზე, რაოდენ დიდი ცოდვაა წმინდა სავანეთა შებილწვა-შეგინება, მონასტერზე მკრეხელური თავდასხმა. მან განმარტა, რომ ეს კაცი სულაც არ არის ეკლესიის მსახური, ერთი სულით ავადმყოფია, რომელიც ჩვენმა მონასტერმა შეიფარა, და, რაკი ეს უბედური მკვდარი ეგონა, ამიტომაც ვუბრძანე კაპუცინის ტანსაცმლით შეემოსათ და საცხედრეში ისე დაესვენებინათ, მაგრამ თურმე ნუ იტყვით, იგი მკვდარი კი არა, გულშელონებული ყოფილა და როცა გრძნობაზე მოვიდა, იქიდან ისე გაიპარა, მისი ასავალ-დასავალი ვერსად ვიპოვეთო. იგი რომ კვლავ მონასტერში იყოს, ვერაფრით ვეღარ შესძლებდა იქიდან გაპარვას, რადგან ყველა ღონე ვიხმარეთ მის მოსაძებნადო. ამის გამგონე ბრბო ცოტათი დამშვიდდა, მაგრამ დაჟინებით კი მოითხოვა ავრელია მონასტრის დერეფნებით კი არა, ეზოდან საზეიმო პროცესიის თანხლებით გაეყვანათ. ხალხის სურვილი დააკმაყოფილეს. დამფრთხალმა მონაზვნებმა ვარდებით მორთული ჯალამბერი მაღლა ასწიეს. ავრელიაც წინანდებურად იყო შემკული მირტებითა და ვარდებით. ჯალამბერს, რომლის ზემოთ ოთხ მონაზონს ბალდახინი მოჰქონდათ, ნელი ნაბიჯებით წინ მიუძღოდა აბატისა, რომელიც ორ მონაზონს მოჰყავდა. პროცესიას მისდევდნენ კარტეზიანული მონასტრის სხვა მონაზვნები წმინდა დების თანხლებით, შემდეგ კი სხვადასხვა ორდენის ძმები. მსვლელობას ამთავრებდა ხალხი. პროცესია ეკლესიისაკენ დაიძრა. მონაზონი, რომელიც ორღანზე უკრავდა, ქოროშიც დროულად აღმოჩნდა, ამიტომაც როგორც კი პროცესია ეკლესიის შუაგულ ადგილს მიუახლოვდა, ქოროდან მოისმა ორღანის ხავერდოვანი, სასწაულად გულში ჩამწვდომი ხმები. მაგრამ შეხედეთ, ნელა წამოიმართა ავრელია და ლოცვად აღაპყრო ხელები ზეცისაკენ. და კვლავ ძირს დაემხო მუხლებზე ხალხი და ამოთქვა გულიდან ამონაკვნესი სიტყვები: „Sancta Rosalia, ora pro nobis". ასე აღმისრულდა სიცხადეში, რაც მაშინ მეგონა, როცა პირველად ვიხილე ავრელია და სატანის მიერ გონებადაბნელებულმა მკრეხელური პირმოთნეობით შევცოდე.

როცა მონაზვნებმა მონასტრის ქვემო დარბაზში ჯალამბერი ძირს დადგეს, როცა წმინდა დებმა და ძმებმა ლოცვით გარს შემოუარეს, ავრელიამ ერთი ღრმად ამოიკვნესა, მის გვერდით დაჩოქილ აბატისას მკლავებზე მიესვენა და სული განუტევა. ხალხს მონასტრის კარიბჭიდან ფეხი არ მოუცვლია. და როცა ზარების რეკვამ ქვეყანას ამცნო მიწიერი აღსასრული ღვთისმოსავი ქალწულისა, ხალხში მწარე გოდება და გულისმომკვლელი ზლუქუნი გაისმა. ბევრმა ფიციც დადო, ვინც დაკრძალვის ლიტურგიამდე სოფელში დარჩენილიყო, ხოლო სახლებში დაბრუნებულები გარკვეულ დრომდე მკაცრად იმარხულებდნენ. მთელ ქვეყნიერებას ელვისებურად მოედო შემაძრწუნებელი დანაშაულისა და ქრისტეს სასძლოს წამებული სიკვდილის ამბავი და საბოლოოდ ავრელიას დაკრძალვის ლიტურგია, რომელიც ოთხ დღეს გაგრძელდა, შეედარა წმინდანის ფერისცვალების აღსანიშნავ სულის ამამაღლებელ დღესასწაულს. დაკრძალვის წინა დღეს მონასტრის ახლო გაშლილ მინდორზე უამრავ ხალხს მოეყარა თავი, სწორედ ისე, როგორც ეს წმინდა ბერნარდუსის დღეს ხდებოდა. ადამიანებს მიწაზე მოერთხათ ფეხი და გა-

თენებას ელოდებოდნენ. მაგრამ ნაცვლად მხიარული ხორხოცისა და გნიასისა, ისმოდა წყნარი ამოკვნესა და ძლივს გასაგონი ბუტბუტი. ყველას პირზე ეკერა ამბავი შემზარავი ბოროტმოქმედებისა, რომელიც ეკლესიის მთავარსაკურთხეველთან მოხდა. და თუკი ვინმე ხმამაღლა რაღაცას წამოიძახებდა, ეს იყო წყევლა-კრულვა, რომელსაც უთვლიდნენ უკვალოდ გამქრალ მკვლელს.

ოთხი დღე უმეტესწილად განმარტოებით გავატარე სამლოცველოში, რომელიც ბაღის ერთ კუთხეში იყო მოთავსებული, და ამ ოთხმა დღემ უფრო ღრმა ზეგავლენა მოახდინა ჩემი სულის განკურნებაზე, ვიდრე რომის კაპუცინთა მონასტერში ჩატარებულმა ხანგრძლივმა და მკაცრმა ეპიტიმიამ. ავრელიას უკანასკნელმა სიტყვებმა ნათლად გადამიშალა ჩემი ცოდვების საიდუმლო. მივხვდი, რომ სათნოებისა და ღვთისმოსაობის მთელი ძალმოსილებით შეჭურვილს არ შემეძლო გავმკლავებოდი შემოტევას სატანისა, რომელიც დევნიდა ცოდვილთა მოდგმას და სულ უფრო და უფრო ძალუმად იდგამდა ფესვს. ბოროტი თესლის ჩანასახი ჯერაც უმნიშვნელო და სუსტი იყო ჩემში, როცა კონცერტმაისტერის დით მოვიხიბლე, როცა ჩემს სულში ცოდვილმა მზვაობრობამ გაიღვიძა. და რომ საბოლოოდ დავეღუპე, სატანამ ხელში ჩამჩარა ელექსირი, რომლის წყეულმა შხამმა სისხლი ამიდუღა. ამის შემდეგ მისხლითაც არ მიღია ყურად უცნობი მხატვრის, წინამძღვარ ლეონარდუსის და აბატისას გამაფრთხილებელი შეგონებები. ხოლო ავრელიას გამოჩენამ საალსარებოში საბოლოოდ ჩამოაყალიბა ჩემი პიროვნება დამნაშავედ. სწორედ ეს ცოდვა მექცა ფიზიკურ სნეულებად, რომელიც შხამის დალევამ გამოიწვია. როგორ შემეძლო სატანაზე მინდობილი ჩავწვდომოდი იმ ურთიერთკავშირს, რომლის შემწეობითაც მამაზეციერის ძალთამპყრობლობამ ჩემი და ავრელიას ბედი ერთმანეთს ჩააქსოვა, ვითარცა მარადიული ტრფობის სიმბოლო. სატანამაც, თავის მხრივ, გულღრძოდ მიმაჯაჭვა უწმინდურთან, რომლის არსებამ ჩემში იმნაირად დაიბუდა, როგორიც მან ჩემზე მოახდინა სულიერი ზემოქმედება. საქმემ, რომელიც მოჰყვა ეშმაკეულ საცთურს, სიკვდილზე ფიქრთან განდობილი გამხადა. ამან მიბიძგა ჟსაზიზღრეს დანაშაულობათა ჩაღენისაკენ და გამილვიძა სურვილი საზარი ტანჯვა-წამებით მეხეტიალა ქვეყნის კიდეზე. ვიდრემდე ავრელიამ მარადიული ძალის ნებით თავისი აღთქმა არ წარმოთქვა, ჩემი სული არ იყო განწმენდილი ცოდვებისაგან და მტერიც ჩემზე მძლავრობდა, მაგრამ საოცარი შინაგანი სიმშვიდე, ვითარცა ზეციდან ჩამობრწყინებული სისარული, მხოლოდ მას შემდეგ დამეუფლა, როცა ავრელიამ უკანასკნელი სიტყვები ამოთქვა და მე ვირწმუნე, რომ მისი სიკვდილი ეს იყო აღთქმა შერიგებისა.

როცა სადღესასწაულო რექვიემის გალობისას ქორომ იმღერა: Confutatis maledictis flammis acribus addictis[1] — სულის სიღრმემდე შეძრული კანკალმა ამიტანა.

ხოლო ამ სიტყვების გაგონებაზე: „Voca me cum benedictis"[2] — მომეჩვენა, თითქოს ზეციური მზის ნათელში ვხედავდი ავრელიას, რო-

1. ძირს დაემხეთ, წყეულნო, ღვთის რისხვად მოვლენილნო (ლათ.).

2. მიხმე ნეტართა თანა. (ლათ.).

მელმაც ჯერ მე შემხედა, მერე კი გაჩახჩახებული ვარსკვლავებით შემკული თავი აღიღო და ყოვლადძლიერს შესთხოვა ჩემი სულის მარადიული ხსნა. და როცა გაისმა სიტყვები: „Oro Supplex et acclinis cor contritum quasi cinis“.[1] —უმალ პირქვე დავემხე. რა ცოტათი ჰგავდა ჩემი შინაგანი გრძნობა, ჩემი წყნარი ვედრება იმ ვნებიან წუხილს, იმ სასტიკ და არაადამიანურ ეპიტიმიას, კაპუცინთა მონასტერში რომ აღვასრულე. ახლა უკვე აშკარად შეეძლო ჩემს სულს ერთმანეთისაგან გაერჩია სიცრუე და ჭეშმარიტება და ამის ნათელი შეგნებით სატანის ყოველი მცდელობა ფუჭი და უნაყოფო რჩებოდა. არა თვითონ ავრელიას სიკვდილმა, არამედ ამ სიკვდილის შემზარავმა და ტრაგიკულმა არსმა შემძრა სულის სილრმემდე პირველ წუთებში. მაგრამ მალევე შევიცანი, რომ მარადიული ძალის წყალობით იგი ნეტარებას ეზიარა. ეს იყო წამებული აღსასრული ქრისტეს სასძლოსი, ვინაც განვლო ცთომების გზა და ცოდვებისაგან განიწმინდა. განა იგი მოკვდა ჩემთვის? არა, იგი მხოლოდ განერიდა სატანჯველით აღსავსე მიწიერ სამყაროს და ჩემს გულში აგიზგიზებული მარადიული ტრფობის წმინდა სხივად იქცა. დიახ! ავრელიას სიკვდილი ეს იყო სადღესასწაულო განწმენდა ჩემი სიყვარულისა, რომელიც, მისივე სიტყვებით რომ ვთქვა, ვარსკვლავებს მიღმა მეუფეობს და რომელსაც არანაირი საერთო არა აქვს მიწიურ ვნებასთან. ამ აზრებმა ჩემს მიწიურ „მე“-ზე ამამაღლეს და კარტეზიანულ მონასტერში გატარებული ის დღეები ჩემი ცხოვრების უნეტარეს დღეებად იქცა.

როცა მიცვალებულის ნეშტი გარეთ გამოასვენეს და ეს მოხდა მეორე დილით, ლეონარდუსმა თავისი ძმების თანხლებით ქალაქს დაბრუნება ინდომა. ის იყო პროცესია უნდა დაწყებულიყო, როცა აბატისამ თავისთან მიხმო. იგი მარტო დამხვდა თავის ოთახში. მეტისმეტად აღელვებული იყო. თვალთაგან ღვარად ჩამოდიოდა ცრემლები.

— მე ახლა უკვე ყველაფერი, ყველაფერი ვიცი, შვილო ჩემო მედარდუს! კვლავ ასე დაგიძახებ, რადგან შენ ღირსეულად გაუძელი უმკაცრეს გამოცდას და სძლიე ეშმაკეულ ცთუნებას, რაიც წილად გერგო ბედუკულმართსა და საბრალო ყმაწვილს. ო, მედარდუს, მხოლოდ იგი, მხოლოდ იგია უცოდველი და წმინდა, ვინც შეიძლება იყოს ჩვენი შემწე და მფარველი წინაშე უფლისა საბრძანისისა. განა თვითონ მე უფსკრულის პირას არ ვიდექი, როცა მიწიური სიხარულის ფიქრით ატანილი მკვლელზე მინდობას ვლამობდი! მერეც ხომ შევცოდე, როცა ჩუმად, ჩემს სენაკში განმარტოებულმა ცოდვის ცრემლები ვღვარე? წადი, შვილო მედარდუს! ჩემს სულში უკვე მისხალი ეჭვიც არ არსებობს იმისა, რომ, ვინ იცის, იქნებ სულაც ჩემი შეცოდების გამო აღგზარდე შენ დამნაშავედ და ცოდვილად.

ეტყობა, ლეონარდუსმა აბატისას გაუმხილა ყველაფერი ჩემი ცხოვრებიდან, რაიც მისთვის ჯერაც არ იყო ცნობილი და თავისი მოპყრობით დამიდასტურა, რომ მეც მომიტევებს ყოველივეს, თანაც ჩემგან ჩადენილ ცოდვებს განსასჯელად გადასცემს ცათა მეუფეს, როცა საბოლოოდ წარვსდგები მისი სამსჯავროს წინაშე განკითხვის დღეს. ძველი

---

1. მორჩილებითა და თავმოდრეკით გევედრები, ვითარცა ფერფლად ქცეული მწუხარე გული. (ლათ.).

სამონასტრო წეს-ჩვეულებები კვლავაც იგივე დარჩა ჩემთვის. წინანდებურად დანარჩენ ძმათა შორის ჩავირიცხე. ერთ დღეს ლეონარდუსმა მითხრა:

— კიდევ ერთი ეპიტიმია მინდა დაგიწესო.

მე მორჩილად ვკითხე, რაში მდგომარეობდა ეს. ლეონარდუსმა ჩემს შეკითხვაზე ასე მომიგო:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენ უნდა დაწერო შენი ცხოვრების ზუსტი და მართალი ამბავი. არც ერთი ღირსშესანიშნავი თუ რამდენადმე უმნიშვნელო წვრილმანიც არ უნდა გამოგრჩეს, მეტადრე მრავალფეროვანი საერო ცხოვრების ხანაში თავს გადახდენილი. ფანტაზია შენ კვლავ დაგაბრუნებს წარსულთან. ერთხელ კიდევ მოგიხდება გამოვლო და შეიგრძნო განვლილი ცხოვრების მაძრწუნებელი, თვალსასაერო, შემზარავი და სამხიარულო განცდელები. ეგებ ისეთი წუთებიც დაგიდგეს, ავრელიაც კი იხილო კვლავ, მაგრამ არა ვითარცა მონაზვნად აღკვეცილი როზალია, ვისაც წამებულის სიკვდილი ერგო წილად. მაგრამ თუ ბოროტმა სულმა მართლაც შენზე ხელი აიღო და მიგატოვა, თუკი ყველაფერ მიწიურს ზურგი აქციე, მაშინ ვითარცა ზენარი არსი შენს წარსულზე ამაღლდები და წარსულის მოგონებები უკვალოდ გაგიქრება.

მეც ეგრევე მოვიქეცი, როგორადაც წინამძღვარმა მიბრძანა. ო, მართლაც ისე მოხდა, როგორც იმან მიწინასწარმეტყველა. როცა ჩემი წუთისოფლის ჩავლილ გზაზე ვწერდი, სულმა ფორიაქი იწყო, ერთმანეთში აირია და აბობოქრდა ტკივილი და ნეტარება, საშინელება და სიხარული, ძრწოლა და აღტაცება.

და შენ, ვინც ოდესმე ამ ფურცლებს წაიკითხავ, გახსოვდეს, რომ იმ ჩემი სიყვარულის უზესთაეს მზიურ ხანაზე გელაპარაკებოდი, როცა ავრელიას ხატება ცხოვლად შემოიჭრა ჩემს სამყაროში. მიწიურ სიხარულზე უფრო მაღალიც ხომ არსებობს, რაიც უმეტესწილად დაღუპვას უქადის ჩიტირეკია და გონებაჩლუნგ ადამიანებს და უზესთაესი მზიური ხანაც სწორედ ეგ არის, როცა ყოველგვარი თავაშვებული მკრეხელური ნდომისაგან განდრეკილი სატრფო ციური სხივის დარად კურთხეულ სინათლედ ჩამოანათებს სიყვარულის სამეფოდან, გულში დაგინთებს ყველაფერი ამაღლებულისა და სიწმინდის გამომხატველ ჩაუქრობელ ცეცხლს, ნუგეშად და სასოებად რომ მოეფინება საბრალო ადამიანებს. ამ აზრძა მხნეობა შემმატა და როცა ჩემი ამქვეყნიური ცხოვრების უმშვენიერესი ხანა გავიხსენე, მდუღარე ცრემლი წამსკდა თვალთაგან, კვლავ გამეხსნა კარგა ხნის წინ შეხორცებული ჭრილობები და იქიდან სისხლმა იწყო წვეთ-წვეთობით დენა.

მე ვიცი, როცა ჩემი აღსასრულის მაუწყებელი ზარი ჩამორეკს, სატანას იქნებ კვლავაც აღმოაჩნდეს ძალა ცოდვილი მღვდლის სატანჯველ-საგვემლად. მე კი უშიშრად, თანაც მგზნებარე წადილით ველოდები წუთს, როცა უფლება მეძლება მიწის დატოვებისა. დაე ეს წუთი იყოს აღსრულება ყოველივე იმისა, რასაც ავრელია, ო, თვითონ წმინდა როზალია დამპირდა სიკვდილის ჟამს. ილოცე, წმინდა ქალწულო, ილოცე ჩემთვის, როცა მრისხანე საათი დამიდგება, რათა ჯოჯოხეთის ძალამ, რომელიც ხშირად მიმორჩილებს, არ შემიპყროს და მარადიული წყევის უფსკრულში არ გადამჩეხოს.

დამატება, რომელიც დაურთო მამა სპირიდონმა, ბ-ს კაპუცინთა მონასტრის ბიბლიოთეკარმა

17... წლის ოთხი სექტემბრის ღამეს ჩვენს მონასტერში ბევრი რამ მოხდა საოცარი. ასე, დაახლოებით ალბათ ნაშუაღამევს, მახლობელი სენაკიდან, სადაც ძმა მედარდუსი ცხოვრობდა, უცნაური ხმაური და დროდადრო ყრუ საწყალობელი კვნესა შემომესმა. აშკარად გავიგონე ამაზრზენი, ზიზღისმომგვრელი ხმა, რომელიც ამბობდა: „წამო ჩემთან, ძამიკო მედარდუს, საცოლე მოვძებნოთ!“ წამოვდექი, ძმა მედარდუსთან მისვლა მინდოდა, მაგრამ უჩვეულო ძრწოლამ შემიპყრო, მთელი სხეულით ავკანკალდი, თითქოსდა სასწაულმა ციებ-ცხელებამ შემომიტიაო, ცოტათი მოვჯობინდი თუ არა, მაშინვე გავეშურე მედარდუსის სენაკისკენ კი არა, არამედ წინამძღვარ ლეონარდუსთან, არცთუ ისე ადვილად გავაღვიძე და ვუთხარი, რაც გავიგონე. წინამძღვარს ძალიან შეეშინდა, საწოლიდან წამოხტა და მიბრძანა, ახლავე წავიდეთ, ოღონდ ნაკურთხი სანთლები წამოიღეო თან. რაც მითხრა, შევასრულე, სანთელი წმინდა ღვთისმშობლის ხატის კანდელზე დავანთე დერეფანში და კიბეზე ავედით. კარს მივაყურადე, ის ამაზრზენი ხმა, რამაც გამაღვიძა, აღარ ისმოდა, მის ნაცვლად ზანზალაკი წკრიალებდა, წყნარად და საამოდ, გარდა ამისა ორივეს მოგვეჩვენა, რომ ჰაერში ვარდების დამათრობელი სურნელი იფრქვეოდა. როგორც კი სენაკს მივუახლოვდით, კარი გაიღო და იქიდან გამოვიდა უცნაური შესახედაობის ზორბა ტანის, თეთრი ხუჭუჭაწვერიანი, იისფერ ლაბადაში გახვეული უცნობი მამაკაცი. მე ძალიან შემეშინდა, ალბათ აჩრდილია, თორემ მონასტრის ჭიშკარი ისე მაგრად და საიმედოდ იყო ჩარაზული, სხვას ვის შეეძლო იქ შელწევა. ლეონარდუსმა თამამად და უზრუნველად შეხედა უცნობს, თუმცა სიტყვა არ დაუძრავს. „აღსრულების ჟამი შორს აღარ არის!“ — ნამეტნავი იდუმალი და საღვთისმეტყველო განწყობით ჩაილაპარაკა უცხო სახებამ და ბნელ დერეფანში გაუჩინარდა, რის გამოც ჩემი შიში კიდევ უფრო გაძლიერდა, კინაღამ სანთელი არ გამივარდა აცახცახებული ხელიდან, წინამძღვარმა კი თავისი ღვთისმოსავი ბუნებისა და ღრმა რწმენის გამო არანაირი ყურადღება არ მიაქცია აჩრდილს, მკლავში ხელი ჩამავლო და მითხრა: „ახლა კი ძმა მედარდუსის სენაკში შევიდეთ.“ ასეც მოხდა. შევედით თუ არა სენაკში, ძალღონეგამოცლილი, სულამიმავალი ძმა მედარდუსი ვიხილეთ. ენა წართმეოდა, ხროტინებდა. ლეონარდუსი მომაკვდავთან დარჩა, მე კი ძმების გასაღვიძებლად წავედი, ზარს მაგრად ჩამოვკარი და ხმამაღლა შევძახე: „ადექით! ადექით! ძმა მედარდუსი სიკვდილის პირასაა!“ მღვდლებმა გაიღვიძეს, ყველანი ანთებული სანთლებით ხელში მივეახლეთ სულთმობრძავს. ყველა დიდად დაგვამწუხრა მისი აღსასრულის მოახლოებამ. ძმა მედარდუსი ჯალამბერზე დავაწვინეთ, მონასტრის ეკლესიაში შევიყვანეთ და მთავარსაკურთხეველთან დავასვენეთ. ჩვენდა გასაოცრად მედარდუსი გამოკეთდა, ლაპარაკი დაიწყო, ასე რომ ლეონარდუსი, აღსარების მოსმენისა და ცოდვათა შენდობის შემდგომ, თვითონვე შეუდგა აღსრულებას მომაკვდავის უკანასკნელი ზეთის კურთხევისა. და ვიდრემდე ლეონარდუსი ხანგრძლივად საუბრობდა ძმა მედარდუსთან, ჩვენ ქოროზე ავედით

და ვიგალობეთ საიქიო განსასვენელში გზის დასალოცი და მომაკვდავის სულის საცხონებელი საგალობელი. მეორე დღეს კი 17... წლის 5 სექტემბერს, როცა ეკლესიის ზარმა თორმეტჯერ ჩამორეკა და შუადღის დადგომა გვამცნო, ძმა მედარდუსმა წინამძღვარ ლეონარდუსის მკლავებში განუტევა სული. ჩვენ შევამჩნიეთ, რომ ეს მოხდა ზუსტად იმ დღესა და საათზე, რა დღესა და რომელ საათზეც შარშან შემაძრწუნებელად მოჰკლეს მონაზონი როზალია სამონასტრო ფიცის წარმოთქმისთანავე. სულის მოსახსენებელი მესისა და ნეშტის ეკლესიიდან გამოსვენების ჟამს კიდევ ერთი გარემოება გახდა საცნაური: რექვიემის შესრულებისას მთელ ეკლესიაში დაიფრქვა ვარდების გამაბრუებელი სურნელი და ჩვენ ცხადად დავინახეთ წმინდა როზალიას დიდებულ ხატთან, რომელიც უცნობი იტალიელი მხატვრის მიერაა შესრულებული და ჩვენმა მონასტერმა მნიშვნელოვან საფასურად შეისყიდა რომის მიდამოებში ბინადარ კაპუცინებისაგან, რომლებმაც თავისთვის ამ ხელთუქმნელი ტილოს ასლიღა დაიტოვეს, ვილაცას დაედო საუცხოო ვარდების უზარმაზარი თაიგული, რაც წელიწადის ამ დროს იშვიათობას წარმოადგენდა. საყდრის ეჯიბმა გვიამბო შემდეგი: დღეს დილაადრიან დავინახე ეკლესიაში ვილაც ძონძებში გამოხვეული გლახაკი შემოიპარა და ეს თაიგული ხატზე მიამაგრაო. მიცვალებულის გამოსვენებისას სწორედ ეს გლახაკი აღმოჩნდა ძმათა გვერდით. ჩვენ მისი თავიდან მოშორება გვინდოდა, მაგრამ წინამძღვარმა ლეონარდუსმა არ დაგვანება, ყურადღებით შეათვალიერა მოსული და გვიბრძანა, არ შეგვეწუხებინა იგი, ერთად გვეგლოვა განსვენებული. ის კი არადა, ლეონარდუსმა ორდენის წევრადაც კი მიიღო, როგორც მორჩილი. ჩვენ მას წმინდა პეტრეს ვეძახით, რაკი საერო ცხოვრებაში პეტერ შოენფელდი ერქვა. როდი გვშურდა მისი ამ მედიდური სახელის გამო, რადგანაც იგი უზომოდ წყნარი იყო და გულკეთილი, ცოტას ლაპარაკობდა, ოღონდ ხანდასან თუ გაიცინებდა უაღრესად კომიკური გაცინებით, რაც ჩვენ ძალიან გვართობდა, რადგან ეს სიცილი უცოდველი იყო და მასში ბიწის მისხალიც არ ერია. ერთხელ წინამძღვარმა ლეონარდუსმა თქვა, პეტრეს ნათელი სიგიჟის ნისლში ჩაინთქა, ხოლო ეს სიგიჟე ახლა მის სულში დაბოგინებს ცხოვრების ირონიად გარდასახულიო. მაშინ ვერც ერთი ჩვენთაგანი ვერ მიხვდა, რისი თქმა უნდოდა ამ სიტყვებით გულმეცნიერ ლეონარდუსს, მაგრამ ის კი კარგად შევამჩნიეთ, რომ მორჩილი პეტრე მისი დიდი ხნის წინანდელი ნაცნობი უნდა ყოფილიყო.

ასე ჩავამატე ძმა მედარდუსის ცხოვრების ამსახველ ფურცლებს, თვითონ რომ არასოდეს წამიკითხავს, ზედმიწევნით ზუსტი გარემოებები მისი გარდაცვალებისა და ეს შევძელი არცთუ მცირე გარჯის შედეგად ad majorem dei gloriam[1]. მშვიდობა და საუკუნო სასუფეველი ნეტარხსენებულ ძმა მედარდუსს! დაე სიხარულისად მოგვევლინოს მისი აღდგომა მკვდრეთით ცათა მეუფისა წინაშე და უფალმა შერაცხოს იგი წმინდანთა თანა, რაკიღა დიდად ღვთისმოსავი იყო მისი აღსასრული.

---

1. უფლის მაღალსადიდებლად (ლათ.).

პირველი ნაბიჯები

ჩეზარე პავეზე

„თვითმკვლელები"

იტალიურიდან

თარგმნა ილია გასვიანმა

ჩეზარე პავეზე 1908 წელს დაიბადა სანტო სტეფანო ბელბოში. სწავლობდა და ცხოვრობდა ტურინში. იყო შესანიშნავი მცოდნე ამერიკული ლიტერატურისა.

პავეზე ტურინელ ანტიფაშისტთა ჯგუფის წევრი გახლდათ. ამის გამო 1935-1936 წლებში პოლიტიკურ გადასახლებაში მოხვდა კალაბრიაში. 1936 წელს გამოაქვეყნა ლექსების კრებული „Lavorare stanca" („ქანცგაწყვეტამდე მუშაობა"), რომელიც პოეტურად და კონცეფციურად უპირისპირდებოდა იმ დროის იტალიურ ლირიკაში გაბატონებულ ჰერმეტულ მიმდინარეობას. პავეზეს პირველსავე ლექსებში აისახა მისთვის, როგორც პოეტისა და პროზაიკოსისთვის, ყველაზე უფრო ახლობელი და ძირითადი თემები, კონცენტრირებული მეტწილად მარტოობასა და სიკვდილზე ფიქრის ირგვლივ.

1950 წელს ჩეზარე პავეზემ თავი მოიკლა ტურინის ერთ-ერთ სასტუმროში.

მთარგმნელისაგან

არის დღეები, როცა ქალაქი, სადაც მე ვცხოვრობ, თავისი გამვლელებით, მანქანებით, ხეებით — დილით -უცნაური, თითქოს ჩვეული, მაგრამ იმავდროულად ძნელად საცნობი იერით იღვიძებს, როგორც მაშინ, როცა სარკეში იყურები ხოლმე და შენს თავს ეკითხები: ეს ვინაა? მხოლოდ ეს დღეებია ჩემთვის წლის ყველაზე კარგი დღეები.

ასეთ დღეს მე სამუშაოდან ცოტა ადრე ვიპარები, როცა კი ვახერხებ, ქუჩაში გამოვდივარ და ბრბოს შევერევი ხოლმე. იმგვარი თავხედი როდი ვარ, ყოველ გამვლელს დაჟინებით შევაცქერდე, სწორედ ისე, რომელიმე გამვლელი მე რომ მიყურებს ან მგონია, რომ მიყურებს. ამ წუთებში თავს თამამ, სულ სხვა ადამიანად ვგრძნობ.

დარწმუნებული ვარ, უფრო ძვირფასი არც არაფერი მექნება ცხოვრებაში, თუ არა ალბათ ალმოჩენა, რომ ამგვარი მომენტების

სურვილისამებრ გამოწვევა შემიძლია. მათი გაგრძელების საშუალებაა (რასაც ზოგჯერ ვახერხებ ხოლმე) რომელიმე ახალ კაფეში — მომინულსა და ნათელ კაფეში — შესვლა და იქიდან ქუჩის ხმაურის, გაცხოველებული მოძრაობის, ფერების, ხმების და შიგნით გამეფებული სიწყნარის აღქმა, მთელ ამ ხმაურს რომ ანელებს.

სულ რამდენიმე წელიწადში უმწარესი იმედგაცრუებანი და სინანული დისის ქენჯნა განვიცადე, მაგრამ შემიძლია დავამტკიცო, რომ ჩემი ყველაზე გულწრფელი მოწოდება მხოლოდ ეს სიმშვიდე და სიწყნარეა. მე არ ვარ შექმნილი ქარიშხლებისა და ბრძოლისთვის: თუკი ზოგჯერ დილაობით ძალზე აღელვებული გამოვდივარ, რომ ქუჩები მოვიარო, და ჩემი ნაბიჯები გამომწვევად ისმის, ვიმეორებ, სხვას არაფერს ვთხოვ ცხოვრებას, თუ არა ამგვარი გასეირნების უფლებას.

მაგრამ ეს მოკრძალებული სიამოვნებაც ზოგჯერ გულნაკლულობის მწარე გრძნობას მიტოვებს. მარტო გუშინდელიდან კი არ შემიმჩნევია, თურმე რარიგ საჭიროა ეშმაკობა ცხოვრებაში — ეშმაკობა უწინარესად შენივე თავის მიმართ, ვიდრე სხვებთან ურთიერთობისას. მე მშურს იმათი, ვინც ახერხებს — ესენი უმეტესად ქალები არიან — ჩაიდინოს რაიმე ბოროტება, უკანონობა ან მხოლოდ კაპრიზი დაიკმაყოფილოს და საამისოდ წინასწარ ქმნის ისეთ გარემოებებს, მათ მოქმედებას რომ კანონიერად წარმოაჩენს მათივე საკუთარი სინდისის წინაშე. მე ბევრი ნაკლი არა მაქვს, თუკი რწმენის არქონის გამო ბრძოლაზე უარის თქმასა და განმარტოებული სიმშვიდის ძებნას დიდ ნაკლად არ ჩავთვლით. მაგრამ არც ის შემიძლია, საკუთარ თავს მოვერიო, როცა იმ მცირე რაღაცით ვტკბები, რაც ბუნებას ჩემთვის გაუმეტებია.

საბოლოო ჯამში ხდება ის, რომ სიარულისას ზოგჯერ ვჩერდები, ირგვლივ ვიყურები და საკუთარ თავს ვეკითხები, მაქვს თუ არა ამ სითამამით ტკბობის უფლება — განსაკუთრებით მაშინ, როცა ხშირად გავდივარ ხოლმე ქუჩაში. ოღონდაც ჩემს სამუშაოს არ ვპარავ დროს; საკუთარ თავსა და ჩემს ერთადერთ დისშვილს საკმაოდ კარგად ვინახავ. იგი პანსიონშია, რადგან მისი შინ გაჩერება არ სურს იმ მოხუც ქალს, დედაჩემი რომ ჰქვია. ჩემს თავს ვეკითხები, სასაცილო ხომ არა ვარ-მეთქი ამ ექსტაზური გასეირნების დროს, სასაცილო და საზიზღარი, რადგან ზოგჯერ მგონია, რომ სინამდვილეში ამას არ ვიმსახურებ.

ან კიდევ ის, რაც წინა დილას მოხდა. საკმარისია კაფეში შემთხვევით დავესწრო რაიმე უჩვეულო სცენას, თავიდანვე რომ შევყავარ შეცდომაში მოქმედი პირების ნორმალური იერით, რათა კვლავ გავხდე მარტოობისა (რომელსაც დანაშაულის გრძნობა ახლავს ხოლმე) და ამდენი გაუქარვებელი მოგონების მსხვერპლი, იმ მოგონებების, რომლებიც, რაც უფრო თანდათან გშორდებიან, მით უფრო მეტად იძენენ თავიანთი უძრავი სიცხოველით არასწორ და საშინელ მნიშვნელობებს.

ხუთი წუთი ვაკვირდებოდი ახალგაზრდა მოლარე ქალისა და ერთი კლიენტის მაიმუნობას. ამ უკანასკნელს ღია ფერის პალტო ეცვა და მეგობარი ახლდა. ახალგაზრდა კაცი იძახდა, მოლარეს ჩემი ხურდა

მართებსო ასლირიანი ბანკნოტიდან, სალაროს ავტომატს ხელებს ურტყამდა და მოითხოვდა ქალის პატრა ჩანთისა და ჯიბეების გაჩხრეკას.

— ქალიშვილო, კლიენტებს ასე არ ეპყრობიან, — ამბობდა და თან თვალს უკრავდა დარცხვენილ მეგობარს. მოლარე გოგო იცინოდა. ახალგაზრდა კაცმა ერთი მოგზაურობის ისტორია შეთხზა, იმ ასე ლირით ერთ-ერთი დღის სასტუმროს ლიფტის საშუალებით ერთად რომ განახორციელებდნენ. ამ თავშეკავებულ და უწყინარ ხუმრობებს შორის გადაწყვიტეს ფული ბანკში შეეტანათ — როცა კი ეს ფული ექნებოდათ.

— ნახვამდის, ქალიშვილო, — გამოსძახა მან ბოლოს გასვლისას, — ამაღამ ჩემზე იფიქრე.

მოლარე გოგომ, შეგულიანებულმა, ოფიციანტს სიცილით უთხრა: — რა ტიპია, არა?

იმ მოლარეს სხვა დროს არც ვაკვირდებოდი და ზოგჯერ ფიქრებში წასული ისე ვუღიმოდი, არც კი ვუყურებდი. მაგრამ ჩემი სიმშვიდე არაფრისგან შექმნილი და მერყეები გახლდათ. ისევ ჩვეული სინდისის ქენჯნა დამეუფლა.

ამქვეყნად ყველანი საძაგლები ვართ, მაგრამ არის ისეთი სისაძაგლე, რომ იღიმება და ღიმილსაც იწვევს, და არის ისეთიც, თავის გარშემო სიცარიელეს რომ ქმნის. ისე კი არც პირველი მათგანია ყველაზე სულელური.

ასეთ საათებში დილაობით ერთი ფიქრია, ყოველ ჯერზე განახლებული სახით უცებ რომ მეუფლება — სინამდვილეში დამნაშავე ჩემს ცხოვრებაში მხოლოდ ჩემი სისულელეა-მეთქი. სხვა ფიქრები კი ალბათ ძნელი აღსარიცხი იქნება, თანაც აქ საკუთარი თავის უსაფრთხოებას, მსხვერპლსა და თამაშს ექნება ადგილი — და ვეჭვობ, რომ ამგვარად გატარებულმა ცხოვრებამ დიდი კმაყოფილება მოგვანიჭოს. რაც შემეხება მე, სხვა არაფერი მიკეთებია, გარდა ტანჯვისა, ჩემს თავთან ჭიდილისა და ყოვლად გამოსადეგარი ეჭვების ქვეშ ყოფნისა, როცა ვინმესთან ურთიერთობას ვამყარებ ჩემთვის ჩვეული ერთგვარი სულელური შეუბრალებლობით, ამიტომ — აქ კაცი ვერაფერს გააწყობს — საკმარისია რამდენიმე წამით მარტოობით აღძრულ სინდისის ქენჯნას დავემორჩილო, რომ კვლავ კარლოტაზე ფიქრი დავიწყო.

ერთ წელზე მეტია, რაც კარლოტა აღარ არის. მე ახლა უკვე ყველა გზა ვიცი, როგორ და რა უნდა მოვიგონო, რათა მოულოდნელად გამომეცხადოს. ასევე შემიძლია სულიერი განწყობა შევიქმნა მისი გამოჩენის მოსამზადებლად და ძლიერ გავერთო. მაგრამ ეს ყოველთვის არ მინდა. იგივე სინდისის ქენჯნა ახლაც მიხატავს თვალწინ ქუჩის ბნელ კუთხეებს, ახალ ადგილებს, გულაჩქროლებული რომ ვაკვირდები, როგორც ამ ერთი წლის წინათ. მეტად არასწორი იყო ჩემი მხრიდან, მასთან რომ გულწრფელი ვიყავი. იმ შორეული დღეებიდან ყოველთვის მხოლოდ მისი მაცდური სახე წარმომიდგება ხოლმე დღესავით ცხადად.

კარლოტა გამოცანა სულაც არ გახლდათ, პირიქით, ერთ-ერთი იმ მეტად უბრალო და საწყალი ქალთაგანი იყო, ერთხანს რომ იმედი აქვთ

საკუთარი თავის ერთგულნი დარჩნენ, თუმცა კეკლუცური ფანდების მოსინჯვის შემდეგ საკუთარი თავის ერთგულებას ივიწყებენ და გამომწვევნი ხდებიან. მაგრამ მანამ, სანამ უბრალონი არიან, მათ ვერაფერ ამჩნევს. არასოდეს მესმოდა, როგორ ეგუებოდა მოლარეობას. მისგან მართლაც იდეალური მონაზონი გამოვიდოდა.

ჩემს გრძნობებს, ჩემს მაშინდელ ქცევას ღრმად დღესაც [illegible] დომივარ. რა უნდა ვთქვა, მაგალითად, იმ საღამოზე, როცა კარლოტამ ერთი ძველი ხავერდის კაბა ჩაიცვა, ჩემს მისვლას რომ ელოდა თავის პატარა ოროთახიან ბინაში, მე კი ვუთხარი, მერჩივნა-მეთქი საბანაო კოსტუმში მენახე. ეს იყო ერთ-ერთ იმ საღამოს, მის სანახავად რომ მივედი, თუმცა მისთვის ჯერ არც კი მეკოცნა.

კარლოტა მორცხვად გამეპრანჭა, გავიდა წინა ოთახში, ცოტა ხნის შემდეგ კი კვლავ გამომეცხადა — თვალებს ვერ დავუჯერე — საბანაო კოსტუმში გამოწყობილი. ეს ის საღამო იყო, როცა ვაკოცე და დივანზე დავაგდე. მაგრამ ყველაფრის დასრულების შემდეგ კი ვუთხარი, მარტო ყოფნა მინდა-მეთქი, წამოვედი და სამი დღე აღარ გამოვჩენილვარ მასთან, ხოლო როცა მივედი, უკვე თქვენობით მივმართე.

შემდეგ დაიწყო აბსურდული ამიკობის ხანა, რაც გამოიხატებოდა მისი მხრივ მღელვარე აღსარებებით და ჩემი მხრივ სიტყვაძუნწობით. როცა მოულოდნელად შენობით მივმართე, კარლოტამ ძალზე იტკიცა. მაშინ ვკითხე, ქმარს თუ შეურიგდი-მეთქი. კარლოტა უცებ დაღონდა და თქვა, ის არასოდეს მომქცევია ისე, როგორც თქვენ მექცევითო.

თავით გულში ჩავიკარი, მოვეფერე და ვუთხარი, რომ მიყვარს იგი.

ან რატომ არ შეიძლებოდა ჩემისთანა კაცს ჰყვარებოდა მარტოდ დარჩენილი ქალი? კარლოტამ სასოწარკვეთილი ხმით ჩუმად მითხრა, რომ პირველი წამიდანვე შეეუყვარდი, რომ მას უჩვეულო ადამიანად ვეჩვენებოდი, თუმცა უკვე ძალზე დავტანჯე კი იმ მცირე დროის განმავლობაში, რაც ერთმანეთი გავიცანით. თავადაც არ იცოდა, რატომ — მაგრამ ყველა მამაკაცი თურმე ასე ეპყრობოდა.

— ხან სითბო და ხან სიცივე სიყვარულს ახანგრძლივებს, უფრო მტკიცეს ხდის, — ჩავცინე მე თმაში.

კარლოტა ფერმკრთალი იყო, ოდნავ მოქანცული დიდრონი თვალები ჰქონდა. მის სხეულსაც მქრქალი ფერი ედო. იმ ღამეს სიბნელეში მკითხა, ხომ არ მივატოვებდი, თუ მისი სხეული არ მომეწონებოდა.

მაგრამ სიბრალული ამჯერადაც არ გამომიჩენია. შუაღამე იყო, როცა ისევ ჩავიცვი. მიზეზი არც კი მითქვამს, ისე ვუთხარი, მეჩქარება და უნდა წავიდე-მეთქი. კარლოტას ჩემთან ერთად უნდოდა წამოსვლა.

— არა, მე მარტო ყოფნა მიყვარს, — ვუთხარი, ვაკოცე და მარტო დავტოვე.

II

კარლოტა რომ გავიცანი, იმ დროს ერთ ისეთ განსაცდელში ვიყავ, საიდანაც თავის დაღწევა კინაღამ სიცოცხლის ფასად დამიჯდა. მწარე სიხარულს ვგრძნობდი, როცა ცარიელი ქუჩებით ვბრუნდებოდი იმ ად-

ამიანისაგან გამოქცეული, ვისაც ვუყვარდი. ახლა ღამეები და დღეები დამცირებულსა და გააფთრებულს უნდა გამეტარებინა ქალის ყინიანობის გამო.

დარწმუნებული ვარ, რომ არა ვნებას არ ძალუძს ხასიათი შეუცვალოს იმას, ვინც ამ ვნებას განიცდის. შეიძლება მოკვდე კიდეც, მაგრამ ამით ვერაფერს შეცვლი. სიამოვნება რომ გაგვლის, კვლავ პატიოსან კაცად იქცევი ან არამზადად, ოჯახის მამად თუ პატარა ბიჭად, იმისდა მიხედვით, ადრე ვინ იყავი, და კვლავ მიჰყვები ცხოვრების დინებას. ან კიდევ უკეთესი: კრიზისის დროს საკუთარ ნამდვილ ბუნებას ვხედავთ ხოლმე, რაც გვაძრწუნებს. ასეთ დროს ჩვენ გვეზიზღება ნორმალურ ადამიანად ყოფნა. სიკვდილიც კი შეიძლება ვინატროთ, იმდენად გვესასტიკება შეურაცხყოფა, ჩვენ რომ მოგვაყენეს. მაგრამ ყოველივე სხვებს კი არა, საკუთარ თავს უნდა დავაბრალოთ. მე დავალებულიც კი ვარ ამ ქალისაგან, თუკი ვჯერდები ასეთ უჩვეულო ყოფას, მე რომ ვეწევი — ასეთ უმიზნო ყოფას — რადგან არ ძალმიძს კავშირი დავამყარო ამ ქვეყანასთან. მე ხომ მოძულებული ვარ ახლობლებისგან — დედისგან, ვისაც ვერ ვიტან, და დისშვილისაგან, ვინც არ მიყვარს. მე ამ ქალისგან ყველაფრით ვარ დავალებული; ვითომ სხვა ქალთან უკეთესად ვიქნებოდი? სხვასთან, ვისაც შეეძლებოდა ჩემი დამცირება, როგორც ამას ჩემი ბუნება ითხოვდა?

ყოველ შემთხვევაში, მაშინ იმ საზიზღარმა ფიქრმა, რომ ქალი, ვისთანაც ვარ, შეიძლება დაუნდობელი ყოფილიყო, რაღაც სიმშვიდე მომანიჭა. ტანჯვის გარკვეულ საფეხურზე გარდაუვალი და თან ბუნებრივი გაუტკივრების საშუალებაა, როცა გვგონია — უსამართლოდ ვიტანჯებით-თქო. ეს, ჩვენი ყველაზე ეჭვიანი სურვილების თანახმად, სიცოცხლეს ეშხს აძლევს, გვიბრუნებს საკუთარი თავის ფასის შეგნებას საგანთა პირისპირ და სალბუნად გვეფინება. და როცა ეს შევიგრძენი, მომინდა კიდეც, რომ უსამართლობა, უმადურობა კიდევ უფრო სასტიკი ყოფილიყო. მახსოვს — იმ გრძელი დღეებისა და ნაღვლიანი საღამოების ხანს — როგორ ამიტანდა ხოლმე რაღაც იდუმალი გრძნობა, თითქოსდა სხვა სხივმოსილ სამყაროში ვიყავი, და გაოცებაც, რომ ეს ყველაფერი სინამდვილეში ხდებოდა, რომ ქალი სწორედ ქალი იყო, რომ მე — მე ვიყავი, რომ გაშმაგება, მღელვარება, ოხვრა-კვნესა, მოვლენები — ყველაფერი ცხადში ხდებოდა.

ჰოდა, მას შემდეგ, რაც უსამართლობის მსხვერპლი გავხდი, მე — როგორც ამქვეყნად ხდება ხოლმე — ამ უსამართლობას ვაწერდი არა ქალს, ვინც დამნაშავე იყო, არამედ სხვა ვიღაცას.

ღამით კარლოტას პატარა ბინიდან დაკმაყოფილებული, თან გაბრუებული გამოვდიოდი. მსიამოვნებდა მარტოდმარტო ხეტიალი, თავიდან ვიშორებდი ყოველგვარ საზრუნავზე ფიქრს და ვტკბებოდი იმ გრძელი ბულვარით, ბუნდოვნად მივდევდი ადრეული ახალგაზრდობის გრძნობებსა და ფიქრებს. ღამის უბრალოება — იყო მხოლოდ სიბნელე და ფარნები — ყოველთვის ნაზად მიღებდა კარს, ყველაზე აბსურდული და საამური ფანტაზიების სამყაროში შევყავდი. ამ ფანტაზიებს იგი თავისი კონტრასტით აფერადებდა, უფრო ფრთაგაშლილს ხდიდა. უფრო და უფრო იზრდებოდა კარლოტასადმი ჩემი ფარული ბოლმა მისი მორ-

ჩილების წყურვილის გამო, აღარ მბოჭავდა სიბრალული, რასაც მასთან ყოფნისას ვგრძნობდი.

მაგრამ მე უკვე ახალგაზრდა აღარ ვიყავი. კარლოტას რომ იოლად დავშორებოდი, მის სხეულსა და ალერსს ვაანალიზებდი, ვსწავლობდი. უბრალოდ მიმაჩნდა, რომ იგი — ქმარს დაშორებული, უშვილო, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქალი — ნამდვილად სცდებოდა, როცა ჩემში თავის ნუგეშს ეძიებდა. მაგრამ საწყალი მეტად უბრალო, უინტერესო საყვარელი იყო და იქნებ ამიტომაც უღალატა ქმარმა.

მახსოვს საღამო, კინოდან რომ ხელგაყრილნი ვბრუნდებოდით ნახევრად ჩაბნელებული ქუჩებით, კარლოტამ მითხრა:

— კმაყოფილი ვარ. კარგია შენთან ერთად კინოში სიარული.

— ქმართან ერთად თუ დადიოდი?

— ეჭვიანი ხარ? — გაეღიმა კარლოტას.

მე მხრები ავიჩეჩე:

— ეს არაფერს ცვლის.

— უბრალოდ დავიღალე, — თქვა კარლოტამ და მკლავზე მომეკრა. — ჯაჭვმა, ჩვენ რომ გვაკავშირებს, ცხოვრებას გვინგრევს და მაიძულებს პატივს ვცემდე სახელს, მხოლოდ ზიანი მომიტანა. ყოვლად უსარგებლოა ეს ყოველივე. უნდა გავიყაროთ, ბავშვები მაინც არა გვყავს.

იმ საღამოს მასთან ხანგრძლივმა ყოფნამ, თბილმა შეხებებმა და სიახლოვის სურვილმა გული ამიჩვილა.

— შენ რა, სინდისი გქენჯნის?

— ო, ძვირფასო, — მითხრა კარლოტამ, — რატომ არა ხარ ყოველთვის ისეთი კარგი, როგორიც ამ საღამოს? აბა დაფიქრდი, შემეძლო კი გაყრა?

არაფერი მითქვამს. ერთხელაც, გაყრაზე რომ მელაპარაკებოდა, გავცხარდი:

— ნეტავ ვიცოდე, შენზე კარგ დღეში ვინ არის? აკეთებ იმას, რაც გინდა, და ნიძლევს ვდებ, რომ ისიც ასევე იქცევა, თუკი მართალია, რომ გიღალატა.

— არასოდეს არაფერი არ მითხოვია, — მიპასუხა კარლოტამ და შემომხედა. — პირველი დღიდანვე ვმუშაობ. ახლა კი, როცა შენ მყავხარ, ეს შენს ღალატად მომეჩვენებოდა.

იმ საღამოს კინოში ლაპარაკი კოცნით შევაწყვეტინე. შემდეგ სადგურის კაფეში წავიყვანე და ორი ჭიქა ლიქიორი დავალევინე. გაორთქლილი მინების შუქზე შეყვარებულებივით ვისხედით კუთხეში. მეც დავლიე რამდენიმე ჭიქა და კარლოტას ხმამაღლა ვუთხარი:

— კარლოტა, მოდი ამაღამ პატარა ბიჭი გავაკეთოთ!

ვიღაცამ შემოგვხედა, რადგანაც მოცინარმა და სახეგაწითლებულმა კარლოტამ პირზე ხელი მომაფარა.

მე ენა არ გამიჩერებია. კარლოტა კი ფილმზე ლაპარაკობდა და სისულელეებს ამბობდა, მაგრამ ჟინიან სისულელეებს, ჩვენს ამბავს ფილმისას ადარებდა. მე ვსვამდი, რადგან ვიცოდი, ეს ერთადერთი საშუალება იყო კარლოტა მყვარებოდა.

გარეთ სიცივემ გამოგვაფხიზლა და შინ გავიქეცით. მასთან მთელი ღამე დავრჩი. დილით რომ გავიღვიძე, ვიგრძენი, გვერდით მეწვა თმაგაწეწილი, ნამძინარევი და ცდილობდა მომხვეოდა. ამჯერად ხელი არ მიკრავს მისთვის. ოღონდ ეგ იყო, ადგომისას თავი მტკიოდა. გამაღიზიანა იმ შეკავებულმა სიხარულმა, როგორითაც კარლოტა ყავას მიმზადებდა ღიღინით. შემდეგ ერთად უნდა გავსულიყავით, მაგრამ შვეიცრის ცოლი მოაგონდა და წინ მე გამომიშვა. კარს უკან კი მომეხვია და მაკოცა.

იმ დილიდან ყველაზე ცხოველად ქუჩაში მდგარი ხეების გაშეშებული ტოტები მაგონდება, ოთახის ფარდებს იქით შთამაგონებელნი რომ ჩანდნენ ნისლში. შინაგანმა სითბომ, ფიქრებმა და დილის მოლოდინმა სისხლი ამიჩქროლა. მინდოდა მხოლოდ მეცქირა ირგვლივ და მარტოს მომეწია, თან წარმომედგინა, რომ სულ სხვაგან გავიღვიძე და ჩემ გვერდით სულ სხვა ქალი იყო.

როცა მარტო ვრჩებოდი, საკუთარ თავს ვსაყვედურობდი იმ სინაზის გამო, ასეთ დროს კარლოტა რომ აღმიძრავდა ჩემდა უნებურად. გაშმაგებულ წუთებს ვატარებდი, როცა ჩემს სულში მიხდებოდა ფათური, რათა თავიდან მომეშორებინა ყველაზე უბადრუკი მოგონებაც კი ამ ქალზე, კვლავ იმედი მქონდა ჩემი თავდაჭერისა და სიმტკიცისა. ნათელი უნდა ყოფილიყო, რომ ერთმანეთი გვიყვარდა უსაქმურობის, ბიწიერებისა თუ ნებისმიერი მოტივის გამო, გარდა იმ ერთადერთისა, რაზედაც მას ილუზიების შექმნა უნდოდა. მაღიზიანებდა მისი სერიოზული და ბედნიერი მზერის გახსენება სიახლოვის შემდეგ, რისი დანახვაც მაშფოთებდა. უნდა ითქვას, რომ ის ერთადერთი, რაც მის თავს მომანატრებდა, ჩემთვის მას არასოდეს მოუცია.

— კარგი იქნება, თუკი ისეთს მიმიღებ, როგორიც ვარ, — ვუთხარი ერთხელ. — მაგრამ თავიდან ამოიგდე ჩემს ცხოვრებაში შემოჭრის სურვილი.

— არ გიყვარვარ? — წაიბუტბუტა კარლოტამ.

— სიყვარულის ის მცირეოდენი მარაგი, რაც გამაჩნდა, ახალგაზრდობაშივე შემომეხარჯა.

თუმცა კი ზოგჯერ დიახაც მაბრაზებდა ის ამბავი, რომ სირცხვილისა თუ მგრძნობიარობის გამო მაინც დავუშვი, რომ ცოტათი მიყვარდა.

კარლოტამ სცადა გაეღიმა.

— კარგი მეგობრები მაინც ხომ ვართ?

— მისმინე, — ვთქვი სერიოზულად. — ასეთი რაღაცეები მეზიზღება: ჩვენ ვართ კაცი და ქალი, მოწყენილობა რომ ეუფლებათ და მხოლოდ ლოგინში ერთობიან...

— მართალი ხარ! — წაილაპარაკა მან, როგორც ყოველთვის, ფრჩხილები ჩამასო მკლავში და სახე ჩამალა. — მიყვარხარ! მიყვახარ!

— ... ეს არის და ეს.

ერთი ასეთი საუბარიც კი საკმარისი იყო, რომ თავი უძლურად მეგრძნო და მთელი კვირები მოვრიდებოდი, ხოლო როცა კაფედან სამსახურში მირეკავდა, მეპასუხა, საქმეები მაქვს-მეთქი. თავიდან კარ-

ლოტამ აღშფოთება სცადა. მაშინ ერთი არცთუ ისე მხიარული საღამო გავატარებინე: დივანზე ცივად და უხმოდ ვიჯექი. აბაჟური მის მუხლებზე თეთრ შუქს აფრქვევდა. მკრთალ ჩრდილში მისი მზერის შეკავებულ მღელვარებას ვგრძნობდი.

ბოლოს მე თვითონ დავარღვიე ის აუტანელი სიჩუმე:

— მადლობა მითხარი, ქალბატონო, ასე ჯდომა ალბათ [illegible] ზე მეტად დაგამახსოვრდება.

კარლოტა არ განძრეულა.

— რატომ არ მომკლავ, ქალბატონო? თუკი ფიქრობ, რომ შენი ქალური ფანდებით ჩემთან ფონს გახვალ, დროს ამაოდ კარგავ. კაპრიზები მეც მეხერხება.

კარლოტა მძიმედ სუნთქავდა.

— ვერც საცურაო კოსტუმი გიშველის ამაღამ, — ვუთხარი ესეც.

კარლოტა მომვარდა. მისი შავი თმა თეთრ შუქზე ნასროლ საგანს ჰგავდა. ხელები წინ გავიშვირე. კარლოტა მუხლებზე მომეხვია ტირილით, ორჯერ თუ სამჯერ თავზე ხელი გადავუსვი და ავდექი.

— მეც უნდა მეტირა, კარლოტა, მაგრამ ვიცი, აზრი არა აქვს. ყველაფერი, რასაც ახლა განიცდი, მე უკვე განვიცადე. თავის მოკვლაც მინდოდა, მაგრამ გამბედაობა არ მეყო. სწორედ ესაა ბედის დაცინვა: ვინც ისე უძლურია, რომ თვითმკვლელობაზე ფიქრობს, მეტისმეტად სუსტია ამის გასაკეთებლად... აბა, კარგი, გეყოფა, კარლოტა.

— ასე ნუ მექცევი... — ბუტბუტებდა იგი.

— მე ასე არ გექცევი. მაგრამ ხომ იცი, მარტო ყოფნა მიყვარს. თუკი მარტოდ ყოფნის ნებას მომცემ, დავბრუნდები, სხვანაირად კი ერთმანეთს ვეღარ ვნახავთ. მისმინე, გინდა, რომ მიყვარდე?

კარლოტამ ტირილისგან დაუშნოებული სახე ასწია.

— ... მაშინ ნუღარ გიყვარვარ. სხვა გამოსავალი არაა. სხვანაირად არაფერი გამოვა.

ამგვარი სცენები კარლოტას მეტისმეტად აფორიაქებდა ხოლმე საიმისოდ, რომ ჩემი მიტოვება განეზრახა. და განა ეს სცენები არ ააშკარავებდნენ ჩვენს ხასიათთა არსებით მსგავსებას? კარლოტა შინაგანად მიამიტი — ძალზე მიამიტი — იყო და ამის გაგება არ შეეძლო, თუმცა რაღაცას კი უთუოდ გრძნობდა. ჰოდა, ისევ ცდილობდა საცოდავი ხუმრობებით ვეცდუნებინე, ზოგჯერ ამბობდა კიდეც: ასეთია ცხოვრება ან მე საცოდავიო.

მჯერა, მაშინ რომ საბოლოოდ ეკრა ხელი, ერთხანს დავიტანჯებოდი. მაგრამ კარლოტას არ შეეძლო ჩემთვის ხელი ეკრა. თუკი ზედიზედ ორი საღამო მასთან არ მივიდოდი, თვალებამოღამებული მხვდებოდა ხოლმე. და თუ ზოგჯერ სიყვარული ან სინაზე მომერეოდა, მისი კაფეს წინ ვჩერდებოდი და ვთხოვდი გარეთ გამოსულიყო. როცა ალანძული და დაბნეული წამოდგებოდა, უფრო ლამაზიც კი ჩანდა.

ჩემი გულისწყრომა კარლოტას არ აოცებდა; აკვირვებდა მხოლოდ შეზღუდვა და დამონება, რასაც ჩვენი სიახლოვე მკარნახობდა. ამ ქალის ყველაზე მცირე უფლებაც კი ჩემზე, რაკი არ მიყვარდა, შემზარავად მეჩვენებოდა. იყო დღეები, როცა მისადმი შენობით მიმართვაც

კი ზიზღს მგვრიდა, მამცირებდა. რას წარმოადგენდა ჩემთვის ეს ქალი, რომ ჩემთან სულ ხელგაყრილი ყოფილიყო და სულ ვერდით ვყოლოდი?

სამაგიეროდ ასე მეგონა, ხელახლა ვიბადები-მეთქი, ნაშუადღევის იმ საათებში, როცა სამუშაო დამთავრებული მქონდა, [illegible] ბინაში დღეს შემეძლო მევლო განათებულ ქუჩებში, მისგან [illegible], [illegible], ყველაფრისგან თავისუფალს, გულმოყირჭებულსა და ძველ ტკივილებდაამებულს. მინდოდა ისე მეცქირა, მეყნოსა, შემეგრძნო, როგორც ახალგაზრდობაში. ის ფიქრი, რომ კარლოტას ჩემი სიყვარულის გამო უნდა ეტანჯა, წარსულ ტკივილებს მიმსუბუქებდა, მათ ცოტა მაშორებდა, როგორც რაღაც სასაცილო ქვეყანას. ამ ქალისგან შორს მყოფს ჩემი თავი უფრო სავსე, უფრო გამოცდილი მეგონა. ის იყო ერთგვარი ღრუბელი, რომელიც მე მწმენდდა, მაკეთილშობილებდა. მასზე მე ხშირად ვფიქრობდი.

III

ზოგ საღამოს კი, როცა შეუსვენებლად ვლაპარაკობდი და თამაშში გართულ პატარა ბიჭად ვიქცეოდი, ჩემი გულისწყრომა მავიწყდებოდა.

— კარლოტა, — ვეუბნებოდი, — რა შეგრძნება აქვს ხოლმე ადამიანს, როცა შეყვარებულია? რამდენი ხანია, შეყვარებული აღარ ვყოფილვარ. მჯერა, რომ საბოლოო ჯამში ეს კარგია· თუ ყველაფერი კარგად მიდის, ტკბები ხოლმე, თუ ცუდად — იმედს არ კარგავ. ასე გგონია, დღევანდელი ცხოვრებით ცხოვრობ. როგორ ხდება ეს ყველაფერი, კარლოტა?

იგი გაიღიმებდა და თავს დააქნევდა.

— მერე და რამდენი ლამაზი ფიქრი უტრიალებთ ხოლმე თავში, კარლოტა! ის, ვინც გვიყვარს და ვისაც ამის გაგება არ უნდა, ჩვენსავით ბედნიერი არასდროს იქნება. ოღონდ კი სხვასთან არ დაწვეს და მასხრად არ აგვიგდოს, — ვამბობდი ღიმილით.

კარლოტა მოიღუშებოდა ხოლმე.

— კარგი რამაა სიყვარული, — ვასკვნიდი მე. — და ვერც ვერავინ გაექცევა მას.

კარლოტა ჩემს მსმენელთა ფუნქციას ასრულებდა. იმ საღამოებში საკუთარი თავის სახელით ვლაპარაკობდი. ეს ყველაზე ლამაზი მანერა გახლავთ ლაპარაკისა.

— არის სიყვარული და არის ღალატი. სიყვარულით ნამდვილად რომ დავტკბე, შიგ ღალატიც უნდა ერიოს. სწორედ ამას ვერ იგებენ ბიჭები. ქალებმა კი ეს უკეთ იცით· გიღალატია როდისმე ქმრისთვის?

წამოწითლებული კარლოტა ცდილობდა გაეღიმა.

— ჩვენ, ბიჭები, უფრო სულელები ვიყავით ხოლმე. პატიოსნად შეგვიყვარდებოდა ან მსახიობი ქალი ან მეგობარი გოგო და ჩვენს საუკეთესო ფიქრებს ვუძღვნიდით. მხოლოდ გვავიწყდებოდა ხოლმე ამ

ფიქრების მათთვის გამხელა. რამდენადაც ვიცი, არც ერთმა გოგომ ჩვენს ასაკში არ იცოდა, რომ სიყვარულს ეშმაკობაც ახლავს. ერთი შეხედვით შეუძლებელი ჩანს, მაგრამ ასეა. ბიჭები საროსკიპოებში დადიან და აქედან ასკვნიან, ქუჩის ქალები სხვანაირებიაო. შენ რას აკეთებდი თექვსმეტი წლის ასაკში, კარლოტა?

მაგრამ კარლოტა სხვა რამეზე ფიქრობდა. სანამ მიპასუხებდა, თვალებით მეუბნებოდა, ჩემი ხარო; მე კი გულს მირევდა ის სიმტკიცე, მისი მზერიდან რომ იფრქვეოდა.

— რას აკეთებდი, თექვსმეტისა რომ იყავ? — ვიმეორებდი თვალებდახრილი.

— არაფერს, — მპასუხობდა სერიოზულად. ვიცოდი, რასაც ფიქრობდა.

შემდეგ პატიებას მთხოვდა, ამბობდა, რა უბედური ვარო, აღიარებდა, ამის უფლება არ მაქვსო. მაგრამ ძველი გაცხარებაც კმაროდა.

— იცი, რომ სულელი ხარ? მე იმაზე ვფიქრობ, რომ ქმარი შენს ხელახლა დაბრუნებას შეეცდება, — ვეუბნებოდი და აღელვებული ვშორდებოდი.

მეორე დღეს სამსახურში მირეკავდა და მორცხვად მელაპარაკებოდა. მე მშრალად ვპასუხობდი. საღამოს ერთმანეთს ვხვდებოდით.

კარლოტას ძალზე ართობდა, როცა პანსიონში მყოფ ჩემს დისშვილზე ველაპარაკებოდი. არ სჯეროდა და თავს აქნევდა, როცა ვეუბნებოდი, მიჯობდა პანსიონში დედაჩემი მომეთავსებინა და მე ბავშვთან ერთად მეცხოვრა-მეთქი. მისი წარმოდგენით ჩვენ ორი ცალკე მყოფი არსება ვიყავით, რომლებიც თუმცა ბიძა და დისშვილი არიან, მაგრამ სინამდვილეში საიდუმლოებათა და წყენათა მთელი სამყარო გააჩნიათ, რომელიც მათ მთლიანად აკმაყოფილებთ.

იგი ჯიუტად მეკითხებოდა, შენი ქალიშვილი ხომ არ არისო.

— რა თქმა უნდა, თექვსმეტი წლის რომ ვიყავი, მაშინ დაიბადა. და რატომღაც ქერა მოევლინა ამ ქვეყანას, რომ ჩემთვის წყენა მოეყენებინა. როგორ იბადებიან ქერები? ჩემთვის ქერები მარტო ცხოველები არიან მაიმუნებსა ან ლომებივით. ქერა რომ ვიყო, ასე მეგონება, მუდამ მზეს ვეფიცხები-მეთქი.

— პატარაობისას მეც ქერა ვიყავი, — თქვა კარლოტამ.

— მე კი მელოტი.

ბოლო დროს კარლოტას წარსულისადმი მოსაწყენ ცნობისმოყვარეობას ვგრძნობდი. დროდადრო მავიწყდებოდა, თავიდან რასაც მიყვებოდა, და ისე ვუყურებდი ყოველივე ამას, როგორც ქრონიკას. თავის გასართობად და მის დასაბნევად ხანდახან უცნაურ, შეუბრალებელ კითხვებს ვაძლევდი და თვითონვე ვპასუხობდი. სინამდვილეში კი მხოლოდ ჩემს თავს ვუსმენდი.

მაგრამ კარლოტა მიმიხვდა.

— მომიყევი რამე, — მეუბნებოდა ხოლმე ზოგჯერ საღამოობით და მკლავზე მეკვროდა. იცოდა, ჩემს თავზე რომ მალაპარაკებდა, ეს ჩვენი მეგობრობის ერთადერთი წინაპირობა იყო.

— კარლოტა, ოდესმე თუ მითქვამს შენთვის, რომ ერთმა ადამიანმა ჩემ გამო თავი მოიკლა? — ვუთხარი ერთ საღამოს, სიცილითა და თან გაოცებით შემომხედა.

— ეს არც ისე სასაცილოა, — განვაგრძე მე. — ჩვენ ერთად მოვიკალით თავი — ის დაილუპა, მე არა. მაშინ ბავშვები ვიყავით.

უცნაური კია, გავიფიქრე მყისვე, რომ ეს არავინ მომიყოლია. ეტყობა, სწორედ კარლოტასთვის უნდა მომეყოლა.

— ერთი მეგობარი მყავდა, ლამაზი ქერა ბიჭი. ლომს ჰგავდა. თქვენ, გოგოებმა, ამგვარი მეგობრობა არ იცით. ამ ასაკში უკვე მეტად ეჭვიანები ხართ. სკოლაში ერთად დავდიოდით, მაგრამ საღამოობით მაინც ყოველთვის ვხვდებოდით ერთმანეთს. უწმაწურ რაღაცეებს ვიძახდით ხოლმე, როგორც ეს ბიჭებს შორის ხდება. ერთი ქალი გვიყვარდა: იგი ახლაც ცოცხალი უნდა იყოს. ის იყო ჩვენი პირველი სიყვარული, კარლოტა! საღამოებს სიყვარულსა და სიკვდილზე ლაპარაკში ვატარებდით. არც ერთი შეყვარებული არასოდეს ისე დარწმუნებული არ ყოფილა, მეგობარი გამიგებსო, როგორც ჩვენ ორნი. ჟანი — მას ჟანი ერქვა — ისეთი დიდი, ქედუხრელი სევდით იყო შეპყრობილი, ჩემი თავისა მრცხვენოდა. სწორედ მისგან მოდიოდა იმ საღამოების მთელი ჩვენი სევდა, როცა ნისლში ვსეირნობდით ხოლმე. ვერც კი წარმოგვედგინა, ასე ძლიერ თუ შეიძლებოდა ტანჯვა...

— შენც შეყვარებული იყავი?

— ძალზე ვწუხდი, რომ ჟანზე ნაკლებ განვიცდიდი სევდას. ბოლოს მივხვდი, რომ შეგვეძლო თავი მოგვეკლა, და ასეც ვუთხარი. ჟანს, როგორც ყოველთვის დიდი ფანტაზიის მქონეს, ნელ-ნელა თავში გაუჯდა ეს აზრი. ჩვენ მხოლოდ ერთი რევოლვერი გვქონდა. მის გამოსაცდელად ბორცვზე ავედით, რომ გაგვეგო, ხელში ხომ არ აგვიფეთქდებოდა. ჟანმა გაისროლა, იგი ყოველთვის გულადი იყო. მჯერა, იმ ლამაზმანზე რომ გული აეყარა, მეც უმალვე მას მივბაძავდი. ამის შემდეგ — ჩვენ შიშველ ბილიკზე ვიდექით, შუა ფერდობზე, ზამთარი იყო — სანამ მე გასროლის სიძლიერეზე ვფიქრობდი, ჟანმა ლულა პირში ჩაიდო და აი, ასე აკეთებენო, თქვა. რევოლვერმა იჭექა. ჟანმა იქვე დალია სული.

კარლოტა შეშინებული მიყურებდა.

— არ ვიცოდი, რა მექნა, და გავიქეცი, — ვთქვი ბოლოს.

იმ საღამოს კარლოტამ მკითხა:

— შენ მართლა გიყვარს ის ქალი?

— ის ქალი? მე ჟანი მიყვარდა, აკი გითხარი.

— და შენც გინდოდა თავი მოგეკლა?

— რა თქმა უნდა. და დიდი სისულელეც იქნებოდა. თუმცა დიდი სიმდაბლეც იყო, ეს რომ არ ვქენი. ზოგჯერ სინდისი მქენჯნის.

კარლოტას ეს ამბავი ხშირად ახსენდებოდა და ჟანზე ისე მელაპარაკებოდა, როგორც კარგ ნაცნობზე. ამაწერინებდა ხოლმე და მეკითხებოდა, მაშინ როგორი ვიყავი. მკითხა, რევოლვერი თუ შეინახეო.

— არ მოიკლა თავი! — მეუბნებოდა და თან დაკვირვებით შემომხედავდა. — არასოდეს დაგიპირებია თავის მოკვლა?

— ყოველთვის, როცა ვინმე შეყვარებულია, ამაზე აუცილებლად ფიქრობს.

კარლოტას არც კი გაუცინია.

— კიდევ ფიქრობ ამაზე?

— ჟანზე ვფიქრობ ხანდახან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

IV

შუადღისას გული მიწუხდა, რომ სამუშაოდან დაბრუნებისას კარლოტას კაფეს წინ უნდა ჩამევლო. ვიმალებოდი, რათა იძულებული არ ვყოფილიყავი შიგნით შევსულიყავი და ცოტათი მაინც გამეხარებინა იგი. შუადღისას, როგორც წესი, შინ არ ვბრუნდებოდი. ძალიან მომწონდა, ერთი საათი მარტო რომ ვიჯექი ერთ პატარა რესტორანში თვალებმოჭუტული და ვეწეოდი. იქიდან ვუყურებდი, სკამზე მჯდარი კარლოტა მექანიკურად როგორ ხევდა ტალონებს; თან თავს აქნევდა, თითქოს ნიშანს იძლევაო, ხან გაღიმებული და ხან მოღუშული კლიენტის გახუმრებაზე.

ის აქ დილის შვიდი საათიდან ნაშუადღევის ოთხ საათამდე იყო. ლურჯი სპეცტანსაცმელი ეცვა. თვეში 480 ლირას აძლევდნენ. კარლოტა კმაყოფილი იყო, ყველაფერს რომ ასწრებდა. იქვე სადილობდა — რძეს სვამდა პატარა ფინჯნით. მეუბნებოდა, სამუშაო არც ისე ძნელია, წინ და უკან სიარულისას კარის მოულოდნელი ჯახუნი რომ არაო. ზოგჯერ ისე მგონია, შიშველ ტვინში მირტყამენო.

მას აქეთ კაფეებში რომ შევდივარ, კარს ხელს უცებ არ ვუშვებ ხოლმე.

კარლოტა ცდილობდა აეწერა ჩემთვის ის პატარა სცენები, კლიენტებთან რომ ჰქონდა, მაგრამ ჩემნაირად არ გამოსდიოდა. ასევე ვერ ასერხებდა ჩემს გაბრაზებას თავისი გადაკრულებით იმ წინადადებების თაობაზე, რომელიმე მოხუცი რომ შესთავაზებდა ხოლმე.

— ალერედა შენც დათანხმდი, — ვეუბნებოდი მე. — მხოლოდ ისე, [illegible] მე არ გავიგო. დღეგამოშვებით მიიღე ხოლმე და მერე იმკურნალე.

კარლოტა სახეს დამანჭავდა.

შევატყვე, რამდენიმე დღე რაღაც აწუხებდა.

— ისევ შეყვარებული ვართ, კარლოტა? — ვკითხე ერთ საღამოს.

კარლოტა ნაცემი ძაღლივით შემომყურებდა. მე ისევ მეკარგებოდა მოთმინება. მაცოფებდა მისი გაბრწყინებული თვალების მზერა, როცა საღამოს პატარა ოთახის მკრთალ ჩრდილში ხელზე ხელს მიჭერდა. ყოველთვის მეშინოდა კარლოტასთან სიახლოვისა. გული მერეოდა, ნეტა თუ კიდევ ფიქრობს-მეთქი ამაზე.

ისევ უთქმელი და უხეში გავხდი. მაგრამ კარლოტა ჩემს გაცხარებას უწინდელი დამცირებული მღელვარებით აღარ ხვდებოდა. უძრავად მდგარი დაჟინებით შემომაჩერდებოდა. ზოგჯერაც ნაზად ცდილობდა აეშორებინა ჩემი ალერსი, როცა მის დაწყნარებას მოვინდომებდი.

ეს დიახაც არ მომწონდა. მას მოფერება სჭირდებოდა, რათა გვერდით მყოლოდა; მე კი ეს ზიზღსა მგვრიდა.

— თავი მტკივა, — მეტყოდა ხოლმე კარლოტა. — ოჰ, ის კარები! დღეს ჩვენ გულწრფელები ვართ. მომიყევი რამე.

როცა შევამჩნიე, რომ კარლოტა გულწრფელად ამბობდა, უბედური ვარო, და სინდისის ქენჯნას მიღრმავებდა, აღარ გავცბარებულვარ. უბრალოდ ვუღალატე. ეს იყო ერთ-ერთი იმ საღამოთაგანი, როცა საროსკიპოდან დაბრუნებული რომელიმე პატარა კაფეში ვჯდებოდი, რომ დამესვენა, უსიხარულოდ და სევდის გარეშე, ტვინდაცარიელებული. ვფიქრობდი, რომ მართალი ვიყავი. ან უნდა მიიღო სიყვარული ყველა თავის რისკთან ერთად ანდა მხოლოდ პროსტიტუცია არჩიო.

მეგონა, რომ კარლოტას მხრიდან ეს ყასიდი ეჭვიანობა იყო, ამაზე მეცინებოდა. მაგრამ იგი მეტად უბრალო და ალალი იყო იმისათვის, რომ თავისი ტანჯვით ესარგებლა. პირიქით, როგორც ხდება ხოლმე, ნამდვილი ტანჯვა ადამიანს აუშნოვებს. ვწუხდი, მაგრამ ვგრძნობდი, რომ უნდა მიმეტოვებინა.

კარლოტა ადრევე მიმიხვდა ამ ამბავს. ერთ საღამოს, როცა ლოგინში ვიწექით და მე ინსტინქტურად ვცდილობდი საუბრის აცილებას, უცებ ხელი მკრა და კედლისკენ გადაბრუნდა.

— რა მოგივიდა? — ვკითხე გაღიზიანებულმა.

— ხვალ რომ გავქრე, — მითხრა მან და უცებ მოტრიალდა, — ამას შენთვის რაიმე მნიშვნელობა ექნება?

— არ ვიცი, — წავიბუტბუტე.

— რომ გიღალატო?

— მთელი ცხოვრება ხომ ისედაც ღალატია.

— ქმართან რომ დავბრუნდე?

იგი სერიოზულად ამბობდა. მხრები ავიჩეჩე.

— მე ერთი საწყალი ქალი ვარ, — განაგრძო კარლოტამ. — და შენი ღალატი არ შემიძლია. ჩემი ქმარი ვნახე.

— როგორ?

— კაფეში მოვიდა.

— განა ის ამერიკაში არ გაიქცა?

— არ ვიცი, — მითხრა კარლოტამ. — მე ის კაფეში ვნახე.

ალბათ არ უნდოდა ჩემთვის ეთქვა, მაგრამ წამოსცდა, რომ მის ქმარს ქურქში ჩაცმული ქალბატონი ახლდა.

— არ დაელაპარაკეთ ერთმანეთს?

კარლოტა შეყოყმანდა.

— მეორე დღეს დაბრუნდა. მელაპარაკა და სახლამდე მომაცილა.

მართალი გითხრათ, უხერხულად ვიგრძენი თავი. წყნარად ვკითხე:

— აქ?

კარლოტა მთელი სხეულით მომეკრა.

— მაგრამ მე შენ მიყვარხარ, ძვირფასო! — წაიჩურჩულა. — არ იფიქრო, რომ...

— აქ მოვიდა?

— ისეთი არაფერია, ძვირფასო. თავის საქმეებზე მელაპარაკა. კვლავ რომ ვნახე, უფრო მეტად ვიგრძენი, თუ როგორ მიყვარხარ. მასთან არ დავბრუნდები, რომ მთხოვოს კიდეც.

— მაშ გთხოვა?

— არა. მაგრამ მითხრა, კვლავაც რომ მოესურვებინა ცოლის მოყვანა, ისევ მე შემირთავდა.

— შენ ის კიდევ ნახე?

— კაფეში დაბრუნდა იმასთან ერთად...

ეს იყო უკანასკნელი ღამე, რომელიც კარლოტასთან გავატარე. მის სხეულს არც გამოვმშვიდობებივარ, სინანულიც კი არ მიგრძვნია. შევწყვიტე მის სახლში მისვლა. მხოლოდ იმის ნება დავრთე, დაერეკა ხოლმე ჩემთვის და დროდადრო კაფეებში შემხვედროდა.

კარლოტა ჩვენს პაემნებზე ყოველთვის მოდიოდა. თვალებით მჭამდა, განშორებისას კი ხმა უთრთოდა.

— ის მეტად აღარ მინახავს, — წაიჩურჩულა ერთ საღამოს.

— შემცდარი ხარ, უნდა გეცადა მისი ისევ ხელში ჩაგდება, — ვუპასუხე მე.

მაღიზიანებდა ის ამბავი, რომ კარლოტას — და ეს უდავოდ ასე იყო — გული წყდებოდა თავის ქმარზე; მაღიზიანებდა, რომ ამ საუბრებით იმედოვნებდა თავის გვერდზე გამაჩერებდა. არადა, ეს ვნებისაგან დაცლილი სიყვარული არ ღირდა არც კარლოტას სინდისის ქენჯნად და არც ჩემს რისკად.

ერთ საღამოს ტელეფონით ვუთხარი, რომ მასთან მინდოდა მისვლა. კარი აღელვებულმა გამიღო. წინა ოთახში ფრთხილად მიმოვიხედე. კარლოტას ხავერდის კაბა ეცვა. მახსოვს, გაციებული იყო და ცხვირსახოცი წამდაუწუმ გაწითლებულ ცხვირთან მიჰქონდა.

უცებ ვიგრძენი, რომ იგი მიმიხვდა ყველაფერს. მორჩილი და უტკივი იყო, ჩემს წინადადებებზე მოკრძალებული მზერით მპასუხობდა და თან ცხვირსახოციდან მალულად მიყურებდა. მერე ფეხზე ადგა, მოშიახლოვდა და ტანით სახეზე მომეკრა. იძულებული გავხდი მეკოცნა.

— არ დავწვეთ? — მითხრა წყნარად, როგორც ყოველთვის.

მაღიზიანებდა და არ მსიამოვნებდა მისი სველი და წამოწითლებული სახე, მანამ ერთად ვიყავით. შუაღამისას საწოლიდან ჩამოვხტი და ჩაცმას შევუდექი. კარლოტამ შუქი აანთო და წამით შემომხედა, მერე ჩააქრო და მკითხა, მაინც მიდიხარო? დარცხვენილი, ნაბიჯარეული წავიდა.

მომდევნო დღეებში ტელეფონის ზარისა მეშინოდა, მაგრამ მას არ შევუწუხებივარ. მშვიდად ვიმუშავე რამდენიმე კვირა: ერთ საღამოს კი კვლავ შემიპყრო კარლოტას ნახვის სურვილმა, მაგრამ სირცხვილი დამეხმარა ჩემი თავისთვის მეძლია. თუმცა კი ვიცოდი, მის კარზე რომ დამერეკა, ბედნიერებას ვიგრძნობდი. ეს მუდამ მტკიცედ მწამდა.

და მაინც უკან არ დამიხევია. მეორე დღეს შუადღისას მისი კაფეს წინ გავიარე. სალაროსთან ერთი ქერა ქალი იჯდა. ვიფიქრე, ალბათ განრიგი შეეცვალა-მეთქი, მაგრამ არც საღამოთი მინახავს. ალბათ ავადაა ან ქმარმა წაიყვანა-თქო, ვიფიქრე. ეს აზრი არ მეამა.

მაგრამ ფეხები ამიკანკალდა, როცა მეკარე ქალმა, დაჟინებით და უზრდელად რომ შემომაცქერდა ორი ულმობელი თვალით, მითხრა, თურმე ის ერთი თვის წინ ეპოვათ მკვდარი თავის საწოლში. გაზი ღია ყოფილა.

შარლ ბოდლერი

ლექსები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფრანგულიდან

თარგმნა მერი ნებიერიძემ

შემოდგომის სიმღერა

მალე შეგვირევს გაყინული წყვდიადი, ვიცი...
გიჭირს უცქირო, წარსულ ზაფხულს როგორ
შორდები,
და უკვე მესმის სასიკვდილო დაცემის ბიძგი,
და უკვე ვხედავ, როგორ ტყდებათ ხეებს ტოტები.

ზამთრის სიცივე შემოაღწევს თვითნები ნდომით,
შიში და თრთოლა შეიცვლება ტანჯვა-წამებად,
და ვით მწუხრის მზე იმალება სევდით და ოხვრით,
ჩემი გულიდან სისხლისფერი ხორცი დარჩება...

ამიტომ მესმის ძირნაყარი ტოტების დარდი,
ეშაფოტებიც რომ დაიმსხვრნენ, მათი ხმა სხვაა,
ჩემი ოცნება დაღუპული კოშკია მაინც
და მოუღლელის დამარცხების სამძიმო ხმა აქვს.

ეს მოსაწყენი ხმაურობა ნანაა ჩემთვის,
ვიცი, გულდაგულ დალურსმავენ წასაღებ კუბოს,
რისთვის?... ხვალ ისევ შემოდგომა ზაფხულებს
შეცვლის
და ეს ხმაურის მისტერიაც წარსულზე უბნობს...

მხიარული გარდაცვალება

ლოკოკინებით დამძიმებულ გულმძიმე მიწას
ჩემივე ხელით ამოვჭრიდი ჩემთვის აკლდამას,
სად დრომოჭმულ ძვლებს თავის დროზე ჩავაწყობ
მშვიდად
და ზვიგენივით შევერევი ტალღებს წარმავალს.

მე მძულს ანდერძი, ამავე დროს მე მძულს
აკლდამა,
ადამის მოდგმავ! მე ვირჩევდი ყორნებს მოვუხმო,
ვიდრე მიტიროს მე სამყარომ ცრუმ და მუხთალმა
და ჩემს ბებერ ძვლებს საბოლოოდ ბოლო მოუღოს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნახავთ და ისმენთ, მაგრამ არა თვალით და ყურით,
მხიარულ სიკვდილს, თავისუფალ გარდაცვალებას,
როგორი ლხენით გაეყრება სიმყრალეს გული...

მსურს ჩემი წასვლა სამუდამოდ არ დაგრჩეთ
ხინჯად,
მაშ, თქვით! რა სტანჯავს ბებერ სხეულს სულისგან
დაცლილს
ცოცხალ მკვდრებს შორის უსულგულო ყოფნაზე
მეტად...

პეტერ როსეგერი (ავსტრია)

მამაჩემის პაპა ნაძვზე რომ იჯდა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გერმანულიდან

თარგმნა ნონა ფუხაშვილმა

(მამის ნაამბობიდან)

მამაჩემის კუთვნილ მინდვრებს დამრეცი ტყე ესაზღვრებოდა, ჩრდილოეთისაკენ მაღლობზე რომ გადაჭიმულიყო, იქიდან კი სხვა დიდ ტყეებს უერთდებოდა. მახსოვს, ჩემს ბავშვობაში სოჭისა და ლარიქსის წიწვოვან ხეებს მიღმა ამ ტყეში ერთი ნაძვი იდგა. მასზე თქმულება რამდენიმე ათასი წლის წინ თურქების შემოსევას, ნახევარმთვარესა და ამ ხის ქვეშ დაღვრილ უამრავი ქრისტიანის სისხლს უკავშირდებოდა.

მუდამ შიშს მგვრიდა ტრამალი მინდვრებიდან ამ ნაძვის დანახვა. ისეთი მაღალი იყო, მთელ ტყეს ზემოდან დაჰყურებდა. უჩვეულო სანახავი იყო მისი გრძელი, გამხმარი, გაფარჩხული და შემზარავი ტოტები. მხოლოდ ერთადერთ ტოტზე მრავლად მოჩანდა მუქმწვანე წიწვები, ზემოთ კი კენწერო ქარიშხალსა თუ ელვას ოდესღაც ისე მოუმტვრევია, მისი ნაკვალევიც კი არ ჩანდა.

მოთიბულ მინდორში საქონელს ან ცხვარს რომ ვაძოვებდი, შორიდან სიამოვნებით გავცქეროდი ხოლმე ნაძვს. მზეზე მოელვარე მომწვანო ტყეში ისე ლამაზი და ნათელი იყო, თითქოს ცის კაბადონზე დაუსატავთო, მოღრუბლულ დღეებში ან ავდარში კი ჩამუქდებოდა. ირგვლივ ყველა ხის ტოტს ქარიშხალი რომ ძლიერად არხევდა, ეს ნაძვი უმოძრაოდ, გარინდებული იდგა.

საქონელს ტყეში გზა თუ აერეოდა და მოსაძებნად წავიდოდი, ამ ნაძვისათვის უნდა ჩამევლო. შიშით მივიპარებოდი იქითკენ და ვფიქრობდი ნახევარმთვარეზე, ქრისტიანთა დაღვრილ სისხლსა თუ სხვა შემაძრწუნებელ ამბებზე, ამ ხესთან დაკავშირებით რომ ჰყვებოდნენ. გაოცებული ვიყავი მისი სიმაღლით. ხის ცალი მხარე გაშიშვლებული იყო და აქა-იქ დახეთქილი, ხოლო მეორე უხეში და დამსკდარი ქერქით დაფარული. ძირი კი ისეთი სქელი ჰქონდა, ორი კაცი მკლავებით ვერ შემოსწვდებოდა. მიწის ზემოთ ამოყრილი უზარმაზარი ფესვები ერთმანეთს ტოტებივით უძრავად გადახლართოდა.

ამ ხეს თურქების ნაძვს ან ჭალარა ნაძვს ეძახდნენ. იქაურ ჯიუტ და ამპარტავან ადამიანზე ამბობდნენ ხოლმე, ისე იქცევა, თითქოს თურქების ნაძვი მფარველობსო. დღესაც კი, როცა ხე უკვე დიდი ხნის გამხმარი და ტოტებჩამომტვრეულია, ამ სიტყვებს აქა-იქ ჯერ კიდევ იმეორებენ.

ზაფხულობით, მამაჩემის მუშები თავთავებით დახუნძლულ ყანას რომ მკიდნენ ხოლმე, მეც ვეხმარებოდი. კონები ერთ ადგილას მიმქონდა, იქ კი ზვინებად დგამდნენ და გასაშრობად ზემოდან რაღაცას აფარებდნენ. საქონლის მწყემსვის შემდეგ ყველაზე მეტად ეს საქმე მიყვარდა. მოხუცი მოჯამაგირე ხშირ-ხშირად მიყვიროდა, ბიჭო, კონები მარჯვედ წაიღე, ვინც ბევრს მოაგროვებს, გამდიდრდებაო. მაგრამ ამ დიდრებაზე კი არ ვფიქრობდი, აქეთ-იქით სირბილი მომწონდა. გავრბოდ-გამოვრბოდი კონებით, ვიდრე მამაჩემი არ გამიბრაზდა, სულელივით ნუ დარბიხარ, თავთავებს ფეხს ადგამ და სულ აფუჭებ, ნელა იარეო.

შებინდდა. ხალხი უკვე შუა ყანამდე გასულიყო და იქ მკიდა. მათ კარგა მანძილით ჩამოვრჩი. შემეშინდა და ავფორიაქდი. ხანდახან ისე მეჩვენებოდა, თითქოს თურქების ნაძვის ტოტები ძალზე ირხეოდა და ბნელ ცაზე გაურკვეველ ხაზებად ირთხმებოდა. არა, საშიში არაფერია-მეთქი, გავიფიქრე და აღარ მინდოდა იქით გახედვა, თუმცა თვალები ისევ და ისევ მისკენ მიმირბოდა.

მალე ისე ჩამობნელდა, რომ მკა შეუძლებელი გახდა. მუშებმა ცვრიანი ბალახით ცელები გაწმინდეს, მხიარული სიმღერით მომიახლოვდნენ და დარჩენილი კონები წამაღებინეს. ყველაფერს რომ მოვრჩით, მოჯამაგირეები და მოსამსახურე გოგოები შინ დაბრუნდნენ და საღამოს სამზადისს შეუდგნენ. მე და მამაჩემი ყანაში დავრჩით და კონები ზვინებად დავდგით. მერე მამამ ბოლო ზვინს თავზე გადააფარა და დარჩენილი ძნის კონები ფარდულში შეიტანა.

მიყვარდა ხოლმე, როცა მკის დროს ვაკვირდებოდი ცაზე უამრავ მოკაშკაშე ვარსკვლავს, მომწყდარ ვარსკვლავებსა თუ მოციმციმე ციცინათელებს, ნაპერწკლებივით ჩვენ ირგვლივ რომ ცეკვავდნენ, თითქოს ზვინები იწვიანო. ყურს ვუგდებდი ჭრიჭინების კროალს და ხელით ვეხებოდი საღამოს გრილ ცვარს, მზის ჩასვლის შემდეგ ბალახის ღეროებზე რომ დაფენილიყო და ქურთუკს მისველებდა. მამას ვეკითხებოდი, რაც მაინტერესებდა. იგი ჩვეული სიმშვიდით მიხსნიდა ყველაფერს და თავის აზრს გამოთქვამდა. თან მეუბნებოდა, მაინცდამაინც ნუ დამიჯერებ, რადგან დანამდვილებით არ ვიცი.

მამა ისეთი მხიარული, მოსიყვარულე და მშვიდი იყო ხოლმე ასეთ დღეებში, დიდი მზრუნველობით მაცმევდა ქურთუკს, არ შეგცივდესო. თუ ვეტყოდი, ქურთუკი შენც შეიკარი-მეთქი, ძალიან მცხელაო, მეუბნებოდა. ხშირად შემიმჩნევია, როგორ იღლებოდა ამ მძიმე სამუშაოთი, წამით ჩამოჯდებოდა თივის კონაზე და შუბლს იმშრალებდა. დიდი სნის მძიმე ავადმყოფობამაც ძლიერ დაასუსტა, მაგრამ არასოდეს არაფერს იმჩნევდა. არ ფიქრობდა საკუთარ თავზე, მხოლოდ დედაზე და ჩვენზე ზრუნავდა და უნდოდა გაელამაზებინა უბედური შემთხვევებით დანგრეული ჩვენი ეზო.

მკის დროს ხშირად ვლაპარაკობდით ჩვენს ეზოზე, როგორი მდიდარი და კოპწია იყო პაპაჩემის დროს და ასეთივე გახდებოდა, ჩვენ რომ გავიზრდებოდით, თუკი გულმოდგინედ მოვუვლიდით.

ხანდახან დაღამებამდე ვმკიდით. მამაჩემი სიამოვნებით მესაუბრებოდა საყვარელ ღმერთზე. მას სკოლაში არ უვლია და წერა-კითხვა

არ იცოდა. ამიტომ უფრო ხშირად მე ვუამბობდი, რაც წაკითხული ან გაგებული მქონდა. დიდი ინტერესით ვუყვებოდი, როგორ დაიბადა უფალი იესო ბაგაში, როგორ მოინახულეს მწყემსებმა და ბატკნებით, თხებითა და სხვა საგნებით დაასაჩუქრეს. მერე როგორ გაიზარდა და სასწაულებს ახდენდა. როგორ აწამეს იუდეველებმა და ჯვარზე გააკრეს. ისე სიამოვნებით ვუამბობდი სამყაროს შექმნაზე, პატრიარქებსა და წინასწარმეტყველებაზე, თითქოს მაშინ იქ ვყოფილიყავი, ასევე სამყაროს განადგურებაზე, განკითხვის დღესა და იმ სიხარულზე, საყვარელმა ღმერთმა ღარიბ და დატანჯულ ადამიანებს ცის სასუფეველში რომ მოუმზადა.

მამა ყოველთვის დიდი გულისყურით მისმენდა.

ხან თვითონ მიამბობდა ხოლმე თავისი ბებიისა და ბაბუის დროინდელ საინტერესო ამბებს, როგორ ცხოვრობდნენ, რა იცოდნენ, რა ხდებოდა იმ დროს მათ სოფელში.

— არასოდეს გიფიქრია იმაზე, რატომ კაშკაშებენ ვარსკვლავები ცაზე? — მკითხა ერთხელ მამამ.

— არა, — ვუპასუხე.

— ჩვენ არასოდეს ვფიქრობთ ამაზე, რადგან უკვე შევეჩვიეთ და აღარ გვიკვირს, — მითხრა.

— ალბათ დადგება ის დრო, როცა ცაზე არც ერთი ვარსკვლავი აღარ იკაშკაშებს, რადგან დაიწყება ვარსკვლავების ციდან ცვენა, — ვუთხარი მე.

— შვილო, ციდან ჩამოცვენილი ვარსკვლავები ადამიანთა ვარსკვლავებია. როცა დედამიწაზე ადამიანი კვდება, ციდან მისი ვარსკვლავი წყდება. შეხედე იმ ჭაღარა ნაძვს. სულ ახლახან მის უკან ერთი ჩამოვარდა.

ამ სიტყვების შემდეგ ერთხანს ჩავფიქრდი. მერე შევეკითხე, რატომ უწოდებენ იმ ველურად გაზრდილ ხეს ჭაღარა ნაძვს-მეთქი.

მამამ თავი ააგორა და, ზვინად რომ დადგა, მითხრა:

— შენ ხომ იცი, რომ მას თურქების ნაძვსაც უწოდებენ. ამბობენ, ერთმა დაუნდობელმა თურქმა თავისი ნამგალა მთვარე მასზე დაკიდაო. ჭაღარა კი იმიტომ ჰქვია, ტოტები და ხავსი ნაცრისფერი რომ აქვს. პაპაჩემსაც სწორედ ამ ხეზე ამოუვიდა პირველი ჭაღარა.

— პაპაშენს? ეს როგორ მოხდა? — ვკითხე.

— კიდევ ექვს ზვინს გადავხურავ და ამ საცარ ამბავს მოგიყვები, — თქვა. საქმეს რომ მორჩა, თხრობა დაიწყო: ეს ამბავი თურმე ოთხმოცი წლის წინ მოხდა, პაპაჩემმა ბებიაჩემი ცოლად რომ შეირთო. პაპა თავის დროზე ძალიან მდიდარი ლამაზი ახალგაზრდა იყო და შეეძლო სოფელში პატივცემული და დაფასებული გლეხის გოგოზე დაქორწინებულიყო. მაგრამ წესიერი და კეთილი ღარიბი გოგონა შეირთო, რომელიც ტყის ქოხში ცხოვრობდა. ორ კვირაში წმინდა მარიამის მიძინების დღესასწაულია. ჰოდა, სწორედ ამ დღეს წავიდა პაპაჩემი ხელის სათხოვნელად. შეიძლება მაშინ მკის დროც ყოფილიყო. ჯერ კარგად დაისვენა, რადგან ტყე უნდა გაევლო, ქოხამდე კი კარგა გრძელი გზა იყო. როგორც იქნა მივიდა. ქოხში მოხუცი მეტყევე დახვდა, ბები-

აჩემის მამა. იგი ფეხსაცმელებს უკერავდა ქვანახშირის მომპოვებლებსა და ხისმჭრელებს, ხან ხერხებსა და ცულებს ულესავდა და მტაცებელ ცხოველებს ხაფანგებს უგებდა, რადგან ტყეში უამრავი მგელი დაძრწოდა. მეტყევემ საქმე მიატოვა და პაპაჩემს უთხრა, იოსებ, თუ მართლა გინდა ჩემი კატერლის ცოლად შერთვა, ეს ჭკვიანური იქნებაო.

— სწორედ ამიტომაც მოვედი. თუ კატერლსაც მოვწონვარ და ჩვენი ქორწინება თქვენც გსურთ, ხვალვე წავალთ მოსამართლესა და მღვდელთან და ჩემს სახლ-კარს კატერლზეც გადავწერ, როგორც წესი და რიგიაო, უთხრა პაპამ. კატერლს უყვარდა პაპაჩემი და ცოლობაზე დათანხმდა. მერე უბრალო სადილი გაამზადეს. როგორც კი შებინდდა, ახალგაზრდა საქმრო შინისაკენ გაეშურა.

ტყის ქოხის წინ მაღალი ხეებით დაფარული მდელო გადაშლილიყო. გახარებული პაპა ტყის ბილიკს ქვემოთ დაუყვა. არ აშინებდა სიბნელე და ელვა, ზაფხულის ცხელი საღამოს შემდეგ რომ არცთუ ისე უჩვეულოა. უეცრად ტყიდან უცნაური ხმაური შემოესმა. გაიფიქრა, მგლები ხომ არ არიანო. ისინი ხშირად დაძრწოდნენ ხოლმე ხროვად ტყე-ტყე და ყმუოდნენ. უმალ ხელი წაავლო თავის კომბალა ჯოხს და ფეხს აუჩქარა. მერე ყოველივე ჩაწყნარდა. დროდადრო ისმოდა ღამურების წრიპინი და გაელვებისას მოჩანდა ჩაბნელებულ ხეებს შორის დაკლაკნილი ბილიკი. მერე ისევ მოესმა საშინელი ყმუილი, მაგრამ უფრო ახლოს, ვიდრე პირველად. როგორც შეეძლო ისე მირბოდა; აღარ ესმოდა ჩიტების ჭიკჭიკი, ესმოდა მხოლოდ შეუწყვეტელი და შემაძრწუნებელი ყმუილი, ფეხდაფეხ რომ მოსდევდა. ირგვლივ მიმოიხედა და ტოტებს უკან მოელვარე თვალები შეამჩნია. მალე დაინახა, თუ როგორ ყნოსავდნენ მხეცები იქაურობას და მას კვალში მისდევდნენ. იფიქრა, შეიძლება ხვალ მღვდელს ვერც კი შევხვდეო, და ფეხს აუჩქარა. როგორც იქნა თურქების ნაძვამდე მიაღწია. გაქცევა შეუძლებელი იყო. უეცრად მოისაზრა და გაბედული ნახტომით ტოტზე ჩამოეკიდა. აი მგლებიც მოადგნენ. პაპაჩემი ხეზე რომ შეამჩნიეს, ყნოსავდნენ ხეს და თათებით ფხოჭნიდნენ. პაპა ზემოთ აცოცდა და განიერ ტოტზე ჩამოეკიდა, აქ უფრო დაცული ვიქნებიო. ქვემოთ კი მგლების მთელი ხროვა ხეს გარშემორტყმოდა. ზაფხულში იშვიათად ხდებოდა ხოლმე, რომ მგლები ადამიანს თავს დასხმოდნენ; ალბათ რაღაცამ გააღიზიანა და აქეთ გამოდევნა ისინი. პაპაჩემი დიდხანს იჯდა ტოტზე, ფიქრობდა, მხეცები მომშორდებიან და დაიფანტებიანო, მაგრამ ამაოდ. უკუნი იდგა. სამხრეთით და აღმოსავლეთით ვარსკვლავები კაშკაშებდნენ, დასავლეთით კი ცა მოღრუბლულიყო და ელავდა. მაინც ისეთი სიმშვიდე სუფევდა, ტყეში ტოტი არ ირხეოდა. პაპაჩემი ალბათ მიხვდა, რომ მთელ ღამეს აქ გაატარებდა. იქნებ ვინმე იყოსო, გაიფიქრა და, მიშველეთო იყვირა; მაგრამ ნადირი არ დაფრთხა. ახლომახლო კაციშვილი არ ჭაჭანებდა, მეტყევის ქოხი კი შორს იყო. თურქების ნაძვის მომტვრეულ კენწეროს ქვემოთ, სადაც დღეს ხმელი ადგილია, მაშინ მწვანე წიწვების სქელი გვირგვინი იყო. თუ ღამის გატარება აქ მიწერია, ისევ გვირგვინქვეშ შევცოცდებიო, გაიფიქრა პაპაჩემმა, ზემოთ აცოცდა, ტოტებშუა მოექცა, ზედ მიეყრდნო და დამშვიდდა.

მგლებმა ყმუილი შეწყვიტეს. ცაზე ისევ იელვა, დასავლეთიდან ჭექა-ქუხილი მოისმა. დიდი ტოტი რომ მოვტეხო, ხმაური ავტეხო, ძირს ჩავიდე და ძლიერად მიმოვიქნიო, მგლებს ეგონებათ, ყორნებს გაურბისო, ფიქრობდა პაპაჩემი, მაგრამ ვერ გაბედა. ბევრჯერ სმენია, როგორ დაუგლეჯიათ ხოლმე მგლებს ადამიანები.

ჭექა-ქუხილმა იმატა, ყველა ვარსკვლავი გაქრა და ძლიერ ჩამოგნელდა. მხოლოდ ხის ძირში ელვარებდა ნადირთა ანთებული თვალები. გაელვებისას მთელი ტყე ნათდებოდა. მერე ღრუბლები ერთმანეთში აირია და კოკისპირული წვიმა წამოვიდა. საშინლად გაავდრდა. პაპაჩემს ქუდი ძირს ჩამოუვარდა, მგლებმა სულ დაფლითეს ქუდის ბეწვი. მერე ისევ გრგვინვა და გრიალი ატყდა.

ცოტა ხნის შემდეგ ღრუბლებსა თუ დედამიწაზე ყოველივე მიჩუმდა. ხის კენწეროზე ღამურამ გაიფარფატა. მალე ყინულივით ცივი გოგირდისფერი ქარიშხალი ამოვარდა. ტოტებში რაღაცამ გაიშრიალა. პაპაჩემი მთელი ძალით ეკვროდა ხეს. ისევ იელვა და იელვა. ყველა კენწერო ირხეოდა, იღუნებოდა, ტოტები ხმაურით ეხეთქებოდა ერთმანეთს, თითქოს ხეები იმტვრევიანო. მაგრამ ნაძვი ისევე უძრავად იდგა და მთელ ტყეს ზემოდან დაჰყურებდა. ქვემოთ მგლები ისევ დარბოდნენ და ყმუოდნენ. უეცრად ტოტებში რაღაცამ გამოიქროლა ნასროლი ქვასავით. მერე ისევ განათდა. თეთრი მრგვალი რაღაცა მიწაზე დაჯტა. ღამე ნისლმა მოიცვა. ქარი ქროდა, ზმუოდა და გრგვინავდა. ანაზდად უზარმაზარმა არსებამ ფართოდგაშლილი ფრთებით, გაელვებისას რომ საშინელ ჩრდილს ქმნიდა, ჰაერში გაიქროლა, ნაძვს მიეხეთქა და პირდაპირ პაპაჩემთან გვირგვინში შეფრინდა. ეს ქორი იყო, შვილო, ქორი, რომელსაც თურმე ბუდე ჰქონია ნაძვზე.

მამაჩემი ამას რომ მიამბობდა, ზვინს არც შეხებია. მანამდე ასე გულდასმით არასოდეს მისმენია ამ მშვიდი და მორიდებული კაცისთვის.

— იცი, მერე რა მოხდა? — განაგრძო მან. — უეცრად ძლიერ დაიგრუხუნა. მეხი ჩამოვარდა. ნაპერწკლები აქეთ-იქით გაიფანტა. მერე სეტყვა წამოვიდა. ხოშკაკალი ხეებს ეხეთქებოდა, მიწაზე ცვიოდა და ისევ ზემოთ ხტებოდა. როგორც კი სეტყვა ნაძვს მოხვდა, ყრუ ხმა გაისმა. უეცრად თვალისმომჭრელად იელვა და ჰაერში ცხელი ჰაერის ნაკადები დატრიალდა. ერთ სოჭს ცეცხლი წაეკიდა. თურქების ნაძვი კი, რომელზეც პაპაჩემი იჯდა, ცამდე ტოტებაზიდული ისევ ისე უძრავად იდგა.

ცეცხლმოკიდებული სოჭი ნაპერწკლებს აქეთ-იქით ისროდა. ცა წითლად აელვარდა. სეტყვის კაკლები დნებოდა. ბოლოს ქარიშხალი ძლიერმა ქარმა, ხოლო სეტყვა მსხვილმა წვიმამ შეცვალა.

მერე ჭექა-ქუხილმა სამხრეთისაკენ გადაინაცვლა. ელვა კი არა და არ წყდებოდა. ხის ძირში აღარ ისმოდა ყმუილი და აღარც მოელვარე თვალები ჩანდა. იქნებ მგლები ავდარმა დააფრთხოო, გაიფიქრა პაპაჩემმა, ტოტიდან ტოტზე გადავიდა და ძირს ისე ჩამოაღწია. მერე ტყისა და მინდვრების გადავლით მეტყევის ქოხისაკენ გაეშურა.

შუაღამე უკვე გადასული იყო, ქოხში რომ მივიდა. ოთახი ჩაბნელებული რომ დახვდა, გაოცდა, ასეთ ავდარში ხალხს მშვიდად როგორ

სძინავსო. მაგრამ თურმე არ ეძინათ, სანთლის შუქზე ისხდნენ, ფანჯრები კი ფიცრებით ამოევსოთ, რადგან სეტყვას ყველა მინა ჩაემსხვრია.

— მეტყევის ქოხს შეაფარე ხომ თავი, სეფ? — ჰკითხა ბებიაჩემის დედამ. არა, იქ არ ვყოფილვარო, უპასუხა მან.

მეორე დილას ტყეში დამწვარი სოჭის სურნელი იფრქვეოდა. ხეებს ისეთი ფერი დაჰკრავდათ, თითქოს იარებიდან სისხლი სდითო. ნასეტყვარზე სიარული ჭირდა, ჰაერი ცივი იყო. ქალთა დღესასწაულზე ეკლესიაში მიმავალ ხალხს გამხმარ ტოტებსა თუ ხავსქვეშ მკვდარი ჩიტები ხვდებოდათ. ჩამომტვრეულ კენწეროს ქვეშ კი მკვდარი მგელი ეგდო.

პაპაჩემი დაფიქრებული იჯდა.

— ღმერთო ჩემო, სეფ, უკვე ჭაღარა შეგრევია! — უთხრა გაოცებულმა კატერლმა.

მოგვიანებით მან ყველაფერი უამბო ხალხს. მას შემდეგ ხალხმა იმ ნაძვს, სადაც პაპაჩემმა მთელი ღამე გაატარა, ჭაღარა ნაძვი უწოდა.

ეს ამბავი მამაჩემმა მკის დროს მიამბო და მე მოგვიანებით ჩავიწერე. ვახშამზე შინ რომ დავბრუნდით, ნაძვს გავხედე. იგი ისევ ტყეს დაჰყურებდა. საღამოს ცაზე იგი მუქად მოჩანდა.

გავიდა ხანი. შემოდგომის ერთ ღამეს მამაჩემმა გამაღვიძა და მითხრა:

— თუ გინდა ნახო, როგორ იწვის ჭაღარა ნაძვი, სახლის წინ გადი!

ტყის გალმა უზარმაზარი ცეცხლი ენთო, კვამლი ვარსკვლავებიან ცას სწვდებოდა. მესმოდა ცეცხლის ტკაცუნი. მერე რამდენიმე ტოტი ძირს დაეცა. დილით რომ ავდექი, ტყეში შავი დამწვარი ხე დავინახე. ხის თავზე კი ძერა დაფრინავდა. ვერ მივხვდით, რამ დაწვა ნაძვი ასეთ მშვიდ ცხელ ღამეში. ეს დღესაც არ ვიცით: ამ ამბავზე ბევრს ლაპარაკობდნენ. რამდენიმე დღე შეჰყურებდა ხე ცას, მერე ნელა-ნელა ჩამოიმტვრა, ჩამოიშალა და ახლა აღარაფერი ჩანს. ძირს დაყრილ დამწვარ ტოტებზე კი, თანდათანობით მიწაში რომ ჩაიფლო და დალპა, ხავსი ამოიზარდა.

როცა გეგია შინ არ იყო

ამბობენ, მოწყენის ჟამს ზოგჯერ ხალისის მზე გამოანათებს ხოლმეო. თუმცა არც კი მაგონდება, როდის ვიყავი მოწყენილი.

ერთხელ უფროსები ეკლესიაში წავიდნენ და ჩემი საყვარელი ბებიაც, ყოველთვის რომ ჩვენთან რჩებოდა, თან წაიყვანეს. გზა მეტად გრძელი იყო, ამიტომაც პატარები შინ დაგვტოვეს. კარი ჩავრაზეთ და ფეხის ცერებზე დავდიოდით, რადგან ყაჩაღებისა და კაცის მკვლელებისა ძალიან გვეშინოდა. გისოსებიან ფანჯრებს მიღმა ტყე ცისფრად მოჩანდა, ირგვლივ წმინდა სამების მზის მშვიდი ნათელი იფრქვეოდა. მთელი ერთი საათი მარტონი ვიყავით, მაგრამ უჩვეულო არაფერი მო-

მხდარა. ამიტომაც ცოტა გავთამამდით. მალე მოგვშივდა კიდეც. ის იყო ჩვენს დას პლონელეს სადილი უნდა გაეკეთებინა, რომ უეცრად ბაღში მდგარი ფიცრული ქოხიდან ფხაკუნი მოგვესმა. შეშინებულები მაგრად ჩავეკარით ერთმანეთს.

— დედაო ღვთისავ, გეველრები გვიშველე! — ერეკლეზე ბდა პლონელე, — სახლში ნამდვილად ქურდი შემოიპარა.

მერე მოგვესმა მოთქმა და ყვირილი. მწყემსი ჰანზელის ხმა იყო, ღარიბი, მაგრამ გულადი ბიჭისა, მამამ რომ ამ რამდენიმე დღის წინ საქონლის მწყემსად აიყვანა. მას ნახირი მინდორში უნდა გაერეკა, ამიტომ საგზლის ჩანთა უკვე მხარზე ჰქონდა გადაკიდებული. ჰოდა, უეცრად ჩანთიდან პურის ბასრი დანა დააძრო და ფიცრულისაკენ დაიძრა. პლონელემ შეაჩერა, ღვთის გულისათვის დანა რად გინდა, ეს ხომ ძვირად დაგვიჯდებაო.

— თუ ყაჩაღია, დავჭრი! — შეჰყვირა ჰანზელმა, ჩემს დას ხელიდან დაუსხლტა და ქოხისაკენ გაექანა.

იქ შემაძრწუნებელი სურათი დაგვხვდა. რამდენიმე ბელურა ჟივჟივით უვლიდა გარშემო ფიცრულის შუაგულში მიწაზე მოფანტულ დაფლეთილ ბუდეს. ერთ გაუმაძღარ კატას წინა თათებითა და დრუნჩით საბრალო ბარტყი ბზის ბულულიდან გამოეთრია და აქეთ-იქით დაათრევდა. ჰანზელი კატას მივარდა და დანის ტარი ერთი მაგრად უთავაზა.

ყველანი მივცვივდით, ვეფერებოდით და ვეალერსებოდით უმწეო ფრინველს. არაფერია ამქვეყნად უფრო შესაბრალისი, ვიდრე შეუბუმბლავი ჩიტი. ბელურამ, როგორც იქნა, ნისკარტი გააღო. პლონელემ ზეთში შემწვარი ქადის ნამცეცი ჩაუდო, ჰანზელმა კი მარჯვედ აიყვანა ბარტყი ხელში და მასაც შეაჭამა ქადის ნამცეცი. ყველას ძალიან გაგვეხარდა. ამასობაში ძველი გალია მოვიტანე, ჩიტებისათვის რომ გვქონდა განკუთვნილი, და ბელურის შიგ ჩასმა დავაპირე. ჰანზელმა მიყვირა: „რა სულელი ბიჭი ხარ, გგონია, შიგ დიდხანს იცოცხლებს? აბა ერთი შენ თუ გაძლებ, უჭმელ-უსმელი და უდედოდ რომ ჩაგკეტონ ჩიტების გალიაში? არა, ასე არ გამოვა, ბარტყი თავის მშობლებს უნდა დავუბრუნოთ“.

მაგრამ სად უნდა ჩაგვესვა ბელურა? კატამ ხომ ბუდე სულ ნაკუწ-ნაკუწ უქცია. ჰანზელის სიტყვები გულზე მომხვდა, გალია უკან წავიღე და ჩემი ბალიში მივიტანე. ის კედლის ნახვრეტში შევაცურეთ, პლონელემ კი თითებით ჩააღრმავა შუა ადგილი და საბრალო ბარტყი შიგ ჩააწვინა. ის ნისკარტს ხან აღებდა და ხან ისევ ხურავდა, ქადას ველარ ჭამდა, პატარა მუცელიც უფეთქავდა და უძალოდ ჭყიპინებდა. ჰანზელის მითითებით ჩიტი მარტო დავტოვეთ იმ იმედით, რომ მშობლები მოუვიდოდნენ და თავიანთ პატარას მოუვლიდნენ.

მაგრამ შეშინებული მშობლები ჩიტს არ გაკარებიან, მხოლოდ სახურავის კუთხეებს უვლიდნენ გარს. დანამომარჯვებული ღონიერი ჰანზელი კატის მოსაძებნად თავლასა და ფარდულისაკენ გაიქცა.

რა აღარ გადავიტანე ამ დილას! აფორიაქებული შევიპარე ფიცრულში, ფეხის ცერებზე ავიწიე და კისერი წავიგრძელე, ბარტყი რომ

დამენახა. მაგრამ ამაოდ. საამისოდ ძალიან პატარა ვიყავი და ვერ მივწვდი. მერე მივაყურადე, თუმცა ვერც ჭყიპინი გავიგონე და ვერც სუნთქვა. ჩემმა ძმამ იაკერლმა მთხოვა, მხრებზე შეგადგები, ბარტყი რომ დავინახო და, რასაც დავინახავ, ყველაფერს მოგიყვებიო. ასეც მოვიქეცით, მაგრამ ხარაჩო მეტად სუსტი გამოდგა და ორივემ ძირს მოვყოლილნეთ ბრაგვანი. შუადღისას კი ჩვენი და დაღონებული მოვიდა ბეგიანა, საბრალო ბარტყმა უკვე სული დალიაო.

იქნებ რამე დაუშავდა ან შეშინდა-თქო, ვიფიქრეთ.

— ახლა შეგიძლია ორხელა მოიტანო, — მიბრძანა ჰანზელმა. ბარტყი ქათქათა მატყლისაგან გაკეთებულ პატარა ბუდეში ჩავაწვინეთ, როზმარინისა და ხიზილასაგან გვირგვინი დავუწანით და ორხელაზე დავდეთ. ვურჩიე, ჩიტს სანთელი ავუნთოთ, ისე როგორც ბებიას ცხედართან ენთო-მეთქი. მაგრამ ჩემმა დამ იდაყვი გამკრა, ეს ხომ დიდი ცოდვა იქნება, ბელურას ხომ სული არა აქვსო.

ჰოი, რა დაღონებული შევყურებდი ბელურას: შე საბრალოვ შენა, ახლა რომ სულიც აღარ გიდგას. ასე როგორ გაგიმეტა იმ დაუნდობელმა კატამ, რომ ცაშიაც კი ველარ მოხვდები. იქნებ მოწყალე ღმერთმა შენზე გამონაკლისი დაუშვას, რომ მწუხრზე მაინც მოგიხსენიონ-მეთქი.

შებინდებისას გაშეშებული ჩიტი მდინარე რაინთან ჩავიყვანეთ. ასკილის ბუჩქებთან ჰანზელმა ორმო ამოთხარა და თავზე გვირგვინდადგმული, ქათქათა მატყლში გახვეული ბარტყი შიგ ჩავასვენეთ. პატარა ხელებით მიწა რომ მივაყარეთ, დავინახეთ, რომ ერთი ბელურა სულ თავს დაგვტრიალებდა. გული გვეტკინა, პლონელემ რომ გვითხრა, ეს ალბათ მისი დედა იქნებაო.

მერე ჰანზელმა საიდანღაც დიდი ქვა მოათრია და საფლავს დაადო, კატას ბელურა რომ ვერ ეპოვა.

ჰანზელი დღესაც ცოცხალია. მას დიდი კარ-მიდამო აქვს და კარგი ადამიანია. იგი პლონელეზე დაქორწინდა, ბედნიერები არიან და კიდევ ერთ ბელურას უვლიან, მაშინდელზე უფრო მხიარულად.

პოლ ვერლენი

შემოდგომის სიმღერა

ერეკლეანული
ბიბლიოთეკა

ფრანგულიდან

თარგმნა ლიკა ბახტაძემ

ქვითინი, ვიოლინოს ჰანგივით გრძელი,
ამხელს შემოდგომის იდუმალ სათქმელს,
გულს მიპობს ერთფერობა არაფრის მთქმელი
და ჭრილობებში მაწურავს ნაღველს.

და ვგრძნობ, ნელ-ნელა როგორ ვფითრდები,
როს საათები გრგვინავენ სადღაც,
ვიგონებ წარსულ დღეებს და წამებს
და სინანულის ცრემლები მტალავს.

და კვლავ ქარების კვალდაკვალ წავალ,
ხან აქ, ხანაც იქ დარდითა ვლოთობ,
ქარი გამიკვლევს ჯანდაბის სავალს,
ვით შემოდგომის მომაკვდავ ფოთოლს.

კარსონ მაკალერსი

ბალადა სევდიანი კაფეს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ინგლისურიდან

თარგმნა ნინო მიძაძემ

ნაწყვეტი ასახავს პატარა დუქნის მფლობელ 30 წლის მარტოხელა მის ამელია ევანსის უილბლო ცხოვრებას. ის ცოლად გაჰყვა მოხდენილ, მაგრამ უზნეო კაცს მარვინ მეისის, ყველაზე უნამუსოს მთელ ქალაქში. მათი ქორწინება ნახევარ დღე გაგრძელდა, რის შემდეგაც მის ამელიამ ქმარი სახლიდან გააძევა და დაემუქრა, საპყრობილეში გამოგამწყვევ, თუ უკან დაბრუნებას შეეცდებიო. მარვინ მეისიმ ქალაქი დატოვა და დაიფიცა, რომ შურს იძიებდა. მის ამელიამ მთელი თავისი მზრუნველობა და სიყვარული თავის შორეულ ნათესავ, კუზენ ლაიმონზე გადაიტანა, პატარა და ამაყ კუზიანზე, მოულოდნელად რომ გამოჩნდა ქალაქში. ლაიმონი მის ამელიასთან დასახლდა და დუქანი კაფედ გადააქცია.. ეს გახდა ერთადერთი გასართობი ადგილი მრავალი მილის მანძილზე, სანამ მის ამელიას უარყოფილი ქმარი არ დაბრუნდა ქალაქში ხანგრძლივი პატიმრობის შემდეგ. მისმა თავგადასავლებით ალსავსე ცხოვრებამ ისე მოხიბლა ლაიმონი, რომ სულ კუდში დასდევდა. ბოლოს კუზენმა მარვინი მის ამელიას სახლში დაასახლა. მთელი ქალაქი მოწმე იყო, მის ამელია და მარვინ მეისი როგორ ულერებდნენ ერთმანეთს მუშტებს, და ყველას სწამდა ბრძოლის გარდაუვალობა.

ორთაბრძოლა ორ თებერვალს, ვირზაზუნას დღეს გაიმართა. ამინდიც ხელსაყრელი გამოდგა, — არც წვიმიანი, არც მზიანი, ზომიერად თბილი, თითქოს შერკინებისთვის საგანგებოდ დამდგარი. ათი საათისთვის ახალი ამბავი მთელ ოლქს მოედო. დილაადრიან მის ამელია მუშტების გავარჯიშებას შეუდგა. მარვინ მეისი ბოლო საფეხურზე ჩამომჯდარიყო, ღორის ქონის კონსერვი მუხლებს შუა მოექცია და დიდი მონდომებით იპოხავდა ტანს. გასისხლიანებულმა ქორმა ქალაქს გადაუფრინა და მის ამელიას კაფეს თავზე ირაო ორჯერ დაარტყა. მაგიდები ტერასაზე გაეტანათ, ასე რომ მთელი უზარმაზარი ოთახი ბრძოლისათვის მზად იყო. შერკინება გარდაუვალი გახლდათ. მის ამელიამ და მარვინ მეისიმაც ოთხი ულუფა ნახევრად უმი ბიფშტექსი მიირთვეს და ძალ-ღონის მოსაკრებად წამოწვნენ. მარვინ მეისი ზედა სართულის დიდ ოთახში ისვენებდა, მის ამელია კი ოფისში გრძელ სკამზე მოკალათებულიყო. სახეზე აშკარად ეტყობოდა, რარიგ აწუხებდა ასე უსაქმურად ყოფნა, მაგრამ მაინც თვალდასუჭული, გულხელდაკრეფილი, მკვდარივით გაშეშებული იწვა.

კუზენ ლაიმონისთვის ეს დღე მომქანცველი აღმოჩნდა. პატარა სახე მღელვარებისაგან დალმეჭოდა. ლაიმონი თავად შეუდგა საუზმის მზადებას და ვირზაზუნას საძებნელად გაემართა. ერთ საათში ნასაუზმევი დაბრუნდა და თქვა, რომ ვირზაზუნამ მისი ჩრდილი დაინახა, რაც ცუდ ამინდს მოასწავებდა. მოგვიანებით, როცა მის ამელია და მარვინ მეისი ისვენებდნენ, მარტოდმარტო დარჩენილ ლაიმონს აზრად მოუვი-

და ტერასის შეღებვა. სახლი წლების მანძილზე არ შეღებილა, თუმცა, ღმერთმა უწყის, ყოფილა კი ოდესმე შეღებილი?! ლაიმონი გადაბოხდა და ძალიან მალე ტერასის იატაკის ნახევარს ღია მწვანე ფერი მისცა. სამუშაო მეტად რთული გამოდგა, ისე რომ საღებავით სულმთლად ამოითხუპნა. იატაკის ღებვა არც კი დაემთავრებინა, — კედლებზე გადავიდა. ჯერ ის ნაწილი შეღება, სადამდეც ხელი მიწვდებოდა, შემდეგ ხის ყუთზე შედგა ერთი ფუტით ასამაღლებლად. როცა საღებავი გამოელია — იატაკის მარჯვენა მხარე ღია მწვანე აღმოჩნდა, ხოლო კედლის ნაწილი უსწორმასწოროდ შეღებილი — და მანაც საქმიანობა შეწყვიტა.

თავისი ნამოქმედარით ბავშვივით კმაყოფილი დარჩა, მაგრამ აქ ერთი გასაოცარი ფაქტი უნდა აღვნიშნოთ. ქალაქში არც ერთ სულიერს და არც მის ამელიას წარმოდგენა არ ჰქონდათ კუზიანის ასაკზე. ზოგი ამტკიცებდა, როცა ქალაქში ჩამოვიდა, დაახლოებით თორმეტი წლისა იქნებოდაო, ჯერ კიდევ ბავშვიო. სხვანი ირწმუნებოდნენ, ორმოცსაცაა გადაცილებულიო. ეს კია, ლაიმონის ლურჯ ბავშვურ თვალებში ლავანდისფერი კრეპის ჩრდილი ირეკლებოდა, რაც მის ასაკზე მიანიშნებდა. ძნელზე ძნელი იყო მისი ასაკის გამოცნობა კუზის გამოც, ვერც კბილებით დაადგენდით ამას — ყველა კბილი ადგილზე ჰქონდა ორის გარდა, თხილის მტვრევისას რომ ჩამომტვრეოდა. თანაც პირი ისე გამოტენოდა ბურნუთით, რომ შეუძლებელს ხდიდა კბილების მიხედვით ასაკის განსაზღვრას. როდესაც პირდაპირ ჰკითხავდნენ წლოვანებას, კუზიანი თავს იკატუნებდა, თითქოს წარმოდგენაც არ ჰქონდა, რამდენი ხანი დაჰყო ამ დედამიწაზე, — ათი თუ ამაზე მეტი. ასე რომ, მისი ასაკი გამოცანად რჩებოდა.

ლაიმონმა ღებვა შუადღისას ექვსის ნახევარზე დაასრულა. აცივდა და ჰაერშიც სინოტივე იგრძნობოდა. ქარი ფიჭვის ტყეებიდან უბერავდა, ფანჯრებს აზანზარებდა და ძველ გაზეთს დალმართზე მიაფრიალებდა, სანამ ის კუნელის ბუჩქს არ გამოედო. ხალხმა სოფლიდან იწყო მოსვლა გაჭედილი ავტომობილებით, საიდანაც ბავშვებს გამოეყოთ თავები, რის გამოც მანქანები ჯაგარაშლილნი გეგონებოდათ, და ოთხთვალებში შებმული ბებერი ჯორებით, ნაღვლიანი, დაძმარებული ღიმილით რომ იღიმებოდნენ და ნახევრადდახუჭული, დაღლილ-დაქანცული თვალებით მიჩანჩალებდნენ. სამი ახალგაზრდა ბიჭი სოსაიეთი სიტიდან მოვიდა. სამივე მათგანს ყვითელი ვისკოზის პერანგები ეცვათ, კეპები უკან მიეტრიალებინათ და ტყუპებს ჰგავდნენ. მათ ყოველთვის ნახავდით მამლების ძიძგილაობისას თუ ბანაკის შეკრებებზე. ექვს საათზე წისქვილის სასტვენმა დღის ცვლის დასასრული ამცნო. ამ დროისთვის ბრბოს თავმოყრაც დასრულდა. ბუნებრივია, რომ ახალმოსულთა შორის ბევრი უცხო თუ ვიგინდარა ერია, მაგრამ მიუხედავად ამისა შეკრება მშვიდად მიმდინარეობდა, ქალაქში სიჩუმე სუფევდა. ხალხის სახეები ბინდში უცნაურად გამოიყურებოდა. ჰაერი ნაზად ლივლივებდა. წამით ცას მკრთალი, გამჭვირვალე ყვითელი ფერი დაედო, რომლის ფონზე ეკლესიის გუმბათების მოხაზულობა მუქად ჩანდა. შემდეგ ცამ ნელ-ნელა დალია სული და ბინდი ღამედ იქცა.

შვიდიანი პოპულარული რიცხვია და განსაკუთრებით საყვარელი მის ამელიასათვის შვიდი ყლუპი წყალი სლოკინისას, შვიდი შემორბენა წისქვილის გარშემო კისრის კუნთის დაჭიმვისას, შვიდი დოზა მის ამელიას სასწაულმოქმედი წამლისა მუცლის ჭიის საწინააღმდეგოდ — ეს ყველაფერი თითქმის ყოველთვის დამოკიდებული იყო ამ რიცხვზე. შვიდი შერეულ შესაძლებლობათა რიცხვია და ყველა, ვისაც საიდუმლოებანი ხიბლავს, ამ რიცხვს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. აქედან გამომდინარე ბრძოლა შვიდ საათზე უნდა გამართულიყო. ეს ყველამ იცოდა, მაგრამ არა განცხადებით და სიტყვებით, არამედ იმიტომ, რომ ეს ისევე ბუნებრივი იყო, როგორც წვიმა ან ჭაობის მყრალი სუნი. ასე რომ, შვიდი საათისათვის ყველამ თავი მოიყარა მის ამელიას კაფესთან. ყველაზე ჭკვიანები კაფეში შეძვრნენ და ოთახის კედლებთან ჩამწკრივდნენ. სხვები წინა კართან შეგროვდნენ, ზოგმაც ეზოში დაიკავა ადგილი.

მის ამელია და მარვინ მეისი ჯერ არ გამოჩენილიყვნენ. მის ამელია ოფისის სკამზე შუადღის დასვენების შემდეგ ზევით ავიდა. როგორც ყოველთვის, ლაიმონი ქვემოთ იყო, გზას მიიკვლევდა ბრბოში, თითებს ნერვიულად ატკაცუნებდა და თვალებს ახამხამებდა. შვიდს რომ ერთი წუთი აკლდა, ლაიმონი, ვისაც უკვე გზა გაეკვლია კაფესკენ, დახლზე აძვრა. ირგვლივ სიჩუმე სუფევდა. ეტყობოდა, ყოველივე წინასწარ იყო დაგეგმილი, რადგანაც, როგორც კი საათმა შვიდი დარეკა, მის ამელია კიბის თავზე გამოჩნდა. ბრბომ მას გზა უხმოდ დაუთმო. ისინი აუჩქარებლად გაემართნენ ერთმანეთისკენ, მუშტებშეკრულნი, თვალებანთებულნი. მის ამელიას წითელი კაბის ნაცვლად ძველი კომბინიზონი ჩაეცვა, მუხლებამდე რომ ჰქონდა აკეცილი. ფეხშიშველს მარჯვენა მაჯაზე რკინის ზორტი ეკეთა. მარვინ მეისისაც ასევე აეკეცა შარვლის ტოტები — წელზევით შიშველი და კარგად გაპოხილი იყო. ფეხზე მძიმე ფეხსაცმელები ეცვა, ციხიდან გამოსვლისას რომ მისცეს. ჯმუხი მაკფეილი ბრბოს გამოეყო და შესამოწმებლად ჯიბეებზე მარჯვენა ხელისგული მოუსვა, რათა შემთხვევით დანა არ აღმოჩენოდათ. შემდეგ ისინი მარტო დარჩნენ განათებული კაფეს შუაგულში.

ნიშანი არავის მიუცია, მაგრამ ორივემ ერთდროულად შეუტია ერთმანეთს. ორივეს დარტყმა ნიკაპზე მოუხვდა, ისე, რომ მის ამელიას და მარვინ მეისისაც თავები უკან გადაუვარდათ და წონასწორობა დაკარგეს. პირველი დარტყმიდან რამდენიმე წუთი მოშიშვლებულ იატაკზე ლასლასებდნენ, მოხერხებულ პოზას ირჩევდნენ და მუშტებს იღერებდნენ. შემდეგ კი გარეული კატებივით ერთმანეთს ეძგერნენ. ისმოდა დარტყმების, ქოშინის და იატაკზე ბრაგუნის ყრუ ხმა, თან ისე სწრაფად მოქმედებდნენ, რომ ძალზე ძნელი იყო იმის გააზრება, თუ რა ხდებოდა. ჯერ მის ამელია გადავარდა უკან, წაბარბაცდა და თითქმის წაიქცა. შემდეგ მარვინ მეისი ბზრიალასავით დაატრიალა მხარზე დარტყამამ. ორთაბრძოლა გააფთრებით გრძელდებოდა, არც ერთ მხარეს არ ეტყობოდა დასუსტების ნიშანწყალი.

ასეთი ორთაბრძოლის დროს, როდესაც მოწინააღმდეგენი ისეთივე სწრაფნი და ძლიერნი არიან, როგორც ეს ორნი, ღირს, რომ ცოტა ხნით ბრძოლას ზურგი აქციო და მაყურებელს შეავლო თვალი. ხალხი კედელს

გაკვროდა. ჯმუხი მაკფეილი კუთხეში მოკუნტულიყო, მუშტები შეეკრა და თანაგრძნობის ნიშნად უცნაურ ხმებს გამოსცემდა. საცოდავ მერლი რაინს პირი ისე ფართოდ დაეღო, რომ შიგ ბუზი ბზუილით შეუფრინდა და, სანამ გონს მოეგებოდა, გადაყლაპა კიდეც. აი, ლაიმონის ნახვა კი ნამდვილად ღირდა. კუზიანი კვლავ დახლზე ავიდა და მაღლიდან გადმოჰყურებდა კაფეს. ხელები ბარძაყებზე შემოეწყო, ოდნავ თავი წინ წავარდნოდა, პატარა ფეხები ისე მოხროდა, რომ მუხლები წინ წამოშვეროდა, მღელვარებისაგან სახე გამონაყარს დაეფარა და უფერო პირი უკანკალებდა.

მხოლოდ ნახევარი საათის შემდეგ შეიცვალა ბრძოლის მიმართულება. ასობით დარტყმა მიაყენეს ერთმანეთს და მაინც ჩიხში იყვნენ მომწყვდეულნი. უეცრად მარვინ მეისიმ მოახერხა დაეჭირა მის ამელიას მარცხენა მკლავი და უკან გადაუგრიხა. ქალმა გაიბრძოლა. მარვინი ახლა წელზე შემოებღაუჭა. მაშინ კი დაიწყო ნამდვილი ბრძოლა. ჭიდაობა ბრძოლის ბუნებრივი სახეობაა ამ მხარეში, რადგანაც კრივი მეტისმეტად სწრაფია და ბევრ ფიქრს და კონცენტრაციას მოითხოვს. ახლა კი, როდესაც მის ამელია და მარვინ მეისი ჩიხში მომწყვდეულიყვნენ, ბრბო განცვიფრებისაგან გამოერკვა და წინ წამოიწია. მებრძოლები ერთმანეთს ჩაფრენოდნენ, ხან წინ, ხან უკან, ხან მარცხნივ, ხან მარჯვნივ იხრებოდნენ. მარვინ მეისი ჯერ არ გაოფლიანებულიყო, მის ამელიას კი კომბინიზონი სულ მთლად გალუმპოდა. ოფლი წვეთ-წვეთად ისე ჩამოსდიოდა, რომ იატაკზე სველ ნაფეხურებს ტოვებდა. როგორც იქნა გამოცდის დროც დადგა. ძალისხმევის ამ საშინელ წუთებში მის ამელიამ იმარჯვა. გაპოხილი მარვინ მეისი მზაკვრულად ჩაბღაუჭებოდა მის ამელიას. მაგრამ ეს უკანასკნელი უფრო ძლიერი აღმოჩნდა — თანდათანობით მარვინი უკან გადაიხარა და ნელ-ნელა ძირს გადააწვინა. ეს საშინელი სურათი იყო. მხოლოდ მათი ხრინწიანი ქშინვა ისმოდა კაფეში. ბოლოს და ბოლოს ამელიამ მარვინი ძირს დასცა. ქალმა ფეხები განზე გაჩაჩხა, ღონიერი დიდი ხელები კი ყელზე შემოუჭირა მარვინს. მაგრამ სწორედ იმ წუთს, როდესაც ორთაბრძოლა მოგებული იყო, კაფეში ყვირილი გაისმა, თუმცა რაც მას შემდეგ მოხდა, დღემდე საიდუმლოებით მოცული დარჩა. მთელი ქალაქი მოწმე იყო მომხდარი ამბის, მაგრამ იყვნენ ისეთნიც, საკუთარი თვალით ნანახში ეჭვი რომ ეპარებოდათ. მიუხედავად იმისა, რომ დახლი, რომელზეც ლაიმონი იდგა, სულ ცოტა თორმეტი ფუტით იყო დაშორებული კაფეს შუაგულს. სწორედ იმ წუთს, როდესაც მის ამელიამ ყელში წაუჭირა მარვინ მეისის, კუზიანი წინ გამოიჭრა, ჰაერი გააპო, თითქოსდა შევარდნის ფრთები გამოისხაო, დაეშვა მის ამელიას განიერ ზურგზე და კისერში ჩააფრინდა პატარა ბრჭყალებიანი თითებით.

ყოველი დანარჩენი ბნელით გახლავთ მოცული. მის ამელია მანამ დამარცხდა, სანამ ბრბო გონს მოეგებოდა. კუზიანის შემწეობით ბრძოლა მარვინ მეისიმ მოიგო. ისე რომ, ბოლოს და ბოლოს მის ამელია გაჭიმული იწვა იატაკზე და მკლავები განზე უმოძრაოდ გადაეშალა. მარვინ მეისი კი მის გვერდით იდგა თვალებდაჭყეტილი, მაგრამ ისევ ისე ცალყბად, უგერგილოდ მომღიმარე. რაც შეეხება კუზიანს, იგი უცებ

სადღაც გაქრა შესაძლოა იმან შეაშინა, რაც ჩაიდინა, ან იქნებ ისე აღაფრთოვანა, რომ მარტოს უნდოდა ეზეიმა. ყოველ შემთხვევაში იგი კაფედან გაიძურწა და უკანა კიბის ქვეშ შეძვრა. ვიღაცამ წყალი შეასხა მის ამელიას. ცოტა ხნის შემდეგ იგი ადგა და ოფისისკენ ბარბაცით გაემართა. ღია კარიდან ხალხი სედავდა, თუ როგორ დაჯდა [illegible] თავის მაგიდასთან, თავი ხელებში ჩარგო და სულისშემხუთველ [illegible] თინი ამოუშვა. მერე მარჯვენა მუშტი შეკრა და სამჯერ დაჰკრა ოფისის მაგიდის ზედაპირს, შემდეგ ულონოდ გაშალა ხელი და ასე ამოტრიალებული ედო. ჯმუხი მაკფაილი წამოდგა და კარი დახურა. ხალხში სიჩუმე სუფევდა, შემდეგ კი თანდათან თითო-თითოდ დატოვეს კაფე, ჯორები გააღვიძეს და აუშვეს, ავტომობილები მომართეს. სამი ბიჭი სოსაიეთი სიტიდან გზას ფეხით გაუყვა. ეს არ იყო შემდეგ განსახილველი ბრძოლა. ხალხი შინ წავიდა. ქალაქი სიბნელემ მოიცვა მის ამელიას სახლის გარდა, — იქ ყველა ოთახი მთელი ღამე განათებული იყო.

მარვინ მეისიმ და კუზიანმა ქალაქი ალბათ გათენებამდე ერთი საათით ადრე დატოვეს, ხოლო წასვლამდე აი რა მოიმოქმედეს:

გატეხეს ანტიკვარული ნივთების უჯრა და ყველაფერი წაიღეს.

დაამსხვრიეს მექანიკური პიანინო.

ამოჭრეს უწმაწური სიტყვები კაფეს მაგიდებზე.

იპოვეს საათი, უკან რომ იღებოდა ჩანჩქერის სურათის საჩვენებლად, და ისიც წაიღეს.

მოასხეს ერთი ბალონი სიროფი სამზარეულოს მთელ იატაკზე და დალეწეს კონსერვის ქილები.

შემდეგ ჭაობისკენ წავიდნენ და მთლიანად გაანადგურეს სახდელი მანქანა, დაამტვრიეს ახალი დიდი კონდენსატორი, მაცივარი და ქოხი ცეცხლს მისცეს.

ამოარჩიეს მის ამელიას საყვარელი კერძი შვრიის ცეხვილი სოსისთან ერთად, შეაზავეს იმდენი საწამლავით, მთელი ოლქისთვის რომ იქნებოდა საკმარისი, და თეფში მზაკვრულად დატოვეს კაფეს დახლზე.

ერთი სიტყვით, გაანადგურეს ყველაფერი, რისი განადგურებაც შეეძლოთ, არ შეჭრილან მხოლოდ იმ ოთახში, სადაც მის ამელიას ეძინა. შემდეგ ერთად დატოვეს იქაურობა.

ასე დარჩა მის ამელია სულ მარტო ქალაქში.

სამი წლის მანძილზე, ყოველ ღამით ჩამოჯდებოდა ხოლმე კიბის ქვედა საფეხურებზე, მდუმარედ გაჰყურებდა გზას და ელოდა, ელოდა, მაგრამ კუზიანი აღარ დაბრუნებულა. ხმები დადიოდა, მარვინ მეისი იყენებს მას ფანჯრებში შესაძრომად და გასაქურდავადო, იმასაც ამბობდნენ, მარვინ მეისიმ იგი გაყიდაო. მაგრამ ეს ხმები მერლი რაინისაგან მოდიოდა. არავინ იცოდა სიმართლე. მეოთხე წელიწადს მის ამელიამ დაიქირავა ხურო, შენობა შემოაფიცვრინა და მას შემდეგ ამ შემოფიცრულ სახლში ცხოვრობდა.

 კეტე ჰამბურგერი

გერმანულიდან

თარგმნა რუსუდან ღვინეფაძემ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მხატვრული სიტყვის ლოგიკა[1]

თხრობის ფუნქციის ლოგიკა

1–3 ტექსტები ტრადიციული ტერმინოლოგიის მიხედვით ობიექტური თხრობის მაგალითებად უნდა მიგვეღო: თხრობაში „მე-მთხრობელი" არ ერევა. სამივე ნაწყვეტში კონკრეტული სიტუაციაა აღწერილი: მოახლე, რომელიც ხელების ქნევითა და სტვენით გაფრენილი შევარდენის მობრუნებას ცდილობს; მარკიზა ფონ ო..., რომელსაც საკუთარი თავი ხელში აჰყავს, თავისუფლდება და თავის შვილებს კოცნის; კომერციული მრჩეველი ტრაიბელი და მისი მეუღლე, რომლებიც ერთმანეთის შემდეგ შედიან სამუშაო ოთახში, კომპანიონი ქალი კი ძაღლს ასეირნებს. თხრობის ეს სამივე სახე ყოველგვარი გადახვევის გარეშე უშუალოდ სიტუაციაზეა მიმართული. მაგრამ თუ ამის საფუძველზე მათ ობიექტურს ვუწოდებდით, ეს ტერმინი მაინც არაადექვატურად მოგვეჩვენებოდა. სახელდობრ, ვეღარ გავცემდით პასუხს კითხვაზე, არის თუ არა თხრობის ამ ხერხებიდან ერთ-ერთი დანარჩენებზე ობიექტური, ე. ი. არის თუ არა შესაბამისი სიტუაცია ერთში უფრო ობიექტურად, მეორეში კი ნაკლებ ობიექტურად აღწერილი.

თავდაპირველად შევადაროთ ერთმანეთს ბერგენგრუენის (1) და კლაისტის (2) ტექსტები. „მარკიზა ფონ ო..."-ს ნაწყვეტის ლექსიკა უფრო მეტად ამახვილებს ყურადღებას გრძნობებზე, ვიდრე „სამი შევარდენისა". უკანასკნელში გრძნობის გამომხატველი მხოლოდ ერთი სიტყვა — „შეშინებული" — აღნიშნავს მოახლის სულიერ მდგომარეობას, პირველში კი ასეთი ბევრი გვაქვს: ძალების ლამაზი დაძაბვა, მღელვარება, რომელიც მას მკერდს უპობდა, დიდი თვითკმაყოფილება, საკუთარი უდანაშაულობის შეგნების ძალა, დაბოლოს ძალების მოკრების მეტაფორული აღწერა: „უცებ წამოიმართა, როგორც საკუთარ ხელებზე, იმ სიღრმიდან, რომელშიც ბედისწერას ჩაეგდო". მაგრამ განა აქ მარკიზა ფონ ო... ნაკლებად ობიექტურადაა წარმოდგენილი, ვიდრე მოახლე ბერგენგრუენთან?

ამ კითხვაზე პირდაპირ არ გავცემთ პასუხს, არამედ პატარა ესქპერიმენტს მოვიშველიებთ, რადგან მხოლოდ ის იძლევა თხრობის აქ წარმოდგენილ მიმართებათა ზუსტი განსაზღვრის შესაძლებლობას. ერთი წუთით ჩავთვალოთ, რომ კლაისტის ნაწყვეტში სინამდვილის ამსახველ ამბავთან გვაქვს საქმე, რომელსაც მარკიზა ფონ ო...-ს ერთ-ერთი პერსონაჟი გადმოგვცემს. ზოგიერთი სიტყვა, არა ყველა, შეიძლებოდა აქაც განმეორებულიყო, როგორც, მაგ.: იგი წამოიმართა სიღრმიდან... როგორც კი ამას დავუშვებთ, ე. ი. კონტექსტს შევცვლით, მაშინვე შევნიშნავთ, რომ ახლა სულ სხვა მიმართება დამყარდა გამოხატვის ამ ხერხსა და გამონათქვამის საგანს, მარკიზას შორის, რომ მხოლოდ ახლა შეიძლება ლაპარაკი საერთოდ „მიმართებაზე" და გამოხატვის ხერხზე. დამყარდა მიმართება

---

1 გაგრძელება.

ამომთქმელსა და თვით ამბავს შორის, მასთან, საქმე გვაქვს ძალზე თანამგრძნობ გამომთქმელთან, რომელიც თავის თანაგრძნობას მარკიზას ბედის მიმართ იმ სიტყვებით გამოხატავს, საამისოდ ადექვატურად რომ მიაჩნია. და თუ ამავე ამბის შესახებ სხვა პირი, ვთქვათ, ასე იტყოდა: „მარკიზამ ძალები მოიკრიბა და კვლავ წელში გაიმართა", გამოთქმის ასეთ ხერხს სრულიად მართებულად პირველზე ობიექტურად, გამომთქმელის სუბიექტური თანაგრძნობით ნაკლებად შეფერილად ჩავთვლიდით. ხოლო თუ მასში კვლავ პირველ, რომანის ტექსტიდან ამოღებულ მონაკვეთს ჩავსვამთ, მიმართებათა სისტემა, რომელიც სინამდვილისეულ გამონათქვამში ჩამოყალიბდა, მაშინვე დაინგრევა. წინადადება: „წამოიმართა სიღრმიდან, რომელშიც იგი ბედისწერამ ჩააგდო" — ახლა აღარ გამოხატავს გამომთქმელის თანაგრძნობას, მეტად თუ ნაკლებად სუბიექტურ განსჯას (ან როგორც ჯ. ფრიდემანი ამბობს: შეფასებას). რადგან ეს საგნობრივი ვითარება უკვე განსჯის ობიექტი კი აღარ არის, არამედ ფიქციური, ახლა — და აქ — მიმდინარე ყოფა და ცხოვრება ფიქციური ცხოვრებაა, რომელიც, როგორც ილუზია, გამონათქვამის სუბიექტისაგან, განმსჯელისაგან ისევე დამოუკიდებლად მიმდინარეობს, როგორც ადამიანის რეალური ცხოვრება, როგორც ცხოვრება საერთოდ. ახლა ჩვენი ექსპერიმენტის მეორე ნაწილი შევასრულოთ და ამ მიზნით დავუშვათ, რომ ჩვენ მიერ შედგენილი წინადადება — „მარკიზამ ძალები მოიკრიბა და კვლავ წელში გაიმართა" — სინამდვილისეული გამონათქვამი კი არ არის, არამედ რომანის წინადადებაა. მაშინ ეს წინადადებაც გამომთქმელის მსჯელობა კი არ იქნებოდა, არამედ მარკიზას წამიერი მდგომარეობის წარმოდგენა. კლაისტთან მრავლად შევხვდებით სწორედ მსგავსს, „ამბური" ხასიათის თხრობის ფორმას: „ბატონი ფრიდრიპი ამ ამბავმა უაღრესად შეაშფოთა" (ორთაბრძოლა); „კოლჰაასი თავის გაპობილ გულში სწორედ ლაიფციგის გადაწვის ახალ გეგმას ამზადებდა" (მიჰაელ კოლჰაასი).

კლაისტის ამ ორ უკანასკნელ ნაწყვეტსა და „მარკიზა ფონ ო..."-ს ნაწყვეტს შორის გარკვეულ განსხვავებას ვიგრძნობთ. როგორ შეიძლება განისაზღვროს ეს განსხვავება? „ორთაბრძოლისა" და „კოლჰაასის" ნაწყვეტებთან, ისევე როგორც ბერგენგრუენის მაგალითთან დაკავშირებით, ენაზე მოგვადგება „თხრობის ობიექტური სახეობის" ცნება. მაგრამ განა შეგვიძლია მარკიზას სიტუაციის წარმოდგენას უფრო სუბიექტური ვუწოდოთ? როგორც კი ამ კითხვას დავსვამთ, მაშინვე აღმოვაჩენთ, რომ აღნიშვნა „ობიექტური თხრობა" ისევე ნაკლებ ადექვატურია, როგორც სუბიექტური — რადგან პირველი მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს მიზანშეწონილი, თუ მეორეც მიზანშეწონილია და პირიქით. განსხვავება იმაშია, რომ მარკიზა ამ ნაწყვეტში უფრო მის შინაგან მდგომარეობაში, მისი პირადული ცხოვრების მე-ორიგინობაშია აღწერილი, რაც განსაზღვრებითი ხასიათის ზედსართავებითა და შემასმენლებითაა გამოხატული. სხვა მაგალითებს თუმცა არ აკლია „ახლა-და-აქ" — მიმდინარე შინაგანი ცხოვრების გამომსახველობითობა, მაგრამ იგი შეზღუდულია გარემოებათა, ხდომილების, გარეგანი პროცესების წარმოსახვის ხარჯზე, ყველა მოცემულ შემთხვევაში დაყვანილია ამ ხდომილების მონაწილე პირების სულიერი მდგომარეობის დამახასიათებელ ერთ სიტყვაზე: უკიდურესი შეშფოთება, მის გაპობილ მკერდში, შეშინებული მსახური. მაგრამ როგორც „ორთაბრძოლაში", ასევე „კოლჰაასშიც" შევხვდებით ისეთ ადგილებს, სადაც სულიერი მდგომარეობის წარმოდგენას ერთგვარი უპირატესობა ენიჭება ამბის წარმოდგენასთან შედარებით, მაგ.: „როცა ფრაუ ლიტეგარდემ დაინახა, რომ ბატონ ფრიდრიპის დედა შემოვიდა, სავარძლიდან წამოდგა მისთვის დამახასიათებელი ღირსების გამო-

მეტყველებით, რომელიც მთელს მის არსებაში ჩაღვრილ ტკივილს კიდევ უფრო გულისამაჩუყებელი გაეხადა" (ორთაბრძოლა). და პირიქით, „მარკიზა ფონ ო..."-ში გვხვდება წმინდა ხდომილების აღწერები: „მოედანი მოკლე ხანში მთლიანად დაპყრობილი იყო და ძალაგამოცლილმა კომენდანტმა... პორტალისაკენ უკან დაიხია, როცა სწორედ იქიდან სახეანთებული რუსი ოფიცერი გამოვიდა..."

შემდგომი მაგალითები აღარაა საჭირო იმის ნათელსაყოფად, რომ ფიქციურ თხრობაში არც ერთსა და არც მეორე შემთხვევაში სუბიექტურ თუ ობიექტურ თხრობასთან არ გვაქვს საქმე. აქ ხომ მთხრობელსა და მონათხრობს შორის არ არსებობს სუბიექტისა და ობიექტის ურთიერთმიმართება, რელაცია (და ამდენად, არც კორელაცია). განსხვავება, რომელსაც ჩვენ შევიგრძნობთ, იმაში მდგომარეობს, რომ ერთ შემთხვევაში ფიქციური ფიგურები უფრო მათ გარეგან მოქმედებაში, მოვლენათა ნაკადის შუაგულში არიან აღწერილნი, მეორე შემთხვევაში კი — უფრო განცდაში, მათ შინაგან ყოფაში ჩაყურსულნი (ან აფორიაქებულნი). თხრობის ეს ორი ხერხი ერთსა და იმავე თხრობით ქმნილებაში ერთმანეთს ენაცვლება, დაახლოებით ისევე, როგორც გადმოცემა და დიალოგი ენაცვლებიან ერთმანეთს. შინაგანი ყოფის თვალსაჩინოდ წარმოსახვის სრულყოფა, რაც მე-19 საუკუნის მანძილზე მოხდა, თხრობითი მხატვრული შემოქმედების განვითარებასთანაა დაკავშირებული და მის ერთ-ერთ ფაზას წარმოადგენს. როგორც რომანის ფართო დიალოგიზაცია, ასევე განცდილი მეტყველების ფორმა — არა მარტო ცნობიერის, არამედ არაცნობიერი ნაკადის გადმოცემა (როგორც, მაგალითად, ჯოისთან) — წარმოადგენენ თხრობის ფორმებს, რომელთა მიზანიც სწორედ ესაა. მაგრამ ვერავინ ვერ დაიწყებს იმის მტკიცებას, რომ ლეოპოლდ ბლუმისა და შტეფან დედალუსის ცნობიერების ასოციაციები „ულისეში" უფრო სუბიექტურად, ან დრამატიზირების თეორიის თვალსაზრისით უფრო ობიექტურად იყოს მოთხრობილი, ვიდრე ბერგენგრუენისა და კლაისტის ნაველები. ყველა შემთხვევაში იქმნება [illegible] არე, მოქმედ პირთა და [illegible] ფიქციური სამყარო. და თხრობის სტილის შესაბამისი საშუალების გამოყენებისა და შეფასების საკითხში მხოლოდ ისაა გადამწყვეტი, უფრო „გარედან" არიან დანახული და წარმოდგენილი მოქმედი პირები, თუ უფრო „შიგნიდან". უფრო ობიექტებად არიან წარმოდგენილნი მოქმედების, გრძნობის, ფიქრის პროცესში თუ უფრო სუბიექტებად, რომლებიც, ასე ვთქვათ, „თვითონ წარმოგვიდგენენ თავს". თხრობის ამ ორ სახეობას შორის მრავალგვარი გარდამავალი მომენტია, როგორც ცალკეული ნაწარმოების ფარგლებში, ასევე ეპოქისა და მწერლის სტილის თვალსაზრისით; და ცხადია, წარმოსახვის ხერხები და სტილები თხრობის საგნითაც განისაზღვრება. თუ ჩახლართული იურიდიული შემთხვევის თხრობასთან გვაქვს საქმე, როგორც „სამ შევარდენში", წარმოსახვის ხერხი უნებურად გადმოცემას უახლოვდება, რომელიც „ობიექტური", ე. ი. აღსაწერი საგნიდან გამომდინარე სინამდვილისეული გადმოცემის შთაბეჭდილებას აღძრავს; მოქმედ პირთა წარმოდგენა ასეთ შემთხვევაში ნაკლებადაა მიმართული მათი სუბიექტური განცდის გამოხატვაზე. ჩანს მოვლენათა პრიორიტეტი მოქმედ პირებზე. მხატვრული თხრობითი შემოქმედების ეს შესაძლებლობა — თვალსაჩინოდ წარმოადგინოს მოვლენები გადმოცემის ფორმით, ერთ-ერთი და შეიძლება უმთავრესი მიზეზიცაა იმისა, რომ კატეგორიალური განსხვავება ისტორიულ და ფიქციურ თხრობას შორის ყურადღების მიღმაა დარჩენილი, ფიქციური „მთხრობელი" ისტორიული მთხრობელის, შესაბამისად გადმომცემის ანალოგიით, გამონათქვამის ნამდვილ სუბიექტადაა მიჩნეული და ამიტომ მხატვრული შემოქმედების ლოგიკური და ფენომენო-

ლოგიური მიმართებები გაუხსნელი რჩება. რადგან, თვით ყველაზე „ობიექტურ“, ე. ი. საგნობრივი ვითარების ამსახველ ფიქციურ თხრობასა და ცოცხალ, თვალსაჩინო ისტორიულ თხრობას შორის გადაულახავი ზღვარი ძევს, რომელიც ფიქციას სინამდვილისეული გამონათქვამისაგან ყოფს. ეს ზღვარი, რაც არ უნდა ტავტოლოგიურად ჟღერდეს, მხოლოდ მასალის „ფიქციონალიზაციით“ იქმნება, ე. ი. მოქმედი პირები აღწერილნი არიან, როგორც „ახლა და აქ“ მოქმედნი და ამდენად, საჭიროებისდა მიხედვით, „ახლა და აქ“ განმცდელნი, რასაც მაშინვე ფიქციის, არასინამდვილის განცდა უკავშირდება. ეს კი, როგორც უკვე დაწვრილებით განვიხილეთ დროის ფორმებთან დაკავშირებით, სწორედ თხრობის ფორმათა მეშვეობით ხდება, რომლებსაც სინამდვილისეულ გამონათქვამში ლოგიკურად ვერ შევხვდებით: შინაგანი პროცესების ზმნების, მონოლოგისა და განცდილი მეტყველების, ამას გარდა ისეთი ფორმების უხვი გამოყენებისა და დამუშავების მეშვეობით, რომლებსაც თუმცა შეიძლება შევხვდეთ სინამდვილისეულ გამონათქვამშიც (მაგ.: თვითმხილველის რეპორტაჟში), მაგრამ აქ მათი გამოყენება მაინც შეზღუდულია ისეთი ზღვრით, რომელსაც მუდამ გულისხმობს რეალური მე — ორიგოს, გამონათქვამის ნამდვილი სუბიექტის არსებობა: ესაა დიალოგი და სიტუაციური ზმნები.[43] მაგრამ თვით ყველაზე ძუნწი ფიქციონალიზაციაც კი, რომელიც ნაკლებად ახდენს ფიქციურ პირთა მე — ორიგინობის გათვალსაჩინოებას, ტოვებს სინამდვილისეული გამონათქვამის სფეროს, რითაც მთხრობელს მაშინვე ფუნქციად აქცევს და მესა და მონათხრობს შორის, ნაცვლად პოლარულ-რელაციური მიმართებისა, ფუნქციურ დამოკიდებულებას ამყარებს, რომლის მიმართ სუბიექტურ-ობიექტურის ცნებებს ვეღარ გამოვიყენებთ.

„სუბიექტურობის თეორიის“ პოზიციებიდან შეიძლება შემოგვედავონ, რომ ჩვენი მსჯელობა ჩვენს მიერ გაანალიზებულ (1–3) თხრობის ხერხებზე [illegible] მიმართული, არამედ მხოლოდ [illegible] ჟან პოლისეული მაგალითის ტიპზე, სადაც მთხრობელი „მე“ და „ჩვენ“ ნაცვალსახელებით, მკითხველისადმი მიმართვებით და სხვ. თითქოს ხელშესახებად ჩანს; ან თხრობის მკვეთრად რეფლექტორულ სახეობაზე. ეს კი ერთ-ერთი ისეთი მომენტია, როცა შესაძლებლობა გვეძლევა მივუთითოთ, თუ რა ნაყოფიერი შეიძლება იყოს და უნდა იყოს მხატვრული შემოქმედების ლოგიკაზე დაკვირვების მეთოდი მხატვრული შემოქმედების ესთეტიკის პრობლემებზე მსჯელობისას. როგორც ზემოთ, ტემპორალურ საკითხებთან დაკავშირებით, აქაც შეგვიძლია (და კიდევ უფრო პრინციპულადაც) ახალი ლინგვისტიკის მეთოდებს დავეყრდნოთ. მხატვრული შემოქმედების ლოგიკა შეესაბამება „ზოგად გრამატიკას“ (როგორც იგი განავითარეს დე სოსიურმა, მარტიმ, ელმსლევმა, ესპერსენმა და სხვებმა), რამდენადაც იგი ცდილობს გამოავლინოს ზოგადსტრუქტურული კანონები და ფორმები, რომელთა მეშვეობით ცხადი ხდება, რომ თითქოსდა შეუსაბამო მოვლენები მხოლოდ ერთიდაიგივე სტრუქტურის სხვადასხვა მოდიფიკაციებს წარმოადგენენ. ამასთან, ჩემის აზრით, მხატვრული შემოქმედების ლოგიკა უფრო ხელსაყრელ მდგო-

---

43. სიტუაციური ზმნების ფიქციონალიზაციის ფუნქციისა და გამოყენების საკითხისათვის იხ. ჩემი სტატია: მხატვრული შემოქმედების ზედროულობა (DVYS, 29, № 3). აქ მხოლოდ იმაზე მივუთითებთ, რომ თუმცა სიტუაციური ზმნები ფიქციონალიზაციის ყველაზე მდიდარ და ბუნებრივ საშუალებებს ეკუთვნიან, ლოგიკურად არ წარმოადგენენ ეპიკური ფიქციის შემქმნელ გადამწყვეტ კრიტერიუმს, რადგან მათი გამოყენება შესაძლებელია სინამდვილის ამსახველ ყოველგვარ გადმოცემაში, უპირველეს ყოვლისა, თვითმხილველის გადმოცემაში.

მარეობაშია, ვიდრე გრამატიკის ლოგიკა, მხატვრული შემოქმედების ნაწარმოებები უკვე დახურული სტრუქტურების სახით არსებობენ. და თითქმის უთვალავი ენის არსებობის პირობებში მხატვრული შემოქმედების ცალკეულ ნაწარმოებთა მთელი სიმრავლე სამად-სამ განსხვავებულ სტრუქტურულ ფორმაზე დაიყვანება და ყოველი არა თუ არსებული, არამედ დასაშვები ნაწარმოები ერთ-ერთ მათგანს ესადაგება. და ეს სამი სტრუქტურული ფორმა: ეპოსი, დრამა და ლირიკა — ორზეც რომ დავიყვანოთ, ესეც მხატვრული შემოქმედების ზოგადი ლოგიკის მეთოდის გამოვლინება იქნება, რომელიც შემოქმედების ყველაზე კერძო ფორმათა კვლევაშიც უნდა იქნეს შენარჩუნებული, თუ საერთოდ შესაძლებელია მხატვრული შემოქმედების სისტემური ხასიათის გამოვლენა.

ჩვენს პრობლემასთან დაკავშირებით ეს ნიშნავს, რომ თხრობის ისეთი ხერხების მოჩვენებითი სუბიექტურობაც, როგორიცაა ჟან პოლის, შტერნის, ფილდინგის და აგრეთვე სხვა არა ჰუმორისტული მთხრობელებისა, ფიქციური თხრობის ლოგიკის თვალსაზრისით უნდა გაქარწყლდეს და სხვა მოვლენად წარმოჩნდეს. თუ ასე არ მოხდება, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ ჩვენი მტკიცება ფიქციური თხრობის ფუნქციური ხასიათის შესახებ არათანმიმდევრული და გამოუსადეგარია. ხოლო თუ ეს მოხდა (რისი ჩვენების იმედიც გვაქვს), ეპიკური თხრობის ფუნქციური ხასიათი და მისი განსაკუთრებული სტრუქტურა მით უფრო ნათლად და, ამავე დროს, მთელი თავისი მრავალფეროვნებით გამოიკვეთება.

დავიწყოთ ჩვენი მე-5 მაგალითით, — ნაწყვეტით ჟან პოლის რომანიდან „კომეტა". ტრადიციული ტერმინოლოგიის მიხედვით ეს ტექსტი თხრობის სუბიექტური სტილის ტიპიური მაგალითია, რადგან „მთხრობელი-მე" და ასე განსაჯეთ, „ავტორი—მეც" თხრობაში ერევა და ამით „ობიექტურის სუბიექტივირებას ახდენს". ახლა მაგალითი 5 მაგალით 4-ს შევადაროთ — ნაწყვეტს იგივე რომანიდან. ერთი ნაწარმოებიდან განზრახ შევარჩიეთ ორი ისეთი ნაწყვეტი, რომელთაგან ერთში მთხრობელი-მე [illegible] ერევა (ე. ი. თხრობის ფორმა „ობიექტურია"), მეორეში კი, როგორც [illegible] ვიქვეთ, ასეთი ჩარევა უმაღლეს ხარისხს აღწევს. კვლავ პატარა ექსპერიმენტს მივმართოთ: მე-4 ტექსტშიც შევიტანოთ მე-ს ჩარევა; ვთქვათ, ასე: „ახლა ყველა ოსტატი ამოძრავდა და სკამებზე განლაგდა, ტიციანი, ფრა ბართოლომეო დი სანტო მარკო, და ვინჩი — მკითხველს, ისევე როგორც მე, შეიძლება ახსოვდეს მათი დიდი მოსახელეები, ან არ ახსოვდეს — კაუფმანი (ალბათ ანგელიკა კაუფმანი, რამეთუ რომელ ჩვენგანს არ გაახსენდება ამ სახელზე მშვენიერი რომაელი ხელოვანი ქალი?)..." განა მე-ს ასეთი ჩარევით, მკითხველისადმი მიმართვებით ნაკლებად ობიექტური ჩანს აღწერილი სცენა, ვიდრე მათ გარეშე? ფონტანეს ტექსტში რომ ეწეროს (მაგალითი 3): „ტრაიბელს ადრე ადგომა სჩვეოდა, ყოველ შემთხვევაში, კომერციული მრჩეველისათვის (რადგან, რამდენადაც პატივი მაქვს, კომერციულ მრჩეველებს ვიცნობდე, მათ საზოგადოდ არ ჩვევიათ ადრე ადგომა) და თავის სამუშაო ოთახში რვა საათზე გვიან არასოდეს შედიოდა... როგორც წესი, მისი მეუღლეც მალე გამოჩნდებოდა ხოლმე, მაგრამ დღეს იგი იგვიანებდა" — განა სცენაში ამით რაიმე შეიცვლებოდა? ასე რომ არ ხდება (რასაც უშუალოდაც ვხედავთ), ეს იმის ნიშანია, რომ პირველი პირის ჩარევა მესამე პირით გადმოცემულ ფიქციურ ტექსტში თხრობის ფორმის სუბიექტურობის თვალსაზრისით არავითარ ცვლილებას არ იწვევს. ასეთი ჩარევები არავითარ შემთხვევაში არ ახდენენ რაიმე გავლენას აღწერილი მოვლენებისა და პირების ამ მესამეთან დაკავშირებაზე, არ გადაჰყავთ ისინი მისი (მე-ს) განცდის არეში. ისინი ისევე ფიქციურნი რჩებიან, როგორიც მე-ს ჩარევამდე იყვნენ, ე. ი. ისევე ნაკლებად წარმოადგენენ გამონათქვამის ობიექტს, რო-

ვორც მის გარეშე; მე-ს ჩარევითა თუ მის გარეშე ისინი თხრობის პროდუქტს, ფუნქციას შეადგენენ. როცა მე-5 მაგალითში ჟან პოლი დაცინვით ამბობს, რომ ვორბლე მასზე წლინახევრით უფროსი იყო, როცა იგი პრინცის აღმზრდელად დანიშნეს და როცა თავისი „გრენლანდიური პროცესი" გამოსცა, ამით ჩვენ ხომ ისევე ნაკლებად ვამყარებთ მიმართებას მასა და რომანის პერსონაჟ ვორბლეს შორის, როგორც თვით ავტორი. ასევე ვერ ვამყარებთ ვერავითარ მიმართებას დის — ლიბეტეს ქცევასა (რომ ის „ყველაფერში მონაწილეობდა, ზოგიერთ რამეში წინაც კი უსწრებდა") და იმ სიხარულს შორის, რომელსაც მთხრობელი მე-ს ფორმით გადმოცემს — „რაც მე ამაში განსაკუთრებით მახარებს". ეს კი ნიშნავს: ეს ფიგურები სწორედ ამიტომ არ არიან უფრო „სუბიექტურად" მოთხრობილნი, ვიდრე ბერგენგრუენის მოასლე, მარკიზა ფონ ო... და კომერციული მრჩეველი ტრაიბელი. ცნება სუბიექტურს ხომ მხოლოდ იქა აქვს აზრი, სადაც ლაპარაკია განცდილ, ე. ი. ნამდვილ საგნობრივ ვითარებაზე. განა ჟან პოლი უფრო სუბიექტურად აღიქვამს თავის პერსონაჟებს — ვორბლესა და ლიბეტეს, ვიდრე ფონტანე, კლაისტი და ბერგენგრუენი თავიანთ პერსონაჟებს? რომანის ამ მონაკვეთში ჟან პოლის აღქმა განა უფრო სუბიექტურია, ვიდრე სხვა მონაკვეთებში, სადაც იგი მე-ს ჩარევის გარეშე მოგვითხრობს? ლიბეტე რომ ნამდვილი პირი ყოფილიყო, მისი ამბავი კი — სინამდვილისეული გადმოცემა, მაშინ გამოთქმას — „რაც ამაში განსაკუთრებით მახარებს" — განმსჯელი თვალსაზრისის მნიშვნელობა ექნებოდა საგნობრივი ვითარების მიმართ, რომელიც ობიექტურად, ე. ი. გამომთქმელისაგან დამოუკიდებლად არსებობს და სწორედ ამიტომ შეიძლება განისაჯოს მის მიერ. მხოლოდ ასე თუ მივუახლოვდებით თხრობის ამგვარი მოჩვენებითი სუბიექტური სტილის მნიშვნელობასა და ფუნქციას.

ეს რომ „რომანტიკული ირონიის" თამაშია, ახალი მოსაზრება არ არის. ავტორის ჩარევა თავის თხრობაში, ან [illegible]ლის, რეჟისორისა თუ გამოგონილი [illegible]ბლიკის გამოჩენა (რომანტიულ [illegible] მუდამ ილუზიის დარღვევა [illegible]ული. მაგრამ თუ კარგად დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ ფიქციის ილუზია ამით კი არ ირღვევა, არამედ უფრო ძლიერდება. ამის მიზეზს კი მხოლოდ მაშინ ჩავწვდებით, როცა ლოგიკურად გავაშუქებთ განსხვავებას ფიქციისა და სინამდვილის განცდას, ფიქციურ თხრობასა და სინამდვილისეულ გამონათქვამს შორის. ეპიკურ ფიქციაზე ამის ჩვენება უკეთ შეიძლება, ვიდრე დრამატულზე, რადგან თხრობის პრობლემასთან დაკავშირებით უფრო სუსტად შევძლებთ ამ საკითხზე მსჯელობას, ვიდრე გამონათქვამის შემთხვევაში. პირველი პირის თხრობითი ფორმის გამოჩენა წმინდა ფიქციაში, მესამე პირით თხრობაში, იმ წუთში ისეთ ილუზიას იწვევს, თითქოს ფიქციური ფიგურები ნამდვილი პირები იყვნენ. თხრობის მწარმოებლურ ფუნქციას ალაგ-ალაგ გამონათქვამის ფორმა წყვეტს, ფიქციის არე ამის შედეგად გამონათქვამის სუბიექტის, რეალური მე—ორიგოს განცდის არედ იქცევა, რომელიც — ამ წუთში — მოგვითხრობს არა ფიქციურად, არამედ ისტორიულად. ეს კი თამაშია, რომელშიც თხრობის ფუნქცია და თვით ფიქცია მონაწილეობენ. ფიქცია ერთი წამით სინამდვილისეული გამონათქვამის სახეს იღებს, ოღონდ ისე, რომ ჩვენ მას არ გამოვეთიშებით. რადგან, მსგავს შემთხვევებში, მკითხველმა ყველაფრის მიუხედავად იცის, რომ იგი რომანს კითხულობს და სწორედ ამიტომ მთხრობელის პირველი პირის გაძლიერებული კაპრიჩიოები არამც თუ არ ურღვევს მას ფიქციის ილუზიას, არამედ მხოლოდ ახლა შეიგნებს მას და შეიგნებს ღიმილით, — ისევე, როგორც მთხრობელს ეღიმება იმ წუთში, ავტორის როლში რომ გამოდის. თუმცა ისტორიული და ფიქციური თხრობით ეს თამაში — რადგან ერთით

თამაში ამავე დროს მეორით თამაშიცაა — ჰუმორისტული სტილის რაიმე მსოფლმხედველობით საფუძველს არ შეადგენს, მაგრამ ეს მისთვის გამოხატვის ერთ-ერთი ყველაზე დახვეწილი სტილისტური შესაძლებლობაა. კიდევ უფრო დიდი მასშტაბით, ვიდრე ჟან პოლსა და მის უშუალო წინამორბედთან — ინგლისელ ჰუმორისტებთან —ეს ჩანს „რომანტიკული ირონიის" უდიდეს წინაპართან, სერვანტესთან და ისეთ დიდ თანამედროვე ჰუმორისტულ ნაწარმოებში, როგორიცაა თომას მანის იოსების რომანი. ასეთი ტიპის ჰუმორისტული რომანის შემოქმედებით-ესთეტიკური სტრუქტურა ჩვენთვის გაუხსნელი დარჩება, თუ მე—ჩარევის „სუბიექტურობას" სერიოზულად მივიღებთ, თუ ამას გავიგებთ, როგორც გამონათქვამის ნამდვილი სუბიექტის აზრს, როგორც ობიექტურის გასუბიექტურებას. ასეთი ჩანართები ფიქციურ ტექსტში ჩუქურთმებივით, არაბესკებივითაა, ეს არის თხრობის ფუნქციის თამაში საკუთარ თავთან, მას არ გააჩნია „ეგზისტენციალური" მნიშვნელობა, ე. ი. იგი მიმართულია არა რეალურ მე-ზე, თუნდაც „მთხრობელი" სულ ასე გვაჩვენებდეს თავს. პირველი პირის ჩანართები მესამე პირით დაწერილ რომანში, ე. ი. წმინდა ფიქციაში, ისევე ნაკლებად აქცევენ მას მე-რომანად, როგორც (რასაც ქვემოთ ვნახავთ) ჩართული ლექსები ვერ გადააქცევენ რომანს „ლირიკულად". რადგან, თუ მე—თხრობა, როგორც ლიტერატურული ფორმა, არ ექვემდებარება ფიქციის კანონებს, ფიქციაში კანონები იმდენად ძლიერია, რომ მათი ხაზგასმა თუ გაბათილება არასოდეს „სერიოზულად" არ ხდება, არამედ მხოლოდ „თამაშის სახით" — და ეს კი იმას ნიშნავს, — რომ საერთოდ არ ხდება. ფიქციურ პირთა მეშვეობით აგებული არა-სინამდვილე თავისი სამფლობელოს არც ერთ წერტილში არ გაუღებს კარს სინამდვილეს, ე. ი. არ მიიღებს მე—ორიგოს, არ გადაიქცევა მისი ნამდვილი განცდის არედ.

ამაშიც შეიძლება შემოგვედაონ და ჩვენი მტკიცების საპირისპიროდ ჩვენივე მაგალითიც მოიშველიონ, შტიფტერის „მაღნარიდან" — სადაც ისტორიული და ფიქციური [illegible] მაინც გვხვდება. და ჩვენც აქ კიდევ ერთხელ უნდა დავუბრუნდეთ ამ მაგალითს სწორედ იმის გამო, რომ მის ფონზე განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს ჰუმორისტული სტილის „არანამდვილი" მე-ს ფორმა, ისევე, როგორც ჟან პოლთან, და ამით კი ფიქციის ურღვევი სტრუქტურა.

ჩვენ უშუალოდ ვგრძნობთ, რომ მე-ს ჩარევა ჟან პოლთან ფიქციის სტრუქტურას არ წამოსწევს წინ, შტიფტერთან კი, პირიქით, ზემოთ გაანალიზებულ ორ მონაკვეთში[44] სწორედ ასე ხდება. ორივე შემთხვევაში ავტორს შემოჰყავს თავისი თავი, რითაც მიმართებაში შედის საკუთარ რომანთან. მაგრამ რაშია განსხვავება? შტიფტერთან მე-ს ჩარევა რომანული ფიქციის ფარგლებს მიღმა ხდება. როცა იგი ვრცელ შესავალში და შემდეგ კი უფრო მოკლედ მე-2 თავის დასაწყისში, პრეზენსში აღწერს არენას, სადაც რომანი უნდა გათამაშდეს, როგორც თავისთვის ნაცნობ ადგილს, მას რომანის თხრობა ჯერ კიდევ არა აქვს დაწყებული და მე-2 თავში, სადაც რომანის მოქმედება, ფიქციური თხრობა უკვე მსვლელობაშია, იგი კიდევ ერთხელ წყდება. ამგვარად, ეს ნიშნავს: აქ შემოსული რეალური მე — ორიგო რომანის პირებთან არ შედის მიმართებაში და სწორედ ამიტომ ეს ავტორის ნამდვილი, რეალური მე—ორიგოა. ამ თხრობის ესთეტიკური ზემოქმედება გამოიხატება, თუ შეიძლება ასე ითქვას, ილუზიის არანებაყოფლობით დარღვევაში; ეს არის ილუზიის დარღვევა, რომელსაც რაიმე ხელოვნებისეული ან შინაარსობლივი მიზანი არ გააჩნია, არამედ უბრალოდ ისტორიულ-გეოგრაფიული სიზუსტისადმი ავტორის ერთგვარი გულუბრყვილო მისწრაფებიდან მომდინარე-

---

44. ვ3. 35.

ობს. აქ არ ხდება ფიქციის შეგნების გამ-ძაფრება, როგორც რომანტიკული ირონიის ილუზიის ჰუმორისტული დარღვევისას, არამედ მკითხველისა და ფიქციისათვის სულერთია, იცნობდა თუ არა ოდესმე ავტორი რომანის მოქმედების არეს. ფიქციის ასეთივე გულუბრყვილო და არანებაყოფლობითი დარღვევები გვხვდება ბალზაკთან, რომლისთვისაც რომანის წერაც „ისტორია" იყო და რომელიც ფიქრობდა, რომ „ადამიანური კომედიის" რომანებისათვის დამახასიათებელი ძალდაუტანებელი მონტაჟის ტექნიკით თავის „histoire contemporaine"-ს წარმოგვიდგენდა. აქვე უნდა აღვნიშნოთ ისეთი სტრატეგიული და ისტორიულ-ფილოსოფიური განსჯები, რომლებიც რომანთან ორგანულ კავშირზე ზრუნვის გარეშეა სოლმე ჩართული, როგორც ტოლსტოის „ომსა და მშვიდობაში". სამივე ეს დიდ პროზაიკოსი სომ თავისი „ისტორიული" საუკუნის წარმომადგენელია, და ჩვენც ისტორიული და ფიქციური თხრობის ასეთი „ნაივური" აღრევის მაგალითებს მათ შემთხვევით არ დავსესხებივართ. მხატვრული შემოქმედების თეორეტიკოსისათვის კი სწორედ ეს მაგალითებია საგულისხმო, რადგან ისინი გვიჩვენებენ, რომ ფიქციური ნაწარმოების ფარგლებშიც კი თხრობის ეს ორი სახეობა ისე გამოიყოფა ერთმანეთისაგან, როგორც წყალი და ზეთი ერთ ჭურჭელში, და არავითარ შემთხვევაში არ შეადგენენ მთლიანობას, სახელდობრ არც მაშინ, როცა ეს უკრიტიკოდ და რამდენადმე გაუცნობიერებლად ხდება, იმ კანონების გაუცნობიერებლად, რომლებიც ისტორიული თხრობისაგან კატეგორიულად განსხვავებულ ფიქციურ თხრობას მართავენ. შტიფტერის მაგალითი გვიჩვენებს არა მარტო იმას, რომ სინამდვილისეული გამონათქვამის ნაივური ჩართვით ფიქციის არე არ შედის მიმართებაში ნამდვილ განცდის არესთან, არამედ იმასაც, თუ რატომ არ ხდება ეს. მხოლოდ სიმპტომატურია ის გარემოება, რომ აქ სინამდვილისეული გამონათქვამი არ შედის მიმართებაში ფიქციურ პირებთან და, ამდენად, ფიქციაც არ ირღვევა, ან უფრო ზუსტად: ირღვევა მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი წყდება.

ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ ჟან პოლი [illegible] გალითში საქმე გვაქვს სრულიად [illegible] ხის მე—ჩარევასთან, რომელიც ფიქციას არ არღვევს. შტიფტერისაგან განსხვავებით აქ რეალური მე—ორიგო მიმართებაში შედის ფიქციურ პირებთან, მაგრამ, თუ მიუხედავად ამისა, ისინი არ შედიან მიმართებაში მე—ორიგოსთან, არამედ მათი ფიქციურობა კიდევ უფრო მკაფიოდ გვახსენებს თავს, ამის მიზეზია არა ნაივური, არამედ ჰუმორისტულად გამიზნული ხერხი.

„კომეტაც", თავისი მასალის მიხედვით, გამოკვეთილად ჰუმორისტული, კომიკური რომანია. და თუ ჩვენ შევძელით გვეჩვენებინა, რომ თხრობის ფუნქცია აქ პირველი პირის ჩარევის მეშვეობით ერთგვარ თამაშს იწყებს საკუთარ თავსა და ფიქციასთან, ამაზე შეიძლება შემოგვედაონ, რომ პირველი პირის ასეთი ჩარევები ჟან პოლის მხოლოდ კომიკურ რომანებში კი არ გვხვდება, არამედ მის სერიოზულ-სენტიმენტალურ ნაწარმოებებშიც, რომ „კომეტას" ტექსტიდან ჩვენს მიერ გამოტანილი დასკვნა თხრობის ფუნქციის ფუნქციური თამაშის თაობაზე ძალზე ვიწროა და არ კმარა თხრობის ასეთი ხერხის ობიექტურობის უარსაყოფად. ხილო თუ ახლა დავაკვირდებით, რა ფუნქცია აქვს პირველი პირის ჩარევას ისეთ რომანში, როგორიცაა „ტიტანი", ვნახავთ, რომ კომიკურ-ჰუმორისტული რომანი ვიწრო გაგებით თხრობის ხერხის მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევას წარმოადგენს, რომელსაც ჩვენ მხოლოდ იმის გამო შეგვიძლია ვუწოდოთ ჰუმორისტული უფრო ფართო გაგებით, რადგან იგი თავის თავში მოიცავს თვით ფიქციური თხრობის პრობლემას, რაც რომანის შინაარსზე არაა დამოკიდებული. ჩვენ კიდევ ცოტა ხანს უნდა შევჩერდეთ ჰუმორისტული რომანის ამ სახეობაზე, რომლის

მამამთავარია სერვანტესი და რომელიც მე-18 საუკუნეში ჩამოყალიბდა, კრიტიკული ფილოსოფიის საუკუნეში; ეს ლიტერატურულ-ისტორიული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი მოვლენა კონკრეტულად ჰფენს შუქს იმ სისტემატურ მიმართებებს, რომლებიც ჩვენ გვაინტერესებს. მხატვრული შემოქმედების ლოგიკური სტრუქტურა მხატვრული შემოქმედების მოვლენათაგან აბსტრაქციას კი არ წარმოადგენს, არამედ მისი ამოკითხვა მხოლოდ მათზე შეიძლება. და პირიქით — აღმოჩენილი კანონები მოვლენათა გაშუქებას ემსახურებიან. ჰუმორისტული რომანის სტრუქტურა იხსნება, ერთი მხრივ, სინამდვილისეულ გამონათქვამსა და ფიქციურ თხრობას შორის არსებული განსხვავების მეშვეობით და პირიქით, უზუსტეს მასალას გვაწვდის ამ განსხვავების შეცნობისა, და ამდენად, ფიქციური თხრობის, თვით ეპიკური ფიქციის ზუსტი აღწერისათვის.

ჟან პოლის „ტიტანი" ისევე ნაკლებადაა ჰუმორისტული რომანი ამ ცნების ვიწრო გაგებით, როგორც ჰენრი ფილდინგის „ტომ ჯონსის ისტორია". ამ ორ ნაწარმოებს, რომლებსაც ვერც სტილისა და ვერც შინაარსის მიხედვით ერთმანეთს ვერ შევადარებთ, ისა აქვთ საერთო, რომ ორივეში გვაქვს ჩანართები, რომლებიც თვით მოგვითხრობენ რომანს. ფილდინგთან ეს ერთი მხრივ უფრო სისტემატურია, მეორე მხრივ კი უფრო მარტივად ხდება, ვიდრე ჟან პოლთან. ამიტომ მისგან დავიწყოთ. ფილდინგს შეგნებული ჰქონდა, რომ იგი ერთგვარი „მოდერნისტი" იყო რომანის სფეროში, „ახალი პროვინციის აღმომჩენი წერაში", და ეს შეგნება მდგომარეობდა ფიქციური თხრობის განსაკუთრებულობის შემეცნებაში — რომ იგი სხვა კანონებს ექვემდებარება, ვიდრე სხვა სახის თხრობა, „ამგვარად, ამიერიდან შეიძლია ისეთი კანონები შევქმნა, როგორიც მსურს". მას აინტერესებს ეს პრობლემა და ეძებს მის გადაწყვეტას — რომ რომანი ერთი მხრივ სინამდვილის სურათს უნდა იძლეოდეს, „a history" და არა „a romance" ან „novel" (და ამიტომაც აძლევს იგი რომანს სათაურად „ტომ ჯონსის ისტორიას"), მეორე მხრივ კი მას შეუძლია ფიქციური სინამდვილის წარმოდგენა, რისთვისაც [illegible] რომანის ავტორი თავად ქმნის კანონებს — სახელდობრ კი სწორედ იმის გამო, რომ მოთხრობილი სინამდვილე მოთხრობილობის ძალით ნამდვილი სინამდვილე არ არის, მისი „წარმოდგენა" ავტორს პრინციპში, საერთოდ არ შეუძლია. ამ პრობლემასთან დაკავშირებით ფილდინგი ისეთ ფენომენს მიადგა, რომელიც არსებითად დღეს იქცა რომანის თეორეტიკოსთა ინტერესის საგნად, კერძოდ, დროის წარმოდგენის პრობლემას. მისი ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა მიმართება ფიქციურსა და ნამდვილ, ან ისტორიულ დროს შორის, და ცდილობს გამოხატოს იგი ცალკეული თავების დასათაურებაში რომანის დროის გამოტანით: „მოიცავს ერთი წლის ხანგრძლივობას, სამოდ კვირას, ორ დღეს, თორმეტ საათს" და ა. შ. მან დაინახა ეს პრობლემა, რადგან სწორედ თავისი ისტორიის თხრობისას შენიშნა, რომ დრო საკუთარ ბით არ ექვემდებარება თხრობას, რომ დროის შეგნება სწორედ ფიქციაში იკარგება, რადგან ფიქცია ისტორიული თხრობის მსგავსად უბრალოდ კი არ იძლევა და ათარიღებს მოვლენებს, არამედ ქმნის ცხოვრების ილუზიას, რომელიც ისევე, როგორც ნამდვილი ცხოვრება, ხორცს ისხამს იმ დროზე რეფლექსიის გარეშე, რომელშიც იგი მიმდინარეობს. მან შენიშნა ეს, მაგრამ ბოლომდე ვერ ახსნა ამ მოვლენათა ლოგიკურ-სტრუქტურული მიზეზები, რომლებსაც ფიქციურ თხრობაში აქვთ ფესვები. ეს ჩანს მისი ნათქვამიდან: „როცა რაიმე უჩვეულო სცენა გვაქვს აღსაწერი, არც ძალასა და არც ქაღალდს არ ვიშურებთ იმისათვის, რომ ჩვენი მკითხველის თვალწინ გადავშალოთ იგი, მაგრამ თუ მთელი წლები გაივლის ისე, რომ ვერაფრით ვერ მიიპყრობენ მის ყურადღებას, ასეთი დრო სრულებით არ უნდ

მიმოვიხილოთ". იგი ვერ ამჩნევდა, რომ ამ წინადადებით მან კვლავ გააუქმა რომანის დრო, რომელიც თავების დასათაურებებით სურდა აღენიშნა; რომ არც მთხრობელი და არც მკითხველი ყურადღებას არ აქცევს დროს, რომელშიც მოთხრობილი ამბავი და განცდა მიმდინარეობს, რადგან „თხრობის დრო" არ არის „მოთხრობილი დრო",[45] რომ საერთოდ მოითხრობა არა დრო, არამედ ხდომილება, ცხოვრება — და ამიტომ თავების დროის მაჩვენებელი დასათაურებანი მისსა და ყველა სხვა რომანში ზედმეტია. მაგრამ ფილდინგისათვის პრობლემა დროის, როგორც განცდის კატეგორიის წარმოდგენაში არ მდგომარეობდა (ეს პრობლემა, როგორც უკვე ვთქვით, რომანის განვითარების მხოლოდ თანამედროვე სტადიაზე დადგა); მისთვის ის რომანის სინამდვილის ფიქციური ხასიათის კრიტერიუმი და ერთგვარი ჯვარი იყო, რაც ამ ეპოქისათვის (1745) უჩვეულოდ შორსმჭვრეტელურ დაკვირვებას წარმოადგენდა; მხატვრული შემოქმედების ტექნიკის მთელი პრაგმატიკის მიუხედავად, ამ დაკვირვების მიზანია აზროვნებისა და ენის სისტემაში ფიქციის განსაკუთრებული ადგილის განსაზღვრა. სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ თეორიულ-დამკვირვებლური ხასიათის ჩანართები, რომლებითაც იწყებს იგი „ტომ ჯონსის" თვრამეტივე წიგნს. ისინი შეიცავენ რომანის მისეულ თეორიას, განმარტებებს „ისტორიასა" და რომანს შორის არსებულ განსხვავებასა და მსგავსებაზე და სხვა ამგვარს, და ასეთი შეგნებული კრიტიკული ხერხით რომანის თეორიის თვით რომანში ჩართვა, მისი შინაარსის დაუზიანებლად, მას ჰუმორისტულ ხასიათს ანიჭებს. „ტომ ჯონსის" საერთო ტონი რომ ჰუმორისტულია, უცნაურია, მაგრამ ეს არც თეორიული დაკვირვებების ბრალია და არც თვით ამბისა. არც ერთი მათგანი არ არის ჰუმორისტული ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით. მაგრამ ჰუმორისტული ტონი იქმნება იმით, რომ რომანის თეორიულ-[illegible]ბანი ისევ და ისევ ახსენებს [illegible], რომ რომანი სინამდვილე კი არ არის, არამედ ილუზია, მოჩვენება, ფიქციაა, ცხოვრება არა ცხოვრების, არამედ — როგორც მოგვიანებით ნოვალისი იტყვის — წიგნის სახით. რაც არ უნდა მცირე იყოს კომიკურობა რომანში მოთხრობილი ამ მოჩვენებითი სინამდვილისა, იგი ჰუმორისტულ შუქში ჩანს სწორედ იმით, რომ ის „გაკეთებულია", რომ მის შემქმნელს შეუძლია ითამაშოს მისით — გააუქმოს ან კვლავ აღადგინოს, რომ ეს სინამდვილე, ასე ვთქვათ, არ საჭიროებს სერიოზულად მიღებას. მხოლოდ ჰუმორისტულ რომანებში გვხვდება მითითებები თავებად დაყოფაზე, ე. ი. მითითებანი იმაზე, რომ ის, რაც აქაა მოთხრობილი, მხოლოდ წიგნის შინაარსს წარმოადგენს და უკვე ამიტომ არაა დამძიმებული სერიოზულობით, ნამდვილი ცხოვრების შემზარავი ბედისწერით. ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვხვდებით: „როგორც წინა თავში ვნახეთ..." ან „ეს ყველაზე ტრაგიკული ამბავია მთელს ჩვენს ისტორიაში, რომელიც" და მრავალ მსგავსს. აქ მთელი სიცხადით ჩანს, რომ მთხრობელის ამ ჩარევას თხრობაში მხატვრული შემოქმედების თეორიის თვალსაზრისით მცდარად ახასიათებენ, როცა მას სუბიექტურ სტილს უწოდებენ. ლაპარაკია არა მთხრობელის სუბიექტურ ინტერესზე თავისთავად, — როგორც მთხრობელსა თუ ავტორზე, — არამედ უშალ პირიქით, მთხრობელის განსაკუთრებულ „ობიექტურ" პოზიციაზე თავისი ნაწარმოების მიმართ, თავისუფალი თამაშის შეგნებაზე, რომელიც შესაძლებელია რომანის არამატერიალური, სტილიზებული, ფიქციური სინამდვილით, მისი თავებად დაყოფით, გამიზნული შემოკლებებით, შეკუმშვებითა თუ გაშლით.

---

45. ეს ტერმინოლოგია და პრობლემა ნაცნობია გ. მიულერისა და მისი სკოლის გამოკვლევებიდან, შეად. ჩემი ზემოთ, 43 შენიშვნაში ციტირებული შრომა (DVJS).

ფილდინგის ამ თეორიული და წარმოსახვის პრობლემებიდან გამომდინარე, შეგვიძლია გავაცნობიეროთ, რომ ეს მედიდური ესთეტიკური ჰუმორი ახასიათებს აგრეთვე ჟან პოლის არც თუ მკვეთრად ჰუმორისტულ რომანებსაც. „ტიტანში" ისევე, როგორც „კომეტასა" და „ვუც"-ში, მთხრობელი „ეთამაშება" თავის თავსა და თავის პროდუქტს, მკითხველის შეგნებამდე დაჰყავს, რომ ეს სამყარო მის თვალწინ მხოლოდ ავტორის ძალითაა, იმის ძალით, რომ იგი მოთხრობილია. „ჩემის აზრით, საკმაოდ ფართეა ის კუთხე, რომელიც აქ უინსტონის კომეტების რუქიდან ამ კუდიან ვარსკვლავს ადამიანებისათვის ჩამოვაჭერი. ვიდრე საუბარს გავაგრძელებდე, მსურს წინასწარ შეგითანხმდეთ, რომ თქვენის ნებართვით დონ გასპარდს ზოგჯერ რაინდად მოვიხსენიებ, ოღონდ ოქროს საწმისს არ ჩამოვკიდებ" (ტიტანი, I Iobelperioele). ისე, რომ არც „ტიტანს", არც „ჰესპერუსსა" და არც „უჩინარ სარეცელს" არ აკლია ეპოქის ჰუმორისტული სტილით მოწოდებული განმარტებანი შესაბამისი რომანის წარმოშობის, დაბეჭდვისა თუ შემდგომი ბედის შესახებ, როგორიცაა, მაგალითად, „ტიტანის" ვრცელი „შესავალი პროგრამა" (მე-9 ციკლი, I პერიოდის ბოლოში), ან წიგნისა თუ თავების დასათაურებათა ნაირ-ნაირი ახსნა".[46]

---

46. ჟან პოლის სტილი ჩვენ შევარჩიეთ ჰუმორისტული სტილის და პირველი პირის ჩარევის ფუნქციისა და მნიშვნელობის ნიმუშად, რადგან იგი ერთადერთ და უკიდურეს შემთხვევას წარმოადგენს ლიტერატურაში. მე-ს ჩარევის ეს ჟან პოლისეული სტილი, მიუხედავად სიჭარბისა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არ აქცევს მის ფიქციურ რომანებს მერომანებად, მაგრამ მეორე უკიდურესობაა, რომელიც (ცხადია, ჩვენგან განხილული პრობლემატიკის გაუთვალისწინებლად) შენიშნა და ფაქიზად დაახასიათა მაქს კომერელმა თავის წიგნში ჟან პოლის შესახებ. ის წამოჭრის კითხვას, იმიტომ ხომ არ არის შესაძლებელი ჟან პოლისათვის დრამატული ნიჭის მიწერა, რომ იგი ასე ხაზგასმით ახდენს თავის პერსონაჟთა ინდივიდუალიზაციას, — უპირველეს ყოვლისა მეტყველებით, და უარყოფითად პასუხობს ამ კითხვაზე იქიდან გამომდინარე, რომ „ჟან პოლის ეს ამოუხსნელი პერსონაჟები... საბოლოო ანგარიშში, თუმცა არაპირდაპირი ფორმით, მეობის დიდი ფილოსოფიური კომედიის მიმნიშნებლად გვევლინებიან. მოქმედი პირები იქაც კი, სადაც მათი რეპლიკები თითქოს დრამატულადაა ჩაფიქრებული, მთავარი მოქმედი პირის ანარეკლებად რჩებიან, თითქოს ვერ გადაეწყვიტოთ, საკუთარი მუშტის იმედზე არსებობა, თითქოს თავს ცენტრალური სულის ანასხლეტებად გრძნობდნენ (გვ. 60). კომერელს აქ არ გამოაქვს დასკვნა, რომ ეპიკური მე აქ ისე ძლიერ უახლოვდება ლირიკულ მე-ს, რომ მესამე პირის რომანის ფიქციის ფორმა ამით ძალზე თავისებურად ირღვევა. მაგრამ თხრობის ფუნქციის ამ ლირიკული განკერძოების შესახებაც შეიძლება ითქვას, რომ სუბიექტური თხრობის ცნება აქ არაადექვატურია. რადგან თვით მონათხრობს, ფიქციურ სამყაროს, ყოველივეს მიუხედავად, ეს სუბიექტურობა არ ეხება; იგი მხოლოდ თხრობის ფუნქციის თვისება, სტილის თვისებაა, რაც ცნებით „ლირიკული" უფრო ზუსტად ხასიათდება, ვიდრე ცნებით „სუბიექტური".

ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო არა ინგლისელი მწერლისა და ჟან პოლის ჰუმორისტული სტილის დაწვრილებითი ანალიზი, არამედ იმ ეპოქაში ასეთივად გამოკვეთილი თხრობის ხერხის გამოყენება, რადგან იგი ეპიკურ თხრობის ფუნქციის არსს განსაკუთრებულად მკაფიოდ წარმოგვიჩენს; თვით ამ წარმომადგენლებსაც შემთხვევით არ მიუჩნევიათ იგი ფიქციური თხრობის თავისებურებად, განსხვავებით ისტორიული თხრობისაგან, და ამიტომაც სელოვნების თვალსაზრისით შე-

აფასეს იგი (როგორც აქ მხოლოდ სახელ-დახელოდ შევძელით მინიშნება). ჟან პოლის თავშექცევას თავისი მოქმედი პირებით — როგორც ჰუმორისტულ, ასევე სერიოზულ ნაწარმოებებში, თუმცა მათ შორის მთელი მისი შემოქმედების ტოტალურობის თვალსაზრისით საზღვრის დადგენა შეუძლებელია — თავისი მეტად თუ ნაკლებად გაცნობიერებული მიზეზი აქვს: იგი გამუდმებით გვახსენებს რომანის მთხრობელის განსაკუთრებულ „შემოქმედებით აქტს", რაც მდგომარეობს არა მოქმედ პირთა შესახებ თხრობაში, არამედ მათ თხრობაში, მათი არსებობის „სუბიექტურობის" თხრობით წარმოდგენაში; ეს კი ის პროცესია, რომლის ერთადერთი ლოგიკური ადგილი თხრობით მხატვრულ შემოქმედებაშია და რომელიც განსაზღვრავს მის კანონს. ეპიკური ჰუმორი სწორედ იქ იღებს სათავეს, სადაც მწერალი მთლიანად არ ემორჩილება თხრობის კანონს, ე. ი. მთლიანად არ ითქვიფება მოთხრობილ ამბავში, არამედ შეკნებული აქვს მისი კანონი; და ეს ჰუმორი დღეს უწინდელზე მეტად „ფიქციის ლოგიკაზე" უნდა დავიყვანოთ. რადგან სწორედ იგი იძლევა „ფიქციის თამაშის" საშუალებას, რაშიც უდგას ფესვები „დიდ ეპიკურ ჰუმორს", — ჟან პოლისა და ინგლისელთა შემოქმედებაში არანაკლებად, ვიდრე „დონ კიხოტსა" და თომას მანის იოსების რომანში. ფიქციის თამაში, ჩვეულებრივ, მხოლოდ ჰუმორისტულ რომანში შეიძლება შეგვხვდეს, რადგან არაფიქციური თხრობა გააუქმებდა თავის პროდუქტს, ფიქციას, და ამდენად თავის თავსაც, თუკი ფიქციას სერიოზულად არ მიიღებდა, ე. ი. თუ თავისი ფიქციურობა გაცნობიერებული იქნებოდა. სწორედ ამიტომ წარმოადგენს ეპიკური ჰუმორი განსაკუთრებულ საშუალებას, რომელსაც სინათლე შეაქვს ფიქციური თხრობის შესწავლაში და რომელიც სწორედ იქ გვევლინება მთელი თავისი თავისებურებით, სადაც იგი, როგორც კანტი ამბობს, — გამოყენებულია არა „ნაივურად", არამედ „კრიტიკულად".

დასკვნა, რომლის გამოტანაშიც ჰუმორისტული სტილი გვეხმარება, ემაში მდგომარეობს, რომ ეს სტილი, მიუხედავად პირველი პირის ჩარევებისა, არ არის უფრო „სუბიექტური", ვიდრე „[illegible]ჩის" ან კლაისტის, ბერგენგრუნის [illegible] ფონტანეს ნაწარმოებებიდან მოტანილი მაგალითების თხრობის ხერხი, ეს კი ნიშნავს, რომ ფიქციური თხრობა სტილისტურად ძალზე სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს, მაგრამ ლოგიკურად მისი სტრუქტურა ერთიდაიგივე რჩება. ჟან პოლისეული თხრობის ხერხის ახირებულ თამაშს, თხრობის ფუნქციის თამაშს თავის თავთან, უდაოდ „საგნიდან გადახვევად" (როგორც ის თვით ამბობს), გაჭიანურებად აღვიქვამთ. მაგრამ ჩვენ შეიძლება გაჭიანურებულად აღვიქვათ თხრობის სხვა ხერხებიც, რომლებიც არ ეთამაშებიან თავის თავს და ჩვენი გემოვნებისდა შესაბამისად, მოსაწყენად მოგვეჩვენოს. გავიხსენოთ ძლიერი რეფლექტორული თხრობა, რომელიც მეტ-ნაკლები უშუალობით ახდენს მოქმედებისა და მოქმედ პირთა ინტერპრეტირებას: ხსნის, განმარტავს, ღრმა კავშირებს ეძებს მათ მიღმა, რითაც ხშირად თითქოს „ამბიდან უხვევს". მაგრამ თუ ახლა უფრო ზუსტად დავაკვირდებით თხრობის სწორედ ამ სახეობას, უფრო ღრმად ჩავწვდებით ფიქციური თხრობის არსს და მის კატეგორიულ განსხვავებას ისტორიული თხრობისაგან. სწორედ ასეთ შემთხვევაში არ უნდა შეგვაცდინოს შთაბეჭდილებამ. ეს კი მაშინ მოხდება, თუ სტრუქტურულ ელემენტებს ვერ ჩავწვდებით. კვლავ მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი:

მაგალითი 1.

ვილჰელმის ფიქრები მალე საკუთარ საქმეებს მიუბრუნდა და მან მოუსვენრობა იგრძნო. ადამიანი არ შეიძლება უფრო სახიფათო მდგომარეობაში აღმოჩნდეს, ვიდრე მაშინ, როცა გარემოებანი მისი მდგო-

მარეობის მკვეთრად შეცვლას იწვევენ, ისე, რომ მისი აზროვნება და გრძნობა ამისათვის მოუმზადებელია. მაშინ იწყება ეპოქა ეპოქის გარეშე, და წარმოიშობა მხოლოდ წინააღმდეგობა მით უფრო დიდი, რაც უფრო ნაკლებად ატყობს ადამიანი, რომ ის ახალი მდგომარეობისათვის ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელია.

ვილჰელმმა ერთი წამით თავი თავისუფალი დაინახა; ეს ის წამი იყო, რომლის განმავლობაშიც იგი თავისთავს ვერა და ვერ შეუთანხმდა, მისი აზრები კეთილშობილური იყო, მისი ზრახვები წმინდა...

(გოეთე, ვილჰელმ მაისტერის მოსწავლეობის წლები).

მაგალითი 2.

„...მხოლოდ ყველა ადამიანი შეადგენს კაცობრიობას, მხოლოდ ყველა ძალა ერთად აღებული — მსოფლიოს. მათ შორის ხშირად წინააღმდეგობაა და მაშინ, როცა ისინი ერთმანეთის განადგურებას ცდილობენ, ბუნება ერთიანობას უნარჩუნებს მათ და კვლავ აღადგენს..."

(გოეთე, ვილჰელმ მაისტერის მოსწავლეობის წლები).

მაგალითი 3.

ულრიპს რომ დასჭირვებოდა იმისი თქმა, თუ როგორი იყო იგი სინამდვილეში, უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა... ძლიერი ადამიანი იყო იგი? მან არ იცოდა ეს, და ალბათ, საბედისწეროდ მცდარი წარმოდგენა ჰქონდა ამაზე. მაგრამ იგი ეჭვგარეშე მუდამ ის კაცი იყო, ვისაც საკუთარი ძალისა სჯერა. არც ახლა ეპარებოდა იმაში ეჭვი, რომ ეს განსხვავება საკუთარი განცდებისა და თვისებების ქონასა და მათ უცხოდ დარჩენას შორის მხოლოდ ის განსხვავება თუა, რომელსაც შინაგანი პოზიციის არჩევა განაპირობებს... უბრალოდ თუ ვიტყვით, ადამიანს შეიძლება უფრო ზოგადი ან უფრო პიროვნული დამოკიდებულება ჰქონდეს იმ ამბების მიმართ, რომლებიც მას შეემთხვევა, ან რომლებსაც იგი ჩადის. დარტყმა შეიძლება განვიცადოთ არა მარტო როგორც ტკივილი, არამედ როგორც შეურაცხყოფა, რითაც იგი აუტანლად იზრდება; მაგრამ შეიძლება ის სპორტულადაც მივიღოთ — როგორც დაბრკოლება... [illegible] ამ მოვლენას, რომ განცდა თავის მნიშვნელობას მხოლოდ მისი ადგილის მიხედვით იძენს მოქმედებათა თანმიმდევრულ ჯაჭვში, ავლენს ყველა ადამიანი, რომელიც ამას უყურებს არა როგორც მხოლოდ პირადულ შემთხვევას, არამედ როგორც მისი გონებრივი ძალების გამოწვევას...

(რობერტ მუზილი: უთვისებო კაცი)

ამ სამ ტექსტს, რომელთა რიცხვის გაზრდა განუსაზღვრელად შეიძლებოდა, ისა აქვს საერთო, რომ ისინი რეფლექტორულად „გაჭიანურებულნი" არიან. მაგრამ არის მათში გადახვევა? უხვევენ ისინი „ამბიდან" და გაუჩნდება ადამიანს სურვილი, შესძახოს მათ: „საქმეზე ილაპარაკე?" კითხვის ამგვარი დასმით მივხვდებით, რომ იგი მცდარია. ვითარება კვლავ ნათელი გახდება, თუ მივმართავთ შედარებას სინამდვილისეულ გამონათქვამთან. მხოლოდ მასთან მიმართებაში აქვს აზრი საქმეზე ლაპარაკისკენ მოწოდებას. რადგან ამბავი იქ მუდამ გადმოცემისაგან დამოუკიდებლად არსებობს, და ამიტომ, გადმოცემისა და გადმომცემის გავლენისაგან თავისუფალია. დავუშვათ, ვილჰელმ მაისტერის მაგალითის (1) პირველი წინადადება — „ვილჰელმის აზრები მალე საკუთარ საქმეებს მიუბრუნდა" — სინამდვილისეული გადმოცემაა, რომელშიც ვიღაცა ვიღაცას მისთვის ცნობილი პიროვნების გარკვეულ ცხოვრებისეულ მდგომარეობაზე მოუთხრობს. მისი აზრები რომ საკუთარი საქმეებისაკენ შემოტრიალდა, ეს მან თვით ვილჰელმისაგან შეიტყო. ამ შემთხვევაში მომდევნო წინადადებები გადმომცემის რეფლექსიათა გამოხატულება იქნებოდა, რომლებიც მხოლოდ თვით მას მიემართება, გამოხატავს მის სუბიექტურ შეხედულებებს ადამიანებსა და საგნებზე, რომლებსაც აქ ხსენებულ პიროვნებასა და საქმესთან თავისთავად

არაფერი აქვთ საერთო, და გადაცემის მსმენელს შეეძლო შეეძახებინა მისთვის: „ეს მე სრულებით არ მაინტერესებს, რას ფიქრობ შენ საერთოდ უცაბედ ცვლილებებზე, რომლებიც ადამიანის ცხოვრებაში შეიძლება მოხდეს. საქმეზე ილაპარაკე, რა მოუვიდა ვილჰელმს, და როგორ მოგვარდა მისი საქმეები!“ განა ნამდვილი პიროვნება ვილჰელმი, რომელიც თავისი ცხოვრების ამა თუ იმ მომენტში ასე თუ ისე იყო და მოქმედებდა, უფრო ზუსტად და ღრმად იქნება აღწერილი, თუ მისი ამბის გადმომცემი თუნდაც ასეთ ღრმა, ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიურ დაკვირვებებს დაუკავშირებს მას? (მაშინაც კი, როცა ვცდილობთ ნამდვილი პიროვნების საქციელი მისი ხასიათის ფსიქოლოგიური ინტერპრეტაციით, სოციალურ გარემოებათა გათვალისწინებით გავიგოთ და განვმარტოთ, ეს ინტერპრეტაციები ყოველთვის ჩვენს სუბიექტურ თვალსაზრისს წარმოადგენს და იმ პიროვნებასთან, გამონათქვამის ობიექტთან, არაფერი აქვს საერთო). ჩვენ უშუალოდ ვგრძნობთ, რომ ეს ურთიერთმიმართებანი სრულიად სხვაგვარად წარმოგვიდგება, როცა საქმე გვაქვს რომანის მოქმედ პირ ვილჰელმ მაისტერთან. ჩვენ არ გაგვიჩნდება სურვილი ისეთ დაკვირვებასთან დაკავშირებით, როგორიცაა „ადამიანი არ შეიძლება უფრო სახიფათო მდგომარეობაში აღმოჩნდეს...“ შევახსოთ: „საქმეზე ილაპარაკეო“. რადგან ამ შემთხვევაში იმასაც უნდა გავუწიოთ ანგარიში, თუ რა არის აქ „საქმე“. და როგორც ფიქციური და ისტორიული თხრობის შედარების ჩვენეული მეთოდის გამოყენებით უკვე მთელ რიგ შემთხვევებში დავადგინეთ, ფიქციის მიმართებანი „შეტყობინებას“ არ ექვემდებარება. და როგორც ფიქციის დროული და სივრცული მიმართებები არ ემორჩილება დათარიღებას, რადგან აქ საქმე გვაქვს მხოლოდ დროისა და სივრცის ცნებებთან, და არა თვით მათთან, კითხვა იმის შესახებ თუ რა არის „საქმე“ რომანში, არავითარ ხელმოსაკიდ და ერთმნიშვნელოვან განსაზღვრას არ ექვემდებარება. „ვილჰელმ მაისტერში“ ვილჰელმ მაისტერის პიროვნებას ვერ გამოვყოფთ ამ პიროვნების თხრობისაგან. რადგან მისი არის პირი, რომლის შესახებაც რაღაცაა მოთხრობილი. შეხედულება, რომელიც დაკავშირებულია წინადადებასთან, — რომ იგი მალე თავის საკუთარ საქმეებს მიუბრუნდა და მოუსვენრად გრძნობდა თავს, — არ წარმოადგენს გადმომცემის სუბიექტურ რეფლექსიას და გადახვევას, რომელიც მხოლოდ თვით მასთანაა დაკავშირებული და ვილჰელმთან კი არაფერი აქვს საერთო, არამედ იგი ისევე ემსახურება ვილჰელმის სახის გამოძერწვას, როგორც მონაცემები მისი საქმიანობის, მეტყველებისა და აზროვნების შესახებ. ისევე, როგორც წინადადებაში — „ვილჰელმის ფიქრები მალე მისი საკუთარი საქმისაკენ შემობრუნდა“, — ან უფრო კონკრეტულ სიტუაციურ წინადადებაში იგივე რომანიდან — „გრაფმა მეუღლეს თავისი ხელი შესთავაზა და დაბლა ჩაიყვანა იგი“ (მე-3 წიგნი, მე-2 თავი) — ძნელად გამოვარჩევთ „მთხრობელს“ იმისაგან, რასაც ან რის შესახებაც მოგვითხრობს იგი, ვერც რეფლექტორულ წინადადებაში მივუთითებთ ასეთ ზღვარზე. თუ როგორ ხდება ეს ლოგიკურად, უფრო ნათელი გახდება იმ შემთხვევაში, თუკი I მაგალითს შევადარებთ 3 მაგალითთან — ნაწყვეტთან ჩვენი თანამედროვე მწერლის რობერტ მუზილის „უთვისებო კაციდან“.

ეს ნაწყვეტი იგივე ხასიათისაა, როგორც ნაწყვეტი „ვილჰელმ მაისტერიდან“. თხრობა, რომელიც უშუალოდაა მიმართული ულრიჰზე, აქაც ზოგად ვითარებასა და პრობლემებზე მსჯელობაში გადადის, — დაახლოებით ამ წინადადებიდან: „თუ უბრალოდ ვიტყვით, ადამიანს შეიძლება უფრო ზოგადი ან უფრო პიროვნული დამოკიდებულება ჰქონდეს იმ ამბების მიმართ, რომლებიც

მას შეემთხვევა, ან რომლებსაც იგი ჩადის". ძველსა და თანამედროვე ტექსტებს შორის გარკვეულ განსხვავებას ვამჩნევთ, რაც იმაში მდგომარეობს რომ უკანასკნელში ზოგადი რეფლექსიები თითქოს გარკვეულწილად უფრო მჭიდროდ და შინაგანად უკავშირდება ულრიჰის პიროვნებას, ვიდრე „ვილჰელმ მაისტერის" ტექსტში — ვილჰელმის პიროვნებას. თუმცა, როგორც მუზილის, ასევე გოეთეს ტექსტის მომდევნო წინადადებებში ნაკლებად ეწევა ანგარიში აღწერილი პიროვნების აზრებს, მუზილთან მათ უფრო მეტად აღვიქვამთ ულრიჰის აზრებად, ვიდრე ვილჰელმ მაისტერში — ვილჰელმის აზრებად. მაგრამ ეს განსხვავება არაა პრინციპული, არამედ მხოლოდ სტილისეული, რაც მიგვანიშნებს, რომ მუზილის რომანი გოეთეს რომანზე თანამედროვეა. ჩვენ უკვე მრავალჯერ მივუთითეთ, რომ ფიქციური აღწერის საშუალებანი მე-19 საუკუნის მანძილზე სულ უფრო და უფრო იხვეწება, შინაგანი ყოფის წარმოდგენა სულ უფრო და უფრო მეტად ხდება მოქმედ პირთა პირდაპირი „სუბიექტივირების" საშუალებებით, ე. ი. ფიქციურ პირთა ფიქციური მე-ორიგინობა სულ უფრო მკაფიოდ იკვეთება; ჯოისის გაბედული საშუალებებიც ამ პროცესის შედეგია, მაგრამ, თუმცა წინადადებას — „ვილჰელმის ფიქრები მალე მის საკუთარ საქმეებს მიუბრუნდა და მოუსვენრად გრძნობდა თავს" — უფრო მეტად აქვს გამონათქვამის (პირდაპირი გაგებით) სტილი, ვიდრე წინადადებას: „ულრიჰს რომ დასჭირვებოდა ეთქვა, თუ როგორი იყო იგი სინამდვილეში, უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა... იყო კი ის ძლიერი ადამიანი?". ეს განსხვავება მხოლოდ (გრადუალურია) თანდათანობითია. მხოლოდ მთხრობელის სტილია იმის მიზეზი, რომ მეორე წინადადებას ისე ადვილად ვერ ჩავსვამთ სინამდვილისეულ გამონათქვამში, როგორც პირველს. ამაში მაშინვე იჩენს თავს ფიქციური თხრობის სტილი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, „ვილჰელმ მაისტერის" წინადადება იგივე სტრუქტურული თვისებებით ხასიათდება. გულმოდგინე დაკვირვებისას ისიც ფიქციური თხრობის ისეთ ნიშნებს ავლენს, რომლებიც შეუძლებელია სინამდვილისეულ გამონათქვამს ჰქონდეს, როგორიცაა, მაგ.: „იგი მოუსვენრობას გრძნობდა" (ეს რომ გამონათქვამი იყოს, „გრძნობდა"-ს ნაცვლად „იყო" გვექნებოდა). შინაგანი პროცესის ამსახველი ზმნა ვილჰელმს დაგვანახებს მისი აზროვნების, გრძნობის ფიქციურ „ახლა და აქ" მომენტში, მხოლოდ ცოტა ნაკლები სიძლიერით, ვიდრე ეს თანამედროვე რომანის ფორმაში ხდება. ეს კი ნიშნავს: ვილჰელმის სახე ნაკლებად სუბიექტივირებულია, ვიდრე ულრიჰისა. ამიტომ გოეთეს შემდგომი დაკვირვებანი თითქოს უფრო დაშორებულია მოქმედი პირისაგან, ვიდრე მუზილთან, თუ გნებავთ, უფრო „ობიექტურიც", რადგან თვით მოქმედი პირის სახეც წარმოსახვის უფრო ობიექტურ სტილშია აღწერილი. მაგრამ სტილისეული განსხვავების ეს აღნიშვნა არ უნდა აგვერიოს ობიექტურისა და სუბიექტურის ცნებების საკუთრივ მნიშვნელობაში. სუბიექტურობა თუ ობიექტურობა არ უკავშირდება ავტორს, რომელიც სინამდვილისეულ გადმოცემაში მთხრობელის იდენტურია, მაგრამ არა ფიქციურ თხრობაში (ისევე, როგორც მხატვარი არაა მისი ფუნჯის იდენტური). ეს ცნებები ფიქციაში, როგორც ზემოთ ვნახეთ, უკავშირდება იმ ასპექტს, რომელშიც ფიქციური პირები წარმოგვიდგებიან და ის განსხვავება რომელსაც ვამჩნევთ, თხრობის სტილისეული განსხვავებაა. აქედან გამომდინარე ვერც გოეთესა და ვერც მუზილის ტექსტთან დაკავშირებით ვერ მოვითხოვთ „საქმეზე ილაპარაკეო". რეფლექტორული დაკვირვების ეს ორი ფორმა ინტერპრეტაციული ხასიათისაა და არ არის გამონათქვამი; ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მხოლოდ ხარისხით და არა კატეგორიალურად. და კითხვაზე თუ რა არის „საქმე" რომანში, პასუხს ვერ გავცემთ, რადგან ასეთ კითხვას საერთოდ ვერ დავსვამთ. სწორედ მუზილის მაგალითი, რომელიც ამ თვალსაზრისით გოეთეს მაგალითსაც ამუ-

ქებს, გვიჩვენებს მკაფიოდ, რომ არავითარ შემთხვევაში სინამდვილისეული „ობიექტური ვითარება“, ხოლო რომანისათვის—მოქმედება, მოვლენა, სიტუაცია და ა. შ., რომლებიც რაიმე გზით შეიძლება ჩამოვაცილოთ მათ წარმოსახვას, — არ წარმოადგენს „საქმეს“, „შინაარსს“. ამიტომაც, ჩვენ პრინციპში არ შეგვიძლია რომანის „შინაარსის“ გადმოცემა. ხოლო როცა ჩვენ ამას ვაკეთებთ, ან ვფიქრობთ, რომ ვაკეთებთ, ვცდილობთ გადმოვცეთ რამდენიმე საყრდენი პუნქტი, რომელთა მეშვეობით ჩვენს მეხსიერებაში აღვადგენთ რომანის შინაარსს და არის შემთხვევები, როცა უგრძესი რომანი „შინაარსობრივად“ ერთი წინადადებით შეიძლება გადმოიცეს.

ფიქციურ თხრობაში ჩართული „გაჭიანურებული“ დაკვირვებების ხასიათი შეგვიძლია გავარკვიოთ I მაგალითის მეორესთან შედარების გზით. ესეც „ვილჰელმ მაისტერიდანაა“ ამოღებული, მაგრამ ბრჭყალების მიხედვით იგი დიალოგის ნაწყვეტია: ეს გახლავთ იარნოს დაკვირვება ვილჰელმთან საუბრისას. ზოგადად იგი ისეთივე ხასიათისაა, როგორც I მაგალითი, მაგრამ რაკი ეს დაკვირვება ერთ-ერთი ფიქციური პირის „ბაგეებითაა ამეტყველებული“, წინასწარვე არ მივაკუთვნებთ მას გაჭიანურებული ან გადახვეული თხრობის რუბრიკას. ჩვენ ხომ რომანის დიალოგის სისტემაში ვიმყოფებით, რომელიც ფიქციის სისტემისა თუ არის, ერთ-ერთი ცენტრალური ნაწილია. მაშინვე ჩანს, რომ ეს დაკვირვებანი ნაწარმოების მოქმედ პირს ეკუთვნის და არა მთხრობელს (ავტორის გაგებით). მაგრამ სწორედ ეს ფენომენი წარმოადგენს ერთ-ერთ, თუმც არაპირდაპირ, მაგრამ ამიტომაც მით უფრო დამაჯერებელ საბუთს საიმისოდ, რომ მთხრობელის თხრობაც ფიქციური პირების „საქმეა“ და არა, ასე ვთქვათ, მთხრობელისა. ამის დასადასტურებლად სწორედ გოეთეს სტილია განსაკუთრებულად შესაფერისი. მოქმედ პირთა საუბრები არსებითად არ ამჟღავნებენ სხვა სტილს, ვიდრე თვით თხრობა. ამ ორი მაგალითის დაკვირვებებს ყოველგვარი სიძნელეების გარეშე შეგვიძლია შევუცვალოთ ადგილები: მაგალითი 2 თხრობით გადმოცემად ვაქციოთ, მაგალითი I კი ადგილიდან: „ადამიანი ვერ აღმოხდება უფრო სახიფათო მდგომარეობაში“ დიალოგში შევიტანოთ. ეს ადვილად ხერხდება, რადგან „ვილჰელმ მაისტერის“ დიალოგის სტილი ინდივიდუალიზაციის მცირე ხარისხით ხასიათდება; მაგრამ აქაც საქმე გვაქვს არა არსებით, არამედ მხოლოდ ხარისხობრივ განსხვავებასთან. საზღვარი რომანის თხრობის სუბსტანციასა და დიალოგის სუბსტანციას შორის სუსტადაა აღნიშნული, მაგრამ სწორედ ეს გვიჩვენებს, რომ თხრობის ფუნქცია ბოლოსდაბოლოს სხვა არაფერია, თუ არა დიალოგის ჩამოყალიბება, ისევე, როგორც ცხადია, მონოლოგის და განცდილი მეტყველებისა. თუ საერთოდ შესაძლებელია მოთხოვნა, რომ „მთხრობელი“ შეძლებისდაგვარად გაუჩინარდეს და რომანი დიალოგის სისტემად იქცეს,[47] ეს თეორიულად მხოლოდ იმის გამო იქნებოდა შესაძლებელი, რომ თხრობის ფუნქციაც, უფრო ზუსტად, თხრობის გადმომცემი ფუნქცია, ფიქციური გამოსატვის მთლიანი სტრუქტურის მხოლოდ ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს — და სწორედ ამ მიზეზით შეუძლია შეერწყას გამოსატვის სხვა საშუალებებს. ეს შემთხვევა უპირველეს ყოვლისა განცდილ მეტყველებაში ვლინდება მკაფიოდ.

თუ ზემოთ დროის ფორმებთან დაკავშირებით განცდილი მეტყველება გადამწყვეტი იყო ფიქციური მე—ორიგინობის მიმა-

47. ეს მოთხოვნა შპილჰაგენს პირველს არ წამოუყენებია; ჯერ კიდევ არისტოტელე აქებს ჰომეროსს იმის გამო, რომ იგი თითქმის არ ჩანს „თავად“, ე. ი. მთხრობელის როლში, არამედ მოქმედ პირებს — კაცებსა თუ ქალებს ალაპარაკებს. შპილჰაგენის მიხედვით ეს მოთხოვნა წამოაყენეს ორტეგა ი გასეტ (ფიქრები რომანზე; ჩვენი დროის ამოცანები, შტგტ, 30) და ინგლისელმა რომანისტმა ჰენრი გრინმა (ურთიერთგაგება. Die neue Rundschau, 11).

რთებათა საკითხში და ყველაზე დამაჯერებელ საბუთს წარმოადგენდა საიმისოდ, რომ ფიქციური თხრობა შინაგანი პროცესების აღმნიშვნელი ზმნების მეშვეობით იქმნება, ამჯერად იგი თვით ფიქციური თხრობის ფუნქციის შემეცნებაში გვეხმარება და ეს შემთხვევითი კი არაა, არამედ მჭიდროდ უკავშირდება ზემოხსენებულ მიმართებებს. უკვე არაერთგზის შეგვინიშნავს, რომ განცდილი მეტყველების ფორმას ყოველთვის ვერ განვასხვავებთ მკაფიოდ „მთხრობელის ხმისაგან", ე. ი. ის ზღვარი, სადაც მთხრობელი, ასე ვთქვათ, ლაპარაკს წყვეტს და მოქმედ პირებს გადასცემს სიტყვას, ყოველთვის ზუსტად არ არის მონიშნული.[48] გამოკვლევები, რომლებიც ამ ფორმის გარშემო შუასაუკუნეების მხატვრულ ლიტერატურაზეა ჩატარებული,[49] სწორედ ამ ზღვარზე მიმდინარეობდა, რადგან იმ დროს განცდილი მეტყველება ჯერ კიდევ არ იყო განვითარებული გაცნობიერებული ტექნიკის სახით, არამედ, შეიძლება ითქვას, მთხრობელის უნებლიედ ხდებოდა, მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ ხდებოდა უნებლიედ, რომ შუასაუკუნეების ეპოსის მთხრობელიც — ფიქციური თხრობის ფუნქციაა. ე. ლერხმაც მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომ რომანის მოქმედ პირთა გაცნობიერებული თუ გაუცნობიერებელი ფიქრების გადმოცემას თითქმის შეუმჩნევლად უერთდება მთხრობელის ხმა, რომელიც მათ ფიქრებს მაინც თავისი სიტყვებით ფიქრობს. ცხადია, არ კმარა განცდილი მეტყველების დახასიათება, როგორც მოქმედ პირთა ჩუმი ფიქრების, მათი ცნობიერების ნაკადის მათივე თვალსაზრისით წარმოდგენის საშუალებისა. რა თქმა უნდა, არსებობს ფორმები, სადაც უმთავრესად სწორედ ასეთი შთაბეჭდილება იქმნება:

მას აღიზიანებს მისი ლაპარაკის მანერა — „აქ გახლავთ ჩემი ელიზაბეთი". რატომ არ იტყვის უბრალოდ „ჩემი, ელიზაბეთი"? ეს არ იყო გულწრფელი. და არც ელიზაბეთს მოეწონა. მას ესმის ახალგაზრდებისა; მოსწონს ისინი. კლარისაში ყოველთვის იგრძნობოდა რაღაც სიცივე, გაიფიქრა მან...

(ვირჯინია ვულფი: მისის დელოვეი)

მაგრამ ის ფენა, რომელიც განცდილმა მეტყველებამ შეიძლება დაიკავოს, ხშირად გაცილებით უფრო ფართოა: იგი შეიძლება საერთოდ თხრობის ფუნქციას გაუტოლდეს და მაშინ შეუძლებელია განსაზღვრა. თუ სად უნდა გავავლოთ ის ზღვარი, რომელიც „შინაგან", წარმოსახვის ამ ფორმაში ჩვენს თვალწინ მიმდინარე სულიერ პროცესებს გარეგანი, ე. ი. მაობიექტივირებელი ინტერპრეტაციისაგან ჰყოფს. მუზილის მაგალითზე ეს ფენომენი განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს. ის ზოგადი დაკვირვებანი, რომელთა საგანს არ წარმოადგენს რომანის მოქმედ პირთან ახლომდგომი სხვა პირი, ულრიხსა და მთხრობელს ეკუთვნის. მაგრამ მთხრობელს ეკუთვნის მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი ულრიხს ეკუთვნის, ე. ი. მისი შინაგანი და გარეგანი სიტუაციის დახატვას ემსახურებიან.

აქ მნიშვნელოვანია იმ გარემოების განმარტება, რომ განცდილი მეტყველება ფიქციური თხრობის (როგორც ფუნქციისა და არა როგორც გამონათქვამის) არსს იმიტომ წარმოაჩენს ასე ნათლად, რომ იგი არის ის უკიდურესი შედეგი, რომლის დაბადებაც ფიქციურ თხრობას საკუთარი წიაღიდან ძალუძს და რაც სინამდვილისეული გამონათქვამისათვის მიუღწეველია. ისეთი ფორმიდან, როგორიცაა მუზილის ნაწყვეტი, რომელიც სტრუქტურულად და შინაარსობრივად ვილჰელმ მაისტერის ნაწყვეტს შეიძლება შეედაროს, ჩანს, რომ არც ეს დაკვირვებები ეკუთვნის ფიქციური

---

48. E. Lerch: მეტყველების იმპერფექტის სტილისტური მნიშვნელობა. Die stilistische Bedeutung des Imperfets der Rede GRMVL 470 ff.

49. W. Günther: Probleme der Rededarstellung (122).

ხდომილებისაგან დამოუკიდებელ დამკვირვებელსა თუ მთხრობელს, არამედ რომანის მოქმედი პირის გამოკვეთას ემსახურება, თუმცა ფორმალურად ნაკლებადაა მასთან დაკავშირებული. ვილჰელმსაც ისევე ნაკლებად შეიძლება ეწოდოს „საქმე", რომლიდანაც მთხრობელმა შეიძლება გადაუხვიოს, როგორც ულრიჰსა და პეტერ უოლმს (მისის დელოვეი); გადაუხვიოს ისე, როგორც გადაუხვევდა თხრობა, ეს რომ ნამდვილი ამბავი, კერძოდ, ნამდვილი პიროვნება ყოფილიყო, ხოლო თვით თხრობა—არა ფიქციური, არამედ ისტორიული. ულრიჰისა და პეტერ უოლეის შემთხვევაში რომ ამ უკანასკნელი ვარაუდის დაშვება საერთოდ შეუძლებელია, ეს აიხსნება სწორედ თხრობის ამ სტილთა ფორმით, რომელიც წინასწარვე ახდენს ფიქციონალიზაციასა და სუბიექტივიზაციას; მაგრამ პრინციპული და სტრუქტურული განსხვავება მათ შორის **არ არის.**

ეს უფრო ნათელი გახდება, თუ კიდევ ერთხელ გადავავლებთ თვალს ჩვენს პირველ ორ მაგალითს — ბერგენგრუენისა და კლაისტის ტექსტებს. მაშინ დავინახავთ, რომ თხრობის ვრცელი რეფლექტორული გაშლა ბოლოსდაბოლოს სხვა არაფერია, თუ არა გავრცობა თვით თხრობის ფუნქციისა, რომელიც ამ ნაწყვეტებისაგან მხოლოდ სტილით განსხვავდება და არა კატეგორიალურად. როცა კლაისტის ნაწყვეტში ვკითხულობთ: „და იგი უდიდესი თვითკმაყოფილებით ფიქრობდა, თუ რა გამარჯვება მოიპოვა ძმაზე თავისი უდანაშაულობის შეგნების ძალით",—ცხადია, უფრო გულდასმით უნდა მივაყურადოთ, რათა შევნიშნოთ, რომ თხრობა და მონათხრობი აქაც ერთმანეთს ერწყმის და ძნელი დასადგენია, სად გადის ის ზღვარი, რომელიც ერთგვარად დამოუკიდებლად მიმდინარე სულიერ პროცესებს, მარკიზას ფიქციურ ცხოვრებას მთხრობელის ინტერპრეტაციისაგან გამოჰყოფს. და ეს საზღვარი არც შეიძლება იყოს მოცემული, რადგან იგი არ არსებობს. სულიერი პროცესების ინტერპრეტაციები ისევ სულიერ პროცესებს წარმოადგენენ, სხვა მაინტერპრეტირებელი სიტყვა — როგორც უკვე ზემოთ სხვა კუთხიდან დავინახეთ — სხვა სულიერ პროცესებს გამოიწვევდა. რადგან ისინი არსებობენ მხოლოდ იმის ძალით, რომ მოთხრობილნი არიან. თხრობა არის ხდომილება, ხდომილება არის თხრობა. და ეს ერთნაირად ითქმის როგორც გარეგანი, ასევე შინაგანი პროცესების თხრობაზე.

ამ გარემოების კიდევ ერთხელ ნათელსაყოფად მოვიყვანთ ფონტანეს ნაწყვეტს, რომელიც ბერგენგრუენის ნაწყვეტისაგან გარეგანი სიტუაციის აღწერის ძალზე დაწვრილებითი ხასიათით განსხვავდება და გარდა ამისა, ფიქციონალიზაციის უფრო ძლიერ თვისებებსაც ავლენს. გარეგანი სიტუაციების წარმოდგენისას ასეთი თვისებები ახალ ტექსტებში საცნაურია, უპირველეს ყოვლისა, დეიქტიკური ზმნიზედების გამოყენებით, როგორიცაა: „დეკორაცია ისეთივე იყო, როგორიც გუშინ", და აგრეთვე ქცევისა და მოძრაობების, მოკლედ, გაცოცხლებული „დეკორაციის" დაწვრილებითი აღწერით, ასეთ აღწერებში უფრო ნაკლებადაა შესაძლებელი მთხრობელისა და მოთხრობილის შერწყმა, მათი იდენტურობა, რადგან იმთავითვე სწორედ ამ იდენტურობას აღვიქვამთ, ე. ი. ზუსტად ვერ განვასხვავებთ ერთმანეთისაგან ინტერპრეტაციული ხასიათისა და უფრო ინფორმაციული ხასიათის აღწერის მომენტებს. ეს კი სწორედ იმის შედეგია, რომ ის, რაც მოთხრობილია, ფიქციურია. ისეთი ზედსართავები, როგორიცაა, მაგალითად, „უფაქიზესად" გამოწყობილი, „უშინაარსო" გაზეთები და სხვა, აღწერილ საგნებთან იმდენად დაკავშირებული თვისებებია, რომ თვით საგნის დასახელებისაგან განსაკუთრებული ინტერპრეტაციული ძალით არ გამოირჩევიან (როგორც ამას მეტ-ნაკლებად ექნებოდა ადგილი სინამდვილისეულ გამონათქვამში, სადაც ამ ცნებებს საპირისპირო შეფასება შეიძლება მიეცეს — გაზეთი ერთმა შეიძლება უშინაარსოდ მიიჩნიოს, მეორემ კი — შინაარსით მდიდრად). მაგრამ ტექსტის ეს პატარა ნაწყვეტი მა-

ინც შეიცავს ერთ მომენტს, რომლის მეშვეობით აქაც შევიცნობთ თვით ამ შერწყმის პროცესს და რომელიც ბევრს გვეუბნება ფონტანეს განსაკუთრებულ სტილზე, რაც შემთხვევითი არ არის. წინადადება — „მხოლოდ კაკადუს ნაცვლად, რომელიც ჯერ არ ჩანდა, გარეთ ქ-ნ ჰონიგს კომერციული მრჩევლის გოშიასავით საყელურში ჩაევლო ხელი და აუზის ირგვლივ დაასეირნებდა“ — უნებურ ღიმილს გვვვრის. ჩვენ ამას ჰუმორისტულად აღვიქვამთ. მაგრამ ეს ჰუმორისტული სტილის სხვა სახეა, ვიდრე ჟან პოლისა. იგი ხორციელდება არა თხრობის ფუნქციის თამაშით საკუთარ თავსა და ფიქციასთან. ფონტანეს წინადადება სავსებით „საქმიანია“. კაკადუ ჯერ აქ არ იყო, გარეთ ჰონიგი დასეირნობდა გოშიათი. ჩვენს ღიმილს იწვევს მხოლოდ ერთი პატარა სიტყვა — კავშირი „ნაცვლად“, ასე თავისებურად რომ აკავშირებს ერთმანეთთან კაკადუსა და ქალს. ხოლო ასეთი წინადადება: „კაკადუს ნაცვლად ჩანდა გოშია“ — არავითარ ღიმილს არ გამოიწვევდა, ადამიანის ცხოველთან ამგვარი ხერხით გათანაბრება კომიკურ-ჰუმორისტულ ზემოქმედებას ახდენს. მაგრამ ეს ჰუმორი ფარულია, რადგან იგი საბოლოოდ მიმართულია კომერციული მრჩევლის ტრაიბელის მეუღლეზე, რომლის ბურჟუაზიული შეხედულებით საზოგადოებისეული ცხოველი და საზოგადოებისეული მანდილოსანი მომსახურების ერთსა და იმავე საფეხურზე დგანან, ისევე, როგორც იმავე წინადადებაში ჰონიგი მრჩევლის მეუღლის საზოგადოებისეულ ცხოველს, გოშიას ემსახურება. ინტერპრეტაციული ხასიათის ჰუმორი აქ ერთადერთ პაწაწინა სიტყვაზე, კავშირზეა დაყვანილი და ორგანულად ერწყმის ინფორმაციული ხასიათის აღწერას.

მაგრამ განსახილველი გვრჩება თხრობითი მხატვრული შემოქმედების კიდევ ერთი ფორმა — სწორედ ის, რომელიც თითქოს ეწინააღმდეგება ჩვენს ანალიზსა და ფიქციური თხრობის განსაზღვრას: დიალოგი.

„ვილჰელ მაისტერის“ მაგალითთან დაკავშირებით, რეფლექტორული სტილის თაობაზე აღვნიშნეთ, რომ ვოლეს რომანში თხრობის სუბსტანცია სუსტად გამოიყოფა დიალოგის სუბსტანციისაგან. და რა თქმა უნდა, სწორია, რომ ასეთ რომანებში, სადაც დიალოგი ინდივიდუალიზაციის ძლიერი საშუალებაა, განსხვავება ამბის გადმოცემასა და მოქმედ პირთა საუბრებს შორის უფრო მკაფიო და შესამჩნევია.

ფონტანეს რომანები, რომლებიც ცნობილია საუბრებით, შესაფერის მაგალითს იძლევიან საამისოდ. მაგრამ ეს მოვლენა იმდენად ზოგადია და ისე მკაფიოდ და წინა პლანზე დგას რომანის კითხვისეულ განცდაში, რომ აქ არ გვჭირდება განსაკუთრებული მაგალითის მოყვანა. დიალოგი, ყოველ შემთხვევაში, ერთი შეხედვით, იმდენად გამოიყოფა საკუთრივ თხრობისაგან, აღწერილობითი ან რეფლექტორული გადმოცემისაგან, რომ უკანასკნელის შერწყმის ჩვენება გამოხატვის სხვა ფორმებთან, უპირველეს ყოვლისა განცდილ მეტყველებასთან, განზოგადების ძალას მოკლებული ჩანს. და მაინც შესაძლებელია იმისი ჩვენება, რომ ჩვენი კითხვისეული განცდის ეს ერთგვარად ტრადიციული აღწერა და ამდენად რომანის სტრუქტურა, ნამდვილ ფენომენს არ შეესაბამება. თუ ჩავუკვირდებით ჩვენს კითხვისეულ განცდას, დავრწმუნდებით, რომ ჩვენს გონებაში არ აღიბეჭდება შესამჩნევი განსხვავება რომანის თხრობისა და დიალოგის სუბსტანციას შორის. ეს იმას არ ნიშნავს, რომ კითხვისას ვერ შევამჩნიოთ და ყოველ წუთში ვერ განვსაზღვროთ, თუ რა არის თხრობა და რა არის დიალოგი. ეს ფენომენი სხვა ხასიათისაა, კერძოდ კი იმას ემყარება, რომ თხრობის ფუნქცია განსაკუთრებული ხასიათის ცვალებადობას ამჟღავნებს. ჩვენ უკვე დავაკვირდით, თუ როგორ ხდება ეს განცდილ მეტყველებაში, სადაც თხრობის ფუნქცია თითქოს მოქმედ პირში უჩინარდება, მის მიერ შეიწოვება, ისე, რომ შეუძლებელი ხდება გარჩევა, „თვითმოქმედებით“ წარმოადგენს პერსონაჟი თავის თავს, თუ

ავტორის მიერაა წარმოდგენილი. მხოლოდ ეს არის განსაკუთრებულად გამოკვეთილი კრიტერიუმი. ფიქციურ თხრობას მსვლელობის ყოველ წამში მისი კვალი აჩნია, რადგან იგი ყოველ წამში მეტნაკლებად აზრით აღბეჭდილ ყოფას ქმნის. ამასთან, იგი ამ ყოფას, მოქმედ პირებსა და მათ სამყაროს, ხან უახლოვდება, ხან შორდება, ხან მთლიანად ერწყმის მათ, შემდეგ ისევ უკან ისევს, მაგრამ ისე, რომ „არ ჰკარგავს მათ მხედველობის არედან", და ამიტომ ყოველგვარი სიძნელისა და მათში შეჭრის გარეშე ძალუძს მთლიანად განაწილდეს მათში. დიალოგსა და მონოლოგში ეს კიდევ უფრო სრულად ხდება, ვიდრე განცდილ მეტყველებაში. ისევე, როგორც იმისი მოხსენიება არაა საჭირო, რომ ეს სამი ფორმა ერთმანეთს ენათესავება და სხვადასხვაგვარი დოზირებითა და ნიუანსირებით ფიქციური თხრობის თავისებურებას გამოხატავენ. ისინი ხომ ყველაზე მტკიცე საბუთს წარმოადგენენ საიმისოდ, რომ ეს თხრობა წარსულის თხრობა კი არ არის, არამედ მუდამ აწმყოს ილუზიას იწვევს. დიალოგის აუტოხთონური ადგილი, ისევე როგორც განცდილი მეტყველებისა, მესამე პირით თხრობაში, წმინდა ფიქციაშია. რადგან, მხოლოდ აქ ახასიათებს თხრობას ისეთი ცვალებადობა, რომ „გადმოცემა" (როგორც იტყვიან ხოლმე) და დიალოგის სისტემა თხრობის ფუნქციაში ერთიანდება. და ეს მხოლოდ იმიტომ ხდება, რომ თხრობაც ფიქციურია და ყოველ წამს მზადაა, ფიქციურ პერსონაჟებად იქცეს. თუ უფრო გულდასმით დავაკვირდებით დიალოგის ფუნქციას, დავინახავთ, რომ იგი თავისთავად ეპიკური თხრობის ფუნქციის „უპირო" ხასიათის დადასტურებაა, სახელდობრ, მხოლოდ ერთი იმ ფორმათაგან, რომლებიც თხრობამ შეიძლება მიიღოს. ეს იმაში ჩანს, რომ საუბარმა არა მარტო პირები უნდა წარმოადგინოს მათ აქ-და ასეყოფაში, არამედ იგი დიდი ზომით ტვირთულობს თხრობის წმინდა აღწერილობით ფუნქციასაც. რომანში ჩვენ არა მარტო გადმოცემით ვიღებთ წარმოდგენას მიმართებებზე, გარეგან სიტუაციებსა და მოვლენებზე, არამედ საუბრების მეშვეობითაც. და ეს თამამად ითქმის დასავლური ეპოსის მამამთავარზე — ჰომეროსზე, რომელიც არისტოტელემ სწორედ ამის გამო განაცალა განსაკუთრებულად. გოეთე, რომელმაც რიჩარდსონის ეპისტოლარულ რომანებში ეპიკური პოეზიის დრამატიზირების ნიშანი დაინახა, შეძლებისდაგვარად შეცვლიდა რაფსოდის განსაზღვრას, უყურადღებოდ რომ არ დაეტოვებინა ეს მოვლენა ჰომეროსთან. თუკი მთხრობელი, როგორც არისტოტელე ამბობს, შეძლებისდაგვარად ნაკლებად ლაპარაკობს „თვითონ", და მოკლე შესავლის შემდეგ მაშინვე კაცი ან ქალი გამოჰყავს (პოეტიკა, 24-ე თავი), — განა იგი მართლაც ის არის, „ვინც სრულიად წარსულს წარმოადგენს, ბრძენკაცი, რომელიც მშვიდი გონებით ავლებს მომხდარს თვალს" (გოეთე, 1797, დეკემბერი)? სწორედ თვით ჰომეროსი უარყოფს თხრობის ამ განსაზღვრას მთხრობელით, რაც მხატვრული შემოქმედების თეორიებში დღევანდლამდეა შემორჩენილი ცოტად თუ ბევრად შეცვლილი ფორმით. ჰომეროსის ეპიკურ ნაწარმოებებში თხრობის მასალა თითქმის მთლიანად განაწილებულია მეტყველებასა და რეპლიკებში, პირველი პირით თხრობასა და მონოლოგებში. ეს მეტყველებანი რომ თანამედროვე ეპოსივით სულიერი პროცესების ფსიქოლოგიურ-ეგზისტენციალური წარმოდგენა არ არის, ანტიკური ეპოსის ხასიათთანაა დაკავშირებული, სადაც მოვლენები კი არ აისახება მოქმედ პირთა გულისათვის (რაც სიმპტომატური, ან სულაც სიმბოლურია), არამედ პირიქით — მოქმედ პირთა ფუნქციაა, იყვნენ მოვლენათა მატარებელნი, მოქმედი სამყაროს წევრები. მაგრამ ამჯერად ჩვენთვის ეს არაა არსებითი. ჩვენთვის საყურადღებოა ის გამოცდილება, რომელსაც დასავლური ეპოსის მამამთავარი გვაზიარებს, რომ ხდომილების მასალის განაწილება მოლაპარაკე პირებსა და „მთხრობელზე" ამ უკანასკნელს ძარცვავს სწორედ იმ ხასიათისაგან, რომელსაც ამ ცნე-

ბას შეცდომით უკავშირებენ, ამ მცდარ გაგებას კი თვით ცნებამაც შეუწყო ხელი. როცა გოეთე გარკვეულწილად უარყოფს თავის პირველ განსაზღვრას რამდენიმე წინადადების შემდეგ: „რაფსოდი, როგორც მაღალი არსება, თავის ლექსში თავად არ უნდა გამოჩნდეს; იგი უმჯობესია ფარდის უკან კითხულობდეს, ისე, რომ მსმენელისათვის ყოველგვარი პიროვნულობისაგან აბსტრაგირებული იყოს და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდეს, თითქოს მუზების ხმას ვესმენდეთ“ — ამაში სწორედ ის იგრძნობა, რომ „რაფსოდი“, თუ ჩვენი ტერმინოლოგიით ვიტყვით, არ არის გამონათქვამის სუბიექტი და იმას, რაც თხრობის პროცესში იძერწება, მთხრობელთან, რაფსოდთან არაფერი აქვს საერთო, სწორედ ისე, რომ „ჩვენ მხოლოდ მუზების ხმა ჩაგვესმის“, ანუ „თხრობის სული“, როგორც თანამედროვე ეპიკოსი თომას მანი ამბობს. ღიახ, უკვე ჰომეროსისეულ თხრობის ფორმაზე სავსებით ნათლად ჩანს, რომ ფიქციური თხრობა არის ფუნქცია, რომელსაც ძალუძს ხან ერთი, ხან მეორე ფორმის მიღება, თხრობის იმ ლოგიკისაგან დამოუკიდებლად, რომელიც მართავს სუბიექტის გამონათქვამს ობიექტის, შესაბამისად საგნობრივი ვითარების შესახებ. ეს იმიტომ, რომ ეს ლოგიკა აფერხებს, გადმოცემული ხდომილება მესამე პირთა დიალოგში აისახოს ან სულაც მონოლოგიდან გახდეს ცნობილი. ვინც ჰომეროსის ეპოსში (დიდსულოვანი სურვილით) ლაპარაკობს, ისევე ნაკლებადაა ობიექტი გამონათქვამისა ამის შესახებ, რომ იგი ლაპარაკობს ისე, როგორც დრამაში მოლაპარაკე, თუმცა ნათქვამს წინ უძღვის მითითება, რომ ის ლაპარაკობს. ეს მითითება შეიძლება არც იყოს (თუმცა ჰომეროსთან არა, მაგრამ ახალ რომანულ ლიტერატურაში ეს საკმაოდ ხშირია), რაც იმისი მაჩვენებელია, რომ, თუ ცოტა გაზვიადებულად ვიტყვით, ფიქციურ თხრობაში თხრობა არ არის მთავარი. ეს ნიშნავს: თხრობა არის გამოხატვის ფუნქცია, მიმეტური ფუნქცია, რომლის შესახებ ასევე შეიძლება ითქვას, რომ იგი გამოიყენება გამოხატვის სხვა ფუნქციებთან — დიალოგთან, მოწოლოგსა და განცდილ მეტყველებასთან ერთად; უფრო ზუსტად, თავისი ცვალებადობის პროცესში იგი ხან ერთ ფორმას იღებს და ხან მეორეს.

რამდენიმე მაგალითზე უნდა ვაჩვენოთ, თუ როგორ ერწყმის ეს ფორმები ერთმანეთს თხრობითი ფიქციის ქსოვილში, ისე რომ კითხვისას სრულებით არ ვაცნობიერებთ განსხვავებას გადმოცემასა და დიალოგის სისტემას შორის.

მაგალითი 1.

„მშვენიერია, ჭეშმარიტად პოეტური“, სწრაფად აიღო სიტყვა სორტიმ, „მაგრამ დადგმას“ — „ხელს არავინ მოჰკიდებს“ — აფეთქდა რუპრეპტი. — „ძალზე ბევრი გარდაქმნებია“, — გამოთქვა აზრი მეორემ. „არც ერთი ბრწყინვალე გასვლა. მაგრამ რა საერთო აქვს მთელ ამ დაეიდარაბას ჩემს ლექსთან?“ — პოეტური უმანკოებით იკითხა გაკვირვებულმა ოტომ. „ექნება, ჩემო ძვირფასო“, — მიუგო აუღელვებლად სორტიმ, „თანდათან, რაც უფრო მეტად გაეცნობით სცენას“. ახლა ყველამ რვეულში ჩარგო ცხვირი და თითოეულმა თავისებურად დაუწყო კირკიტი. დიალოგი მეტისმეტად ფანტასტიური იყო, მას კიდევ ერთხელ ესაჭიროებოდა გადამუშავება, გაბუნებრივება. გმირი კი, პირიქით, ძალზე მარტივი ჩანდა, ქალი — მეტისმეტად შეყვარებული. ოტომ ველარ აიტანა, გოგონას ეს სახე მისთვის ყველაზე ძვირფასი იყო, მას, როგორც ეს ხშირად ემართებათ ხოლმე ახალგაზრდა პოეტებს, წერისას თანდათან თვით შეუყვარდა იგი. „ყოველივე ძვირფასი, იდუმალი, მართალი და საუკეთესო, რაც კი ვიცოდი, ამ ნაწარმოებში ჩავაქსოვე და ერთ ასოსაც არ შევცვლი მასში“. და მან ხელნაწერი განრის-

ხებულმა დაახეთქა მაგიდაზე, სწრაფად გავიდა ბალში და ცოტა რომ გაიარა, მოეჩვენა, რომ მსახიობებმა სიცილი დააყარეს (ჰიხენდორფი: პოეტები და მათი შეგირდები).

მაგალითი 2.

სასტუმრო გარეგნულად ძალზე ჰგავდა იმ სასტუმროს, კ. რომ ცხოვრობდა. სოფელში თითქოს საერთოდ არ იყო დიდი განსხვავება, მაგრამ პატარ-პატარა სხვაობებს მაინც მაშინვე შეამჩნევდით, კიბეს სახელური აუყვებოდა, კარის ზემოთ ლამაზი ფარანი იყო მიმაგრებული. როცა შიგ შევიდნენ, მათ თავზე რაღაც აფრიალდა, ეს იყო დროშა საგრაფოს ფერებით. ტალანში მაშინვე პატრონი შემოეგებათ, რომელიც, ეტყობა, ჩამოვლაზე იყო; წვრილი თვალებით, გამომცდელი თუ ნამძინარევი მზერა შეაგლო კ-ს, გვერდით რომ ჩაუარა და თქვა: „ბატონ მიწისმზომელს მხოლოდ ტრაქტორამდე შეუძლია შემოგყვეთ". „რა თქმა უნდა", მიუგო ოლგამ, რომელმაც მაშინვე იკისრა კ-ს მეურვეობა, „მხოლოდ მაცილებს". კ. კი უმადურად ჩამოშორდა ოლგას და პატრონი გვერდზე გაიხმო. ოლგა ამასობაში მოთმინებით ელოდა ტალანის ბოლოში. „აქ სიამოვნებით გავათევდი ღამეს", თქვა კ-მ. „სამწუხაროდ ეს შეუძლებელია", მიუგო პატრონმა. „გეტყობათ, ჯერ არ იცით. სახლი მხოლოდ სასახლის ბატონებისთვისაა განკუთვნილი..." (კაფკა. სასახლე).

მაგალითი 3.

როცა მეორე დღის შუადღეზე დუშკამ ეკატერინა ივანოვნასთან შეიარა და დიაკვანი იკითხა, ისეთი სერიოზული იყო და ისე ფხიზლად გამოიყურებოდა, რომ ქალს ეს მაშინვე თვალში ეცა; კიდევ უფრო სერიოზული გახდა, როცა გაიგო, რომ დიაკვანი დილაადრიანადვე წასულიყო და მხოლოდ სამხრობისას დაბრუნდებოდა. საღამოს კი ისევ წასასვლელიაო. „როდის იქნება ეს სამხრობის დრო?" იკითხა დუშკამ ნახევრად თავისთვის, ნახევრად ეკატერინა ივანოვნას გასაგონად და შემდეგ გადაწყვიტა, შვიდი საათისთვის კიდევ ერთხელ მაცადაზედი.

როცა ნაშუადღევის მეცადინეობის დაწყების წინ კიდევ ერთხელ წავიდა სახლში, ქუჩიდანვე დაინახა, რომ ილია თავისი ოთახის ფანჯარასთან იდგა. და ის-ის იყო, კარი მიიხურა, ილიამ კარზე მიუკაკუნა და შევიდა. ქალს იგი ჩვეულებრივზე ფერმკრთალი ეჩვენა, მისალმებაც ნაჩქარევი იყო. „ნახე?" ჰკითხა მან. „არა, გასული იყო, სოფელში..." მოესმა, რომ კაცმა შენობით მიმართა... „ღღეს გავემგზავრები", თქვა მან. ქალმა შიშნეულად შეხედა.

(ედზარდ შაპერი: უკანასკნელი ადვენტი).

ეს ტექსტები, რომლებიც არც თუ ისე პატარა უნდა ყოფილიყო, რათა ჩვენთვის საინტერესო ფენომენი თვალსაჩინო და გასაგები გაგვეხადა, ნებისმიერადაა შერჩეული. ყველასათვის ნათელია, რომ ისინი ოხრობითი მხატვრული შემოქმედებისათვის პარადიგმატულია, რაგინდ განსხვავებულიც არ უნდა იყოს მათი სტილი, შინაარსი თუ ლიტერატურული დონეც კი. თითოეული მათგანი გადმოცემისა და დიალოგის შეერთების თავისებურ სტილს ავლენს. სამივესათვის კი ისაა საერთო, რომ შესაბამისი მასალა (რომანის მოცემული ნაწყვეტისა თუ მიმართებისა) ნაწილობრივ გადმოცემის სახით, ნაწილობრივ კი საუბრის ფორმითაა მკითხველამდე მოტანილი. რა თქმა უნდა, შეგვიძლია ყოველივე ეს „სტატისტიკურად" გამოვსახოთ, ორი რუბრიკის ქვეშ მოვათავსოთ; მაგრამ ეს არაა საჭირო. უშუალოდაც ვხედავთ, რომ თითოეულ ამ ტექსტში (და ყოველ მათგანში თავისებურად), გადმოცემასა და დიალოგის პარტიას შორის ისეთი მჭიდრო შინაარსობრივი და სტილისტური კავშირია, რომ შეგვიძლია ვთქვათ: ზუსტი ფსიქოლოგიური

მნიშვნელობით — ისინი ერთ ესთეტიკურ მთლიანობად არიან შერწყმულ-შენივთებულნი; მაგრამ ამ სამ ტექსტს შორის მაინც შეინიშნება განსხვავება შერწყმის ხასიათისა და ხარისხის მიხედვით. ისეთი შთაბეჭდილება გვექმნება, რომ კაფკას ტექსტში გადმოცემა და დიალოგის პარტია ისე ორგანულად არ გადადის ერთმანეთში, როგორც აიჰენდორფისა და შაპერის ტექსტებში. ამას თავისი მიზეზი აქვს, რაც თვით ფენომენზე არ ახდენს რაიმე გავლენას.

ნაწყვეტში კაფკას „სასახლიდან" საქმე გვაქვს რაღაც საგნობრიობის — კიბის მოაჯირით, ფანრითა და საგრაფოს დროშით შემკული სასტუმროს წარმოსახვასთან. მოქმედი პირების — კ-ს, ოლგასა და სასტუმროს პატრონის საუბარი უშუალოდ მიმართულია არა სახლის გარეგნულ იერზე, არამედ იმ განსაკუთრებულ გარემოებაზე, რომ კ-ს იქ ღამის გათევა არ შეუძლია, რადგან იგი სასახლის ბატონებისთვისაა განკუთვნილი. მაგრამ მიუხედავად გადმოცემასა და საუბრის შინაარსს შორის არსებული ამ ზღვრისა, ეს შინაარსი ერთადერთ მთლიან კომპლექსად გვევლინება. საუბარში გრძელდება ამ უსიამოვნო სასტუმროს სახის გამოკვეთა, მისი „შიდა სადგომის" დახასიათება, რაც გადმოცემაში შემზადებულია სიტყვებით: „დიდი განსხვავება არ იყო, მაგრამ პატარ-პატარა სხვაობებს მაინც მაშინვე შეამჩნევდით".

თუ აქ გადმოცემა და საუბარი ძალზე ოსტატურადაა შერწყმული უამური, გამოუცნობი გარემოს დასასატავად — და განა ეს საერთოდ კაფკას შემოქმედების აზრი და სტილი არ არის? — 1 და 3 ტექსტები გადმოცემისა და საუბრის ერთიანობის გაცილებით უფრო მარტივ, ტრადიციულ მაგალითებს გვთავაზობენ. მათ საუკუნეზე მეტი აშორებს ერთმანეთისაგან და სწორედ ამიტომ გამოგვადგება ფიქციური თხრობისათვის დამახასიათებელი ამ არსობრივად აუცილებელი თვისების დასაბუთებლად. აიჰენდორფის წაწყვეტშიც „პოეტები და მათი შეგირდებიდან" მასალა თხრობასა და დიალოგზეა განაწილებული. მაგრამ ეს განაწილება აქ თანაბარია. აქ ვითარება ემოციური სასიათისაა, მოსაუბრეები — მსახიობები და ოტო — ყველა თავისებურად შინაგანადაა შერეული იმ საქმესთან, რომელზეც ტექსტშია ლაპარაკი: ესაა ოტოს პირველი ნაწარმოები, რომელიც მსახიობთა განსასჯელად მოუტანია. გადმოცემის ლექსიკური მარაგიც საქმის სათანადო განცდაზეა მიმართული და არა თვით საქმეზე, როგორც კაფკას მაგალითში: „გაოცებული ოტო, პოეტური უმანკოებით, განურჩევლად, კირკიტი, აფეთქება" და სხვ. რაც მთავარია, საქმისადმი დამოკიდებულება გადმოცემითაა გამოხატული, იქნება ეს არაექსპლიციტურად მოცემული საუბრის შინაარსი: „დიალოგი ძალზე ფანტასტიური იყო, ქალი მეტისმეტად შეყვარებული", თუ ახალგაზრდა მწერლის სულიერი განწყობილების შინაარსი: „გოგონას ეს სახე მისთვის სწორედ რომ უძვირფასესი იყო..." ნათქვამი, ნაფიქრი თუ ნაგრძნობი — მაშასადამე საუბარი და გადმოცემა — განუყოფლად გადადის ერთმანეთში და სულიერი საწყისით აღბეჭდილი სცენის სურათს ქმნის.

მსგავსად, მაგრამ მაინც სხვაგვარადაა აგებული ნაწყვეტი შაპერის „უკანასკნელი ადვენტიდან", ეს არის პროცესის ისეთი უბრალო, ბუნებრივი წარმოსახვა, რომ გამოცემასა და მეტყველებას შორის განაწილებულ თვით ამ პროცესის კომპონენტებს თითქმის ვერ გამოვყოფთ დუშკას მიერ მათი აღქმისაგან. ეს კიდევ იმითაა გაძნელებული, რომ პროცესის ერთი ნაწილი ირიბი მეტყველებითაა მოთხრობილი, ე. ი. საუბრის სახითაა გადმოცემული, რის შედეგადაც აღარც პირდაპირი მეტყველება გამოიყოფა მკვეთრად გადმოცემისაგან. ეს უკანასკნელი კი თავის მხრივ საუბრის ჟღერადობას ინარჩუნებს და შინაგან მეტყველებაში მთლიანად განზავების გარეშე დუშკას მოუსვენარი და აფორიაქებული სულის შთაბეჭდილებას უფრო გვიტოვებს, ვიდრე თვით პროცესისას.

ახლა უნდა გამოვიკვლიოთ, თუ რა ფუნქციას ასრულებს ფიქციურ თხრობაში „ირიბი მეტყველების ფორმა", რომელიც შაპერის მაგალითში ასეთი სიძლიერით ემსახურება გადმოცემისა და დიალოგის შერწყმას. განცდილი მეტყველებისაგან იგი იმით განსხვავდება, რომ არა მარტო ნაფიქრის, არამედ ნათქვამის, გამოთქმულის შინაარსსაც გადმოგვცემს და მისგან, უპირველეს ყოვლისა, თვით ფორმით, შემომყვანი ზმნის დასახელებით განსხვავდება. მაშინ, როცა განცდილი მეტყველება მხოლოდ და მხოლოდ ფიქციურ თხრობაში გვევლინება გამოხატვის ერთ-ერთ ფორმად, ირიბი მეტყველება, როგორც ცნობილია, ხშირად გვხვდება ისტორიულ თხრობაში, უფრო მეტიც — იგი აქ ერთადერთი კანონიერი ფორმაა მესამე პირთა გამონათქვამის გადმოსაცემად. მაგრამ თუმცა თხრობის ეს კატეგორიალურად განსხვავებული ორი ხერხი ამ ფორმაში თითქოს ასე ახლო შეხებაში მოდის, ეს კი არ შლის ზღვარს მათ შორის, არამედ ზღვარი კვლავ მკაფიო რჩება. ცხადია, საჭიროა ძალზე მძაფრი მიყურადება, ზუსტი განსხვავება, რომ ის შევნიშნოთ. ამაში კი თვით პირდაპირი მეტყველება გვეხმარება, რომლის ერთადერთი კანონიერი ადგილი ისევ და ისევ ფიქციურ თხრობაშია. როცა სინამდვილის ამსახველ გამონათქვამში მესამე პირის სიტყვებს არაპირდაპირი ფორმით გადმოვცემთ: მან თქვა, რომ ყველა ბილეთი გაყიდულია, ან ორმაგი ფორმით: მან თქვა, რომ როგორც მან გაიგო, ყველა ბილეთი გაყიდულია; ან მრავალ პირს შორის დისკუსიის გადმოცემითაც კი: მან თქვა, რომ საქმე ასე და ასეა, ის პირიქით ფიქრობს, რომ საქმე სხვაგვარადაა — ჩვენ არ ვცდილობთ, ამ გადმოცემაში პირდაპირი მეტყველება შევუნაცვლოთ ირიბს. რადგან ჩვენ თვითონ რეფერენტებად ვერთვებით რეფერირებულ მეტყველებაში. ამას ვაღწევთ შემომყვანი ზმნის დასახელებით და, ლიტერატურულ გერმანულში — კონიუნქტივის გამოყენებით. ორივე კი ნიშნავს: მე გადმოვცემ იმას, რაც სხვამ თქვა, ასე ვთქვათ, პასუხისმგებლობას არ ვიღებ თავზე. საქმის ვითარების მიმართ მეტ-ნაკლებად ხაზგასმული დამოკიდებულება ყოველთვის იგრძნობა დამოკიდებულ მეტყველებაში, ამასთან, ეს დამოკიდებულება შეიძლება ან [illegible] იყოს უფრო მეტად მიმართული, ან მისი გამონათქვამის შინაარსზე. ირიბ მეტყველებას, როგორც ყოველთვის, სინამდვილისეულ გამონათქვამშიც (სულ ცოტა) სამმაგი ფენა აქვს, — გამონათქვამის პირველადი სუბიექტი, გამონათქვამის მეორადი სუბიექტი და მისი გამონათქვამის ობიექტი. ეს ფენები, ე. ი. გამონათქვამის პირველადი სუბიექტის, მე-ორიგოს არსებობა, ზეპირ ირიბ მეტყველებაში უფრო მკაფიოდ ჩანს (ხშირად ემოციურად), ვიდრე წერილობითში, უპირველეს ყოვლისა კი, ძალზე საქმიან წარმოსახვაში. მაგრამ ის იქაც არსებობს. ჩვენ აქ მოვიყვანთ კიდევ ორ მაგალითს, რომლებიც დაგვანახვებენ ირიბი მეტყველების გამოყენების სხვადასხვაობას სინამდვილისეულ გამონათქვამსა და ფიქციაში. ასეთი შედარებისათვის შეგვიძლია გამოვიყენოთ სინამდვილისეული გამონათქვამის მხოლოდ წერილობითი დოკუმენტი. ისტორიკოსი და მწერალი რიკარდა ჰუხი გვთავაზობს ასეთ შესადარებელ მასალას, რომელიც ზემოთ მოყვანილი მე-3 მაგალითისა და საერთოდ, ამ პრობლემიდან გამომდინარე, ფიქციური თხრობის ცვალებადი ფუნქციის საკითხის გასაშუქებლადაც გამოგვადგება.

რიკარდა ჰუხის წმინდა ისტორიული ხასიათის თხზულებაში — „ვალენშტაინი" — ვკითხულობთ:

ვალენშტაინი უდიდეს სიგიჟეს ჩადის, კათოლიკეებსაც რომ ესხმის თავსო, თქვა საქსონიის საიდუმლო მრჩეველმა შონბერგმა; მას რომ მხოლოდ ევანგელისტები შეევიწროებინა, უფრო იოლი თამაში მოუწევდაო. და ამით მან დაამტკიცა, თუ რა ცოტა რამ იცოდა ვალენშტაინზე.

ამასთან ერთად მოვიტანთ ნაწყვეტს მისივე ნაწარმოების — „დიდი ომი გერმა-

ნიაში" — დასაწყისიდან, ისტორიის „პოეტურად" წერის ერთ-ერთ საუკეთესო მაგალითს, რომლის ისტორიულ დოკუმენტად გამოყენებაც იმიტომ არ შეგვიძლია და არცა გვსურს, რომ პოეტურობა სწორედ ისტორიული პროცესების ფიქციონალიზაციაში მდგომარეობს — განსაკუთრებულ, არა ჩვეულებრივი გაგებით „რომანულ" ფიქციონალიზაციაში, რომელიც უკვე იმ კატეგორიალურ ზღვარს მიღმა დგას, ფიქციას რომ ჰყოფს სინამდვილისეული გამონათქვამისაგან. ამას ჩვენ ირიბი მეტყველების ფორმაზე ვხედავთ, რომელიც ამ ნაწარმოებში არსებით ენობრივ საშუალებას წარმოადგენს ამ უაღრესად ოსტატური ფიქციონალიზაციის განსახორციელებლად. ეს ნაწარმოების დასაწყისშივე შეინიშნება, რომელიც მხოლოდ ტიპიურია მთელი ნაწარმოების თხრობის ხერხისათვის:

1505 წელს დიუსელდორფის სასახლეში ისეთი ზარ-ზეიმით აღინიშნა ახალგაზრდა ჰერცოგის იან ვილჰელმის ქორწინება იაკობე ფონ ბადენზე, როგორც ეს იულიჰის მდიდარი თავადური ოჯახის ღირსებას შეშვენის. დღესასწაულებმა რომ ჩაიარა, კელნის კურფიურსტი, ერნსტ ფონ ვიტელსბახი... გამოემშვიდობა ჰატარძალს, რომელიც მისი დისწული იყო, და უთხრა, რომ უფრო კარგ ხასიათზე მიღიოდა, ვიდრე მოვიდა; რადგან ხშირად სინდისი აწუხებდა იმის გამო, თვით იაკობეც იქნებოდა თუ არა კმაყოფილი იმ ქორწინებით, რომელზეც მან იგი კეთილი ზრახვითა და მისი ბედნიერების იმედით დაიყოლია...

იაკობემ თვალებითა და ბაგეებით ნახევრად გულღიად, ნახევრად დამცინავად გაიღიმა და მიუგო: „მე გარემო არც თუ ისე დიდებულად მეჩვენება და ოჯახი არც თუ ისე კეთილშობილად, როგორც თქვენ... ჩემი მამამთილი... ბრიყვი მოხუცია..." დიახ, უთხრა ცოტათი შემცბარმა კურფიურსტმა, მან არ იცოდა, რომ მოხუცი ჰერცოგის საქმე ასე ცუდად იყო... მაინც... მან უნდა აღიაროს, რომ იან ვილჰელმი კარგი პარტიაა. და კურფიურსტი ქალს სავსე, შეწითლებულ ღაწვებზე მიეალერსა... ჩემი მეუღლით კმაყოფილი ვარო, თქვა მან.

რაში მდგომარეობს ნათლად გამოკვეთილი განსხვავება ამ ნაწყვეტისა და ვალენშტაინის ნაწყვეტის ირიბ მეტყველებას შორის? ისინი არა [illegible] საერთოდ არა აქვს ფენები, აქ არ ლაპარაკობს გამონათქვამის პირველადი სუბიექტი, არ გადმოგვცემს მესამე პირთა გამონათქვამებს. მეტყველება უშუალოა. და ეს იმ გარემოებას ემყარება, რომ ზმნა „თქვა", რომელიც სინამდვილისეული გამონათქვამის ირიბ მეტყველებაში სამფენოვნებას ქმნის, ფიქციურად იცვლის მნიშვნელობას. „დიდ ომში" არაა ნათქვამი, რომ ვილაცა რაღაცას ამბობს, როგორც ეს „ვალენშტაინში" ხდება (და ეს ნათქვამი შემდეგ განსჯის საგნადაა ქცეული), არამედ მოქმედი პირები „ახლა და აქ" ამბობენ ამას და ამას, ე. ი. ისინი ფიქციური პერსონაჟები არიან (მიუხედავად მათი ისტორიულობისა). ირიბი მეტყველება აქ უკვე აღარ არის ნამდვილი ირიბი მეტყველება, ზუსტად ისევე, როგორც „ეპიკური მე" არ არის გამონათქვამის სუბიექტი; იგი პირდაპირ მეტყველებაზე მეტად არ არის დამოკიდებული შემომყვან ზმნაზე, რადგან ზმნა „თქვა" აქ შემომყვანი კი არ არის, არამედ სიტუაციური ზმნაა, ისევე, როგორც ზმნები — „გაიღიმა, მიუალერსა". ამიტომ აქ ისევე, როგორც შაპერის ტექსტში (მოჩვენებითი) ირიბი მეტყველების ფორმა ყოველგვარი სიძნელის გარეშე ენაცვლება პირდაპირ მეტყველებას. ამკარა უპირატესობის მინიჭება ირიბი ფორმისათვის „დიდ ომში" სტილისტური საშუალებაა, რომელიც ფიქციურად გაცოცხლებულ ფიგურებს მიღმა შეგვაგრძნობინებს ისტორიულ ხდომილებას, თვით მათ მოქმედებასა და განცდას, შეგვაგრძნობინებს როგორც ისტორიულს, როგორც ისტორიული მეცნიერების მიერ გამოკვლეულს, და ამავე დროს როგორც ახლა და აქ მიმდინარეს. მაგრამ სინამდვილის ეს ძუნწი და თავშეკავებული გარდაქმ-

ნა ფიქციად მაინც იმდენად ძლიერია, რომ ენობრივ ფორმათა მნიშვნელობანი მაშინვე იცვლებიან და იმ კანონს ემორჩილებიან, რომლის ძალითაც ისინი პირებს ობიექტებად კი არ აღწერენ, არამედ მათი ფიქციური სუბიექტურობისა თუ მე-ორიგინობის „ახლა და აქ" განზომილებაში. ამის შედეგად ზღვარი ისტორიულსა და ფიქციურ თხრობას შორის მაშინვე კატეგორიალურ წყალგამყოფად გვევლინება. ფიქციაში მიმართებათა მთელი სისტემა თხრობასა და მოთხრობილს შორის გამქრალია. საუბარი და მონოლოგი, ირიბი მეტყველების ფორმა და განცდილი მეტყველება — გადმოცემას ერწყმის და ცვალებად ფუნქციად ერთიანდება, რომელიც ხან ერთი, ხან მეორე ფორმის მიღებით ფიქციას ქმნის. ყველა ფორმა, რომლებსაც ეს ფუნქცია, ფიქციური თხრობა ავლენს და რომელთა მეშვეობით იგი კატეგორიალურად განსხვავდება სინამდვილისეული გამონათქვამისაგან, იმითაა აღბეჭდილი, რომ თხრობის ფუნქცია მათსავით კი არ აღწერს ობიექტს და ასე თუ ისე კი არ განმარტავს, აფასებს, განსჯის მას, არამედ განმარტებით ქმნის სამყაროს, იმგვარად, რომ ეს შექმნა და განმარტება ერთ შემოქმედებით აქტს შეადგენენ, მოთხრობილი თხრობაა და თხრობა — მოთხრობილი.

ეს ფორმულა, რომელშიც ჩვენ კიდევ ერთხელ ვაჯამებთ წინა გამოკვლევათა შედეგებს (და კრიტიკას „მთხრობელის როლის" გაგების წინააღმდეგ), მაშინაც შეიძლებოდა წაწყდომოდა წინააღმდეგობას, როცა თხრობასა და მონათხრობს შორის ფუნქციურ დამოკიდებულებას ვაღიარებთ— წაწყდომოდა წინააღმდეგობას კითხვისეული განცდის თვალსაზრისით. რადგან, თუნდაც შემეცნებისა და ენის თეორიის თვალსაზრისით ფუნქციურ ურთიერთმიმართებასთან გექონდეს საქმე, განა ჩვენს კითხვისეულ განცდას არ შეესაბამება განსხვავების დანახვა მთხრობელსა და მოთხრობილს შორის? განა სწორედ ამით არ განსხვავდება ჩვენი განცდა რომანისა თუ დრამის კითხვისას, ვკითხულობთ მას თუ სცენაზე ვუყურებთ? ამასთან ამ ორი ფიქციური ფორმის ზომის განსხვავების ფაქტიც შეტად თუ ნაკლებად გაცნობიერებული ელემენტის სახით შემოდის ამ განცდაში. ავიღოთ მკითხველის ეს საკითხი და დავაკვირდეთ, განიმარტება თუ არა იგი სწორად და შეიძლება თუ არა მასზე სწორი პასუხის გაცემა. ნუ დავკმაყოფილდებით განუსაზღვრელი შთაბეჭდილებით, არამედ დავსვათ კითხვა, როგორ აღწერს და გადმოსცემს მკითხველი ერთი მხრივ რომანს, მეორე მხრივ, დრამას. ყველაზე ნათელი პასუხის გაცემა ამ კითხვაზე შესაძლებელია დრამის მიმართებებიდან გამომდინარე. მოქმედების, ხასიათისა თუ აზრების ინტერპრეტაციისას ჩვენ დამოკიდებული ვართ სიტყვებზე, რომლებსაც ავტორი დრამატულ გმირებს „ათქმევინებს". მაგრამ განა ზუსტად ასევე არ ვიქცევით, როცა თხრობითი მხატვრული ნაწარმოების ინტერპრეტაციას ვახდენთ? განა ვანსხვავებთ ერთმანეთისაგან, რას ალაპარაკებს ავტორი პერსონაჟებს და რას — მთხრობელს? განა ვიტყვით ასე: მთხრობელი ამბობს, რომ დუშკამ შუადღისას ეკატერინა ივანოვნასთან შეიარა, შემდეგ თვით დუშკა ამბობს: „როდის იქნება ეს გვიანი სამხრობა?" (რადგან ეს პირველი პირდაპირი მეტყველებაა, რომელიც მოყვანილ ნაწყვეტში გვხვდება). არა, უკიდურეს შემთხვევაში ვიტყვით: დუშკა ეკატერინასთან აკაკუნებს, იგი სერიოზულად გამოიყურება[54] და ა. შ. გადმოცემა და

---

[54] **რომანის შინაარსის რეფერატი ან ანალიზი პრეზენსში და არა იმპერფექტში კიდევ ერთი უნებური ნიშანია იმისა, რომ იგი არაა მოთხრობილი წარსულის სახით, რომ ეპიკურ პრეტერიტუმს წარსულის ფუნქცია არა აქვს (უფრო დაწვრილებით რეპროდუქციული პრეზენსის შესახებ იხ. ჩემი თხზულება: ეპიკური პრეტერიტუმი).**

მეტყველება ჩვენთვის ერთ ნაკადად ერწყმის ერთმანეთს მოცემული ნაწარმოების წარმოსახულ სამყაროში, ზუსტად ისევე, როგორც თხრობის ფუნქციის სხვადასხვა ფორმები ერწყმიან ერთმანეთს მხატვრული მთლიანობის შესაქმნელად, როგორც ნახატის ფერები ერთიანდებიან გამოხატულ საგანში. ის საუბრებიც, რომლებსაც რომანში მწერალი თავის მოქმედ პირებს ალაპარაკებს, ხომ ისევე შეადგენენ რომანის თხრობას, როგორც ირიბი მეტყველება, რომლითაც ეს საუბრები შეიძლება გადმოიცეს.

მაგრამ კელავ შეიძლება შემოგვედავონ, — განა არ შეგვიძლია რომანის რეფლექტორული პარტიები, მწერლის დაკვირვებანი, გამოვაცალკევოთ მისგან, როგორც არა-ფიქციის კუთვნილება, ე. ი. მკაფიოდ გავარჩიოთ თხრობა მონათხრობისაგან? ვილჰელმ მაისტერის მაგალითზე ჩვენ ვნახეთ, რომ რეფლექსიებიც შეიძლება მარკირების გარეშე იყოს განაწილებული რომანის მოლაპარაკე თუ მოაზროვნე პირებსა და გადმოცემაზე, და თუნდაც გარკვეული ადგილები გამოსადეგი იყოს ასეთი გამოცალკევებისათვის, ეს მოხდება იმ მრავალი „სენტენციების" მსგავსად, რომლებიც კლასიკური დრამებიდან წარმოსდგებიან. მაშინაც კი, როცა ისინი იმდენად „პოპულარულნი" არიან, რომ ხმირად ბიუხმანში გეჭირდება თავდაპირველი კონტექსტის მოძებნა, ეს არც თვით მათი ბრალია და არც მწერლისა, რომელმაც ისინი ოდესღაც თავის ტელსა თუ ვალენშტაინს ათქმევინა. და მწერალი, რომელიც თავისი ვილჰელმის მისამართით ამბობს: „ადამიანი არ შეიძლება უფრო სახიფათო მდგომარეობაში აღმოჩნდეს, ვიდრე მაშინ, როცა გარემოებანი მისი მდგომარეობის მკვეთრად შეცვლას იწვევენ" — როგორც მთხრობელი, არ არის უფრო მეტად „შემფასებელი, მგრძნობიარე თუ მჭვრეტელი" (კ. ფრიდემანი), ვიდრე დრამატურგი, რომელიც თავის ვალენშტაინს ათქმევინებს: „ძალზე სწრაფია სიჭაბუკე სათქმელად სიტყვის, რომლის ხმარება ძნელი არის, ვით ბასრი დანის" (ფრიდრიხ შილერი: რჩეული თხზ. 3 ტომად, ტ. II. თბილისი 1962 წ. თარგმანი ვ. პეწუკელისა).

და მაინც, კითხვისეული განცდიდან გამომდინარე, კიდევ ერთ საკითხში შეიძლება შემოგვედაონ. მაშინაც კელოცა სპეციფიკური რეფლექტორული პარტიების ინტერპრეტაციისას ყოველთვის ვერ განვასხვავებთ ერთმანეთისაგან თხრობისა და დიალოგის პარტიას — განა არ არსებობს შემთხვევები, მით უმეტეს თანამედროვე რომანისტულ ლიტერატურაში, სადაც მოქმედი პირები ისე ძლიერად არიან დახასიათებულნი მათი მეტყველებისა და აზროვნების მანერით, რომ ჩვენს ინტერპრეტაციაშიც განუყოფლად უკავშირდებიან მათ? საკმარისია, მაგ., სულ რამდენიმე ციტატის მოსმენა თომას მანის „ჯადოსნური მთიდან" — სეტემბრინისა და ნაფტას დისკუსიიდან, რათა მაშინვე მივხვდეთ, რომელი ნათქვამი თუ აზრი ეკუთვნის ერთს ან მეორეს, და იმასაც, რომ ეს ნათქვამი ერთ-ერთ ამ პირს ეკუთვნის და არა მთხრობელ ავტორს. და ეს ცოტად თუ ბევრად ეხება აგრეთვე რომანის მთელ თხრობას, რომელიც მოქმედ პირთა გამოკვეთილ ინდივიდუალიზაციას ახდენს. ეს მოვლენაც მხოლოდ თხრობის ფიქციური ხასიათის დადასტურებაა. ფიქრების შინაარსის ასეთი „ხორცშესხმის" წყალობით ინტერპრეტაციისას წარმოსახვაში ქრება ის ფაქტი, რომ ეს პერსონაჟებიც და ისიც, რასაც ისინი ამბობენ, მოთხრობილია, თხრობის ფუნქციითაა შექმნილი. და მკითხველის ეს აპერცეპციის გამოცდილება მით უფრო სიმპტომატურია, როცა, მაგალითად, თავში „Operationes spirituales" დისკუსიების უდიდესი ნაწილი სეტემბრინის, ნაფტასა და ჰანს კასტორპს შორის ირიბი მეტყველებითაა წარმართული, რომელსაც, როგორც ვნახეთ, ფიქციაში მესამე პირთა მეტყველების გადმოცემის სტრუქტურა კი არა აქვს, არამედ დიალოგივით მათაც გამომთქმელი სუბიექტი აყალიბებს, რის გამოც ამ ფორმას ადვილად ენაცვლება დიალოგი. კითხვისეული განცდის ამ მხარის გაშუქებაში დაგვეხ-

მარება პატარა ნაწყვეტი „ჯადოსნური მთის“ ამ თავიდან:

... ზემი უფალი მოწინააღმდეგის ფილანტროპია კი იმისთვის იღწვის, რომ სიცოცხლეს წაართვას მთელი მისი სიდიადე და ძალმოსილება, ფილანტროპიაც, და მისი უკაცრავად პასუხია მეცნიერული დეტერმინიზმით სიცოცხლის კასტრაციისკენ ისწრაფვის, მაგრამ სინამდვილეში დეტერმინიზმი არამც თუ ვერაფერს აკლებს დანაშაულის ცნებას, არამედ პირიქით, მას სიმძიმესა და შიშის ჟრუანტელს მატებსო.

ურიგო აზრი არაა, მაგრამ იქნებ ბატონ ნაფტას ისიც ნებავს, საზოგადოების იმ წყეულმა მსხვერპლმა მართლა შეიგნოს საკუთარი დანაშაული...

დიახაც, მნებავსო. დამნაშავე ისეა გამსჭვალული თავისი დანაშაულით, როგორც საკუთარი თავით... ადამიანი ისეთია, როგორიც თვითონ უნდა რომ იყოს... თუკი შენს უსასოეს სურვილს შეისრულებ, მაშინ სიკვდილი აღარ გაგიჭირდებაო.

უსასოეს სურვილსო?

დიახ, უსასოესსო.

ყველას ენა ჩაუვარდა. ჰანს კასტორპმა ჩაახველა. ბატონმა ფერგემ ამოიხვნეშა. სეტემბრინიმ კი მოხდენილად შენიშნა:

„როგორც ჩანს, შეიძლება განაზოგადო, რომ საგანს პიროვნული ელფერი მიანიჭო. იქნებ თქვენც გაქვთ მკვლელობის სურვილი?“ (თომას მანი, „ჯადოსნური მთა“, „საბჭოთა საქართველო“, 1984 წ. თარგმანი დალი ფანჯიკიძისა).

ირიბი ფორმა აქ რიკარდა ჰუსის „დიდი ომიდან“ მოყვანილ მაგალითზე უფრო მკაფიოდ იქცევა თხრობის უპიროვნო ფუნქციური ხასიათის საბუთად (კერძოდ, სწორედ ამ მეტყველებათა არა უბრალოდ გადმომცემი, არამედ რეფლექტორული ხასიათის წყალობით), იმისდა მიუხედავად, თუ თხრობის რომელ ფორმას მიიღებს იგი. და ეს ცვალებადი ფორმები განუყოფლად ერწყმის ერთმანეთს არა ნაწარმოების წაკითხვის შემდგომ წარმოსახვაში, არამედ თვით კითხვის პროცესში: გადმოცემა, პირდაპირი, ირიბი, განცდილი მეტყველება და სხვ. ისინი ერთმანეთს ერწყმიან არა თხრობის, არამედ მოთხრობილის ტოტალობაში, რომლის ფარგლებში წინადადებას — „რადგან უდიდესი უბედურება, ისევე როგორც უდიდესი ბედნიერება, ადგილს ადგილს უცვლის“ — სტრუქტურულად იგივე ჩამომყალიბებელი ფუნქცია აქვს, რაც წინა წინადადებას: „ოტილია მას ყველაფერში მხარში უდგას: აკეთებს, მოაქვს, ზრუნავს, თითქოს სხვა სამყაროში მოქმედებსო“. როგორც ამ წინადადებაში გაგვიჭირდება თხრობის გამოყოფა მონათხრობისაგან და „მთხრობელი“ შეუმჩნეველი რჩება, ასევეა მომდევნო წინადადებაშიც. ეს მხოლოდ ოტილიას ყოფის შემდგომი ინტერპრეტაციაა მისი არსებობის ამ წუთში, ინტერპრეტაცია, რომელსაც გოეთეს სტილში სენტენციური განზოგადების ხასიათი აქვს, მაგრამ მხატვრული შემოქმედების თეორიის თვალსაზრისით არ განსხვავდება წინა წინადადების ნაკლებად ზოგადი ინერპრეტაციებისაგან, რომლებიც უფრო ახლოს დგას“[55] ოტილიას „ახლა და აქ“ მომენტთან.

———

[55] თხრობის ფუნქციის ცვალებადობისა და მხატვრული შემოქმედების თეორიის თვალსაზრისით მისი ერთიანობის წინასწარგაუმიზნავი დადასტურებაა ფ. შტანცელის უკვე მოხსენიებული დამაჯერებელი შრომა: „თხრობის ტიპიური სიტუაციები რომანში“, რომელიც მრავალ საინტერესო დაკვირვებას გვაწვდის. მაშინ, როცა აქ „აუქტორიალური“ ხასიათის რომანის ტიპს (სადაც მთხრობელი პირი გადმოცემითა და კომენტარებით ხდება შესამჩნევი) განსაკუთრებით მკვეთრად განასხვავებენ „პერსონალური“ ტიპისაგან (სადაც ხედვის წერტილი გადაადგილებულია რომანის მოქმედ პირებში, დიალოგში, განცდილ მეტყველებაში და სხვ.) — ავტორი ვერ აუვლის გვერდს, რომ ყოველ რომანში ორივე სახის სიტუაციები გვხვდება, თუნდაც მათი დოზირება განსხვავებული იყოს ერთმანეთისაგან დროისა და ავტორის სტილის მი-

ის, რაც მრავალჯერ გამოვიტანეთ დღის სინათლეზე, კიდევ ერთხელ უნდა გამოვთქვათ დასკვნის სახით: რომ თხრობის ფუნქციის ხასიათი იმდენადვეა განმარტებითი, რამდენადაც შემქმნელი. თუმცა, ჩვეულებრივ, ყოველთვის ვაღიარებდით ეპიკური თხრობის განმარტებით-ინტერპრეტაციულ ხასიათს, რომელსაც თხრობის პერსონიფიცირებულ გაგებამდე მივყავართ, ეს თვალსაზრისი მცდარი იყო იმის გამო, რომ ამავე დროს მხედველობაში არ იყო მიღებული ამ ინტერპრეტაციის ფუნქციურ მაწარმოებელი, მიმეტური ხასიათი, რომელიც არსებითად განსხვავდება ისტორიული თხრობის განმსჯელ-ამხსნელი ხასიათისაგან (როგორც ზემოთ კლაისტის ნაწყვეტებზე ჩატარებულ ექსპერიმენტებზე ვნახეთ). როცა ვ. კაიზერი მთხრობელის ცნებას ინარჩუნებს და ამავე დროს მას „შეთხზულ, ფიქციურ ფიგურას“ უწოდებს, რომელიც „მხატვრული ნაწარმოების მთლიანობაში შედის“,[56] აშკარად იგრძნობა, რომ ეპიკურ თხრობაში სხვაგვარადაა საქმე, ვიდრე ისტორიულში. მაგრამ ტერმინოლოგია მაინც არაადექვატური ხდება, რადგან არაა გაცნობიერებული ის მიმართება, რომელშიც თხრობა იმყოფება მთხრობელ პოეტთან (რომელიც თხრობას მართავს). სწორედ ის წარმართავს თხრობას, მაგრამ იგი მოგვითხრობს არა თავისი მოქმედი პირების (საგნებისა და მოვლენების) შესახებ, არამედ მოგვითხრობს პირებს, ისე როგორც მხატვარი ხატავს თავის ფიგურებს. და როგორც იგი იძლევა ხატვის პროცესში თავის გაგებასაც, ისევე-ერთ-ერთ პროცესი განუყოფელია მეორისაგან, ასევე მთხრობელი მწერალიც თხრობასთან ერთდროულად განმარტავს კიდეც, ისევე, როგორც ყოველ ერთი შეხედვით მტკიცებით „თხრობით“ წინადადებაში მუდამ შედის რაიმე შეუმჩნეველი ინტერპრეტაციული ელემენტი, რომელიც ეპოქისა და მწერლის სტილის მიხედვით მეტ-ნაკლებად იკვეთება, იღვრება ყველა ფორმაში, რომელთა გამოყენებაც კი ფიქციურ თხრობას თავისი ფუნქციონალური ხასიათის ძალით შეუძლია: გადმოცემიდან დიალოგში და მათ შორის შესაძლებელ ყველა ცვალებად გარდამავალ ფორმაში. ამრიგად, თუ წინა დაკვირვებებს შევაჯამებთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ თხრობა (მთხრობელი პოეტისა ან მთხრობელისა) უკვე ის პირი კი აღარ არის, რომელიც არსებობს თხრობით მხატვრულ შემოქმედებაში დრამატულისაგან განსხვავებით, არამედ ეს არის უფრო მიმეტური ხასიათის ფორმა, რომელიც მთხრობელის განკარგულებაშია და რასაც მოკლებულია დრამატურგი. ეს ფუნქცია შეიძლება ნულს უდრიდეს, მაგრამ ფიქცია მაინც უნდა წარმოიქმნას, კერძოდ კი, სწორედ დრამატული, აგრეთვე ფილმური. და ეს ნიშნავს, რომ ეპიკური თხრობის ფუნქცია სხვა ფუნქციებით იცვლება, როგორც ამას ქვემოთ უფრო დაწვრილებით ვნახავთ.

ამ მტკიცებებითა და მითითებებით უფრო ნათელი ხდება ის ზღვარი, რომელიც მხატვრული შემოქმედების ლოგიკურ და ესთეტიკურ განხილვას შორის გადის და რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ, როცა საქმე ეხება დრამატული ფიქციის ეპიკურ ფიქციასთან მიმართების განსაზღვრას.

ხედვით. „მე-რომანის მსგავსად“, დასძენს ავტორი, „პერსონალურ რომანშიც შესამჩნევია მიდრეკილება, თხრობის პერსონალურ ფუნქციაში აუქტორიალური ელემენტების ჩართვისა“ (გვ. 93) და „პირიქით, აუქტორიალური რომანის კითხვისას შეიძლება შევნიშნოთ, რომ არც თუ იშვიათად მონათხრობის სრული გააწმყოება ისევე ხდება, როგორც თხრობის პერსონალურ სიტუაციაში. ამას ადგილი აქვს, მაგალითად, გრძელ დიალოგებში“ (გვ. 94). შეადარე აგრეთვე გვ. 48. ეს აშკარად ისეთი ფაქტებია, რომლებიც არა მარტო ფაქტებად შეგვიძლია მივიღოთ, არამედ იმის სიმპტომადაც, რომ „აუქტორიალური თხრობა“ უფრო რთული ფენომენია, ვიდრე ეს ტექსტებიდან უშუალოდ შეიძლება ამოვიკითხოთ.

---

[56] ვ. კაიზერი: თანამედროვე რომანის წარმოშობა და კრიზისი, შტგტ., 54.